

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის  
სამეცნიერო ჟurnალის პრიზული

№4

**SCIENTIFIC PROCEEDINGS OF GURAM  
TAVARTKILADZE TEACHING UNIVERSITY**

თბილისი-TBILISI  
2014



# გურამ თავართეპილაპის სასწავლო უნივერსიტეტის სამაცნეორო შრომათა პრეპული

№4



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2014

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის  
სამეცნიერო შრომათა კრებულის სარედაქციო საბჭო

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე  
პროფ. გიორგი მათიაშვილი

**სარედაქციო საბჭოს შემადგენლობა:**

პროფ. **რევაზ ბალანჩივაძე** – მთავარი რედაქტორი  
პროფ. **ამირან თავართქილაძე** — პასუხისმგებელი მდივანი  
პროფ. **გელა ალადაშვილი**  
პროფ. **ჩერეკ ბუსტრა** /ნიდერლანდების სამეფო/  
პროფ. **ინგა დიაკონიძე**  
პროფ. **ვალერი ვაშაკიძე**  
პროფ. **ლიკ ვეინანდს** /ნიდერლანდების სამეფო/  
პროფ. **მარინა ვეკუა**  
პროფ. **სერგეი იაკუბოვსკი** /ოდესა/  
პროფ. **გივი ლობჟანიძე**  
პროფ. **ამიდ ნიზამად** /აშშ/  
პროფ. **რაინდერ პაულინგი** /გერმანია/  
პროფ. **თალიკო უვანია**  
პროფ. **თემურ ულენტი**  
პროფ. **უილ რუე** /საფრანგეთი./  
პროფ. **ჩარლზ მორგან სტრომე**/აშშ/  
პროფ. **მაია უკლება** — პრორექტორი  
პროფ. **შენგელი ფიცხელაური**  
პროფ. **ლალი ჩაგელიშვილი**  
პროფ. **ბარბარა ჰაინსი** /აშშ/.

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული რეფერირდება ტექნიკორმის ქართულ რეფერატულ უურნალში (ქრუ).

ქრუ ელექტრონული ფორმით გამოდის ქართულ და ინგლისურ ენებზე და განთავსებულია ინტერნეტში ტექნიკური ინსტიტუტის საიტზე [www.tech.caucasus.net](http://www.tech.caucasus.net)

© გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი, 2014  
გამომცემლობა „ენივერსიტეტი”, 2014

თბილისი, 0179, ი. ვაკევაძის გამზ. 19, თე: 222 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-317-4



**SCIENTIFIC PROCEEDINGS OF GURAM  
TAVARTKILADZE TEACHING UNIVERSITY  
VOLUME  
№4**



Publishing House "**UNIVERSAL**"  
Tbilisi 2014

**Scientific Proceeding of Guram Tavartkiladze  
Teaching University**

Heard of the Editorial Boards –

**Prof. Giorgi Matiashvili**

**Editorial Board:**

**Prof. Revaz Balanchivadze** – Chief Editor

**Prof. Amiran Tavartkiladze** – Secretary Editor

**Prof. Gela Aladashvili**

**Prof. Tjerk Busstra** – /Netherlands/

**Prof. Lali Chagelishvili**

**Prof. Inga Diakonidze**

**Prof. Barbara B. Hines** /USA/

**Prof. Nezhad Hameed** /USA/

**Prof. Sergei Yakubovskyi** /Ukraine/

**Prof. Givi Lobjanidze**

**Prof. Reinhard Pauling** /Germany/

**Prof. Shengeli Pitskhelauri**

**Prof. Gilles Rouet** /France/

**Prof. Charles Morgan Stromme** /USA/

**Prof. Maia Ukleba**

**Prof. Valeri Vashakidze**

**Prof. Marina Vekua**

**Prof. Taliko Zhvania**

**Prof. Temur Zhghenti**

**Prof. Dik Weijnands** /Netherlands/

Collection of scientific works of Guram Tavartkiladze Teaching University is reviewed in Georgian reviewed journal of Techinform (GRJ).


Electronic version of GRJ is issued in Georgian and English Languages and is set on the following site: [www.tech.caucasus.net](http://www.tech.caucasus.net)

გურამ თავართეილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, როგორც მრავალდარგობრივი ჟურნალი, აერთიანებს ეკონომიკურ, სოციალურ, პუმანიტარულ და სამართლის მეცნიერებებს. ამ ჟურნალთან თანამშრომლობა, გარდა ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორებისა, შეუძლიათ სხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლებსაც, მათ შორის, უცხოელ ავტორებსაც.

ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს ზემოაღნიშნულ დარგებში, უპირველეს ყოვლისა, უმაღლეს სასწავლებლებში მოღვაწე პროფესორ-მასწავლებლების მეცნიერული კვლევა-ძეების შემდგომ განვითარებას, ორიგინალური კონცეფციებისა და ინოვაციების წარმოჩენას, ამ დარგების წინსვლაში ჩვენს მონაცილეობას, სამეცნიერო საქმიანობაში ახალგაზრდა სპეციალისტების ჩართვას, მათი სამეცნიერო პოტენციალის ამაღლებას.

კრებულის სარედაქციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან ქართველი და უცხოელი მეცნიერები, ზემოაღნიშნული დარგების კვალიფიციური სპეციალისტები. უცხოელ მეცნიერთა მონაცილეობა სარედაქციო საბჭოს შემადგენლობაში აამაღლებს კრებულის ავტორიტეტს, საშუალებას მოგვცემს გავაფართოოთ აკადემიური კონტაქტები და ხელს შეუწყობს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა მოზიდვას კრებულში სათანამშრომლოდ. თავის მხრივ, ეს შესაძლებელს გახდის იმას, რომ მათი სამეცნიერო პროდუქცია, ორიგინალური კონცეფციები და კვლევები გავაცნოთ ქართულ სამეცნიერო ინტელიგენციას, დავგეგმოთ ერთობლივი პროექტები.

საერთაშორისო კონტაქტების გაფართოების მიზნით სასურველად მიგვაჩინია, კრებულში სათანადო ადგილი დავუთმოთ საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევის შედეგებს, მათ მიერ შემოთავაზებული დასკვნებისა და რეკომენდაციების გაშუქებას.



Scientific Proceedings of Guram Tavartkiladze Teaching University are a multi branch journal covers economic, social and humanitarian and law sciences. Professors of other HEI as well as foreign authors can cooperate with our scientific journal.

The purpose of the journal is to foster scientific research development in different scientific fields mentioned above, support the introduction of the innovations, our participation in the development of these fields. It will also support the involvement of the young specialists, raise their scientific potential.

The editorial board of the journal consists of well-known Georgian and foreign scientists, highly qualified specialists. Participation of the foreign authors will support the exchange scientific product between Georgian and foreign scientists that will make it possible to carry out joint scientific projects.

In order to enhance international cooperation, the journal presents and reviews the conclusions and recommendations, the research results carried out by the international organizations acting in Georgia.



## შ ი ნ ა ა რ ს ი

### სამართლის მეცნიერებები

თამარ ალფაიძე — მასმედია და სახელმწიფო ხელისუფლება .....	9
ვენედი ბენიძე — საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკეული ნორმები საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამოა.....	14
გივი ლობჟანიძე, დავით ლობჟანიძე — „ცივი ომი“-ს სამართლებრივი შედეგი .....	18
დავით სუხიტაშვილი, თეა სუხიტაშვილი — სამოქალაქო პასუხისმგებლობის კატეგორიები და პრინციპები .....	23
შენგელი ფიცხელაური — კრიმინალისტიკური მეთოდოლოგის ძირითადი ცნებები .....	32
სერგო ჭელიძე, ნუგზარ თევდორაძე — „პოლიგრაფი“, გამოყენების პრობლემები სისხლის სამართალწარმოებაში .....	35

### ეკონომიკური მეცნიერებები

ბესიკ ალადაშვილი — ეკონომიკა ომების დროს: ისტორიული გამოცდილება და დღევანდელი რეალობა .....	40
ნოდარ ბაგრატიონი — სავალუტო ბაზრის ფუნქციონირებისა და ვალუტის კონვერტირებადობის ზოგიერთი საკითხი .....	44
დავით ვეკუა — მცირე ბიზნესის განვითარების შესაძლო პერსპექტივები საქართველოში .....	49
ამირან (სიმონ) თავართქილაძე — ასოცირების შეთანხმება დაბეგვრის ზოგიერთი საკითხის შესახებ .....	53
სოფიკო თევდორაძე — საერთაშორისო ბიზნესი გლობალურ სივრცეში .....	58
ლია თოთლაძე — წინმსწრები, თანამდევი და ლაგური ინდიკატორები .....	62
მამუკა თორია — შრომის ანაზღაურების დიფერენციაციის პრობლემები საქართველოში .....	66
დავით კბილაძე — სტატისტიკის როგორც მეცნიერების ჩამოყალიბების ისტორიული ასპექტები და თანამედროვეობა .....	70
ლელა კოჭლამაზაშვილი, თემურ ყანდაშვილი — საქართველოს ევროკავშირის ბაზარზე გასვლის პერსპექტივები.....	73
მანანა მარიდაშვილი — ფარმაცევტული ბიზნესის მომგებიანობისა და მარკეტინგის ურთიერთკავშირის საკითხი .....	77
მანანა მარიდაშვილი — ფარმაცევტული პროდუქტის ფასის ფორმირებისა და რეგულაციის ტენდენციები საქართველოსა და დსთ-ს ქვეყნებში .....	84
თალიკო უვანია, ანა კობიაშვილი — ელექტრონული სწავლების ზოგიერთი ასპექტი .....	88
გიორგი სახოვავა — აუდიტორული კონტროლი და ეფექტუალური აუდიტის პერსპექტივები .....	93
მაია სეთური — ბრენდის შექმნის ზოგიერთი ასპექტი .....	100
ჩარლზ მორგან სტრომე — ევროკავშირის სანქციების პოლიტიკა .....	104
ლაშა ტაბატაძე — საქართველოს აგრარული სექტორი — რეალობა და რეალური პერსპექტივები..	109
ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე — საქართველოს ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკის პარადიგმები .....	113

### სოციალური და პუბლიცისტური მეცნიერებები

მილდრედ კალანდარიშვილი — უფლის სახელით დათრგუნული სიყვარული .....	117
სოფიკო კვანტალიანი — ციფრული ტექნოლოგიები, როგორც ფოტოურნალისტიკის ტრანსფორმირების ფაქტორი .....	121
ლაურა კუტუბიძე-ზუბაშვილი, ვაჟა ზუბაშვილი — რეკლამის გავლენა ცხოვრების სტილსა და ღირებულებებზე .....	125
მაყვალა (ბაია) კოლუაშვილი — ექსპატრიატები: ამერიკული მოდერნიზმის ევროპული სკოლა .....	129
ელზა ლომიძე — კომუნიკაცია, როგორც პიროვნული ცოდნის სფერო .....	134
ხათუნა მემანიშვილი — „მეზავრის ნერდლების“ სტილი .....	141
თათია მუავანაძე — ახალი მედიის გამოწვევები .....	150
ქეთი ნიუარაძე — არისტოფანეს პარაბასისები, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის ინსტრუმენტი .....	153
თამარ ფანცულაია — ბიზნესის ეთიკური პრობლემები სიგნალიზატორობა .....	156
ნინო ყუფარაძე — თანამედროვე ფარმაცევტული ბაზრის თავისებურებანი და პაციენტის უფლებების დაცვა (ეთიკური ასპექტები) .....	161
დალი ჩიკვილაძე — ნიკო ნიკოლაძის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან .....	165
დიანა ჭანკოტაძე — როგორ სწავლობენ და ასწავლიან საფრანგეთში პროფესიას „უურნალისტიკა“ .....	169

## CONTENTS

### SCIENCES OF LAW

<b>Tamar Alphaidze</b> - Mass Media and State Government.....	9
<b>Venedi Benidze</b> - Particular Norms of Georgia's Criminal Law Process Code are Irrelevant with Georgian Constitution .....	14
<b>Lobzhanidze</b> – Legal Result of “Cold War”.....	18
<b>Davit Sukhitashvili, Tea Sukhitashvili</b> - Categories and Principles of Civil Liability .....	23
<b>Shengeli Pitskhelauri</b> - Basic Concepts of Criminological Methodology .....	32
<b>Sergo Chelidze, Nugzar Tevdoradze</b> - ‘Polygraph’ Application Issues in Criminal Justice .....	35

### SCIENCE OF ECONOMICS

<b>Besik Aladashvili</b> - Economy during The wars; Histirical experienceand Modern Reality .....	40
<b>Nodar bagrationi</b> - functioning of the foreign exchange market and some questions of currency convertibility....	44
<b>David Vekua</b> - Possible Perspectives of Small Business Development in Georgia.....	49
<b>Amiran /Simon/ Tavartkiladze</b> – Association Agreement on Taxation.....	53
<b>Sofiko Tevdoradze</b> - Internacionial Business in Global Space .....	58
<b>Lia Totladze</b> - Leading, Councident and lagged Indicators.....	62
<b>Mamuka Toria</b> - Labor Remuneration Differentiation Problems in Georgia .....	66
<b>David Kbiladze</b> - Historical Aspects of the Development of Statistics as a Science and Contemporaney .....	70
<b>Lela Kochlamazashvili, Temur Kandashvili</b> - Perspectives of Georgia in the market of European Union.....	73
<b>Manana Maridashvili</b> - On Interconnection of Pharmaceutical Business Profitability and Marketing.....	77
<b>Manana Maridashvili</b> - Pharmaceutical Product Price Formation and Regulation Trends in Georgia and CIS Countries.....	84
<b>Taliko Zhvania, Ana Kobiashvili</b> – Certain Aspects of Electronic Teaching.....	88
<b>George Sakhokia</b> - Auditing Control and Efficiency Audit Perspectives .....	93
<b>Maia Seturi</b> - Some aspects of brand creation.....	100
<b>Charlz Morgan Stromme</b> - Eu Sanctions Policies .....	104
<b>Lasha Tabatadze</b> - Georgian Agrarian Sector - Reality and Real Prospective .....	109
<b>Lali Chagelishvili - Agladze</b> - The Liberal Foreign Trade Politic’s Paradigms of Georgia.....	113

### HUMANITY AND SOCIAL SCIENCES

<b>Mildred Kalandarishvili</b> - Love suppressed in the name of God .....	117
<b>Sopho Kvantaliani</b> - Digital Techologies as a transforming factor of photojournalism.....	121
<b>Laura Kutubidze-Zubashvili, Vaja Zubashvili</b> - Unfluence of advertising of lifestyle and Value .....	125
<b>Mayvala /Baia/ Koguashvili</b> - The expatriates: European school of American Modernism.....	129
<b>Elza lomidze</b> - Communication as the Field of personal Knowledge .....	134
<b>Khatuna Memanishvili</b> - Style of “Notes of a Journey”.....	141
<b>Tatia Mjavanadze</b> - Challenges to New Media .....	150
<b>Kate Nizharadze</b> - Parabasisis by Arisrofanes as an instrument for public relation .....	153
<b>Tamar Pantsulaia</b> - Business Etical Problems .....	156
<b>Nino Kuparadze</b> - The Main Peculiarities of Modern Pharmaceutical Market and Defence of Human Rights .....	161
<b>Dali Chikviladze</b> - From Niko Nikoladze’s Epistolary Heritage.....	165
<b>Diana Chankotadze</b> - The ways of Teaching the Profession of Journalism in France.....	169

# სამართლის მეცნიერებები

## თავარ აღვაიძე

### მასში და სახელმწიფო ხელისუფლება

მეცნიერული და პრაქტიკული თვალსაზრისით გარკვეული ინტერესს იწვევს საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ ასოცირდება მასმედია „მეოთხე ხელისუფლებასთან“<sup>1</sup>.

თანამედროვე, სწრაფად განვითარებად საზოგადოებაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლი თითქმის შეუფასებელია. მასმედიის განვითარების დინამიკურმა პროცესმა არნახულ მასშტაბებს მიაღწია. მედია სულ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თითოეული ადამიანისა და მთლიანად საზოგადოების განვითარებაში, აქტიურ გავლენას ახდენს სოციალურ პროცესებზე და სახელმწიფო სისტემის დემოკრატიზაციაზე. მედიის მიზანდასახულმა განვითარებამ ახალი უნიკალური შესაძლებლობები შექმნა ინფორმაციული საზოგადოების ფორმირების, ადამიანთა განათლებისა და ჯანსაღი საზოგადოების ჩამოყალიბების სფეროში. მძღვრად მოქმედმა მედია-ინსტიტუტებმა თავის გავლენას დაუმორჩილეს ისტორიაში ადამიანთა უპრეცედენტო რიცხვი. დღითი დღე იზრდება მასმედიის ეფექტურობა, მისი ზემოქმედება თითოეულ ადამიანზე და მთლიანად სოციუმზე.

ეს რეალობაა. მართებულად მიუთითებს რიჩარდ ჰარისი, რომ მედია „ეს არის არა მარტო „მაგიური ფანჯარა“, რომლის მეშვეობითაც ჩვენ ვუყურებთ სამყაროს, არამედ „კარები“, რომლის მეშვეობითაც იდეები აღწევს ჩვენს აზროვნებაში“<sup>2</sup>.

იმ განსაკუთრებული როლის გამო, რომელიც მასმედიას აქვს სოციალურ და პოლიტიკურ პროცესში, მეცნიერ-მკვლევართა ერთი ნაწილი (უ.როსტოუ, დ.ბელი, გ.ბეგერსტამი) მიიჩნევს, რომ მასმედია არის „მეოთხე ხელისუფლება“, რომელიც გავლენას ახდენს ხელისუფლების ყველა შტოზე.<sup>2</sup>

რას ეფუძნება ასეთი მოსაზრება, რატომ არის მასმედია სახელმწიფო ხელისუფლება, თანაც „მეოთხე“ და არა „პირველი, მეორე ან მესამე“?

ტერმინი „ხელისუფლება“ მრავალაზრობრივი მნიშვნელობისაა. იგი მიეკუთვნება პოლიტიკური თეორიის ფუძემდებლურ ცნებათა რიცხვს და ასახავს მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფოს ფუნქციონირების არსა. ფართო გაგებით, ხელისუფლება გულისხმობს მოვლენათა განვითარებაზე ზემოქმედების უნარს და საშუალებას. ეს ზემოქმედება შეიძლება იყოს დადებითი, პოზიტიური ან უარყოფითი, ნეგატიური. როგორც რთული, მრავალმხრივი მოვლენა „ხელისუფლება“ განსხვავებულ ორგანიზაციულ ფორმებსა და მეთოდებით, ურთიერთობათა სისტემასა და მიზნებში ვლინდება. ამიტომ პოლიტიკურ და იურიდიულ ლიტერატურაში არ არის ამ ტერმინის ერთგვაროვანი გაგება. საზოგადოებაში არსებობს პირადი და სოციალური ხელისუფლების სხვადასხვა სახე.

საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე, კერძოდ სახელმწიფო მოვლენაა, საზოგადოებაში სოციალური ხელისუფლების სახესხვაობად ჩამოყალიბდა სახელმწიფო ხელისუფლება, რომელშიც იგულისხმება პოლიტიკური ბატონობა და სახელმწიფო ორგანოთა სისტემა, რომელთა მეშვეობით ხორციელდება საზოგადოებისადმი სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა. სახელმწიფო ხელისუფლება განსახიერებულია სახელმწიფო-სამართლებრივ ინსტიტუტებში, ემყარება სახელმწიფო ნებას და კონცენტრირებულ ძალას, უნარი აქვს განახორციელოს იძულებითი ღონისძიებანი მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსასრულებლად. იძულება სახელმწიფო ხელისუფლებისათვის დამახასიათებელი აბსტრაქტული და ტიპური თვისებაა, რომელსაც ლეგიტიმურ ხასიათს აძლევს ქვეყანაში მოქმედი სამართლებრივი სისტემა.

საზღაბით უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ხელისუფლება წმინდა პოლიტიკური მოვლენაა, სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ნიშანია, განსაზღვრავს სახელმწიფოს თავისებურებას, მის მექანიზმს, დემოკრატიულობის ხარისხს.

სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც მხოლოდ ძალადობას ემყარება წარმოშობს საზოგადოებაში მზარდ წინააღმდეგობას. პირიერი, დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო ხელისუფლება უდიდესი შემოქმედებითი ძალაა, რომელიც დარწმუნების, სტიმულირებისა და იძულების მეთოდებით უზრუნველყოფს გადაჭრას სოციალური წინააღმდეგობანი, დაუქვემდებაროს ადამიანები ერთიან სახელმწიფო ნებას. დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო ხელისუფლება მისი დიდი სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე უნდა უზრუნველყოფდეს საზოგადოების ჰარმონიულ განვითარებას და არ

<sup>1</sup> Ричард Харрис, «Психология Массовых Коммуникаций» М. 2002 г. с. 19

<sup>2</sup> Доль Р. Введение в теорию демократии, М. 1992



უნდა იქცეს სოციალური პროგრესის მუხრუჭად.

საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მმართველობის ფუნქციას ხელისუფლება ახორციელებს სხვა სოციალური ინსტიტუტებისაგან დამოუკიდებლად, რამდენადაც იგი უმაღლესია საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში.

სახელმწიფო ხელისუფლება ერთიანი და განუყოფლია, ამასთანავე ფუნქციონალური დანიშნულების შესაბამისად დანანილებულია სამ განშტოებად: საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად.

ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების სამ განშტოებად დაყოფის იდეა ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში წარმოიშვა და მომდევნო საუკუნეებში განვითარდა. იგი ბურჯუაზიული კონსტიტუციონალიზმის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად იქცა. თითქმის დასრულებული სახით ხელისუფლების დანანილების დოქტრინა ჩამოყალიბდა XVII-XVIII საუკუნეების დიდი განმანათლებლების ჯონ ლოკისა და შარლ ლუ მოტესკიეს ნანარმოებებში.<sup>1</sup>

ხელისუფლების დანანილების მოძღვრების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულია ფრანგი ფილოსოფის-განმანათლებლის შარლ-ლუ მონტესკიეს შემოქმედება. მონტესკიეს მიხედვით, პოლიტიკურ ხელისუფლებას განაპირობებს მხოლოდ ხელისუფლების გონივრული დანანილება – საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად. მართალია, მონტესკიე ხელისუფლების ერთმანეთისაგან გამიჯვნაზე ამახვილებს ყურადღებას, მაგრამ იმავდროულად მიაჩნია, რომ სამივე მათგანი აღჭურვილი უნდა იყოს ურთიერთკონტროლისა და ურთიერთბოჭვის შესაძლებლობით.

ხელისუფლების სისტემის თეორიულად სასურველი მდგრმარეობა ხელისუფლების ჰარმონია, სახელმწიფო ხელისუფლების გონივრული ფლობაა, რაც ხელისუფლების რაციონალურმა დანანილებამ უნდა უზრუნველყოს. ამ პრინციპებზე შექმნილი ორგინალური მოდელი პირველად მე-XVIII საუკუნეში გაჩნდა,<sup>2</sup> ხოლო კლასიკური სახე ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციაში, სასამართლო პრაქტიკასა და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში შეიძინა.

სახელმწიფო ხელისუფლების თითოეული განშტოება თვალყურს უნდა ადევნებდეს როგორ იცავს დანარჩენი ორი ადამიანის უფლებებს და სახელმწიფო ორგანოების ფუნქციონირებას, რაც აუცილებელია პოლიტიკური თავისუფლებისა და ხელისუფლების ბორიტად გამოყენების ასაცილებლად.

„სხვაგვარად აზრი ეკარგება ისეთი სოციალური ინსტიტუტის შენარჩუნებას, როგორიც სახელმწიფოა. საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება თავიანთი უამრავი ატრიბუტით — კონკურენცია, ურთიერთკონტროლი და ურთიერთბეზღუდვა საჭიროა იმისთვის, რომ არ მოხდეს მორიგება ერის ინტერესების საზიანოდ“.<sup>3</sup>

სახელმწიფო ხელისუფლების დანანილების კონცეფცია განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციაში, რომელიც ადგენს, რომ „საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი... სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანანილების პრინციპზე დაყრდნობით“. (მუხლი 5)

სახელმწიფო ხელისუფლების სამართლებრივი დანანილება დამოუკიდებელ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად სახელმწიფოებრივი ბუნებიდან გამომდინარეობს. სწორედ ხელისუფლების ეს სამი განშტოება ამონურავენ სახელმწიფოს დანიშნულებას - უზრუნველყოს თავისუფლების, უშიშროების, საკუთრების საჯარო-სახელისუფლო დაცვა.

ხელისუფლების დანანილების დოქტრინის თანახმად საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება უნდა მოქმედებდნენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში და უფლება არა აქვთ ჩაერიონ ერთმანეთის საქმიანობაში. ამასთანავე ამ ორგანოთა კომპეტენცია ისეთია, რომ მათ არ შეუძლიათ იმოქმედონ იზოლირებულად. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება მისი სამივე შტოს ერთობლიობით: საკანონმდებლო ხელისუფლება ვერ მოიტანს სასურველ შედეგს აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების განხორციელების გარეშე. მართლმასჯულების განხორციელება შეუძლებელია საკანონმდებლო ხელისუფლების გარეშე.

ხელისუფლების დანანილების პრინციპის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს 1789 წლის ადამიანის და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია, რომელიც აღიარებს, რომ „საზოგადოებას, სადაც არ არის უზრუნველყოფილი უფლებათა გარანტია და არ არის ხელისუფლების დანანილება, არა აქვა კონსტიტუცია“.

სახელმწიფო ხელისუფლების დანანილების პრინციპის ზოგადი დახასიათებაც კი ნათელყოფს მის სამართლებრივ ბუნებას და არს. ხელისუფლების დანანილების მეცნიერულად დასაბუთებულ და პრაქტიკით განმტკიცებულ დოქტრინაში ერთგვარი დისონანსი შეიტანა „მეოთხე ხელისუფლების“ კონცეფციამ, რომელმაც უგვლებელყო ხელისუფლების დანანილების კლასიკური მოდელი. აღნიშნული კონცეფცია ცდილობს დაასაბუთოს, რომ საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ წარმოიშვა და დამკიდრდა „მეოთხე ხელისუფლება“, რომელსაც ხელისუფლების სამ განშტოებასთან ერთად აქვს არსებობის რეალური საფუძველი. ეს არის ბეჭდვითი და ელექტრონული მედია.

მედიის მიწნევა „მეოთხე ხელისუფლებად“ გულისხმობს მის გათანაბრებას სახელმწიფო ხელისუფლების სამ განშტოებასთან. ეს რეალობაა თუ შეცდომა?

<sup>1</sup> დიდ ბრიტანეთში მეფისადმი ტრადიციულად დიდი პატივის გამო სახელმწიფო განშტოებასაც თავისებური სახელწოდებები აქვს: King in Brench (მეფე სასამრთლოში, სასამართლო ხელისუფლება), King in Courcech (მეფე საბჭოში — აღმასრულებელი ხელისუფლება), King in Parliament (მეფე პარლამენტში — საკანონმდებლო ხელისუფლება)

<sup>2</sup> S.I.monteskie, kanonTa goni (frangulad 'De L'esprit des lois'), Tb. 1994, gv. 182

<sup>3</sup> ს.ჯორგენაძე, რ.კნიპერი, ლ.ჭანტურია - სამართლის რეფორმა საქართველოში, თბ. 1994, გვ.32



ჩემი აზრით ეს შეცდომაა, რადგან ასეთ კონცეფციას არ აქვს არც თეორიული და არც პრაქტიკული საფუძველი. მედია არ არის და არც შეიძლება იყოს „მეოთხე ხელისუფლება“, სახელმწიფო ხელისუფლების მეოთხე განშტრება.

მართალია, მედია ყოველთვის გამოიყენებოდა და გამოიყენება პოლიტიკური ხელისუფლების მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად, მაგრამ მას არ გააჩნია არცერთი თვისება, რაც დამახასიათებელია სახელმწიფო ხელისუფლებისათვის. სადაც არ არის ის ფაქტი, რომ მასმედია ახორციელებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ პროცესებზე სამოქალაქო კონტროლს, თუმცა ასეთ კონტროლს არცერთ შემთხვევაში არა აქვს სავალდებულო ძალა. მედიის მიერ ამა თუ იმ ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, უურნალისტური პუბლიკაციები თუ ტელეგადაცემები უპირატესად პროპაგანდისტული ხასიათისაა, სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობა კი იმპერატიული და სავალდებულოა. საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების ყველა გადაწყვეტილება სავალდებულო ძალისაა, რომელთა განხორციელებისთვის სახელმწიფოს გააჩნია სამართლებრივ საშუალებათა ფართო სპექტრი. მედია მასალას, რა ფორმითაც არ უნდა იყოს იგი დაფიქსირებული არც ერთ შემთხვევაში არ ჰქონია და არ აქვს ფიზიკური თუ იურიდიული პირებისათვის სავალდებულო მნიშვნელობა.

არც ერთ ქვეყანაში მედია არასოდეს არ ყოფილა და არც არის პოლიტიკური სუბიექტი, ხელისუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების უშუალო მონაწილე, მაგალითად ისეთი, როგორიცაა პოლიტიკური პარტია. თუ მასმედიას მივიჩნევთ „მეოთხე ხელისუფლებად“ გარდაუვალი გახდენა ბრძოლა მასზე ზეგავლენისათვის მათივე მეშვეობით.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების თითოეულ განშტოობას აქვს შესაბამისი სახელწოდება - საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება, რაც შეეხება ე.წ., მეოთხე ხელისუფლებას“ მას არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ანალოგიური სახელწოდება.

არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებასაც, რომ სახელმწიფო ხელისუფლება არ შეიძლება იყოს თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის ობიექტი ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. კაცობრიობის ისტორია არ იცნობს საკანონმდებლო, აღმასრულებელი თუ სასამართლო ორგანოების თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის არც ერთ შემთხვევას. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ყიდვა-გაყიდვამ, რაც ასე აშკარად და ხშირად ხდება თანამედროვე პერიოდში, დაამსხვრია მითი „მეოთხე ხელისუფლების“ შესახებ.<sup>1</sup>

ამ პროცესს დასაბამი მიეცა აშშ-ში, როდესაც პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა მიიღო გადაწყვეტილება მასმედიას ყიდვა-გაყიდვის ლიბერალიზაციის შესახებ. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე დაიწყო ტელეარხების გაყიდვის „აუქციონები“. უმსხვილეს კორპორაციებს მიეცათ თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა საგაზეთო ქსელების, საკაბელო ტელევიზიების, რადიოსიხშირების შეძენის საქმეში, რის შედეგადაც რადიოსადგურებისა და ტელევიზიების უმეტესი ნანილი ერთი მუჭა მედიამაგნატების ხელში აღმოჩნდა, რომლებიც თვითონ წყვეტინ, რას უნდა უცქიროს, მოუსმინოს და რა უნდა იცოდეს საზოგადოებამ. ანალოგიური პროცესი მიმდინარეობს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში.

საქართველოში ყიდვა-გაყიდვის ობიექტი გახდა სატელევიზიო ანძაც.

„მეოთხე ხელისუფლების“ სტატუსის ფონზე გაჩნდა მასმედიას მიდრეების პირად ჩაერთოს სახელმწიფო სახელისუფლო ფუნქციებში, არამარტო შედასახელმწიფოებრივ პროცესებში, არამედ საგარეო პოლიტიკურ მოვლენებში. ზოგიერთ კრიზისულ სიტუაციაში მასმედია შეუძლია იცოდეს უფრო მეტი, ვიდრე მთავრობამ და საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაციული ნაკადი. უურნალისტიკა არ ქმნის პოლიტიკას, მაგრამ შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს მასზე. საინფორმაციო ინსტიტუტების მეშვეობით მიმდინარეობს ბრძოლა პოლიტიკური ხელისუფლებისათვის. საარჩევნო კამპანიის დროს ნონადი ხდება მასმედიას აზრი საზოგადოებაში, იქმნება სამკუთხედი: მთავრობა - მასმედია - საზოგადოება.

მასმედია აქტიურად ერევა სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაში. უურნალისტების მიერ სასამართლო საქმეების გაცნობა, სასამართლო პროცესის გაშუქება სპეციფიკურია იმ თვალსაზრისით, რომ არ დაირღვეს ისეთი კონსტიტუციური პრინციპები, როგორიცაა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა, სამართლის უზენაესობა და კანონის წინაშე ყველას თანასწორობა, სამართალისამოების დემოკრატიულობა და საჯაროობა, უდანაშაულობის პრეზუმეცია, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

მართლმსაჯულების ფუნდამენტურ პრინციპის წარმოადგენს ის, რომ „არავის არა აქვს უფლება ჩაერიოს მართლმსაჯულების განხორციელებაში და ზეგავლენა მოახდინოს მოსამართლეზე ან მსაჯულზე“. ეს არამარტო ფუნდამენტური, არამედ იმპერატიული პრინციპიცაა, რომლის დარღვევა არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება.

ჩაითვლება თუ არა ამ პრინციპის დარღვევად ე.წ. „უურნალისტური გამოძიება“, რომელსაც უურნალისტები წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვისაგან დამოუკიდებლად ანარმოებენ? სწორია თუ არა ფრაზა „უურნალისტური გამოძიება“, რომელიც დამკვიდრდა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და მაუნცებლობის საშუალებებში? რა თქმა უნდა - არა. „გამოძიება“ სპეციალური იურიდიულ-პროცესუალური ტერმინია და ამ საქმეს ანარმოებს სამისო კომპეტიციით აღჭურვილი პირი, რომელსაც სათანა-

<sup>1</sup> დჟ. კივა, «Миф о четвёртом власти», «Литературная Газета», 2003. #17

<sup>2</sup> 2011 წლის 1 აგვისტოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 275 მეტრიანი თბილისის სატელევიზიო ანძა აუქციონზე 110 000 ლარად 4 წლიანი მართვის უფლებით „გოლდენ კომს“ გადასცა, რომელმაც 4 წლის განმავლობაში 12 მილიონი დოლარის ინვესტიცია უნდა განახორციელოს



დღ სამართლებრივი ცოდნა და კვალიფიკაცია აქვს. წინასწარი გამოძიების შედეგი მართლმსაჯულების სწორად განხორციელების აუცილებელი პირობაა. მას ისეთივე სავალდებულო ძალა აქვს, როგორც სასამართლოს განაჩენსა და გადაწყვეტილებას, უურნალისტურ გამოძიებას კი არავითარი იურიდიული ძალა არ გააჩნია და ის არც მტკიცების საშუალებას არ წარმოადგენს.

უურნალისტიკა თავისუფალი პროფესია და ყველა უურნალისტი ისევე როგორც ყველა მოქალაქეს უფლება აქვს მოიძიოს და გაანალიზოს ამა თუ იმ საქმის ირგვლივ არსებული ობიექტური გარემოებანი. მაგრამ ეს იქნება არა გამოძიება (იურიდიულ-პროცესუალური პროცედურა), არამედ გამოკვლევა, რომელსაც არავისთვის და არავითარი სავალდებულო ძალა არ აქვს.

ამჟამად, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად მონაცილეობენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც პრობლემურ საკითხებზე ანარმოებენ გამოკვლევებს. ხშირად მათ დასკვნებსა და არგუმენტებს დიდი მნიშვნელობა აქვთ, თუმცა თავიანთ საქმიანობას არ მიიჩნევენ გამოძიებად. სიტყვაუსი ქართული ენა იძლევა იმის საშუალებას, რომ მოვლენებს შესატყვისი სახელი დაერქვას. კერძოდ, საგამოძიებო ორგანიზაციების საქმიანობას - „გამოძიება“, მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიონობას - „გამოკვლევა“.

ზოგიერთი მკვლევარი უურნალისტურ გამოძიებას ორიგინალურს უწოდებს. „ორიგინალური უურნალისტური გამოძიება გულისხმობს რეპორტიორებს, რომლებიც თავად იძიებენ, ააშკარავებენ ისეთ ქმედებებს, რომლებიც მანამდე უცნობი იყო საზოგადოებისათვის“.<sup>1</sup>

ასეთი მოსაზრების მომხრეებს ავინუდებათ რომ რაც არ უნდა ორიგინალური იყოს რეპორტიორების მიერ ჩატარებული სამუშაო, ის არ შეიძლება ჩაითვალოს გამოძიებად, ვინაიდან კანონით მათ არ აქვთ ამის უფლება. ეს არის უურნალისტური გამოკვლევა, რომლის მნიშვნელობა ხშირ შემთხვევაში ფას-დაუდებელია რამდენადაც ბევრი უარყოფითი მოვლენა და დარღვევა გამოუვლინებია.

უურნალისტებისა და იურისტების ერთობლივი თანამრთმლობა მართლმსაჯულების განხორციელების სფეროში ეფექტური და შედეგიანია, თუმცა მათი პროფესიული კომპეტენციის უგულვებელყოფა და ერთმანეთში აღრევა, არამართლზომიერია. გამოძიება და დამნაშავის დასჯა სახელმწიფოს სამართლდამცავი ორგანოების კომპეტენციაა და არა მასმედიის.

სად არის ზღვარი პროფესიონალი იურისტისა და უურნალისტის საქმიანობას შორის? რა მოსდევს მათი ფუნქციების აღრევას - სიკეთე თუ ზიანი? როცა უურნალისტი ტელეკრანიდან ან პრესის ფურცლებზე წინასწარ, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე აცხადებს პირს დამაშავედ, ირლვევა კონსტიტუციური ნორმა უდანაშაულობის პრეზუმაციის შესახებ და შესაბამისად ირლვევა ადამიანის უფლებებიც.

უურნალისტებს ბევრჯერ ფასდაუდებელი სამსახური გაუწევიათ მართლმსაჯულებისათვის, თუმცა მომხდარა პირიქითაც: სიტყვის თავისუფლების პრინციპის უპასუხისმგებლოდ გამოყენებას მნიშვნელოვანი ზიანი მოუტანია როგორც სახელმწიფოს, ასევე ცალკეული მოქალაქეებისათვის.

უურნალისტური გამოკვლევების აუცილებლობა, არგუმენტირებული და ობიექტური კრიტიკა სასამართლო ორგანოების მიმართ არაერთხელ გამსდარა სასამართლო შეცდომების საფუძველი. სოციალური პრაქტიკა მრავალ ასეთ მაგალითს იცნობს. მსოფლიოში გახმაურებულია ფაქტი არნახული უსამართლოს შესახებ: გაერთიანებულ სამეფოში მოქალაქეს გამოუტანეს განაჩენი მკვლელობისათვის, რომელიც მას არ ჩაუდენია. მსჯავრდებულმა 27 წელი დაპყო ციხეში. განაჩენი გადაისინჯა მხოლოდ 2002 წლის მარტში ადგილობრივი გაზეთის რედაქტორის მიერ წარმოებული დაუღალავი მცდელობის შედეგად.<sup>2</sup>

შეცდომების ძიება და მასზე რეაგირება სიფხოზელს მატებს და სტიმულს აძლევს უურნალისტს განხორციელოს საჯარო ზედამხედველობა საზოგადოებრივი ინტერესებისათვის. უურნალისტის მოვალეობაა თავის პუბლიკაციებში მინიმუმადე შეამციროს შეცდომების დაშვების შესაძლებლობა, ობიექტური და კომპეტენტური ინფორმაცია სასამართლოს საქმიანობის შესახებ სამედიდ წყაროს უნდა ეყრდნობოდეს.

იურიდიული რეალობა უაღრესად სფერიფიკურია. ამიტომ უურნალისტს, რომლებიც აღნიშნულ სფეროს აშუქებს, უნდა ჰქონდეთ სათანადო სამართლებრივი ცოდნა და სამართლებრივი კულტურა.

მასმედიის არ საჭიროებს ხელოვნურ განდიდებას. მას ისედაც დიდი როლი აკისრია საზოგადოების დემოკრატიზაციის, მისი ჰარმონიული განვითარების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საქმეში. თუ მისი ესოდენ დიდი როლის გამო მასმედიის უნდა მიენიჭოს ხელისუფლების სტატუსი, ეს იქნება არა სახელმწიფო ხელისუფლების განშტოება, ე.წ. „მეოთხე ხელისუფლება“, არამედ სოციალური ხელისუფლების სახესხვაობა.

<sup>1</sup> ბილ კოვაჩი, ტომ როზენსტილი, „უურნალისტიკის ელემენტები“, თბ. 2006, გვ.29

<sup>2</sup> თ. ალფაიძე, მედია სამართალი, თბ. 2008. გვ.85



## თამარ ალფაიძე

### მასმედია და სახელმწიფო ხელისუფლება

#### რეზიუმე

საზოგადოებაში მასმედიის განსაკუთრებული როლის გამო, მეცნიერ-მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ იგი არის “მეოთხე ხელისუფლება”, სახელმწიფო ხელისუფლების მეოთხე განშტოება, რაც ჩემი აზრით არ ასახავს რეალობას. სახელმწიფო ხელისუფლება წმინდა პოლიტიკური მოვლენაა, რომელიც ხელისუფლების განაწილების კლასიკური მოდელის შესაბამისად განიყოფება სამ განშტოებად: საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად. მასმედია ვერ ჩაითვლება სახელმწიფო ხელისუფლების მეოთხე განშტოებად, ვინაიდან იგი არ არის პოლიტიკური სუბიექტი, ხელისუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების უშუალო მონაბილე. მედიის მიერ ამა თუ იმ ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, უურნალისტური პუბლიკაციები და ტელეგადაცემები უპირატესად პროპაგანდისტული ხასიათისაა, მაშინ როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობა იმპერატიულია და მისი ორგანოების ყველა გადაწყვეტილებას სავალდებულო ძალა აქვს. არსებითი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ სახელმწიფო ხელისუფლება არ შეიძლება იყოს თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის ობიექტი. მასმედიის საშუალებების ყიდვა-გაყიდვამ, რამაც მასობრივი ხასიათი მიიღო დაადასტურა, რომ იგი არ არის და არც შეიძლება იყოს სახელმწიფო ხელისუფლების “მეოთხე განშტოება”. თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მასმედიის დიდი როლის გამო აუცილებელია მას მიენიჭოს ხელისუფლების სტატუსი, ეს იქნება სოციალური ხელისუფლების სახესხვაობა და არა სახელმწიფო ხელისუფლების მეოთხე განშტოება.

**Tamar Alpaidze**

#### MASS MEDIA AND STATE GOVERNMENT

#### Summary

Due to special role of Mass media in the society, many academics and researchers believe that by nature it is the "Fourth Branch of Government" which in my opinion does not reflect current reality. State governance is a purely political phenomenon, which in accordance with the classical model of power distribution is divided into three respective branches: Executive, legislative and judicial. The media cannot be considered as a fourth branch of the state government, since it is not a political unit and lacks relevant authority. Information distributed by the media like journalistic publications and TV programs are mainly propaganda by its nature, while state government and all its agencies have the power to take binding decisions. It is essential that the state government may not be subject to regular market transactions, while it is widely accepted that mass media can be bought/sold, therefore it cannot be considered as "fourth branch of government". If a significant role in the social life requires media to be given the status of the governmental authority, it will be a variety of social governance and not the classic fourth branch of state government.



## 3 ეტაპი პრეზული

### საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ფალკული ნორმები საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამოა

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სისხლის სამართლის პროცესი, რომელიც სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის ნაწილს წარმოადგენს, ზოგად და ძირითად მიზნად ისახავს დაიცვას სახელმწიფოს ინტერესები და მის მიერ დადგენილი მართლწესრიგი. გარდა ამისა, სისხლის სამართლის პროცესს აქვს თავისი საკუთარი ვიწრო და უშუალო საპროცესო მიზანი: დაადგინოს სისხლის სამართლის საქმის ყველა ფაქტიური გარემოება, ხელი შეუწყოს დანაშაულის გახსნას და ამხილოს და დასაჯოს დამნაშავე. ამ მიზნებიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის პროცესი არის პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მუარი გარანტი, რის გამოც ახალი საპროცესო კანონმდებლობის მიღებას, თუ მასში ცვლილების შეტანას ყოველთვის განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვცეყრათ.

2010 წლის 1 ოქტომბერს ამოქმედებული სისხლის სამართლის პროცესი, რომ ხარვეზებით იყო მიღებული და ის რომ ვერ იქნებოდა პირთა უფლებების დაცვის გარანტი, იმთავითვე იყო ცნობილი და ამის შესახებ არაერთმა მეცნიერმა თუ პრაქტიკოსმა მუშავია გამოთქვა თავისი მოსაზრება, მაგრამ საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკამ, სამწუხაოდ, კიდევ მეტად წარმოაჩინა მისი უარყოფითი მხარეები.

ჩვენ არ დავიწყებთ თითოეული ნორმის დახსასიათებას, რამეთუ ეს სტატიის ფორმატიდან გამომდინარე შეუძლებელიც არის, მაგრამ გვერდს ვერ ავულით იმ დებულებებს, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციასთან არ არიან შესაბამისობაში და რომლებიც პირთა უფლებების მასობრივ დარღვევას ინვევნ.

ახალმა კოდექსმა ტერმინი „ეჭვმიტანილი“ ჩაანაცვლა სიტყვით „ბრალდებული“ და ეჭვმიტანილის უფლებამოსილებები ბრალდებულზე გადაანაწილა. შესაბამისად დარეგულირდა ბრალდებულის სტატუსი, რომელიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად, განმარტებულია როგორც პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული. პირი ბრალდებულად ითვლება მისი დაკავებისთანავე ან თუ არ დაუკავებიათ, ბრალდებულად ცნობისთანავე. კანონმა დააზუსტა, რა ვადის განმავლობაში შეიღება იყოს პირი ბრალდებულად ცნობილი და რა ვადის განმავლობაში შეიძლება მიმდინარეობდეს მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა (სსსსკ-ის 169-ე მუხლის მერვე ნაწილი). მითოთებული ნორმიდან გამომდინარე დანაშაულის ერთი შემთხვევის გამო, წინა სასამართლოს სხდომის დაწყებამდე, პირი ბრალდებულად შეიძლება ცნობილი იყოს არაუმტეს 9 თვესა, თუ ამ ვადის გასვლამდე მისთვის დანაშაულის სხვა შემთხვევის გამო არ წაუყენებიათ ახალი ბრალი. ასეთი ბრალის წაყენებისას აღნიშული ვადის დინება წყდება და ვადა აითვლება ახალი ბრალის წაყენების დღიდან. შესაბამისად, პროკურორი შეამდგომლობით მიმართავს სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე და პატიმრობის და ბრალდებულად ყოფინის ვადის ათვლაც თავიდან იწყება. მსგავსი პრაქტიკა დამკვიდრდა ყოფილი სახელმწიფო ჩინოვნიკების და სხვა თანამდებობის პირთა საქმეებზე და მას საზოგადოებაში ფართო რეზონანსი აქვს. ასეთ პირობებში გასარკვევია, რამდენად კანონიერი და დასაბუთებულია გადაწყვეტილება, რომლითაც პატიმრობის ვადის ათვლა იწყება თავიდან და ქმნის თუ არა მსგავსი პრაქტიკის დამკვიდრება საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დარღვევის საშიშროებას?

ჩვენი აზრით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მეორე ნაწილისა და საქართველოს კონსტიტუციის ზემოთ ხსნებული მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან. წინასწარი პატიმრობის ვადაში ითვლება პატიმრობაში ყოფნის დრო, დაკავებიდან განაჩენის გამოტანამდე. ე.ი. ბრალდებულის მიმართ, რომელსაც დააკავებენ და აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდებენ წინასწარი პატიმრობას, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი უნდა დადგეს არაუგვიანეს 9-თვესა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ითვლება წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირად. ასეთ პირზე ვრცელდება ის რეჟიმი, რომლის თაობაზე კონსტიტუციის მე-18 მუხლშია მითითებული, კერძოდ, იგი უნდა ჩაითვალოს უკანონო პატიმრად და გათავისუფლდეს პატიმრობიდან. ახალი ბრალის წაყენებისა და პატიმრობის ახალი ვადის დაწყების მოტივით, წინასწარ პატიმრობაში 9 თვეზე მეტი ვადით მრავალმა პირმა რომ დაპყო - ცხადზე ცხადია და არ შეიძლება სადავო გახდეს. მაშასადამე ყველა პირი, რომლის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი არ იქნა გამოტანილი დაკავებიდან 9 თვის განმავლობაში, უკანონო პატიმრად უნდა ჩაითვალოს. აქვე მეტი სიცხადისათვის დავძენთ, რომ ბრალდებულად ყოფინის ვადაზე ეს რეჟიმი არ ვრცელდება და ბრალდებულად პირი შეიძლება მართლაც იყოს 9 თვეზე მეტი (ცხადია თუ ახალი ბრალი წაუყენეს), მაგრამ ბრალდებულის პატიმრობაში ყოფინის შემთხვევაში, კონსტიტუციური ნორმიდან გამომდინარე, წინასწარ პატიმრობაში ყოფნის ვადა არ შეიძლება გაგრძელდეს 9 თვეზე მეტი. მიგვაჩნია, რომ ასეთ პირობებში ბრალდებულს შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება-პატიმრობა უნდა შეეცვალოს სხვა უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებით და გამოძიება და სასამართლოს სხდომები გაგრძელდეს ჩვეულებრივი რეჟიმით. იმ შემთხვევაში თუ პირის პატიმრობაში ყოფნა აუცილებლობას წარმოადგენს, შესაძლებელია გამოსავალი მოთხოვნის იმ მიმართებით, რომ ბრალდებული 9 თვის ვადაში გასამართლდეს ერთ რომელიმე ეპიზოდში, რის შემდეგ გამოყენებული იქნეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევის საშიშროებას?



საბამისად მსჯავრდებული პირი პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან შეიძლება გადაიყვანონ საგამოძიებო იზოლატორში ან დატოვონ საგამოძიებო იზოლატორში, თუ ის არის ბრალდებული სხვა საქმეში. ამით თავიდან იქნება აცილებული კანონდარღვევა და უკანონო პატიმრობაც, რადგან ამ შემთხვევაში საპატიმრო ვადის რეგლამენტით საგამოძიებო და სასამართლო ორგანო შეზღუდული არ იქნება.

მოკლედ შევეხოთ იმ ტენდენციის მიზანშეწონილობას, როცა ყველა ახალ ბრალზე თავიდან ხდება სასამართლოში პირველი წარდგენა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენება. ასეთი პრაქტიკის მხარდამჭერები მსგავს პროცედურას იმით ხსნიან, რომ წაყენებული ბრალის დაუდასტურებლობის შემთხვევაში ბრალდებული პატიმრობიდან უნდა გათავისუფლდეს, მიუხდავად იმისა, რომ ამ პირს შეიძლება სხვა არაერთი და უფრო მძიმე ბრალიც ქონდეს წაყენებული.

ჯერ ერთი, გაუგებარია, რატომ უნდა გათავისუფლდეს პირი პატიმრობიდან, თუ მას მართლაც არ დაუმტკიცდა პირველადი ბრალი, მაგრამ წაეყენა სხვა ახალი და უფრო მძიმე ან თუნდაც ნაკლებად მძიმე ბრალი? ანდა რა პრინციპით უნდა შეირჩეს ახალი აღკვეთის ღონისძიება? იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულს უკვე აქვს შეფარდებული ყველაზე მეცრი აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა? ვთქვათ კონკრეტული დანაშაულის ჩადენისათვის პირს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა წინასწარი პატიმრობა. შემდეგ ამ ბრალდებულს წაეყენა ახალი ბრალი, რისთვისაც დამკვიდრებული პრაქტიკით ახალი აღკვეთის ღონისძიება უნდა შეეფარდოს, მაგრამ როგორ უნდა დაასაბუთოს მოსამართლემ ახალი აღკვეთის ღონისძიება? ვთქვათ მოსამართლემ არ გაიზიარა შუამდგომლობა დაპატიმრების თაობაზე და შეუფარდა გირაო, მაგრამ რომელი ჭკუათმყოფელი გადაიხდის გირაოს ამ თანხას? გადაუხდელობის შემთხვევაში გირაო შეიცვლება პატიმრობით, მაგრამ ეს პირი პატიმრობაში ხომ ისედაც იმყოფება? ან როგორ დაასაბუთებს მოსამართლე დაპატიმრებას და ხომ ვერ მიუთითებს, რომ პატიმრობაში მყოფი ბრალდებული მიიმაღება ან გაანადგურებს მტკიცებულებებს. მიღვიმა აქ ხომ მხოლოდ ფორმალური იქნება. ანდა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რამდენად სწორია იმის დაასაბუთება, რომ პირს, რომელსაც წაეყენა 5 ახალი ბრალი, ხუთჯერ შეეფარდოს დაპატიმრება? და 5-ჯერ ეწოდოს ამას სასამართლოში პირველი წარდგენა?

ჩვენ ვთვლით, რომ აღკვეთის ღონისძიება ბრალდებულს უნდა შეეფარდოს მხოლოდ ერთხელ და მის შეცვლაზე უნდა ვიმსჯელოთ მხარეთა შუამდგომლობის შესაბამისად კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, იმისდა მიხედვით, თუ რა სახის შუამდგომლობა იქნება დაყენებული, აღკვეთის ღონისძიების შემსუბუქების, თუ უფრო მეცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თვალსაზრისით.

კიდევ ერთი ნორმა, რომელსაც საქართველოს კონსტიტუციის მე-5 თავთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“, ორგანული კანონის პირველი მუხლის I და II ნაწილებთან და თვით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის პირველ ნაწილთან შეუსაბამოა საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლის I და II ნაწილები და 285-ე მუხლის III და IV ნაწილები, რომელთა შესაბამისად საქართველოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს შეუძლია მსჯავრდებულს მისი ყოფაქცევის გათვალისწინებით შეუცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი უფრო მსუბუქი სახის სასჯელით და მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს დამატებითი სასჯელის მოხდისაგან. ასევე სასჯელის მოხდისაგან გაათავისუფლოს მძიმე ავადმყოფი და ხანდაზმულობის ასაკს მიღწეული პირი. ამ ორგანოს ასეთი მოქმედება, სხვა არაფერია, თუ არა მართლმსაჯულების განხორციელება, რადგან სასჯელის დანიშვნა და მისი შეცვლა მართლმსაჯულების განხორციელების ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, ხოლო საქართველოს კონსტიტუციის და საქართველოს კანონების ზემოთხსენებული ნორმების მიხედვით, მართლმსაჯულებას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები. კომისიებს ფაქტობრივად ცვლილება შეაქვთ სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში (განაჩენებში), მაშინ როცა საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის V პუნქტის და „საერთო სასამართლოების შესახებ“, ორგანული კანონის მე-4 მუხლის II ნაწილში ხაზგასმით არის მითითებული, რომ სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა და შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით.

მოქმედი კოდექსის თავდაპირველი ვარიანტი საბჭოს უფლებას ანიჭებდა სასჯელის შეცვლის (შემსუბუქების) მიზნით შუამდგომლობით მიემართა სასამართლოსათვის, რაც ცხადია სავსებით კანონიერი იყო. მაგრამ 2010 წლის 24 სექტემბერს განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. მივიღეთ თვითნებობის ტიპიური გამოვლინება, რომლის ინიციატორები, ისევე როგორც სხვა ბევრ შემთხვევაში, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები და პირადად იუსტიციის მინისტრი იყო.

ახალი კანონმდებლობის და მათ შორის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღება, მიზნად ისახავს სამართალნარმოების სრულყოფას, სწრაფი და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების შესაძლებლობას. რა მდგომარეობაა ამ მხრივ 2009 წლის 09 ოქტომბერს მიღებულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან მიმართებით? შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ეს პროცესი არ შეესაბამება არსებულ რეალობას და ვერ აკმაყოფილებს დადგენილი სტანდარტების მინიმუმსაც კი. პროცედურები, რომელიც უნდა დაიცვან სამართალდამცავმა ორგანოებმა საქმის გამოიძიების თუ სასამართლო განხილვის დროს იმდენად განველილია დროსა და სივრცეში, რომ ამის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. აღნიშნული განსაკუთრებით ხელშესახებია თუ საქმე ეხება ბრალდებულის მიმართ მრავალ ეპიზოდიანი საქმის გამოძიებას და მის სასამართლო განხილვას. აღნიშნულის საილუსტრაციო მოვიყვანთ ასეთ მაგალითს - დავუშვათ პირს ბრალი აქვს წაყენებული 4 ეპიზოდში და თითოეული ბრალდება მას წარედგინა როგორც ახალი ბრალდება. ასეთ პირობებში პროცედურის მიერ 4-ჯერ უნდა



მოხდეს მისი პირველი წარდგენა სასამართლოში, საქმე 4-ჯერ უნდა იქნეს განხილული წინა სასამართლო სხდომაზე, 4-ჯერ მთავარ სხდომაზე და ამდენჯერვე - საქმის საპელაციო და საკასაციო ინსტანციებში. ამასთან შეიძლება ისიც მოხდეს, და ხდება კიდეც, რომ ერთ ეპიზოდს სასამართლო იხილავს წინა სასამართლო სხდომაზე, მეორეს მთავარ სხდომაზე, მესამეს საპელაციო სასამართლოს სხდომაზე და ა.შ. აქ ისეთი ქაოსი და გაუგებრობა იქმნება, რომ ბრალდებულს კი არა, პროფესიონალებსაც უჭირთ ყველა ნიუანსში გარკვევა. კიდევ უფრო ართულებს ვითარებას ისეთი შემთხვევა, როცა ახალი ბრალდების წარმატება და სასამართლოში პირველი წარდგენა, ასევე საქმის სასამართლო განხილვა ხდება ტერიტორიულად სხვადასხვა ადგილას, მაგალითად ბათუმში, ქუთაისისა და თბილისში. ასეთ პირობებში ბრალდებულ ჟატიმარს ბადრაგი დაატარებს ერთი ქალაქიდან მეორეში, მეორედან მესამეში და საქმეთა განხილვაც დაუსრულებელ სახეს იღებს. ცხადია, რომ ასეთ შემთხვევაში სწრაფი და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებაზე საუბარიც კი ზედმეტია. ჩვენთვის გაუგებარია მსგავსი ქაოსის თავიდან ასაცილებლად რატომ არ შუამდგომლობენ პროკურორები სასამართლოს წინაშე ამ საქმეთა გაერთიანების შესახებ, როგორც ამას საპროცესო კოდექსის 109-ე მუხლი მოითხოვს და რატომ ანუყობთ მათ ერთი და იგივე ბრალდებულის სხვადასხვა სასამართლოში ან თუნდაც ერთ სასამართლოში, მაგრამ სხვადასხვა მოსამართლესთან გაუთავებლად ტარება? ჩვენი აზრით, ეს იმიტომ ხდება, რომ ხსენებული 109-ე მუხლი იმპერატიულად არ მოითხოვს ერთი პირის მიმართ არსებული სხვადასხვა საქმეების ერთ წარმოებად გაერთიანებას და ბრალდების მხარეს საშუალებას აძლევს თავისი შეხედულებით გადაწყვიტოს ეს საკითხი. თავის მხრივ, სასამართლოს, თავისი ინიციატივით საქმეთა გაერთიანების უფლება არა აქვს, თუ არ იქნა მხარის შუამდგომლობა. ამ შემთხვევაში საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაცია და არსებული პრობლემის უმოკლეს ვადაში გადაწყვეტა.

ჩვენი მოსაზრება მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნაკლოვან მხარეებზე წარსულშიც გამოგვითქვამს და მომავალშიც გავაგრძელებთ მასზე საუბარს, მაგრამ მიგვაჩინა, რომ ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ უნდა დაინყოს ქვეყანაში ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც მორგებული არ იქნება ერთი რომელიმე პარტიის ინტერესებზე და რომელიც შექმნის ადამიანის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მყარ გარანტიას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ. 2012წ.
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ. 2012წ.
3. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), თბ. 2013წ.
4. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი), თბ. 2013წ.

### ვენედი ბენიძე

**საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკეული ნორმები  
საქართველოს კონსტიტუციასთან შეუსაბამოა**

### რეზიუმე

სისხლის სამართლის პროცესი, რომელიც სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის ნაწილს წარმოადგენს, ძირითად მიზნად ისახავს დაიცვას სახელმწიფოს ინტერესები და მის მიერ დადგენილი მართლენერიგი. ასევე, დაადგინოს სისხლის სამართლის საქმის ყველა ფაქტიური გარემოება, ხელი შეუწყოს დანაშაულის გახსნას და ამხილოს და დასაჯოს დამნაშავე. ამ მიზნებიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის პროცესი არის პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მყარი გარანტი, რის გამოც ახალი საპროცესო კანონმდებლობის მიღებას, თუ მასში ცვლილებების შეტანას ყოველთვის განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეპრათ.

ახალი კანონმდებლობის და მათ შორის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღება, მიზნად ისახავს სამართალწარმოების სრულყოფას, სწრაფი და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების შესაძლებლობას.



**Venedi Benidze**

## **PARTICULAR NORMS OF GEORGIA'S CRIMINAL LAW PROCESS CODE ARE IRRELEVANT WITH GEORGIAN CONSTITUTION**

### **Summary**

The Criminal Law Process which is the part of the state's legal system aims to defend the state interests and the legal order stated according to it. Also to state all the factual circumstances of the Criminal Law case, to contribute the criminal case investigation and punishment of the criminals. Based on these targets the criminal law process is a guarantee to defend the human rights and legal interests and according to it we must be especially careful when adopting the new process legislation and passing the changes in it as well.

Adopting new legislation together with the criminal law process code aims to improve the law and fulfilling the possibility of rapid justice.



## გივი ლოგიანიძე დავით ლოგიანიძე

### „ცივი ომი“-ს სამართლებრივი შედეგი

„ცივი ომის“ თემა აქტუალობას არ კარგავს დღესაც, რადგანაც არ დამთავრებულა გეო-პოლიტიკურ სივრცეში სახელმწიფოთა მიერ ტერიტორიული პრეტენზიები, რადგანაც თავდაპირველად ცივი ომი წარმოიშვა ომისშემდგომი მსოფლიო მოწყობის შესახებ განსხვავებული შექედულებების შედეგად, რომელმაც გააჩინა ეჭვი და უნდობლობა შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის. პირველი ასეთი კონფლიქტი მოხდა პოლონეთის საკითხთან დაკავშირებით. ამის შემდგომ პოლიტიკურ ლიდერთა საჯარო განცხადებებმა „ცივი ომის“, დაწყება რეალობად აქციეს. 1946 წელს იოსებ სტალინმა განაცხადა: „მსოფლიოს ეკონომიკის ახლანდელი კაპიტალისტური განვითარების პირობებში ყოფნა შეუძლებელია“.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა ფულტონში აღნიშნა (ტრუმენთან ერთად): „კონტინენტზე რეინის ფარდა ჩამოეშვა“, ამიტომ ბრიტანეთმა და შეერთებულმა შტატებმა უნდა ითანამშრომლონ საბჭოთა საფრთხის წინააღმდეგ.<sup>1</sup>

„ცივი ომის“ რეჟიმში ყოფნა დიდ ხასის მოუნის მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს. ამ პროცესის დაწყებას გარკვეული წინაპირობები გააჩნდა. ეს იყო ორი განსხვავებული იდეოლოგიის დაპირისპირება და გავლენის სფეროებზე ზეგავლენის მოპოვება, რაც ახასიათებდა II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდს. ამ მოსაზრების დასტურია სპეციალისტთა აზრი იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კავშირის არსებობამ ხელი შეუწყო საერთაშორისო სამართლის შემდგომ ჰუმანიზაციასა და დემოკრატიზაციას, კოლონიალიზმის სისტემის დაშლას, თუმცა ყველაფერი ეს მიმდინარეობდა დასავლეთის დიდ სახელმწიფოებთან ზეგავლენის სფეროების განაწილებისათვის გააფრთხებული ბრძოლის პირობებში ავადსახსენებელი „ცივი ომის“, ნიშნის ქვეშ.<sup>2</sup>

სახელმწიფოთა ან მათ დაჯგუფებათა მწვავე დაპირისპირება „ცივი ომის“ მდგომარეობაში გადასვლას ნიშნავს. რადიკალურად განსხვავებული იდეოლოგიების გამო ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა, ერთი მხრივ, აშშ-სა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოებს, ხოლო მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირისა და მის სატელიტებს შორის, რამაც თავი იჩინა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში და 90-იანი წლების დასაწყისამდე გრძელდებოდა.<sup>3</sup> დღევანდელი მსოფლიო საზოგადოება ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გარკვეული იმაში, თუ რა დიდი ზეგავლენა იქონია „ცივი ომის“, ეპოქამ კაცობრიობის ისტორიაზე და რა კარდინალური ძვრები განიცადა ამ პერიოდში ადამიანთა წარმოდგენებმა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ განსაკუთრებით გაიზარდა პრობლემის მნიშვნელობა. ესპანელი ფილოსოფოსი ორტეგა-ი-გასეტი სწორედ ამ მოვლენას უწოდებდა მასების ამბოხს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოხდა ე.წ. „კომუნიკაციური აფეთქება“. გაზიერების, წიგნების, რადიომიმღებისა და რადიოგადამცემების, ტელევიზორების რაოდენობა 50-ჯერ და 100-ჯერ გაიზარდა. მკვლევართა აზრით, მსოფლიო ერთგვარად შეიკუმშა, დაპატარავდა. შესაძლებელი გახდა ინფორმაციის გავრცელება ნებისმიერი კუთხეში. აქედან გამომდინარე, უაღრესად ადვილი გახდა ხალხთა ფართო მასებისათვის იდეების მიწოდება და ადამიანთა განწყობილებებისა და შექედულებების მართვა. სწორედ ამ მიზნით გამოიყენეს პროპაგანდა, „ცივი ომის“ დროს, რომც იდეების გავრცელების ხელოვნება.<sup>4</sup>

„ცივი ომი“ გამოხატავდა XX საუკუნის მეორე ნახევრის საერთაშორისო ურთიერთობათა იმ ძირითად შინაარსს, რომ მსოფლიოს ორ უმთავრეს პოლუსს შორის არც მო იყო და არც მშვიდობა. 1945 წელს, ნაცისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ, სსრ კავშირი და აშშ წარმოადგენდნენ მსოფლიოს ორად ორ სუპერსახელმწიფოს. 1945 წლის შემდეგ, გაეროს წესდების VII თავი, რომელიც უშიშროების საბჭოს მოქმედებას განსაზღვრავდა, პრაქტიკაში წაკლებად გამოიყენებოდა და სახელმწიფოები პერიოდულად (განსაკუთრებით, 1950-იან წლებში) მიმართავდნენ გენერალურ ასამბლეასა და სამდივნოს, ამ ხარვეზის შესავსებად. მრავალი მიზნის გამო საბჭოთა კავშირი ყოველთვის ენინაალმდეგებოდა ამ ტენდენციას. ასე რომ, 1960 წლის შემდეგ ძალაუფლება კვლავ უშიშროების საბჭოს დაუბრუნდა. 1950-იან წლებში გენერალური ასამბლეა ითხოვდა გაეროს სამშვიდობო ძალების შექმნის უფლებას და რეალურად განახორციელა კიდევ იგი 1956 წელს. 1960 წლიდან გაეროს ყველა სამშვიდობო ძალების შექმნის უფლებას და რეალურად განახორციელა კიდევ მეტი იმავე დღის გენერალური ასამბლეის მხრიდან აღარ ყოფილა გაეროს სხვა სამშვიდობო ჯარების შექმნის არანაირი სერიოზული მცდელობა. საკითხი იმის თაობაზე, აქვს თუ არა გენერალურ ასამბლეას გაეროს სამშვიდობო ძალების შექმნის კანონიერი უფლება, უკვე აღარ არის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის, თუმცა, პ. მალანჩუკი თვლის, რომ ჯერ კიდევ ღირს მისი შესწავლა, რადგან იგი ნათელს ჰქონის სხვა უფრო მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემებს.

სსრ კავშირმა, მართალია, ფაშიზმისაგან გაათავისუფლა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, მაგრამ შემდგომ თვითონვე მოახდინა ზოგიერთის ოკუპაცია. ასევე, გადამწყვეტი როლი შეასრულა აშშ-მა დასავლეთ ევროპის გათავისუფლების საქმეში. დამარცხებული გერმანიის ტერიტორია ოთხ საოკუპაციო

<sup>1</sup> ამერიკის ისტორიის ესკიზები. გვ. 282

<sup>2</sup> ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 1999 წ., გვ. 40

<sup>3</sup> თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი) თბ. 2003წ., გვ. 392

<sup>4</sup> ამერიკის შესწავლის საკითხები, თბ. 2003წ., გვ. 27



ზონად დაიყო (სსრ კავშირის, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის). შემდგომში ცხადი გახდა, რომ სსრ კავშირს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში განზრახული ჰქონდა კომუნისტური რეჟიმის დამყარება. აშშ და დასავლეთის სხვა სახელმწიფოები, რომლებმაც დაინახეს კომუნიზმის ექსპანსიის რეალური საფრთხე, აშკარად დაუპირისპირდნენ სსრ კავშირს. ჩამოყალიბდა ე.წ „სსრ კავშირის აგრესის შეკვების თეორია“. ეს დაპირისპირება ლიტერატურაში, ხშირად, „დასავლეთ-აღმოსავლეთის“ დაპირისპირების სახელით მოიხსენიება.<sup>1</sup>

მართალია ის, რომ სახელმწიფო ობს შორის, გაეროს წესდების 43-ე მუხლის შესაბამისად, არავითა-რი შეთანხმება არ დადგებულია. ამას ხელი არ შეუშლია გაეროსათვის, სხვა სამუალებებით შეეკრიბა სამ-ხედრო ძალები. მაგალითად, ასეთი ძალები იქნა გაგზავნილი ახლო აღმოსავლეთში 1956 წელს და კონგო-ში, 1960 წელს. საბჭოთა კავშირი დაობდა, რომ ეს ორი ძალა უკანონო ფორმირებას წარმოადგენდა, რად-გან ისინი 43-ე მუხლით განსაზღვრული პროცედურის თანახმად არ შექმნილა. ამაზე საერთაშორისო სა-სამართლომ უბასუხა, რომ ამ შეიარაღებული ძალების ამოცანა იძულებითი ზომების გატარება არ ყოფილა და რომ 43-ე მუხლი მხოლოდ იმ შეიარაღებულ ძალებზე ვრცელდება, რომლებიც იძულებითი ზომების გატარებისთვისაა გამიზნული; შესაბამისად, 43-ე მუხლის მოთხოვნების უგულვებელყოფას ამ შეიარაღებული ძალების შექმნის უკანონოდ აღიარება არ გამოუწვევია.

თუმცა, როგორც ჩანს, საერთაშორისო სასამართლოს არ უგულისხმია, რომ 43-ე მუხლით დადგენილი პროცედურის უგულებელყოფას, შეეძლო გამოვწვია იძულებითი ზომების განსახორციელებლად შექმნილი შეიარაღებული ძალების უკანონოდ გამოცხადება. როდესაც 42-ე მუხლი ამბობს, რომ „ზომები (გაეროს) ძალებით – შეიძლება მოიცავდეს ორგანიზაციის წევრების ძალების ოპერაციებს, ის აშკარად გულისხმობს, რომ არსებობს გაეროს ძალების შექმნის ერთზე მეტი გზა.“

43-ე მუხლის მიზანი იყო უშიშროების საბჭოსათვის მოქმედების გაადვილება; ამ მიზნისათვის აპ-სოლუტურად მიღებული იქნებოდა იმის მტკიცება, რომ 43-ე მუხლით გათვალისწინებული შეთანხმებების არსებობას, უშიშროების საბჭოსათვის მოქმედებაში ხელი უნდა შეეშალა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, 43-ე მუხლი ადგენს პროცედურას, რომლის თანახმადაც უშიშროების საბჭოს შეუძლია იმოქმედოს, მაგრამ ის მას ხელს აღტერნატიული პროცედურის არჩევაში.

„ცივი ომის, პერიოდში, აშშ-მა შექლო, გამხდარიყო დასავლეთის, ანუ კაპიტალისტური სამყაროს ლიდერი, დასავლური ცივილიზაციისა და ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებათა გადარჩენის გარანტი. ამასთან ერთად ცხადი გახდა, რომ აშშ მთელ არაკომუნისტურ სამყაროში ცდილობდა ეკონომიკური და პილიტიკური ბატონობის მოპოვებას, რითაც ევროპისა და იაპონიის მედგარ წინააღმდეგობას აწყდებოდა. თუმცა, კომუნისტურ სამყაროსთან ბრძოლის აუცილებლობა პირველ ხანებში ანელებდა ამ დაპირისპირებას. ამიტომ, აშშ-სათვის დამახასიათებელი იზოლაციონისტური პოლიტიკა, რომელსაც ის 150 წლის განმავლობაში ადგა, შეიცვალა უაღრესად აქტიური საგარეო პოლიტიკური კურსით. ამერიკული მხარე განსაკუთრებით გააქტიურდ 1949 წლიდან. მან თავისი პროპაგანდის წარმოება უფრო აგრესიული მეთოდებით დაიწყო. ჰარი ტრუმენმა და ედუარდ ბარეტმა („ნიუსვიკის“ ყოფილი რედაქტორი) შექმნეს რადიოსადგური „განთავისუფლება“ (შედგომში „თავისუფლება“) და 1950 წელს, ივნისში შეიმუშავეს პროპაგანდის შემტევი გეგმა – სიმართლის კამპანია. ბარეტის მიერ შემუშავებული რეზოლუცია მოუწოდებდა „იდეების სფეროში მარშალის გეგმის განხორციელებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით“. რეზოლუცია ასევე მოითხოვდა „საერთაშორისო პროპაგანდის“ ეროვნული პოლიტიკის გამოკახადებას.

კომუნიზმის შეჩერების საბაბით, აშშ-მა განახორციელა ისეთი სახის ღონისძიებები, როგორებიც იყო ეკონომიკური დახმარება (მარშალის გეგმა), საბერძნეთისა და თურქეთისათვის სამხედრო მხარდაჭერა, ნატოს ჩამოყალიბება, ყოველგვარი ხელშეწყობა გფრ-სათვის და მისი ნატოში განვითანება, სამხედრო ბლოკების შექმნა და სხვა, რაც უკვე აღინიშნა.

60-იანი წლების მეორე ნახევრიდან დააბულობა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის შედარებით შენელდა. ხუშჩოვის მიერ ნამოყენებული „მშვიდობიანი თანაარსებობის“ დოქტრინის ფარგლებში შედარებით შერბილდა იდეოლოგიური დაპირისპირება, მაგრამ მიუხედავად 1958 წელს კულტურის სფეროში მიღწეული შეთანხმებებისა, 1960 წელს ყველავერი კვლავ ძველებურ ყოფას დაუბრუნდა. იდეოლოგიური და პროპაგანდისტული ბრძოლა ახალი სიმბლავრით განახლდა, თუმცა მისმა ეპიცენტრმა ძირითადად „მესამე მსოფლიოს“ ქვეყნებში გადაინაცვლა. ამ ერთგვარი „განმუხტვის“ (დეტანტის პოლიტიკისა, როგორც ამას აშშ-ში უწოდებენ და პრეზიდენტ ნიქსონის სახელს უკავშირებენ) შედეგები იყო ოთხმხრივი შეთანხმება დასავლეთ შერლინის შესახებ (1971), სტრატეგიული შეირარაღების შეზღუდვის ხელშეკრულებები აშშ-სა და სსრკ-ს შორის (1972, 1979), ვიეტნამის ომის დამთავრება (1973), ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის თათბირი (1975) და სხვ. თუმცა, ამ გარეგნული სიმშვიდის უკან გრძელდებოდა სერიოზული დაპირისპირება უფრო ფარული ფორმით და, რაც მთავარია, ახალ გეოპოლიტიკურ რეგიონებზე (ახლო არმოსავლეთი, ტრანკიული აფრიკა, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, ცენტრალური ამერიკა) გავლენის მოპოვების მიზნით. 70-იანი წლების ბოლოსათვის „ცივი მომ“ ძირითადად წარმოგვიდგებოდა „აქცია-რეაქციის“ სახით, როდესაც ერთი მხარე დაუყოვნებლივ ახდენს საპასუხო რეაქციას მეორე მხარის მოქმედებაზე.

„(კივი ომის“ მიზეზეგისა და შინაარსის შესახებ სამი განსხვავებული შეხედულება არსებობს. პირველი მათგანის მიხედვით, რომელიც დასავლეთის სამეცნიერო და პოლიტიკურ წრეებში იყო მიღებული, „(კივი ომის“ წარმოებაში მთავარი დამნაშავე არის საბჭოთა კავშირი და მისა კომუნისტური რეჟიმი, რო-

<sup>1</sup> თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი), თბ. 2003წ., გვ. 392



მელმაც მიზნად დაისახა მთელი მსოფლიოს „განითლება“. აშშ კი იძულებული გახდა, ნინ აღდგომოდა საბჭოთა ექსპანსიონიზმის საფრთხეს და გადაერჩინა დასავლური ფასეულობები. მეორე შეხედულებით, (საბჭოური შეხედულება), ცივი ომი გამოიწვია აშშ-ს იმპერატიულმა მისწრაფებებმა მსოფლიო ბატონობისაკენ და კომუნიზმის განადგურების განზრახვამ. მესამე შეხდულებით, გერმანიის განადგურებამ წარმოშვა ძალის ვაკუუმი. მაშასადამე, „ცივი ომი“ იყო ჩვეულებრივი კონფლიქტი ბიპოლარული მსოფლიოს ორ ზესახელმწიფოს შორის და იდეოლოგიური მომენტი აქ მხოლოდ დამხმარე როლს ასრულებდა. 80-იანი წლების პირველ ნახევარში დაძაბულობა მკვეთრად გაძლიერდა, რაც გამოიწვია საბჭოთა კავშირის ინტერვენციამ ავლანებობი. ორივე მხარემ მნიშვნელოვნად გაზარდა სამხედრო ხარჯები, ბირთვული არსენალი და სამხედრო ბაზების რიცხვი. კულმინაციას მიაღწია იდეოლოგიურმა დაპირისპირებებმაც. მაგრამ 1985 წლიდან საბჭოთა კავშირში დანცყებულმა და განხორციელებულმა „გარდაქმნის“, კურსმა არსებითი ცვლილებები შეიტანა „ცივი ომისა“ და საერთოდ, საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიაში. სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვამ და საბჭოთა ჯარების გამოყვანამ ავლანეთიდან საერთაშორისო ვითარება სასიკეთოდ შემოაბრუნეს, ხოლო ბერლინის კედლის დანგრევა, კომუნისტური რეჟიმების დამხობა აღმოსავლეთ ევროპაში და იქიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანა, განსაკუთრებით კი საბჭოთა კავშირის დაშლა, ბიპოლარული საერთაშორისო სისტემის დასასრულის მომასწავებელი გახდა. 1992 წლის დამდეგისათვის, როდესაც საბჭოთა კავშირი, როგორც სახელმწიფო, უკვე აღარ არსებობდა და კომუნისტური რეჟიმიც მთელ ევროპაში დაემხო, დაიწყო ცივი ომის შეწყვეტის პროცესი, რომელიც საბოლოოდ რუსეთის ნატოსთან მჭიდრო დაკავშირების სურვილით (2002 წლის ივნისი) დასრულდა. მიუხედავად ცივი ომისა, რასაც თან ახლდა დასავლეთ-აღმოსავლეთის მწვავე იდეოლოგიური და პოლიტიკური დაპირისპირება, საერთაშორისო სამართალში შემუშავდა მთელი რიგი პროგრესული, ზოგადდემოკრატიული ნორმები, რომლებმაც საერთაშორისო სამართალი ჭეშმარიტად საყოველთაო საერთაშორისო მართლწესრიგად აქციეს. შეიქმნა სოლიდური ბაზა კაპიტალისტური, სოციალისტური და არენაზე ახალგამოსული „მესამე სამყაროს ქვეყნების“ ურთიერთობებისათვის.

საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად, ცვალებადმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ უშმიშროების საბჭო, რომელშიც დღეს წამყვანი ადგილი დასავლეთის ქვეყნებს უჭირავთ აშშ-ს ლიდერობით, ახალ ცენტრალურ პოზიციაზე დააყენა.<sup>1</sup>

როგორც როზალინ ჰიგინსმა აღნიშნა: „ცივი ომის“, დასრულების შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა შეერთებული შტატების მიერ ძალის ცალმხრივად გამოყენება გაეროს გვერდის ავლით. მას შემდეგ, რაც მისი საკუთარი მიზნები გაეროს მიზნებს დაემთხვა, ერაყის მიერ ქუვეითის დაპყრობის შემთხვევაში, შეერთებულ შტატებში დაინახეს გაეროს საგარეო პოლიტიკის ცენტრად გადაქცევის უპირატესობა. ძველი, მტრულად განწყობილი, საბჭოთა კავშირის გაუჩინარებამ უფრო კომფორტული გარემო შექმნა უშიშროების საბჭოში. შეერთებულ შტატებს, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის მნიშვნელოვანი საერთო ინტერესი არსებობდა მშვიდობისა და უშიშროების საკითხებთან დაკავშირებით, რასაც ასევე ბევრი საერთო ჰქონდა რუსეთის ფედერაციის ინტერესებთანაც. კვლავ რთულია სიტუაცია ჩინეთთან დაკავშირებით, მაგრამ ის თავს საკმარისად ძლიერად არ გრძნობს იმისთვის, რომ ვეტოს უფლება გამოიყენოს.

ამასთანავე, „ცივი ომის“, დასრულებამ ახალი განზომილება შესძინა საერთაშორისო სამართლის ნორმებს. ბიპოლარიზმის ეპოქაში საერთაშორისო სამართლის ნორმებისადმი ურჩ სახელმწიფოებს საბჭოთა კავშირი ან აშშ მფარველობდნენ, რადგანაც მათდამი მხარდაჭერა ერთ ან მეორე მხარის ინტერესებში შედიოდა.<sup>2</sup>

უშიშროების საბჭოს ხუთ მუდმივ წევრს შორის ახალი თანამშრომლობის სწრაფი შედეგი იყო სპარსეთის ყურის პირველი ომის დასრულება 1988 წლის აგვისტოში. საბჭოთა ჯარების გამოყვანა ავღანეთიდან იმ გეგმის საფუძველზე განხორციელდა, რომელსაც გაეროს გენერალური მდივანი მედიატორობდა. 1989 წელს აფრიკაში კუბამ ანგოლიდან გაიყვანა ჯარები, ხოლო 1990 წლის მარტში ნამიბიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა უშიშროების საბჭოს მიერ 1978 წელს მიღებული რეზოლუციის საფუძველზე მნიშვერანოვანი როლი გაეროს მიენიჭა ცენტრალური ამერიკის კონფლიქტების მოგვარებაში. თუმცა ორი ძირითადი მოვლენა, რამაც ბიძგი მისცა გაეროს როლის გაძლიერებას, იყო 1990 წლის აგვისტოში ერაყის შექმნა ქუვეითში, რასაც 1991 წელს წესდების VII თავის საფუძველზე განხორციელებული მოკავშირეთა სამხედრო აქცია მოჰყვა, და ძირითადად ხელოვნურად ინსპირირებული, ქვეყნის საშინაო კონფლიქტებში მომხდარი მასობრივი ძალადობა, როგორებიც იყო ტრაგედიები იუგოსლავიაში, სომალისა და რუსეთი.<sup>3</sup>

1990 წლის იანვარში მალტაში გამართული უმაღლესი დონის შეხვედრაზე ბუშა და გორბაჩიოვს შორის მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა. ბუშა განაცხადა იმის თაობაზე, რომ 195000-მდე ჯარისკაცით შეამცირებდა ევროპაში განლაგებულ აშშ-ს ჯარებს. ამის შემდეგ გამართული დისკუსიების შედეგად საბჭოთა კავშირმა უარი თქვა თავის მისდომინდელ უფლებებზე და აღიარა გაერთიანებული გერმანია თ-ს სრულუფლებისანი წევრის სტატუსით. ამას მოყვა ყველაზე ამბიციური შეთანხმებები შეიარაღებათა მრავალი სახეობის შემცირებათა შესახებ, რასაც სპეციალისტები თვლიდნენ „ცივი ომის“, დასასრულად.

<sup>1</sup> P.B. Stephen B.M. Klimenko (eds) International Law and Political Security: Military and Political Dimensions (u.s Soviet Dialogue series), 1991

<sup>2</sup> დ. ლობუანიძე, გ. ლობუანიძე, მსოფლიო წესრიგი და საერთაშორისო სამართლებრივი სისტემები, თბ. 2007 წ., გვ. 77-78

<sup>3</sup> ამერიკის ისტორიის ესკიზები. გვ. 283.



უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს შორის ახალმა დამოკიდებულებამ გამოხატულება პოვა 1992 წლის იანვარში, უშიშროების საბჭოს არსებობის მანძილზე, სახელმწიფოთა და მთავრობის მეთაურთა დონეზე პირველ შეხვედრაზე მიღებულ უმნიშვნელოვანეს განცხადებაში, სადაც ხაზი გაესვა იმას, რომ არასტაბილურობის არასამხედრო წყაროები ეკონომიკურ, სოციალურ, ჰუმანიტარულ და ეკოლოგიურ სფეროებში საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას.<sup>1</sup>

პ. მალანჩუკის აზრით, დროის მოკლე მონაკვეთში, 1990-დან 1995 წლამდე, უშიშროების საბჭომ მანამდე არნახული აქტიურობა გამოამუდავნა. რვა შემთხვევაში გატარდა კოლექტიური ზომები VII თავის ამოქმედებით: ერაყის, ლიბერიის, ყოფილი იუგოსლავის, ლიბიის, სომალის, აზოლის, ჰაიტისა და რუანდის მიმართ. თითოეულ ამ შემთხვევაში სავალდებულო სანქციები წესდების 41-ე მუხლს ეფუძნებოდა. ხუთ შემთხვევაში საბჭომ გასცა სანქცია ძალის გამოყენების თაობაზე (ერაყი, სომალი, ყოფილი იუგოსლავია, რუანდა და ჰაიტი).<sup>2</sup>

საბოლოოდ, სპეციალისტები თვლიან, რომ პროპაგანდამ ძალზე დიდი როლი ითამაშა „ცივი ომის“ ისტორიაში. მისი მეშვეობით ამერიკულმა პოლიტიკურმა წრებმა მნიშვნელოვანი საგარეო და საშინაო პრობლემების გადაწყვეტა შეძლეს. ამერიკულ პროპაგანდას დიდი წვლილი მიუძღვის საბჭოთა ბლოკის დამარცხებაში. ამასთან დაკავშირებით, საინტერესო ცნობილი ამერიკელი კინორეჟისორის, სტივენ სპილბერგის გამონათქვამი: „მე დარწმუნებული ვარ, რომ კომუნიზმი ტელევიზიამ მოკლა..“

ასეთია, „ცივი ომის“ პერიოდიზაცია და სამართლებრივი შედეგები, თუმცა იგი არცთუ ისე იშვიათად, ცხელ ხასიათსაც დებულობდა გარკვეულ მასტებებში, ანუ, მთლად „ცივი“ არ ყოფილა და გარკვეულ ტემპერატურას დღესაც ინარჩუნებს. რუსეთის ფედერაციასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დაპირისპირებამ სხვა ფორმატი შეიძინა, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „ნორმატიული ომი“, ანუ ურთიერთსანინაალმდეგო კანონების მიღება, რომელიც დაიწყო აშშ-ის მიერ მაგნიტსკის კანონპროექტის გაუღერებით, რასაც რუსეთის სასწრაფო რეაქცია მოყვა. სხვა პრობლემებთან ერთად ამას ემატება ევროპაში რაკეტსანიაალმდეგო სისტემის განთავსების საკითხი და საქართველოს ნატოსა და ევროკავშირთან ინტეგრაციისა და ტერიტორიული მთლიანობის აღიარების პროცესი.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ამერიკის ისტორიის ესკიზები.
2. ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 1999 წ.
3. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი) თბ. 2003წ.
4. ამერიკის შესწავლის საკითხები, თბ. 2003წ.
5. დ. ლობუანიძე, გ. ლობუანიძე, მსოფლიო წესრიგი და საერთაშორისო სამართლებრივი სისტემები, თბ. 2007 წ.
6. P.B. Stephen B.M. Klimenko (eds) international Law and Political Security: Military and Political Dimensions (u.s Soviet Dialogue series) 1991
7. Note by the President of the Council UN SCOR, 47 in Session 30449 the Meeting UN Doc. S/23500 (1992) ILM 31 (1992) 759 act 761

### გივი ლობუანიძე დავით ლობუანიძე

### „ცივი ომის“ სამართლებრივი შედეგი

#### რეზიუმე

მოცემულ ნაშრომში ავტორები გვაძლევენ „ცივი ომის“ ცნების განმარტებას, პერიოდიზაციას და სამართლებრივ შედეგებს. დეტალურად და ქრონოლოგიური სიზუსტითა გადმოცემული ის ისტორიული და პოლიტიკური მოვლენები, რომლებმაც გამოიწვია „ცივი ომის“ წარმოშობა.

<sup>1</sup> Note by the President of the Council UN SCOR, 47 in Session 30449 the Meeting UN Doc. S/23500 (1992) ILM 31 (1992) 759 act 761

<sup>2</sup> 3. მალანჩუკი, საერთაშორისო სამართალი, 2003წ., გვ. 428.



დღევანდელი მსოფლიო საზოგადოება ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გარკვეული იმაში, თუ რა დიდი ზეგავლენა იქონია „ცივი ომის“ ეპოქაში კაცობრიობის ისტორიაზე და რა კარდინალური ძვრები განიცადა ამ პერიოდში ადამიანთა წარმოდგენებმა.

**Givi Lobzhanidze**

**David Lobzhanidze**

### **LEGAL RESULT OF „COLD WAR“**

#### **Summary**

The presented article offers the definition of the „Cold War“, its periodization and legal results. The authors chronologically present those historical and political events, which caused the creation and development of the „Cold War“.

The contemporary world society is not yet well aware of the real influence and effect of the „Cold War“ epoch upon the mankind history development and what particular cardinal changes took place in the human beings' imaginations during the period mentioned above.



## დავით სუსიტაშვილი თეა სუსიტაშვილი

### სამოქალაქო პასუხისმგებლობის კატეგორიები და პრინციპები

**სამოქალაქო პასუხისმგებლობის შემადგენელი კატეგორიები.** რომის კერძო სამართალი თანამედროვე სამოქალაქო სამართლის ფუნდამენტს წარმოადგენს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რომის სამართლისათვის უცხო იყო სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზოგადი ცნება, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ ამ დროისათვის შეიძლებოდა მსჯელობა ერთიან იურიდიულ პასუხისმგებლობაზე. მხოლოდ მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივ-სამართლებრივი განვითარების კვალიბაზე სამოქალაქო და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ერთიან გაეცემას მოეღო ბოლო და სამოქალაქო პასუხისმგებლობას გაემიჯნა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, შესაძლებელი გახდა სამოქალაქო პასუხისმგებლობის შემადგენელი კატეგორიების მეცნიერული კვლევა. მაგრამ გასული საუკუნის 50-იან, 60-იან წლებში იურიდიული პასუხისმგებლობის სამოქალაქო და სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის კატეგორიებად მკვეთრად გამიჯვნის მოწინააღმდეგები ჯერ კიდევ მრავალდ მოიძენებოდა. პროფესორი გ. მატვეევი წერდა, რომ სამართალდარღვევა მრავალმხრივია. სამართალდარღვევის ერთ ჯგუფს წარმოადგენს დანაშაული, რომელიც თავის მხრივ, ძირითადად, გამოიწვევს დამნაშავის პირად პასუხისმგებლობას; მეორე ჯგუფს მიეკუთვნება სამოქალაქო სამართალდარღვევა, რომელიც, როგორც წესი, გამოიწვევს ქონებრივ პასუხისმგებლობას. გ. მატვეევი აქვე სვამს რიტორიკულ კითხვას – რა დამოკიდებულება არსებობს პასუხისმგებლობის ამ ორ ჯგუფს შორის? აქვთ თუ არა მათ საერთო შტრიჩები? კერძოდ, პასუხისმგებლობის ეს ორი სახე არის თუ არა ერთგვაროვანი მათი ობიექტური და სუბიექტური საფუძვლების მიხედვით? და სინაზულით დასძენს, რომ გაბატონებული ბურუჟაზიული სამართლებრივი დოქტრინა ამ კითხვაზე უარყოფით პასუხს იძლევა. გ. მატვეევის მტკიცებით, „**ბურუჟაზიული სამართლის დოქტრინით**,“ სისხლისამართლებრივი და სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთმანეთისაგან გამიჯვნა მათი წარმოშობის სუბიექტური და ობიექტური ნიშნის მიხედვით განპირობებულია სამართლის სისტემით, რომლის თანახმადაც ბურუჟაზიული სამართალი დაყოფილია საჯარო და კერძო სამართლად<sup>1</sup>, რაც იმ დროისათვის საბჭოთა სამართლისათვის მიუღებელი იყო.

გ. მატვეევისა და სხვა ცალკეული გამონაკლისების გარდა, მეცნიერ იურისტთა შორის უკვე დიდი ხანია ჩამოყალიბებულია აზრი, რომ სამოქალაქო და სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის წარმოშობის საფუძვლები დიამეტრულად განსხვავდება ერთმანეთისაგან. სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა წარმოიშობა იმის გათვალისწინებით თუ რა სუბიექტურ (ფსიქიკურ) მდგომარეობაში იმყოფება დამნაშავე; მაშინ როდესაც სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას ზიანის მიყენების ობიექტური ფაქტობრივი გარემოება უდევს საფუძვლად. ამასთან დაკავშირებით ფრანგი მეცნიერი ე.გოდემე წერს – ეს ისე უნდა გავიგოთ, რომ სამოქალაქო სამართალი, სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, გათავისუფლებულია ფსიქოლოგიური მოსაზრებებისაგან, რომ ის, სამოქალაქო სამართალი, ვალდებული პირის გონებრივი და მორალური მდგომარეობისაგან სულ უფრო და უფრო დამოუკიდებელი ხდება; რაც შეეხება სისხლის სამართალს, აյ მეტი ყურადღება დამნაშავე პირის ფსიქოლოგიურ და მორალურ მდგომარეობას ექცევა. ეს ტენდენცია, ასკვნის ე.გოდემე, შეიძლება შემდეგნაირად გამოვხატოთ – სისხლის სამართალი სულ უფრო და უფრო სუბიექტური ხდება, ხოლო სამოქალაქო პასუხისმგებლობის მეცნიერებაში ამის სანინა-აღმდეგო ევოლუცია მიმდინარეობს. შესაბამისად, სამოქალაქო და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლები პრინციპულად განსხვავებული და ლოგიკურად ურთიერთშეუსაბამოა.<sup>2</sup>

ერთიანი იურიდიული პასუხისმგებლობის ორწევრიანი კლასიფიკაცია (სამოქალაქო და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა) მთლიანადაა დასაბუთებული ძეველი რომის სამართლის წორმებით, როცა ერთი მხრივ ცალკეული ფაქტობრივი შემადგენლობები უცილობლად მოითხოვდა სისხლისამართლებრივი სახის სანქციის გამოყენებას, ხოლო მეორე მხრივ სახელმწირულებო ვალდებულებები სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას წარმოშობდა.<sup>3</sup> ერთიანი იურიდიული პასუხისმგებლობის ორწევრიანობის მდგომარეობა თანდათანობით პრინციპულ ცვლილებებს განიცდიდა და ბოლოს მათი გაყოფის (განცალკევების) შედეგად ჩამოყალიბდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის დამოუკიდებელი დარგები. შესაბამისად, ერთიანი იურიდიული პასუხისმგებლობაც განცალკევდა და დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის სახით დაწესდა საჯაელი, ხოლო ზიანის მიყენებისათვის – ზიანის ანაზღაურება.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის ერთიანობისა და მისი ცალკეული კატეგორიების რაობაზე მეცნიერულ კვლევას დასაბამი მისცა საფრანგეთის 1804 წლის სამოქალაქო კოდექსის 1147-ე და 1382-ე მუხლების. კოდექსის დასახელებულმა ნორმებმა ერთმანეთისაგან გამიჯვნა და სპეციალური წესები შემონალო სახელმწირულებო და დელიქტური ვალდებულების წარმოშობისა და პასუხისმგებლობისათვის. 1147-ე მუხლში ნათევამია, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის, ასევე ვალდებულების შესრულების გადაცილებისათვის და ყველა შემთხვევაში, თუკი მოვალე ვერ დაამტკიცებს, რომ ვალდებულების შეუსრუ-

<sup>1</sup> Г.К.Матвеев, Вина в советском гражданском праве, Киев — 1955г., стр.15-16.

<sup>2</sup> Е.Годеме, Общая теория обязательств, перевод с французского И.Б.Новицкого, Москва — 1948г., стр.312-313.

<sup>3</sup> Витольд Варкалло, Ответственность по гражданскому праву, перевод с польского, Москва — 1978г., стр.90.

ლებლობა გამოწვეული იყო გარეშე ძალით, რაც არ შეიძლება მას ბრალად შეერაცხოს, მას დაეკისრება ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. რაც შეეხება ამავე კოდექსის 1382-ე მუხლს, იგი ანტსრიგებს დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების წესს. ამ ორმა ნორმამ ფრანგული სამართლის მეცნიერებას გზა გაუკვალა ემსჯელა სამოქალაქო პასუხისმგებლობის ორი კატეგორიის არსებობაზე – ერთი მხრივ სახელშეკრულებო და მეორე მხრივ დელიქტურ პასუხისმგებლობაზე. ფრანგი მეცნიერი ჟ. კარბონე ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ არამართლზომიერი მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება ნაპოლეონის კოდექსში განსხვავებულად, სრულიად დამოუკიდებელი წესითა და საშუალებით არის მოწესრიგებული.<sup>1</sup>

სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობები სამოქალაქო პასუხისმგებლობის აუცილებელი კატეგორიებია და ეს სადაცოდ არსდროს გამხდარა. აქტიური განსჯის საგანს წარმოადგენს საკითხი – სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობა მოიცავს თუ არა სამოქალაქო პასუხისმგებლობის წარმოშობის ყველა შესაძლო იურიდიულ ფაქტს? სამოქალაქო პასუხისმგებლობის იმვარი განმარტება, რომელიც მხოლოდ სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის კატეგორიების ნიშნებს მოიცავს, ვერ იქნება ამომზურავი, რადგან სამართლის მეცნიერება სამოქალაქო პასუხისმგებლობის შემადგენლობაში სხვა კატეგორიებსაც განიხილავს: თითქოს ხელშეკრულებიდან (კვაზი ხელშეკრულება) და თითქოს დელიქტიდან (კვაზი დელიქტი) წარმოშობილი სამოქალაქო პასუხისმგებლობები. აღნიშნულის მიხედვით სამოქალაქო პასუხისმგებლობა ოთხნევრიანი კლასიფიკაციით ხასიათდება. ესენია – სახელშეკრულებო, დელიქტი, კვაზი ხელშეკრულება და კვაზი დელიქტი. ამჯერად მოკლედ შევეხბით პასუხისმგებლობის ორ უკანასკნელ კატეგორიას.

თითქოს ხელშეკრულების (კვაზი ხელშეკრულების) ლეგაციურ განმარტებას დღეისათვის საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლი იძლევა. აღნიშნულის მიხედვით, თითქოს ხელშეკრულება არის პირის მიერ ცალმხრივად, საკუთარი ნებით განხორციელებული ქმედება, რომლიდანაც გამომდინარეობს მესამე პირის წინაშე ცალმხრივი ან ორმხრივი ვალდებულება. როგორც ვხედავთ, კანონში პირდაპირ არ არის მითითებული კონკრეტულად რა ურთიერთობაზეა საუბარი; მაგრამ ისტორიულად, სამეცნიერო ლიტერატურაში კვაზი ხელშეკრულებად განხილულია **დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება და უსაფუძვლო გამდიდრება**. ფრანგი მეცნიერი ჟ.მორანდიერი თვლის, რომ თითქოს ხელშეკრულება, როგორც სამოქალაქო ვალდებულების (პასუხისმგებლობის) წარმომბის საფუძველი, იწვევს კამათს; ამასთან დეფინიცია, რომელსაც სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლი იძლევა, არ არის დამაკაყოფილებელი და მიიჩნევს, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მსგავსად საერთოდ უარი უნდა ვთქვათ „თითქოს ხელშეკრულების, ცნებაზე<sup>2</sup> ამის შემდეგ ბუნებრივად იბადება კითხვა - საერთოდ გვჭირდება თუ არა ტერმინი „თითქოს ხელშეკრულება“? ვთქიქოდთ, აღნიშნული ტერმინის გააქტიურებას ან ხმარებიდან ამოღებას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს არც საკანონმდებლო და არც სამეცნიერო თვალსაზრისით. ურთიერთობები, რომლებიც კვაზი ხელშეკრულების ქვეშ მოიზრებიან, დიდი ხანია დამკვიდრებული არიან სამართლებრივ სივრცეში, გააჩნიათ სამოქალაქო პასუხისმგებლობის წარმომბისათვის მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები და ამიტომ ერთიანი სამოქალაქო პასუხისმგებლობის ერთ-ერთ შემადგენელ კატეგორიად უნდა განიხილებოდეს, რა ვუნიდოთ მას, კვაზი ხელშეკრულება თუ სხვა რამ, ეს იურიდიული ტექნიკის საქმეა. ჩვენი აზრით სასურველია ისტორიული ტერმინის - კვაზი ხელშეკრულების შენარჩუნება, რომელშიც უნდა მოიაზრებოდეს საზიარო უფლებები, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება და უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტები.

იუსტინიანეს ინსტიტუციები კვაზი დელიქტისათვის პასუხისმგებლობის რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს გვაწვდის. მაგალითად, „თუ მოსამართლე სასამართლო დავას კანონის დარღვევით გადაწყვეტს, თუნდაც უცოდინრობით, მის პასუხისმგებლობას კვაზი დელიქტი წარმოშობს“, ასევე „კვაზი დელიქტზე აგებს პასუხს გემის მეპატრონე, მიკიტანი ან მეფუნდუკე იმ განზრას მიყენებული ზიანისა და ქურდობისათვის, რომელიც გემზე, სამიკიტონში ან ფუნდუკში ჩაიდინეს, ოლონდ, თუკი რაიმე სახის სამართალდარღვევა თავად მან (გემის მეპატრონემ, სამიკიტონსა და ფუნდუკის მეპატრონემ) კი არ ჩაიდინა, არამედ ერთ-ერთმა იმ პირთავან, რომლებიც გემზე, სამიკიტონში ან ფუნდუკში მსახურობენ. იმის გამო რომ მეპატრონის წინააღმდეგ ამ სარჩევს ხელშეკრულება არ წარმოშობს, მაგრამ გაუფრთხილებლობისათვის მაინც აგებს პასუხს, რაკი სამუშაოდ უწესო ხალხი ჰყავდა აყვანილი, ამიტომ ითვლება, რომ მას კვაზი დელიქტის საფუძველზე ეკისრება პასუხისმგებლობა.<sup>3</sup> იუსტინიანეს ინსტიტუციების მეოთხე წიგნის V ტიტულში გადმოცემულია კვაზი დელიქტით წარმოშობილი ცალკეული მაგალითები, მაგრამ კვაზი დელიქტის ზოგად დეფინიციას რომის სამართალი არ იძლევა. მასში მოყვანილი მაგალითები კი ცალსახად მიგვანიშნებს, რომ კვაზი დელიქტის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა დადგება თუ ზიანი მიყენებულია განზრახვის გარეშე; ხოლო დელიქტური პასუხისმგებლობა დადგებოდა განზრას მიყენებული ზიანისათვის.

<sup>1</sup> იბ. ნიგბები ვიტოლდ ვარკალი, Ответственность по гражданскому праву, перевод с польского, Москва — 1978г., стр.89. ქ-კარბონეს აქმეცვლაბში აქტები დოკუმენტური პასუხისმგებლობის განსხვავება და დამოუკიდებლობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობისაგან.

<sup>2</sup> Жюльио де ла Морандье, Гражданское право Франции, том -2, Москва — 1960г., стр.197.



თანამედროვე სამოქალაქო კოდექსებმა – გერმანიის, რუსეთის, საქართველოსა და სხვა ქვეყნების სამოქალაქო კოდექსებმა დელიქტსა და კვაზი დელიქტს შორის ის განმასხვავებელი ნიშანი, რაც რომის სამართლისათვის იყო დამახასიათებელი, მოშალეს. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი დელიქტის ლეგალურ განმარტებას იძლევა, რომლის მიხედვით პირი, რომელიც სხვა პირს „მართლსანინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი“, მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

თუ რომის სამართლი პირის მიერ მესამე პირისათვის განზრახ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას დელიქტურ პასუხისმგებლობას მიაუთვებდა, ხოლო გაუფრთხილებლობით ან უცოდინრობით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას – კვაზი დელიქტურ პასუხისმგებლობას, დღეს ვითარება შეცვლილია. დელიქტმა და კვაზი დელიქტმა საუკუნეების მანძილზე განიცადა ევროლუცია. დელიქტმა კვაზი დელიქტის ნიშნებიც შეიძინა. ამიტომ ეს უკანასკნელი ინსტიტუტი გაქრა საკანონმდებლო და სამეცნიერო კვლევებიდან. ხოლო მისი ადგილი დელიქტმა დაიკავა. ამის მაგალითია მრავალი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსი და მათ შორის საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომლის 992-ე მუხლში ეს განსხვავებები წაშლილია და ამიტომ ჩვენს მიერ კვაზი დელიქტი სამოქალაქო პასუხისმგებლობის ცალკე დამოუკიდებელ კატეგორიად ვერ იქნება აღქმული.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის ერთიანი ცნების შემადგენელ კატეგორიად სამართლიანად არის მიჩნეული არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობა. სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ურთიერთგამიჯვნის იურიდიული არსი იმაში მდგომარეობს, რომ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ფორმა, როგორიცაა მაგალითად, ზიანის ანაზღაურება, პირგასამტებლოს გადახდა და მათი მოცულობა განისაზღვრება ხელშეკრულებით და კანონით, ხოლო არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ფორმა და მოცულობა განისაზღვრება მხოლოდ კანონით. ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში „არასახელშეკრულებო“, და „კანონისმიერი“, ტერმინები სინონიმებად არის მიჩნეული.

არასახელშეკრულებო (კანონისმიერი) პასუხისმგებლობა ხშირად ვიწრო გაგებით გამოიყენება, რაც არ არის სწორი. პროფესორი შ.ჩიკვაშვილი არასახელშეკრულებო ზიანს დელიქტურ ზიანთან აიგივებს. იგი წერს: „არასახელშეკრულებოდ ითვლება ზიანი, რომელიც მიყენებულია ისეთი დარღვევის შედეგად, როდესაც მხარეები არ იმყოფებიან ვალდებულებით ურთიერთობაში . . . არასახელშეკრულებო ზიანი წარმოიქმნება უშუალოდ სამართალდარღვევიდან, ამიტომ მას დელიქტურ ვალდებულებას უწოდებენ,<sup>1</sup> რაც ჩვენი აზრით, არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის შეზღუდული გაგებაა. არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობა ფართო შეინარსის შემცველი ტერმინია. ის მოიცავს, როგორც დელიქტურ ურთიერთობებს, ისე კვაზი სახელშეკრულებო ურთიერთობებს, როგორიცაა საზიარო უფლებები, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება და უსაფუძვლო გამდიდრება.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის ცალკეული კატეგორიების განხილვის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობა პასუხისმგებლობის ორ კატეგორიას მოიცავს (დუალიზმი) ან სხვანაირად რომ ვთქვათ, ერთიანი სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაგება ორ კატეგორიად არის გაყიფილი (დიქოტომია) – სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის კატეგორიებად. თუმცა, აქვე უნდა აღვნინოთ, რომ თავის მხრივ არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობაც დუალისტური ხასიათისაა და მოიცავს კვაზი სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის კატეგორიებს. ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო პასუხისმგებლობის სამწევრიან კლასიფიკაციას ვღებულობთ. ესენია: სახელშეკრულებო; კვაზი სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობები.

**სამოქალაქო პასუხისმგებლობის პრინციპები.** სამოქალაქო სამართლის უპირველესი დანიშნულებაა საკუთრებითი ურთიერთობების, სახელშეკრულებო და სამოქალაქო ნორმებით გათვალისწინებული სხვა საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგება. ამ ურთიერთობების მოწესრიგების საქმეში დიდ როლს სამოქალაქო პასუხისმგებლობა ასრულებს, თუმცა სამოქალაქოსამართლებრივი ამოცანების გადაჭრის საქმეში სამოქალაქო პასუხისმგებლობა ერთადერთი არ არის, სამოქალაქო სამართლის წინაშე მდგარი ამოცანები ხშირად პასუხისმგებლობის გარეშეც მიიღწევა. და მაინც, ამის მიუხედავად, სამოქალაქო პასუხისმგებლობის პრინციპები პირდაპირ არის დამოკიდებული სამოქალაქო სამართლის წინაშე მდგარ იმ ამოცანებთან, რაც ქონებრივი და პირადი უფლებების დაცვასთან არის დაკავშირებული.

სამოქალაქო სამართლის პასუხისმგებლობის პრინციპები სხვადასხვა დროს განსხვავებული იყო. მაგალითად, ო.იოფე გასული საუკუნის 50-იან 60-იან წლებში სამოქალაქო პასუხისმგებლობის სამ პრინციპს ასახელებდა: 1. სოციალისტური კანონიერების პრინციპი, 2. ზიანის სრულად ანაზღაურების პრინციპი, 3. ბრალეული მოქმედებით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობის გარდაუვალობის პრინციპი.<sup>2</sup>

თანამედროვე პირობებში ადრე მოქმედი სამოქალაქო პასუხისმგებლობის ბევრი პრინციპი საერთოდ გაქრა. მაგალითად, სოციალისტური კანონიერების პრინციპი დიდი ხანია დავინუებას მიეცა;<sup>3</sup> ბევრმა მათგანმა კი შეინარსობრივი ცვლილება განიცადა. როდესაც ო.იოფე სამოქალაქო პასუხისმგებლობის გარდაუვალობის პრინციპზე საუბრობდა, მას მხედველობაში ჰქონდა გარდაუვალი პასუხისმგებლობის

<sup>1</sup> იბ. ნიგნში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, ავტორთა კოლექტივი, თბილისი — 2001წ., გვ. 379.

<sup>2</sup> О.С.Иოფე, Ответственность по советскому гражданскому праву, Ленинград — 1955г., стр.18-33.

<sup>3</sup> საძჭოთა პერიოდში სოციალისტური კანონიერების პრინციპი ერთი მხრივ საძჭოთა სამართლის, მისი ცალკეული დარგებისა და ინსტიტუტების გამართლების იდეოლოგიურ იარაღს, ხოლო მეორე მხრივ ბურჟუაზიული სამართლის წინაღმდეგ მიმართულ კრიტიკის საშუალებას წარმოადგენდა.



ბაზოგად ბრალეული მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის. ასეთი მიდგომა სრულიად შეესაბამებოდა რსფსრ-ს 1921 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსს, მაგრამ დღეს ის ჩვენთვის მიუღებელია. ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი. სამოქალაქო პასუხისმგებლობის გარდაუვალობის პრინციპს დღეს მ.ნ.მალეინაც განიხილავს, მაგრამ ის თვლის, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობა ყოველგვარი სამართლდარღვევისათვის უნდა დადგეს და არ მხოლოდ განზრას ბრალეული მოქმედებისათვის. მ.ნ.მალეინა სამოქალაქო პასუხისმგებლობის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპსაც განიხილავს, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობა უნდა დადგეს არამართლზომიერი მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის, ბრალის ფორმისა და სხვა ფაქტების გათვალისწინებით; დაბოლოს, აქვე საგანგებოდ იხილავს ზიანის სრულად ანაზღაურების პრინციპს.<sup>1</sup>

ვიტოლდ ვარკალი ერთმანეთისაგან გამიჯნავს სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობის პრინციპებს. ამასთან იგი მიჩნევს, რომ ო.იოფეს მიერ განხილული სოციალისტური კანონიერების პრინციპი სამოქალაქო პასუხისმგებლობის პრინციპია და არა ზიანის ანაზღაურების. ჩვენ სრულად ვეთანხმებით პროფესორ ვ. ვარკალოს, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობა უფრო ფართო ცნებაა, ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა კი – ვიწრო. როდესაც სამართლდამრღვევს პირის დარღვეული პატივისა და ღირსების აღდგენის მიზნით პრესაში გარკვეული ფაქტების გამოქვეყნება დაევალება, დაზარალებულისათვის ეს ზიანის ანაზღაურება კი არ იქნება, არამედ – დარღვეული უფლების აღდგენა, ამიტომ მას ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობის პრინციპს ვერ მივაკუთვნებთ. მართალია, ყოველგვარი ზიანის ანაზღაურება დარღვეული უფლების აღდგენას გულისხმობს, მაგრამ ყოველგვარი დარღვეული უფლების აღდგენა, არ არის ზიანის ანაზღაურება. ამიტომ მიზანშენონილად მივაჩინია, სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში დამკვიდრებული ტერმინი „ზიანის სრულად ანაზღაურების სამოქალაქო პასუხისმგებლობის პრინციპი“, შეიცვალოს „დარღვეული სამოქალაქო უფლების სრულად აღდგენის სამოქალაქო პასუხისმგებლობის პრინციპით“, რაც მოიცავს, როგორც ქონებრივი, ისე პირადი უფლებების აღდგენას. თავად პროფესორი ვიტოლდ ვარკალი ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობის პრინციპებს მიაკუთვნებს ისეთ პრინციპებს, როგორებიც არის: 1. რესტიტუციის პრინციპი. ავტორი ტერმინი „რესტიტუციას“, იყენებს იმ მიზნით, რათა სამართლდამრღვევის პასუხისმგებლობა შემოიფარგლოს დაზარალებულის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენით და არ მოხდეს მისი „გამდიდრება“, ზიანის ანაზღაურების ხარჯზე; 2. პასუხისმგებლობის გარდაუვლად დადგომის პრინციპი განზრახი ბრალეული მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის; 3. დაუძლეველი ძალის შედეგად მიყენებული ზიანისათვის „უპასუხისმგებლობის“, პრინციპი.

მოკლედ გვინდა შევეხოთ პროფესორ ვიტოლდ ვარკალის მიერ დასახელებული პასუხისმგებლობის მესამე პრინციპს – „უპასუხისმგებლობის“, პრინციპს. ტერმინთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, თვით ავტორიც განიცდის ერთგვარ დაუკმაყოფილებლობას და „თავს იმართლებს“, ტერმინი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების პრინციპი ჩვენს ცივილისტიკაში ნეოლოგიზმს (ახალი ტერმინი, ახალი სიტყვა) არ წარმოადგენს და აქვე ტერმინით დაუძლეველი ძალით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას ახასიათებს.<sup>2</sup> თავისთავად ეს პრინციპი სადაცვოს არაფერს შეიცავს. მას საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც ხშირად მიმართვას (999-ე, 1004-ე და სხვა მუხლები). მაგრამ ჩვენი ყურადღება ამჯერად „უპასუხისმგებლობის“, ტერმინმა მიიღორო. ტერმინი უპასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, ისეც შეიძლება იყოს გაგებული, რომ ამ თუ იმ სამართლდარღვევისათვის პირი გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, ანუ მასზე უპასუხისმგებლობა გავრცელდეს, თუმცა ეს არ იქნება ამ ტერმინის შინაარსის კარგი გაგება; მით უფრო რომ სამართლის მეცნიერებაში დამკვიდრებული მოსაზრების მიხედვით უპასუხისმგებლობა ნეგატიური პასუხისმგებლობის წარმომობის საფუძველია. ამიტომ უპასუხისმგებლობა სამართლდარღვევის მნიშვნელობით უნდა იყოს გამოყენებული და არა პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების მნიშვნელობით. ეტიმოლოგიურადაც უპასუხისმგებლობა – პასუხისმგებლობის გრძნობის უქონლობას და ამ ფონზე ვალდებულების შეუსრულებლობას, სამართლდარღვევას გულისხმობს.

მივაჩინია, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის ყველა ფორმისა და სახის ერთიან პრინციპებს დარღვეული სამოქალაქო უფლების სრულად აღდგენა და განზრახი ბრალი, როგორც პასუხისმგებლობის გარდაუვალობის პრინციპები წარმოადგენს. სამეცნიერო ლიტერატურა და ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული ავტორები პირდაპირ თუ არაპირდაპირ აღიარებენ პასუხისმგებლობის ამ ორ პრინციპს. ჩვენც მათზე გავამხვიდებთ ყურადღებას. კანონიერების, უპასუხისმგებლობის, ინდივიდუალური პასუხისმგებლობისა და სხვა მსგავსი პრინციპები სამოქალაქო პასუხისმგებლობის ერთიან პრინციპებად ვერ გამოდგებიან. სოციალისტური კანონიერებისა და უპასუხისმგებლობის პრინციპზე ზევით უკვე გვქონდა საუბარი. ახლა მოკლედ შევეხოთ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპს, რომლის არსი, როგორც მისი მიმდევარი მ. ნ. მალეინა განმარტავს, იმაში მდგომარეობს, რომ ამ პრინციპის მიხედვით, სამოქალაქო პასუხისმგებლობა უნდა დადგეს არამართლზომიერი მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის, ბრალის ფორმისა და სხვა ფაქტების გათვალისწინებით. სამოქალაქო პასუხისმგებლობის აქ ჩამოთვლილი პირობები სამოქალაქო პასუხისმგებლობის დადგომის ყველა შემთხვევისათვის ვერ იქნება გამოყენებული. კერძოდ, საზოგადოებრივად საშიში ქმედება და ბრალის ფორმები ყოველთვის ვერ განსაზღვრავენ სამოქალაქო პასუხისმგებლობას, შესაბამისად ინდივიდუალური პასუხის

<sup>1</sup> Гражданское право, часть первая, Москва — 1997г., стр.442.

<sup>2</sup> Витольд Варкалло, Ответственность по гражданскому праву, перевод с польского, Москва — 1978г., стр.95 и след.



მგებლობის პრინციპი სამოქალაქო პასუხისმგებლობის ერთიანი პრინციპი ვერ იქნება, რადგან პრინციპი იმიტომაა პრინციპი, რომ ის ყველა იმ მოვლენის ამოსავალ დებულებას უნდა წარმოადგენდეს, რომლის პრინციპიც ის თვითონ არის.

დარღვეული უფლების სრულად აღდგენის სამოქალაქო პასუხისმგებლობის პრინციპი სამოქალაქო პასუხისმგებლობის ყველა შესაძლო შემთხვევას მოიცავს, როგორც ქონებრივს, ისე პირადს, თუმცა განსხვავებულად ხდება ქონებრივი და პირადი უფლებების დაცვა და შესაბამისად განხვავებულია სამართალდამრღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების ფორმები.

დარღვეული პირადი არაქონებრივი უფლებების სრულად აღდგენა სხვადასხვა ფორმებით ხდება. ამ უფლებების აღდგენის ყველაზე გავრცელებული ფორმებია: პირადი უფლებების ალიარება; ხელმყუფის მიერ მოქმედების შეწყვეტა. მაგალითად, სხვისი სახელის უკანონოდ გამოყენების აკრძალვა; გავრცელებული პირადი უფლებების შემლახველი ცნობების უარყოფა და სხვა. მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ ამ უფლებათა სრულად აღდგენა პირობითა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი ითვალისწინებს პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის დაზარალებულის უფლებას მოითხოვოს გავრცელებული ცნობების უარყოფა; ორგანიზაციის მიერ გაცემული იმ საბუთის შეცვლა, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. უფრო მეტიც, მოსარჩელე უფლებამოსილია მოითხოვოს პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა იმავე პრესისა და გაზეთის იმავე გვერდზე და ისეთივე შრიფტით გამოქვეყნება, რომლითაც უფლების შემლახველი ცნობების პუბლიკაცია მოხდა, რაც დარღვეული პირადი უფლებების სრულად აღდგენის წარმოდგენას ქმნის. და მაინც, აღნიშნულის მიუხედავად, ძნელია მიმი თქმა, რომ სულიერად ტრამვირებული დაზარალებულის დარღვეული უფლებები სრულად აღდგა, რადგან სულიერი ტრამვის კომპენსაცია შეუძლებელია.

ხშირად ისეც ხდება, რომ პირადი არაქონებრივი უფლებების ბრალებული ხელმყუფით დაზარალებული ქონებრივ და არაქონებრივ (მორალურ) ზიანს განიცდის. სამოქალაქო კოდექსი ამ უფლებების დარღვევის წარმომობის ორ საფუძველზე მიუთითებს - კოდექსის მე-18 და 993-ე მუხლებს. ამ ნორმების შინაარსი გვაფიქრებინებს რომ მათ ზემოქმედების ერთი და იგივე ობიექტი გააჩნიათ ან სხვანაირად რომ ვთქვათ, ისინი ერთსა და იმავე ურთიერთობებს ანესრიგებენ, მაგრამ პასუხისმგებლობის ზომები განსხვავებულია. მაგალითად, საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების გამოქვეყნების შედეგად დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანი, კოდექსის 993-ე მუხლის თანახმად, სამართალდამრღვევმა სრულად უნდა აანაზღაუროს; ხოლო იგივე მოქმედებით გამოწვეული ქონებრივი ზიანის აანაზღაურება კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილით განსხვავებულია. კერძოდ, მის მიხედვით ასანაზღაურებელი ზიანის მოცულობა განისაზღვრება „იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელყოფა“. როგორც ვხედავთ, ამჯერადაც დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის სრული აანაზღაურება არ ხდება. მაგალითად: ადაბერთსა და იმავე დასახლებულ პუნქტში ყიდიან ქათმის ხორცს. ა-მ ადგილობრივ პრესაში გამოაქვეყნა ბ-ს საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები, რომ იგი საკვებად უვარგის ქათმის ხორცს ყიდის. შედეგად ბ-ს ბევრმა „კლიენტმა“, ა-სგან იყიდა ქათმის ხორცი. ამით ბ-მ განიცადა 100 ლარის ზიანი, ხოლო ა-მ მიიღო 50 ლარის მოგება. კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად ბ-ს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის აანაზღაურება არა ფაქტობრივად მიღებული ზიანის – 100 ლარის მოცულობით, არამედ – 50 ლარის მოცულობით. ანუ რა მოგებაც ამ უფლების ხელმყუფობა მიიღო.

როგორც ვნახეთ, დასახელებული ნორმები პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრისას ურთიერთსანინააღმდეგო დებულებებს ანესებენ. ვფირობთ, ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად საჭიროა შესაბამისი ცვლილებების განხორციელება. სასურველია, ზიანის სრულად აანაზღაურების პრინციპის გათვალისწინებით, კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილში შევიდეს ცვლილება, რის მიხედვითაც სამართალდამრღვევს პირადი უფლებების დარღვევით გამოწვეული ქონებრივი ზიანის სრულად აანაზღაურების პასუხისმგებლობა დაკისრება.

რაც შეეხება მორალური ზიანის მოცულობის განსაზღვრას ფაქტობრივად შეუძლებელია და შესაბამისად ამ უფლების სრული აღდგენაც სიმბოლურ ხასიათს ატარებს, „მორალური ზიანის აანაზღაურების პირველ უმთავრეს მიზანს არა ხელყოფილი უფლების რესტიტუცია შეადგენს, რომელიც შეუძლებელია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ექვივალენტი არ გააჩნია, არამედ სულიერი თუ ხორციელი ტყივილის ან ხელყოფილი პიროვნული სიკეთის დადებითი ემოციებით შეცვლა. ფულადმა კომპენსაციამ უნდა უზრუნველყოს ახალი დადებითი ემოციების მეშვეობით დაზარალებულის სულიერი განონასწორება და სრულფასოვანი ჩართვა სოციალურ ურთიერთობაში. აღნიშნული შეადგენს მორალური ზიანის სატისფაქციის შინაარსს.“<sup>1</sup> სწორედ ამით არის განპირობებული, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურების შემთხვევისათვის მისი მოცულობის დადგენისათვის განუსაზღვრელ ნორმას მიმართავს. კოდექსის 413-ე მუხლში ნათქვამა, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურების მოთხოვნა შეიძლება „გონივრული და სამართლიანი აანაზღაურების სახით„.

თუ დარღვეული პირადი არაქონებრივი უფლებების მიმართ მისი სრულად აღდგენის პასუხისმგებლობის პრინციპი ბოლომდე ვერ ასრულებს თავის ფუნქციას და პირობითად ვუწოდებთ უფლების სრულად აღდგენის პრინციპს, განსხვავებული ვითარება ხელშეკრულებით და დელიქტით მიყენებული ქონებრივი ზიანის აანაზღაურებასთან მიმართებაში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი სუბიექტისათვის

<sup>1</sup> თ.ნინძე, ნიგნში — საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი პირველი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი — 1999წ., გვ.74.



მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურების პასუხისმგებლობის პრინციპის გამოხატავს 408-ე და 992-ე მუხლებით. 408-ე მუხლი გვამცნობს, რომ იმ პირზა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო აანაზღაურების მავალდებულების გარემოება.

სამოქალაქო სამართალი ზიანის აანაზღაურების ორ საშუალებას იცნობს. ეს საშუალებებია რესტიტუცია და კომპენსაცია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი უპირატესობას რესტიტუციას ანიჭებს, რაც კარგად ჩანს კოდექსის 408-ე მუხლიდან, სადაც საუბარია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენაზე; ხოლო თუ სხვადასხვა მიზეზთა გამო ეს შეუძლებელია, მაშინ ზიანის აანაზღაურება ფულადი კომპენსაციით მოხდება (კოდექსის 409-ე მუხლი). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ ფულადი კომპენსაციით ზიანის აანაზღაურებამ შეიძლება დაზარალებულის (კრედიტორის) „გამდიდრება“, გამოიწვიოს მოვალის ხაჯზე, ამიტომ ზიანის აანაზღაურებისათვის რესტიტუციას ანიჭებენ უპირატესობას.<sup>1</sup> ზიანის აანაზღაურების ამ ორ საშუალებას შორის, ვფიქრობთ, არსებითი დაპირისპირება არ არსებობს. ამიტომ როგორც პროფესორი ბ. ზოიძე წერს „სანამ მოწესრიგებული სამოქალაქო ბრუნვა, ბაზარზე საქონლის სიუხვე და მოვალისათვის მისი შეძენის სიმარტივე არ დამკვიდრდება, მანამ სასამართლოებმა დაუსაბუთებლად უარი არ უნდა უთხრან კრედიტორებს ნატურით შესრულებაზე.“<sup>2</sup>

რესტიტუცია და კომპენსაცია სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზიანის სრულად აანაზღაურების პრინციპს მაშინ ასრულებს, თუ ამ ურთიერთობებში სხვა კომპონენტები არ იქნა ჩართული. ზიანის სრულად აანაზღაურების პრინციპიდან გადახვევა განპირობებული არის ზოგჯერ ზიანის ზუსტად დაანგარიშების სირთულეებით და შეუძლებლობით, ზოგჯერაც ამგვარი გაანგარიშებების გამარტივებით და სხვა. სამოქალაქო კანონი ზიანის სრულად აანაზღაურების პრინციპიდან გადახვევის რამდენიმე მკაფიო მაგალითს იძლევა. ესენია:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლით გათვალისწინებული პირგასამტებლო. პირგასამტებლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის. პირგასამტებლო შეიძლება დაიდოს საურავის ან ჯარიმის სახით, მაგრამ ორივე შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილი არიან, კოდექსის 418-ე მუხლით, თავისუფლად განსაზღვრონ საურავისა და ჯარიმის მოცულობა. კანონი ცალსახად განმარტავს, რომ პირგასამტებლო შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს, თუმცა მხარეებს ევალებათ, არ დაანესონ შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტებლო. პირგასამტებლო, გარდა იმისა, რომ აქცესორული უფლებაა, იგი ზიანის აანაზღაურების საშუალებაცაა, მაგრამ პირგასამტებლოს გადახდით ზიანის აანაზღაურების მოვალეობა არ უქმდება (სამოქალაქო კოდექსის 419-ე მუხლის მე-2 ნაწილი). აქედან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ პირგასამტებლოთი ზიანის სრულად აანაზღაურების პასუხისმგებლობის პრინციპი ირლვევა მხოლოდ ერთი მიმართულებით – ის შეიძლება აღემატებოდეს ზიანის ნამდვილ მოცულობას.

2. ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მოვალის მიერ გადაცილებული დროისათვის მხარეთა შეთანხმებით დადგენილი პროცენტის გადახდა (სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი). მოცემული მაგალითიც ის შემთხვევაა, როდესაც მოვალეს პროცენტის გადახდის პასუხისმგებლობა ეკისრება იმის მიუხედავად, თუ რა ზიანი მიადგა კრედიტორს ვალდებულების დროული შეუსრულებლობით.

მსგავსი მაგალითების ჩამოთვლა კიდევ შეიძლება, მაგალითად - ბე, მაგრამ სანიმუშოდ ესეც კმარა იმის დასტურად, რომ მიყენებული ქონებრივი ზიანის სრულად აანაზღაურების პასუხისმგებლობის პრინციპს გამონაკლისებიც ახასიათებს. ზიანის სრულად აანაზღაურების პასუხისმგებლობის პრინციპიდან გადახვევის სხვა კატეგორიის მაგალითებს მიეკუთვნება:

3. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების გამო დაზარალებულისათვის ყოველთვიური სარჩოს გადახდის პასუხისმგებლობა (სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი).

4. დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში მის რჩენაზე მყოფი პირებისათვის სარჩოს გადახდის ვალდებულება (სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლი).

5. რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, აღმინისტრაციული პატიმრობისა და აღმინისტრაციული სხვა სახდელების არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანის აანაზღაურება (სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი).

ჩვენს მიერ 1-2 პუნქტში განხილული მაგალითებისაგან არსებითად განსხვავდება 3-5 პუნქტში მოყვანილი შემთხვევების დროს ზიანის სრულად აანაზღაურების პასუხისმგებლობის პრინციპიდან გადახვევის შინაარსი. თუ პირველ შემთხვევაში ზიანის სრულად აანაზღაურების პრინციპიდან გადახვევის განპირობებულია ზიანის გაანგარიშების სირთულეებით, მხარეთა სურვილით, რათა გამარტივებული იყოს პასუხისმგებლობის შესრულება ან როცა, უბრალოდ, არსებობს მხარეთა ნება, მეორე შემთხვევაში – 3-5 პუნქტში მითითებული შემთხვევებისას საქმე გვაქვს ერთდროულად ორი სახის ობიექტის დარღვევასთან – ქონებრივის და პირადი არაქონებრივის, რაც ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის მაგალითად

<sup>1</sup> ვიტოლდ ვარკალო, დასახელებული ლიტერატურა, გვ.96.

<sup>2</sup> ბ. ზოიძე, ნიგნში — საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მესამე, ავტორთა კოლექტივი, თბილისი — 2001წ., გვ.453.



იმ ზიანის მოცულობის განსაზღვრას, რაც უკანონო პატიმრობის შედეგად განიცადა რეაბილიტირებულ-მა პირმა.

**განზრახი ბრალი, როგორც სამოქალაქო პასუხისმგებლობის გარდაუვალობის პრინციპი.** ბრალი, როგორც პასუხისმგებლობის პირობა, რაც თანამედროვე საზოგადოებამ რომის სამართლისაგან მემკვიდრეობით მიიღო, ცივილიზაციის უდიდეს მიღწევად განიხილება. ბრალი და ბრალის ფორმების დანიშნულება ისტორიულად სხვადასხვაგვარი იყო. მაგალითად, ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ რომის სამართალი განზრახ და გაუფრთხილებელ ბრალს მკვეთრად გამიჯნავდა ერთმანეთისაგან. კერძოდ, განზრახი ბრალით წარმოშობილი ზიანისათვის დელიქტური პასუხისმებლობა დადგებოდა, ხოლო გაუფრთხილებელი ბრალისათვის სამართალდამრღვევი კვაზი დელიქტით აგებდა პასუხს. შემდგომ პერიოდში ბრალის ფორმებმა ფაქტობრივად დაკარგეს მნიშვნელობა იმ თვალსაზრისით, რომ არამართლზომიერი მოქმედებით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დადგება იმის მიუხედავად, თუ ბრალის რა ფორმასთან გვაქვს საქმე – განზრახვასთან თუ გაუფრთხილებლობასთან. ეს კარგად ჩანს თითქმის ყველა ცივილიზებული, განვითარებული ქვეყნების სამოქალაქო კოდექსებში. ფრანგული სამოქალაქო კოდექსის 1382-ე მუხლში ვკითხულობთ: პირის ნებისმიერი მოქმედება, რამაც მესამე პირს მიაყენა ზიანი, იგი უნდა აანაზღაუროს პირმა, ვისი ბრალითაც არის გამოწვეული ზიანი. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი უფრო მეტ სიზუსტეს იჩენს და პასუხისმგებლობის პირობად სამოქალაქო ბრალის ყველა ფორმაზე აკეთებს აქცენტს. კოდექსის 823-ე პარაგრაფში ნათქამია, რომ ის, ვინც მესამე პირს განზრახ ან გაუფრთხილებლად მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით სიცოცხლეს მოუსპობს ან ვნებას მიაყენებს მის ჯანმრთელობას, ხელყოფს სხვის საკუთრებას, ან სხვა უფლებებს, ვალდებულია აანაზღაუროს ამით გამოწვეული ზიანი. ამ საკითხთან მიმართებაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ყველაზე ახლოს გერმანიის სამოქალაქო კოდექსთან დგას. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი სიტყვასიტყვით იმურნებს გერმანული სამოქალაქო კოდექსის 823-ე პარაგრაფს – „პირი რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი„.

როგორც ვხედავთ, საუკუნეების განმავლობაში ბრალი მისი ფორმის მიუხედავად, სამოქალაქო პასუხისმგებლობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენდა და შესაბამისად პასუხისმგებლობის სავალდებულო (გარდაუვალ) პრინციპიად იყო მიჩნეული. თუმცა, როგორც ო. იოფე წერდა – მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ბრალი, როგორც პასუხისმგებლობის პრინციპი, თვითმიზანს არ წარმოადგენს, თუკი ცალკეულ შემთხვევებში ამ პრინციპის გამოყენება ვერ უზრუნველყოფს დასახულ მიზნებს, საჭიროა მისგან გადახვევა და პასუხისმგებლობის დაწესება ბრალის გარეშე, ან შემთხვევითი ზიანისათვის; მაგრამ ცალკეული გამონაკლისების გამო ბრალის, როგორც სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო პრინციპის უარყოფა არ შეიძლება, ასკვნის ო. იოფე!<sup>1</sup> პროფესორ ო. იოფეს მიერ ბრალის, როგორც სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო პრინციპად აღიარება სრულად შეესაბამებოდა რუსეთის 1921 წლისა და საქართველოს 1923 წლის სამოქალაქო კოდექსებს, ასევე რუსეთისა და საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო კოდექსებს.

რუსეთის 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 222-ე და 444-ე მუხლები, ასევე საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 219-ე და 457-ე მუხლები განსაზღვრავდნენ რა სამოქალაქო პასუხისმგებლობის პირობებს, ადგენდნენ, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობა დადგებოდა მხოლოდ ბრალის არსებობის შემთხვევაში იმ ბრალული პირის მიმართ, რომელმაც არ შეასრულა ვალდებულება ან არაჯეროვნად შეასრულა იგი, ან ზიანი მიაყენა მესამე პირს. როგორც პროფესორი ო. იოფეც აღნიშნავდა (ამის შესახებ წინა აბზაცში გვქონდა საუბარი), საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობა იცნობდა რამდენიმე შემთხვევას, როცა ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ვალდებულ პირს პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა ბრალის მიუხედავად. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოვალის პასუხისმგებლობა დადგებოდა არა მხოლოდ ბრალის არსებობისას, არამედ შემთხვევისთვისაც – ვალდებულების შემთხვევით შეუსრულებლობის ან შემთხვევით ზიანის მიყენებისათვის და ასევე ბრალის გარეშეც, მაგალითად, თუ ზიანი გამოწვეული იყო მომეტებული საფრთხის წყაროს მოქმედებით. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ გამოიყენებოდა სამოქალაქო ბრალის პრეზუმაცია. სისხლის სამართლის უდანაშაულობის პრეზუმაციისაგან განსხვავებით, ივარაუდება, რომ ყოველგვარი მართლსაწინააღმდეგო მოქმედება არის ბრალული მოქმედება მანამ, სანამ სანინააღმდეგო არ დამტკიცდება. სხვანაირად რომ ვთქვათ, საქმე გვაქვს სამართლდამრღვევის ბრალეულობის პრეზუმაციისათან, რაც ხელს უწყობდა ბრალის, როგორც სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო (გარდაუვალი) პრინციპის განმტკიცებას.

საქართველოსა და რუსეთის მოქმედმა სამოქალაქო კოდექსებმა ამ საკითხთან დაკავშირებით სიახლე შემოიტანეს, რაც საფუძველს გვაძლევს ახლებურად გავიაზროთ ზოგადად ბრალის, როგორც სამოქალაქო პასუხისმგებლობის გარდაუვალობის პრინციპი. სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 395-ე მუხლის თანახმად „დაუშვებელია მხარეთა წინასწარი შეთანხმება მოვალის მიერ განზრახი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურებისაგან მისი გათავისუფლების შესახებ“. იგივე პირობას ადგენს რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 პუნქტი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 395-ე მუხლისაგან განსხვავებით, ამავე კო-

<sup>1</sup> О.С.Иоффе, Ответственность по советскому гражданскому праву, Ленинград — 1955г., стр.28-29.



დექსის 410-ე მუხლი დასაშვებად მიიჩნევს მხარეთა შეთანხმებას გაუფრთხილებელი ბრალით ვალდებულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმას. ამრიგად, სამოქალაქო კოდექსმა განზრაა და გაუფრთხილებელ ბრალს განსხვავებული ფუნქციები დააკისრა. კოდექსის 410-ე მუხლის არსებობის პირობებში უკვე შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ გაუფრთხილებელი მოქმედებით ვალდებულების შეუსრულებლობა გარდაუვალად გამოიწვევს სამართალდამრღვევის პასუხისმგებლობას, რადგან კოდექსის 410-ე მუხლის საფუძველზე მხარებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა არ დადგეს; რასაც ვერ ვიტყვით იმ შემთხვევისათვის, როცა ვალდებულება არ შესრულდა განზრახი მოქმედებით.

ბრალი, როგორც პასუხისმგებლობის პრინციპი, საუკუნების განმავლობაში ყველა განვითარებული ქვეყნის სამოქალაქო კოდექსების საერთო პრინციპის წარმოადგენდა და ამიტომ, როგორც ვნახეთ, ცალკეულ გამონაკლისებსაც იცნობდა. მეტი სიზუსტისათვის საჭიროა ბრალის გამო პასუხისმგებლობის პრინციპსა და განზრახი ბრალის გამო პასუხისმგებლობის პრინციპს შორის არსებული განსხვავებების დადგენა. მათ შორის უპირველესად მნიშვნელოვანია, რომ მხოლოდ განზრახი ბრალი, როგორც პასუხისმგებლობის პრინციპი მოიცავს ზიანის ანაზღაურების ყველა შემთხვევას და გამორიცხავს გამონაკლისებს. ამრიგად, ბრალი (ზოგადად) სამოქალაქო პასუხისმგებლობის საერთო პრინციპს ქმნის; ხოლო განზრახი ბრალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის გარდაუვალი პრინციპია.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Варкалло Витольд, Ответственность по гражданскому праву, перевод с польского, Москва — 1978г.
2. Годеме Е., Общая теория обязательств, перевод с французского И.Б. Новицкого, Москва — 1948г.
3. Гражданское право, часть первая, Москва — 1997г.
4. Иоффе О.С., Ответственность по советскому гражданскому праву, Ленинград — 1955г.
5. Матвеев Г.К., Вина в советском гражданском праве, Киев — 1955г.
6. Жюлио де ла Морандьер, Гражданское право Франции, том -2, Москва — 1960г.
7. ზონდე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ავტორთა კოლექტივი, თბილისი — 20016.
8. ნინიძე თ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი — 1999წ.
9. რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, წიგნი მეოთხე, ტიტული V, ლათინურიდან თარგმნა პროფესორმა ნუგზარ სურგულაქემ, თბილისი — 2002წ.
10. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, ავტორთა კოლექტივი, თბილისი — 2001წ.

### დავით სუხიტაშვილი თეა სუხიტაშვილი

სამოქალაქო პასუხისმგებლობის კატეგორიები და პრინციპები

### რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომში განხილული გვაქვს სამოქალაქო პასუხისმგებლობის კატეგორიები და პრინციპები. აღნერილი გვაქვს მათი წარმომობა-განვითარების მოკლე ისტორია. საუბარია იმაზე, რომ ადრეულ პერიოდში ჩვენ ვხვდებით ერთიანი იურიდიული პასუხისმგებლობის ორნევრიან კლასიფიკაციას (სამოქალაქო და სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას), რაც მთლიანადაა დასაბუთებული ძველი რომის სამართლის ნორმებით, როცა ერთი მხრივ ცალკეული ფაქტობრივი შემადგენლობები უცილობლად მოითხოვდა სისხლის სამართლებრივი სახის სანქციის გამოყენებას, ხოლო მეორე მხრივ სახელშეკრულებო ვალდებულებები სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას წარმომობდა. ერთიანი იურიდიული პასუხისმგებლობის ორნევრიანობის მდგომარეობა თანდათანობით პრინციპულ (ცვლილებებს განიცდიდა და ბოლოს მათი გაყოფის (განცალკევების) შედეგად ჩამოყალიბდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის დამოუკიდებელი დარგები. შესაბამისად, ერთიანი იურიდიული პასუხისმგებლობაც განცალკევდა და დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის სახით დაწესდა სასჯელი, ხოლო სამოქალაქო უფლების დარღვევისათვის — ამ უფლების აღდგენის ვალდებულება.

სპეციალურ ლიტერატურაში სამოქალაქო პასუხისმგებლობის სხვადასხვა პრინციპის განიხილავთ. ბევრი მათგანი დრომოქმულია, ბევრიც თვით პრინციპის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, ამიტომ ჩვენი



ყურადღება ორ პრინციპზე არის გამახვილებული. ესენია: დარღვეული სამოქალაქო უფლების სრულად აღდგენის პრინციპი და ბრალი, როგორც პასუხისმგებლობის პრინციპი. ეს უკანასკენელი საუკუნეების განმავლობაში ყველა განვითარებული ქვეყნის სამოქალაქო სამართლის პასუხისმგებლობის საერთო პრინციპს წარმოადგენდა და ამიტომ ცალკეულ გამონაკლისებსაც იცნობდა. მეტი სიზუსტისათვის საჭიროა ბრალის გამო პასუხისმგებლობის პრინციპსა და განზრახი ბრალის გამო პასუხისმგებლობის პრინციპს შორის არსებული განსხვავებების დადგენა. მათ შორის უპირველესად მნიშვნელოვანია, რომ მხოლოდ განზრახი ბრალი, როგორც პასუხისმგებლობის პრინციპი, მოიცავს ზიანის ანაზღაურების ყველა შემთხვევას და გამორიცხავს გამონაკლისებს. ამრიგად, ბრალი (ზოგადად) სამოქალაქო პასუხისმგებლობის საერთო პრინციპს ქმნის; ხოლო განზრახი ბრალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის გარდაუვალი პრინციპია.

**Davit Sukhitashvili  
Tea Sukhitashvili**

## CATEGORIES AND PRINCIPLES OF CIVIL LIABILITY

### Summary

In the present work, we have discussed categories and principles of civil liability and described a brief history of their origin and development. The authors refer to the fact that in the early period, we meet two-member classification of an unified legal liability (civil or criminal liability), Which is fully justified by the old Roman Law, when on one hand, separate actual composition invariably required the use of criminal sanctions and on the other hand, contractual obligations give rise to civil liability. Two-member position of unified legal liability has gradually experienced significant changes and finally, as a result of their division (separation) were formed an independent civil and criminal branches. Accordingly, unified legal viability was separated and punishment was imposed for crime as a liability, but for civil rights violation-recovery of this right.

In special literature, they discuss several principles of liability. Most of them are obsolete, and many of them do not meet to the principles demands, therefore we have drawn our attention to the two principles. They are: full recovery of infringed civil rights and fault, as a principle of liability. This later had been a common principle of civil liability of every developed country for ages; therefore, separate exceptions were identified. To be more precise, it is of principal importance to determine difference between principles imposed due to fault and deliberate fault. Among them, first of all, it is important that only deliberate fault, according to the principles of responsibility, includes the compensation in all the cases and excludes the exceptions. Thus, the fault (generally) creates a general principle of civil liability; but intentional fault is inevitable principle of civil liability.



## შეგები ფინანსური

### კრიმინალური მათოდოლოგის ძირითადი ცნობები

მეთოდის ცნების ცალსახა განსაზღვრება არ არსებობს, მაგრამ ჩვენთვის ყველაზე მისალებია პროფ. გ. ლობჟანიძის მიერ ჩამოყალიბებული კონცეფცია, მისი აზრით, „მეთოდი არის მიზნისაკენ მიმავალი გზის გავლის ხერხი და სამუალება“,<sup>1</sup> მაშინ, როდესაც ჰ. ციპელიუსი მეთოდს მხოლოდ „მიზნისაკენ მიმავალ გზას“,<sup>2</sup> უწოდებს.

მკვლევართა აზრით, კრიმინალისტიკისათვის დამახასიათებელია საერთო მეცნიერული შემეცნების ლოგიკური, ასევე კერძო მეცნიერული და სპეციალური მეთოდების შესწავლა-გამოყენება. დღევანდელ პირობებში კრიმინალისტიკის არც ერთი ინსტიტუტი არ შეიძლება განვითარდეს და სრულყოფილი გახდეს, თუ არ იქნება გამოყენებული როგორც საერთო, ასევე კრიმინალისტიკური ტექნიკის, ტაქტიკის და ფალეკული დანაშაულის გამოძიებისათვის დამახასიათებელი მეთოდები.<sup>3</sup>

კრიმინალისტიკაში მეთოდი გაიგება როგორც ჭეშმარიტების თეორიული და პრაქტიკული ათვისების ფორმა, რომელიც შესასწავლი აბიექტის მოძრაობის კანონზომიერებიდან გამომდინარეობს. გამოყენებითი მეცნიერების მეთოდის შესახებ სწავლებაში პირველ ადგილზე დგას საკითხი თეორიული და მეთოდოლოგიური ცოდნის შეფარდების შესახებ. კრიმინალისტიკა, როგორც გამოყენებითი მეცნიერება, შეისწავლის ობიექტური სინამდვილის კანონზომიერებებს არა როგორც თვითმიზანს, არამედ დანაშაულის გახსნის, გამოძიების და დანაშაულობათა პრევენციის ამოცანათა გადაწყვეტის კონტექსტში. შესაბამისად კრიმინალისტიკაში არ შეიძლება იყოს „წმინდა“, „აბსოლუტური თეორიები, პრინციპები და კონცეფციები, და ყოველ თეორიულ დებულებას უნდა ჰქონდეს პრაქტიკული გამოსავალი, უნდა ემსახურებოდეს ამა თუ იმ ამოცანების გადაწყვეტას. ამიტომაც პრაქტიკით აპრობირებულ ყველა კრიმინალისტიკურ თეორიას, როგორიცაა, მაგალითად, კრიმინალისტიკური იდენტიფიკაცია, აქვს მეთოდოლოგიური მნიშვნელობა. გამოყენებით მეცნიერებაში მეთოდოლოგით განისაზღვრება ნებისმიერი თეორიის, დებულების ან კონცეფციის ფასი.

კრიმინალისტიკური თეორიისა და მეთოდოლოგის მჯიდრო კავშირი მათი გაიგივების საფუძველს წარმოადგენს და გამოიხატება მეცნიერებით დადგენილ კანონზომიერებებით. მეთოდოლოგია კი იკვლევს მეცნიერებაზე დაფუძნებული სინამდვილის შემეცნებისა და პრაქტიკული ათვისების ხერხების სისტემას. ამგვარად, მეთოდოლოგია ეფუძნება თეორიას, თეორია კი ემსახურება პრაქტიკას. მათ შორის სხვაობა გამოიხატება ფუნქციონალურ ხასიათში.

კრიმინალისტიკის მეთოდოლოგიაში მნიშვნელოვანია განსხვავდებოდეს მეცნიერული და პრაქტიკული მოქმედების ხერხები. პირველ შემთხვევაში იგულისხმება დანაშაულებრივი ქმედების კანონზომიერებათა მეცნიერული შემეცნების მეთოდების სისტემა და ამ საფუძველზე კრიმინალისტიკური ამოცანების ამოხსნის ალგორითმებისა და ვერსიების შემუშავება.

ეს არის იმ მეცნიერ-კრიმინალისტებისა და აგრეთვე სპეციალური კვლევითი ცენტრების მოღვაწეობის სფერო, რომლებიც შეისწავლიან და განაზოგადებენ დანაშაულთა გახსნის და გამოძიების პრაქტიკას. მეორე შემთხვევაში - კონკრეტული დანაშაულის გახსნის და გამოძიების ოპერაციების, ხერხებისა და მეთოდების სისტემა. ეს არის გამოძიებლის, გამომძიებელ-კრიმინალისტების, ოპერატორ-სამძებრო სამსახურების თანამშრომლების, სასამართლო ექსპერტის, მოსამართლეთა და სხვა პირების მოღვაწეობის სფერო, რომლებიც მონაწილეობენ დანაშაულის გახსნისა და გამოძიების ფუნქციების შესრულებასა და განხორციელებაში.

ამ განსაზღვრული საქმიანობის ამოცანები და შედეგები სხვადასხვავარია. ჯერ ერთი, ეს არის დანაშაულებრივი ქმედების კანონზომიერებანი, წარმოდგენილი მის ტიპობრივ კრიმინალისტიკურ დახასიათებებში (საინფორმაციო მოდულებში) და მათი გახსნისა და გამოძიების ტიპობრივი მეთოდიკები. მეორეც, ეს არის კონკრეტული ფაქტის ჭეშმარიტება, რომელიც წარმოდგენილია გახსნილი და გამოძიებული სისხლის სამართლის საქმის მასალების ფორმაში. კანონზომიერებანი, რომლებიც წარმოადგენენ კრიმინალისტიკის საგანს, წარმოდგენილია მასობრივ მოვლენებსა და შემთხვევებში. მათ შესასწავლად იყენებენ განსხვავებული დაკვირვების მეთოდებს, ჰიპოთეზების აგებას, სტატისტიკურ განზოგადებას. ამავდროულად, ფართოდ გამოიყენება სოციოლოგიის, ფინანსურის, კიბერნეტიკის, ბიოლოგიის და სხვა მეცნიერებათა სპეციალურად მომარჯვებული მეთოდები. გამოძიების პრაქტიკული მსვლელობისას მეცნიერების მიერ შემუშავებული მეთოდები ემსახურება კონკრეტული ფაქტობრივი მონაცემების დადგენის ამოცანას. ასევე მიზეზობრიობის მეცნიერული ანალიზის მეთოდს წარმოადგენს ჰიპოთეზა, რომელიც პრაქტიკული გამოძიების დროს ტრანსფორმირდება კრიმინალისტიკური ვერსიების მეთოდში. იგი შეეხება შესაბამისი პროცესუალური მოქმედებების დაგეგმვას და წარმოებას. ეს არის საგამოძიებო დათვალიერება, ექსპერტიმენტი, ადგილზე ჩვენებათა შემოწმება და სხვა. კრიმინალისტიკაში შეიმუშავებს ექსპერტული და საგამოძიებო მოქმედებების ალგორითმებს, რომელიც გამოიყენება გამოძიებისა და ექსპერტიზის ტიპობრივი სიტუაციების მიმართ. პრაქტიკული კრიმინალისტიკა იყენებს რა მეცნიერების

<sup>1</sup> გ. ლობჟანიძე, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბ. 2010 წ., გვ. 10

<sup>2</sup> ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, თბ. 2006 წ., გვ. 1

<sup>3</sup> კრიმინალისტიკა, ტ. I, თბ. 2000 წ., გვ. 28



მიერ შექმნილი ალგორითმების ბანკს, ირჩევს იმ ალგორითმების კომპინაციას, რომელიც მაქსიმალურად უზყობს ხელს მოცემული კონკრეტული გამოძიების პირობებს და გარემოებებს. იმ შემთხვევებში, როდესაც არსებული მეთოდიკა არ იძლევა პრაქტიკული ამოცანის ამოხსნის საშუალებას, გამომძიებელი ან ექსპერტი ხსნის მას ევრისტიკული მეთოდებით. ასეთი კვლევის მსვლელობისას გამოყენებული მეთოდიკა შესაბამისი საგამოძიებო ან საექსპერტო სიტუაციების შემთხვევაში შეიძლება გახდეს ახალი ტიპობრივი მეთოდიკის შემუშავების საფუძველი. ეს ამოცანა იხსნება საგამოძიებო და საექსპერტო პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე.

კრიმინალისტიკის პრაქტიკული მეთოდები არ უნდა აგვერიოს კერძო საგამოძიებო და საექსპერტო მოქმედებების მეთოდებში. უკანასკნელი თავისი შინაარსით გაცილებით ფართოა, რადგან მასში რეალიზდება არა მარტო კრიმინალისტიკის მეთოდები და რეკომენდაციები, არამედ სხვა მეცნიერებებიც, როგორიცაა; სასამართლო მედიცინა, ფსიქოლოგია, ბუღალტერია და სხვა საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერება.

კრიმინალისტიკური ცოდნის სისტემაში მეთოდოლოგია გამოიყო მისი განვითარების შედარებით გვიან სტადიაზე და გახდა ამ მეცნიერების სრულფასოვნების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი.

კრიმინალისტიკის განვითარების ისტორიაში პირველად ემპირიულ ეტაზე განხორციელდა პრაქტიკული მოქმედების მეთოდების სისტემების ფორმირება. მექებართა, დეტექტივთა, პოლიციელთა, სასამართლო გამომძიებელთა მუშაობის ხერხები თავიდანვე უნდა აგებულიყო დამხაშავეთა დანაბაშულებრივი ქმედებებისა და ქცევის კანონზომიერებათა და სტრუქტურის გათვალისწინებით. ამ ხერხების ცოდნა და სრულყოფა დამოკიდებული იყო მათი შესწავლისა და აღრიცხვის მეშვეობით. ასე მაგ., შემთხვევით დამნაშავის ამოცნობა დამახასიათებელი ნიშან-თვისებით (ე.ნ. საიდენტიფიკაციო პროცედურა) ჩანაცვლდა იდენტიფიკაციის და რეგისტრაციის სისტემით, რომლებიც დაფუძნებულია ანტროპომეტრიის, გისტოლოგიის და ოსტეოლოგიის მიერ დადგენილ ადამიანის მდგრად და ინდივიდუალურ თვისებებზე.

ასევე იდენტიფიკაციის ანუ გაიგივების მეთოდი დამახასიათებელია კრიმინალისტიკისათვის. იგი მჭიდრო კავშირშია იურისპრუდენციაში ყველაზე გავრცელებული შედარების მეთოდთან. კრიმინალისტიკის მეცნიერებაში მისი ყველა ინსტიტუტი იყენებს იდენტიფიკაციის მეთოდს იგივეობის დასადგენად ან პირიქით, იგივეობის უარყოფისათვის. ამ მეთოდის გამოყენებას საფუძვლად უდევს შედარება. იდენტიფიკაციის მეთოდის გამოყენების საფუძველზე დგინდება კონკრეტული ობიექტი, მოვლენა, ან ხდება უარყოფა.<sup>1</sup>

პროფ. ბ. ხარაზიშვილის მიხედვით, კრიმინალისტიკური იდენტიფიკაცია არის საგამომძიებლო მიზნებისათვის ობიექტის დადგენა, მათ ნიშან-თვისებათა მიხედვით, ხოლო გაიგივება ემყარება, უპირველეს ყოვლისა, გასაიგივებელ და გამაიგივებელ ობიექტებად დაყოფას.<sup>2</sup>

მეცნიერების მიერ პრაქტიკით შემოწმებული ყველაზე ეფექტური ხერხები მყარდებოდა, ანალიზებოდა, სისტემატიზირდებოდა და გადადიოდა მეცნიერული რეკომენდაციებისა და მეთოდების რიგში. ასეთი სისტემატიზაციის ნიმუშს წარმოადგენს ავსტრიელი სასამართლო გამომძიებლის გ. გროსის ნაშრომი.

თვით სწავლება მეთოდის შესახებ, რომელიც ახასიათებს კრიმინალისტიკის განვითარების თეორიულ მხარეს, ფორმირდება უფრო მეტად გვიან ეტაზზე. მეთოდის ეფექტურობა ფასდება არა კონკრეტული დანაშაულის გამოძიების შედეგების მიხედვით, არამედ ტიპობრივი კრიმინალისტიკური ამოცანის ამოხსნის კონტექსტში, მაგალითად, დანაშაულის ადგილიდან ამოღებული ნივთიერების მიკრო რაოდენობათა კვლევისას ლაზერული მიკრო სპექტრალური ანალიზის ეფექტურობა და ა.შ. ეს ავალდებულებს კრიმინალისტიკის მეთოდოლოგებს ჩაატარონ მეთოდების ინვენტარიაზცია, მონათესავე მეცნიერების მეთოდებთან მათი შეპირისპირების გზით, მისცენ მათ კლასიფიკაცია, გამოიკვლიონ კანონიერება, ეფექტურობა, ეკონომიურობა. თუ ადრე კრიმინალისტიკა ძირითადად ატარებდა პრაქტიკაში გამოყენებული ექსპერტებისა და გამომძიებლების მეთოდების რეგისტრაციასა და აღნერას, ახლა მეცნიერების განვითარების მეთოდოლოგიურ დონეზე წარმოიშვა ახალი მეთოდების პროფესიონალური და პროექტირების ამოცანა მათ შორის მათემატიკური და კომპიუტერული ტექნიკოლოგიების, ფორმალიზაციის მოდელირების ყველაზე თანამედროვე საშუალებათა გამოყენებით.

კრიმინალისტიკის მეთოდების კლასიფიკაციები ხორციელდება სხვადასხვა საფუძველზე და ემსახურება მეცნიერებისა და პრაქტიკის ამოცანების ამოხსნას. კრიმინალისტიკურ ინფორმაციასთან მუშაობის ამოცანათა ამოსახსნელად გამოყოფილ ინფორმაციის აღმოჩენის, ფიქსაციის, დეკოდირების, ზოგადი და კერძო საინფორმაციო სისტემების ფორმირების მეთოდებს.

კრიმინალისტიკური ინფორმაციის კონკრეტული წყაროს კვლევის პროცესის ამოცანათა ამოხსნასთან შეფარდებით გამოყოფილ მეთოდებს, რომლის რეალიზაცია ხდება კვლევის სხვადასხვა სტადიაზე; ანალიტიკურზე, შეფარდებითსა და სინთეზირებაზე (შეფასებითზე). მეთოდების პროფესიონალური გამოყენების სფეროსა და სუბიექტთან შეფარდებით განასხვავებენ; საექსპერტო, საგამოძიებო, ოპერ-სამძებრო მეთოდებს, რომელთა რეალიზაცია ხდება პროფესიონალური მოღვაწეობის სხვა სფეროში, მათ შორის სასამართლო პროცესის ჩარჩოებს მიღმა.

<sup>1</sup> კრიმინალისტიკური, ტ. I, თბ. 2000 წ., გვ. 34

<sup>2</sup> ბ. ხარაზიშვილი, კრიმინალისტიკა, თბ. 1968 წ., გვ. 41



მეთოდის არჩევისა და მისი შედეგების შეფასების ამოცანებთან შედარებით არსებითი მნიშვნელობა აქვს მათ დაყოფას ორგანოლეპტიკურსა და ინსტრუმენტალურზე, ხარისხობრივსა და რაოდნობრივზე, ერთმნიშვნელოვნად დეტერმინისტულსა და ალბათობით - სტატისტიკურზე.

მეთოდოლოგიის შემდგომი სისტემატიზაცია განხორციელდება კრიმინალისტიკის მეთოდების დონეების მიხედვით, რომელშიც განასხვავებენ, ფილოსოფიურ, ზოგად მეცნიერულ და სპეციალურ დონეებს. ისინი ქმნიან მკაფიო იერარქიულ სტრუქტურას. მასში უმაღლესი დონის მეთოდები მოქმედებენ უდაბლეს მეთოდოლოგიურ დონეებზე და უზრუნველყოფენ მათ საერთო სტრატეგიულ და ორგანიზაციულ მიმართულებას. ამავდროულად უმდაბლესი მეთოდოლოგიური დონეები უზრუნველყოფენ უმაღლესი დონის მეთოდების ადაპტაციას, შესასწავლი ობიექტების სტრუქტურის თავისებურებებსა და მათი კვლევის პირობების შექმნას.

კრიმინალისტიკის ცალკეული მეთოდების დონეებად დაყოფა არ გულისხმობს მათ იზოლირებულ განხილვას, რაც გამოწვეულია მხოლოდ თეორიული ანალიზისა და გადმოცემის ხელსაყრელობით. პრაქტიკულად ნებისმიერი დონის არც ერთი მეთოდი არ გამოიყენება შეტაფიზიკურად სხვებისაგან მოწყვეტით. მათი პრაქტიკული რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ კრიმინალისტიკური მეთოდოლოგიის სისტემაში, რომელიც ადაპტირებულია კრიმინალისტიკური კვლევის ამოცანების, ობიექტებისა და პირობების მიმართ.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- გ. ლობჟანიძე, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბ. 2010 წ.
- რ. ციბელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, თბ. 2006 წ.
- კრიმინალისტიკა, ტ. I, თბ. 2000 წ.
- ბ. ხარაზიშვილი, კრიმინალისტიკა, თბ. 1968 წ.

### შენგელი ფიცხელაური

### კრიმინალისტიკური მეთოდოლოგიის ძირითადი ცნებები

#### რეზიუმე

კრიმინალისტიკაში მეთოდი გაიგება როგორც ჭეშმარიტების თეორიული და პრაქტიკული ათვისების ფორმა, რომელიც შესასწავლი იბიექტის მოძრაობის კანონზომიერებიდან გამომდინარეობს. გამოყენებითი მეცნიერების მეთოდის შესახებ სწავლებაში პირველ ადგილზე დგას საკითხი თეორიული და მეთოდოლოგიური ცოდნის შეფარდების შესახებ.

კრიმინალისტიკის მეთოდოლოგიაში მნიშვნელოვანია განსხვავდებოდეს მეცნიერული და პრაქტიკული მოქმედების ხერხები.

მეთოდოლოგიის შემდგომი სისტემატიზაცია განხორციელდება კრიმინალისტიკის მეთოდების დონეების მიხედვით, რომელშიც განასხვავებენ ფილოსოფიურ, ზოგად მეცნიერულ და სპეციალურ დონეებს.

**Shengeli Pitskhelauri**

### BASIC CONCEPTS OF CRIMINOLOGICAL METHODOLOGY

#### Summary

In criminology the method is viewed as a form of the theoretical and practical assimilation based to the target object movement regularity. In the sphere of applied science method major attention is paid to the issue of conformation of the theoretical and methodological knowledge.

In the Criminological methodology it is important to distinguish the means of the scientific and practical activities.

The farther systematization of the methodology will be fulfilled based to the Criminological method levels where we can differentiate the Philosophical, general scientific and special levels.



## სერგო ჭელიძე, ცემზარ თევდორაძე

### „პოლიგრაფი„-ს გამოყენების პროგლემები სისხლის სამართალოარმოვაში

სისხლის სამართალწარმოების დროს „პოლიგრაფი„-ს გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს იურიდიულ ლიტერატურაში არაერთი ნაშრომი მიეღვნება. აღნიშნული პრობლემა დღესაც აქტუალურია. აზრთასხვაობას ინვენს საკითხი იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა სისხლის სამართლის პროცესში აღნიშნული ტექნიკური მოწყობილობის საშუალებით მიღებული მონაცემების მტკიცებულებად გამოყენება.

„პოლიგრაფი“, ბერძნული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს „ჩანაწერთა სიმრავლეს“. [1] როგორც ინკვევა, ჯერ კიდევ ადრეული პერიოდიდან გახდა შესამჩნევი, რომ დამნაშავეს, მის მხილებასთან დაკავშირებული შიშის გამო, აღნიშნებოდა გარკვეული ფიზიოლოგიური ფუნქციების ცვლილებები. დამკვირვებლები თვალყურს ადევნებდნენ მათ დინამიკას და ფიზიოლოგიური ცვლილებების მგრძნობიარე რეგისტრატორად სხვადასხვა საშუალებებს გამოიყენებდნენ. ასე, მაგ.: ძველ ჩინეთში დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილს ბრინჯის გამოყენებით გამოცდიდნენ ხოლმე: მას პირში უყრიდნენ მშრალ ბრინჯს და ამ დროს წაუყენებდნენ ბრალს. მიიჩნეოდა, რომ თუ ბრინჯი ასეთივე დარჩებოდა (მხილების შიშისაგან ნერწყვის გამოყოფა ჩერდებოდა), მამინ ბრალი დამტკიცებულად ითვლებოდა.

აფრიკაში კი ეჭვმიტანილს ხელში აძლევდნენ ფრინველის მცირე ზომის კვერცხს, რომლის გარსიც ძალზედ ფაქიზი იყო. ხელის მცირეოდენი მოჭერის შემთხვევაშიც კი იგი შეიძლებოდა გამტყდარიყო. ეჭვმიტანილებს კვერცხი უნდა გადაეცათ ერთმანეთისათვის - მიიჩნეოდა, რომ იგი ვერ გაუძლებდა გამოცდას, კვერცხს გატეხდა და ამდენად, მოხდებოდა მისი მხილება.

ჯერ კიდევ შორეულ, 1730 წელს დიდმა რომანისტმა დანიელ დეფომ გამოაქვეყნა ტრაქტატი, რომელიც შექებოდა ლამით ქუჩაში ძარცვასა და სხვა კანონდარღვევებს. სახელგანთქმული რობინზონ კრუზოს ავტორი აყენებდა საკითხს, დამნაშავეობასთან ბრძოლის მიზნით მოეხდინათ ეჭვმიტანილის პულსის ანალიზი. როგორც ჩანს, აღნიშნული მეთოდის შესახებ ცნობილი იყო იმ დროისათვის განათლებულ ადამიანთა წრეებში.

სიცრუის გამოვლენის ინსტრუმენტული მეთოდი სათავეს იღებს იტალიელი ფიზიოლოგის, ანჯელო მოსომ ნაშრომებიდან, რომელმაც 1877 წელს სპეციალური ხელსაწყოს - პლეტიზმოგრაფის გამოყენებით დაადგინა, რომ პირისათვის ნიმუშების წარდგენა, რომელიც ბადებდა შიშს, აისახებოდა გულისცემის სიხშირეზე.

ცნობილმა იტალიელმა კრიმინალისტმა ჩეზარე ლომბროზომ 1881 წელს ეჭვმიტანილთა დაკითხვისას გამოიყენა ჰიდროსფიქმოგრაფი - ხელსაწყო, რომლის საშუალებით დიაგრამაზე ფიქსირდებოდა დასაკითხი პირის არტერიული წნევის ცვალებადობა, რაც შემდგომი დეტალური ანალიზის საშუალებას იძლეოდა. 1895 წელს მან თავის ნაშრომში - „დამნაშავე ადამიანი“, აღწერა ერთ-ერთი ძარცვის საქმეზე ჰიდროსფიქმოგრაფის გამოყენების დადებითი პრაქტიკული ცდა. „მოგვიანებით, 1902 წელს, ჩ. ლომბროზო 6 წლის მკვლელობის საქმის გამოძიებაში მონაწილეობდა. როდესაც მკვლელობაში ეჭვმიტანილ პირს მოკლული გოგონას სურათი წარუდგინეს, პულსის უეცარი ცვლილება არ დაფიქსირებულა. ამ შემოწმებით ეჭვმიტანილი უდანაშაულოდ იქნა ცნობილი“. [2]

ა. მოსომ, რომელიც ჩ. ლომბროზოსთან ერთად მუშაობდა, აღმოაჩინა, რომ ცალკეულ შემთხვევებში ასევე იცვლებოდა სუნთქვის მოდელი. 1914 წელს გრაცის (ავსტრია) უნივერსიტეტის პროფესორმა, იტალიელმა ვიტორიო ბენუსიმ, რომელიც სწავლობდა ფსიქოფიზიკის პრობლემებს, გამოაქვეყნა სუნთქვის პროცესის დინამიკის კვლევის მონაცემები: სუნთქვითი ციკლების სიხშირე და სიღრმე, ასევე ჩასუნთქვის ხანგრძლივობა ამოსუნთქვის ხანგრძლივობასთან შეფარდებით იცვლებოდა, როცა გამოსაკვლევი პირი ცრუობდა.

თანამედროვე პოლიგრაფის პირველი ხელსაწყო, რომელიც შემდგომში სისტემატურად გამოიყენებოდა დანაშაულის გამოძიებისას, 1921 წელს შექმნა ჯონ ლარსონმა. აღნიშნული აპარატი ერთდროულად აფიქსირებდა არტერიული წნევის, პულსისა და სუნთქვის დინამიკის ცვალებადობას.

1933 წელს დ. ლარსონის მოსწავლემ და ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტის დანაშაულთა გახსინის სამეცნიერო მეთოდების ლაბორატორიის თანამშრომელმა ლეონარდ კილერმა შექმნა ხელსაწყო, „რომელიც ახდენდა კანის გალავნური რეაქციის, სისხლის წნევის, სუნთქვის, პულსის რეგისტრაციას..“ [3] მან, ასევე პირველმა, შეიმუშავა აღნიშნული აპარატის მეშვეობით შემოწმების მეთოდიკა (1935 წ.). მოგვიანებით, ლ. კილერის ორგანიზებით, დაიწყო აღნიშნული პოლიგრაფის სერიული გამოშევება.

მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან კალოფორნიის პოლიცია თავის საქმიანობაში აქტიურად იყენებდა სიცრუის დეტექციის აპარატულ მეთოდს. ცოტა ხაში აღნიშნული მეთოდი სხვა შტატებშიც გამოიყენეს. 1935 წელს სიცრუის დეტექტორზე ყურადებას ამახვილებს აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიურო, რომელმაც 1938 წელს, უ. მარსტონის შემდეგ პირველად, გამოიყენა პოლიგრაფი შპიონაჟის საქმის გამოძიებისას.

30-იანი წლების ბოლოს აშშ-ში სამმა ფირმამ დაიწყო პოლიგრაფის სერიული გამოშვება. ასობით პოლიციის განყოფილება 28 შტატში აქტიურად იყენებდა აღნიშნულ მოწყობილობას თავის საქმიანობა-



ში, ხოლო ჩრდილოეთ შტატების ათეულობით ბანკი და კომერციული ფირმა მას გამოიყენებდა დასაქირავებელი ჰერსონალის შესამოწმებლად, ასევე სამსახურებრივი განხილვების პროცესში.

მეორე მსოფლიო ომის დროს ამერიკულ არმიას უკვე ჰყავდა პოლიგრაფიულობების ჯგუფი. ომის დასრულების შემდეგ, შვიდი გამოცდილი სპეციალისტისაგან შემდგარმა ჯგუფმა, სიცრუის დეტექტორზე შეამონა 274 სამხედრო ტყვე. შემონმების შედეგები არ დარჩენილა შეუმჩნეველი: აღნიშნული მეთოდი ფართოდ დაინერგა აშშ-ის არმიასა და სპეცსამსახურებში. მალე ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ დაიწყო პოლიგრაფის გამოყენება სპეციალურ პპრაციებში, ასევე კადრების შერჩევისას.

40-იანი წლების ბოლოდან აშშ-ში სიცრუის დეტექტორზე შემონმებას ექვემდებარებოდა ყველა პირი, რომელიც მუშაობას ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველოში იწყებდა. 1948 წლიდან აშშ-ის არმიამ დაიწყო პოლიგრაფიულობების მომზადება ქ. ჩიკაგოში, სადაც მდებარეობდა აღნიშნული პროფილის ერთადერთი სასწავლებელი.

აღნიშნული მიღწევები სხვა ქვეყნებშიც არ დარჩენილა შეუმჩნეველი. ასე, მაგ.: გერმანიაში ფსიქიატრმა ოტო ლივენშტეინმა შეიმუშავა ინსტრუმენტი, რომელიც ახდენდა მჯდომიარე ადამიანის მოძრაობისა და სუნთქვის რეგისტრაციას.

ევროპაში პირველად პოლიგრაფი ჩნდება პოლონეთში, სადაც 1936 წელს იგი ვარშავის ერთ-ერთმა ინსტიტუტმა შეიძინა, ხოლო 40-იანი წლების დასაწყისში - ჩინეთში, რომლისთვისაც რამდენიმე სპეციალისტი აშშ-ში მომზადდა. 1963 წლიდან პოლონეთში ამ მეთოდს იყენებდნ სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისას, გამოძიების შედეგების შესაფასებლად. ასეთი მიმართულება გამყარებულია ქვეყნის უზენაესი სასამართლოს სპეციალური გადაწყვეტილებით. ათწლეულების განმავლობაში პოლონეური უზრნალი - „კრიმინალისტიკის პრობლემები“, აქეყნებდა სტატიებს პოლიგრაფზე გამოცდის თეორიული, გამოყენებითი და სამართლებრივი ასპექტების შესახებ. ბოლო წლებში შემონმების თემატიკისადმი მიძღვნილი კვლევითი სამუშაოების ცენტრებად იქცა ტორუნის და კრაკოვის უნივერსიტეტები.[4]

ჩინეთისაგან განხსნავებით, იაპონია დამოუკიდებლად აწარმოებდა 20-იან წლებში დაწყებული სიცრუის დეტექციის აპარატული მეთოდის გამოყვლევას: ფსიქოლოგებმა აკამაცუმ და ტოგავამ შეისწავლეს კანის ელექტრული თვისებების ცვლილებათა დიაგნოსტიკური შესაძლებლობები. ეს შრომა წარმატებით დასრულდა: 1937 წელს იაპონელმა მეცნიერებმა განაცხადეს საკუთარი სიცრუის დეტექტორის - ფსიქოგალვანომეტრის შექმნის თაობაზე.

პოლიგრაფზე ცდების ჩატარების ლიდერია აშშ-ი, რომლის შემდეგაც ჩატარებული კვლევების მოცულობის მიხედვით მეორე ადგილი უჭირავს კანადას. პოლიგრაფის საშუალებით მიღებული მონაცემები ამ ქვეყანაში სასამართლო განხილვის პროცესში მტკიცებულებად არ მიიღება. პოლიგრაფი აქტიურად გამოიყენება საკადრო შემონმების დროს ადმინისტრაციულ ორგანოებსა და წარმოებებში. 1978 წლიდან მისი ოპერატორების მომზადება ხდება კანადის პოლიციის სპეციალურ კურსებზე.

პოლიგრაფის ოპერატორების რაოდენობის მხრივ იაპონიას მესამე ადგილი უჭირავს. 1959 წლიდან დეტექციის შედეგები მიიღება მტკიცებულებად დაბალი ინსტანციის სასამართლოებში, ხოლო 70—იან წლებში განიხილავს უმაღლესი სასამართლოც მოსამართლის შესდეულებისამებრ. 70—იანი წლებში შუა პერიოდიდან პოლიცია ყოველწლიურად განახორციელებს 5 ათასამდე შემონმებას. ამერიკელი სპეციალისტების შეფასებით, პოლიციის მეცნიერებათა ნაციონალური ინსტიტუტი ტოკიოში ატარებს უფრო მეტ კვლევებს სიცრუის დეტექტორის სფეროში, ვიდრე ნებისმიერი სხვა ლაბორატორია მსოფლიოში.

ისრაელში ამ მეთოდის დაწერება მე-20 საუკუნის 50—იან წლებიდან იწყება. მეოთხედი საუკუნის შემდეგ ის უკვე ფართოდ გამოიყენებოდა რეგიონალური და სამხედრო პოლიციის მიერ. 80—იანი წლების დასაწყისისათვის ჩნდება პირველი ოპერატორები, რომლებიც თავიანთ სამსახურს სთავაზობენ კერძო მენარმების სფეროს. პოლიგრაფზე მიღებული ცდების შედეგები ისრაელში არ ითვლება მტკიცებულებად, ის გამოიყენება მხოლოდ, როგორც საორიენტაციო საშუალება იპერატიულ—სამძებრო საქმიანობის ჩატარების დროს. ისრაელი მეოთხე ქვეყანაა, რომელიც ამზადებს ოპერატორებს როგორც თავისი საჭიროებისათვის, ასევე სხვა მომხმარებელი ქვეყნებისთვისაც.

ინდოეთში პოლიგრაფმა ყურადღება მიიპყრო მაპათმა განდის მეცნიელობასთან დაკავშირებით. მთავრობამ პოლიციის ერთ-ერთი ოფიციერი გაგზავნა აშშ-ში პოლიგრაფის ოპერატორების სკოლაში, მაგრამ მხოლოდ 1969 წელს ინდოეთის მთავრობის გადაწყვეტილებით ცენტრალურ კრიმინალისტიკურ ლაბორატორიასთან არსებულ გამოძიების ცენტრალურ ბიუროში ჩამოყალიბდა პოლიგრაფის განყოფილება. 1974 წლიდან ეს მეთოდი თანადათან ინერგება პრაქტიკისაში. უკანასკნელ წლებში ჩატარდა 3 ათასამეტ შემონმება.

სპეციალისთა შეფასებით, 70—იანი წლების დასაწყისიდან, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნებისა, პოლიგრაფი გამოიყენებოდა მექსიკაში, ბრაზილიაში, არგენტინაში, პუერტო—რიკოში, ირანში ტაილანდში, ტაივანშია და ფილიპინებზე. ცოტა მოგვიანებთ - იუგოსლავიაშიც, ხოლო შედეგებს სასამართლოები იღებანება შვეიცარიაში, მაგრამ არა როგორც საქმის ერთადერთ და ძირითად მტკიცებულებას.

1965 წელს ამერიკის უზენაესმა სასამართლო მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, პოლიგრაფის გამოიყენება გამოსაკვლევი პირის ნების საზოგადოებრივი მე-5 შესწორების დარღვევას.

პოლიგრაფით შემონმების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია გამოსაკვლევი პირის ნებაყოფილობით თანხმობა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მაგალითად, აშშ-ი, პოლიგრაფით შემონმებისას დადგენილი შეზღუდვები არ ვრცელდება:



1. პირებზე, რომლებიც მუშაობენ დაზვერვაში, კონტრდაზვერვაში, ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოში;

2. პერსონალზე, რომელიც დაკავშირებულია თავდაცვის სამინისტროს, ატომური მრეწველობისა და ენერგეტიკის ობიექტების მომსახურებასთან;

3. ფედერალური მთავრობის, აღმინისტრაციის, თვითმმართველობის ორგანოებისა და მათი ქვე-განყოფილების წევრებზე.[5]

აშშ-ში პოლიგრაფზე შემონმება ფასიანია. ხარჯებს ანაზღაურებს შტატი, თუ გამოსაკვლევი პირი არაა ფინანსურად უზრუნველყოფილი.

სასამართლოში პოლიგრაფით შემონმება დასაშვებია, თუ შესრულებულია შემდეგი 5 პუნქტი:

1. ბრალდებული მოითხოვს პოლიგრაფზე მის შემონმებას;

2. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მიიჩნევს, რომ ბრალდებული, თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე, შეიძლება შემონმდეს პოლიგრაფზე;

3. ბრალდებული შეგნებულად უარს ამბობს უფლებებზე, რომელიც მინიჭებული აქვს კონსტიტუციის მე-5 შესწორებით;

4. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მიიჩნევს, რომ სპეციალისტი, კვალიფიციურია, ხოლო თავად შემონმების პროცედურა აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;

5. ბრალდებულის ჩვენებები მიღებული უნდა იყოს შესაძლო შემონმების შესახებ დასკვნის მიღებამდე.[6]

გასული საუკუნის 70-90-იან წლებში ბევრმა მოსამართლემ აღიარა იმ მასალების მტკიცებულებით ბაზა, რომელიც მიღებული იყო პოლიგრაფული გამოკვლევებით.

დღეისათვის, მონაცემთა ფიქსაციის ხერხების მიხედვით, პოლიგრაფი იყოფა:

ა) ანალოგიური, რომელშიც მონაცემთა ჩანერა ხდება დიაგრამულ ქაღალდზე;

ბ) ციფრული (კომპიუტერული, ელექტრო) - ჩანერა ხდება ელექტრონულ მატარებელზე პერსონალური კომპიუტერის დახმარებით.

თანამედროვე კომპიუტერული პოლიგრაფი აღჭურვილია სენსორული ბლოკით და მარეგისტრირებელი ინდიკატორით. სენსორული ბლოკის დანიშნულებაა სიგნალის მიღება ინდიკატორიდან, რომელიც ახდენს ფიზიოლოგიური პროცესების პარამეტრების რეგისტრაციას, სიგნალების გაძლიერებას და ფილტრაციას, მათ გარდაქმას ციფრულ კოდებად და შეყვანას კომპიუტერში.

ქაღალდის ან ელექტრონულ მატარებელზე ჩანერის შედეგს პოლიგრამა ეწოდება. იგი შემდეგი კომპონენტებისაგან შედგება:

ა) ფონი - მშვიდად მყოფი ადამიანის ორგანიზმი ფიზიოლოგიური პროცესების მდგომარეობა;

ბ) რეაქცია - ფიზიოლოგიური პროცესის დინამიკის შესამჩნევი ცვალებადობა. ადამიანის ორგანიზმის ინდივიდუალური თავისებურებების გამო, რეაქციის განვითარებისას შეიძლება ადგილი ჰქონდეს კონკრეტული ფუნქციის დინამიკის გაძლიერებას, შემსუბუქებას ან სტაბილიზაციას;

გ) არტეფაქტი - კონტროლირებადი ფიზიოლოგიური პროცესის დინამიკის შესამჩნევი (ფონთან შედარებით) ცვალებადობა, რომელიც უშუალოდ არაა დაკავშირებული გამოკვლევისას წარმოდგენილ სტიმულთან და საბუთდება შინაგანი და გარეგანი მაღლესტაბილიზირებელი ფაქტორების ზემოქმედებით. შინაგან ფაქტორებს განეკუთვნება ობიექტის განზრახი ან გაუფრთხილებელი მოძრაობა, ხველა, მოულოდნელი მტკიცნეული განცდა და ა. შ., ხოლო გარეგანს - ძირითადად, გარეგანი ხმოვანი ხარვეზი.

გამოკვლევის პროცესში რეგისტრირებული ფიზიოლოგიური რეაქციები არაა სპეციფიკური, ე. ი. მათი საინფორმაციო ნიშნებით არ შეიძლება ზუსტად დადგინდეს მათი გამომიწვევი პროცესის ბუნება (დადებითი ან უარყოფითი ემოცია, ტყუილი, შიში, ტკივილი და ა. შ.). ფიზიოლოგიური რეაქციის ერთა-დერთი მახასათებელი - ესაა მისი მდგრადი გამოხატულება სიტუაციურად მნიშვნელოვანი სტიმულის საპასუხოდ.[7]

როგორც ზემოთ აღინიშნა, დღემდე აზრთასხვაობას იწვევს საკითხი იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა პოლიგრაფის მეშვეობით მიღებული მონაცემები სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნას დასაშვებ მტკიცებულებად. უნდა აღინიშნოს, რომ რიგ ქვეყნებში მონაცემები, მიღებული ფსიქოფიზიოლოგიური გამოკითხვის მეშვეობით, სასამართლოების მიერ მტკიცებულებებად არ განიხილება (მაგ.: გერმანია, პოლონეთი).

კატეგორიულად კრძალავს პოლიგრაფის გამოყენებას ასევე ავსტრიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თუნდაც მის გამოყენებას ბრალდებული მოითხოვდეს.[8]

აშშ-ში არსებობს კანონი, რომლის თანახმადაც აკრძალულია ნებისმიერი მცდელობა მსგავსი გამოკითხვების ჩატარებისა.

აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში - United States v. Scheffler (1998) დაადგინა, რომ საკითხი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა პოლიგრაფის გამოყენებით მიღებული ინფორმაცია სასამართლო პროცესზე გამოყენებულ იქნას, როგორც მტკიცებულება, უნდა გადაწყდეს დამოუკიდებლად შტატებისა და ოკრუგების იურისდიქციის ფარგლებში.[9]

სასამართლოების აბსოლუტურ უმრავლესობაში პოლიგრაფით მიღებული ინფორმაცია მტკიცებულებად არ დაიმვება.



უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ცალკეული ფაქტორები, რომლებმაც, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს ფსიქოფიზიოლოგიური გამოკვლევის საბოლოო შედეგებზე:

**ა. პოლიგრაფოლოგის განათლება -** სპეციალისტის პროფესიული ცოდნის დონე და ხარისხი გადამწყვეტი ფაქტორია პოლიგრაფის მეშვეობით ფსიქოფიზიოლოგიური გამოკვლევისას.

**ბ. შედეგების არასწორი ინტერპრეტაცია -** დეტექტორი ზომავს არა ტყუილს, არამედ ორგანიზმის ფიზიოლოგიური რეაქციის ცვლილებას, რომელიც მიუთითებს გამოსაკვლევი პირისათვის წარდგენილი მონაცემების მნიშვნელობაზე. გამოკვლევისას სპეციალისტების მიერ არსებული მეთოდებისა და საბაზისო პრინციპების დაუცველობამ შესაძლებელია შეცდომებამდე მიგვიყვანოს.

**გ. გამოსაკვლევი პირის თავდაჯერება -** გამოსაკვლევი პირის ორგანიზმის რეაქცია ასახავს არა ფაქტების ნამდვილობას, არამედ მხოლოდ რჩმენას მათ ნამდვილობაში ან სიცრუუში. გამოსაცდელი პიროვნება შეიძლება ფიქრობდეს, რომ მისი ცოდნა ნამდვილია, თუმცა სინამდვილეში იგი არ ასახავს ობიექტურ რეალობას.

**დ. პოლიგრაფოლოგის თავდაჯერება -** თუ გათვალისწინებით, რომ პოლიგრაფის მეშვეობით მიღებული ინფორმაცია შეიძლება ფართოდ იქნას ინტერპრეტირებული, იმ შემთხვევებში, როდესაც ექსპერტი თავდაჯერებულია (დარწმუნებულია) გამოსაკვლევ პიროვნებასთან მიმართებაში, არსებობს არასწორი (ცრუ) დასკვნის საშიშროება.

**ე. უკუმოქმედება -** ადასტურებენ, რომ არსებობს მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც გამოსაცდელმა პირმა შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ჩვენების ფორმირებაზე, გამოიყენებს რა სპეციალისტისათვის შეუმჩნეველ მანიპულაციებს. ასე, მაგალითად, აშშ-ს და ნატოს სამხედრო მოსამსახურეთათვის არსებობს სპეციალური პროგრამა - R2I (Resistance to interrogation).

**ვ. შესამოწმებელი პირის მდგომარეობა -** შესამოწმებელი პირის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური გამოფიტვა (დაუძლურება); გამოსაკვლევი პიროვნების ფსიქიკური აშლილობის ან ამ დაავადების გამნვავების ფაზის არსებობა, დაკავშირებული გულსისხლ-ძარღვთა და სასუნთქ სისტემებთან; გამოსაცდელი პიროვნების ალკოჰოლური ან ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში ყოფნა, ძლიერმოქმედი სამკურნალო პრეპარატების ან ფსიქოაქტიური ნივთიერების რეგულარული მოხმარება, პირის მცირენლოვნება და სხვა.

2003 წელს აშშ-ს ნაციონალურმა აკადემიამ გამოაქვეყნა ანგარიში „პოლიგრაფი და სიცრუის გამოვლენა„. ნაციონალურმა აკადემიამ გამოარკვია, რომ პოლიგრაფის მეშვეობით ჩატარებული გამოკვლევების უმრავლესობა იყო „არასაიმედო, არამეცნიერული და მიკერძოებული“. ექსპერიმენტების ჩატარების შემდეგ დადგინდა, რომ სხვადასხვა მოვლენებთან მიმართებაში ადამიანთა დიდი ჯგუფის პოლიგრაფზე შემოწმება არ იძლევა შემთხვევით გამოცნობაზე უკეთეს შედეგს. ამასთან, ადამიანთა მცირერიცხვანი ჯგუფის ტესტირება დანაშაულთან მიმართებაში, იძლევა საშუალებას, გავარკვიოთ სიცრუ და სინამდვილე უფრო უკეთ, ვიდრე შემთხვევითი გამოცნობის დროს.<sup>[10]</sup>

უკუმოქმედება ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ სისხლის სამართლწარმოებისას, სასამართლო განხილვის პროცესში, პოლიგრაფის მეშვეობით მიღებული ინფორმაცია არ შეიძლება დასაშვებ მტკიცებულებად იქნას მიჩნეული, ვინაიდან იგი მხოლოდ ვარაუდს ემყარება და უტყუარად ვერ ადასტურებს სისხლის სამართლის საქმეზე არსებულ გარემოებებს.

[1] შ. ფიცხელაური, სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების და სპეციალური ცოდნის გამოყენების პრობლემა გამოძიების პროცესში (თეორია და პრაქტიკა), თბ., 2005, გვ. 151;

[2] ი. ჩეხეიძე, მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010, გვ. 149;

[3] შ. ფიცხელაური, სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების და სპეციალური ცოდნის გამოყენების პრობლემა გამოძიების პროცესში (თეორია და პრაქტიკა), თბ., 2005, გვ. 151;

[4] Ю. И. Холодный, Краткая история становления психофизиологического аппаратурного метода детекции лжи, М., 2000;

[5] В. А. Варламов, Детектор лжи, М., 2004;

[6] В. А. Варламов, Детектор лжи, М., 2004;

[7] Оглоблин С. И., Молчанов А. Ю., Инструментальная «детекция лжи»: академический курс. Ярославль, 2004, с. 464;

[8] <http://ec-dejavu.ru/p.polygraph.html>;

[9] [http://Wikipedia.org/wiki/United\\_States v. Schefer](http://Wikipedia.org/wiki/United_States_v._Schefer), 1998;

[10] The Poligraph and Lie Detection, Washington, 2003.



## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. ჩხეიძე, მტკიცებულებათა დასაშვებობის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2010;
2. შ. ფიცხელაური, სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების და სპეციალური ცოდნის გამოყენების პრობლემა გამოძიების პროცესში (თეორია და პრაქტიკა), თბ., 2005;
3. Ю. И. Холодный, Краткая история становления психофизиологического аппаратурного метода детекции лжи, М., 2000;
4. В. А. Варламов, Детектор лжи, М., 2004;
5. Оглоблин С. И., Молчанов А. Ю., Инструментальная «детекция лжи»: академический курс. Ярославль, 2004.

## ინტერნეტ გვერდები:

1. <http://ec-dejavu.ru/p.polygraph.html>;
2. [http://Wikipedia.org/wiki/United States v. Schefer](http://Wikipedia.org/wiki/United_States_v._Schefer), 1998;
3. The Poligraph and Lie Detection, [Washington, 2003](#).

**სერგო ჭელიძე  
ნუგზარი თევდორაძე**

**„პოლიგრაფი“-ს გამოყენების პრობლემები სისხლის სამართალწარმოებაში**

### რეზიუმე

სტატიაში განხილულია პოლიგრაფის გამოყენების პრობლემები სისხლის სამართალწარმოებაში. საუბარი შეეხება იმ საშუალებებსა და ტექნიკურ მოწყობილობას, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში გამოიყენებოდა ეჭვმიტანილთა სამხილებლად. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რისკებს, რომლებსაც, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს პოლიგრაფის გამოყენებისას, რას გამოც მიზანშეუწონელია სასამართლოში ამ გზით მიღებული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენება.

**Sergo Chelidze  
Nugzar Tevdoradze**

### „POLYGRAPH“ APPLICATION ISSUES IN CRIMINAL JUSTICE

#### Summary

The article deals with polygraph application issues in Criminal Justice. The authors discuss those means and technical facilities that have been used in different countries to reveal the suspect. Special attention is paid to the risks that can take place while application of polygraph. The authors conclude that because of the high probability of these risks it is unacceptable to use the information gained by this way as the evidence in trial.

# ეკონომიკური მაცნერებელი

## პირი აღაშვილი

### ეკონომიკა ომების დროს: ისტორიული გამოცდილება და დღევანდები რეალობა

კაცობრიობის ისტორია გარკვეულწილად ომების ისტორიაა, ამიტომაც ქვეყნის ეკონომიკის ომის პირობებთან „მორგების“ უმდიდრესი ისტორიული გამოცდილება არსებობს. XX-XXI საუკუნეების დიდი, თუ პატარა ომების დროს სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკის ფუნქციონირების ანალიზმა გარკვეული დახმარება უნდა გავვინიოს, რათა ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რაოდენ ფიტავს ქვეყნას და დამანგრეველ ეკონომიკურ შედეგებს ტოვებს რამდენიმედღიანი სამხედრო კონფლიქტიც კი. ამჟამად ამ ურთულესი საკითხის მცირე ანალიზს წარმოვადგენთ, რაც ამ პრობლემების შესწავლის მხოლოდ საწყის ეტაპად გვესახება. ჩვენი აზრით იმ გეოპოლიტიკურ სივრცეში, რომელშიც საქართველო იმყოფება აღნიშნული პრობლემების კვლევა განსაკუთრებით აქტუალურია. ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხები, მათ მორის ეკონომიკის მდგარადი და სტაბილური განვითარება დროის ხანგრძლივი პერიოდისთვის, მუდმივი სამეცნიერო კვლევის საგანი უნდა იყოს.

#### მეორე მსოფლიო ომის გამოცდილება

საზოგადოების განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორია გვიჩვენებს, რომ ქვეყნის პოლიტიკურ, სამხედრო, სოციალურ, კულტურულ და ა.შ. განვითარებას საბოლოო ჯამში ეკონომიკური განვითარება განსაზღვრავს.

მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ქვეყნებიდან ეკონომიკის საომარ ყაიდაზე გადაყვანის პრობლემა ყველაზე მეტად დემოკრატიულ ქვეყნების – აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის წინაშე დადგა, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთის ტერიტორიაზე უშუალოდ საბრძოლო-სახმელეთო ოპერაციები არ მიმდინარეობდა. საბაზრო ეკონომიკის ე.წ. „თავისუფლი“ სისტემიდან საომარ ყაიდაზე გადაყვანის ერთ-ერთ უპირველეს თეორეტიკოსად სამართლიანად ითვლება ცნობილი ინგლისელი მეცნიერ-ეკონომისტი ჯონ მეინარდ კეინსი, რომელმაც 1939 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი ომის პირობებში ინფლაციის თავიდან აცილების ძირითადი მიმართულებების შესახებ. მისი აზრით ომის პირობებში ინფლაციის ზრდის შეჩერებისთვის აუცილებელი იყო მოსახლეობის მსყიდველობითი შესაძლებლობების „ამოქაჩვა“ გადასახადების გაზრდის საშუალებით. ეს ლონისძიება შესაძლებელს ხდიდა ერთობლივი მოთხოვნის იმ დონეზე შეჩერებას, რა დონეზეც არის საქონლისა და მომსახურების ერთობლივი მიწოდება. კეინსის აზრით სამხედრო ხარჯების ზრდის კვალობაზე, როდესაც ფართო მოხმარების პროდუქციის წარმოება სულ უფრო მცირდება, აუცილებელია გადასახადების გაზრდა ან პირადი დანაზოგების ზრდის გარკვეული მოცულობით შეფერხება, რათა მოთხოვნა-მიწოდება მაქსიმალურად დაბალანსდეს. ამასთან ერთად, ჯონ კეინსი აუცილებლად თვლიდა: საპარაო სისტემის შემოღებას და ნორმირებულ განაწილებაზე გადასვლას, ფასებზე კონტროლს, ხელფასების „გაყინვას“ და ა.შ.

#### აშშ ეკონომიკა მეორე მსოფლიო ომის დროს

აშშ პრეზიდენტის, ფრანკლინ რუზველტის გადაწყვეტილებით 1940 წელს, მეორე მსოფლიო ომში ჩაბმამდე, შეიქმნა საკონსულტაციო კომისია, რომლის მთავარი მიზანი ქვეყნის ეკონომიკის ომისთვის მომზადება, მ.შ. ფასებზე დაკვირვება და ინფლაციის თავიდან აცილება იყო. ეს კომისია უშუალოდ პრეზიდენტს ექვემდებარებოდა. ამ კომისიის მთავარი მიზანი „კეინსიანური მეთოდების“ (საქონელზე და მომსახურებაზე ერთობლივი მოთხოვნის შემცირება გადასახადების გაზრდისა და ფასი-ხელფასის დარეგულირების გზით) ინფლაციის შეჩერება იყო.

აშშ მეორე მსოფლიო ომში 1941 წლის 7 დეკემბერს ჩაექა. მეორე დღესვე ფასები თითქმის ყველა სახის პროდუქციაზე რამდენჯერმე გაიზარდა. ამის საპასუხოდ აშშ ფასებზე კონტროლის ბიუროს ხელმძღვანელმა, ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა ჯონ კენეთ გელბრეითმა სასაქონლო ბირჟების ხელმძღვანელებს დაავალა(!!!) უპირველესი მოხმარების სასურსათო პროდუქტებზე (ხორბალი, ფევილი, კვერცხი, შექარი და სხვ.) ფასების ზრდის შეზღუდვა. ამ გადაწყვეტილებაშ მაღლევე გამოიღო შედეგი და ფასების ზრდა შეჩერდა.

ომის პერიოდში აშშ-ის ფასებზე კონტროლის ბიურო შექრის, ხორცის, ფეხსაცმლის, ბენზინის, ნატურალური კარბუკის, ავტოსაბურავების და სხვ. სასურსათო და სამრეწველო დანიშნულების პროდუქციის მკაცრად ნორმირებულ განაწილებას ახდენდა.



მაგალითად ავტოსაბურავების განაწილების ნორმირებისთვის ბიურომ აღწერა აშშ-ს ტერიტორიაზე არსებული საბურავები. კერძო ავტომობილის მფლობელებს ეკრძალებოდათ ახალი საბურავების შეძენა, ხოლო დანარჩენ მომხმარებლებს (ეკლესიები, სამგზავრო ტრანსპორტი, პოლიცია, სასწავლაო დახმარება) საბურავები ნორმის მიხედვით ეძლეოდათ.

1945 წლის ბოლოს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში მოქმედებდა ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკის განყოფილება, რომელსაც ასევე ჯონ კენეტ გელბრეითი ხელმძღვანელობდა.

### **“ბლიცკრიგის” ეკონომიკური უზრუნველყოფა**

ფაშისტურ-ბოლშევიკური ქვეყნები კი, რომელთა ეკონომიკა ცენტრალიზებულად მართვადია, როგორც წესი, ყოველთვის კარგად მომზადებული ხვდებიან ომს. ალბათ იმიტომაც, რომ ომი, გარეშე “მტრის ხატი” და ახალი ტერიტორიების დაპყრობა, ამ რეზიმების არსებობისთვის გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს. ფაშისტურ-ბოლშევიკური დიქტატორული რეზიმების ეკონომიკა თავიდანვე მომართულია ომების საწარმოებლად. დემოკრატიულმა ქვეყანამ კი უნდა შეასრულოს ძალზე რთული გადასვლა: თავისუფალი საბაზო ეკონომიკიდან – ცენტრალიზებულად რეგულირებად ეკონომიკამდე.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მეორე მსოფლიო ომის დროს, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთისგან განსხვავებით, გაცილებით ნაკლები პრობლემა ჰქონდათ სხვა მეომარ ქვეყნებს: გერმანიას, საბჭოთა კავშირს, იაპონიასა და იატალიას. ამ ქვეყნებს, სახელმწიფო მართვის დიქტატორულ-ტოტალიტარული ფორმის გამო, ათწლეულების მანძილზე ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვა (რაც ხანგრძლივი და გლობალური ომის დროს გამარჯვების ერთ-ერთი აუცილებელი ნინაპირობაა) ადრევე დანერგილი და პრობირებული ჰქონდათ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის და იაპონიის საიდუმლო დოკუმენტებიდან გაირკვა ამ ქვეყნების მეტად თავისებური და ამავე დროს ხშირად ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკა ომების დროს. 1940 წელს ბრიტანელ და ამერიკელ სამხედრო ექსპერტებს მიაჩნდათ, რომ გერმანიის ეკონომიკა სრული დატვირთვით, შესაძლებლობების ზღვარზე მუშაობდა ფრონტისთვის. აქედან გამომდინარე საპარაზო დაბომბვების შედეგად მწყორიდან გამოყვანილ თითოეულ საწარმოს გერმანიის ეკონომიკისათვის უდიდესი ზიანი უნდა მოეტანა. ომის შემდეგ აღმოჩენილი საიდუმლო დოკუმენტების შესწავლის შემდეგ კი გაირკვა, რომ გერმანიაში 1940 წელს ჯავშანმანქანების წარმოება თვეში საშუალოდ 136, 1941 წელს – 316; 1942 წელს – 516; ხოლო 1943 წელს, როდესაც მოკავშირებმა გერმანიის ტერიტორიის სისტემატური დაბომბვა დაიწყეს, თვეში უკვე 1005 ცალი იყო. ჯავშანმანქანების წარმოებამ მაქსიმალურ დონეს 1583 ცალს, 1944 წელს მიაღწია. ანალიტიკური სურათი იყო თვითმფრინავების და სხვა შეიარაღების წარმოების მხრივაც.

ამ დროს კი, 1941 წლის მონაცემებით, მხოლოდ დიდი ბრიტანეთის სამხედრო მრეწველობა თვითმფრინავების წარმოებით ორჯერ, ხოლო ტანკების წარმოებით – 1,5 ჯერ აღემატებოდა გერმანიის შესაბამის მაჩვენებლებს.

დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ გერმანიის ეკონომიკა სრულად შეესაბამებოდა მის სამხედრო დოქტორინა “ბლიცკრიგს”. კერძოდ: გერმანია, სხვა მეომარ ქვეყნებთან შედარებით იარაღის მცირე რაოდენობას ანარმოებდა, ავსებდა შეიარაღების გარკვეულ მოცულობას, რომელსაც სრულად იყენებდა უეცარი და მოულოდნელი შტევის დროს და მომავალ შეტევით ოპერაციამდე “სულს ითქვამდა”. შემდეგ კვლავ ავსებდა იარაღის და ტყვია-ნამლის გარკვეულ მოცულობას და ა.შ.

თუ შეტევითი ოპერაცია წარმატებით ვითარდება და იარაღის მარაგების შესავსებად პაუზაც საკმაოა, მაშინ რა აუცილებელია მთელი ეკონომიკის სამხედრო პროდუქციის წარმოებით ძალზე გადატვირთვა? ამგვარი ტაქტიკა პარალელურად ფართო მოხმარების პროდუქციის სტაბილურად წარმოების საშუალებასაც იძლევა.

ასე იყო მეორე მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე. შემდეგ კი გამოჩნდა, რომ გერმანიის ეკონომიკა ლოკალურ ომზე და სწრაფ გამარჯვებაზე იყო “მომართული” და არ იყო მზად ტოტალური და ხანგრძლივი ომისთვის.

საბჭოთა კავშირთან ომის წინ გერმანია უფრო სერიოზულად ემზადებოდა, თუმცა ესეც ეკონომიკის განსაკუთრებული დაძაბვის გარეშე ხდებოდა. საინტერესოა, რომ ომის დაწყებიდან ორი წლის შემდეგ, ანუ 1943 წელს, გერმანიამ, მოელოდა რა ომის სწრაფ დასრულებას, შეიარაღების წარმოება შეამცირა კიდეც. ასევე საინტერესოა, რომ გერმანიაში სამუშაო ძალის რესურსების შესავსებად ქალების მობილიზაციაც კი არ მოახდინეს. ადოლფ ჰიტლერის დოქტრინა ითვალისწინებდა, რომ გერმანელი ქალის მთავარი საქმიანობა სამზარეულო, ეკლესია და ბავშვების აღზრდა ყოფილიყო. ამავე დროს ძალზე მცირე იყო სამხედრო საწარმოები სადაც ლამის ცვლა მუშაობდა.

გერმანიის განსხვავებით, იაპონიის ეკონომიკა წარმოებად სიცოცხლისუნარიანი და გამძლე აღმჩნდა საომარი ოპერაციების, უპირველესად კი საპარაზო დაბომბვების მიმართ. იაპონიის საპარაზო ძალები ძირითადად ერთძრავიანი გამანადგურებლებისაგან შედგებოდა. იმის გამო, რომ იაპონიას აღუმინი არ ჰქონდა, თვითმფრინავები მსუბუქი თუნუქისაგან მზადდებოდა. გამანადგურებლებს შასი კი არ ეხსნებოდა, არამედ სცილდებოდათ. სიმაღლის აღების შემდეგ მფრინავი სპეციალური ბერკეტის საშუალებით ძირს აგდებდა შასის. ამგვარი თვითმფრინავები სპეციალურად მფრინავი თვითმკვლელებისთვის (“კამიკაძეებისთვის”) მზადდებოდა.



## თანამედროვე ომების ეკონომიკური უზრუნველყოფა

XXI საუკუნის დასაწყისში წარმოებულმა ომებმა (ერაყი, საქართველო, ლიბანი, ლიბია, ავღანეთი) დაგვანახა, რომ დღეისათვის მეომარი ქვეყნები ცდილობენ მაქსიმალურად მოკლე დროში მიაყენონ მაქსიმალურად დიდი დანაკარგი მონინაალმდეგეს. ამიტომაც დანახარჯები თანამედროვე ომის დროს მნიშვნელოვნად განსხვავებულია ვიდრე, თუნდაც 1978-1988 წლების ერაყ-ირანის ომის დროს, როდესაც მხარეები ერთმანეთის ეკონომიკური პოტენციალის (უპირველესად კი მონინაალმდეგის ნავთობისა და ბუნებრივი გაზის საბადოების მწყობრიდან გამოყვანას და მათი მოპოვება-ტრანსპორტირების შეფერხებას) მაქსიმალურ განადგურებას საპატიო თავდასხმებითა და საარტილერით დაბომბვებით ცდილობდნენ. ამჟამად თანამედროვე ომების თეორეტიკოსებს მიაჩინათ, რომ სამხედრო დაპირისპირებას სწრაფი სამხედრო ოპერაციის სახე უნდა ჰქონდეს მინიმალური ადამიანური დანაკარგებითა და ეკონომიკური დანახარჯებით. ეკონომიკური ზიანის მინიმიზაცია უნდა მოხდეს, როგორც გლობალურ (მსოფლიო საფინანსო და სასაქონლო ბაზრებზე), ასევე ლოკალურ (საბედრო ოპერაციის მნარმოებელი ქვეყნის შიგნით) დონეებზე.

თუმცა თეორია ერთია, ხოლო რეალობა სულ სხვაგვარადაა. XXI საუკუნის სამხედრო ოპერაციებისა და ლოკალური ომების შედეგების ანალიზი კი გვიჩვენებს, რომ:

ა. ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში ლოკალურ ომსაც კი (განსაკუთრებით სტრატეგიულად მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ რეგიონებში) შეუძლია მსოფლიოს საფონდო და სასაქონლო ბირჟებზე სერიოზული პანიკა გამოიწვიოს, რასაც ერთის მხრივ სტრატეგიულ რესურსებზე ფასების სწრაფი ზრდა, ხოლო მეორეს მხრივ ეკონომიკის ზოგიერთი დარგის (ტურიზმი, საჰაერო გადაყვანები, სამშენებლო და სასტუმრო ბიზნესი და ა.შ.) განვითრების ხანგრძლივი შეფერხება შეიძლება მოჰყვეს. ამის მაგალითია ისრაელის შექრა ლიბანში 2006 წელს, რასაც ნავთობის მსოფლიო ფასების სწრაფი ზრდა მოჰყვა; ასევე 2012 წელს საერთაშორისო ძალების მიერ ლიბიაში ჩატარებული სამხედრო ოპერაციები.

ბ. ლოკალური ომების გავლენა შიდა ეკონომიკურ პროცესებზე გამოიხატება ქვეყნის შიდა ეკონომიკური სიტუაციის უკიდურესად გამწვავებაში (ინფლაცია, რესურსების მარაგები შემცირება, საერთაშორისო ინვესტიციების შემცირება, უმუშევრობის ზრდა; ინფრასტრუქტურის მოშლა და ა.შ.). რისი თვალსაჩინო მაგალითია, რუსეთ-საქართველოს „აგვისტოს ომი“.

### “თუ გინდა მშვიდობა, ემზადე ომისთვის”

ეკონომიკის “საომარ ყაიდაზე” გადაყვანა და სამხედრო მოქმედებების ეკონომიკური უზრუნველყოფა უზრთულესი ამოცანაა ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლებისთვის. უცხოელი სამხედრო ექსპერტების შეფასებით საქართველოს, არც მატერიალურად, არც ფიზიკურად და არც მორალურად არ ძალუდს სამხედრო მოქმედების ხანგრძლივი დროით წარმოება. სამწუხაროდ ეს მოსაზრება “აგვისტოს ომმაც” დაადასტურა.

სამხედრო კონფლიქტის დროს ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება ის საკითხია, რომლის საფუძვლიანი შესწავლა და სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინება ჩვენი ქვეყნისთვის გადაუდებელ აუცილებლობად გვესახება პოტენციური სამხედრო კონფლიქტების ფინანსურ-ეკონომიკური უზრუნველყოფა და თავად საომარი მოქმედებების ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური შედეგები წინასწარ უნდა იყოს გათვლილი.

საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების ვალია გამოძებნონ სათანადო რესურსები, რათა გაფართოვდეს აღნიშნული პრობლემების მეცნიერული კვლევა და უმოკლეს ვადებში შეიქმნას საომარი მოქმედებების სამხედრო-ეკონომიკური უზრუნველყოფის კონცეპტუალური დოკუმენტები, რომლებიც შემდეგ მიზნობრივი პროგრამების ფორმას მიიღებენ.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჰანტიგტონი ს. ჯარისკაცი და სახელმწიფო: სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობათა თეორია და პოლიტიკა. თბ. 2005.
2. ჰერსტი ჰ., ტომპსონი გ., „გლობალიზაცია, კრიტიკული ანალიზი“, თბილისი 2005.
3. ბჟეზინსკი 3. ველიკა შახმათური. M. 1998.
4. გელбрეიტ ჯ. კ. Жизнь в наше время. воспоминания. M., 1986.
5. შპერ ა. Воспоминания M., 1997.
6. კისინჯერ გ. Дипломатия. M. 1997.
7. „The threat of chaos“, „FSU oil and gas monitor“ ;, 22 December 2010.



## ბესიკ ალადაშვილი

ეკონომიკა ომების დროს: ისტორიული გამოცდილება და დღევანდელი რეალობა

### რეზიუმე

ნაშრომი ეძღვნება ეროვნული ეკონომიკის უსაფრთხოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროს: ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი და სტაბილური განვითარების პრობლემებს ომებისა და შეიარაღებული კონფლიქტების დროს.

ნაშრომში მეორე მსოფლიო ომის მაგალითზე გაანალიზებულია სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა საომარი მდგომარეობის დროს.

ავტორის აზრით ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში ლოკალურ ომსაც კი (განსაკუთრებით სტრატეგიულად მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ რეგიონებში) შეუძლია შსოფლიოს საფონდო და სასაქონლო ბირჟებზე სერიოზული პანიკა გამოიწვიოს. ლოკალური ომების გავლენა შიდა ეკონომიკურ პროცესებზე გამოიხატება ქვეყნის შიდა ეკონომიკური სიტუაციის უკიდურესად გამზვავებაში (ინფლაცია, რესურსების მარაგების შემცირება, საერთაშორისო ინვესტიციების შემცირება, უმუშევრობის ზრდა; ინფრასტრუქტურის მოშლა და ა.შ.) რისი თვალსაჩინო მაგალითია, თუნდაც რუსეთ-საქართველოს „აგვისტოს ომი“.

დასკვნის სახით აღნიშნულია, რომ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების ვალია გამოძებნონ სათანადო რესურსები, რათა გაფართოვდეს აღნიშნული პრობლემების მეცნიერული კვლევა და უმოკლეს ვადებში შეიქმნას საომარი მოქმედებების სამხედრო-ეკონომიკური უზრუნველყოფის კონცეპტუალური დოკუმენტები, რომლებიც შემდეგ მიზნობრივი პროგრამების ფორმას მიიღებენ.

### Besik Aladashvili

### ECONOMY DURING THE WARS: HISTORICAL EXPERIENCE AND MODERN REALITY

#### Summary

The thesis is about one of the most important field in the economic security: Country's Economic Stable development problems during the war and armed conflicts.

According to the example of the Second World War the different countries economic policy is discussed in the thesis.

From the author's point of view, during the economic globalization even the local war (especially in the geopolitical regions of a strategic importance) could cause serious panic on the World's Fund and Stock Markets. The influence of the local wars impacts on the country's local economic situation (inflation, stock resources decrease, decrease of the international investments, the growth of the unemployment , infrastructure collapse and etc.) The vivid example is Russian-Georgian War „August War“.

In the conclusion it is admitted that the duty of the Georgian Legislation and the Government is to search suitable resources, to widen above mentioned scientific research problems and to create conceptual documents providing the military – economy in the shortest terms , which will be reformulated as aimed programs afterwards.



## ცოდარ გაგრაფიონი

### სავალუტო პაზრის ფუნქციონირებისა და ვალუტის კონვენციონალური ზოგიერთი საკითხი

საბაზრო ეკონომიკის მითხოვნათა საფუძველზე საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციისა და მსოფლიო გლობალიზაციის პროცესებში მისი ჩართულობის ინტენსიფიკაციის ამოცანებმა წინა პლანზე წამონა ის კვეყნის სავალუტო სისტემის სრულყოფისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების მეცნიერული კვლევის მნიშვნელობა. კვეყნის სავალუტო სისტემის წინაშე დგას ერთი მხრივ, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობათა გაფართოების, ინვესტიციების მოზიდვის, ეროვნული ვალუტის სტაბილურობის უზრუნველყოფის, ანგარიშსწორების და გადახდათა ხელშეწყობის, ხოლო მეორე მხრივ, კვეყნის ეკონომიკის საგარეო სავალუტო-საფინანსო რისკებისა და სხვადასხვა ნებატიური ტენდენციებისაგან დაცვის ამოცანები. სავალუტო სისტემის ეფექტური ფუნქციონირება კვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი პირობაა. მისი ფუნქციონირების ხარისხის ყველაზე განზოგადებულ მაჩვენებელს წარმოადგენს სამომხმარებლო ბაზარზე ფასების სტაბილურობა, ნაციონალური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილება მსოფლიოს წამყვან ვალუტათა მიმართ და მისი სასურველ ნიშნულზე დაფიქსირება, საგადასახდელო სისტემის ეფექტური ფუნქციონირების მაჩვენებლები. კვლავნარმოების პროცესში ეს მაჩვენებლები მჭიდროდაა ურთიერთ კავშირში და ერთმანეთს განაპირობებენ, თუმცა თითოეულ მათგანს გააჩნია ფუნქციონირების ავტონომიური სფერო, სადაც ვლინდება მათი მოქმედების მექანიზმი და კვლავნარმოების პროცესზე ზემოქმედების სპეციფიკურობა. სავალუტო რეგულირება ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია და ცენტრალური ბანკის ფუნქცია.

ზემოთ აღნიშნული საკითხები ქართველი მეცნიერების ერთი ნაწილის კვლევის საგანია. ამ მხრივ აღსანიშნავია პროფესორების: ვ. პაპავას, მ. კაკულიას, რ. ასათავანის, გ. ხელაიას, ი. მესხიას, შ. ქისტაურის, ნ. ასლამაზიშვილის, ე. ჯგერენაიას, გ. მალაშვილისა და სხვათა დამსახურება. თუმცა ეკონომიკური პროცესების განვითარების დინამიზმი, საშინაო და საგარეო ფაქტორთა მნიშვნელოვანი ცვლილებები ამ სფეროში წარმოაჩინენ სულ ახალ პრობლემებს, რომელიც საჭიროებენ ახლებურ გააზრებას და შეფასებას. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ პროფ. მ. კაკულიას მოსაზრებას იმის შესახებ, რომ, "სავალუტო სისტემის ადექვატურობაზე ბევრადაც დამოკიდებული საქართველოს ეკონომიკის საერთამორისო სასაქონლო ბაზრებთან ურთიერთქმედება, რომელიც მნიშვნელოვან წილად განაპირობებს მთლიანი შიდა პროდუქტის კვლავნარმოების ტემპებს და პროპორციებს... რაციონალური სავალუტო სისტემა ქვეყნის ეკონომიკის რეალურ სექტორში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ძლიერ სტიმულს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, იგი ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკის ზრდის და სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთ წანამდლორად უნდა მივიჩნიოთ" /მ. კაკულია, სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში, თბ., 2001წ. გვ.5-6./.

სავალუტო სისტემის ფუნქციონირების არსის გაგება არ შეიძლიბა დაყვანილ იქნას ერთ მნიშვნელზე. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ დღევანდელ მსოფლიოში სხვადასხვა ქვეყნები ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით მნიშვნელვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სხვადასხვა მათი ადგილი საერთაშორისო შრომის დანაწილებაში, კაპიტალის კვლავნარმოებაში, სავაჭრო ბრუნვაში... მათი ერთი ნაწილი ორიენტირებულია კაპიტალის გატანასა და ახალი ბაზრების ათვისებაზე, მეორე-ი-საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის, უცხოური კაპიტალის მოზიდვის, საგარეო ვალდებულებების დაფრვის, ვალუტის კონვერტირების და სხვა მსგავსი პრობლემების გადაჭრაზე. ცხადია, რომ ეს განსხვავება განაპირობებს განსხვავებას მთლიანად სავალუტო სისტემისა და მისი ცალკეული ელემენტების გამოყენებაში, იმ პოლიტიკასა და მიდგომებში, რომელიც გამომდინარებენ ამ ქვეყნების წინაშე მდგომი ეკონომიკური და სოციალური, საშინაო და საგარეო ურთიერთობებიდან.

საქართველოსათვის სავალუტო სისტემის ფუნქციონირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს ეროვნული ვალუტის, ლარის, კონვერტირებადობის და გაცვლითი კურსის ფორმირებისა და მართვის საკითხები წარმოადგენს. ზოგიერთი მეცნიერების და გაცვლითი კურსის შორის, მიგვაჩინა, რომ ვალუტის კონვერტირებადობა ერთი ქვეყნის ფულის სხვა ქვეყნის ფულზე გაცვლადობის აღმნიშვნელი ცნება და ფულის, როგორც გადახდის საშუალების იმანენტური ნიშანთვისებაა. რაც შეეხება ვალუტის გაცვლად კურსს ის გამოხატავს, გვიჩვენებს კონკრეტული დროისათვის/თარიღისათვის/ ერთი ქვეყნის ვალუტის სხვა ქვეყნის ვალუტაში გამოხატულ ღირებულებით პროპორციას, პარიტეტს.

მიუხედავად აღნიშნული განსხვავებულობისა და ვალუტის კონვერტირებადობისა, მის გაცვლით კურსებს შორის არსებობს კავშირი. ვალუტის კონვერტირება და მისი რეგულირება საბოლოო ჯამში უკავშირდება გაცვლითი კურსის რეჟიმის ცვლილებას, გაცვლით კურსზე ზემოქმედებას.

საქართველოში სავალუტო რეგულირების მთავარ სუბიექტს საქართველოს ეროვნული ბანკი წარმოადგენს, რომელიც შეიმუშავებს სავალუტო პოლიტიკას და მისი რეალიზაციის მექანიზმს. ის არეგულირებს როგორც სავალუტო ბაზრის, ასევე სავალუტო ოპერაციების ტენიკასა და აღრიცხვის საქმეს. მის ფუნქციები შედის საქართველოს ტერიტორიაზე უცხოური ვალუტის გამოყენების რეჟიმის განსაზღვრა, უცხოური ვალუტების მიმართ ეროვნული ვალუტის ოფიციალური კურსის განსაზღვრის წესისა და



გაცვლითი კურსის რეჟიმის დადგენა. ის წარმოადგენს სავალუტო კონტროლის ორგანოს. ჩვენთან სავალუტო რეგულირების და გაცვლითი კურსის დადგენის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტს სავალუტო ინტერვენციები წარმოადგენს, რაც ნიშნავს ეროვნული ბანკის მიერ უცხოური ვალუტის თავისუფალ შესყიდვა-გაყიდვას ვალუტის კურსის ცვლილებაზე ზემოქმედების მიზნით. ის სავალუტო პოლიტიკის რეალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ეროვნული ბანკი დამოუკიდებლად წყვეტის ინტერვენციის განხორციელების საკითხებს, მის მოცულობას, პერიოდს, პირობებს. დღემდე ინტერვენციების ძირითად ტიპს არასტერილური ინტერვენცია წარმოადგენს, რაც მიმოქცევაში ფულადი მასის ცვლილებასთანაა დაკავშირებული. რაც შეეხება სტერილურს, ეროვნული ბანკი მასაც მიმართავს, მაგრამ მისი როლი შედარებით მცირეა, რაც აიხსნება ფასიანი ქაღალდების ბაზრის განუვითარებლობით. არა სტერილური მეთოდით ვალუტის კურსის სასურველი ნიშნულის მიღწევას, ეროვნული ბანკი მიმოქცევაში ფულადი მასის შედარებით მოკლე ვადაში ზრდა-შემცირების ხარჯზე აღწევს. გაცვლითი კურსის ასეთი წესით რეგულირება გარკვეული საფრთხის შემცველია. ის შესაძლებელია წინააღმდეგობაში მოვიდეს სახელმწიფო ფასების პოლიტიკასთან, გამოიწვიოს მისი არა სასურველი ცვლილება, ხელი შეუწყოს ინფლაციური პროცესების გაღრმავებას, ნეგატიურად აისახოს ვალუტის მსყიდვებუნარიანობაზე. აქედან გამომდინარე, უპირატესობა სტერილურ მეთოდს უნდა მივანიჭოთ, რომლის პირობებში სავალუტო კურსის ცვლილება მიმოქცევაში ლარის მასის ზრდის გარეშე მიიღწევა, თუმცა როგორც ზემოთ ავლიშენეთ, ის გარკვეულ წინაპირობებს საჭიროებს. საქართველოში დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, როდესაც ბანკების აქტივების და პასივების მნიშვნელოვანი წანილი უცხოურ ვალუტაშია გამოხატული /ძირითადად დოლარებში/, ეროვნული ვალუტის კურსის ფორმირებაზე ხელოვნური გავლენა სიფრთხილეს საჭიროებს. მან შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას საბანკო სისტემის მდგრადობასა და კონკურენტუნარიანობას, ბაზრის სუბიექტების, მათ შორის მოსახლეობის ქონებრივ ინტერესებს. თუმცა ეს არ წინავს იმას, თითქოს საჭიროდ არ ვთვლით ეროვნული ბანკის ზედამხვედველობას ვალუტის კურსნარმოქმნაზე. ქვეყნის დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ვალუტის კურსის ფორმირების უკონტროლო „მიშვება“ შეცდომა იქნებოდა. ჩვენ მხოლოდ შესაძლო საშიშროებაზე მივუთითებთ. ბაზარზე ჩაურევლობამ შეიძლება გამოიწვიოს კურსის არა მხოლოდ არა სასურველი რყევები, არამედ მაკროეკონომიკური დესტაბილიზაციაც. ამიტომ ეროვნული ბანკის ინტერვენციები ამ შესაძლებლობის პრევენციის ღონისძიებად უნდა მივიჩნიოთ.

საკონვერსიო ოპერაციები სავალუტო ბაზარზე წარმოებს. ამ ბაზრის აგენტებია ეროვნული ბანკი, კომერციული ბანკები, ვალუტის გადამცვლელი პუნქტები. იმის გამო, რომ საქართველოს სავალუტო ბაზარი საკმარისად ლიკვიდური არაა, მას ხშირად არ ძალუდს უცხოური ვალუტის მსხვილი ნაკადების” შთანთქვა,, ეროვნული ბანკი ახორციელებს ჭარბი ვალუტის შესყიდვას და ლარის მისაღები საკურსო ნიშნულის გასაზღვრის უზრუნველყოფას. ამ ბაზრის არა საკმარისი განვითარების ნიშანია ისიც, რომ მსხვილი ბანკების, როგორც ბაზრის შემქმნელების ფუნქცია - იყვნენ სხვა ბანკებისათვის ვალუტის ყიდვა- გაყიდვის კურსების განმსაზღვრელები, განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით, არ მოქმედებს. კომერციული ბანკების მიერ სავალუტო ბირჟის გვერდის ავლით ერთმანეთზე რეალიზებული უცხოური ვალუტის მოცულობა მცირეა, რის გამოც ბანკთა შორის, ანუ სადილინგო ბაზარს არ შესწევს უნარი არსებითი გავლენა მოახდინოს კურსნარმოქმნაზე... ამ ბაზრის ეფექტურობა მნიშვნელოვანად გაიზარდა ვაჭრობის ელექტრონული სისტემის დანერგვის შემდეგ. ბანკთაშორისო სავალუტო ბირჟის როლი სავალუტო ვაჭრობაში მნიშვნელოვნად შემცირდა მას შემდეგ რაც ფუნქციონირება დაიწყო სავალუტო აუქციონმა. 2009 წლის 25 მაისიდან ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი დგინდება არა თბს-ზე დაფიქსირებული გაცვლითი კურსის მიხედვით, არამედ სავალუტო აუქციონზე დაფიქსირებულ გარიგებათა საშუალო შენობილი მაჩვენებლის მიხედვით. ამრიგად, სავალუტო აუქციონი უნდა მივიჩნიოთ ფულად-სავალუტო პოლიტიკის ინსტრუმენტად, სადაც ეროვნული ბანკი ყიდის და ყიდულობს ვალუტას, ზემოქმედებს ლარის კურსის ფორმირებაზე. სავალუტო ბაზრების უდიდეს სეგმენტს საქართველოში შიდა საბანკო ანუ კლიენტურის ბაზარი წარმოადგენს. საქართველოს სავალუტო ბაზრის ძირითად ნიშანთვისებას წარმოადგენს ის, რომ წარმოებული ოპერაციების დიდი ნაწილი საკასო, ანუ სპოტურ გარიგებებზე მოდის, რომლის შესრულების ვადა 2 სამუშაო დღეს არ აღემატება. სავალუტო ოპერაციების ასეთი შეზღუდული ხასიათი უნდა ავხსნათ ძირითადად ორი მიზეზით; ერთი, არასტაბილური ეკონომიკური გარემოთი, რომელსაც ახასიათებს მაღალი სავალუტო რისკები და რამდენადმე დიდ პერიოდისათვის ლარის გაცვლითი კურსის ცვლილების სწორი პროგნოზირების შეუძლებლობა, და მეორე, შეჯერების სისტემის არა სრულყოფილებით. ასეთი მდგომარეობა არ წარმოადგენს გამონაკლის საქართველოსათვის. ის დამახასიათებელია ტრანსფორმაციული ეკონომიკის ქვეყნების უმეტესობისათვის და აიხსნება ეკონომიკის და შესაბამისად სავალუტო ბაზრის არა სათანადო განვითარებით.

შიდა სავალუტო ბაზრის კურსნარმოქმნის პროცესზე გარკვეულ ნეგატიურ გავლენას ახდენს ვალუტის გადამცვლელი პუნქტები, რომელთა ნაწილი არა საბანკო სექტორს ქმნის და ანარმოებენ ნალიდი ვალუტით როგორც წვრილ, ასევე შედარებით მსხვილ საბითუმო ოპერაციებს. ამ ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ეგრეთ წოდებული მინი “შოკები” - უცხოური ვალუტის შესყიდვასა და გაყიდვის კურსებს შორის სხვაობის ხშირი ცვლილებები, ისე, რომ მას სულაც არა აქვს საბაზრო წონას-წორობის ფუნდამენტურ ცვლილებებთან კავშირი და ძირითადად აიხსნება ბაზრებზე პერიოდულად ვალუტის ერთჯერად მიწოდებასა და მოთხოვნას შორის მნიშვნელოვანი განსხვავებით. ხშირად აქ ჩამოყალიბებული ცვლილებები თუ რამდენიმე დღეში არ განეიტრალდა, ამა თუ იმ ზომით ვრცელდება კომ-

ერციულ ბანკებსა და სავალუტო ბირჟაზეც კი. კურსის ასეთი მყისიერი ცვლილების შემდეგ, კვლავ იწყება „დამშვიდების“, პროცესი, საწყისი კონიუტურის აღდგენა.

შიდა სავალუტო ბაზრის სპეციფიურობას წარმოადგენს ბანკთა შორისი და შიდა საბანკო ბაზრების დოლარიზაციის მაღალი დონე. გარიგებათა დიდი ნაწილი დოლარებში წარმოებს. ამას ისიც განაპირობებს, რომ ქვეყნის შიგნით რამდენადმე მსხვილი გარიგებების საგრძნობი ნაწილი დოლარებშია დენომინირებული. დოლარი ლართან ერთად ასრულებს გადახდის და დაგროვების ფუნქციებს. სხვა ვალუტების როლი შედრებით მოკრძალებულია. ქვეყნად დოლარზე მოთხოვნა-მინოდების ცვლილებები, მნიშვნელოვანი გავლენას ახდენს ეროვნული ვალუტის, ლარის გაცვლითი კურსის ჩამოყალიბებაზე, განაპირობებს მის რეევებს ეკონონიკაში რამე მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე. ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვნია თავიდან აცილებული იქნას მრავალი კურსის არსებობის შესაძლებლობა, ვინაიდან ის ენინაა მდგრება ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ეფექტური რეგულირების ამოცანებს, წარმოშობს სავალუტო სპეციალისას, სხვა ნეგატიურ მოვლენებს, რაც ენინააღმდეგება ეროვნული ბანკის მიერ ეფექტური სავალუტო-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობას, გულისხმობს სავალუტო შეზღუდვების შემოღების აუცილებლობას. ყოველივე ეს კი ენინააღმდეგება ვალუტის მცურავი კურსის პრატიკას, აღარაფერი, რომ ვთქვათ ვალუტის თავისუფლი კონვერტირებადობის მოთხოვნებზე.

მეცნიერული ნაშრომის ზოგიერთ ავტორს მიაჩნია, რომ სავალუტო კურსი უნიფიცირებულად შეიძლება მივიჩნიოთ იმ შემთხვევაში, თუ განსხვავება ოფიციალურ და საბაზო კურსებს შორის არ აღემატება პლუს მინუს 2%-ს /მ. კაკულია, სავალუტო სასტემის განვითარების პრობლემები საქართველოში, თბ., 2001წ., გვ.48/. ვეთანხმებით რა აღნიშნულ მოსაზრებას, მიგვაჩნია, რომ სავალუტო კურსი მაშინაც შეიძლება მივიჩნიოთ უნიფიცირებულად, თუ ბაზარს ხანმოკლე „შოკის“ შემდეგ, რომლის ხანგრძლივობა არ აღემატება 3 დღეს, შეუძლია დაუბრუნდეს საწყის მდგომარეობას ეროვნული ბანკის სავალუტო ინტერვენციების თუ სხვა განსაკუთრებული ზომების გარეშე, თუმცა სანამდვილეში ამის მიღწევა ხშირად ეროვნული ბანკის ჩარევით ხდება, რაც ბაზრის არასტაბილურობით აიხსნება.

ქვეყნის ვალუტის კონვერტირების საკითხი შიდა და გარე კონვერტირების გაგებას უკავშირდება, რაც ქვეყნის შიგნით და მის საზღვრებს გარეთ უცხოურ ვალუტაზე გაცვლის განსხვავებულობა აისწენდა. ლიტერატურაში ამ ცნებების განმარტებას სხვადასხვა ავტორი განსხვავებულად გვთავაზობს. მისა-ლებად მიგვაჩინა განმარტება, რომლის მიხვედვითაც შიდა კონვერტირება გულისხმობს ოფიციალურად ნებადართულ ნაღდ და უნაღდო სავალუტი გაცვლას მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე, ხოლო გარე კონვერტირებადობა - ეროვნული ვალუტის დაკანონებულ გასვლას მსოფლიო არენაზე /Бункин М.К., Семионов А. М., Основы валютных отношений М. 1998 г. Стр. 10/, თუმცა მიგვაჩინა, რომ ეს განმარტება მაინც სრულად ვერ გამოხატავს სრული კონვერტაბელობის შინაარსობლივ მხარეს. ვფიქრობთ, ვალუტა თავისუფლად კონვერტირებადია თუ ის შეუძლებდავად იცვლება სხვა ქვეყნის ვალუტაზე ქვეყნის შიგნით თუ მის გარეთ, ერთი პირობის გათვალისწინებით, საერთაშორისო სავალუტო ბაზაზე არის მასზე მოთხოვნა. ჩვენი ქვეყნის ვალუტის კონვერტაციაც დაშვებულია საზღვარგარეთ, მაგრამ მას თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას მაინც ვერ ვუწოდებთ, ვინაიდან საზღვარგარეთის სავალუტო ბაზებზე ლარი არ კოტირებს - არაა მასზე მოთხოვნა. ასეთი ვალუტათა რიცხვი მსოფლიოში დიდი არაა. ვალუტის ასეთი სტატუსი ემიტენტი ქვეყნისაგან მოითხოვს მნიშვნელივან ეკონომიკურ, ფინანსურ და პოლიტიკურ წინაპირობებს, რასაც სამწუხაროდ, საქართველო ჯერ-ჯერობით ვერ აკმაყოფილებს, ამიტომ ლარი შიდა კონვერტირებადი ვალუტების კატეგორიათა რიცხვს განიკუთვნიბა.

საქართველოს ვალუტის სრული კონვერტირებადობის მიღწევის საქეში ეტაპობრივი მნიშვნელიბა ჰქონდა იმ ღონისძიებათა ცხოვრებაში რეალიზაციას, რომლებმაც მოამზიფა ნიადაგი საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელშეკრულების VIII მუხლზე საქართველოს მისაერთებლად, რაც განხორციელდა კი-დეც 1997 წელს. ამ ღონისძიებით საერთაშორისო მასტებით აღიარებული იქნა ქართული ვალუტის შეუზღუდავი შესყიდვა-გაყიდვის შესაძლებლობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი ქვეყნების ეროვნულ ვალუტაზე, ეს კი თავისუფლად კონვერტირებადობის წინა პირობას ნარმოადგენს. თუმცა ის დღემდე შიდა კონვერტირებად ვალუტად რჩება. შიდა კონვერტირების მასაზრდოვებელ წყაროებს წარმოადგენს: რეზიდენტების საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციები, უცხოური ინვესტიციები და სესხები, საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მოსახლეობის ტრანსფერები. გასათვალისწინებელია, რომ ლარის სარტყერვო მასის დაახლოებით 80 % ნაღდი სახით მიმოიქცევა. ამიტომ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის მნიშვნელოვანი ნაწილი ნაღდი ფორმით ყალიბდება. მისი ნაწილი ხვდება ბანკებში და იცვლება უცხოურ ვალუტაზე უნაღმდო წესით. ნაწილი კი იცვლება ნაღდ ვალუტაზე როგორც ბანკებში, ასევე ვალუტის გადამცვლელ პუნქტებში, მათ შორის არა საბანკოში. მათი ხვედრითი წონა გაცვლით ოპერაციებში დიდი არ არის, მაგრამ ისინი მაინც გარკვეულად გავლენას ახდენს, კურსნარმოების მნაზე და მათი იგნორირება არ შეიძლება.



ლოვანწილად ამით უნდა აიხსნას ის გარემობა, რომ შიდა ბაზარზე უცხოური ვალუტის გაყიდვები ჭარბის მათ შესყიდვებს. ჭარბი ვალუტის მოდინების განეიტრალება და მიზოდება-მოთხოვნას შორის ბალანსის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალება ეროვნული ბანკის მიერ მისი შესყიდვებია. ასეთ ინტერვენციებს, როგორც ცნობილია, მიმოქცევაში ლარის დამატებითი გაშვება მოსდევს, რაც საკურსო რყევების საშიშროებას წარმოქმნის.

ზემოთ აღნიშნული არ ნიშავს იმას, რომ რეზიდენტებს თუ არა რეზიდენტებს არ უნდა ჰქონდეთ უცხოური ვალუტის თავისუფალი წვდომის შესაძლებლობა. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ მას თან არ სდევდეს ფულის მიმოქცევის დესტაბილიზაცია და ეკონომიკაში ეროვნული ვალუტის პოზიციების შესუსტება.

ვალუტის კონვერტაციის პრობლემები გარკეულად უკავშირდება ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ უცხოური ვალუტის ფლობის რეზიმს. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა ხასიათდება მნიშვნელოვანი ლიბერალობით. ჯერ კიდევ 1992 წელის 5 მარტს საქართველოს მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება საქართველოს რესპუბლიკაში საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაციის შესახებ, რომლის მიხედვითაც ნაბისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირს მიეცა რწმუნებულ ბანკში საგალუტო ანგარიშების გახსნისა და ამ ანგარიშებზე არსებული სახსრების ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე განკარგვის უფლება / საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებანი, 1992 წლის მარტი, გვ. 17/. სავალუტო ლიბერალიზაციით უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ქვეყნისაგან განსხვავებით, მნიშვნელოვანი ნაღდი ეროვნული და უცხოური ვალუტის და საგადასხდელო დოკუმენტებში დენომინირებული სახსრების საზღვარგარეთ გატანა-შემოტანა არა თუ კონტროლდება, არამედ მათი სტატისტიკური აღრიცხვაც კი არ ხდება, რაც მიზანშენონილად არ მიგვაჩნია. მის გარეშე შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშების რეალური მოცულობის და სტრუქტურის მაჩვენებლები. მიგვაჩნია, რომ მათი აღრიცხვა / და არა კონტროლი/ უნდა წარმოებდეს. ლიბერალური რეზიმი ვრცელდება უცხოურ ინვესტიციებზეც.

ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული და სხვა ღონისძიებები, რომლებიც განხორციელდა ჩვენს ქვეყანაში საგალუტო მექანიზმის ფუნქციონირების ლიბერალიზაციის მიმართულებით, ლარს რეალურად აქცევს კონვერტირებად ვალუტად, როგორც ქვეყნის შიგნით ისე მის გარეთ, თუმცა ჩვენი ლარის კონვერტირებადმა ქვეყნის საზღვრებს გარეთ ფორმალურ ხასიათს ატარებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ლარის მცურავი გაცვლითი კურსის რეზიმის შემოღებას საფუძვლად დაედო ეროვნული ბანკის საბჭოს 1998 წლის 7 დეკემბრის დადგენილება თბილისის ბანკთაშორისო სავალუტო ბირჟაზე დოლარის მიმართ ინტერვენციების შეწყვეტის შესახებ. ამ დადგენილების მიზანს წარმოადგენდა ქვეყნად საერთაშორისო სავალუტო რეზერვების გაზრდა და ლარის კურსის შენარჩუნება ქვეყნისათვის მისაღებ ნიშნულზე. ამ მიზნით ეროვნული ბანკის მიერ შენარჩუნებული იქნა ინტერვენციები ლარის მიმართ, რაც გამოიხატა იმით, რომ დოლარის სიჭარბის შემთხვევაში მას შეუძლია შეისყიდოს მისი ჭარბი რაოდენობა, თუმცა რეგულირების ასეთი წესი ინფლაციის საშიშროების შემცველია, განსაკუთრებით ქვეყნის ბიუჯეტის დაფიციტის პირობებში. მიმოქცევაში ფულის მასის დაუსაბუთებელი ზრდა ნეგატიურად აისახება სამომხმარებლო ფასებსა და ლარის კურსზე, განაპირობებს ლარებში ნომინირებული დეპოზიტების დოლარულ ექვივალენტში გადაყვანას, ეკონომიკური აქტივობის შემცირებას, ეკონომიკაში ლარის პოზიციების შესუსტებას.

მიმოქცევაში ლარის მასის დასაბუთებული ცვლილება და უცხო ქვეყნების ვალუტათა მიმართ მისი კურსის სწორად განსაზღვრა, ქვეყნად ფასების სტაბილურობის მიღწევის და ეროვნული ვალუტის ავტორიტეტის ზრდის, ეკონომიკაში ლარის პოზიციების განმტკიცების, მისი სრული კონვერტირებადობის რეალურად მიღწევის აუცილებელი პირობაა.

## ნოდარ ბაგრატიონი

### სავალუტო ბაზრის ფუნქციონირებისა და ვალუტის კონვერტირებადობის ზოგიერთი საკითხი

#### რეზიუმე

ნაშრომი „სავალუტო ბაზრის ფუნქციონირებისა და ვალუტის კონვერტირებადობის ზოგიერთი საკითხი“, ეხება საქართველოს საგალუტო ბაზრის ფუნქციონირების და რეგულირების თანამედროვე აქტუალურ საკითხებს. განხილულია ამ ბაზრის ინსტიტუციონალური სტრუქტურა, მისი შემადგენელი რგოლების როლი და ადგილი, ლარის კონვერტირებადობის შინაარსი და პრობლემები, მასზე მოქმედი ფაქტორები, დოლარიზაციის გავლენა მის სტაბილურობასა და საინვესტიციო პროცესებზე. დასაბუთებულია, რომ სავალუტო ბაზრის ეფექტური ფუნქციონირება, უცხო ქვეყნის ვალუტათა მიმართ მისი კურსის სწორი განსაზღვრა, ქვეყნად ფასების სტაბილურობის მიღწევის და ეროვნული ვალუტის ავტორიტეტის ზრდის, ეკონომიკაში ლარის პოზიციების განმტკიცების, მისი სრული კონვერტირებადობის რეალურად მიღწევის აუცილებელი პირობა.



Nodar Bagrationi

## FUNCTIONING OF THE FOREIGN EXCHANGE MARKET AND SOME QUESTIONS OF CURRENCY CONVERTIBILITY

### Summary

The work „functioning of the foreign exchange market and some questions of currency convertibility“ is related to the functioning of foreign exchange market and the regulation of important subjects. Author discusses the institutional structure of the market, its role and place, the content of the gel convertibility and problems, factors affecting it, the dollarization effect on its stability and investment processes. It is proved that the effective functioning of the foreign exchange market, is very important and necessary condition for correct determination of the course concerning foreign countries' currency , achieving price stability and the growth of authority of national currency, for strengthening positions of the gel, and for real achievement of its full convertibility.



დავით ვერა

**მცირე განვითარების შესაძლო პარტნერთან  
საკართველოში**

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესი, ეკონომიკის სხვა პერსპექტიულ დარგებთან ერთად, განვითარების ერთ-ერთი სტრატეგიული ამოცანა უნდა გახდეს. განვითარების ეს იმპერატივი განპირობებულია მთელი რიგი გარემოებებით, რომელიც უკავშირდება ჩვენი ქვეყნის ბიზნეს გარემოს სპეციფიკას და გეოპოლიტიკურ ამოცანებს. საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ასევე მნიშვნელოვანილად ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მიგრაციის პროცესის შემცირებას და ქვეყანაში სოციალურ სტაბილურობის დამყარებას.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2012 წლის მონაცემებით, მცირე ბიზნესში დასაქმებულია ქვეყანაში დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის მხოლოდ 29,1% და მისი ზრდის დინამიკა წლების მიხედვით არ არის პოზიტიური, უფრო მეტიც 2000 წლებან შედარებით იგი შემცირებულია 3 პროცენტული პუნქტით (2000 წელს მცირე საწარმოებში დასაქმებულთა ხვედრითმა წილმა დასაქმებულთა მთლიან რიცხვებისაში შეადგინა 32,1%)<sup>1</sup>.

ევროკავშირის ქვეყნებში შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი მცირე და საშუალო ბიზნესშია ჩართული, რაც ამ ქვეყნებს აძლევს შესაძლებლობას, მაღალი დასაქმების გზით, შეინარჩუნოს სოციალური სტაბილურობა. ევროკავშირის 6 ქვეყანაში (ესპანეთი, ნიდერლანდები, ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, იტალია) მცირე და საშუალო სანარმოებში დასაქმებულთა ხვედრითი წილი 40-70%-ის ფარგლებში მერყეობს. ამ ქვეყნებში მცირე და საშუალო სიდიდის სანარმოები შეადგენენ საწარმოთა საერთო რიცხვის 90% და ანარმობენ მთლიანი პროდუქციის მოცულობის 35-71%-ს.<sup>2</sup>

სამწუხაროდ 2000 წლიდან დღემდე საქართველოში ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები მთელ რიგ შემთხვევებში არ იყო თანმიმდევრული და სისტემური, ხოლო განხორციელებული ღონისძიებებიდან მიღებული შედეგები კი არ აღმოჩნდა ეფექტური.

მცირე ბიზნესის წარმატების ერთ-ერთი წინაპირობაა მისი პოლიტიკური რისკებისგან დაცვა. ამ რისკების ნეიტრალიზაციის გამოცდილება კი ჩვენს ქვეყანაში სამწუხაროდ ნაკლებია. პოლიტიკურ რისკებში ვგულისხმობთ როგორც გარე რისკებს (რუსეთ-საქართველოს ომი), ასევე შიდა რისკებს, რომელიც საქართველოს სინამდვილეში, ბოლო ათწლეულში დამკვიდრდა, ქონების უკანონოდ ჩამორთმევის ან და სხვა მესაკუთრებული იძულებით გადაფორმების ფორმით. ასეთმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა არა მარტო მოქმედ მცირე საწარმოებს, არამედ შეაფერხა ახალი საწარმოების შექმნისა და ამ სფეროს განვითარების დინამიკა.

2012 წლის მონაცემებით, მცირე ბიზნესის მიერ შექმნილმა პროდუქციამ ქვეყანაში მთლიანად გამოშვებული პროდუქტის მხოლოდ 10,2% შეადგინა, ხოლო საქონელბრუნვამ მთლიანი ბრუნვის მხოლოდ 9,3%. 2000 წლითან შედარებით შექმნილი პროდუქტის ხვედრითი წილი შემცირებულია მთელი 10,5%-ით, ხოლო საქონელბრუნვა – თითქმის 3-ჯერ. თუ ისევ მსოფლიო პრაქტიკას გავაანალიზებთ, ვწახავთ, რომ იაპონიის სამრეწველო პროდუქციის 55% და იაპონიის ექსპორტის 40% მცირე და საშუალო სიდიდის სანარმოებზე მოდის<sup>3</sup>. აშშ-ში მცირე სანარმოთა ხვედრითმა წილმა ერთობლივ ეროვნულ პროდუქტში 40%-ს მიაღწია<sup>4</sup>. როდესაც აშშ-ს მცირე და საშუალო ბიზნესზე ვსაუბრობთ, უპრიანი იქნება გავიხსენოთ პრეზიდენტ რონალდ რეიგანის „ნობილი ფრაზა „მცირე ბიზნესი არის ამერიკა”.

ეკონომიკის მონაპოლიზაციის მაღალი ხარისხი მცირები ბიზნესის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ბარიერია. საქართველოს ხელისუფლება ძალზედ ინერტულად ეკიდება ქართული ეკონომიკის დემოპოლიზაციის საკითხს, რის გამოც ფერხდება ბაზარზე კონკურენტული გარემოს შექმნა და არათანაბარ პირობებში დეგენერაცია და დიდი ბიზნესი. დემოპოლიზაცია უნდა შეეხოს ჩვენი ქვეყნის განვითარების ყველა სფეროს, რის შედეგადაც მივიღებთ დივერსიფიცირებული ეკონომიკური სისტემას, სადაც მცირები ბიზნესი შეძლებს ნორმალურუნებიცინირებას და განვითარებას. დივერსიფიკაციის შედეგად შესაძლებელი გახდება ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენება, მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა ეკონომიკის რესურსული ბაზა, რაც შესაძლებელს გახდის შევამციროთ იმპორტის ხვედრითი წილი ეკონომიკაში. ეს კი ძალზედ მნიშვნელოვანია ქართული ეკონომიკისთვის, რადგან იმპორტი დღეს სამნუხაროდ 3-ჯერ მეტია ვიდრე ექსპორტი. კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორ შარლოტა პერსის აზრით „დღეს არ არის მოძველებული წაროგები, დღე არის მოძველებული წარმოების მეთოდები“.

ვინაიდან მთავრობა ქვეყნის ინსტიტუციონალური სივრცის შემომქმედია, მის მიერ ამ სფეროში შექმნილი სამართლებრივი გარემო, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მცირე ბიზნესის განვითარებაზე. აქედან გამომდინარე, უმთავრესი ინსტრუმენტი, რომლითაც სახელმწიფომ მცირე ბიზნესის ხელშეწყო-

<sup>1</sup> <http://geostat.ge>

<sup>26</sup>. ბერიძევილი „მცირებიზნესისგანვითარებისმაშტაბებისაზღვარგარეთ და საქართველოში, უკრნალი „ინოვაციებიზნესში” 2010. 6. გვ. 50.

<sup>3</sup>Разумов И. Мелкие фирмы в США, журнал „Экономика и управление“, М. Наука 2007 г.

<sup>46</sup> ბ. ბერიშვილი „მცირებიზნესისგანვითარებისმაშტაბებისაზღვარგარეთდასაქართველოში, უურნალი „ინოვაციებისგარეთ“ 2010. წ. გვ. 50.

<sup>5</sup>Цуколоев С. Государственная политика модернизации и инновационный процесс в России. Журнал „Экономические науки“, М. 2010 г.



ბაზე შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს, არის კანონმდებლობა. სწორედ კანონმდებლობის ლიბერალიზაცია და ხელშეწყობა სჭირდება მცირე ბიზნესს, რათა ამ სფეროში შესაძლებელი გახდეს ახალი ინვესტიციების მოზიდვა და მთლიანობაში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება . ამ მიმართულებითაც საქართველოში არასახარბიელო მდგომარეობაა, 2012 წლს სანარმოთა მიერ განხორციელებულმა ინვესტიციებმა ფიქსირებულ აქტივებში შეადგინა 3,2 მლნ. ლარი, რაც ასე ნაწილდება: მსხვილი ბიზნესი 81,8%, საშუალო – 11,3% და მცირე ბიზნესი მხოლოდ 6,9%.<sup>1</sup>

მოქმედი კანონმდებლობით მცირე საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 20 და-საქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 0,5 მლნ. ლარს. სამწუხაროდ დღეს მომქმედმა საგადასახადო კოდექსმა გარკვეული შეღავათი დაუწესა არა მთლიანად ეკონომიკის ამ სექტორს, არამედ მხოლოდ მენარმე ფიზიკურ პირებს. კოდექსის 84 და 88 მუხლების თანახმად მიერო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდანაც ჯამური ერთობლივი შემოსავალი წლის განმავლობაში არ აღემატება 30000 ლარს, ხოლო მცირე ბიზნესის შემთხვევაში კი 100 000 ლარს.

ვფიქრობთ ასეთი მიდგომა არ არის სამართლიანი იმ მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოებისადმი, რომელებიც წარმოადგენ იურიდიულ პირებს და ასეთი შეღავათებით არ სარგებლობენ.

რადგან საქართველოს მთავრობამ საგადასახადო მიმართულებით დაიწყო მცირე ბიზნესის დახმარება, საჭიროა ამ მიმართულებით გაგრძელდეს შემდგომი მხარდაჭერა. ამ მხრივ უნდა განხორციელდეს წამახალისებელი ღონისძიებები, რისთვისაც აუცილებელია ფისკალური თვალსაზრისით ხელსაყრელი გარემოს შექმნა. ჩვენი აზრით, უფრო სამართლიანი იქნება, ნაცვლად საგადასახადო ტარიფების დაკლებისა, იურიდიულ პირებს მცირე ბიზნეში, მივცეთ საშუალება, მოახდინონ მოგების, ხოლო მენარმე ფიზიკურ პირებს, საშემოსავლო გადასახადის რეინვესტირება საკუთარ ბიზნეში. ასეთი მიდგომა სახელმწიფოს მხრიდან, ერთის მხრივ არ დაარღვევს ქვეყანაში დაბეგრის სამართლიანობის პრინციპს და მეორეს მხრივ, ეს იქნება მცირე ბიზნესისადმი მნიშვნელოვანი ფინანსური მხარდაჭერა.

შესაძლოა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტმა დაკარგოს გარკვეული შემოსავლები მცირე და საშუალო ბიზნესიდან, მაგრამ სამაგიეროდ მას აღარ დასჭირდება ამ ბიზნესის სუბსიდიორება. არანაკლებ მნიშვნელოვანია ირიბი მულტიპლიკაციური ეფექტი, რომელიც ასეთი ხელშეწყობის პირობებში ინვესტიციების ზრდის შედეგად არის შესაძლებელი. ბევრი ინვესტირისთვის მსგავსი ხელშეწყობა უდაოდ მნიშვნელოვანი იქნება და ისინი შეეცდებიან დამატებითი მოგების მიზნით, გაზარდონ საინვესტიციო აქტიურობა.

დღეს, როდესაც სახელმწიფო კერძო კაპიტალთან ერთად იღებს თანამონაწილეობას მეგა-პროექტების (ზაკლიის პროექტი, ენერგეტიკა და ა.შ.) დაფინანსებაში და ამ მიზნით იქმნება საინვესტიციო და საპარტნიორო ფონდები, უდაოდ მნიშვნელოვანია, ამ პროექტებში გათვალისწინებულ იქნას დაფინანსების გარკვეული სეგმენტი, მცირე ბიზნესის ხელშეწყობის ღონისძიებისთვის. ასეთმა მსხვილმა ინსტიტუტებმა კონკურსის საფუძველზე უნდა გამოავლინონ და დააფინანსონ მცირე ბიზნესში ინვესტიციური პროექტები, რაც მომავალში ხელს შეუწყობს საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის განვითარებას და კონკურენტუნარიანი ბაზის ჩამოყალიბებას. ეს დახმარება პირველ რიგში უნდა გულისხმდეს ამ ბიზნესისთვის ხელმისაწვდომი და შეღავათიანი სესხების მიცემას. საინვესტიციო ფონდები, რიგ შემთხვევებში შეიძლება იყვნენ უშუალოდ კრედიტორები და უმეტეს შემთხვევაში კი, გარანტირები კომერციულ ბანკებთან ფინანსურ ურთიერთობებში. ასეთი მიდგომა გააძლიერებს მცირე ბიზნესის დაკრედიტების პერსპექტივას და შესაძლებელს გახდის, ეკონომიკის შემოვიდეს უფრო მეტი კერძო კაპიტალი.

შრომის ანაზღაურების მიმართულებით მცირე ბიზნესი მნიშვნელოვანდ ჩამორჩება მსხვილ ბიზნესს. 2012 წლის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით საშუალო თვიურმა ხელფასმა მსხვილ ბიზნესში შეადგინა 928,1 ლარი, მაშინ როდესაც მცირე ბიზნესში მისი მდგრადი მომატება 338,1<sup>2</sup> ლარს. დაბალი ანაზღაურება ამცირებს მოსახლეობის ინტერესს დასაქმების ამ სფეროსადმი, რაც ნეგატიურად აისახება სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესზე. განვითარებულ ქვეყნებში, სწორედ ამ სფეროში დასაქმებული ხალხის უმრავლესობა ქმნის სამოქალაქო საზოგადოების ბირთვს და არის ქვეყანების სტაბილურობის ფუნდამენტი.

მცირე ბიზნესი თავისი იმანენტური ბუნებით ინოვაციურია, რაც განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით, მათ შორის ისეთით, როგორიცაა მცირე ბიზნესის უნარი, იყოს თავისი მაშტაბებიდან გამომდინარე მოქნილი, მობილური და ინოვაციური ქმედებისკენ მოტივირებული. მიტომაა, რომ ბევრ ქვეყანაში მისი მისიაა, შეასრულოს ეკონომიკის მთავარი საყრდენის როლი. დღეს, როდესაც საქართველოს ეკონომიკური განვითარების ვექტორი ხდება სოფლის მეურნეობა და სასოფლო სამეურნეო პროდუქტების გადამუშავება, ამ სფეროში სწორედ მცირე ბიზნესი უნდა გახდეს ეკონომიკური განვითარების მთავარი ხერხები, ხოლო სახელმწიფომ კი ამ ბიზნესი ხელი უნდა შეუწყოს, უცხო ქვეყნების ბაზრებზე გასვლა და ნდობის მოპოვებაში.

ზემოთ ჩვენ ვისაუბრეთ სახელმწიფოს როლზე მცირე ბიზნესის დახმარების და ხელშეწყობის მიმართულებით, მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება მხოლოდ სახელმწიფო იყოს წარმატების გარანტორი,

<sup>1</sup><http://geostat.ge>

<sup>2</sup><http://geostat.ge>



ძალზედ მნიშვნელოვანია, თვითონ მცირე ბიზნესში დასაქმებულმა ადამიანებმა იგრძნონ პასუხისმგებლობა საკუთარ ქმედებებთან დაკავშირებით, ხოლო ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან მათ მიერ არ უნდა იქნეს გაგებული როგორც მაამებლობა, ისინი როგორც ნებისმიერი სამეურნეო სუბიექტი, სახელმწიფოსა და კრედიტორების მიმართ უნდა აგებდნენ პასუხს ქონებით და საკუთარი აქტივებით.

2006-2011 წლებში მაღალმა ინფლაციამ მნიშვნელოვნად შეამცირა საინვესტიციო აქტიურობის პროცესი საქართველოში. ასეთ პირობებში მცირე მენარმეები ვერ ახერხებდნენ ზუსტად გაეთვალათ ინვესტიციების ეფექტიანობა, რაც ზრდიდა გაურკვეველ მოლოდინებს და აფერხებდა ამ სეგმენტში ეკონომიკური აქტიურობის პროცესს. 2008 წლის რუსეთ საქართველოს კონფლიქტმა ქვეყანა ბევრი მიმართულებით უკან დახია, რაც მაღალი პოლიტიკური რისკების გამო, მცირე ბიზნესის განვითარების პერსპექტივასაც შეეხო. მცირე მენარმეებმა დაკარგეს სტაბილურობის შეგრძნება და შესაძლებლობა, გაეთვალათ საკუთარი ფინანსური და საინვესტიციო მოქმედებები, ანუ ის სპეციულაციური რისკები, რომლის მინიმალიზირება მცირე ბიზნესისათვის უმნიშვნელოვანები ამოცანაა, რადგან სხვა შემთხვევაში შეუძლებელი იქნება ინვესტიციების განვითავსების თვალსაზრისით მომავლის განჭვრეტა.

კაპიტალის მოზიდვის მიზნით ასევე ძალზე მნიშვნელოვანია მცირე მენარმეებს გაეხსნათ სივრცე დაკრედიტების და დაზღვევის თვითორგანიზაციის მიმართულებით, რომელსაც ისინი ვერ იღებენ ამა თუ იმ სუბიექტურ თუ ობიექტურ მიზეზთა გამო, ვერც სახელმწიფოსგან და ვერც საფინანსო ბაზრის ინსტრუმენტებიდან.

შესაძლოა, როგორც ბევრ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, ჩვენთანაც შეიქმნას მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებისა და დაკრედიტების საზოგადოებები. მათ შეეძლებათ მცირე ბიზნესს პირველ ეტაპზე ალმოუჩინობ ქმედითი დახმარება და ხელი შეუწყონ მენარმეობის დაწყებაში.

### **გამოყენებულილიტერატურა:**

1. ხ. ბერიშვილი „მცირე ბიზნესის განვითარების მაშტაბები საზღვარგარეთ და საქართველოში, უურნალი „ინვაციები ბიზნესში“ 2010. წ.
2. დ. ვეკუა, ივეკუა - „საქართველოში სოციალური დაზღვევის სისტემის მაკროეკონომიკური რეგულირების გზები და მიმართულებები“ თბ., 2013 წ.
3. Разумов И. Мелкие фирмы в США, журнал „Экономика и управление“, М. Наука 2007 г.
4. Цуколоев С. Государственная политика модернизации и инновационный процесс в России. Журнал „Экономические науки“, М. 2010 г.
5. Агофонов А. „Возможные сценарии развития малого предпринательства в Российской Федерации“, „Экономические науки“, М. 2010 г.
6. <http://geostat.ge>

### **დავით ვეკუა**

#### **მცირე ბიზნესის განვითარების შესაძლო პერსპექტივები საქართველოში**

#### **რეზიუმე**

სტატიაში განხილულია საქართველოში მცირე ბიზნესის სფეროში არსებული მდგომარეობა, ხელშემშენებლი გარემოებები და მისი განვითარების შესაძლო პერსპექტივები. გაანალიზირებულია ამ სფეროში 2012 წლის მდგომარეობა და განსაზღვრულია ის რისკები, რომელებმაც შეაფერხეს ან შეზღუდეს მცირე ბიზნესის განვითარება. ჩამოყალიბებულია ის წინადადებები, რომელთა შესაძლო განხორციელების შედეგად საქართველოში მნიშვნელოვნად გაუმჯობესებდა მცირე ბიზნესის ინსტიტუციალური და საინვესტიციო სივრცე, რაც საბოლოო ჯამში გაზრდის ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს და მოსახლეობის დასაქმების დონეს.



**David Vekua**

## **POSSIBLE PERSPECTIVES OF SMALL BUSINESS DEVELOPMENT IN GEORGIA**

### **Summary**

The article deals with the present situation in the field of small business in Georgia, some hindrances and possible perspectives of its development. In this field the situation of 2012 year is analyzed and the risks which hampered or restricted the development of small business are defined. Institutional and investment area of small business in Georgia will be improved if suggestions formed are implemented which in the end will increase economic potential of the country and the level of employment of the population.



## ამინაც (სიმონ) თავართები

### ასოცირების შეთანხმება დაგეგვრის ზოგიერთი საკითხის შესახებ

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება ე.წ. „ახალი თაობის“ შეთანხმებაა, რამდენადაც, მანამდე გაფორმებული მსგავსი შეთანხმებებისგან განსხვავებით, ის ითვალისწინებს ევროკავშირთან, შესაბამისად ევროპულ კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან დაახლოების მნიშვნელოვან და რეალურ მექანიზმებს.

ასოცირების შესახებ შეთანხმება ჩაანაცვლებს 1996 წელს ხელმოწერილ „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას“ (PCA) და შექმნის საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ახალ სამართლებრივ ჩარჩოს.

უდაოა, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმება ყოვლისმომცველი და პოლიტიკურად და შინაარსობრივად უფრო ძლიერი დოკუმენტია, რომელსაც თვისობრივად ახალ დონეზე აჰყავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობა ყველა პრიორიტეტული მიმართულებით.

ასოცირების შესახებ შეთანხმება არ გულისხმობს ევროკავშირში განვითარინებას, (მაგ. თურქეთთან ასოცირების ხელშეკრულება ჯერ კიდევ 1960 წელს იქნა ხელმოწერილი, მაგრამ აღნიშნული ქვეყანა დღემდე არ წარმოადგენს ევროკავშირის წევრს). თუმცა, ასოცირების შეთანხმება ევროკავშირის კანონმდებლობასთან (acquis) დაახლოების იმდენად მაღალ დონეს ითვალისწინებს, რომ მისი ეფექტიანი განხორციელება ფაქტობრივად შეუქცევადს ხდის ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს. ამასთან, ასოცირების შესახებ შეთანხმება ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და თანდათანობითი, ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის რეალური მექანიზმია.

დარწმუნებული ვარ, რომ მიუხედავად პოსტ საბჭოთა სივრცეში (უკრაინა, მოლდოვა), უკანასკნელ პერიოდში რუსეთის მიერ ინსპირირებული მოვლენებისა, საქართველო მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნების დახმარებით, აუცილებლად მოაწერს ხელს შეთანხმებას. მაგრამ, კარგად უნდა გავიაზროთ ის, რომ შეთანხმება უამრავ ხელშემწყობ უფლებასთან ერთად, მრავალ ვალდებულებასაც წარმოშობს. უპირველესად, ძალზე მნიშვნელოვანი იქნება შეთანხმების სათანადოდ აღსრულება, რაც გულისხმობს - დათქმულ ვადებში კონკრეტული ვალდებულებების მიხედვით საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას და რაც მთავარია, მისი განხორციელების ინსტრუმენტების ევროპული „სტანდარტის“ შემოღებასა და დამკვიდრებას. იგი ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის 300-მდე სამართლებრივ აქტთან. შესაბამისად, ეტაპობრივად შესამუშავებელია ან/და შესაცვლელია საკანონმდებლო, ხორმატიული (ბრძანება, წესი, ინსტრუქცია და სხვა), ქვენორმატიული აქტების მთელი წყება, რომელმაც კანონის აღსრულების ევროპული იმპლემენტაციის მექანიზმი უნდა შექმნას. მაგრამ, რამდენადაა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება მზად ამ ცვლილებებისათვის, როცა სულ ახლახანს ანტიდისკრინიმაციული კანონის მიღებას რეალურად მცირე ჯგუფების, მაგრამ ხმამაღალი, ზეტმეტად აუიტირებული ადამიანების ვნებათაღელვა მოყვა. ან თუნდაც, მიმდინარე ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნების პერიოდში, პრაქტიკულად ყველა პოლიტიკური პარტიის წინასარჩევნო კომპანია გადასახადების შემცირებას, მაღალი შემოსავლების სოციალური და სხვა ათასნაირი შეღავათების (ხშირად არარეალური) დაპირებებს უკავშირდება. მათ შორის უფლებამოსილებებთან სრულიად შეუსაბამო. მაგ. თბილისის მერობის ერთეულთი კანდიდატი ნავთობპროდუქტებზე აქციზის გადასახადის გაუქმებით, ბენზინის გაიაფებას პირდება ამომრჩეველს, ეს იმ დროს, როცა აქციზი ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილს წარმოადგენს და მისი ოდენობის განსაზღვრა ან გაუქმება უფლებამოსილებით არა ქალაქის თვითმართველობის (მითუმეტეს არა მერის), არამედ პარლამენტის პრეროგატივას წარმოადგენს. პირიქით, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება საწვავის მაღალ სტანდარტების მოთხოვნასთან ერთად, აქციზის გადასახადის ეტაპობრივ ზრდას გამოიწვევს.

სწორედ ამიტომ, ასოცირების შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო საზოგადოების სწორად ინფორმირებასა და ჩართულობას.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება აღნიშნული პუბლიკაციის ძირითადი შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამ შეთანხმების მხოლოდ ერთი თავის (V) — ეკონომიკური თანამშრომლობისა და დაბეგვრის საკითხების განმარტებასა და გააზრებას.

ამ თავის პრემბულაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ „ევროკავშირი და საქართველო ხელს შეუწყობენ ეკონომიკური რეფორმების პროცესს თავიანთი შესაბამისი ეკონომიკების ფუნდამენტური პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა, ეკონომიკური პოლიტიკის ფორმულირებისა და იმპლემენტაციის გზით.“

დარწმუნებული ვარ, რომ შემთხვევითი არ არის ამ ჩანაწერის არცერთი სტროფი. ამ შემთხვევაში გამოვყოფი - „ეკონომიკის ფუნდამენტური პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა, ეკონომიკური პოლიტიკის ფორმულირებისა და იმპლემენტაციის მიზნებს.“

ამავე დროს, ასოცირების ხელშეკრულების ეს თავი, პრაქტიკულად უპირველესად ამ ვალდებულებებს წარმოშობს. „საქართველო უნდა მიისწოდოს და ეტაპობრივად დაუახლოოს საკუთარი ეკონომიკური, საგადასახადო და ფინანსური რეგულაციები ევროკავშირის რეგულაციებს და იმავდროულად უზრუნველყოს სწორი საგადასახადო პოლიტიკის გატარება“.



დასამალი არ არის, რომ ათეულ წელზე მეტია მსოფლიო ბანკის ყოველწლიურ მოხსენებებში საქართველოს შესახებ, თითქმის უცვლელი რჩება ფორმულირება „ქვეყანაში ჯერ კიდევ დაბალია სამენარმეო და საგადასახადო კულტურის დონე. გადამხდელთა დიდი ნაწილი გაუთვითცნობიერებულია გადასახადების გადახდის, გაანგარიშების წესებსა და რაობაში“.

ახალს არაფერს ვიტყვი, განვმარტავ - შეფასება რეალურია, შესაძლებელია უფრო მკაცრიც ყოფილიყო. სამწუხაროდ, ათეული წლებია ქვეყანაში ვერ ჩამოყალიბდა გადასახადის გადამხდელსა და გადასახადის ამკრეფის შორის უფლება მოვალეობათა თანაბარზიარი ურთიერთობები.

ასოცირების ხელშეკრულების ამ თავში, შემდგომში, ხაზგასმულია, რომ „ მხარეები ითანამშრომლებენ საგადასახადო სფეროში კარგი მმართველობის გაძლიერების კუთხით“. ალბათ ყველასათვის გასაგებია, რა იგულისხმება თანამშრომლობა - „კარგი მმართველობის გაძლიერების კუთხით“. ეს არის საგადასახადო პოლიტიკისა და ადმინისტრირების ისეთი კლიმატისა და მექნიზმების შექმნა, როცა გადასახადის გადამხდელი და გადასახადის ამკრეფი თანასწორი სუბიექტები არიან, ერთსაც და მეორესაც თავის უფლებებთან ერთად კარგად აქვს გათავისებული თავისი მოვალეები. რომ, გადასახადის ამკრეფი არა მხოლოდ, ჩასაფრებული დამსჯელი ადმინისტრაციული ორგანოა, არამედ გადამხდელის დამხმარე, მომსახურე რეკოლია.

საგადასახადო ურთიერთობათა, რეგულაციების ასეთი სტანდარტია - ევროპაში, ამ დონის თანამშრომლობის მიღწევას სერიოზული ძალისხმევა დასჭირდება.

ასოცირების ხელშეკრულების 280-ე მუხლის გათვალისწინებით, „ მხარეები აღიარებენ და ვალდებულებას იღებენ, რომ შესასრულებენ საგადასახადო სფეროს კარგი მმართველობის პრინციპებს, როგორებიცაა მაგალითად, გამჭვირვალობის, ინფორმაციის გაცვლისა და სამართლიანი საგადასახადო კონკურენციის პრინციპებს, ხელს შეუწყობენ კანონიერი საგადასახადო შემოსავლების ადმინისტრირებას, და მიღებენ ზომებს ზემოხსენებული პრინციპების ეფექტიანი შესრულებისათვის.“

იქვე 282-ე მუხლი განმარტავს, რომ „ მხარეები ასევე გააძლიერებენ და გააღრმავებენ თავიანთ თანამშრომლობას, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს საგადასახადო სისტემისა და ადმინისტრირების განვითარებას, მათ შორის, გადასახადების შეგროვებისა და კონტროლის შესაძლებლობის გაძლიერებას, უზრუნველყოფენ გადასახადების ეფექტიან შეგროვებას და გააქტიურებენ ბრძოლას საგადასახადო თალღითობისა და გადასახადებისგან თავის არიდების წინააღმდეგ.“

ამ ნაწილში განსაკუთრებული მინიშნება კეთდება აქციზურ საქონელთან დაკავშირებული თაღლითობისა და კონტრაბანდის წინააღმდეგ საპასუხო ქმედების განსახორციელებლად და მის წინააღმდეგ საპრძოლველად. ეს თანამშრომლობა მოიცავს, მათ შორის, თამბაქოს პროდუქციაზე აქციზის ტარიფების, შეძლებისდაგვარად, ეტაპობრივ დაახლოებას, ანუ ზრდას.

ამასთან ერთად, მუხლი 285-ის მიხედვით, საქართველოს ეკისრება ცალმხრივი ვალდებულება, რომელიც იმპერატიულ ნორმად ყალიბდება, რომ „მოახდენს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, ამავე სელშეკრულების XXII დანართის დებულებების შესაბამისად.“ რომელიც ამ სელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

აღნიშნული დანართი წარმოადგენს დაბეგვრის ერთიანი და რიგ შემთხვევებში განსხვავებული რეჟიმებისა და წესების, ზოგადად ინსტრუმენტების, მათ შორის საკანონმდებლო რეგულაციების ერთგვარ ჩამონათვალს, რომელიც ეტაპობრივ უზარ განხორციელდეს. მათ შორის: დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) საერთო სისტემის შესახებ. რომელიც ხუთი წლის ვადაში უნდა ამოქმედდეს.

საქართველო იღებს ვალდებულებას განსაზღვრულ ვადებში ეტაპობრივად დაუახლოოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს შემდეგ სფეროებში:

გადასახადებისგან გათავისუფლება;

ოპერაციები ევროგაერთიანების შიგნით;

იმპორტი და ექსპორტი;

საერთაშორისო ტრანსპორტი და საერთაშორისო ვაჭრობა;

დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) საერთო სისტემის, ანგარიშ-ფაქტურის წარმოების, დეკლარირების, ჩათვლებისა და აღრიცხვის წესები.

ამასთან, განსაზღვრულია ვალდებულებები გარკვეული საქონლის იმპორტსა და ექსპორტთან დაკავშირებული სპეციალური სქემები. მაგ. სპეციალური სქემა ელექტრონული ვაჭრობისთვის.

ამავე დანართშია მოყვანილი ის გამონაცემის, რომელიც დღემდე მოქმედებს ევროკავშირის წევრი გარკვეული სახელმწიფოებისთვის.

ამით იმის თქმა და სასამა გვსურს, რომ პრაქტიკულად ყველა ქვეყანას თავისი ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით გარკვეულ დათქმას აფიქსირებს საქონლის, რომელიმე სახეობის დაბეგვრის რეჟიმთან ან კონტროლის სპეციალურ მექანიზმებთან დაკავშირებით.

ამ მიმართებით არც საქართველო იქნება გამონაცემისა. მაგალითად, საქართველო იტოვებს უფლებას, რომ აქციზის გადასახადისგან გაათავისუფლოს ალკოჰოლური სასმელები, რომლებიც წარმოებულია კერძო პირების მიერ მცირე რაოდენობით და გათვლილია სახლში მოხმარებისთვის და არა ბაზარზე გასატანად.

ასევე, საქართველო იტოვებს უფლებას, დღგ-ის გადასახადისგან გაათავისუფლოს

საქონლისა და მომსახურების მინოდება, რომელიც შეთანხმების ძალაში შესვლის



მომენტისთვის თავისუფლდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე. ხოლო, საკითხი - „მესამე ქვეყნებიდან მგზავრების მიერ შემოტანილი საქონლის დამატებული ღირებულების გადასახადისა და აქციზის გადასახადისგან გათავისუფლების შესახებ“ გამოიყენება ამ დირექტივის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მხოლოდ რაოდენობრივ შეზღუდვებს აწესებს. ამასთან საყურადღებოა, რომ ამ დირექტივის ეს დებულებები უნდა შესრულდეს განსხვავებულ ვადაში წინამდებარე შეთანხმების ძალში შესვლიდან არა ხუთი არამედ სამი წლის განმავლობაში. და სხვა.

შემდგომი ნაბიჯი საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (Deep and Comprehensive Free Trade Area – DC FTA) ჩამოყალიბება და შესატვისი ხელშეკრულების გაფორმებაა.

ასოცირების შესახებ შეთანხმებაში, სწორედ DC FTA წარმოადგენს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის რეალურ მქეანიზმს. რაც, საქართველოს აძლევს საშუალებას ეტაპობრივად მიიღოს ევროკავშირის შიდა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან სამი: საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება.

ამასთან, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ფორმირება გზას უხსნის საქართველოს საქონელსა და მომსახურებას ევროკავშირის შიდა ბაზარზე და ხელს შეუწყობს ქვეყნის საინვესტიციო მიზიდველობის გაზრდას.

ჩვეულებრივი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებისგან (free trade agreement) განსხვავებით, ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცე გულისხმობს როგორც სატარიფო, ასევე არასატარიფო ბარიერების აღმოფხვრას და არეგულირებს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს მაგალითად.: სურსათის უვნებლობა, პროდუქტის უსაფრთხოება, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, საბაჟო საკითხები, სახელმწიფო შესყიდვები, და ა.შ. სხვა ვაჭრობის შეთანხმებებისგან განსხვავებით, DC FTA გულისხმობს ვაჭრობის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ინსტიტუტების შექმნას ან/და სახეცვლილებას.

უდაოა, რომ თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს: ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადი სავაჭრო სისტემის ფორმირებას; გამჭვირვალე, სტაბილური ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებას; საქართველოს საინვესტიციო მიზიდველობისა და შესაბამისად, უცხოური ინვესტიციების ზრდას; ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის შექმნას; ამის პარალელურად თანმდევ რეჟიმში ადგილობრივი წარმოების მასშტაბების ზრდის კვალობაზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნას; ქართული პროდუქციის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებასა და გაფართოებას; ქართველი ექსპორტიონების უსაფრთხოების უზრნებელი პროდუქტის მიწოდებას; სახელმწიფო ადმინისტრირების ( მათ შორის საგადასახადო ) ორგანოების განვითარებას ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად; ზოგადად, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

ეტაპობრივ დაბალობებას ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან და ადმინისტრირების მექანიზმებთან. (წინასწარ შეთანხმებული განრიგის მიხედვით.)

მნიშვნელოვანია, რომ ამ შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან, მხარეებმა უნდა გააუქმონ ყველა საბაჟო გადასახადი მეორე მხარეში წარმოშობილ პროდუქციაზე, გარდა განსაზღვრული შემთხვევებისა.

ამ წანიში გასათვალისწინებელია და კარგად გასანგარიშებელია, ის თუ რა მოცულობის შემოსავლები დააკლდება საქართველოს ბიუჯეტის შემოსავლების წანილს და რით უნდა მოხდეს მისი კონპესირება. ერთი რამ ფაქტია, ბიუჯეტის შემოსავლები იმპორტიდან მიღებული საბაჟო გადასახადების გარეშე დაახლოებით მეხუთედით შემცირდება, ვფიქრობ, მისი შევსება უპირველესად, უნდა განხორციელდეს სიგარეტის/თამბაქოსა და ალკოგოლური სასმელების აქციზის გადასახადის ეტაპობრივი ზრდის ხარჯზე.

„არცერთ მხარეს არ აქვს უფლება, დააწესოს ან შეინარჩუნოს საბაჟო ან სხვა გადასახადი,“ გარდა ამავე შეთანხმებით გათვალისწინებული შიდა მოსაკრებულებისა, მეორე მხარის ტერიტორიაზე საქონლის ექსპორტთან დაკავშირებით. თუმც ჩანანერის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა სახის გადასახდელი და მოსაკრებული, რომლებიც დაწესებულია ან დაკავშირებულია პროდუქციის ექსპორტთან ან იმპორტთან, არ უნდა აღმატება განეული მომსახურების მიახლოებით ხარჯს.

ცალკე აღნიშვნისა და ანალიზის საგანს წარმოადგენს ამ შეთანხმების II- დანართში ჩამოთვლილი პროდუქტების ნუსხა, რომელიც სატარიფო კვოტის ფარგლებში, საბაჟო გადასახადის გარეშე უნდა იქნას იმპორტირებული ევროკავშირში. ბუნებრივია დაისმება კითხვა, რა ხდება იმ შემთხვევაში თუ ამა თუ იმ პროდუქტის იმპორტი აჭარბებს სატარიფო კვოტას. შეთანხმების II- დანართი ცალსახად განმარტავს ამ პროცესს და ამა თუ იმ საქონლის კვოტით განსაზღვრული ოდენობაზე მეტი მოთხოვნის/ მიწოდების შემთხვევაში, „გამოყენებული უნდა იყოს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესაბამისი/შეღავათიანი საბაჟო გადასახადის განვითარებით.

ამასთან, „არცერთმა მხარემ არ უნდა დააწესოს ან შეინარჩუნოს აკრძალვა ან შეზღუდვა მეორე მხარის საქონლის იმპორტზე ან საქონლის ექსპორტზე ან ექსპორტის მიზნით გაყიდვებზე, რომელიც განკუთვნილია მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე გასატანად“.

ხელმომწერი მხარეები თანხმდებინან, რომ მათი შესაბამისი საბაჟო, საგადასახადო და ვაჭრობის მარეგულირებელი კანონმდებლობა უნდა იყოს სტაბილური და ყოვლისმომცველი. ასევე დებულებები და



პროცედურები უნდა იყოს თანაზომადი, გამჭვირვალე, პროგნოზირებადი, არადისკრიმინაციული, მიუკერძოებელი და სრულდებოდეს ეფექტურად და ერთგვაროვნად.

სამუშაო მეთოდების გაუმჯობესების, ასევე განხორციელებული ოპერაციების არადისკრიმინაციულობის, გამჭვირვალობის, ეფექტიანობის, კეთილსინდისიერების და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეები მიიღებენ ზომებს საბაჟო და სხვა შესაბამისი უწყებების მიერ მოთხოვნილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის სტანდარტიზაციის, გამარტივებისა და შემცირებისათვის; საბაჟოზე საქონლის სწრაფი გამვებისა და გაფორმების უზრუნველყოფის მიზნით შეძლებისდაგვარად გაამარტივებენ მოთხოვნებსა და ფორმალობებს; უზრუნველყოფენ სწრაფ, ეფექტიან და არადისკრიმინაციულ პროცედურებს.

ბუნებრივია აღნიშვნა - „მხარეები“ უპირველესად ქართული მხარის ვალდებულებებს აყალიბებს, თორემ ევროკავშირის მხრიდან საზღვარზე კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების, გამარტივებული დოკუმენტაციის სტანდარტიზაციის, საბაჟოზე საქონლის სწრაფი გამვებისა და გაფორმების უზრუნველყოფის უზრუნველყოფის სტანდარტები ბევრად მაღალია.

საქართველოს მხარისათვის მისი გეოგრაფიული მდგომარეობიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია - ტრანზიტული გადაზიდვების თემა. შეთანხმებაში, ამ პროცესის ხელშესაწყობად მხარეები ვალდებულებას იღებენ მათ ტერიტორიაზე არსებულ უწყებებსა და სამსახურებს შორის თანამშრომლობის და კოორდინაციის. ტრანზიტთან მიმართებაში შესაძლებლობის გათვალისწინებით ევროკავშირის ქვეყნები შეეცდების მათი პროგრესული საბაჟო ტრანზიტის სისტემების დაწერგვაში საქართველოს ხელშეწყობას და ურთიერთდაკავშირების მიღწევას;

მნიშვნელოვანია შეთანხმება საბაჟო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე. მხარეებს შორის ვაჭრობაში, საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა მოხდება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმების მიხედვით. მხარეები გააძლიერებენ თანამშრომლობას საბაჟო სფეროში რათა ეფექტუანი კონტროლის, უსაფრთხოების და თაღლითობის თავიდან აცილების უზრუნველყოფასთან ერთად უზრუნველყონ ამ თავში მოყვანილი მიზნების განხორციელება და ვაჭრობის შემდგომი ხელშეწყობა. აღნიშნული მიზნებისათვის მხარეები უფლებამოსილი არიან საჭიროებისამებრ გამოიყენონ ევროკომისის საბაჟო სახელმძღვანელო რეკომენდაციები, როგორც ეტალონი.

საქართველო იღებს ვალდებულებას, რომ გაიზიარებენ საბაჟო ოპერაციებთან დაკავშირებულ საუკეთესო პრაქტიკას, კერძოდ რისკის მართვაზე დაფუძნებული საბაჟო კონტროლის სისტემების და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის მიმართულებით, განსაკუთრებით ფალსიფირებულ საქონელთან მიმართებაში და სხვა.

მნიშვნელოვანი იქნება ხელმოწერის შემდგომი 3-5 წელი, როდესაც ჩვენი ვალდებულებების განხორციელების ეტაპზე გადავალთ. უპირველესად, მნიშვნელოვანი იქნება იგი საქართველოს ევროპული პერსპექტივის შეუქცევადობის უზრუნველყოფისთვის.

ექსპერტების შეფასებით, ასოცირების შეთანხმების/ DCFTA-ის გაფორმებით 6.5%-ით გაიზრდება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2 014.8 ათასი აშშ დოლარიდან (2007 წ.) 11.36 მლრდ-ს მიაღწევს (2020 წ.). მაგალითისთვის, პოლონეთში ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგე ინვესტიციების რაოდენობრივი 4.5 ჯერ გაიზარდა. გარდა ამისა, 2012 წელს კომპანია Ecorys-ის (პოლონეთი) და Case-ის (პოლონეთი) მიერ შესახებ ჩატარებული ერთობლივი კვლევის მიხედვით, მოსალოდნელია საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტის 12%-ით, ხოლო იმპორტის 7.5%-ით გაზრდა.

დამოუკიდებელი კვლევის თანახმად, მოსალოდნელია, რომ გრძელვადიან ჭრილში საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი შეიძლება გაიზარდოს 4.2%-ით ანუ 292 მილიონი ევროს ოდენობით, თუკი ხელშეკრულება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ სრულფასოვნად გატარდება და შენარჩუნებული იქნება მისი შედეგები.

**დღეს საქართველოს სწრაფ ამ ჭრილში განიხილება. საქმე სწრაფ იმაშია, თუ რამდენად სწორად და დროულად გამოვიყენებოთ ამ შესაძლებლობას.**

საყურადღებოა, რომ ამ პროცესების პარალელურად საქართველოში, რიგ ბეჭდურ და ტელე მედიაში სულ უფრო და უფრო მეტად წარმოჩინდა იმ ექსპერტ სპეციალისტთა მოსაზრებები, რომელიც მკითხველისა და მსმენელისათვის აჩენდა კითხვას, „თუ რამდენად მისაღებია მსგავსი ხელშეკრულება ისეთი სახით, როგორსაც ევროკავშირი მოითხოვს?“ რომ ევროპას მხოლოდ თავისი ინტერესები ამორქავებს და თავისი საქონლის ბაზარი სჭირდება“ და სხვა. რითაც შეფარულად ხდებოდა საზოგადოებრივი აზრის ფორმირება თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების საწინააღმდეგოდ. მით უმეტეს, როცა იმუქამს ხელისუფლებაში მყოფა ლიბერტარიანული მსოფლმხედველობის ადამიანებმა საქართველოს ეკონომიკა გარკვეულ კალაპოტში უკვე მოაქციეს. მათი ხედვით, ეს იყო ღია ბაზრის პრინციპი, რითაც ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობ შესაძლებლობების დამკვიდრებას ცდილობდნენ.

ცალსახაა, რომ საქართველოსთან ღრმა და ყოვლისმომცემი სავაჭრო ხელშეკრულების ამოქმედება ევროპელთა მხრიდანაც კეთილგანწყობილი და მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, რადგან პრაგმატული თვალსაზრისით საქართველო ძალზე მცირე ბაზარია – ევროპული სავაჭრო სივრცის საერთო ბრუნვაში ჩვენი წილი, ალბათ, 00,01 პროცენტი თუ იქნება.

ჩვენ ვიცით, რომ ვაჭრობაში ძირითადი ბარიერები არის არა გადასახადები და ტარიფები, ან თუნდაც საკანონმდებლო გარემო, არამედ საზოგადოების მზაობა და შესატყვისი მენტალური, პროფესიული და პროცედურული გარემო.



ყველასათვის გასაგები ხდება, რომ ევროპული სტანდარტები მაღალი და მომსახურებას და ხარისხიან პროდუქციას გულისხმობს და თუ საქართველო ამ სტანდარტებში ჩაჯდება მისთვის ლიაა არა მარტო ევროპული არამედ ყველაზე მსყიდველუნარიანი ქვეყნის ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარიც. შესაბამისად, ბევრად უფრო ადვილად მიიღწევა აშშ-სთან ანალოგიური თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმება.

მოკლედ რომ ვთქვათ, უნდა გვქონდეს სტანდარტების ( მათ, შორის საგადასახადო კულტურის ) ისეთი განვითარებული სისტემა, რომელიც ევროპულ სტანდარტებს უახლოვდება.

სწორედ ამიტომ, საქართველოს მზაობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ასოცირების ხელშეკრულება, როგორც ცალკე აღებული დოკუმენტი შესაძლოა ბევრს არაფერს ნიშნავდეს, თუ მას სათანადო განვითარება/იმპლემენტაცია არ მოჰყვა. მაგრამ, ყველა შემთხვევაში - ეს არის გზა ევროპისაკენ, გზა - ლრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებისაკენ.

თავად ის ფაქტი, რომ ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობა შეიძლება რეალობა გახდეს, ძალიერ დადებითია, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს ყველაფერი მისაღწევია.

## სიმონ (ამირან) თავართებილაძე

ასოცირების შეთანხმება დაბეგვრის ზოგიერთი საკითხის შესახებ

### რეზიუმე

ასოცირების შესახებ შეთანხმება ყოვლისმომცველი და პოლიტიკურად და შინაარსობრივად უფრო ძლიერი დოკუმენტია, რომელსაც თვისობრივად ახალ დონეზე აჰყავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობა ყველა პრიორიტეტული მიმართულებით.

მაგრამ, კარგად უნდა გავიაზროთ ის, რომ შეთანხმება უამრავ ხელშემწყობ უფლებასთან ერთად, მრავალ ვალდებულებასაც წარმოშობს. უპირველესად, ძალზე მნიშვნელოვანი იქნება შეთანხმების სათანადო აღსრულება, რაც გულისხმობს - დათქმულ ვადებში კონკრეტული ვალდებულებების მიხედვით საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას და რაც მთავარია, მისი განხორციელების ინსტრუმენტების ევროპული „სტანდარტის“ შემოღებასა და დამკვიდრებას. იგი ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის 300-მდე სამართლებრივ აქტთან. შესაბამისად, ეტაპობრივად შესამუშავებელია ან/და შესაცვლელია საკანონმდებლო, ნორმატიული (ბრძანება, წესი, ინსტრუქცია და სხვა), ქვენორმატიული აქტების მთელი წესი, რომელმაც კანონის აღსრულების ევროპული იმპლემენტაციის მექანიზმი უნდა შექმნას. მაგრამ, რამდენადაა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება მზად ამ ცვლილებებისათვის ?

სწორედ ამ მიზანს ემსახურება აღნიშნული პუბლიკაციის ძირითადი შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამ შეთანხმების მხოლოდ ერთი თავის (V) - ეკონომიკური თანამშრომლობისა და დაბეგვრის ზოგიერთი საკითხის განმარტებასა და გააზრებას.

**Simon (Amiran) Tavartkiladze**

## ASSOCIATION AGREEMENT ON TAXATION

### Summary

Association Agreement is an omnibus agreement and from political and content points it is a strong document elevating cooperation between Georgia and the EU on the new level in all priority directions.

However, we should be well cognizant that the Agreement along with numerous facilitating rights stipulates also many liabilities. First and foremost, it will be very important to execute the Agreement in due manner, meaning that in due timeframe Georgian legislation should be brought in compliance with the European Union legislation and, what is the most important, Georgia should put in force instruments of European standards in the implementation and maintenance of this legislation. The Agreement specifies legislation of Georgia which should be brought in line with up to 300 EU legislative acts. Therefore, the whole set of legislative, regulative (decrees, rules, instructions, etc.) acts should create mechanism of European implementation. However, how fit is civil society of Georgia for these changes?

The aim of the contents of this publication is exactly to explain and help to get acquainted with only one chapter (V) of this Agreement - namely, some issues of economic interaction and taxation.



## სოფიკო თევდორაძე

### საერთაშორისო პიზენესი გლობალურ სივრცეში

XX საუკუნის დასასრულს გაჩნდა ახალი ტიპის ეკონომიკა გლობალური ეკონომიკა. მისი განმასხვავებელი თავისებურება იმაში მდომარეობს, რომ ეკონომიკური საქმიანობის ცველა ძირითადი სახე – საქონლისა და მომსახურების წარმოება და მოხმარება, მართვა, ინფორმაციისა და ტექნოლოგიების გავრცელება, ბაზრების ფუნქციონირება – ხორციელდება გლობალური მასშტაბით. მ. კასტელსი გლობალურ ეკონომიკას განსაზღვრავს როგორც „ეკონომიკას, რომელსაც შესწევს უნარი იმუშაოს როგორც ერთიანმა სისტემამ რეალური დროის რეზიმში მთელი პლანეტის მასშტაბით“. გლობალიზაციის პროცესები ყველაზე ფართო გავებით ხასიათდება ურთიერთკავშირებისა და ურთიერთდამოკიდებულებების მცველობით გაძლიერებითა და გართულებით ეკონომიკური, პოლიტიკური, საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად სფეროებში, რამაც პლანეტარული მასშტაბები შეიძინა. გლობალიზაცია გამოიხატება მსოფლიოში ქვეყნების მზარდ ურთიერთდამოკიდებულებებში საქონლისა და მომსახურების ტრანსასაზღვრო მოძრაობის ნაირსახეობისა და ზრდადი მოცულობის შედეგად, აგრეთვე ტექნოლოგიების ყველა სახეების სწრაფი და ფართო გავრცელების გამო.

გლობალიზაციის საფუძვლად ითვლება მსოფლიო მეურნეობის ინტერნაციონალიზაციის პროცესი. განსაკუთრებით ინტენსიურად ეს პროცესი გაიშალა XX საუკუნის 60-იანი წლების შუიდან. ინტერნაციონალიზაციას მიყვავართ საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებამდე, მის გაღრმავებასა და ინტენსიფიკაციამდე. ამ პროცესის მთავარი მაჩვენებელია სახელმწიფო ორგანიზაციების შორის ეკონომიკური გაცვლის გაძლიერება, რომლებიც ეყრდნობა შრომის მზარდ საერთაშორისო განაწილებას. XX საუკუნის 90-იანი წლების შუაში ამ პროცესმა მიგვიყვანა პლანეტის ეკონომიკური სივრცის მრავალჯერად შეკუმშვამდე, საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების განვითარების რთულ სისტემამდე. ეკონომიკური ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ზრდის ყველაზე უფრო ზოგად მაჩვენებლად ითვლება საერთაშორისო ვაჭრობისა და საერთაშორისო ინვესტიციების მოცულობის უპრეცედენტო ზრდა.

მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულებში და ოცდამეერთე საუკუნეში საერთაშორისო ბიზნესის ზრდამ ისეთი მასშტაბი მიიღო, რომ მრავალი ექსპერტის აზრით ეჭვს აღარ ინვესტ გლობალიზაციის ერის დადგომა. უკანასკნელ პერიოდში საერთაშორისო ბიზნესის ზრდა ყველასათვის თვალსაჩინო და შთამბეჭდავი გახდა. მაგრამ აუცილებლად ისმის კითხვა, თუ რამ განაპირობა ასეთი განვითარების შესაძლებლობა და რატომ არის მომავალში საერთაშორისო ბიზნესის კიდევ უფრო მეტად განვითარების მაღალი ალბათობა? ექსპერტთა აზრით, არსებობს ამ მოვლენის ორი ძირითადი მიზეზი:

- კომპანიის სტრატეგიული მიზნები, რომლებიც წარმოადგენს გლობალიზაციის პროცესის გაღრმავების მოტივატორებს;
- საერთაშორისო ბიზნესის გარემოში მომხდარი ცვლილებები, რომლებიც ხელს უწყობს გლობალიზაციის პროცესის გაძლიერებას.

აღნიშნული ძირითადი მიზეზებიდან გამომდინარე, არსებობს მთელი რიგი საბაზრო მიზეზები, რომლებიც აიძულებენ კომპანიებს გახდნენ უფრო გლობალურები როგორც განვითარების საერთო კურსის, ისე ყოველ დღიური პრატიკიული სქემიანობის კუთხით და განახორციელონ საერთაშორისო ბიზნესი:

➤ **გასაძების გაფართოება** (საერთაშორისო გასაძება წარმოადგენს ფირმის მონაწილეობის მთავარ მოტივს საერთაშორისო ბიზნესში. მსხვილ ფირმათა უმრავლესობა, შემოსავლის ნახევარზე მეტს ღებულობს საზღვარგარეთ წარმოებული გაყიდვის შედეგად. ასეთ ფირმებს მიეკუთვნებიან: გერმანელი „ბასფ“-ი; შვედური „ელექტროლუქს“-ი; ამერიკული „აიბიქმ“-ი; იაპონური „სონი“; ჰოლანდიური „ფილიპსი“ დასხვა.);

➤ **რესურსების შეძენა** (მწარმოებელი ფირმები და დისტრიბუტორები ხშირად ეძებენ ნაკეთობა-თა და მომსახურებათა აუცილებელ სახეებს, ასევე ნახევარფაბრიკატებს და საბოლოო პროდუქციას სხვა ქვეყნებში. რიგ შემთხვევაში ეს კეთდება დანახარჯების შემცირების მიზნით. სხვა შემთხვევაში საზღვარგარეთული შესყიდვები შესაძლებლობებს იძლევიან შესყიდულ იქნას უნიკალური პროდუქცია ანდა პირობები, რომლებიც მიუღწეველია საკუთარ ქვეყანაში);

➤ **მომარაგების და გასაძების წყაროების დივერსიფიკაცია** ჩვეულებრივად კომპანიები ცდილობენ არ დაუშვან დიდი გადახრები გაყიდვისა და მოგების დონეებში და ამ მიზნით გულდასმით ეძებენ შესაფერის საზღვარგარეთულ ბაზარს. ბაზრის მოძრაობის შემდეგ, ფირმას შეუძლია შეამციროს ხარჯები, რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში ფასების მერყეობის ან დეფიციტის გამო.


გარდა ზემოთ აღნიშნულისა, თანამედროვე კომპანიებმა თავიანთი ბიზნესის წარმატებით წარმართვისათვის აუცილებელია გაითვალისწინონ ბიზნესგარემოში მომხდარი ის ცვლილებები, რომლებიც აღმოცენდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. ასევე გასათვალისწინებელია ის მუდმივად მიმდინარე ცვლლებები, რომლებიც ხდება ბიზნესის გარემოს ძირითადი ფაქტორების მიხედვით. საერთაშორისო ბიზნესში ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ ქვეყნების საზღვრებს მიღმა არსებულ მაკრო გარემოში და საერთაშორისო მნიშვნელობა გააჩნიათ. ფაქტობრივად, ისინი საერთაშორისო ბიზნესგარემოს ფაქტორებს წარმოადგენენ.



სხვადასხვა კვლევებიდან გამომდინარე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ 1970-იანი წლების შუა პერიოდი იყო შემობრუნების ხერტილი საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში, თუმცა აშკარა აჩქარება გლობალიზაციის ტენდენციებში მხოლოდ 80-იანი წლების შუა პერიოდიდან აღინიშნა. XIX საუკუნის ბოლო ხასიათდებოდა საერთაშორისო ვაჭრობის მკვეთრი გაფართოებით. ერთი-ერთი უკანასკნელი შეფასების თანახმად მსოფლიო მთლიან შიდა პროდუქტში ექსპორტის ხვედრითი წონა გაიზარდა 5 %-დან 1870 წელს, 8,7 %-მდე 1913 წელს. ამასთან კაპიტალის საერთაშორისო წარმატება შეასრულეს ბევრად უფრო თვალსაჩინო როლი მსოფლიო ეკონომიკის ფორმირებაში.

საერთაშორისო სავაჭრო და საინვესტიციო წარმატები ეკონომიკური გლობალიზაციის ძირითადი მამოძრავებელი ძალებია. 1990-2011 წლებში მთელ მსოფლიოში იზრდის ტენდენციით ხასიათდება როგორც საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობა, ისე პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. ამასთან, საერთაშორისო ვაჭრობასთან შედარებით, პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა აჩვენა უფრო მაღალი ზრდის ტემპი და წარმოადგენდა უფრო დინამიკურად განვითარებად სეგმენტს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა განსაკუთრებით მკვეთრი იყო 90-იანი წლების ბოლოს. 2000-2002 წლებში იგი შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა, რის შემდეგაც მან ზრდა განაგრძო, 2007-დან დაიწყო მისი შემცირება, თუმცა 2009 წლიდან მან კვლავ ზრდა დაიწყო. 2011 წელს, 2009 წლითან შედარებით, იგი მნიშვნელოვნად გაიზარდა, თუმცა ჯერ კიდევ ჩამორჩება წინა კრიზისამდელ დონეს. საანგარიშო პერიოდში საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობა ხასიათდებოდა უფრო სტაბილური ზრდით, ორივე კატეგორიაში თითქმის თანაბარი ზრდის ტემპებით.

საერთაშორისო სავაჭრო და პირდაპირი საინვესტიციო წარმატების მნიშვნელოვანი ზრდა შეიმჩნევა საქართველოშიც. 2014 წლისი ანვარ-თებერვალში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 1567 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 17 პროცენტით მეტია. აქედან, ექსპორტი 440 მლნ. აშშ დოლარი იყო (23 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 1127 მლნ. აშშ დოლარი (15 პროცენტით მეტი). უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2014 წლის იანვარ-თებერვალში 687 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 44 პროცენტი შეადგინა.<sup>1</sup>



წყარო: [www.geostat.ge](http://www.geostat.ge) 2014;

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჩვენებს საქართველოში 2009-2014 წლების იანვარ-თებერვალში ექსპორტ-იმპორტის, საგარეო სავაჭრო ბრუნვისა და სალდოს მდგომარეობას.

<sup>1</sup>[www.geostat.ge](http://www.geostat.ge) 2014;



### საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2009-2014 წწ. (მლნ. აშშდოლარი)<sup>1</sup>

წელი	თვე	ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა	სალდო
<b>2009</b>	იანვარი	62	342	404	-280
	თებერვალი	74	313	387	-239
<b>2010</b>	იანვარი-თებერვალი	<b>136</b>	<b>655</b>	<b>791</b>	<b>-520</b>
	იანვარი	106	294	400	-188
	თებერვალი	109	331	441	-222
<b>2011</b>	იანვარი-თებერვალი	<b>215</b>	<b>625</b>	<b>841</b>	<b>-410</b>
	იანვარი	149	451	600	-302
	თებერვალი	147	424	570	-277
<b>2012</b>	იანვარი-თებერვალი	<b>296</b>	<b>875</b>	<b>1 171</b>	<b>-580</b>
	იანვარი	157	501	658	-344
	თებერვალი	148	557	705	-408
<b>2013*</b>	იანვარი-თებერვალი	<b>305</b>	<b>1 057</b>	<b>1 363</b>	<b>-752</b>
	იანვარი	196	468	665	-272
	თებერვალი	162	508	670	-345
<b>2014*</b>	იანვარი-თებერვალი	<b>358</b>	<b>976</b>	<b>1 334</b>	<b>-618</b>
	იანვარი	224	538	761	-314
	თებერვალი	216	589	806	-373
	იანვარი-თებერვალი	<b>440</b>	<b>1 127</b>	<b>1 567</b>	<b>-687</b>

ხოლო რაც შეეხება საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობას, წინასწარი მონაცემებით 2013 წელს 914 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 6 პროცენტით აღემატება 2012 წლის წინასწარ და 0,3 პროცენტით - ამავე წლის დაზუსტებულ მონაცემებს.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკას 2006-2013 წლებში.

### სოფიკო თევდორაძე

#### საერთაშორისო ბიზნესი გლობალურ სივრცეში

##### რეზიუმე

გლობალური ეკონომიკის მახასიათებელია ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების არნახული ზრდა. რის შედეგადაც, ერთ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ ცვლილებებს შეუძლია მკვეთრი ზეგავლენის მოხდენა სხვა ქვეყნების ეკონომიკაზე. გლობალიზაციის პროცესი შეუქცევადია, სულ უფრო და უფრო იზრდება ქვეყნების ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულება. გლობალიზაცია, პირველ რიგში, ამყარებს ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების პოზიციებს, აძლევს რა მათ დამატებით შესაძლებლობებსა და უპირატესობებს.

საერთაშორისო სავაჭრო და საინვესტიციო ნაკადები ეკონომიკური გლობალიზაციის ძირითადი მამოძრავებელი ძალებია. გლობალურმა ღირებულებათა ჯაჭვებმა გაზარდეს პიდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები და ფირმათშორისი ვაჭრობა, რაც თანდათან უფრო ურთიერთდამოკიდებული ხდება.

**Sopiko Tevdoradze****INTERNATIONAL BUSINESS IN GLOBAL SPACE****Summary**

Incredible increase of economic interdependence of the countries is a distinctive feature of global economy. As a result, economic changes going on in one country can considerably affect the economy of the other. Globalization process is inevitable. Interdependence of the economies of different countries is rapidly increasing. Globalization, in the first place, stabilizes the positions of industrially developed countries, giving them additional possibilities and advantages.

International trade and investments stream are basis moving forces of economic globalization. Global value chains increased the stream of direct foreign investments and intercorporate trade that is becoming increasingly interdependent.



## ლია თოთლაძე

### ციდესწრები, თანამდევი და ლაგური იდეიკატორები

წინმსწრებ და თანამდევ ინდიკატორთა ანალიზი მნიშვნელოვანია ეკონომიკური პოლიტიკის გამტკარებელთათვის მოკლევადიანი გადაწყვეტილებების მიღების დროს. მრავალი წლის განმავლობაში წინმსწრები, თანამდევი და ლაგური ინდიკატორების მეშვეობით ეკონომიკური კვლევების ეროვნული ბიუროს (NBER) მიერ წარმატებით ხორციელდება ბიზნეს-ციკლების შეფასება. უკანასკნელ პერიოდში ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) მიერ მონაწილე ქვეყნების-თვისაც ტარდება ამგვარი ტიპის ანალიზი. საქართველოს ეკონომიკის, როგორც ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ვოლატილური ბუნებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ამგვარი მიდგომის გამოყენება. იგი ლირებული იქნება როგორც სამთავრობო წრების, ასევე ბიზნესის წარმომადგენლებისათვის.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ამ მიდგომის გამოყენება ბიზნეს-ციკლების შფასების და ზოგადად პროგნოზირებისათვის დაკავშირებულია სტოკისა და ვატსონის (James H. Stock and Mark W. Watson) სახელებთან. მათ შემოგვთავაზე გამოყოფა „ლატენტური წინმსწრები ინდიკატორებისა“, და გამოიყენეს ეს მეთოდი აშშ ეკონომიკის მაგალითზე. კომბი-მენდესის მიერ კი შემოთავაზებული იქნა ავტომატური წინმსწრები ინდიკატორების (ALI — Automatic Leading Indicators) მეთოდი, რომელიც ტექნიკური თვალსაზრისით სტოკისა და ვატსონის მეთოდის მსგავსია.

წინმსწრები ინდიკატორების მეთოდის პრაქტიკაში გამოყენებამ აჩვენა, რომ ეს უფრო სრულყოფილი მეთოდია და მისი პროგნოსტული ლირებულება გაცილებით მაღალია, ვიდრე ტრადიციული ვექტორული ავტორეგრესიული მოდელებისა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ვექტორული ავტორეგრესიული მოდელების მსგავსად ეს მეთოდიც ძალზე მგრძნობიარეა ცვლადების შერჩევის მიმართ. იგი იძლევა განსახილების ფაქტორების რიცხვის გაფართოების საშუალებას. ძირითადი ამოცანა კი იმ მაჩვენებელთა გამოვლენაა, რომელის გვიჩვენებენ კრიზისის შესაძლებლობას 24 თვის განმავლობაში. ინდიკატორები განზოგადებული ეკონომიკური მაჩვენებლებია, რომელთა ცვლილებას მოასწავებს სხვა მაჩვენებელთა და ზოგადად ეკონომიკური კლიმატის ცვლილებას.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული ინდიკატორი არ იძლევა სრულ ინფორმაციას, მაგრამ მათი ერთობლიობა შესაძლებელია გამოვლენოთ საიმედო შედეგების მისაღებად. ამიტომ ადრეული ინდიკატორების ფორმირებისას მიზანი უნდა იყოს მათი განზოგადება, მაგრამ ეს ინდიკატორები ობიექტური უნდა იყოს. მიზანშეწონილი შეიძლება იყოს აგრეთვე რაოდენობრივი ინფორმაციის გარდა გათვალისწინებული იქნეს ანალიტიკოსთა და ექსპერტთა მოსაზრებები.

ინდიკატორთა სისტემის აგებისას პრაქტიკაში გამოიყენება ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ეკონომიკური დინამიკა. ერთი აქცენტი აკეთებს ეკონომიკის განვითარების მიმართულებაზე (ზევით-ქვევით, ზრდა-დაცემა), ხოლო მეორე კი მოძრაობის სიჩქარეზე. პირველი შეესაბამება საქმიანი აქტივობის ციკლის კლასიკურ გაგებას, მეორე - ზრდის ციკლების (ცნებას. აშშ-ში გარდატეხის წერტილების ანალიზი წარმოებს ზრდისა და დაცემის ტერმინებით. OECD-ში (Organisation for Economic Co-operation and Development) კი პირიქით დაჩქარებული ზრდიდან შენელებული ზრდისაკენ და პირიქით (ითვლება, რომ მსოფლიოში ადგილი აქვს მეტნაკლებად მდგრად ეკონომიკურ, მაშინ როდესაც ზრდას ხანგრძლივობა და კლასიკური კრიზისების სილრმე მცირდება).

ეკონომიკურ მოვლენათა და პროცესთა ანალიზის დროს განისაზღვრება წინმსწრები, თანამდევი და ლაგური ინდიკატორები. თუ წინმსწრები ინდიკატორები ფართოდ გამოიყენება პროგნოზირებაში, ლაგური ინდიკატორები გამოიყენება მთლიანი შიდა პროდუქტის წინასწარი მონაცემების (რომლებიც როგორც წესი არამდგრადია) შემონმებისათვის.

მეთოდს ზოგჯერ ბარომეტრულ მეთოდსაც უწოდებენ. ბარომეტრული მეთოდი ემყარება წინმსწრები ინდიკატორების გამოყენებას ეკონომიკური აქტივობის გარდატეხის წერტილების პროგნოზირებაში.

თანამდევი ინდიკატორები: ესაა ეკონომიკური ინდიკატორთა მწკრივი, რომელიც იცვლება (იზრდება და კლებულობს) ერთობლივ ეკონომიკასთან ერთად და შესაბამისად ზომავს მიმდინარე ეკონომიკურ აქტივობას. ამ ინდიკატორებს განეკუთვნება: ერთობლივი ეროვნული პროდუქტი, საცალო გაყიდვები, ინდუსტრიული პროდუქცია.

ლაგური ინდიკატორები: ესაა ეკონომიკური ინდიკატორთა სერია, რომელთა ცვლილება თან სდევს ერთობლივი ეკონომიკის ცვლილებას. ლაგურ ინდიკატორებს ძირითადად განეკუთვნება ექვსი ინდიკატორი: უმუშევრობის დონე, ბიზნესის დანახარჯები, შრომითი დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე, დაუფარავი სესხი, საბანკო განაკვეთები, სამრეწველო პროდუქციის საბალანსო ღირებულება.

წინმსწრები ინდიკატორები: უფრო ზუსტად კი წინმსწრები ინდიკატორების ინდექსი (Index of Leading Economic Indicators - LEI) ეკონომიკურ ინდიკატორთა მწკრივია, რომელიც განსაზღვრავს ეკონომიკური აქტივობის სამომავლო ცვლილებებს. მას 10 წინმსწრები ინდიკატორის კომპოზიტურ ინდექსსაც უწოდებენ. იგი მთავრობის მნიშვნელოვანი ბარომეტრია ბიზნეს ტრენდის პროგნოზირებისათვის. ინდექსი იძლევა ეკონომიკური აქტივობის ექვსიდან ცხრა თვემდე პროგნოზს. თეორიულად წინსწრებ ინდიკატორებს განეკუთვნება: საპროცენტო განაკვეთები, ბიზნეს და მომხმარებელთა ნდობა, სამომხმარებლო



კრედიტების მოცულობა, სამრეწველო შეკვეთების მოცულობა და სხვა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ქვეყანა ვიწც იყენებს აღნიშნულ მეთოდოლოგიას, თავად განსაზღვრავს ინდიკატორების კომპლექსს, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თავისებურებებიდან გამომდინარე.

1960-იანი წლებიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია შესაბამის მახასიათებელთა შესახებ. საყოველთაოდ მიღებულ ინდექსებთან ერთად ქვეყნდება „საავტორო“, მაჩვენებლებიც, რომლებიც გარკვეული ნიუანსებით განსხვავდება გავცელებული მაჩვენებლებისაგან. მაგალითად აშშ-ში კრიზისული მოვლენების პროგნოზირებისათვის გამოიყენება ეკონომიკური კვლევების ეროვნული ბიუროს (*NBER*) საშუალო შენობილი ინდექსი, რომელიც მოიცავს ათ ნინმსწრებინდიკატორს:

- სამუშო კვირის ხანგრძლივობა;
- უმუშევრობის დახმარებაზე განაცხადები;
- ძირითადი აქციების საბაზრო ღირებულება;
- შეკვეთები მანქანა-დანადგარებზე;
- საცხოვრებელი ფართის მშენებლობაზე გაცემული ღიცენზიები;
- საბითუმო ვაჭრობის მაჩვენებლები;
- ხანგრძლივი მოხმარების საგნებზე მოთხოვნის მოცულობა;
- ფასები ნედლეულზე;
- ფულის მიწოდების მოცულობა;
- სამომხმარებლო ნდობის ინდექსი.

(სამომხმარებლო ნდობის ინდექსი-*Consumer confidence index* მომხმარებელთა ნდობის შეფასებაა, რომელიც ეფუძნება ეროვნულ განწყობას მიმდინარე სიტუაციისადმი და მომხმარებელთა იმედებს მომავალთან მიმართებაში. იგი დგება 5000 ოჯახის ყოველთვიური გამოკითხვის შედეგების მიხედვით. ტრადიციულად გამოიყენება მოსახლეობის დასაქმების ტენდენციის გამოვლენისა და ეკონომიკის საერთო მდგომარეობის პროგნოზირებისათვის. ამ ინდიკატორის ზრდა დადებითი ფაქტორია ეროვნული ვალუტისათვის. მათემატიკურად ესაა დადებითი და უარყოფითი პასუხების თანაფარდობა გამოხატული პროცენტებში).

შვეიცარიაში კი განიხილავენ შემდეგ ნინმსწრებ ინდიკატორებს:

- ნინმსწრებ ინდიკატორთა ინდექსი Kof;
- გადამამუშავებელი მრეწველობის მომარაგების მენეჯერთა ინდექსი;
- სამომხმარებლო ფასების ინდექსი;
- მწარმოებელთა ფასების ინდექსი;
- ეკონომიკური მოლოდინის ინდექსი;
- მშპ ნაზარდი;
- სამრეწველო წარმოება;
- შვეიცარიის ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება საპროცენტო განაკვეთთან მიმართებაში;
- საცალო გაყიდვები;
- საგაჭრო ბალანსი;
- უმუშევრობის დონე.

**ეტალონური ინდიკატორის შერჩევა** (გარდატეხის წერტილების განსაზღვრა). გარდატეხის, წერტილების განსაზღვრისათვის გამოიყენება როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური მეთოდები. აშშ-ში გამოიყენება არაფორმალური მიდგომა. ეკონომიკური კვლევების ეროვნულ ბიუროში არსებობს სპეციალური კომიტეტი, რომელიც ახდენს ეკონომიკური ციკლების განსაზღვრას. მასში შედიან ცნობილი ეკონომისტები. რეცესია კომიტეტის მიხედვით განისაზღვრება როგორც „წარმოების, შემოსავლების, დასაქმების და ვაჭრობის შემცირება“. მორიგი პიკის თუ დაცემის თარიღის განსაზღვრა ხდება კომიტეტის სხდომაზე არსებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. არ არსებობს რომელიმე ერთი მაჩვენებელი, რომლის დინამიკაც ორიენტირი იქნებოდა კომიტეტისათვის. *OECD*-ს მეთოდიკა კი ეფუძნება ეტალონური ინდიკატორის იდეას, ამასთან იდეალურ ეტალონურ ინდიკატორად ითვლება თვიური მშპ (ითვლება, რომ ეკონომიკური ციკლი ადეკვატურად აისახება ამ მაჩვენებლის დინამიკაში და არანაირი სხვა ინფორმაცია გარდატეხის წერტილების განსაზღვრისათვის საჭირო აღარა). მაგრამ მშპ-ს ყოველთვიური მაჩვენებლის განსაზღვრა არ ხდება, ამიტომ საჭიროა სხვა მაჩვენებლის შერჩევა, რომლის დინამიკაც ახლოსაა მშპ-ს დინამიკასთან. პრაქტიკაში ეტალონურ ინდიკატორად გამოიყენება სამრეწველო-წარმოების ინდექსი. სწორედ მისთვის განისაზღვრება პიკები და დაცემის წერტილები და სწორედ მასთან მიმართებაში იგება წინსწრები ინდიკატორების მთელი სისტემა. უნდა აღინიშნოს, რომ გარდატეხის წერტილების თარიღების განსაზღვრის პროცედურა საკმაოდ ფორმალური ხასიათისაა. იგი დაფუძნებულია სამრეწველო წარმოების ინდექსის ფაქტიური და ტრენდული მნიშვნელობების შეპირისპირებაზე. წერტილი სადაც მიიღწევა ლოკალური მაქსიმუმი თანაფარდობისა ფაქტიური/ტრენდი ითვლება პიკად, ხოლო ლოკალური მინიმუმის წერტილი კი - დაცემის წერტილად.



ეტალონური ინდიკატორის როლში ბუნებრივია სამრეწველო წარმოების სეზონურად მოსწორებული იხდექსი გამოიყენება. ლოკალური მაქსიმუმები ამ რიგისა შეიძლება ჩაითვალოს პიკებად, ლოკალური მინიმუმები - დაცემად. ლოგიკურია დავუშვათ, რომ პიკები და დაცემის წერტილები მონაცვლეობს ხოლო მათ შორის დრო მეტია 6 თვეზე.

- სანყის წინსწრები ინდიკატორებად შესაძლებელია ამა თუ იმ მაჩვენებლის განხილვა, თუ იგი:
- ინვესტიციური დინამიკის ცვლილებას მოთხოვნისა და მიწოდებაზე ზეგავლენის გზით;
  - ასახავს ეკონომიკური აგენტების მოლოდინებს;
  - მთლიანად ეკონომიკაზე ადრე რეაგირებს ეკონომიკური აქტივობის ცვლილებებზე;
  - ამგვარ ხარისხში წარმატებით გამოიყენება სხვა ქვეყნებში.
- პრაქტიკული თვალსაზრისით მაჩვენებლები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ პირობებს:
- მათ მერყეობას უნდა ჰქონდეს ციკლური ხასიათი;
  - რიგები საკმარისად საიმედო უნდა იყოს მთელი ანალიზირებადი პერიოდის განმავლობაში;
  - ინფორმაცია უნდა ახლდებოდეს ოპერატიულად.

ნებისმიერი მაჩვენებლისათვის, რომელიც აკმაყოფილებს ზემოთაღნიშნულ პირობებს, აუცილებელია გარდატეხის წერტილების მოძებნა და მათი შედარება საერთო ეკონომიკური ციკლის გარდატეხის წერტილებთან. მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ რამდენიმე წინსწრები ინდიკატორისაგან შემდგარი სისტემა საკმაოდ „ჭრელ“ სურათს ხატავს. ამიტომ მიზანშეწონილია განზოგადებული ინდიკატორების აგება. როგორც წესი გაიანგარიშება ორი: კომპოზიტური წინსწრები ინდიკატორი და დიფუზური წინსწრები ინდიკატორი. დიფუზური ინდიკატორის მნიშვნელობა დროის მომენტში ტოლია იმ მნკრივთა რიცხვის თანაფარდობისა, რომელის იცვლება „უკეთესისკენ“, მნკრივთა საერთო რიცხვთან, რომლებიც შედის სისტემაში გამოხატული პროცენტებში. დიფუზური ინდექსი გვიჩვენებს, რამდენად მოიცავს ზრდა ან დაცემა „მთელ ეკონომიკას“. წინმსწრებ ინდიკატორთა კომპოზიტური ინდექსისაგან განსხვავებით, დიფუზური ინდექსი გვიჩვენებს პროცენტულ ცვლილებას. მაგალითად 50 პროცენტზე მეტი ზრდა წინმსწრები ინდიკატორისა შესაძლოა მეტყველებდეს ერთობლივი ეკონომიკური აქტივობის გაზრდას. დიფუზური ინდექსი ასევე ეხმარება ეკონომიკური მდგომარეობის რეცესიის ან გამოცოცხლების ინტენსივობის შეფასებისა და ინტერპრეტირებისათვის, ბიზნესმენთა მხრივ ოპტიმიზმის ან პესიმიზმის ხარისხისათვის.

**ეკონომეტრიკული მოდელი.** ეკონომიკურ ცვლადთა შორის დამოკიდებულების მათემატიკური სახით გამოხატული განტოლებები ემყარება სტატისტიკურ მონაცემებს. ეკონომეტრიკულ იმოდელი შესაძლებელია საკმაოდ მარტივიც იყოს - ერთი განტოლებით მოცემული, რომელიც გამოხატავს დამოკიდებულ ცვლადს, როგორც სხვა ცვლადების ფუნქციას. მაგალითად, მთლიანი შიდა პროდუქტი GDP შესაძლებელია გამოისახოს როგორც წინა პერიოდის მთლიანი შიდა პროდუქტის (GDP-t), სამშენებლო საქმიანობის აქტივობის (C), უმუშევრობის დონის ცვლილების (ΔU) და საპროცენტო განაკვეთის დონის (I) ფუნქცია.

ამ დამოკიდებულების წრფივ მოდელს აქვს სახე:

$$GDP = a + bGDP_t + cC + d\Delta U + eI.$$

ზოგიერთი მოდელი შესაძლებელია გამოხატავდეს მთელი ქვეყნის ეკონომიკას და შეიცავდეს ასეულობით განტოლებას. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარ განტოლებათა სისტემის აგება რთული და ძვირია.

როგორც წესი წინსწრები ინდიკატორების ინდექსი ახასიათებს ეკონომიკის განვითარებას შემდეგი ექვსი თვის განმავლობაში. ემპირიული კანონების მიხედვით, ინდექსის მნიშვნელობის უარყოფითობა ზედიზედ სამი თვის განმავლობაში წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების შეჩერების ინდიკატორს. ინდექსი უკეთ მუშაობს ეკონომიკური აქტივობის მაქსიმუმებში. ინდექსის გარდატეხა ხდება საშუალოდ ეკონომიკის აღმავლობიდან დაცემისკენ გადასვლამდე 10 თვით ადრე. 1952 წლიდან 1998 წლამდე წინსწრები ინდიკატორების ინდექსმა „ინინარმეტყველა“, 10 რეცესია, რომელთაგან სინამდვილეში მოხდა — 7.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Clements M.P., Hendry D.F. Forecasting Economic Time Series. Cambridge, MA.: Cambridge University Press, 1998.
2. Clements M. P. , Hendry D. F. Macro-Economic Forecasting and Modelling. Nuffield College, Oxford. 2008.
3. Estimating Indexes of Coincident and Leading Indicators: An Application to Jordan. IMF Working Paper. by Joannes Mongardini and Tahsin Saadi-Sedik. 2003,
4. Soderlind P. Macroeconomic and Financial Forecasting. Lecture Notes. University of St. Gallen. St. Gallen, Switzerland.
5. Makridakis S. G, Wheelwright S. C. , Hyndman R. J. Forecasting: Methods and Applications. 2008.



## ლია თოთლაძე

### წინმსწრები, თანამდევი და ლაგური ინდიკატორები

#### რეზიუმე

სტატიაში გადმოცემულია წინმსწრები, თანმდევი და ლაგური ინდიკატორების მეთოდოლოგიური საკითხები. ამ ინდიკატორთა გაანგარიშება წარმატებით წარმოებს როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასევე ევროპის განვითარებულ ქვეყნებში. აღნიშნული მეთოდი გამოიყენება ბიზნეს-ციკლების პროგნოზირებისათვის და განსაკუთრებით აქტუალურია ტრანსფორმირებადი ქვეყნებისათვის (მათ რიცხვს განეკუთვნება მცირე ზომის ეკონომიკის მქონე საქართველოც), რომელთა ეკონომიკაც, უაღრესად მგრძნობიარეა როგორც ეკონომიკური, ასევე არაეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენის მიმართ.

**Lia Totladze**

#### Leading, Coincident and Lagged Indicators

#### Summary

For many years a system of leading, coincident, and lagging economic indicators, has been widely used in the United States to appraise the state of the business cycle. This type of analysis is used by most of the member Europe Union countries. Georgia is a need for businesses and government agencies to have access to an accurate leading indicator of transformed economic performance (in particular for Georgia).



## გამუქა თორია

### შრომის ანაზღაურების დიფერენციაციის პროგლემები საქართველოში

თანამედროვე პერიოდში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს სიღარიბის დაძლევა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება წარმოადგენს, რომელიც ბოლო ათწლეულების მანძილზე მოსახლეობის სხვადასხვა ფენების წარმომადგენლებისათვის მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელ სტანდარტებს.

შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ქვეყანაში სიღარიბის დონის ზრდა უარყოფითად აისახება არა მარტო ცალკეული პიროვნებების, არამედ კონკრეტული ოჯახებისა და ზოგადად საზოგადოების განვითარებაზე. ამის მიზეზი მრავალი შეიძლება იყოს, რომელთა შორის შეიძლება გამოვყოთ: დაბალი კონკურენტუნარიანობის შედეგად ქვეყნის ეკონომიკის ჩამორჩენა მნარმარებლურობის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ასევე ხელფასის დაბალი დონის სამუშაო ადგილების სიჭარე, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ მომუშავეებისა და მათი ოჯახის წევრების შრომის უნარის ნორმალურ აღნარმოებას.

იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც გადამწყვეტ გავლენას ახდენენ მოსახლეობის შემოსავლების ფორმირებასა და შესაბამისად სიღარიბის დონეზე, განსაკუთრებული ადგილი უკავია ხელფასს ანუ შრომის ანაზღაურებას. წარმოდგენილი სტატიის კველევის ობიექტს სწორედ შრომის ანაზღაურების სფეროში არსებული პრობლემების განხილვა წარმოადგენს.

ხელფასი განვითარების შრომის ანაზღაურების ძირითად ფორმას წარმოადგენს. მისი სიდიდის განსაზღვრას ობიექტური საფუძველი უნდა გააჩნდეს და ეს არის დაქირავებული მომუშავისა და მისი ოჯახის სასიცოცხლო უნარის აღნარმოების რეალური ღირებულება.

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების პირობებში მომუშავეთა შრომის ანაზღაურების სფეროში მიმდინარე ცვლილებები სამწუხაროდ შორის არის ცივილიზებული შრომის პაზრისათვის დამახასიათებელი ნიშნისაგან, როდესაც შრომის ანაზღაურება იმის ნაცვლად, რომ უზრუნველყოფდეს მისი ერთ-ერთი ფუნდამენტური ფუნქციის – სამუშაო ძალის აღნარმოების სრულფასოვან შესრულებას, ფაქტიურად სოციალურ შემწეობად იქცა. განსაკუთრებით ეს ეხება ეკონომიკის ისეთ უმნიშვნელოვანეს დარგებში, როგორიცაა განათლება, ჯანდაცვა და ა.შ. ყოველივე ამის შედეგია მოსახლეობის ცალკეული ფენებისათვის ცხოვრების დონის მკვეთრი დაქვეითება, სოციალური დაბაბულობის ზრდა საზოგადოებაში, რაც საბოლოო ჯამში უარყოფით დამოკიდებულებას აჩენს არსებული სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ხელფასის, როგორც დაქირავებული მომუშავეების ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციის ძირითადი ფორმის პრობლემების კვლევა.

#### საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2000–20012 წლებში

ცხრილი 1

	2000	2003	2005	2008	2010	2012
<b>სულ</b>	<b>72.3</b>	<b>125.9</b>	<b>204.2</b>	<b>534.9</b>	<b>597.6</b>	<b>712.5</b>
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნ.	19.7	47.6	128.9	299.3	279.2	424.6
თევზურა, მეთევზობა	22.1	46.2	93.0	211.1	341.4	388.9
სამთაომოპოვებითი მრეწველობა	119.3	218.7	210.8	808.9	812.3	874.5
დამამუშავებელი მრეწველობა	99.3	152.5	212.1	510.5	510.6	623.0
ელექტროენეგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	137.0	250.2	341.5	738.3	822.9	919.9
მშენებლობა	132.4	206.2	296.4	597.3	671.0	890.8
ვაჭრობა, ავტომობილების, საყიფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგების რემონტი	47.0	85.5	173.6	510.6	583.6	650.0
სასტუმროები და რესტორნები	40.4	56.6	108.2	333.6	377.5	397.5
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	125.3	191.1	265.7	667.7	787.6	943.4
საფინანსო საქმიანობა	513.4	530.5	1049.2	1343.5	1276.7	1402.3
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	76.6	110.3	210.8	540.1	596.5	843.5
სახელმწიფო მმართველობა	88.5	132.0	342.4	869.5	973.0	1031.2
განათლება	45.5	68.5	92.5	243.7	305.1	355.1
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	32.1	76.8	99.5	305.8	446.8	599.5
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	66.9	72.2	113.4	408.7	460.1	602.1

წყარო: განვითარებისათვის მიმმართული საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონეცენების საფუძველზე.



საქართველოს შრომის ბაზარზე ჩამოყალიბებული მდგომარეობა, განსაკუთრებით მოსახლეობის შემოსავლების დონე და დიფერენციაციის მაჩვენებელები, გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდებიან და მნიშვნელოვნად განსხვავდებიან მრეწველურად განვითარებულ ქვეყნებში შემოსავლების სტრუქტურისაგან. ასე მაგალითად, ჩვენს ქვეყანაში შედარებით მაღალი დონის შემოსავლები გააჩნიათ საბანკო სფეროსა და ვაჭრობაში დასაქმებულებს. ასევე, ნომერულად მუშავებს, რომლებსაც შეუძლიათ სახელმწიფო სახსრების საკუთარი ინტერესების მიზნით გამოყენება. მაშინ როდესაც მათი შემოსავლები, ვინც რეალურად ანარმობს მატერიალურ დოვლათს ან იმათი შემოსავლები, ვისზეც რეალურადაა და მოკიდებული საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, მნიშვნელოვნად ჩამორჩება ზომით აღნიშნული კატეგორიის პირების შემოსავლებს.

მონაცემებიდან ჩანს, რომ საკუვლევი პერიოდის განმავლობაში საქართველოში დაქირავებით და-საქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 9.8-ჯერ გაიზარდა. მათ შორის ე.ნ. „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდში (2003–20012 წლებში) ეს მაჩვენებელი 5,6-ჯერ გაიზარდა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზრდის მაჩვენებელი მნიშვნელოვნადაა დიფერენცირებული ცალკეული დარგების მიხედვით. კერძოდ, სახელმწიფო მმართველობაში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 11.6-ჯერ გაიზარდა, მაშინ როდესაც განათლებასა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ხელფასი შესაბამისად 5.1-ჯერ და 7.8-ჯერ გაიზარდა. მიუხედავად ამისა, განათლებაში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ხელფასი ყველაზე დაბალია ქვეყნის მასშტაბით და 2012 წლის მონცემებით მან 355.1 ლარი შეადგინა. სწორედ ეს ფაქტორი ახდენს ერთ-ერთ გადამწყვეტ გავლენას იმაზე, რომ დასაქმებულთა რიცხოვნობა სისტემატურად მცირდება განათლების სფეროში, საიდანაც შედარებით მაღალკვალიფიციური კადრები ან სხვა სფეროში აგრძელებენ საქმიანობას ან ტოვებენ ქვეყნას. ეს რათქმა უნდა უარყოფითად ასახება ქვეყნის საგანმანათლებლო პოტენციალის შემდგომ განვითარებაზე.

2012 წლისათვის საქართველოში, აბსოლუტურ მაჩვენებლები საშუალო ხელფასის ყველზე მაღალი დონე ახასიათებდა იყო საფინანსო საქმიანობას (1402.3 ლარი) და სახელმწიფო მმართველობას (1031.2 ლარი). ამ მაჩვენებლებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება მატერიალური წარმოების სფეროს დარგები. კერძოდ, დამამუშავებელი მრეწველობა (623.0 ლარი), სამთომომპოვებელი მრეწველობა (874.5 ლარი), სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა (424.6 ლარი), მშენებლობა (890.8 ლარი). ეს უკანასკნელი ძირითად წარმოდგენილია საბინაო მშენებლობით და მასში საკმაოდ მნირია ახალი საწარმოო სიმძლავრების (ფაბრიკები, ქარხნები და სხვა საწარმოო დანიშნულების ობიექტები) მწყობრში შეყვანის წილი.

ცხადია, რომ ხელფასის დიფერენციაცია ნებისმიერი საზოგადოებისათვის გარდაუვალ და კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენს, რომელსაც კიდევ უფრო აღრმავებს არასრულყოფილი კონკურენციის შრომის ბაზრის არსებობა. ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოში ხელფასის დიფერენციაციის ინტენსიური ზრდა შეიმჩნევა დაქირავებულ მომუშავეებში. ამასთან, საქმე ეხება არა იმდენად ეკონომიკურად დასაშვებ და გამართლებულ დიფერენციაციას, არამედ მის მეტად საშიშ ფორმებს. ამასთან, სახელმწიფოს მიერ ხელფასის რეგულირების ქმედითი მექანიზმების, მომუშავეთა ინტერესების დამცველი ძლიერი პროექტების მიზანისაციის არ არსებობა და სხვა ფაქტორების მოქმედებამ მნიშვნელოვნად განაპირობეს დაქირავებულთა შრომის ანაზღაურების დისპროპორციის გაღრმავება.

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის დიფერენციაცია კიდევ უფრო თვალსაჩინოდ ვლინდება მისი სექტორების ან სექსობრივი ნიშნით ანალიზის შემდეგ. ასე მაგალითად, სახელმწიფო სექტორში ხელფასის მაღალი დოხება დამახასიათებელი საფინანსო საქმიანობისა (3085,8 ლარი) და ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი (1297.0 ლარი) დარგისათვის, სადაც ეს მაჩვენებელი არასახელმწიფო სექტორის შესაბამისი დარგის მაჩვენებელებს შესაბამისად 2,2-ჯერ და 1.7-ჯერ აღმატება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ უკანასკნელ დარგი ხელფასის მკვეთრი გადიდების ფაქტორი გახდა არა წარმოების ან შრომის მწარმოებლურობის ამაღლება, არამედ სტრუქტურული ცვლილება, როცა 2009 წელს ერთ-ერთი მსხვილი საწარმო იცვალა საქმიანობის სფერო, გადავიდა ვაჭრობაში და მნიშვნელოვნად განაპირობა ამ დარგში ხელფაფის საშუალო დონის ამაღლება. ანალოგიური სიტუაცია იყო დამახასიათებელი სამთომპოვებელი მრეწველობისათვისაც, სადაც ხელფასის დონე 2006–2007 წლებში მკვეთრად გაიზარდა (3.4-ჯერ) და შემდგომ პერიოდში მუდმივ ზრდას განცდიდა. ის, ასევე სტრუქტურული ცვლილებების შედეგი გახლდათ, როდესაც რამდენიმე საწარმოს შერწყმისა და მომუშავეთა მნიშვნელოვანი გამოთავისუფლების ანუ დასაქმებულთა შემცირების პარალელურად არსებითად მოხდა ხელფასის საშუალო დონის ზრდა. შედეგად, 2012 წელს საქართველოში სამთომპოვებელ მრეწველობაში საშუალო თვიური ხელფასის დონე მატერიალური წარმოების დარგში ყველაზე მაღალი იყო (2507.3 ლარი) და იგი ამ სფეროს სხვა დარგებს მნიშვნელოვნად აღმატებოდა. კერძოდ, დამამუშავებელ მრეწველობას – 3.7-ჯერ, სოფლის მეურნეობას, ნადირობასა და სატყეო მეურნობას – 4.7-ჯერ, მშენებლობას – 2.5-ჯერ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სახელმწიფო სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასის დონე გაცილებით მეტია არასახელმწიფო სექტორის შესაბამის დარგებთან შედარებით სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობაში – 30.5 %-ით, დამამუშავებელ მრეწველობაში – 7.3 %-ით, მშენებლობაში – 8.6 %-ით, სამთომპოვებელ მრეწველობაში – 3-ჯერ.

მსგავსი ტენდენცია შენარჩუნებული მომსახურების სფეროში, სადაც სახელმწიფო სექტორის დარგებში საშუალო ხელფასის დონე არასახელმწიფო სფეროს შესაბამისი დარგების მაჩვენებლს ასევე აღმატება. კერძოდ, საფინანსო საქმიანობა (2.2-ჯერ), ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი (2.0-ჯერ); სასტუმროები და რესტორნები (10.0 %-ით).



ეს კიდევ ერთხელ იძლევა იმაზე დაფიქრების აუცილებლობას თუ რამდენად ეფექტურად ფუნქციონირებს ჩვენს ქვეყანაში კერძო ბიზნესი და რა ინსტიტუციონალური ხასიათის ღონისძიებები უნდა გატარდეს იმისათვის რომ კერძო ბიზნესის ფუნქციონირების ეფექტიანობა მნიშვნელოვნად გაიზარდოს. მხოლოდ იმის კონსტატირება, რომ ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის დაწყების პირობები სამაგალითოა მთელს მსოფლიოში არ კმარა სასურველი შედეგების მისაღებად, აუცილებელია შემდგომ ბიზნესის განვითარების ხელსაყრელი გარემოს შექმნა და მისი დაცვა სხვადასხვა ხასიათის ჩარევებისაგან.

ამ მიმართულებით გამოხაკლის წარმოადგენს განათლება; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება; კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების განვევა, სადაც არასახელმწიფო სექტორში, საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის მაჩვენებელი სახელმწიფოსთან სექტორის დარგებს შესაბამისად 33.5, 19.6 და 45.3 %-ით აღემატება.

ხელფასის დიფერენციაცია კიდევ უფრო თვალში საცემის სქესობრივი ნიშნის მიხედვით. ასე მაგალითად, 2003 წელს მთლიანად ქვეყნის მასშტაბით მამაკაცების ხელფასი ქალებისას – 1.9-ჯერ აღემატებოდა. ამასთან, აბსოლუტურად ყველა დარგის მიხედვით მამაკაცების ხელფასი მნიშვნელოვნად აღემატებოლდა ქალების ხელფას. ანალოგიური მდგომარეობა შენარჩუნებულია 2012 წლის მონაცემებში. თუმცა, ამ დროისათვის მამაკაცებისა და ქალების საშუალო თვიურ ხელფასს შორის განსხვავებამ 65.9%-ი შეადგინა ანუ განსხვავება ქალებისა და მამაკაცების ხელფასის დონეებს შორის შემცირდა.

ფულად შემოსავლებს შორის არსებულ დიფერენციაციის დონეს გამორჩეულ ყურადღებას ვაქცევთ იმის გამო, რომ იგი არსებით გავლენას ახდენს მოსახლეობის ცალკეული ფენების დონეზე და მათ ეკონომიკურ აქტიურობაზე, და რაც მუმნიშვნელოვანებია, საზოგადოებაში სოციალურ სტაბილურობაზე.

მოსახლეობის ცალკეულ ფენებს შორის შემოსავლების განაწილების ანალიზის საყოველთაოდ მიღებულ საშუალებას ლორენცის კოეფიციენტი წარმოადგენს, რომელიც გვიჩვენებს შეფარდებით უთანაბრობას მოსახლეობის შემოსავლების განაწილებაში და იგი ასევე ხშირად გამოიყენება შემოსავლების რეგიონალური დიფერენციაციის შეფა-სებისათვის.

შემოსავლების განაწილების შეფარდებით უთანაბრობა შეიძლება დავახასიათოთ ასევე ჯინის კოეფიციენტის საშუალებით. იგი მოსახლეობის სხვადასხვა ფენების შემოსავლებს შორის უთანაბრობის გაზირის ყველაზე გავრცელებული საზომია.

ჯინის კოეფიციენტის მიხედვით, საქართველო იმ ქვეყნების ჯგუფში შედის, რომელთა მოსახლეობის საშუალო ფენა არ არსებობს ან მცირერიცხოვანი საშუალო კლასია, - ამის შესახებ ნათქვამია ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრისა და ფონდ "ლია საზოგადოება-საქართველოს" 2011 წლის პირველი ნახევრის საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვაში.(2. გვ. 9)

მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, საქართველოს ჯინის კოეფიციენტი (42), ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მაღალია, რაც ნიშნავს, რომ შემოსავლების/სამომხმარებლო ხარჯების მოსახლეობაში გადანაწილება ჩვენს ქვეყანაში ყველაზე უთანასწორო ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან შედარებით.

ამგვარად, ჩატარებული ანალიზის შედეგად მიღებული შედეგები ნათლად მიუთითებენ იმაზე, რომ საქართველოში ხელფასის დიფერენციაციის სფეროში ბოლო ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული ტენდენციები მეტად საგანგაშოა. იგი პირდაპირი შედეგია ქვეყნის ეკონომიკაში მონოპოლიზებული დარგების არსებობის, შრომის ბაზრის არაფექტურობის, პროფესიული მომსახურების სისუსტის, რაც საბოლოო ჯამში ინვესტიციების ფალკეული ფენების მიხედვით შემოსავლების დიფერენციაციის გაღრმავებას, სოციალური დაძაბულობის ზრდას, შედარებით მაღალკვალიფიციური მომუშავეების ქვეყნიდან გადინებას.

ობიექტურობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ მოსახლეობის ცალკეული ფენების მიხევით შემოსავლების არათანაბარი განაწილება ევროპის მრავალი ქვეყნისთვის იყო დამახასიათებელი, მაგრამ ამ პრობლემის წარმატებით გადაჭრა აღნიშნულ ქცევებში განხორციელდა სახელმწიფოს მიზანმიმართული სოციალური პოლიტიკის შედეგად, რომელიც მიმართული იყო საზოგადოებრივი წარმოების ეფექტური ანობის ამაღლებისა და ეკონომიკაში რეალური სტრუქტურული და ტექნოლოგიური ცვლილებების, ასევე სიღარიბის დაძლევის პროგრამების განხორციელებისავენ. აქედან გამომდინარე, ჩვენს ქვეყანაში ამ სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრისას მიზნაშნონილი იქნება ევროპის წამყვანი ქვეყნების გამოცდილების გაზიარება ჩვენი ქვეყნის სპეციფიკურობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები;
2. „საქართველოს ეკონომიკური პერსპექტივა, 2011 წლის პირველი ნახევარი. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევებისა და ფონდ „ლია-საზოგადოება საქართველოს“ ერთბლივი კვლევა. თბ. 2011 წელი.
3. B. B. Антропов, Социальная рыночная экономика: путь германии. „экономика“, М. 2003.
4. Глобализация, рост и бедность. Пер. с англ. „Весь Мир“. М. 2004.



## მამუკა თორია

### შრომის ანაზღაურების დიფერენციაციის პრობლემები საქართველოში

#### რეზიუმე

საქართველოს შრომის ბაზარზე ჩამოყალიბებული მდგომარეობა, განსაკუთრებით მოსახლეობის შემოსავლების დონე და დიფერენციაციის მაჩვენებელები, გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდებიან და მნიშვნელოვნად განსხვავდებიან მრეწველურად განვითარებულ ქვეყნებში შემოსავლების სტრუქტურისაგან.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოში ხელფასის დიფერენციაციის ინტენსიური ზრდა შეიმჩნევა დაქირავებულ მომუშავეებში. ამასთან, საქმე ესება არა იმდენად ეკონომიკურად დასაშვებ და გამართლებულ დიფერენციაციას, არამედ მის მეტად საშიშ ფორმებს.

ჩატარებული ანალიზის შედეგად მიღებული შედეგები ნათლად მიუთითებენ იმაზე, რომ საქართველოში ხელფასის დიფერენციაციის სფეროში ბოლო ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული ტენდენციები მეტად საგანგაშოა. იგი პირდაპირი შედეგია ქვეყნის ეკონომიკაში მონოპოლიზებული დარგების არსებობის, შრომის ბაზრის არაფექტურობის, პროფკავშირული ორგანიზაციები სისუსტის, რაც საბოლოო ჯამში ინვევს მოსახლეობის ცალკეული ფენების მიხედვით შემოსავლების დიფერენციაციის გაღრმავებას, სოციალური დაძაბულობის ზრდას, შედარებით მაღალკვალიფიციური მომუშავეების ქვეყნიდან გადინებას.

**Mamuka Toria**

### LABOR REMUNERATION DIFFERENTIATION PROBLEMS IN GEORGIA

#### Summary

Conditions, formatted in Georgian labor market, especially the level of population income and differentiation features, are characterized with certain specifications and are extremely different from the income structures of industrially developed countries.

During the last decades, is observed the intensive growth of wage differentiation of hired employees. hereon it mostly concerns not the economically acceptable and justifiable differentiation but its dangerous forms.

The received results from the conducted analysis make visible that in the field of wage differentiation in Georgia, tendencies formed during the last decade are most alarming. It is the direct result of existence of monopolized fields, non-effective labor market, trade-union organization weakness, that finally causes the deepening of particular population levels income differentiation, increasing the social tension, withdrawal of relatively high-skilled workers from the country.



## დავით კბილაძე

### სტატიისტიკის როგორც მაცნიერების ჩამოყალიბების ისტორიული ასახული და თანამედროვეობა

სტატიისტიკას განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ასე მაგალითად, ჩინეთში ჯერ კიდევ ჩივენ წელთაღრიცხვამდე 2000 წლის წინ ითვლიდნენ მოსახლეობას სქესისა და ასაკის მიხედვით. ასევე აგროვებდნენ მონაცემებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მდგრმარეობის შესახებ. ძველ ბიბლიურ ჩანახერებში ასევე ვევდებით მინიშნებებს სტატიისტიკურ დაკვირვებებზე. ევროპაში IX საუკუნიდან მოყოლებული ატარებდნენ სამეფო მამულების აღნერებს, აგრეთვე მოსახლეობის აღრიცხვას სამხედრო სამსახურისათვის, თუმცა იმდროინდელ ქვეყნებში ციფრობრივი მონაცემების შეგროვება არ იყო სრულყოფილი და ისინი მაინც ძირითადად საომარ ან ფინანსურ სფეროებს მიეკუთვნებოდა. მოსახლეობის ზრდას, საზოგადოებრივი წარმოების განვითარებას და ქვეყნებში საშინაო და საგარეო ვაჭრობის გამოცოცხლებას თან ახლდა სტატიისტიკურ ინფორმაციაზე მოთხოვნილების ზრდა. სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია უკვე შეგროვებული ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის საჭიროება და სტატიისტიკის როგორც მეცნიერების ჩამოყალიბება.

სტატიისტიკის როგორც მეცნიერების პირველი მიმართულება იწოდება **აღნერილობით სკოლად**. იგი წარმოიშვა გერმანიაში XVII საუკუნის მეორე ნახევარში და იწოდებოდა სახელმწიფო მცოდნეობად. მოცემული სკოლის დამაარსებლად ითვლება გერმანელი მეცნიერი გერმან კონრინგი (1606-1681), რომელმაც დაამუშავა სახელმწიფო მონცობის აღნერილობითი სისტემა. გერმან კონრინგმა შემოილო უმაღლეს სასწავლებლებში სახელმწიფო მცოდნეობის როგორც სამეცნიერო დისციპლინის სწავლება. მოცემულმა სკოლამ იარსება 150 წელზე მეტი, რომელსაც ფაქტობრივად არ გააჩნდა თეორიული საფუძვლები. ასევე არ იყო მკვეთრად გამოკვეთილი მოცემული მეცნიერების საგანი და მეთოდი. მოცემული სკოლის მიმდევრები თავიანთ წარმომებში აშუქებდნენ სახელმწიფოთა აღნერილობას, მათ მონცობას, მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების საკითხებს, ბუნებრივ პირობებს, კლიმატს, ფინანსებს, ჯარს. ასეთ შრომებს ზემოაღნიშნული ავტორები მიიჩნევდნენ სტატიისტიკურ შრომებად, რასაც დღევანდელი გადასახედიდან ძნელია დაეთანხმო, რადგან სახელმწიფოს ლირსშესანიშნაობებს ისინი აღნერდნენ სიტყვიერად. ასეთ აღნერილობებს ძირითადად ჰქონდა ეთნოგრაფიული ხასიათი.

აღნერილობითი სკოლის შემდგომი განვითარებისათვის ბევრი გააკეთა ფილოსოფიისა და სამართლის პროფესორმა გოტფრიდ ახენვალმა (1719 – 1772), რომელმაც მარბურგის და შემდეგ გოტფრინგენის უნივერსიტეტებში დაინიშნ ახალი სასწავლო დისციპლინის, სტატიისტიკის წაკითხვა. მოცემული კურსის ძირითად შინაარსს წარმოადგენდა სახელმწიფოს პოლიტიკური მდგრმარეობისა და ლირსშესანიშნაობების აღნერა. თავად ტერმინი სტატიისტიკა წარმოშვებულია ლათინური სიტყვა „Status“-ისაგან, რაც იმ დროისათვის სახელმწიფოს პოლიტიკურ მდგრმარეობას ნიშნავდა.

სტატიისტიკის როგორც მეცნიერების განვითარების მეორე მიმართულება წარმოიშვა ინგლისში და იგი ცნობილია, როგორც **პოლიტიკურ არითმეტიკოსთა სკოლად**. მოცემული მიმართულება 100 წლით ადრე წარმოიშვა ვიდრე გერმანული აღნერილობითი სკოლა და იგი გაცილებით ახლოსაა სტატიისტიკის ამჟამინდელ გაეგებასთან. მოცემული სკოლის მესვეურნი აღნერილობითი სკოლის წარმომადგენლებთან შედარებით თავიანთ ამოცანად თვლიდნენ დაკვირვების დიდი რიცხვის პირობებში სხვადასხვა სახის კანონზომიერებების გამოვლენას, აგრეთვე სხვადასხვა მოვლენების ურთიერთკავშირის შესწავლას. მოცემული სკოლის დამაარსებლი იყო უილიამ პეტი (1623-1678). იგი (ცნობილი ინგლისელი პოლიტიკონომიის წარმომადგენელი იყო და მიჩნეულია, რომ მან ჩაუყარა საფუძველი სტატიისტიკის ჩამოყალიბებას ისეთი წარმომების გამოქვეყნებით, როგორიცაა: „პოლიტიკური არითმეტიკა“ და „სხვადასხვა შეხედულებები ფულის თაობაზე“. კ.მარქსმა ამ წარმომების ავტორს უწოდა პოლიტიკონომიის მამა და გარკვეულ წილად სტატიისტიკის გამომგონებელი.

უილიამ პეტის მიერ სტატიისტიკაზე გამოქვეყნებული წარმომებიდან ყურადღებას იმსახურებს მისი დიდი და ინტერესება სამეურნეო პროცესებით, საზოგადოებრივი და ეკონომიკური ცხოვრების კანონზომიერებებით. მან პირველმა გამოიყენა ირიბი შეფასებები გაანგარიშებებში, შეეცადა გაეზომა კვეყნის ეროვნული სიმდიდრე და ეროვნული შემოსავალი. მან 1671 — 1676 წლებში დაწერა ნაშრომი „პოლიტიკური არითმეტიკა“, ანუ მსჯელობა მიწის, მოსახლეობის, სოფლის მეურნეობის, მანუფაქტურების, ვაჭრობის, თევზჭრის და ქვეყნების ზღვაში ძლევამოსილების შესახებ.

უილიამ პეტის საქმიანობის გამგრძელებლები იყვნენ ჯონ გრაუნტი (1620 — 1674) და ეგალლეი (1656 — 1742). მათ წარმომებში ჭარბობდა დემოგრაფიული მიმართულების პუბლიკური ცხოვრების დაზღვევის განხრით. ჯონ გრაუნტმა პირველმა გამოიყენა მოსახლეობის კვლავნარმოების პრობლემები, რასაც იგი ახერხებდა მრავალი პირველადი მონაცემების დამუშავებითა და ანალიზით. მან დაადგინა, რომ ლონდონში დაბადებული ბიჭებისა და გოგონების თანაფარდობა შეადგენდა 14:13. დაბადებულთაგან იმ დროისათვის 6 წლამდე აღნევდა ლონდონში დაბადებულთა 64%, 16 წლამდე - 40%. 63 გარდაცვლილიდან 52 მოდიოდა ახალდაბადებულზე. მან პირველად შეადგინა სტაციონალური მოსახლეობის ცხრილი და გაიანგარიშა მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის მრუდი. ჯონ გრაუნტმა მის მიერ ჩატარებული კვლევები გამოსცა 1662 წელს, რომელშიც თავი მოუყარა ბუნებრივ და პოლიტიკურ დაკვირვებებს. იგი დაურთო მოკვდა



ვობის ბიულეტენებს შემდეგ საკითხებზე: მმართველობა, რელიგია, ვაჭრობა, დაავადებები და ა.შ. ეს იყო პოლიტიკური არითმეტიკოსების პირველი სამეცნიერო ნაშრომი.

ცნობილმა ინგლისელმა ასტრონომმა ა.გალლეიმ გააგრძელა რა მოკვდავობის პრობლემების თეორიული დამუშავება, წარმოაყენა იდეა დიდ რიცხვთა კანონის შესახებ და გამოიყენა სტატისტიკურ ერთობლიობებში შემთხვევით გადახრათა აღმოფხვრის მეთოდები. მრავალი წლების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ პოლიტიკური არითმეტიკოსების სკოლა წარმოადგენდა თანამედროვე სტატისტიკის როგორც მეცნიერების სათავეს. პოლიტიკურ არითმეტიკოსთა სკოლის იდეების გამგრძელებლები გამოჩნდნენ სხვა ევროპულ სახელმწიფოებშიც. კერძოდ, საფრანგეთსა და პოლანდიაში.

პოლიტიკურ არითმეტიკოსთა სკოლის დამსახურება იყო ის, რომ ამა თუ იმ კანონზომიერების გამოსავლენად იყენებდნენ მასობრივ მონაცემებს, აგრეთვე მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისას იყენებდნენ დაჯგუფების მეთოდს, საშუალო და შეფარდებით მაჩვენებლებს, ცდილობდნენ ბევრი მაჩვენებელი განხილათ ურთიერთკავშირში, აუცილებელი მონაცემების არსებობისას იყენებდნენ ირიბ შეფასებებს და ა.შ. პოლიტიკურ არითმეტიკოსთა სკოლამ განსაკუთრებული განვითარება XVII და XVIII საუკუნეებში ჰქონდა. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში წარმოიშვა სტატისტიკური მეცნიერების მესამე, **სტატისტიკურ - მათემატიკური** მიმართულება. მოცემული მიმართულების წინამორბედები სახელმწიფო ცოდნეობისა და პოლიტიკურ არითმეტიკოსთა სკოლიდან სტატისტიკის თეორიის ჩამოყალიბებამდე მივიღნენ საალიციცხვა - სტატისტიკური სამუშაოების პრაქტიკის თეორიული განზოგადებით. მოცემული მიმართულების ჩამოყალიბება - დამკვიდრებაში დიდი წვლილი მიუძღვის ბელგიელ სტატისტიკოსს, განათლებით მათემატიკოსს ადოლფ კეტლეს (1796 — 1874). იგი მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ბელგიის ეროვნულ სტატისტიკას. მის სახელს უკავშირდება მოძღვრება საშუალო სიდიდეებზე. მისი დამსახურებაა სტატისტიკის საგნის განსაზღვრა (საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცხოვრებასთან დაკავშირებული მასობრივი მოვლენები), ასევე სტატისტიკურ მაჩვენებელთა მდგრადობის თეორიის შემუშავება, მანვე მოახერხა განხილვა სტატისტიკის მეთოდების არსი.

**სტატისტიკის მათემატიკურმა მიმართულებამ განვითარება** ჰპ.გალტონის (1822 — 1911), კ.პირსონის (1857 — 1936), ვ.გოსსეტის (1876 — 1936), რ.ფიშერის (1890 — 1962) და სხვათა წარმებში.

ფ. გალტონმა სტატისტიკურ თეორიასა და პრაქტიკაში შემოილო პერცენტილის ცნება.

კ.პირსონმა ფ. გალტონთან ერთად მნიშვნელოვანი წილი შეიტანა კავშირის (კორელაციის თეორია) რაოდენობრივი შეფასების თეორიაში. ვ. გოსსეტი წერდა რა სტიუდენტის ფსევდონიმით შეიმუშავა მცირე შერჩევის თეორია.

სტატისტიკური მეცნიერება განვითარეს რუსმა მეცნიერ - სტატისტიკოსებმა კ.გერმანმა (1755 — 1815), დ. უურავსკიმ (1810 — 1856), კ.სემიონოვ - ტიაშანსკიმ (1827 — 1914), ი. იანსონმა (1827 — 1914), ს.ტრუმილინმა (1877 — 1977), ვ. ნემიჩინოვმა, ა. ბოიარსკიმ და სხვა.

სტატისტიკური მეცნიერების განვითარებაში ასევე დიდი წვლილი შეიტანეს ქართველმა ეკონომისტ - სტატისტიკოსებმა: ფილიპე გოგიჩაიშვილმა (1905 — 1988), გია გამყრელიძემ (1902 — 1953), შოთა ბერაძემ (1908 — 1980) და სხვებმა. თანამედროვე სტატისტიკური მეცნიერების განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის პროფესიონალ ბიკენტი გაბიძაშვილს, რომელმაც ბევრი მეცნიერი და პრაქტიკოსი ეკონომისტ - სტატისტიკოსი აღუზარდა ჩვენს ქვეყანას. ბატონო ბიკენტი გაბიძაშვილი 30 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკის კათედრას. სამწუხაროდ, 2013 წლის ივლისში გარდაიცვალა 79 წელს მიღწეული ლვანლომისილი მეცნიერი.

ჩვენ მიმოვიხილეთ სტატისტიკის როგორც მეცნიერების ჩამოყალიბების ისტორიული ასპექტები. სტატისტიკა ფასდაუდებელ წვლილს ასრულებდა და ასრულებს სახელმწიფო ორგანოების, მეცნიერების, შინამეურნეობების, ბიზნეს წრეების და სტატისტიკური ინფორმაციის სხვა მომხმარებელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამასთან, მისი როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა მსოფლიო გლობალიზაციის თანამედროვე, მაღალი ტემპების პირობებში. აქედან გამომდინარე, შემთხვევითი არაა, რომ მსოფლიოს ქვეყნების მეთაურები და საერთაშორისო ორგანიზაციები დიდი ინტერესით იხილავენ ეკონომიკური ზრდისა და სოციალური პროგრესის ინდიკატორებს, რომლებსაც პრეტენზია ექნება შეაფასოს ქვეყნებში შექმნილი რეალური სოციალურ - ეკონომიკური სიტუაცია და საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის დადგომის პრევენცია.

გურამ თავართეტილაძის სასწავლო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის კათედრების პროფესიონალ მასწავლებლები გამოვიდენენ ინციდენტით შეიმუშაონ ხალხის ცხოვრების ხარისხის ინდიკატორები, რაც დაეხმარება ჩვენი ქვეყნის მთავრობას მოცემულ სფეროში სწორი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბ. გაბიძაშვილი. სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში, თბილისი, 2008
2. დ. კბილაძე, მ.მეტრეველი. სტატისტიკა, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2012
3. Теория статистики: Учебник под ред. проф. Р. Шмойловой. М. 2007.
4. Newbold Paul, Carlson L. William, Throne Betty — Statistics for Business and Economics, 2007



## დავით კბილაძე

### სტატისტიკის როგორც მეცნიერების ჩამოყალიბების ისტორიული ასპექტები და თანამედროვეობა

#### რეზიუმე

სტატისტიკას განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, მაგრამ როგორც მეცნიერება იგი XVII საუკუნის მეორე ნახევარში გერმანიაში ჩამოყალიბდა. სწორედ ამ დროიდან იწოდებოდა იგი სტატისტიკის, როგორც მეცნიერების პირველ მიმართულებად - აღნერილობით სკოლად. მეორე მიმართულება წარმოშვა ინგლისში და იგი იწოდებოდა პილიტიკურ არითმეტიკოსთა სკოლად. XIX საუკუნის I ნახევარში წარმოშვა სტატისტიკური მეცნიერების მესამე, სტატისტიკურ-მათემატიკური მიმართულება.

სტატისტიკას ფასდაუდებელი წელი შეჰქონდა და შეაქვს სახელმწიფო ორგანოების, მეცნიერების, შინამეურნეობებისა და სტატისტიკური ინფორმაციის სხვა მომხმარებელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

David Kbiladze

#### HISTORICAL ASPECTS OF THE DEVELOPMENT OF STATISTICS AS A SCIENCE AND CONTEMPORANETY

#### Summary

Statistics has a long history of development, but as a science it was formed in Germany in the second half of XVII century. From that time it is called as a first direction of statistics as a science — descriptive school. The second direction was originated in England and was called as a political school of arithmetic. Third direction of statistical science called as statistical - mathematical direction was formed in the first half of XIX century.

Statistics is an invaluable contributor for state organs, science, households and other consumers of statistical information in everyday life.



## ლილა კოჭლაშვაზე ვიღი თამარ ყანდაზე ვიღი

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანებულების მიზანით

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორია საექსპორტო საქმიანობის გაფართოება, ამიტომ სახელმწიფო დაინტერსებულია საგარეო სავაჭრო ბრუნვაში მისი წილის ზრდით. ამ მხრივ, საქართველომ უკანასკნელ წლებში მართალია მცირე, მაგრამ მაინც წინსვლას მიაღწია, რაზეც მეტყველებს საქსტატის მასალები.

### (მღვან აშშ დოკუმენტი)

	2009	2010	2011	2012	2013	2014 წ. იანვარ- აპრილი
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	5634	6935	9247	10220	10784	3441
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB)	1134	1677	2189	2377	2909	933
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF)	4500	5257	7058	7842	7874	2508
საგარეო ვაჭრობის სალფო	-3367	-3580	-4869	-5465	-4965	-1576

ნეარო: <http://www.geostat.ge/>

ალნიშნული მიუთითებს ექსპორტის განვითარების დიდ მნიშვნელობაზე, რაც საქართველოს სინამდვილეში აუცილებლობას წარმოადგენს, რამდენადაც გაიზრდება წარმოება, დასაქმება, საგარეო გაჭრობისაგან შემოსავლები; შესაბამისად, საქართველოს ნანარმი მსოფლიო ბაზარზე გავა, რაც სტიმულს მისცემს ქართულ წარმოებას კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოებისათვის. ეს ყველაფერი კი საპოლოო ჯამში ქვეყნის აღრიძინებასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას გამოიწვევს. ამდენად, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის სრულად გამოყენება და ეროვნულ მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლება მსოფლიო მეურნეობაში სრულფასოვანი ინტეგრაციის უპირველესი საფუძველთაგანია. ამიტომაც, აქვთ გამორჩეული მნიშვნელობა საექსპორტო პოტენციალის შეფასებას, ანალიზს, პროგნოზს, ამ უმნიშვნელოვანეს სფეროში პრიორიტეტებისა და მოქმედებების სტრატეგიის განსაზღვრას.

ჩვენს ქვეყანას გააჩინია საკმაოდ მნიშვნელოვანი ეკონომიკური, საწარმოო-ტექნიკური და შრომითი პოტენციალი, რომელიც უზრუნველყოფს საქმაოდ მაღალი მასშტატებისა და დონის საექსპორტო პოტენციალს. სათანადო მუშაობით, მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ერთობლივი ძალისხმევით შეიძლება სერიოზული პროგრესის მიღწევა საექსპორტო პოლიტიკაში. მით უმეტეს, რომ მსოფლიო მასშტაბით, თოთოეული ქვეყანა, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით, ბუნებრივ-კლიმატური პირობებით, ისტორიულად ჩამოყალიბებული სამეურნეო საქმიანობის კულტურით, ადათ-წესებით. ზენობრივი ნორმებით, საქონლის ნარმოებისა, გაცვლა-განაწილებისა და მოხმარების თავისებურებებით განსხვავებულ ადგილს იკავებს საერთაშორისო ბიზნესის სივრცეში.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის საქართველო გამოიჩინება მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებით, რაც განიპირობებულია მისი სპეციფიკური გეოგრაფიული ადგილმდებარეობით, რთული რელიეფით და ძალი ზღვის სიახლოვით.

საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები, აგრძოსამრეწველო სექტორში არსებული ტრადიციები და სამრეწველო სიმძლავრეები ფართო სპექტრის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანისა და გადამუშავების საშუალებას იძლევა. კერძოდ, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაციონალური ტერიტორიული ორგანიზაციისათვის მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული აგროკლიმატური რესურსები, რომლებიც გამოიხატება სითბოს, სინათლისა და სინოტიკის მარაგის არსებობაში.

ალნიშნული აგროკლიმატური რესურსების გამო პოსტსაბჭოთა სივრცეში ჩაი მხოლოდ მცირე რაოდენობით მოყავთ კრასნოდარის მხარეში და აზერბაიჯანში, ამდენად საქართველოს ამ მხრივ პრიორიტეტული მდგომარეობა უკავია. რაც შეეხება ციტრუსების მოყვანას, მხოლოდ საქართველოს კლიმატურ პირობებშია შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ ჯერ-ჯერობით მხოლოდ თხილი, მწვანილი და დაფნა შედის ევროკავშირის ტერიტორიაზე, რომელიც სარგებლობენ “ჯიესპი+” რეჟიმით.

საქართველო უძველესი მეხილეობისა და მევენახეობის ქვეყანაა. ადგილობრივი ღვინის ნაწარმს მსოფლიოში სახელი გაუტქვა კახეთის რეგიონის უნიკალურმა ბუნებამ. მართალია, საქართველოს სხვა რაიონებშიც მოყავთ ყურძენი და შესაბამისად ღვინოსაც ამზადებენ, მაგრამ კახურ ღვინოებს ანალოგი არ ჰყავთ მსოფლიო მასავით. ქართული ღვინის კონკურენტუნარიანობაზე და მსოფლიო ბაზარზე გასვლის შესახებ მოვიტანთ ციტატას: “საქართველოში საერთაშორისო ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი ღვინოების ნარმოება შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი გზით: დაცული უნდა იყოს ყურძნის მოყვანის აგ-



რონქესების ოპტიმალური პირობები. გამოყენებული ტექნოლოგია უნდა პასუხობდეს საჭირო მოთხოვნებს და ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია გავიდეთ მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი ღვინოებით”<sup>1</sup>.

შრომის საერთაშორისო დანანილების პრინციპებიდან გამომდინარე, საქართველო დასპეციალური ისეთი დარგების განვითარებაზე (მელვინეობა, მეჩაიერება, მეციტრუსეობა, მეთამბაქოეობა და სხვ.), რომელთა გავრცელების არეალიც მეტად შეზღუდულია, მაგრამ ისინი იძლევიან საუკეთესო შედეგებს ადგილობრივი ბუნებრივ პირობებში და მოწოდებული არიან წარმოებული პროდუქციის საგარეო პაზრის მოთხოვნაზე.

მართალია, საქართველო არ მიეკუთვნება იმ ქვეყნების რიცხვს, რომლებსაც მსოფლიო მნიშვნელობის საბადოები გააჩნიათ, როგორებიცაა, მაგალითად, აკსტრალია, ბოლივია, სამხრეთი ამერიკა, კანადა, რუსეთი უზბეკეთი, მაგრამ საქართველოს შეუძლია დაავამაყოფილოს მრეწველობის მოთხოვნილებანი მინერალური ნედლეულის ძირითად სახეობებში, ხოლო მთელ რიგ შემთხვევაში მას შესწევს უნარი მოაგვაროს მინერალური ნედლეულისა და მისი გადამუშავების პროდუქტების ექსპორტი საზღვარგარეთის ქვეყნებში.

საქართველოს ტერიტორიაზე აღრიცხულია 2000-მდე მინერალური წყარო, რომელთაგან 1700-ს ბუნებრივი გამოსასვლელი გააჩნია. მათი ჯამური დღელამური დებიტია 130 ათასი მ<sup>3</sup>. განსაკუთრებით გავრცელებულია ნახშირმჟავა ტიპის წყაროები, რომელთა დღელამური დებიტი 60 ათას მ<sup>3</sup>-ს აღნის. <sup>2</sup> მინერალური წყლები ფართოდ გამოიყენება სამკურნალო მიზნებისათვის. ცნობილია ბორჯომის, საირმის, ნაბეღლავის, ჯავის სქურის, ზვარეს, ლუგელას ძუღურის და სხვა სასმელი მინერალური წყლები. არანაკლებ ცხობილია წყალტუბოს უხვდებეტიანი რადონული თერმული წყლები. ამ უძვირფასესი წყლის დიდი ნაწილი – 8 ათასი მ<sup>3</sup> დღე-ლამეში, ჯერ არ გამოიყენება და უქმად იღვრება.

საქართველოს მარგანეცის სამი აუზის მარაგი შეფასებულია როგორც 222,5 მლნ.ტ., რომლის 90% ჭიათურის აუზშია.<sup>3</sup> მადანში მეტალის მაღალი შემცველობა, მაგნე მინარევების არქონა, მისი განლაგების ხელსაყრელი პირობები და მოხერხებული გეოგრაფიული პირობები (შავი ზღვის პორტებთან სიახლოვე) განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ჭიათურის მარგანეცს.

საქართველოს მნიშვნელობისაა დარიმხანის საბადო, რომლის მარაგი 41. ათ. ტონაა,<sup>4</sup> მისი დამუშავება ამჟამად ნაკლებად მიმდინარეობს, ეს კი ექსპორტის წილზე უარყოფითად მოქმედებს.

დარიშხანის ორი უნიკალური საბადო მთიან რაჭაში (ლუხუმის – 11 ათ. ტ. დარიშხანი და ცანის – 55 ათ. ტ. დარიშხანი) უზრუნველყოფენ საქართველოს საჭიროებას დაახლოებით 100 წლით, მოსალოდნელი ექსპორტის ჩათვლით. ამასთან, ლუხუმის საბადოზე დარიშხანი გავრცელებულია მეტალური (და არა მეტალოიდური) სახით, რაც სრულიად უჩვეულოა ამ ტიპის მადნებისათვის და მკვეთრად ზრდის მათ სამრეწველო ხარისხს.

ზოფხიტოს საბადოს სტიბიუმის მარაგები (41 ათ. ტ.) საქართველოს მრეწველობის საჭიროებებს 150 წლით დააკმაყოფილებს, ამდენად შესაძლებელია მისი საქართველოტო გამოყენებაც.

შუა საუკუნეებში ქართული ოქრო განთქმული იყო ახლო და შუა აზიაში თავისი სისუფთავითა და მაღალი ხარისხით. მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთმა საქართველო დაიყრი, ქართული ოქროს მრეწველობა თანდათან ჩაქრა, ვინაიდან ვერ გაუძლო კონკურენციას ურალისა და ციმბირის ოქროს მნარმოებებთან.

გასული საუკუნის დასწყისიდან მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე აჭარაში მერისის საბადოზე ოქროს მცირე წარმოება იყო ორგანიზებული, მაგრამ ოქროსა და ვერცხლის პირველად მაღნების მნიშვნელოვანი მარაგები აღმოჩენილია მხოლოდ უკანასკნელ ათწლეულში. ძირითადად ბოლნისის მადნიან რაიონში და ნანილობრივ მთიან რაჭაში განლაგებული ეს საბადოები ოქრო-პოლიმეტალურ, ბარიტ-ოქრო-სპილენძის, ოქრო-დარიშხანის კომპლექსური ტიპებს მიეკუთვნება. ოქროს მარაგების 90% ბოლნისის მადნიან რაიონშია გავრცელებული.

საქართველოში ცნობილია 15 სპილენძისა და პოლიმეტალური საბადო საკმაოდ დიდი მარაგებით, მაგრამ სამთამადნო სამუშაოები დღეს მხოლოდ მადნეულის საბადოზე წარმოებს. ქვევაისის საბადოზე ტყვევისა და თუთიის წარმოება შეჩერებულია სამაჩაბლოში წარმოქმნილი რთული პოლიტიკური სიტუაციის გამო.

დღეს საქართველოში ოქროს მოპოვება ხორციელდება მხოლოდ მადნეულის საბადოში, სადაც ბალანზე აღებული 37,8 ტ. ოქრო. სწორედ მადნეულის ოქროს მეშვეობით გახდა შესაძლებელი ლონდონის ოქროს ბირჟაზე საქართველოს წარმოჩენა.

არსებობს პროგნოზირებული მარაგი, რის თანახმადაც ბოლნისის რაიონში დაახლოებით 160 ტ. ოქროა, რაჭაში – 80 ტ., აჭარა-თრიალეტში – 15 ტ., ხოლო სვანეთში – 25 ტ. სპეციალისტების განვითარებით საქართველოში ოქროს მარაგი 2-ჯერ მეტია, ვიდრე მითითებული. ვერცხლის მარაგები კი დაახლოებით 520 ტონას შეადგენს.

საქართველოში ნავთობიანი რაიონები გვხვდება თბილისის მახლობლად, ივრის ზეგანზე, კოლხეთის დაბლობზე. ქართულ ნავთობს აქვს დადებითი თვისებები: არ შეიცავს გოგირდის მინარევებს და

<sup>1</sup> გ. მიქელაძე, მ. გამთენაძე. მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი ქართული ღვინის წარმოების გზები. მარკეტინგის აქტუალური საკითხები. (სამეცნიერო ნაშრომთა კრებული). თბ. 1999. გვ. 20.

<sup>2</sup> საქართველოს გეოგრაფია. ნან. I. ფიზიკური გეოგრაფია. თბ. 2000. გვ. 126..

<sup>3</sup> თ. ყანდაშვილი. საქართველოს საექსპორტო პოტენციალი. ეკონომიკის აქტუალური საკითხები. თბ. 2000. გვ. 123.

<sup>4</sup> თ. ყანდაშვილი. საქართველოს საექსპორტო პოტენციალი. ეკონომიკის აქტუალური საკითხები. თბ. 2000. გვ. 123.



ფართოდ გამოიყენება ნავთობქიმიაში; მეტად ხელსაყრელია ყინვაგამძლე ტრანსმისიური ზეთების მიღებისათვის, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა ჩრდილოეთ რუსეტის არქტიკულ ზონაში; საქართველოში მოპოვებული ნავთობი შეიძლება გამოყენებული იქნეს პროტეინის საკვების წარმოებისათვის – საფუარის ცილა საქონლისათვის, რომლის 1 ტ. 7 ტონა მარცვლის ექვივალენტია.

სულ საქართველოში ცნობილია 15 ნავთობის და 2 გაზის საბადო.

არამადნეული წიაღისეულიდან აღსანიშნავია ბარიტი (6,9 მლნ.ტ.), ბენტონიტური თიხები (15,5 მლნ.ტ.), ცეოლიტი (32 მლნ.ტ.), დიატომიტი (8 მლნ.ტ.), ანდეზიტი (4,5 მლნ.ტ.), მოსაპირკეთებელი ქვები (196 მლნ. კუბ.მ.), პერლიტი (13,5 მლნ.ტ.).<sup>1</sup>

მაღარბერიებელი თიხების ორი დიდი საბადოა: სუბბენტონიტური თიხების გუმბრში და ბენტონიტური თიხებისა – ასეანაში. დადგენილია, რომ ქართული გუმბარიანი ბევრად ხარისხიანია, ვიდრე ფლორიდის თიხა, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში შემოჰქონდათ. გუმბრინი, როგორც ბუნებრივი, ისე გადამუშავებული სახით გამოიყენება ნავთობპროდუქტების და ზეთების გასაწმენდად.

იტალიისა და საქართველოს მსგავსად, შეუა საუკუნეებიდან მოყოლებული, საქართველო ცნობილი იყო როგორც ქვეყანა, სადაც გავრცელებულია მოსაპირკეთებელი მასალების მრავალნაირი მდიდარი საბადოები. საქართველოს მარმარილოთი და რუსებით მოპირკეთებულია კრემლის ყრილობათა სასახლე, საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრი და მრავალი სხვა ნაგებობა მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგსა და რუსეთის მრავალ სხვა ქალაქში.

დღეს საქართველოში ცნობილია მარმარილოებული კირქვების 13-ზე დიდი საბადო (დიზის, ჭუბერის, ჭოლურის, ჭოგრანის, ყანჩავეთის, მოლითის და სხვ.), რომელთა საერთო მარაგი 42 მლნ მ³ შეადგენს, მათი სამრეწველო ათვისების ხარისხი 30%-ს არ აღემატება.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, საქართველოს საგარეო ბაზარზე გასვლის მრავალი შემაფერხებელი ფაქტორი არსებობს რომელთაგან აღნიშვნის ღირსია:

- სამამულო წარმოების პროდუქციის, განსაკუთრებით სამრეწველო პროდუქციის დაბალი კონკურენტუნარიანობა;

- საწარმოთა უმრავლესობის მძიმე ფინანსური მდგომარეობა, რაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის შიდა რესურსების ინვესტიციებას პერსპექტიულ, ექსპორტზე ორიენტირებულ სამენარმეო პროექტებში;

- საექსპორტო პროდუქციის სერტიფიცირების და პროდუქციის ხარისხის კონტროლის სისტემის განვითარებლობა, მაშინ, როდესაც განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე მნიშვნელოვნად გაძლიერდა მოთხოვნები პროდუქციის სამომხმარებლო და ეკოლოგიური მახასიათებლების, აგრეთვე უსაფრთხოების მიმართ.

- არასრულყოფილი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა;

- მენარმეთა მოუმზადებლობა და გამოცდილების უქონლობა ექსპორტის სფეროში;

- ტრადიციული საწარმოო კავშირების მოშლა პოსტსაბჭოთა სივრცეში და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან;

საქართველოში საიმედოობის ჯერ კიდევ დაბალი საერთაშორისო რეიტინგია, რის გამოც გაძნელებულია უცხოური კრედიტებისა და ინვესტიციების მოზიდვა ექსპორტის განვითარების მიზნით. თუმცა იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირების შემდეგ აღნიშული პრობლემები ნელ-ნელა დარეგულირდება

### გამოყენებული ლიტერატურა:

- თ. ბერუჩაშვილი. ქართული ექსპორტის პერსპექტივები გაფართოებული ეკ-ის ბაზარზე. ჟ. “საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები”. 2004 წ.
- ა. გრიშიკაშვილი. გზა ევროკავშირისაკენ. თბილისი 2003
- ლ. კოჭლამაზაშვილი, თ. ყანდაშვილი. საქართველოს პერსპექტივები საგარეო ბაზრებზე
- თ. ყანდაშვილი. საქართველოს საექსპორტო პოტენციალი. ეკონომიკის აქტუალური საკითხები. თბ. 2000.
- გ. მიქელაძე, მ. გამთენაძე. მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი ქართული ღვინის წარმოების გზები. მარკეტინგის აქტუალური საკითხები. (სამეცნიერო წარმომთა კრებული). თბ. 1999.<sup>1</sup>
- საქართველოს გეოგრაფია. ნან. I. ფიზიკური გეოგრაფია. თბ. 2000.
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მასალები;
- საქართველოს მასალები

<sup>1</sup> თ. ყანდაშვილი. საქართველოს საექსპორტო პოტენციალი. ეკონომიკის აქტუალური საკითხები. თბ. 2000. გვ. 123.



**ლელა კოჭლამაზაშვილი  
თემურ ყანდაშვილი**

**საქართველოს ევროკავშირის ბაზარზე გასვლის პერსპექტივები**

**რეზიუმე**

საქართველოს გააჩნია საკმაოდ მნიშვნელოვანი ეკონომიკური, საწარმოო-ტექნიკური და შრომითი პოტენციალი, რომელიც უზრუნველყოფს საკმაოდ მაღალი მასშტატებისა და დონის საექსპორტო პოტენციალს. ნაშრომში განხილულია საქართველოში არსებული ნედლეულის მარაგები, რომლის ეფექტიანი გამოყენებაც ქვეყანას ევროკავშირის ბაზარზე გასვლის საშუალებას მისცემს.

**Lela Kochlamazashvili  
Temur Kandashvili**

**PERSPECTIVES OF GEORGIA IN THE MARKET OF EUROPEAN UNION**

**Summary**

Georgia has an important economical, technical and labor potential which is a quarantine for a high level of export potential.

In the thesis the author makes focus on existing reserves of raw materials in Georgia and mentions that effective use of above mentioned material gives Georgia opportunity to find its place in the market of European Union.



## მარანი მარიდაშვილი


### ფარმაცევტული პიზენის მომგებიანობისა და მარკეტინგის ურთიერთკავშირის საკითხი

#### შესავალი

ფარმაცევტული კომპანიები ასრულებენ ბიზნეს საქმიანობას როგორც კვლევისა და განვითარების, ასევე მარკეტინგულ სფეროში, რაც მიზნად ისახავს პაციენტთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ფარმაცევტული ბიზნესი საზოგადოების საკუთილდღეოდ ორი მნიშვნელოვან მიზანს ემსახურება. პირველი, ფარმაცევტულ ბაზარზე კონკურენტუნარიანი გარემოს გაუმჯობესებაა კონკურენტული ფასების შენარჩუნების მიზნით. მეორე, საზოგადოების საუკეთესო ინტერესია ის, რომ ინდუსტრიაში ტექნოლოგიების განვითარება ხდებოდეს სწრაფად. თუ გადავხედავთ ფარმაცევტული ინდუსტრიის ისტორიას ამ ორი მიზნის მიღწევა ხშირად კონფლიქტში შედის ერთმანეთთან. ფარმაცევტულ კომპანიებს ბრალს სდებენ იმაში, რომ ისინი თავიანთი რესურსების დიდი ნაწილს ხარჯავენ არა სამეცნიერო აღმოჩენებში, არა-მედ უკვე არსებული მედიკამენტების სხვადასხვა ვარიანტების განვითარებასა და მარკეტინგულ აქტივობებში. მომხმარებელთა უფლებების დამცველი ადვოკატთა ჯგუფი „ფაბლიქ ციტიზენი“, Public citizen (2011) გვიმტიცებს, რომ ფარმაცევტული ფირმები თავიანთი შემოსავლის დიდ ნაწილს ხარჯავენ მარკეტინგზე. რაც კვლევების ხარჯებს ბევრად აღემატება [1. გვ. 53-54].

#### გრაფიკი 1

აშშ ფარმაცევტული ფირმების მიერ 2010 წელს მარკეტინგზე და სამეცნიერო კვლევებზე განეული ხარჯები




**წყარო:** PublicCitizen (2011)

გრაფიკი 1 გვიჩვენებს, რომ 2010 წელს მარკეტინგზე განეული ხარჯები აშშ ფარმაცევტული კომპანიების მთლიანი შემოსავლის 35%-ია, იმ დროს როგორც სამეცნიერო კვლევებზე შემოსავლის მხოლოდ 14%-ია დახარჯული. კრიტიკოსები ხშირად აღნიშნავენ ფარმაცევტული ბიზნესის მაღალი მოგების შესახებ, რაც ეკონომიკის საშუალო მოგებას ბევრად აღემატება. მედია საშუალებები ხშირად ადანაშაულებენ ფარმაცევტულ ფირმებს იმაში, რომ ისინი უფრო მეტ ძალისხმევას სდებენ მარკეტინგში, ვიდრე მეცნიერულ კვლევებში და რომ ისინი თავით მოგებას უნდა უმაღლოდნენ მკირედ მოდიფიცირებული და არა ინოვაციური მედიკამენტების წარმოება-გაყიდვას. ინდუსტრიას ასევე ადანაშაულებენ წამლების ფასების ზრდაში, ძვირ, აგრესიულ და დეზინფორმაციულ სამომხმარებლო სარეკლამო კამპანიების წარმოებაში, აგრეთვე ექიმების მოსყიდვაში.



## გრაფიკი 2

მსოფლიოს 500 ყველაზე მდიდარი ფარმაცევტული კომპანიისა და 500 ყველაზე მდიდარი კომპანიისა მომგებიანობა (1978-2012)



წყარო: Public Citizen (20013)

გრაფიკი 2 გვიჩვენებს, რომ ფარმაცევტული ფირმების მომგებიანობა სხვა ინდუსტრიების მოგების საშუალო მაჩვენებელზე მაღალია.

ფარმაცევტული ფირმები თავს იმართლებენ იმ არგუმენტით, რომ მედიკამენტების მაღალი ფასები მხოლოდ საბაზო ძალაუფლებით არ არის განპირობებული, არამედ ისინი გამოწვეულია ტექნოლოგიური განვითარების ფონზე გაზრდილი მუდმივი დანახარჯებით. მათი აზრით ფასების ზრდას რეცეპტურულ წამლებზე რეკლამის შეზღუდვის პოლიტიკაც იწვევს, ვინაიდნა პაციენტებსა და ექიმებს ინფორმაცია შეზღუდვით მიეწოდებათ. თუმცა, სანამ მყარი განაჩენს გამოყიტანდეთ, მიზანშეწონილი და აუცილებელია ამ ფენომენის ეკონომიკური გაგება, ამ მიზნით ჩავატაროთ ფარმაცევტული ბიზნესის ანალიზი წამლის სექტორში, განვიხილოთ შემდეგ საკითხები: ფარმაცევტული ბაზრის მოთხოვნისა და მიწოდების ძირითადი პირობები; ძალები, რომლებიც გავლენას ახდენენ კონკურენციაზე და მაშასადამე, მომგებიანობაზე; რამდენიმე ფირმის სტრატეგია, რომელსაც ისინი მიმართავდნენ წარსულში გენერიკული კომპანიების ხელისშეშლის მიზნით; ინდუსტრიის ფუნქციონირება ინოვაციურობისა და მომგებიანობის თვალსაზრისით.

## მოთხოვნა ფარმაცევტულ პროდუქტზე. ტიპური ბაზრისაგან განსხვავებით ფარმაცევტული ბაზრის მოთხოვნის მხარე შედგება სამი სხვადასხვა ნაწილისაგან, როგორიცაა მომხმარებელები (პაციენტები), გადაწყვეტილების მიმღები (ექიმები) და მოთამაშეები (სადაზღვევო კომპანიები). ეს განცალკევება ასუსტებს ფასის, როგორც ლირებულების მაჩვენებლის ფუნქციონირებას. პაციენტებს აქვთ მწირი ინფორმაცია მედიკამენტების შესახებ, ექიმები კი დანიშნულების მიცემის დროს ძირითადად ფიქრობენ წამლის ხარისხზე და არა მათ ფასზე. ფარმაცევტული ფირმების მიერ მოწოდებული ინფორმაცია წამლის პრომოციისა და რეკლამის სახით მოქმედებს, როგორც ექიმებზე ასევე პაციენტებზე. ამას გარდა, მედიკამენტების ლირებულების დიდი ნაწილი იფარება სადაზღვევო კომპანიების მიერ, რაც აგრეთვე ხელს უწყობს იმას, რომ ფასის მიმართ დიდ მგრძნობელობას ვერ ავლენენ პაციენტები და ექიმები. ეს არაელასტიური მოთხოვნა ხმირად ასოცირდება ისეთ მოვლენებთან, როგორიცაა პროდუქციაზე გადაჭარბებული ფასწარმოქმნა, რომელიც მარგინალურ ლირებულებაზე ბევრად მაღალია; რესურსების არასწორი გადანაწილება და მცირე სარგებელი საზოგადოებოსათვის [2. გვ. 22-23].

ფარმაცევტული პროდუქტის მიწოდება. საზოგადოების შემფორთების მიზეზი, რომელიც ფარმაცევტულ ინდუსტრიაში მაღალი მომგებიანობითაა გამოწვეული, არის დიდი განსხვავება მედიკამენტების თვითონირებულებასა და ფასს შორის. მედიკამენტის ლირებულება შედგება ორი ნაწილისაგან: დამზადებისა და განვითარების ლირებულება. მაშინ როდესაც ერთი დამატებითი ფლაკონის წარმოების ლირებულება ძალიან მცირეა, ახალი წამლის შესაქმნელად სამეცნიერო კვლევებზე განხელი ხარჯები უკიდურესად მაღალია. ამრიგად, როგორც წესი, სამკურნალო საშუალების ფასი გაცილებით მაღალია, ვიდრე მედიკამენტის დამატებითი ერთი ერთეულის დამზადების ლირებულება, ვინაიდან ფირმა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მიღებული შემოსავალი დაფარავს სამეცნიერო კვლევების მაღალ ფიქსირებულ ფასებს.



შედარებით მაღალი ფასების დაწესების შესაძლებლობას იძლევა პატენტით დაცული განსაზღვრული პერიოდი, რაც სტიმულს აძლევს ფირმებს, რომ ინვესტირება მოახდინოს სამეცნიერო კვლევებში. ამ კეთილშობილური მიზნის მიუხედავად, პატენტების სისტემას ხმირად შევყვართ კონფლიქტში საზოგადოების კეთილდღეობასთან. ამის მიზეზი შეიძლება გახდეს ის ორაზროვანი პუნქტები, რომლებსაც პატენტი შეიცავს და რომლებიც არაკეთილსინისიერად შეიძლება იქნეს გამოყენებული ფირმები მიერ.

აშშ კონგრესის საბიუჯეტო ოფისის (CBO) კვლევა ამტკიცებს, რომ ფარმაცევტულ ბაზარზე პატენტის მოპოვება არ არის მონოპოლისტური მდგომარეობის გარანტია. ამის მიზეზი შეიძლება იყოს იმავე თერაპიულ ბაზარზე სხვა ბრენდების არსებობა [3. გვ. 34-37].

## ქალები, რომელიც განაპირობარებან მოგახილას ვარგაცევულ გაზარზე.

ძალები, რომლებიც განაპირობებენ მომგებიანობას ფარმაცევტულ ბაზარზე ხუთი ელემენტისაგან შედგება: შიდა მეტოქეობა, შესვლის ბარიერი, შემცვლელები და შემაგსებლები, მიმწოდებლისა და მყიდველის ძალაუფლება.

**შიდა მეტოქეობა.** შიდა მეტოქეობა გულისხმობს კონკურენტუნარიანობის ხარისხს ინდუსტრიაში, რაზედაც გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ფასთან დაკავშირებული და ფასთან დაუკავშირებელი კონკურენცია, საბაზრო კონცენტრაცია, პოტენციური მოთხოვნა და პროდუქტის ჰომოგენურობის ხარისხი ბაზარზე. ბაზარზე შესვლის ბარიერი მოიცავს ბაზარზე შესვლის სირთულის ხარისხს ახალ მოთამაშეთათვის, რაც ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ბრენდის მიმართ ერთგულება, მასშტაბის ეკონომია, პატენტის სისტემები, ძველი მოთამაშების ქცევა ახალ შემსვლელთა მიმართ. შემცვლელებისა და შემაგსებლების ანალიზი განიხილავს, თუ ინდუსტრიის გარედან მოწოდებული პროდუქტისა და ტექნოლოგიების რა მოცულობა უქმნის საფრთხეს იდუსტრიის მომგებიანობას. მიმწოდებლისა და მყიდველის ძალაუფლება შეეხება მიმწოდებლის ან მყიდველის უნარს ივაჭროს ფასზე, როდესაც ისინი გარიგებას დებენ ფარმაცევტულ კომპანიებთან.

შიდა მეტოქეობის ძალა მაღალია, როდესაც ფირმები შედარებით ბევრია, პროდუქტი აღიქმება როგორც ჰომოგენური, მომმარებელს აქვს ამომწურავი ინფორმაცია და სხვა პროდუქტზე გადართვის ხარჯი ნულის ტოლია. არსებულ ფარმაცევტულ ფირმებს ძირითადად შიდა მეტოქეობის დაბალი ხარისხი გააჩნიათ. ფარმაცევტული ბაზარი დაბალი საბაზრო კონცენტრაციით გამოირჩევა და მასში დომინირებს რამდენიმე წამყვანი ფარმა, რომლებსაც თავის მხრივ მაღალი ფირმების უნარის საშუალება - პროდუქტი გააჩნიათ. ამას გარდა, ავადმყოფებიც და ექიმებიც არ ცვლიან წამლებს ადვილად, მაშინაც კი, როდესაც ბაზარზე უფრო იაფი ალტერნატივა გამოჩენდება.

ინვაციურ წამლებთან მიმართებაში კონკურენციის მამოძრავებელი ძალა ხშირად ტექნოლოგიურ მიღწევებია, ხოლო გენერიკული კონკურენტები იბრძვიან საფასო პოლიტიკით. გენერიკული ვერსია შეიძლება 80%-ით და უფრო იაფიც კი იყოს მის ორიგინალ ბრენდ კონკურენტთან შედარებით. თუმცა, როგორც უკვე ვახსენეთ, ფასზე დამყარებული კონკურენცია შედარებით წამლებს საფრთხეს შეიცავს. მიუხედავად ამისა, გენერიკული წამლების არსებობა ბაზარზე განაპირობებს შედარებით დაბალ საშუალო ფასებს, ფასების ეს შემცირება ხმირად მხოლოდ გენერიკების ბაზარზე აღინიშნება. ხშირად, ბრენდ კონკურენტს ჯერ კიდევ აქვს უნარი შეინარჩუნოს ბევრად უფრო მაღალია ფასი მაშინაც კი როდესაც გენერიკული ალტერნატივები ხელმისაწვდომია ბაზარზე. მიუხედავად იმისა, რომ ფასების სტრატეგია შედარებით არაეფექტურია, ინვაციური კომპანიები მას იყენებენ, თუმცა ისინი, როგორც წესი, შერწყმულია სხვა სტრატეგიებთან, როგორიცაა რეკლამი და პროდუქტის დიფერენციაცია. ინდუსტრიაში მოვების კიდევ ერთი წყარო ფარმაცევტული პროდუქტის არაპომოგენური ბუნება. ფარმაცევტული პროდუქტები შეიძლება დიფერენცირებულ იქნას სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, ესენია ახალი ჩვენება, ახალი დოზირება, ახალი კომბინაცია, ახალი ფორმულა და ა.შ. დიფერენციაციის სტიმული დიდია, ვინაიდან უკვე არსებული პროდუქტის ახალი ვერსიის შექმნა არა მხოლოდ აძლიერებს შესვლის ბარიერს, არამედ მას შეუძლია მოიპოვოს მარკეტინგული ექსკლუზიურობაც კი.

ფარმაცევტულ ბაზრებზე არსებობს ოპტიმისტური მოლოდინი მოგებასთან დაკავშირებით, ვინაიდან წამლებზე მოთხოვნა მზარდია. მსოფლიოს ყოველთვის ექნება ჯანდაცვის საჭიროება და სულ უფრო მეტად იზრდება განვითარებული ქვეყნების მოსახლეობაში ხანდაზმულთა წილი, ხოლო განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობა სწრაფი ტემპით იზრდება. დგება რა მაღალი პოტენციური მოთხოვნის პირისპირ, რეკლამირებას აქვს ფრიად მნიშვნელოვანი როლი, განსაკუთრებით წამლის გარკვეული კატეგორიისათვის. მაგალითად, ინტენსიურმა პირდაპირმა რეკლამამ ისეთ შედარებით ახალ ბაზრებზე, როგორიცაა საძირე საშუალებებისა და ერექციული დისფუნქციის ბაზრები, მნიშვნელოვანი წარმატებები მოუტანა ფარმაცევტულ ფირმებს [4. გვ. 138-139].

**შესვლის ბარიერი.** ახალ მენარმეთათვის, რომლებსაც ახალი ინვაციური სამკურნალო საშუალებების წარმოება აქვთ გამიზნული, შესვლის ბარიერები ბევრად უფრო რთული გადასალახია, ვიდრე უკვე პოზიციაგამყარებულ ფირმებისათვის.

სამეცნიერო კვლევების ძალიან მაღალი ხარჯები უკიდურესად ართულებს ბაზარზე შესვლას. უახლესი მონაცემებით, ახალი პროდუქტის განვითარების ღირებულება დაახლოებით 800 მილიონი აშშ დოლარის ტოლია [5. გვ. 12-13].



სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების მაღალ ღირებულებას შეუძლია შეაფერხოს სამკურნალო საშუალების ბაზარზე შესვლა მინიმუმ სამი მექანიზმის მეშვეობით; მას შეუძლია შექმნას მასშტაბის ეკონომიკა, წარმოქმნილი გაზიარებული მუდმივი ხარჯებისაგან; მას შეუძლია შექმნას მოქმედების სფეროს ეკონომიკა, წარმოქმნილი ფირმის შიგნით არსებული გამოცდილებისა და ცოდნის საფუძველზე მიღებული შესაძლებლობებით, იგი აუმჯობესებს შინაგანი და გარეგანი ზედმეტი ნაკადების შთანთქმის შესაძლებლობას.

გარდა ამისა, არსებული ფირმების სარეკლამო კამპანიები და ე.წ. ცოდნის და გამოცდილების ეფექტი ასევე უქმნიან ბარიერს ახალბედებს. რეკლამის ეფექტი არ მუშაობს მხოლოდ ახლანდელ დროში, არამედ ახალბედებმა უნდა გაითვალისწინონ რეკლამის აუმჯობერებული ეფექტი. ეს საფრთხე განსაკუთრებით საყურადღებოა, ვინაიდან ფარმაცევტიულმა ფირმებმა მნიშვნელოვნად გაზარდეს თავიანთი მარკეტინგული ხარჯები ბოლო წლების განმავლობაში. ამას გარდა, ტექნოლოგიურმა მიღწევებმა დიდი წვლილი შეიატანეს ფირმების განვითარებაში. მაგალითად, დღესდღობით, მკვლევარს შეუძლია აწარმოოს ათასობით ნაერთი წელიწადში. შედარებისათვის, 15 წლის წინ მას მხოლოდ 50-100 ახალი ნაერთის წარმოება შეეძლო წელიწადში. გარდა ამისა, სკრინინგის ტექნოლოგის გაუმჯობებამ გაზარდა სიჩქარე, რომლითაც ნაერთები შეიძლება შემოწმდეს ყველაზე პერსპექტიულ მოლეკულების გამოვლენისათვის. ბაზარზე გენერიკული მედიკამენტების შემოსვლას უკვე დამკავიდრებული ფირმები აფერხებენ შესვლის ბარიერის გაძლიერებით, რასაც რეკლამირებისა და პროდუქტის დიფერენციაციის საშუალებით ახეხებენ. ამას გარდა, დღეისათვის მოქმედ პატენტის სისტემაში არსებული შავი ხვრელები აძლევს საშუალებას ამ ფირმებს დაიცვან თავი გენერიკული კონკურენტების ბაზარზე შემოსვლისაგან. უკვე დამკავიდრებული ფირმები ხშირად აგრესიულ ქცევასაც არ ერიდებიან თავიანთი საბაზრო წილის დასაცავად. შაშინაც კი, როდესაც გენერიკული ალტერნატივები უკვე ხელმისაწვდომია, მომხმარებლებისა და ექიმების დანიშნულების ჩვევები ხელს უშლის გენერიკული ვერსიების გამოყენებას). ეს ჩვევა სავარაუდო ჩამოყალიბდა ფირმების ინტენსიური მარკეტინგული სტრატეგიების გავლენით, რომელიც მოიცავს როგორც გაყიდვების სტიმულირებას ექიმებთან, ასევე მომხმარებელზე გათვლილ პირდაპირ რეკლამას.

პროდუქტის დიფერენციაციის მაღალი დონე ასევე აძლევს საშუალებას ინოვაციურ კომპანიებს, რათა უკეთ მოახდინონ თავიანთი პროდუქტის პოზიციონირება ბაზარზე და ამით შეზღუდონ კონკურენცია. ვინაიდან ფარმაცევტიული კომპანიების გაყიდვები დიდწილად არის დამოკიდებული მათ ბლოკბასტერ წამლებზე და ბევრი ბლოქბასტერის პატენტის ვადა ინურება უახლოეს მომავალში, გენერიკების შემოსვლის საფრთხე აშკარაა.

**მიწოდება და მყიდველის ძალაუფლება.** საზოგადოდ, ფარმაცევტიული პროდუქტის ფასის ცვლილებას მყიდველებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ გააჩნია, ვინაიდან ამ პროდუქტზე ფასი არაელასტიურია, როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ. მიუხედავად ამისა, ჯანმრთელობის დაზღვევის ორგანიზაციების მხრიდან უკვე იზრდება ზენოლა ფასების ზრდის ლიმიტთან დაკავშირებით]. რაც შეეხება მიწოდების მხარეს, ფარმაცევტიული ფირმები ძირითადად სარგებლობენ ხელმისაწვდომი ნედლეულით, ტექნოლოგიებითა და მაღალკვალიფიციური მუშახელით. დღესდღეობით, წამყვან ფარმაცევტიულ ფირმებს სამეცნიერო კვლევის ფარგლებში შეუძლიათ წელიწადში ათასობით ნაერთის შექმნა და მათი შესწავლა პერსპექტიული ქიმიური ფორმულის გამოვლენის მიზნით. გარდა ამისა, ტექნოლოგიების მომწოდებლების რგოლი უმეტესად დანაწილებულია და შედგება ისეთი დანაყოფებისაგან, როგორიცაა ბიოტექნოლოგიური ფირმები, უნივერსიტეტები და სხვა მცირე ზომის კერძო ფირმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფარმაცევტიულ ფირმებს სხვადასხვა სახის საშუალებით, როგორიცაა ლიცენზირება, ერთობლივი საწარმო, ან შესყიდვები. ამას გარდა, ძირითადი კვლევების საჯარო დაფინანსებამ ხელი შეუწყოკომპეტენტური მკვლევარების ჩამოყალიბებას.

## პროდუქტის დიფერენციაციის სტრატეგია

ბევრი ინოვაციური კომპანია ცდილობს არსებული წამლების საბაზრო ექსკლუზიურობის პერიოდის გახანგრძლივებას. ეს სტრატეგია სავარაუდოდ ყველაზე ხშირად გამოიყენება. იმაზე დამოკიდებულებით, თუ რა ტიპის პატენტს ფლობს, ინოვაციურ კომპანიებს შეუძლიათ მოიპოვონ დამატებითი საბაზრო ექსკლუზიურობა 6 თვიდან 7 წლამდე ხანგრძლივობით. უკვე არსებული ხაზის გაფართოებასათან დაკავშირებული საქმიანობა გაცილებით იაფია, ვიდრე სრულიად ახალი ქიმიური შემადგენლობის პროდუქტის დანერგვა. ამიტომ უკვე არსებული ხაზის გაფართოება პოპულარობით სარგებლობს ორიგინალი ბრენდების მწარმოებელ კომპანიებს შორის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათი რომელიმე ბლოქბასტერ მედიკამენტს ენურება პატენტის ვადა.

ძალიან ხშირად ინოვაციური კომპანიები თავიანთი ქმედებით ახერხებენ იმას, რომ არ შეუშვან გენერიკული კონკურენტები ბაზარზე, რისი დახმარებითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ თავიანთი ფინანსური სარგებლის გაზრდაში. დღითიდღე იზრდება კრიტიკა ფარმაცევტიული კომპანიების მიმართ კანონმდებლობის ბოროტად გამოყენების გამო. ამის პასუხად აშშ სენატმა მიიღო აქტი იაფი ფარმაცევტიული სამუალებების ხელმისაწვდომობის შესახებ. ეს აქტი მიზნად ისახავდა შავი ხვრელების დახურვას წამლის პატენტის კანონში. ეს დებულება ზღუდავს ბრენდი კომპანიებს 30 თვიანი ყოფნას გენერიკული კონკურენტების გარეშე და კრძალავს ინოვაციურ და გენერიკულ კომპანიებს შორის არაკონკურენტული



უსამართლო გარიგებების დადებას, თუმცა ფედერალური სავაჭრო კომისიის კვლევებმა აჩვენეს, რომ ეს აქტი აუარესებს კონკურენციას და საზოგადოების სარგებელსაც [6. გვ. 177-178].

### ინოვაციურობა და მომგებიანობა


ამ ნაწილში წარმოვადგენთ ინოვაციურობის მაჩვენებლებს, კერძოდ თუ ახალი ქიმიური შემადგენლობის რამდენი წარდგენილი და სამეცნიერო კვლევებზე დახარჯულ ერთ დოლარზე რამდენი ასეთი პროდუქტი მოდის და კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლებს საბაზრო ღირებულების სახით.

მოდიფიცირებული და გენერიკული მედიკამენტების რაოდენობა იზრდება და მნიშვნელოვნად უსწრებს ახალი ქიმიური ფორმულის მქონე მედიკამენტების რაოდენობის მაჩვენებელს. ახალი გენერიკული წამლების რაოდენობა 1970-იან წლებამდე გაიზარდა, მაგრამ მნიშვნელოვნად შემცირდა 1980-იანი წლების ბოლოსათვის, რის შემდეგაც, გენერიკული წამლების რაოდენობა კვლავ გაიზარდა და მოაღწია იმაზე მაღალ მაჩვენებელსაც კი, ვიდრე ეს 2005 წლისათვის ფიქსირდება. აგრეთვე გამოიკვეთა მოდიფიცირებული მედიკამენტების ზრდის დინამიკაც, მაგრამ არა ისეთი სწრაფი ტემპით, როგორიც ეს გენერიკებს ახასიათებთ [7. გვ. 186-187].

მოგებისა და შემოსავლებისაგან განსხვავებით საბაზრო ღირებულება ასახავს ფირმების როგორც მატერიალურ, ასევე არამატერიალური აქტივებს. არამატერიალური აქტივები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ფარმაცევტულ ინდუსტრიაში სამეცნიერო კვლევების მაღალი დანახარჯებისა და ბრენდების ღირებულების გამო.

**ცხრილი 3**

**ფარმაცევტული კომპანიების საბაზრო ღირებულება ყველა სხვა კომპანიების შედარებით (1965-2012)**



**წყარო:** PublicCitizen (2011)

ახალი მედიკამენტების წარდგენის სრულმასშტაბიან მონაცემთა ბაზის (1950-2012) საფუძველზე



ცხრილი 3 გვიჩვენებს, რომ ფარმაცევტულ ბიზნესში კომპანიების საბაზრო ღირებულება უფრო მაღალია, ვიდრე ყველა დანარჩენი კომპანიების საბაზრო ღირებულება ყველა დროის განმავლობაში. ბოლო ოცი წლის განმავლობაში განსხვავება კიდევ უფრო გაიზარდა. ეს მაჩვენებლები კიდევ ერთხელ ადასტურებს გავრცელებულ აზრს, რომ ფარმაცევტული ბიზნესი მაღალი მომგებიანობით გამოირჩევა. რაც შეეხება უკუგებას, ფარმაცევტული კომპანიები სულ უფრო მეტს და მეტს გამოიმუშავენ ყოველი ახალი წამლის წარმოება-გაყიდვაზე ნებართვის მიღების შემდეგ.

**სხვა პირობები: დინამიკური ეფექტურობა:** ჩვენი ზემოთაღნიშნული დასკვნები როგორც ჩანს ემთხვევა ფარმაცევტული კომპანიების მიმართ არსებული კრიტიკულ შენიშვნებს. პირველი, უკვე ჩატარებული კვლევების საფუძველზე, ვაჩვენეთ, რომ ყველაზე ინოვაციური ფარმაცევტული პროდუქტის ფარდობით მაჩვენებელი ყოველწლიურად მცირდება. ამავე დროს, ბაზარზე ჩნდება ბევრი ახალი პროდუქტი, თუმცა სამწუხაროდ არა ინოვაციური. მეორე, სამეცნიერო კვლევებზე დახარჯულ ყოველ დოლარზე ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო ნაკლები მედიკამენტის ბაზარზე დაშვების ნებართვა მოდის. რაც შეეხება მომგებიანობას, ფარმაცევტული პროდუქტის ბაზარზე დაშვების ხებართვის უკუგება თითქმის 50 ჯერ გაიზარდა ბოლო 50 წლის განმავლობაში. მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული ხედვა ეხება სტატიკური ეფექტურობას და დინამიკურ ეფექტურობას შეუძლია წარმოგვიდგინოს უფრო დაბალანსებული ხედვა ამ საკითხთან დაკავშირდით. სტატიკური ეფექტურობა შეისწავლის ფასს და გრძელვადიან საშუალო ღირებულებას, აგრეთვე იმას, უდრის თუ არა ფასი ზღვრულ ღირებულებას, ხოლო დინამიკური ეფექტურობა მოითხოვს მოითხოვს გრძელვადიანი განხილვის ტექნოლოგიური მიღწევების გათვალისწინებით[7. გვ. 88-90]. .

## დასკვნა

მაღალი უკუგება აკომპენსირებს კაპიტალის მაღალი ღირებულებას .ფარმაცევტული ბიზნესის პრაქტიკა აღნერილია როგორც მოგებაზე ორიენტირებული ქცევის ვირტუოზული ნიმუში, რაც იმას ნიშნავს, რომ წარმოდგენილი მედიკამენტების მხოლოდ მცირე ნაწილს შეუძლია სამეცნიერო კვლევების ხარჯების დაფარვა და მთელი ფარმაცევტული ინდუსტრიის უკუგება ოდნავ მეტია ინდუსტრიის კაპიტალის ღირებულებაზე. ზოგიერთ თერაპიულ ბაზრებზე მიმზიდველი მოგების შენსი უბიძგებს ფარმაცევტულ ფირმებს , რათა მათ კიდევ უფრო მეტი სახსრები ჩადონ სამეცნიერო კვლევებში კონკურენტული უპირატესობის მოპოვების მიზნით. ეს პროცესი გრძელდება ვიდრე მოგების ციფრები არ შემცირდება და არ დაკარგავს მიმზიდველობას. ფარმაცევტული ინდუსტრიაში მაღალი მომგებიანობის შენარჩუნება შეიძლება უბრალოდ ასახავს კაპიტალის მაღალი ღირებულებას ამ ინდუსტრიაში. სამკურნალო საშუალების შექმნისა და განვითარების ხანგრძლივი და გაურკვეველი პროცესი ფარმაცევტული ინდუსტრიის უნიკალური მახასიათებელია და ხდის მას უფრო სარისკოს ვიდრე ეს ნებისმიერი სხვა ინდუსტრიაა. შედეგად, ამ სექტორში ფინანსების გარედან მოზიდვა უფრო ძნელია, ვიდრე სხვა სფეროში. ახალი პროდუქტის განვითარებას მზარდი ღირებულება და მაღალი რისკი უნდა ანაზღაურდეს შედარებით მაღალი უკუგების ხარჯზე.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. Public Citizen annual report, Vashington, 2011.
2. The Economist, 2008, N 17
3. CBO (Congressional Budget Office) Research report , Vashington, 2006
4. Currie and Park, The price of innovation; HealthEcon., 2002
5. Waldman and Jensen, Lifecycleof a blockbusterdrug; MolInterv., 2001
6. FTC (Federal Trade Commission) Research report, Vashington, 2007.
7. Craig and Malek, Managing innovationin a globalized economy, HealthEcon, 1995;



## მანანა მარიდაშვილი

**ფარმაცევტული ბიზნესის მომგებიანობისა და მარკეტინგის  
ურთიერთკავშირის საკითხი**

### რეზიუმე

კრიტიკოსები ხშირად აღნიშნავენ ფარმაცევტული ბიზნესის მაღალი მოგების შესახებ, რაც ეკონო-მიკის საშუალო მოგებას ბევრად აღემატება. საზოგადოების შეშფოთების მიზეზი არის მედიკამენტების თვითლირებულებასა და ფასს შორის დიდი განსხვავება.

სტატიაში შეფასებულია ფარმაცევტული ბიზნესის ფუნქციონირება მომგებიანობისა და ინოვაციურობის თვალსაზრისით; განხილულია ფარმაცევტული ბაზრის მოთხოვნისა და მიწოდების არაელასტიკური ბუნება, აგრეთვე პატენტების სიტემა, კონკურენციის პირობები, ბაზარზე შესვლის ბარიერები და ა.შ. დასკვნის სახით მოცემულია რეკომენდაცია ფარმაცევტული ბიზნესის ფუნქციონირების ხელშეწყობისათვის.

**Manana Maridashvili**

### **THE ISSUE OF RELATIONSHIP BETWEEN PHARMACEUTICAL BUSINESS PROFITABILITY AND MARKETING**

#### **Summary**

Critics often point out the high profits of the pharmaceutical business, which are much higher than average profits in Economy. Cause of the anxiety of society is a big difference between the prices and costs of medicines.

The article assesses the performance of pharmaceutical firms in terms of innovativeness and profitability. It is discussed some issues, such are the nature of the pharmaceutical market demand and supply, which is inelastic, the patent system, competitive conditions, market entry barriers, etc. It is given the recommendation for the improvement of pharmaceutical business performance.



## განაცხადილი განვითარება

### ფარმაცევტული პროდუქტის ფასის ფორმირებისა და რეგულაციის ტენდენციები საქართველოსა და დსტ-ს ქვეყნებში

ქართული ფარმაცევტული სექტორის განვითარება დაიწყო 1990-იანი წლების შუაში, როდესაც ბაზარი ჯერ კიდევ სავსე იყო არალეგალური, უხარისხმებოდა და იაფი მედიკამენტებით. 1997 წელს მთავრობის მიერ რატიფიცირებულ იქნა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები და შეიქმნა საქართველოს წამლის სააგენტო. ეს უწყება 2008 წლის იანვარში სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო კონტროლის სააგენტოს შეუძლილობა, რომელიც დღემდე ადგილობრივი ფარმაცევტული ინდუსტრიის მთავარ საზედამ-ხედველო ორგანოდ გვევლინება. მას შემდეგ, ფალიფიცირებული და უხარისხმების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა და ამჟამად ფარმაცევტული ბაზარის უმნიშვნელო ნაწილი უკავია.

2007 წელს რეცეპტურული სამკურნალო საშუალებების ქართული ბაზრის ზომამ მიღწია 177 მილიონ ამერიკული დოლარის ექვივალენტს, იზრდებოდა და რა წლიწადში დაახლოებით 34%-ით 1995 წლიდან დაწყებული. ამ წლების განმავლობაში ფარმაცევტული ინდუსტრიაში ადგილი ჰქონდა საგადასახადო სტიმულირებას, რამაც ხელი შეუწყო ამ სექტორის ზრდას. შინაგანი შემოსავლებმა და აგრეთვე, ოჯახის ხარჯებში ჯანდაცვაზე განეული ხარჯების წილის ზრდამ (2003 წელს ჯანდაცვაზე განეული ხარჯები იყო ოჯახის სუფთა შემოსავლის 6% და გახდა 9.5% 2003 წელს), კიდევ უფრო დაჩქრა სექტორის განვითარება. 2013 წელს ფარმაცევტული ბაზრის ღირებულებამ საქართველოში 230 მილიონ დოლარის ექვივალენტს გადააჭარბა. კანონმდებლობის გამკაცრებამ და ძლიერმა კონკურენციამ გაცხრილა ბაზარი.

დღეისათვის საქართველოში 2000-ზე მეტი ფარმაცევტული ფირმაა რეგისტრირებული, რომელთაგან 76 კომპანია აწარმოებს სხვადასხვა ფარმაცევტულ პროდუქტს ქვეყანაში.

მედიკამენტების წილი საქართველოს ექსპორტის 2%-ს, ხოლო იმპორტის 3%-ს შეადგენს (2013წ). ქართული ფარმაცევტული პროდუქტების ექსპორტირება ძირითადად ხდება ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ყირგიზეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი, აზერბაიჯანი და თურქეთი. შემდეგ მოდის უკრაინა და სომხეთი. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი წარმოების მედიკამენტები იმპორტული მედიკამენტების მიმზიდველ შემცვლელებს წარმოადგენს მათი უფრო დაბალი ფასებისა და კონკურენტული ხარისხის გამო, ადგილობრივი წარმოების მედიკამენტება მაინც დაბალია და საქართველოში მოხმარებული მედიკამენტების საერთო რაოდენობის 10-დან 14 %-მდე მერყეობს. ამის ძირითადი მიზეზი ასორტიმენტის ნაკლებობაა. საქართველოში რეგისტრირებული 50 000 სახეობის მედიკამენტიდან მხოლოდ 100-150 ტიპი იხარმოება ადგილობრივად. თუმცა, ქართული ფარმაცევტული კომპანიების შესაძლებლობის გათვალისწინებით, იგეგმება ამ წილის 30%-მდე გაზრდა. საგადასახადო შეღავათები იმპორტულ პროდუქტების განვითარება, რომელიც ერთ დროს მისასალმებელი იყო, ამჟამად მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მედიკამენტების ადგილობრივ წარმოებას.

**ქართული ფარმაცევტული ინდუსტრიის ლიდერები.** ავერსი ფარმა, PSP ჯგუფი და GPC არის ქართული ფარმაცევტული ინდუსტრიის სამი ლიდერი კომპანია. რომლებსაც დომინანტური პოზიცია უჭირავთ მედიკამენტების იმპორტის/დისტრიბუციის, წარმოებისა და საცალო გაყიდვების სექტორებში. ისინი ჯამში აკონტროლებენ ადგილობრივი ფარმაცევტული ბაზრის დაახლოებით 75 %-ს. ეს კომპანიები დაკავებულ არიან როგორც მედიკამენტების დისტრიბუციით, ასევე საკუთარი პროდუქტების წარმოებითა და იმპორტით. ბაზარზე არსებული სიტუაცია ინვენტორების ფარმაცევტულ პროდუქტებზე განვითარების ზრდას. 2013 წელს, ფარმაცევტული პროდუქტების შეძენის ხარჯები თითოეული ოჯახის მიერ ჯანდაცვაზე განეული საერთო დანახარჯების 60%—ს შეადგენდა.

ფარმაცევტულ ბაზართან მიმართებაში საზოგადოებისთვის მთავარ პრობლემას მედიკამენტების სიძირი წარმოედგენს. თუ იმ ფაქტს გავითვალისწინებთ, რომ ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე საფასო კონკურენცია ფაქტობრივად არ არსებობს, შესაბამისად ჩატვირთვით, ასევე საკუთარი პროდუქტების წარმოებითა და იმპორტით. ბაზარზე არსებული სიტუაცია ინვენტორების ფარმაცევტულ პროდუქტებზე განვითარება დანახარჯების ზრდას. 2013 წელს, ფარმაცევტული პროდუქტების შეძენის ხარჯები თითოეული ოჯახის მიერ ჯანდაცვაზე განეული საერთო დანახარჯების 60%—ს შეადგენდა.

ავერსი ფარმა 1994 წელს შეიქმნა. მას ქართული ფარმაცევტული ბაზრის 35 % უკავია. კომპანიას ეკუთვნის უმსხვილესი აფთიაქების ქსელი, რაც 140 აფთიაქს მოიცავს ქვეყნის მასშტაბით. ავერსი არის ფარმაცევტული პროდუქტების სიდიდის მიხედვით რიგით მეორე მწარმოებელი საქართველოში და ფლობს ISO-ს 9001 სერტიფიკატს. ავერსი რაციონალის ქარხანა აწარმოებს მედიკამენტის 65 ტიპს. PSP ჯგუფი, რომელიც ასევე 1994 წელს შეიქმნა, ამჟამად 114 აფთიაქის ფლობრივია, აკონტროლებს ადგილობრივი ბაზრის 30%-ს. ყოველწლიურად უშვებს 500 მლნ ტაბლეტსა და 200 მლნ კაფსულას. GMP, PSP ჯგუფის წევრი, არის ფარმაცევტული პროდუქტების უდიდესი მწარმოებელი ამიერკავკასიაში. იგი შეიქმნა 2000 წელს და აწარმოებს მედიკამენტის 100-ზე მეტ სახეობას. 2004 წელს კომპანია დაჯილდოებულ იქნა ISO 9001-2000 სერტიფიკატით, ხოლო 2007 წელს GMP (good manufacturing practice) სერტიფიკატით. GPC ამ კომპანიებზე ერთი წლით გვიან, 1995 წელს შეიქმნა, მას საბაზრო წილის დაახლოებით 10 % უკავია.



ვია, არის 39 სააფთიაქო მაღაზიის მფლობელი. ფარმაცევტული პროდუქციის უცხოელი მწარმოებლები ხშირად მედიკამენტებს უფრო დაბალ ფასებში უთმობენ ავერსასა და PSP-ს, ვიდრე სხვა ადგილობრივ საბითუმო მოვაჭრეებს. შედარებით დაბალი ფასები, მომსახურების მაღალი ხარისხი, კარგი რეპუტაცია და მომხმარებელთა ნდობა ეხმარება ამ კომპანიებს სხვა ადგილობრივ კომპანიებთან შედარებით მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობის შენარჩუნებაში. საკუთარი ფარმაცევტული პროდუქცია კიდევ უფრო აძლიერებს მათ საბაზრო ძალაუფლებას.

**ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული ფასწარმოწმნის პრაქტიკა.** 2004 წლამდე არსებული ძლიერი კონკურენცია მედიკამენტების ფასების შემცირებას უწყობდა ხელს. თუმცა მას შემდეგ, რაც ნამყვანმა ფარმაცევტულმა ფირმებმა მოაპოვეს რეპუტაცია და ნდობა, მათ გადაწყვიტეს, რომ თავიდან აეცილებინათ ფასების ომები და თავიანთი ძალისხმევა მიემართათ მარკეტინგის, ქსელის გაფართოების, მომსახურების ხარისხის ამაღლების და სხვა მიმართულებით.

ფასი არის პროდუქტის ღირებულების მონეტარული გამოხატულება. მომხმარებლის ფასი, პროდუქტის განვითარებისა და დანახარჯების, აგრეთვე მარკეტინგისა და პრომოციის დანახარჯების გარდა, ასევე მოიცავს ფასნამატს, რომელიც ნარმოიქმნება სადისტრიბუციო ქსელსა და სავაჭრო ობიექტებში. საბაზრო ეკონომიკაში ფასი არის პროდუქტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი და საბაზრო სიტუაციის საკვანძო ელემენტი, რომელიც მოქმედებს როგორც მიწოდებაზე, ასევე მოთხოვნაზე.

პროდუქტი არის საქონლის სპეციფიკური კლასი, რომელიც შემდეგი თავისებურებებით ხასიათდება: სოციალური მნიშვნელობა, მოთხოვნის ფასის არაელასტიკურობა მედიკამენტების მრავალი ჯგუფისათვის, სპეციალისტების (ექიმებისა და ფარმაცევტების) გავლენა არჩევანზე/გადაწყვეტილებაზე მედიკამენტის ყიდვის შესახებ.

საბოლოო (მომხმარებლის) ფასის ფორმირებაზე გავლენას ახდენს საწარმოო, საბაზრო, საკანონმდებლო და ფინანსური ფაქტორები.

ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გარდა, მედიკამენტის ფასი შეიცავს აგრეთვე მარკეტინგისა და პრომოციის ხარჯებს.

#### **ფარმაცევტულ ბაზარზე ფასწარმოქმნაზე მოქმედი ფაქტორების ჯგუფები:**

**საწარმო ფაქტორები:** პროდუქტის განვითარება, კვლევები (პრეკლინიკური, კლინიკური, პოსტ-მარკეტინგული), პროდუქცია, რეგისტრაცია.


**საბაზრო ფაქტორები:** სადისტრიბუციო ჯაჭვი (მწარმოებლიდან მომხმარებლამდე), სადისტრიბუციო ჯაჭვის მონაბილეთა სტატუსი და რაოდენობა, კონკურენცია, მიწოდების რაოდენობა, არეცეპტურული და რეცეპტურული წამლების თანაფარდობა.

**საკანონმდებლო და ფინანსური ფაქტორები:** ჯანდაცვის სისტემა და ხარჯები, საკანონმდებლო აქტები და შეზღუდვები, სამკურნალო საშუალებების კატეგორიები და სიები, შემცვლელების იმპორტის პოლიტიკა და ადგილობრივი მენარებების მხარდაჭერა, მედიკამენტების გაყიდვის არხები, ანაზღაურების სისტემა, საგადასახადო პოლიტიკა, ფარმაცევტული ბაზრის ურთიერთქმედება ეროვნული ეკონომიკის სხვა სექტორებთან, უცხოური ეკონომიკური აქტივობები.


1990-იან წლებამდე მოსახლეობის ფარმაცევტული პროდუქციით მომარაგება ხორციელდებოდა ორგანიზებულად კანონმდებლობის ფარგლებში, რაც ხასიათდებოდა სახელმწიფო ქარხნებში ფარმაცეტული პროდუქციის მკაფიო ცენტრალიზაციით. ქვეყნის გარეთ მედიკამენტების შესყიდვა ასევე ცენტრალიზებული იყო. ეროვნული ფარმაცევტული ინდუსტრია აქმაყოფილებდა საბჭოთა კავშირის ჯანდაცვის სისტემის მოთხოვნის დაახლოებით 75%-ს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მისი შემადგენლობასი შემავალმა ყველა ქვეყანამ, მათ შორის საქართველომაც, გაიარა ე.ნ. შოკური თერაპია. ვინაიდან ფარმაცევტული სექტორის მუშაობა დაკავშირდულია ეკონომიკის სხვა სექტორებთანაც, სახელმწიფოს რეგულაციების როლი თანდათან შემცირდა მის განვითარებაში. ოპტიმალური ფასების სისტემის ძიების პროცესი დღემდე გრძელდება, რაც პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობასთან.

ქვემოთ მოცემულია ცხრილების სახით ფარმაცევტული ბაზრის ზომა, ადგილობრივი მედიკოსის წილი, მედიკამენტების მომხმარებება ერთ სულ მოსახლეზე, ერთეული მედიკამენტის საშუალო ფასი საქართველოსა და დასთ-ს ქვეყნებისათვის.

**ზარმავეგზული ბაზრის ზომა  
მილიარდ აშშ დოლარში**




**ადგილობრივი მედიკამენტების ზომი  
%**






**მოხმარება ერთ სულ  
მოსახლეობა აშშ დოლარში**



**ერთეული მდგრადი მოხმარების საშუალო ფასი  
აშშ დოლარში**



წყარო: <http://ick.ge/ka/jinvestigation/371-2010-02-22-07-46-27>

ამგვარად, ფასწარმოქმნის პროცესი ფარმაცევტულ ბაზარზე ასახავს სისტემის მდგომარეობას და ხელს უწყობს ინდუსტრიის შემდგომ განვითარებას. ვაჯამებთ, რა ზემოთმოყვანილ მონაცემებს, ვას-კვნით, რომ სამკურნალო საშუალებების მოხმარებაზე გავლენას ახდენს სოციალური პასუხისმგებლობა და აგრეთვე, მნარმოებლისა და საღისტრიბუციო ჯაჭვის ეკონომიკური ინტერესები. ფასწარმოქმნის სისტემა ასახავს ამ ფაქტორების ბალანსს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. <http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe>
2. <http://ick.ge/ka/jinvestigation/371-2010-02-22-07-46-27>
3. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემები - [www.moh.gov.ge](http://www.moh.gov.ge)
- 5.ფარმაცევტული კომპანიები - “ავერსი”, “შაბ”, GPC-ის მოწიდებული მასალები
- 6.ახალგაზრდა ბიზნესებითა და ფინანსისთა ასოციაციის კვლევა
- 7.საქართველოს კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“
- 8.How to develop and implement a national drug policy. WHO. Second Edition. P.65
- 9.Pharmaceutical Pricing Policy in Global Market. OECD Health Policy Studies
- 10.World Health Report 2013.

### მანანა მარიდაშვილი

**ფარმაცევტული პროდუქტის ფასის ფორმირებისა და რეგულაციის ტენდენციები  
საქართველოსა და დსტ-ს ქვეყნებში**

### რეზიუმე

ფარმაცევტული პროდუქტი არის საქონლის სპეციფიკური კლასი, რომელიც შემდეგი თავისებურებებით ხასიათდება: სოციალური მნიშვნელობა, მოთხოვნის ფასის არაელასტიკურობა მედიკამენტების მრავალი ჯგუფისათვის, სპეციალისტების (ექიმებისა და ფარმაცევტების) გავლენა არჩევანზე/გადაწყვეტილებაზე მედიკამენტის ყიდვის შესახებ. საბოლოო (მოხმარებლის)ფასის ფორმირებაზე გავლენას ახდენს საწარმოო, საბაზრო, საკანონმდებლო და ფინანსური ფაქტორები.

ფასწარმოქმნის პროცესი ფარმაცევტულ ბაზარზე ასახავს სისტემის მდგომარეობას და ხელს უწყობს ინდუსტრიის შემდგომ განვითარებას. სამკურნალო საშუალებების მოხმარებაზე გავლენას ახდენს სოციალური პასუხისმგებლობა და აგრეთვე, მნარმოებლისა და საღისტრიბუციო ჯაჭვის ეკონომიკური ინტერესები. ფასწარმოქმნის სისტემა ასახავს ამ ფაქტორების ბალანსს.

ფარმაცევტული სექტორის მუშაობა დაკავშირებულია ეკონომიკის სხვა სექტორებთანაც, სახელმწიფოს რეგულაციების როლი თანდათან შემცირდა მის განვითარებაში. ოპტიმალური ფასების სისტემის ძიების პროცესი დღემდე გრძელდება, რაც პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობასთან.



**Manana Maridashvili**

**PHARMACEUTICAL PRODUCT PRICE FORMATION AND REGULATION  
TRENDS IN GEORGIA AND CIS COUNTRIES**

**Summary**

Pharmaceutical product is a specific class of goods that is characterized by the following features: social importance, inelasticity of demand price for many groups of medicine, the influence of specialists (doctors and pharmaceutics) on the choice of decision about purchasing the medicine. The formation of final (consumer) price are influenced by industrial, market and financial factors.

Pricing processes in the pharma market reflect the state of the system and encourage further development of the industry. Drug consumption is affected by social responsibility of the state and the economic interests of the manufacturer and distribution chain. The system of drug pricing reflects the balance of those factors.

Performance of pharmaceutical sector is related with other sectors of economic. The role of state regulations of its development is gradually decreased. Processes of change in search of an optimal pricing system continue even at this time, subject to country-specific economic and political conditions.



## თალიპო ქვანია ანა კოდიაშვილი

### ელექტრონული სფეროში ზოგიერთი ასპექტი

ელექტრონული სწავლება წარმოადგენს საგანმანათლებლო საშუალებას, რომელიც ეფუძნება თვითმოტივაციას, კომუნიკაციას, აქტივობასა და ტექნოლოგიას. სოციალური ინტერაქციის შეზღუდულობის გამო მსმენელები უნდა ინარჩუნებდნენ მოტივაციას. იზოლაცია, რომელიც დამახასიათებელია ელექტრონული სწავლებისათვის, დავალებების შესრულების პროცესში მსმენელებისაგან საჭიროებს ხშირ კომუნიკაციას ერთმანეთთან და ინსტრუქტორებთან. ელექტრონული სწავლება ეფექტურია, რადგანაც აქ არ არის მანძილის ცნება. ამას განაპირობებს ის, რომ ელექტრონული სწავლების კონტენტი შექმნილია ელექტრონული მედიის საშუალებით, რომელიც შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს სათანადოდ აღჭურვილი კომპიუტერული ტერმინალებიდან უშუალოდ და ინტერნეტის ტექნოლოგიების გამოყენებით.

ელექტრონული სწავლების სხვადასხვა სახეობები ეფუძნება:

- კომუნიკაციის საშუალებებს;
- სწავლების გრაფიკს;
- ელექტრონული სწავლების კლასის სტრუქტურას;
- გამოყენებულ ტექნოლოგიებს.

მსმენელებს შორის და მათი ინსტრუქტორთან კომუნიკაციისათვის არსებობს სხვადასხვა საშუალებები. ელექტრონული სწავლების მართვა შეიძლება წარიმართოს მხოლოდ ონლაინ საშუალებების მეშვეობით. ზოგიერთ შემთხვევაში, თუ მანძილი არ წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს, შერეული ელექტრონული სწავლების შესაქმნელად შეიძლება სწავლების პროცესში ჩაირთოს პირისპირ კომუნიკაციაც. შერეული ელექტრონული სწავლება შეიცავს ვებ-ინტერაქციისა და პიროვნებათშორისი ინტერაქციის ელემენტებს. ტექნოლოგიები აფართოებს ადამიანთა პირისპირ ინტერაქციის განსაზღვრებას, რადგანაც იყენებს ორმხრივ ვიდეო და ორმხრივ აუდიო კომუნიკაციებს. ამ ელემენტების თანაარსებობა ქმნის შერეული ელექტრონული სწავლების უფრო ფართო შესაძლებლობას.

ელექტრონული სწავლება შეიძლება იყოს სინქრონული ან ასინქრონული. სინქრონული ნიშნავს, რომ კომუნიკაცია ხორციელდება რეალურ დროში, როგორიცაა კონფერენცია, ტელეკონფერენცია და ონლაინ ჩატის პროგრამები. ასინქრონული ნიშნავს, რომ გამოიყენება კომუნიკაციის სხვა საშუალებები, რომელიც არ საჭიროებს პასუხს რეალურ დროში. ასინქრონული ელექტრონული სწავლების მაგალითებია: ელექტრონული ფოსტა, ბლოგები, ონლაინ ფორუმები და სხვა.

ელექტრონული სწავლების კლასის სტრუქტურას განსაზღვრავს ის, თუ როგორ ხდება სასწავლო მასალის-ინსტრუქციის ადმინისტრირება. ელექტრონული სწავლება შეიძლება იყოს დამოუკიდებელი, ინსტრუქტორის მიერ წარმართვადი ან თვითშემსწავლელი ექსპერტთან ერთად. დამოუკიდებელი სწავლის ინსტრუქციების ადმინისტრირება ხდება მსმენელისათვის იმ მასალის მიწოდებით, რომელიც მას ესაჭიროება ტრეინინგ-ინსტრუქციის შესასრულებლად. ინსტრუქტორის მიერ წარმართვადი ტრეინინგი სთავაზობს მსმენელს ინსტრუქციის შესასრულებლად საჭირო მითითებებს. თვითშესწავლა ექსპერტთან ერთად წარმოადგენს დამოუკიდებელი და ინსტრუქტორის მიერ წარმართვადი ადმინისტრირების კომპინაციას.

ინსტრუქციისათვის გამოიყენებული ტექნოლოგია არ არის შემოსაზღვრული ვებ-მასალებით. ელექტრონული სწავლება შეიძლება მიღწეულ იქნეს ნებისმიერი იმ ტექნოლოგიის გამოყენებით, რომელიც ეფუძნება მოქნილ ელექტრონულ მედია საშუალებებს. მიუხედავად იმისა, რომ ვიდეო/აუდიო კავშირი მოძველებული ტექნოლოგია, ის მაინც წარმოადგენს სიცოცხლისუნარიან საშუალებას ინსტრუქციებისათვის. თანამედროვე ტექნოლოგიები გვეხმარება სწავლებისთვის აუცილებელი გამოცდილების მიღებაში, რადგანაც არსებობს ინფორმაციის გადაცემის უფრო მეტი საშუალება. ტექნოლოგია ყველაზე ცვალებადი ელემენტია ელექტრონულ სწავლებაში. რაც უფრო მოწინავე ხდება ტექნოლოგია, მით უფრო მეტია იმ საშუალებების არჩევანი, რომლებიც განაპირობებენ ელექტრონული სწავლების განვითარებას. რაც უფრო იზრდება ინტერნეტის სიჩქარე, მცირდება მოწყობილობების ზომები და ხდება მობილური, ელექტრონული სწავლება ხდება უფრო მოქნილი, რაც განაპირობებს სწავლების ამ ფორმისადმი მოთხოვნის ზრდასა და პოპულარობას. მოწინავე ტექნოლოგიის პირობებში ელექტრონულ სწავლებას აქვს შეუზღუდავი ზრდადი პოტენციალი.

ეფექტიანი სწავლება იწყება ეფექტიანი დაგეგმვით. დაგეგმვა გულისხმობს გამოიყენებული ინსტრუქციული სტრუქტურის განსაზღვრების თანახმად, ინსტრუქციული სტრუქტეგიები გულისხმობს იმ მიღდგომას, რომელიც შეუძლია გამოიყენოს მასწავლებელმა სწავლების მიზნების მისაღწევად და მოიცავს პრე-ინსტრუქციულ აქტივობებს, ინფორმაციის პრეზენტაციას, მსმენელთა აქტივობებს, ტესტირებასა და მთლიანად სასწავლო კურსის რეალიზაციას. სტრატეგიები, ჩვეულებრივ, დაკავშირებულია სწავლების პროცესში ჩართული მსმენელების მოთხოვნებთან და ინტერესებთან. ის ეფუძნება სწავლების გარკვეულ სტილს. მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული სწავლების ფორმა შედარებით ახალი და განსხვავებულია, ტრადიციულ საკლასო ოთახებში არსებული სწავლების სტრატეგიები შეიძლება გამოიყენებულ იქნეს ეფექტური და დინამიკური ონლაინ სწავლების გარემოს შესაქმნელად.

ონლაინ სწავლება უნდა შეიცავდეს ისეთ აქტივობებს, რომლებიც მსმენელებს ახალი ცოდნის ძველთან დაკავშირების, სრულფასოვანი ცოდნის მიღების და მათი მეტაკოგნიტური შესაძლებლობის



უკეთ გამოყენების საშუალებას მისცემს [1]. შესაბამისად, ამ ტიპის სწავლებაში ინტრუქციული სტრატეგია უფრო მნიშვნელოვანია და მეტ გავლენას ახდენს სწავლის შედეგებზე, ვიდრე - გამოყენებული ტექნოლოგია.

ონლაინ სწავლება იძლევა მოქნილი, დროისა და სივრცისაგან დამოუკიდებელი სასწავლო პროცესის შექმნის შესაძლებლობას. სასწავლო მასალა უნდა იყოს ჩამოყალიბებული სწორად, რათა მოხდეს მსმენელის დაინტერესება და ჩართვა სასწავლო პროცესში. ონლაინ სწავლებას ბევრი დადგებითი მხარე გააჩნია, მაგრამ მას სჭირდება დიდი ძალისხმევა და რესურსები, რათა სასწავლო კურსი სწორად იქნება შედგენილი. „სწორად შედგენა“ ნიშნავს სასწავლო მასალის ისე კონსტრუირებას, რომ ყურადღების ცენტრში იყოს მსმენელი და სწავლის პროცესი. ასევე შესაძლებელი უნდა იყოს ყველანაირი ტექნოლოგიური მხარდაჭერის შეთავაზება. ამასთან, ონლაინ სწავლება უნდა იყოს ინტერაქტიული და კოლაბორაციული.

ადრეული კომპიუტერული სასწავლო სისტემები ბიპევიორისტულ თეორიაზე დაყრდნობით იგებოდა. ბიპევიორისტები ამბობდნენ, რომ სწავლა არის ცვლილება ქცევაში, გამოწვეული გარემოს ზემოქმედებით. მათი აზრით, მხოლოდ მსმენელის ქმედება გამოხატავს იმას, ისწავლა რაიმე მსმენელმა თუ არა, და არა ის, რაც მიმდინარეობს მსმენელის თავში. ამის საპასუხოდ, სხვა მეცნიერები ამბობდნენ, რომ მხოლოდ ქმედება არ არის იმის გამოხატულება, თუ რა შეისწავლა მსმენელმა და სწავლება არის გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე ცვლილება ქმედებაში. შესაბამისად, მოხდა გადანაცვლება ბიპევიორისტულიდან კოგნიტური თეორიისაკენ.

სწავლების კოგნიტური თეორიის მიხედვით, სწავლის პროცესი მოიცავს მეხსიერების გამოყენებას. ამ თეორიის მიმდევრების აზრით, მოტივაციას, აზროვნებასა და აღქმას აქვს მნიშვნელოვანი როლი სწავლის პროცესში. ისინი სწავლას უყურებენ, როგორც შინაგან პროცესს და ამტკიცებენ, რომ შესწავლილი მასალის რაოდენობა დამოკიდებულია მსმენელის შესაძლებლობაზე, მის ძალისხმევაზე, იმაზე, თუ რამდენად ღრმად მოხდა მასალის დამუშავება [2].

ბოლო დროს კოგნიტური თეორიიდან გადანაცვლება მოხდა კონსტრუქციონიზმზე. ამ თეორიის ფუძემდებლები ამტკიცებენ, რომ მსმენელები ინფორმაციისა და სამყაროს ინტერპრეტირებას ახდენენ თავიანთი პერსონალური თვალთახედვიდან. ისინი სწავლობენ დაკვირვებისა, დამუშავებისა და ინტერპრეტაციის მეშვეობით და შემდეგ ახდენენ ამ ინფორმაციის პერსონალიზმას საკუთარ ცოდნად [3].

მსმენელები საუკეთესოდ სწავლობენ მაშინ, როდესაც შეუძლიათ იმისი კონტექსტუალიზაცია, ანუ რეალობაში დანახვა, რასაც სწავლობენ (მიღებული ცოდნის დაუყოვნებლად პრაქტიკაში გამოყენებისა და საკუთარი შეხედულების ჩამოყალიბების გზით).

არსებობს ინსტრუქციული სტრატეგიების მრავალი ტიპი, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ონლაინ გარემოში: მენტორობა, ფორუმები, მცირე ჯგუფებად მუშაობა, პროექტები, ერთობლივი სწავლება, სასწავლო მაგალითები, სასწავლო კონტრაქტები, დისკუსია, ლექცია და თვითწარმართული სწავლება.

მენტორობა წარმოადგენს პერსონალურ სასწავლო ურთიერთობას სტუდენტსა და სფეროს ექსპერტს შორის სპეციფიკურ თემაზე ან დისციპლინაში სწავლებისა და განვითარების უზრუნველსაყოფად. მენტორი უზრუნველყოფს განუწყვეტელ მხარდაჭერას, რჩევებსა და მითითებებს მსმენელთათვის. მენტორს შეუძლია აგრეთვე თავის თავზე აიღოს მსმენელის სწავლების გაუმჯობესების როლი. სხვადასხვა დროს მენტორს შეუძლია იყოს როლის მოდელი, ადვოკატი, სპონსორი, მრჩეველი, გზამკვლევი, უნარებისა და ინტელექტუალური დეველოპერი, მსმენელი, მხერთნელი, ბრალმდებელი, ასისტენტი და რესურსების პროვაიდერი.

ელექტრონულ სწავლებაში მენტორობა არის ერთობლივი და ურთიერთსწავლება მენტორსა და სტუდენტს შორის. მენტორებს ტექნოლოგიების თანამედროვე ეპოქა სთავაზობს სტუდენტებისათვის, როგორც ტექნოლოგიური ინსტრუმენტების, პროგრამული უზრუნველყოფისა და საგანმანათლებლო მასალების მრავალფეროვანი ნაკრების მიწოდების, ასევე მათთან კომუნიკაციის მრავალ საშუალებას, როგორიცაა ელექტრონული ფოსტა, სწრაფი შეტყუბინებები, კონფერენციები და სხვა. სტუდენტებსა და მენტორებს შეუძლიათ კომუნიკაციის განხორციელება მოხერხებულად და სწრაფად მათი ადგილმდებარებისა და დროის მიუხედავად. უნდა აღინიშნოს, რომ მენტორობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეზღუდული უნარის მქონე პირებისათვის.

ფორუმი არის ერთი ან მეტი ადამიანისა და ადამიანთა მთელი ჯგუფის მიერ წარმოებული ღია დისკუსია. ეს ინსტრუქციული სტრატეგია გულისხმობს მოდერატორისა და აუდიტორიის გამოყენებას. მოდერატორი სვამს წარმართველ შეკითხვებს და ფრთხილად იკვლევს პასუხებს, აუდიტორია წარმოქრის და განიხილავს საკითხებს, აკეთებს კომენტარებს, სთავაზობს ინფორმაციას, უსვამს შეკითხვებს რესურსპირს ან ერთმანეთს. არსებობს ფორუმის ორი სხვადასხვა ტიპი: პანელური და სიმპოზიუმი.

პანელური ფორუმი შეიძლება მივამსგავსოთ ონლაინ კონფერენციას, სადაც საზოგადოდ სამიდან ხუთამდე ადამიანისაგან შედგენილი ჯგუფი წარდგება აუდიტორიის წინაშე, რათა წარმართოს მიზნობრივი საუბარი რაიმე თემაზე. ფორუმის ეს ტიპი შეიძლება გადაიცეს ვიდეოკონფერენციის, სადისკუსიო დაფის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით. პანელურ ფორმატში მოდერატორი წარმართავს საუბარს მცირე აუდიტორიის მონაწილეობით. ამ დროს მიღდგომა არის არაფორმალური.

ფორუმის მცირე ტიპი, სიმპოზიუმი, შედგება მრავალი მონაწილისაგან, რომლებიც იკრიბებიან აუდიტორიის წინაშე, რათა შესთავაზონ მსმენელებს სპეციფიკური თემის სხვადასხვა ასპექტი. ფორმატი არის ფორმალური და ხდება აუდიტორიის შეკითხვების მხარდაჭერა. ონლაინ სიმპოზიუმის უპირატესობა მის სიმარტივეშია. ჩვეულებრივი სიმპოზიუმისგან განსხვავებით, დამსწრეებების გარეშე

შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სესიაში ნებისმიერი ადგილიდან (თუნდაც სახლიდან). სიმპოზიუმის ორგანიზატორებმა შეიძლება ჩართონ ვირტუალური ტურები იმ ქალაქში, რომელშიც ტარდება ონლაინსიმპოზიუმი, დაურთონ ვიდეოკლიპები, რომლებიც შეიცავს მათი მონაწილეების ბიოგრაფიულ მონაცემებს, გამოიყენონ ვირტუალური კაფეები, სადაც ყველა მონაწილეს შეუძლია ისაუბროს, დააგზავნონ ონლაინ საფოსტო ბარათები დასათვალიერებლად და სხვა.

ონლაინპლატფორმაში მცირე ჯგუფებში მუშაობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც კორპორაციული, ისე საგანმანათლებლო სიტუაციისათვის. ეს ინსტრუქციული სტრატეგია ონლაინგარემოში ქმნის ჩეულებრივი საკლასო ოთახის ანალოგს. აյ მსმენელთა მცირე ჯგუფები ერთად მუშაობის პირობებში ასრულებენ რაიმე ამოცანას. მათ ეძლევათ შესაძლებლობა, ჩაატარონ კვლევები საკუთარ ტემპში. ჯგუფის წევრებს შეუძლიათ გამოხატონ საკუთარი თვალსაზრისი და გამოყენონ სხვადასხვა სცენარი. ონლაინკურსებისთვის არსებულ მრავალ პროგრამაში მცირე ჯგუფებში მუშაობისათვის აქტიურად გამოიყენება ტექსტური ჩატი.

დავალებათა პროექტები არის მნიშვნელოვანი ინსტრუქციული სტრატეგია. ამ სტრატეგიის დროს მსმენელებს ეძლევათ მათი ინტერესების შესაბამისი ინდივიდუალური კვლევის პროექტები. შესაბამისად მსენელის დაინტერესება დიდია, რადგან ის, რასაც ის იკვლევს და წერს, მისთვის საინტერესოა. ამასთან, ის იღებს დოკუმენტის შექმნის მნიშვნელოვან გამოცდილებას. ამიტომ ეს სტრატეგია ძალიან ეფექტურია საინტერესო სამუშაო გარემოს შესაქმნელად.

პროექტები ჯგუფურ ატმოსფეროში ეფექტურა დინამიკური სასწავლო გარემოს შესაქმნელად. როცა დასრულდება ინდივიდუალური პროექტები, ინსტრუქტორს აქვთ საშუალება, შეინახოს ისინი პრი-ვატულად და არ აჩვენოს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. თუმცა ეს სტრატეგია მეტად ეფექტურია, როცა მსმენელები უზიარებენ თავიანთი კვლევების შედეგებს სხვა წევრებს. ეს უზრუნველყოფს უკუკავშირს არა მარტო ინსტრუქტორის მხრიდან, არამედ მათი ჯგუფის წევრების მხრიდანაც. ამ დროს მსმენელები სწავლობენ ერთმანეთთან თანამშრომლობას და ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ საკუთარ ხედვას საერთო გადაწყვეტილების მისაღებად.

ერთობლივი სწავლება დინამიკური ონლაინსწავლების გარემოს შექმნის ძალიან გავრცელებული სტრატეგიაა. ეს სტრატეგია გულისხმობს ინტერაქციას ორ ან მეტ მსმენელს შორის ცალკეულ ჯგუფებში. ერთობლივი სწავლების რეალიზაციის ყველაზე ეფექტური გზაა სხვადასხვა დონის უნარების მქონე მსმენელების ჯგუფების შექმნა. განსხვავებული დონის ჯგუფების შექმნით მსმენელები სწავლობენ თავისწილით თანამონანილებებისაგან. თანატოლებათან ურთიერთთანამშრომლობა, როგორც სწავლების არაფინანსური ინსტრუმენტი, ძალიან სასარგებლოა. ამ დროს მსმენელებს ახალი ინფორმაციის გაზიარებით შეუძლიათ დაეხმარონ ერთმანეთს. ერთობლივი სწავლებისას მსმენელს უვითარდება ჯგუფურ გარემოში მუშაობის, კომუნიკაციისა და კრიტიკული აზროვნების უნარი.

ურთიერთთანამშრომლობა მოიცავს ინტერაქციას, მაგრამ ონლაინსწავლების ყველა ინტერაქცია არ არის ორმხრივი. ერთობლივი სწავლების გარემოში ფორმირებული ურთიერთობები ძალიან მნიშვნელოვანია ჯგუფის დინამიკისა და პროგრესისათვის. მეტი ცოდნისა და ძლიერი უნარების მქონე მსმენელებს დანარჩენებზე მეტად შეუძლიათ გადაწყვიტონ ჯგუფის მუშაობის ხარისხი. თუ ისინი აირჩივენ თანამშრომლობას და თავიანთ უნარებს გაუზიარებენ იმ წევრებს, რომლებსაც ესაჭიროებათ დახმარება, მაშინ ერთობლივი სწავლების დადგებითი მხარეები გაძლიერდება და ჯგუფი იქნება უფრო წარმატებული. მეორე მხრივ, თუ უფრო ძლიერი უნარების მქონე მსმენელები არ დაეხმარებიან სხვებს, ეს იმოქმედებს ჯგუფზე და გაუარესდება მუშაობის ხარისხი. ამრიგად, ინტერაქცია გადამწყვეტია ერთობლივი სწავლების ონლაინსტრაქციის ეფექტურობისათვის.

სასწავლო მაგალითების გამოყენების სტრატეგია გულისხმობს სწავლების პროცესში უკვე გადაწყვეტილი სასწავლო მაგალითების გამოყენებას. სასწავლო მაგალითები ძალიან ეფექტურია დინამიკური სასწავლო გარემოს შექმნისათვის. ამასთან მსმენელებისათვის მნიშვნელოვანია, ჰქონდეთ წვდომა მათ მიერ გადასაწყვეტი პრობლემისადმი და არა – მისი ამოხსნისადმი. მას შემდეგ კი, როცა შემენელები მივლენ საკუთარ დასკვნებამდე, მათ უნდა შეეძლოთ, შეადარონ მიღებული შედეგები სასწავლო მაგალითებში არსებულ რეალურ გადაწყვეტებს. სასწავლო მაგალითების შესწავლა აძლიერებს მსმენელების პრაქტიკულ აზროვნებას და უკითარებს მიღებული პოტნის გამოყენების უნარს ახალი სიტყუაციებისათვის.

სასწავლო კონტრაქტები შეიძლება იყოს ძალიან ეფექტური ინსტრუმენტი ელექტრონული სწავლების გარემოში. სასწავლო კონტრაქტი არის შეთანხმება მსმენელსა და ინსტრუქტორს შორის, რომელიც დეტალიზებას უკეთებს სწავლების მიზანს ისევე, როგორც იმას, თუ როგორ უნდა იყოს ეს მიზანი მიღწეული. სწავლების კონტრაქტის მოთხოვნებმა, მისი ბუნებიდან გამომდინარე, გაზიარდა როგორც ინსტრუქტორის, ასევე მსმენელის პასუხისმგებლობა. მსმენელი პასუხისმგებელია კონტრაქტის აქტიური კონტრაქტის დაწერასა და შესრულებაზე.

ინსტრუქციული სტრატეგიის ამ ფორმას ონლაინსწავლებაში მრავალი უპირატესობა გააჩნია. სასწავლო კონტრაქტი უზრუნველყოფს განსხვავებული ადამიანებისათვის მრავალფეროვანი ინსტრუქციული მოთხოვნების განხორციელების შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ მიზანი მსმენელთა მთელი კლასისათვის შეიძლება იყოს მყარი, მიზნის მიღწევის გზები შეიძლება იყოს ისეთივე უნიკალური, როგორი უნიკალურიც არიან თვითონ მსმენელები. მსმენელს შეუძლია გადაწყვიტოს, ინსტრუქციების რატემპი შეარჩიოს და ასევე შეარჩიოს ინსტრუქტორის მიზნების მისაღწევად ყველაზე საინტერესო გზა. იმის გამო, რომ მსმენელები ქმნიან თვითნაკარნახევ ნორმატივებს, ისინი დასაწყისიდანვე ნათლად იცნობენ კონტრაქტის მომავალ მოლოდინებს. კადი მოლოდინები არსებითია ნებისმიერი მსმენელის წარ-



მატებისათვის. ამის გამო ეს ინსტრუქციული სტრატეგია განსაკუთრებით მოტივირებულია და წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

დისკუსიის, როგორც ინსტრუქციული სტრატეგიის, გამოყენება ონლაინგარემოში განსაკუთრებით აქტუალურია ბევრი მსმენელისათვის. იგი ინსტრუქციულ სტრატეგიებს შორის ყველაზე პოპულარულია იმიტომ, რომ ის არის ინტერაქტიური და წამახალისებელი აქტივობა. დისკუსიის მოდელის წარმატებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პუხისმგებლობის თანაბრად განაწილება ინსტრუქტორსა და მსმენელს შორის.

რადგანაც მსმენელები ხშირად იზოლირებული არიან ონლაინ სწავლების გარემოში, ნებისმიერი ფორმატის დისკუსია ეხმარება ჯგუფის წევრად ყოფნის შეგრძნებას, რაც ხშირად წარმატების გასაღებია განათლებაში. დისკუსიები მსმენელებს საშუალებას აძლევთ, დაეყრდნონ არა მხოლოდ ინსტრუქტორს, არამედ ისნავლონ ერთმანეთისაგან.

სალექციო სტრატეგია წარმოადგენს მოდელს, რაც დისკუსიის მოდელისგან განსხვავებით, მეტად საჭიროებს ინსტრუქტორს ელექტრონული სწავლების გარემოში. ეს სტრატეგია გულისმობრივი ინსტრუქტორი უნდა იყოს საგნის სფეროს მცოდნე ექსპერტი. ლექციები ქმნის საგნის ცოდნის საფუძველს, რაზეც შეიძლება აიგოს სხვა ცოდნა, როგორიცაა დეკლარაციული, პროცედურული და პირობითი ცოდნა. ეს არ არის ადვილი. ლექტორმა უნდა იცოდეს, როგორ გაუკეთოს დიფერენცირება სალექციო მასალებს იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს მსმენელთა ინდივიდუალური მოთხოვნები.

იმისათვის, რომ მოხდეს მსმენელის სტიმულირება და სწავლასხვა ფორმით დაინტერესება, ლექციებმა შეიძლება მიიღოს სხვადასხვა ფორმა ვირტუალურ გარემოში. ლექციის კონსპექტის სრული წაკრები შეიძლება წარმოადგენილ იქნეს როგორც ვებგვერდი ან შეთავაზებულ იქნეს როგორც, PDF, Microsoft Word, PowerPoint, flash, ვიდეო და სხვა ფაილების სახით. სალექციო მასალაზე წვდომა შეიძლება განხორციელდეს პირდაპირ ან შეთავაზებულ იქნეს მსმენელისათვის ჩამოსატვირთად.

თვითწარმართული სწავლება განსაზღვრულია, როგორც მსმენელის მიერ ინიცირებული და წარმართული სწავლება. ეს სტრატეგია შეიძლება იყოს ძალიან ეფექტური, რადგანაც ის მთლიანად აგებულია მსმენელის ინიციატივასა და მოტივაციაზე. როგორც წესი, ამ ინსტრუქციული სტრატეგიის დროს მიიღწევა ცოდნის მაღალი დონე.

ელექტრონული სწავლება, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, წარმოადგენს დიდ ფორუმს, რომელშიც შეიძლება ადგილი ჰქონდეს თვითწარმართულ სწავლებას. ასინქრონული კლასები, რომლებიც მსმენელებს სთავაზობენ სახელმძღვანელოებს, მათ საშუალებას აძლევენ, იმუშაონ საკუთარი ტემპის შესაბამისად საკუთარ გარემოში, იმ რესურსების გამოყენებით, რომლებიც მოიპოვება თვითწარმართულ კვლევაში. მსმენელებს შეუძლიათ იმუშაონ დამოუკიდებლად, ესტუმრონ ვირტუალურ ბიბლიოთეკებს, მუზეუმებსა და გაზიერებს და ეს ყველაფერი მიიღონ კომფორტულ გარემოში მათს საკუთარ სახლებში.

ელექტრონული სწავლების სისტემები, როგორიცაა BlackBoard, WebCT და სხვა, მსმენელებს სთავაზობს შესაძლებლობათა მრავალფეროვან წაკრებს თვითწარმართული სწავლებისათვის. ვებ-ზე დაფუძნებულ საკლასო ოთახებში ტენდენცია შორსაა მსმენელის, როგორც ცოდნის პასიური მიმღებისაგან და მიმართულია მსმენელისაკენ, როგორც სასწავლო პროცესში ჩართული აქტიური თვითწარმმართველი მონაწილისაკენ.

ონლაინსაკლასო ოთახში გამოსაყენებლად შესაძლებელი ათეულობით ინსტრუქციული სტრატეგიიდან ინსტრუქტორის გადასაწყვეტია ინფორმაციის მიწოდების მეთოდების შერჩევა. ეს გადაწყვეტილება დაფუძნებული უნდა იყოს გადასაცემ ინფორმაციაზე, თვითონ მსმენელებსა და ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობაზე. თუმცა, ელექტრონული სწავლების პროცესში ჩართული ყველა ადამიანისათვის მნიშვნელოვანია ის, რომ შესაბამისი პედაგოგიკის გარეშე მაღალი მოცულობის მქონე კომუნიკაციის სერვისების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს მნიშვნელოვან გაუმჯობესებებს სწავლების შედეგებში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. 50 cool things you can do in your courses besides lecture. (2006) Suny Learning Network. Retrieved April 25, 2006 from <http://sln.suny.edu/sln/public/slnhome.nsf/d0f42cc6c1f8b6f7852563a400016098/8f9845f753c4955a85256b83004d0587?OpenDocument>
2. Brookfield, Stephen. Preskill, Stephen. (1999) Discussion in the classroom. San Francisco, California: Jossey-Bass.
3. Clark, Anne & Pitt, Tina Joy. (2001, March 4) Creating powerful online courses using multiple instructional strategies. eModerators. Retrieved April 25, 2006, from <http://www.emoderators.com/moderators/pitt.html>



თალიკო ჟვანია  
ანა კობიაშვილი

## ელექტრონული სწავლების ზოგიერთი ასპექტი

### რეზიუმე

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია სწავლების ის მეთოდოლოგია და მისი პრაქტიკული რეალიზაცია, რომელიც გამოიყენება ეფექტური ელექტრონული სასწავლო გარემოს შექმნის პროცესში. ინსტრუქციული სტრატეგიები განსაზღვრავს იმ მიზანმას, რომელიც უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა სწავლების მიზნების მისაღწევად. სტატიაში განხილულია ონლაინსწავლების ისეთი აქტივობები, რომლებიც მსმენელებს ახალი ცოდნის ძველთან დაკავშირების, მიღებული ინფორმაციის გააზრებისა და მათი მეტაკოგნიტური შესაძლებლობის უკეთ გამოყენების საშუალებას მისცემს. ეს აქტივობებია: მენტორობა, ფორუმები, მცირე ჯგუფებად მუშაობა, პროექტები, ერთობლივი სწავლება, სასწავლო მაგალითები, სასწავლო კონტრაქტები, დისკუსია, ლექცია და თვითნარმართული სწავლება. სტატიაში ნაჩვენებია, რომ ონლაინსწავლება იძლევა მოქნილი, დროისა და სივრცისაგან დამოუკიდებელი სასწავლო პროცესის შექმნის შესაძლებლობას.

Taliko Zhvania  
Ana Kobiashvili

### CERTAIN ASPECTS OF ELECTRONIC LEARNING

#### Summary

In the presented article it is discussed the learning methodology and its practical implementation which is used in the process of creation the effective electronic learning environment. Instructional strategies define the approach, which should be used by a teacher to achieve the learning objectives. In the article there are considered activities of online learning which allow the learners connecting the new knowledge with the old one, reasoning received information, and using their metacognitive possibilities in a better way. These activities are: mentoring, forums, working in small groups, projects, joint learning, case study, learning contracts, discussions, lectures, and self-guided learning. In the article it is shown that online learning allows creating flexible, independent from time and space process of learning.



## გიორგი სახოვავა

### აუდიტორული კონტროლი და ეფექტიანობის აუდიტის პერსევანტივი

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სანარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ფინანსური კონტროლის განხორციელებისას სახელმწიფო კონტროლის გარდა გამოიყენება ისეთი ფორმა, როგორიცაა აუდიტორული საფინანსო კონტროლი.

„აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია, რომ „აუდიტორულ შემოწმებას (აუდიტს) ახორციელებენ აუდიტორები და აუდიტური ფირმები სამენარმეო საქმიანობის, საჯარო ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების, დაბეგვრისა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისა და საწესდებო მოთხოვნების უტყუარობის, სისრულის, მოქმედ კანონმდებლობას-თან და ნორმატივებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით“.

**აუდიტორული საფინანსო კონტროლის დანიშნულებაა** აუდიტის დამკვეთთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შესამოწმებელი ობიექტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ობიექტური და სამართლიანი ინფორმაციით. აუდიტორული საფინანსო კონტროლის მიზანია, აგრეთვე, ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შეფასება.

აუდიტორთა მოქმედება შეიძლება მიმართულ იქნეს ორგანიზაციაში ფინანსური დარღვევების აღსაკვეთად.

აუდიტორულ შემოწმებას ატარებს სპეციალიზირებული ფირმები ან კერძო პროფესიონალი აუდიტორები ხელშეკრულების საფუძველზე. **აუდიტი** წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ შემოწმებას მისი უტყუარობის დადგენის მიზნით.

აუდიტორი არ არის ვალდებული დანაკლისებისა და დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში მიიღოს რაიმე სანქციები სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. შემოწმების შედეგი, როგორც წესი, ფორმდება აუდიტორული დასკვნით, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების უტყუარობის დამადასტურებელ დოკუმენტს. მაქსიმუმი, რაც შეიძლება გააკეთოს აუდიტორმა ფინანსურ ანგარიშგებაში აღმოჩენილი დარღვევების ფაქტზე რეაგირების შესახებ, ეს არის უარყოფითი დასკვნის გაცემა.

**ყველაფერი ეს განასხვავებს აუდიტს რევიზიისაგან.** რევიზია – ეს არის ფინანსური კონტროლის განხორციელების სხვა მეთოდი. კონტროლის ეს მეთოდი (რევიზია) დამახასიათებელია ორგანოებისათვის, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო ზედამხედველობას სამეურნეო სუბიექტის საფინანსო საქმიანობაზე.

აუდიტისაგან განსხვავებით, რევიზია ტარდება შესამოწმებელი ობიექტის ხელმძღვანელობის ნება-სურვილისაგან დამოუკიდებლად და მიზნად ისახავს განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების მართებულობის, კანონიერების, მიზანშეწონილობისა და ეფექტურიანობის დადგენას. რევიზიის შედეგების მიხედვით შეიძლება დაისვას ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის საკითხი და მათ მიმართ გამოყენებულ იქნეს სანქციები.

აუდიტი ტარდება სახელმწიფო მმართველობითი სტრუქტურებისაგან დამოუკიდებლად, ხოლო რევიზიის დამკვეთად სახელმწიფო მმართველობის ორგანოები გამოდიან. მიუხედავად რევიზიასა და აუდიტს შორის ასეთი განსხვავებისა, მათ აქვთ საერთო დამახასიათებელი ნიშნები, როგორც ორგანიზაციულ მიდგომები, ასევე გამოყენებულ ხერხებსა და მეთოდები:

— აუდიტსა და რევიზიას აქვს თანმხედრი მიზნები: სამეურნეო სუბიექტების საფინანსო საქმიანობაში დარღვევების გამოვლენა, ლოკალიზება და შეფასება;

— თავიანთ საქმიანობაში აუდიტორები და რევიზორები ეყრდნობიან საერთო ნორმატიულ-სამართლებრივ საფინანსო საფუძველს და კონტროლის განსახორციელებლად იყენებენ საერთო ბაზას-ფინანსურ დოკუმენტაციას;

— აუდიტი და რევიზია შეიძლება ჩატარდეს, როგორც გარე აუდიტორების (გარე რევიზორების), ისე შიდა აუდიტორების (შიდა რევიზორების) მიერ;

— აუდიტის ჩატარების დროს შეიძლება გამოყენებული იქნეს დოკუმენტური და ფაქტიური სარევიზიო კონტროლის ხერხები და მეთოდები (ექსპერტული შეფასებები, ანალიზის მეთოდები), ხოლო რევიზიის ჩატარებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს (გარკვეული ილად) აუდიტის წესები და სტანდარტები.

მიზნების თანხედრა აუდიტსა და რევიზიას შორის განაპირობებს იმ წესებისა და მეთოდიკის თანხედრას, რომლებიც გამოიყენება რევიზიისა და აუდიტის დროს. ეს საშუალებას იძლევა კონტროლის ამ სფეროში შემოწმების ხერხების, წესების, სტანდარტებისა და მეთოდიკის დაგროვილი გამოცდილება გამოყენებულ იქნეს როგორც აუდიტის, ისე რევიზიის ჩატარებისას.

აუდიტის ძირითადი დამკვეთებია მენარმე სუბიექტები (კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, ბირჟები, ფონდები), აგრეთვე მესაკუთრეები (დამფუძნებლები, აქციონერები), ხოლო შემოწმების ობიექტს წარმოადგენს აქციონერებისა და ინვესტორების ქონება (საკუთრება).

საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როგორც აუდიტორული კონტროლის დამკვეთად სახელმწიფო გამოდის; ასეთ კონტროლს ახორციელებენ დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმები, რომლებიც ატარებენ სახელმწიფო პროგრამების, სახელმწიფო სუბსიდიების და სხვა აუდიტს.



აუდიტორული კონტროლი ხორციელდება აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა ამას სახელმწიფო მმართველობის ორგანოები მიზანშემნილად.

სახელმწიფოს წინაშე წარმოშობა დილეგმა: კომერციულ ორგანიზაციებზე გადაცემული ფულადი სახსრების ხარჯვის მიზანშემნილობა და ეფექტურიანობა შეამოწმოს სავალდებულო სახელმწიფო კონტროლით, თუ ენდოს დადებით აუდიტორულ დასკვნას. სავალდებულო სახელმწიფო კონტროლი მოითხოვს რევიზორების საშტატო ერთეულების გაზრდას და დამატებით სახსრებს მათი შენახვისათვის. დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნის თაობაზე იბადება კითხვა: რამდენად საიმედოა იგი?

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ამ მხრივ მჭიდრო კავშირი და თანამშრომლობაა სახელმწიფო საფინანსო და აუდიტორულ კონტროლს შორის; სახელმწიფო აქტიურად იყენებს აუდიტორული ფირმების მომსახურებას სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ისეთი ცალკეული ფუნქციების შესასრულებლად, როგორიცაა სახელმწიფო სანარმოების ფინანსური მდგომარეობის კონტროლი, სახელმწიფო პროგრამების, სუბსიდიების, კონტრაქტების ეფექტურიანობის კონტროლი.

სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორგანოები დამოუკიდებელ აუდიტორულ ფირმებს არ განიხილავთ როგორც კონტურენტებს, პირიქით, მჭიდროდ თანამშრომლობებს მათთან.

პრაქტიკულად, ყველა განვითარებულ ქვეყანაში სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორგანოები წარმატებით თანამშრომლობებს დამოუკიდებელ აუდიტორთან. მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ერთობლივი საქმიანობის კოორდინაციაზე.

ამერიკის შეერთებულ შტატებში აუდიტორები ფედერალური მთავრობისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დონეზე ატარებენ მათი პროგრამების, ფუნქციებისა და მიღწეული შედეგების შემოწმებას.

აუდიტორული ფირმები, რომლებიც მუშაობენ სახელმწიფოსათვის, უფრთხილდებიან თავიანთ რეპუტაციას და სამუშაოებს ასრულებენ მაღალ დონეზე.

აუდიტორული შემოწმების დაწყებამდე აუდიტორები(ან აუდიტური ფირმა) **ატარებენ შემდეგ აუცილებელ წინასწარ ღონისძიებებს:**

—შესამოწმებელი ობიექტის ირგვლივ არსებული მატერიალური და ორგანიზაციული ინფორმაციების შეგროვება და აუდიტის ამოცანებისა და საქმიანობის მასშტაბის განსაზღვრა;

—წინასწარი ანალიზის ჩატარება შემდგომი ჩატარებელი გამოკვლევების ხასიათისა და მასშტაბის დადგენისა და განსაკუთრებული მნიშვნელობის პრობლემების გამოყოფის მიზნით;

—აუდიტის ჩატარებელი ჯგუფისა და შესაბამისი სამსახურების გამოყოფის მდგომარეობის განსაზღვრა, აუდიტის ამოცანებისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ შესამოწმებელი ინფორმირება და ა.შ.

აუდიტის შედეგები და შესაბამისი რეკომენდაციები, როგორც დამოუკიდებელი, ობიექტური, სამართლიანი და კონსტრუქციული, წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი მოსაზრებისა ან ანგარიშის სახით, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი ორაზროვნებისაგან და გაურკვევლობისაგან და დადასტურებულია კომპეტენტური აუდიტორული მტკიცებულებები; გამოვლენილი სერიოზული სახის დარღვევების შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილებას კონტროლის პალატა იღებს.

აუდიტორული მოსაზრებები და ანგარიშების ფორმა უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ პრინციპებს: სათაური, ხელმოწერა და თარიღი, მიზნები და ფარგლები, სრულყოფილება, ადრესატი, საკითხის განსაზღვრა, იურიდიული საფუძველი, სტანდარტების შესაბამისობა და აუდიტორული მტკიცებულებები.

აუდიტორული მოსაზრების ან ანგარიშის ჩამოყალიბებისას აუდიტორმა ყურადღება უნდა გაამახვილოს არა მარტო ფინანსური, არამედ პროგრამული აუდიტის, ანუ აუდიტორული საქმიანობის ობიექტის ბუნებაზე და საქმიანობაზე.

აუდიტის სტანდარტებით გაშუქებულია, აგრეთვე, აუდიტორული შემოწმების ამოცანების შესრულებისა და აუდიტორული სამუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის ზედამხედველობის და კონტროლის საკითხები, სადაც განმარტებულია, რომ აუდიტის ჩატარების პროცესში, აუდიტორული შემოწმების ნებისმიერ დონეზე და ნებისმიერ ფაზაში, აუდიტორთა მუშაობაზე უნდა დანესდეს ზედამხედველობა, რაც გამოიხატება აუდიტის ჯგუფის უფროსი თანამშრომლის მიერ დოკუმენტური სახით წარმოდგენილი სამუშაოს შემოწმებაში; ე.ი. ყველა აუდიტორული სამუშაოს, აუდიტორული დასკვნებისა და ანგარიშების დასრულებამდე, ამონმებს უფროსი აუდიტორი, თანაც აუდიტის თითოეული ეტაპის განხორციელების შესაბამისად, რაც მოითხოვს მაღალ გამოცდილებასა და კვალიფიკაციას.

აუდიტის სტანდარტების მიხედვით აუდიტორებმა შემოწმებისას უნდა შეარჩიონ და განახორციელონ აუდიტის ის პროცედურები და ეტაპები, რომლებიც კონკრეტულ გარემოებებს მოერგება და შესაბამება, რადგან ამით შესაძლებელია საქმარისი, კომპეტენტური და სათანადო მატერიალური მასალების მიღება, რაც აუდიტური დასკვნებისა და მოსაზრებების საფუძველი ხდება.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, აუცილებელია შიდა კონტროლის ეფექტური სისტემის შექმნა, რითაც შესაძლებელია დაცული იქნეს საკანონმდებლო ნორმებთან შესაბამისობა.

აუდიტორული მოკველევები, დასკვნები და რეკომენდაციები უნდა დაეფუძნოს ფაქტობრივ მტკიცებულებებს, ამასთან, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მონაცემთა მოპოვებისა და შესადარებელი ტექნიკური საშუალებების სისტემის შერჩევას; კომპიუტერიზებულ მონაცემთა სისტემების და მათი მონაცემთა სანდოობა არსებით როლს თამაშობს.

მსოფლიო ეკონომიკურმა გლობალიზაციაშ და საგარეო ეკონომიკური კავშირების გაღრმავებამ დღის ნესრიგში დააყენა მოქმედი საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კონტროლის ფორმებისა და მე-



თოდების უნიფიცირების აუცილებლობა; ამასთან, შექმნილია ისეთი საერთაშორისო და რეგიონალური კონტროლის ორგანიზაციები, როგორიცაა: - უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაცია (**INTOSAI**), უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების აზიის ორგანიზაცია (**ASOSAI**), უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების საერთაშორისო კონგრესი და დსთ-ს წევრები ქვეყნების უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების ხელმძღვანელთა საბჭო (**BOFKCHI**) და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის ყველაზე უფრო ეფექტიან და საერთაშორისო დონეზე აპრობირებულ ფორმად მიჩნეულია ზოგადი აუდიტი და მისი ცალკეული სახეობები, როგორიცაა:

—**ფინანსური აუდიტი**, რომლითაც დგინდება ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ დადგენილ პრინციპებთან ფინანსური ანგარიშების შესაბამისობა;

—**შესაბამისობის აუდიტი**, რომლითაც მოწმდება კერძო ბიზნესში საბუღალტრო აღრიცხვის პერსონალის მიერ ადმინისტრაციის მხრიდან დადგენილი პროცედურების დაცვა, ბანკებთან და სხვა კრედიტორებთან დადებულ კონტრაქტებში იურიდიული ნორმების დაცვის მდგომარეობა და სხვ. იგი ლოგიკური ხასიათისა და მისი შედეგები მიეწოდება მხოლოდ შემოწმებას დაქვემდებარებულ სტრუქტურულ ქვედანაყოფს;

—**ეფექტიანობის აუდიტი**, რომლითაც მოწმდება ორგანიზაციის (ფირმის) ფუნქციონირებისა და მართვის პროცედურები მწარმოებლურობისა და ეფექტიანობის შეფასებისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების მიზნით; იგი მოიცავს ხარჯთანუსხის შესრულების, ეფექტიანობისა და მიზნობრივი პროგრამების შემოწმებას, განსაზღვრავს, კანონმდებლობით ან შესაბამისი ორგანოების მიერ დაწესებული მოგების ან სასურველი შედეგების მიღწევის ხარისხს, ორგანიზაციის ფუნქციონირების ეფექტიანობას და მოცემული პროგრამის მიმართ გამოყენებული კანონების და წესების დაცვას ფირმის მიერ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს ფინანსური კონტროლის, არა როგორც მომზდარ სამეურნეო კანონდარღვევათა გამოვლენის ფუნქციაზე, არამედ ამ კანონდარღვევათა თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავებაზე, რაც სრულ ფინანსურ კონტროლს კი უნდა ჰქონდეს უწყვეტი და მუდმივი ხასიათი, რომელიც, ბუღებრივია, ვერ შესრულდება მხოლოდ გარე კონტროლის ფორმით, ამიტომ სახელმწიფო ფინანსური კონტროლის უწყვეტობისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის აუცილებელია შიდა და გარე კონტროლის ფორმების შეთანაწყობა, თუმცა არ უნდა გამოირიცხოს პრიორიტეტი გარე ფინანსური კონტროლის ორგანოებისა, რომლებსაც თავიანთ საქმიანობაში შეუძლიათ გამოიყენონ და დაეყრდნონ შიდა კონტროლის მასალებს და ამით განთავისუფლდნენ თრგანიზაციის ფინანსური ანგარიშების დეტალური შემოწმებისაგან, ხოლო თავიანთი საქმიანობა უფრო სრულად მიმართონ სახელმწიფო სახსრებისა და ქონების მართვის ეფექტიანობის განსაზღვრისაკენ.

ეფექტიანობის აუდიტი, რომელიც უკვე აპრობირებულია მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში და ფინანსური კონტროლის ახალი და პროგრესული ფორმა, წარმოადგენს ჩვენში ტრადიციულად დამკვიდრებული ფორმებისა და მეთოდებისაგან რადიკალურად განსხვავებული ფორმას, რომელიც მოიცავს შესასწავლ საკითხთა ფართო და არაერთგვაროვან წრეს, რაც გულისხმობს არა მარტო აღრიცხვისა და ფინანსების სიღრმისულ ცოდნას, არამედ ითვალისწინებს ეკონომიკურ-იურიდიული ცოდნის ფართო მასშტაბებს და საინჟინრო-ტექნოლოგიური და შესაბამისი დარგების მაღალ პროფესიულ დონეზე დაუფლებას;

გარდა ამისა, ჩვენში ეფექტიანობის აუდიტის ფართოდ დანერგვისათვის ბევრი სხვა ხელშემშლელი პირობებიც არსებობდა, კერძოდ, — არამდგრადი საბიუჯეტო სისტემა და არაჯანსაღი ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა, არასრულყოფილი საგადასახადო და საბაჟო სისტემები, სახელმწიფო ინვესტიციური პოლიტიკისა და ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების დაბალი დონე და რაც მთავარია, ჯერ კიდევ არ არსებობდა ეფექტიანობის აუდიტის სამართლებრივ-მეთოდური საფუძვლები; ამასთან, ეფექტიანობის აუდიტის პრაქტიკაში დანერგვა უნდა მოხდეს საბიუჯეტო პროცესის პროგრამულ დაფინანსებაზე სრულად გადასვლის შემდეგ და სახელმწიფო ბიუჯეტში აისახოს ცალკეული სახელმწიფო პროგრამების შედეგების ინდიკატური მაჩვენებლები.

ქ.ლიმაში (პერუ) გამართულ საფინანსო კონტროლის უმაღლესი ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (**INTOSAI**) IX კონგრესზე მიიღეს საფინანსო კონტროლის სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ დეკლარაცია, რომელმაც დღის წესრიგში დააყენა საფინანსო კონტროლის უმაღლესი ორგანოების საქმიანობის პრაქტიკაში ეფექტიანობის აუდიტის შემოღება და დამკვიდრება.

ინტოსაის სტანდარტების შესაბამისად, ქვეყნის სახელმწიფო საფინანსო კონტროლის უმაღლესი ორგანოს შეუძლია ჩაატაროს ეფექტიანობის შემოწმებები და გააკეთოს დასკვნები იმის შესახებ, თუ რამდენად ეფექტურად გამოიყენება საბიუჯეტო სახსრები.

სახელმწიფო საფინანსო კონტროლის პრაქტიკაში ეფექტიანობის აუდიტის შემოღება განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

—სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ქმედითუნარიანობის, შედეგიანობისა და ეფექტიანობის ამაღლების აუცილებლობით;

—აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სხვა ორგანიზაციების საქმიანობის არსებითი გაუმჯობესების აუცილებლობით;



— სახელმწიფო სახსრების მიმღები ორგანიზაციების საქმიანობის გამჭირვალობის გაუმჯობესებით;

— საქმიანობის შედეგების მიხედვით ბიუჯეტიდან თვითდაფინანსებაზე გადასვლის პერსპექტივით.

ეფექტიანობის აუდიტი, ტრადიციულ ფინანსურ აუდიტთან შედარებით, მოიცავს ახალ ამოცანებს და მნიშვნელოვნად აფართოებს სახელმწიფო საფინანსო კონტროლის საგანსა და მიზნებს.

სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სისტემაში ეფექტიანობის აუდიტის ადგილი განისაზღვრება მისი მიზნებიდან გამომდინარე.

#### **ეფექტიანობის აუდიტის მიზნებს წარმოადგენს:**

— სახელმწიფო ბიუჯეტისა და სხვა სახელმწიფო რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შეფასება და ანალიზი;

— აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის ოპტიმიზაციის შესახებ რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება;

— სახელმწიფო რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება. აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, ეფექტიანობის აუდიტის **ამოცანები** შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

— მხარჯავი დაწესებულებებისათვის საბიუჯეტი რესურსების გამოყოფის მიზანშენონილობის ანალიზი;

— საბიუჯეტო სახსრების გამოყენების თავისდროულობისა და სისრულის შეფასება;

— საბიუჯეტო სახსრებისა და სხვა რესურსების ეკონომიკურად გამოყენების შეფასება და ანალიზი;

— საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენების შეფასება და ანალიზი;

— საბიუჯეტო სახსრების არაეფექტურად გამოყენების მიზნობრივ-შედეგობრივი ანალიზი;

— საბიუჯეტო სახსრების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების რეკომენდაციის დამუშავება;

— აღნიშნული რეკომენდაციებისა და წინადადებების რეალიზაციის შედეგების შეფასება.

ეფექტიანობის აუდიტის **ცნება** გამომდინარეობს საფინანსო კონტროლის სფეროში მისი ადგილიდან, იგი შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად:

ეფექტიანობის აუდიტი არის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება სახელმწიფო რესურსების გამოყენების სფეროში მათ მიერ სახელმწიფო ფუნქციების შესრულებისას, აგრეთვე რეკომენდაციების შემუშავება მათი საქმიანობის სრულყოფისათვის.

ეფექტიანობის აუდიტის სახეები შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:

— აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა ცალკეული სახელმწიფო ფუნქციების შესრულების ეფექტიანობის აუდიტი;

— სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ეფექტიანობის აუდიტი;

— სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ეფექტიანობის აუდიტი;

— სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამების ეფექტიანობის აუდიტი;

— სახელმწიფო-საბიუჯეტო სახსრების გამოყენების ეფექტიანობის აუდიტი;

— სახელმწიფო საკუთრების გამოყენების ეფექტიანობის აუდიტი;

— სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდების სახსრების გამოყენების ეფექტიანობის აუდიტი;

— სამენარემო საქმიანობის ეფექტიანობის აუდიტი.

ეფექტიანობის აუდიტის **პრინციპებმა** უნდა უზრუნველყონ მისი შედეგიანობა, ქმედითობა და ეკონომიურობა; ამასთან დაკავშირებით აუცილებელია ისეთი პრინციპების დაცვა, როგორიცაა სისტემურობა, მეცნიერულობა, ობიექტურობა, დამოუკიდებლობა, საჯაროობა.

ეფექტიანობის აუდიტის **კრიტერიუმები** — ეს არის მაჩვენებელთა ერთობლიობა, რომლებიც ასახავენ აუდიტის ობიექტის საქმიანობის სხვადასხვა მხარეებს.

ეფექტიანობის კრიტერიუმებად მიზანშენონილია გამოყიუროთ შემდეგი მაშვენებლები:

**შედეგიანობა** — კრიტერიუმი, რომლებიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს ამა თუ იმ საქმიანობის შედეგი. იგი გამოიყენება მიზნობრივი პროგრამების, ფინანსური და მატერიალური რესურსების გამოყენების, მართვის სისტემის ეფექტიანობის შესაფასებლად.

**ეკონომიურობა** — კრიტერიუმი, რომელიც განსაზღვრავს დანახარჯებს დასახული მიზნების მისაღვევად. ეს დანახარჯები მეიძლება იყოს ნორმატიული, ზენორმატიული და ეკონომიკური.

ეფექტიანობის აუდიტის მაჩვენებლები შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგნაირად:

- ეფექტიანობის ასოლუტური მაჩვენებლები;

- ეფექტიანობის ხარისხობრივი მაჩვენებლები;

- ეფექტიანობის შედარებითი მაჩვენებლები.

ეფექტიანობის ზემოაღნიშნული მაჩვენებლების ერთობლიობის სისტემური ანალიზი საშუალებას იძლევა, წარმოვადგინოთ ამა თუ იმ ორგანოს საქმიანობის ან სახელმწიფო რესურსების ეფექტიანობის სრული სურათი.

ეფექტიანობის აუდიტის კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების გაანგარიშების საინფორმაციო წყაროს წარმოადგენს შესამოწმებელი ობიექტის სტატისტიკური, ოპერატიული და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშების ბონაცემები, ხარჯთანუსხები, რესურსები, გამოყენების ხორმატივები, სხვადასხვა ხელშეკრულებები, ბრძანებები, საგადასახადო, საბაჟო და სხვა ფისკალური ორგანოების მონაცემები და ა.შ.



### ეფექტიანობის აუდიტის განხორციელების პროცესი შეიძლება ოთხ ეტაპად დაიყოს:

- მოსამზადებელი ეტაპი;
- კონტროლის ეტაპი;
- ანალიზის ეტაპი;
- სინთეზის ეტაპი.

**მოსამზადებელი ეტაპი მოიცავს;** ეფექტიანობის აუდიტის საგნისა და ობიექტის განსაზღვრას; ეფექტიანობის აუდიტის კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების დამუშავებას; შემოწმების პროგრამასა და სამუშაო გეგმის შემუშვებას.

ამ მიზნით მისაღწევად აუცილებელია შემდეგი სამუშაოების შესრულება:

- საკანონმდებლო ნორმატიული დოკუმენტების გამოკვლევა;
- ეფექტიანობის აუდიტის ობიექტის საქმიანობის შედეგების ანალიზი;
- შესამოწმებელი ობიექტის სისტემისა და ორგანიზაციული სტრუქტურის ანალიზი;
- წინა შემოწმებების მასალების ანალიზი;

შესამოწმებელი ობიექტების საქმიანობის ეფექტიანობის ამსახველი კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების დამუშავება.

ამ ეტაპის დასკვნითი დოკუმენტები არის შემოწმების პროგრამა და სამუშაო გეგმა, სადაც ნათლად უნდა იყოს ფორმირებული შემოწმების მიზანი და ამოცანები, შემოწმების საგანი, შემოწმების ვადები, მასშტაბები, მეთოდიკა, ეფექტიანობის კრიტერიუმები და მაჩვენებლები.

**უმუალოდ, კონტროლის განხორციელების ეტაპი** წარმოადგენს შესამოწმებელი ობიექტის საქმიანობის ეფექტიანობის განსაზღვრას პროგრამით დადგენილი კრიტერიუმის მიხედვით, ამ ეტაპის დასკვნით ნაწილს წარმოადგენს აქტის პროექტის მომზადება, სადაც ასახული იქნება ობიექტის საქმიანობის ნაკლოვანებები და შეფასებულ იქნება მისი ეფექტიანობა.

შემოწმების **ანალიტიკურ ეტაპზე** ხორციელდება ობიექტის საქმიანობის შედეგების ფაქტორული ანალიზი, მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენა, ეფექტიანობის შეფასება და მასზე ფაქტორების ანალიზი.

ამ ეტაპის დასკვნითი დოკუმენტები არის შემოწმების აქტი შესამოწმებელი ობიექტის საქმიანობის ეფექტიანობის შესახებ დასაბუთებული დასკვნებით.

**სინთეზური ეტაპი** წარმოადგენს შესამოწმებელი ობიექტის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების შესახებ კონკრეტული, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავებების პროცესს. რეკომენდაციების შემუშავებისას მიზანშენილია მათი კლასიფიკაცია შემდეგი მიმართულებით:

- სოციალური;
- ორგანიზაციული;
- ეკონომიკური;
- სამართლებრივი;
- ინფორმაციული; და
- ტექნოლოგიური.

დასკვნითი დოკუმენტი ამ ეტაპისათვის შეიძლება იყოს **ანალიტიკური მოხსენება**.

ეფექტიანობის აუდიტის შედეგების მიხედვით შემოწმების აქტის საფუძველზე მზადდება **ანგარიშგება**, რომელშიც ასახულ უნდა იქნეს შემოწმების პროგრამის ყველა საკითხი, აგრეთვე საქმიანობის გაუმჯობესების წინადადებები და რეკომენდაციები. ანგარიშგება უნდა იყოს სრული, ობიექტური და ლაკონური.

**ეფექტიანობის აუდიტის შედეგების რეალიზაციაშეიძლება განხორციელდეს შემდეგი ფორმით:**

- წარდგინება;
- ანალიტიკური მოხსენება;
- საკანონმდებლო ინიციატივა; და
- წერილი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს კონტროლის პალატა, როგორც სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანო, **2008 წლის 26 დეკემბრიდან**—“**საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ**” ახალი კანონისამოქმედებიდან, აღიარებს რა უმაღლესი აუდიტორული და მაკონტროლებელი ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციების წესდებებს და ხელმძღვანელობს მათ მიერ დეკლარირებული ძირითადი პრინციპებით, ამჟამად, ფინანსური და შესაბამისობის აუდიტებთან ერთად, ატარებს ეფექტიანობის აუდიტსაც. კონტროლის პალატის საქმიანობის ამ მიმართულებით წარმართვა ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების ფონდის (GTZ), გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) და სხვა ღონისძიებათა ხელშეწყობით შემუშავებული “**საქართველოს კონტროლის პალატის განვითარების 5-წლიანი გეგმის**”(2010 წლამდე), რომლის მიზანი იყო კონტროლის პალატის ჩამოყალიბება საჯარო სექტორის თანამედროვე დამოუკიდებელ აუდიტორულ სამსახურად, რეალიზაციის შედეგია. ზემოაღნიშნული 5-წლიანი გეგმის რეალიზაცია ნიშნავს იმას, რომ მან, როგორც დამოუკიდებელმა აუდიტორულმა სამსახურმა, დამოუკიდებლად შეამოწმოს საზოგადოებრივი სექტორის ფუნქციონირების ეფექტიანობა და პასუხისმგებლობა, უფრო ღირებული გახადოს საჯარო სექტორის საქმიანობა და მის უპირველეს ამოცანად გადაიქცეს საქართველოს საჯარო სექტორის ანგარიშგების ადმინისტრირების, კონტროლისა და ანგარიშვალდებულების დამოუკიდებლობის გარანტიების უზრუნველ-



ჰყოფა; ამასთან, კონტროლის პალატა ხელს შეუწყობს საჯარო ადმინისტრირების გაუმჯობესებას საჯარო სექტორის საქმიანობის ეფექტურიანობის შეფასებისა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავების საფუძველზე.

“კონტროლის პალატის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, ეფექტურიანობის აუდიტის ჩატარებისას აუდიტორმა უნდა შეამოწმოს ობიექტის საქმიანობის კონტროლის, შედეგობრიობა და მიზანშენილობა; აუდიტის მიზანი კი სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმართველობების ქონებისა მართვისა და რესურსების მომსახურებაზე ინფორმაციის უზრუნველყოფაა.

ეკონომიკურობის, შედეგობრიობის და მიზანშენილობის ანალიზი და შეფასება მოიცავს:

-ადმინისტრაციული ღონისძიებების ეკონომიკურობის აუდიტს ადმინისტრაციული პრინციპებისა და არსებული სტანდარტების და მენეჯმენტის პოლიტიკის შესაბამისად;

-ადამიანური, ფინანსური და სხვა რესურსების შედეგობრიობის აუდიტს, მოიცავს ინფორმაციულ სისტემების, ორგანიზაციის საქმიანობის, კონტროლის მექანიზმებისა და პროცედურების შესწავლას იმისათვის, რომ აღმოფხვრას არსებული ნაკლოვანებები;

-აუდიტის ობიექტის საქმიანობის მიზანშენილობის აუდიტს, მიღწეულ მიზნებთან მიმართებაში და მის მიერ განხორციელებული ღონისძიებების ფაქტიური შედეგის აუდიტი, მოსალოდნელ შედეგთან შედარებით.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. მელქაძე ო. საფინანსო კონტროლი ევროპულ ქვეყნებში, თბ., 1999 წ.;
2. მესხია ი. სახელმწიფო ფინანსური კონტროლი. განვითარების კონცეფცია, თბ., 2006 წ.
3. მილიჩეგმი ა.ჳ. აუდიტი, თბ., 2002 წ.;
4. სახოკია გ.ა. „ზაქარიაძე ი.მუჯირიშვილი ვ. ფინანსური კონტროლის საფუძვლები, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, გაერო-ს განვითარების პროგრამისა და საქართველოს კონტროლის პალატის პროექტი-„სახელმწიფო კონტროლის სისტემის ქმედუნარიანობის გაძლიერება“, უნდპ, თბ., 2006 წ.;
5. სახოკია გ.ა. „ივანაშვილი შ., სახოკია გ.გ. სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზა, სახელმძღვანელო, თბ., 2010 წ.;
6. სახოკია გ.ა., ანანიძე ჯ., სახოკია გ.გ. ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 2010 წ.;
7. საქართველოს კანონი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“;
8. საქართველოს კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“;
9. ლიმას (პერუ) დეკლარაცია საფინანსო კონტროლის დირექტივების შესახებ.

### გიორგი სახოკია

#### აუდიტორული კონტროლი და ეფექტურიანობის აუდიტის პერსპექტივები

#### რეზიუმე

ცნობილია, რომ აუდიტორული კონტროლის დანიშნულებაა შესამოწმებელი ობიექტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ობიექტური და სამართლიანი ინფორმაციით უზრუნველყოფა, ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შეფასებადა აუდიტის დამკვეთთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება; აუდიტორული კონტროლის გამოყენების პრაქტიკა აპრობირებულია და მიღებულია საზღვარგარეთის ქვეყნებში - ამ დროს აუდიტორული კონტროლის დამკვეთი სახელმწიფოა; განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მჭიდრო კავშირი და თანამშრომლობაა სახელმწიფო საფინანსო და აუდიტორულ კონტროლს შორის, რაც ვლინდება სახელმწიფოს მიერ აუდიტორული ფირმების მომსახურების გამოყენებით ისეთი, ცალკეული სახელმწიფო-საფინანსო ფუნქციების შესასრულებლად, როგორიცაა სახელმწიფო პროგრამების, სუბსიდიების, კონტრაქტების ეფექტურიანობის კონტროლი.

ეფექტურიანობის აუდიტი, რომელსაც უკვე საქართველოს კონტროლის პალატა, ხელმძღვანელობს რა საერთაშორისო მაკონტროლებელი ორგანიზაციების დეკლარირებული ძირითადი პრინციპებით, 2008 წლის 26 დეკემბრიდან-, „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ ახალი კანონის ამოქმედებიდან, ატარებს ფინანსური და შესაბამისობის აუდიტებთან ერთად, დღევანდელ ეტაპზე მეტად საჭირო და აქტუალურია სახელმწიფო კონტროლის ქმედითუნარიანობის, შედეგიანობისა და ეფექტურიანობის ამაღლებისათვის.



George Sakhokia

## AUDITING CONTROL AND EFFICIENCY AUDIT PERSPECTIVES

### Summary

It is known that the purpose of auditing is to provide objective and fair information and financial status of the verification unit, also assessment of the organization's financial condition and satisfaction of audit clients' needs.

Auditing practice is approved and accepted in foreign countries, where the client of auditing service is the state. In the countries with developed market economy there is a close relationship and cooperation between state financial control and private audit companies. Usually it is revealed by using auditing firms' services by the state to fulfill some state-financial functions such as control of state programs, subsidies and effectiveness of contracts. Georgia's Chamber of Control declares the basic principles of international controlling organizations and also a new law of „Georgian Chamber of Control“ adopted on December 26, 2008. On this basis, Georgia's Chamber of Control conducts efficiency audit together with financial and compliance audits. This is very necessary and relevant for improvement the capacity and efficiency of the state control.



## გაია სეთური

### პრეზენტაციის შექმნის ზოგიერთი ასპექტი

პრეზენტაციის ძლიერი აქტივია, რომელსაც განვითარება და მართვა ჭირდება. პრეზენტაციის ერთმანეთისაგან განსხვავდებიან საბაზო სივრცეში თავიანთი ძალისა და ფასეულობის მიხედვით. პრეზენტაციის ძალაუფლების შენარჩუნება ბაზარზე რთულია, მესაბამისად, კომპანიას მკაფიოდ უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი პრეზენტაციის სფეროში რა არის მისთვის მეტად მნიშვნელოვანი, რა ღონისძიებების მიმართოს, რომ ამ სფეროში მისა მუშაობა იყოს წარმატებული.

ნებისმიერი ქმედება დაკავშირებული პრეზენტაციის შექმნასა და განვითარებასთან მოითხოვს გრძელვა-დიან მიღებისას. თავად კომპანიის რეალური ღირებულება კი ბევრად არის დამოკიდებული მის პრეზენტაციებზე. ეს აქტივები კომპანიის გრძელვა-დიანი შემოსავლების მამოძრავებელი ძალაა. წარმატებულ პრეზენტაციებს უნარი გაზარდოს სხვაობა საქონლის თვითლირებულებასა და ფასს შორის.

მრავალი მენეჯერი პრეზენტაციის ძალას კომპანიაში მუშაობის პირველი წლებიდანვე გრძნობს. კომპანია „მერსედეს ბენც“-ის პრეზენტაციები (ჯ.შნაიდერი) აღნიშნა, რომ „მერსედეს ბენცი“ ესაა პრეზენტაციის მიმბოლო დაარსების მომენტიდან დღემდე. თუმცა პრეზენტაციის მართვა მოითხოვს სწავლას და პრაქტიკაში გამოცდილებას. პრეზენტაციის პროცესი გარემოცულია დახელოვნების ატმოსფეროთი, რომელიც კომპანიის წარმატებას უზრუნველყოფს. მაგრამ ცალკეული პრეზენტაციის აყვანას წარმატების მწვერვალზე შესაძლებელია დიდი დრო დაჭირდეს. ამ სფეროში წარმატება მიიღწევა დიდი შრომის შედეგად.

შვედი მეცნიერის ტ. გედის თანახმად, პრეზენტაციები აოთი მიმართულებით, მას ოთხი განზომილება აქვს: ფუნქციონალური, სოციალური, მენტალური და სულიერი. ყოველი მათგანი მჭიდროდ არის დაკავშირებული მომხმარებლის აღქმასთან.

ვინ უნდა იყოს პრეზენტაციის შექმნის და განვითრების ღონისძიებების ინიციატორი? ამ მხრივ არსებობს სხვადასხვა მიღები. ზოგიერთ კომპანიაში ეს ვალდებულება დაკისრებული აქვს მარკეტინგის განყოფილებას, ხოლო ცალკეულ კომპანიებში კი — თავად კომპანიის უმაღლეს ხელმძღვანელობას: გენერალურ დირექტორს, დირექტორთა საბჭოს. ეს ახასიათებთ იმ ორგანიზაციებს, რომლებშიც პრეზენტაციის საქმიანობის მთავარი ღერძია. ისინი მსოფლიო აღიარებისათვის არიან მომართულნი. პრეზენტაციის იდეით იხელდება ისეთი კომპანიების დამფუძნებლებმა, როგორებიცაა: Microsoft, IBM, GE, Intel და სხვ. ამით მათ თავიანთი ორგანიზაციები მოწინავე პოზიციებზე გაიყვანეს.

პრეზენტაციის მართვა და ხანგრძლივი დროის მანძილზე პრეზენტაციის წარმატებას რთული ამოცანაა. პრეზენტაციის შექმნას, განვითარებას და გაფართოებას უნდა ახასიათებდეს სიმკეთრე (მეცნიერება), მუდმივობა და ლიდერობა. ის უნდა იყოს ადაპტირებული გარემო პირობებთან. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ ერთი სახელის ქვეშ სხვადასხვა პროდუქციის თანარსებობა იყოს გამართლებული. მაგალითად, Nokia აერთიანებს ტელესაკომუნიკაციონურ სისტემებს და მობილურ ტელეფონებს, Rolls-Royce ძვირადლირებულ ავტომობილებს და საავიაციო ძრავებს.

პრეზენტაციის შემდეგი პრინციპები განაპირობებენ პრეზენტაციის გრძელვადიან წარმატებას:

- თანმიმდევრულობა,
- გასაგებადობა,
- მუდმივობა,
- აღქმადობა,
- რეალურობა.

თანმიმდევრულობა პრეზენტაციის ერთ-ერთი მთავარი წესია. ჯერ კიდევ არსებობს მრავალი კომპანია, რომელიც ვერ უზრუნველყოფს თანმიმდევრულობას კონტაქტის ყველა მთავარ წერტილში. თანმიმდევრულობა უცილებელია არა მარტო საქონელთან დაკავშირებულ ასპექტებში, არამედ მარკეტინგულ არხებში, იმაშიც, თუ კომპანიის მუშაკები როგორ პასუხობენ სატელეფონო ზარებს და როგორ რეაგირებენ მომხმარებელთა საჩივრებზე. ეს აგრეთვე, შეეხება სოციალურ პასუხისმგებლობას. მაგრამ თანმიმდევრულობა არ იქნება ეფექტური, თუ არ შესრულდა პრეზენტაციის სხვა პრინციპები.

გასაგებადობა პრეზენტაციის მეტად მნიშვნელოვანია. მის გარეშე შეუძლებელია ნამდვილი პრეზენტაციის არსებობა. მომხმარებელსა და მიზნობრივ აუდიტორიას უნდა ჰქონდეს საშუალება ნათლად გაიგონ, თუ რას წარმოადგენს კომპანია და მისი პრეზენტაციი. პრეზენტაციის გასაგებადობა დამყარებულია მის ხედვასა და ფასეულობებზე, რომელიც ადვილად გასაგები და მისაღებია. ის უნიკალურია და აქტუალურია იმათთვის, ვინც იღებს გადაწყვეტილებას, მომხმარებელებისათვის, ზოგჯერ კი ფართო საზოგადოებისთვის.

მუდმივობა ნიშნავს იმას, რომ კომპანიამ არ უნდა შეცვალოს პრეზენტაციის არსი, ის, რასაც იგი წარმოადგენს. ადამიანები ენდობიან წამყვან პრეზენტაციის, რადგან მტკიცედ სჯერათ მათი და იციან ისიც, თუ რას უნდა მოელოდნენ მათგან.

პრეზენტაციის უნდა იყოს კარგად შესამჩნევი მიზნობრივი აუდიტორიისათვის. პრეზენტაციის აღქმადობა მას შესამჩნევს ხდის მომხმარებლთა თვალში. პრეზენტაციის აღქმადობა მთავარ როლს თამაშობს მისი დამახსოვრებელისათვის, ზრდის ამ პრეზენტაციის მცოდნე ადამიანთა რიცხვს. მარკეტინგული ხარჯებიუნდა იყოს მიმართული ინფორმაციის გავრცელების საუკეთესო არხებისკენ. რეკლამა უნდა იყოს განთავსებული იმ საშუალებებში, სადაც მოსალოდნელია მომხმარებლის მაღალი ყურადღება.



რეალურობადაკავშირებულია კომპანიის თითოეული თანამშრომლის ქცევასთან, რომელიც მიმართულია ბრენდის უნიკალურობის და ორიგინალურობის შექმნისაკენ. აგრეთვე, იმისაკენ, რომ მომხმარებელს შეუქმნანბრენდთან მიმართებით საუკეთესო შთაბეჭდილება და გრძნობა იმისა, რომ ის ფლობს განსაკუთრებულ ნივთს. თუმცა ეს შესაძლოა ქვეცნობიერად ხდებოდეს.

ბრენდებმა უნდა იმუშაონ მრავალ დონეზე. უპირველესადთავად საქონელი უნდა იყოს საუკეთესო, განსაკუთრებული ხარისხით, რომელიც მას საერთო ფონზე ყველასგან გამოარჩევს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ბრენდის შექმნასთან დაკავშირებული „ისტორია“, რომლის მოყოლაც შესაძლებელია. ესაღიბეჭდება ხალხის გონიერაში. მითი ბრენდზე „ატყვევებს“ ადამიანებს. მაგრამბრენდი შესაძლოა, არ განვითარდეს ისეთი მიმართულებით, რასაც მისი შექმნელები ვარაუდობდნენ. რადგან რეალურად ბრენდს აყალიბებენ ძირითადად მომხმარებლები.

ძლიერ ბრენდს გააჩნია დიდი ბრენდის კაპიტალი წარმოადგენს პოზიტიურ, განმასხვავებელ ეფექტს, რომელიც ბრენდის ცოდნის შემთხვევაში გავლენას ახდენს პროდუქტისა თუ მომსახურების შესახებ მომხმარებლის გამოხმაურებაზე. ბრენდის კაპიტალი განისაზღვრება მომხმარებლის მზადყოფნით, რომ გადაიხადოს უფრო მეტი სასურველი ბრენდისათვის. ბრენდი, რომელსაც გააჩნია ძლიერი ბრენდის კაპიტალი, ფასეული აქტივია. ბრენდის შეფასება ეს არის პროცესი, რომლის მიზანია დაადგინოს ბრენდის ფინანსური ფასეულობა.

დიდი ბრენდის კაპიტალი კომპანიას უპირატესობებს ანიჭებს. ძლიერი ბრენდი განაპირობებს მაღალ ცნობადობას და მომხმარებელთა ლოიალობას. ბრენდისმაღალი ცნობადობა კომპანიას გადამყიდველებთან შევაჭრებისას დიდ უპირატესობას აძლევს. გარდა ამისა, კომპანიას შეუძლია უფრო ადვილად განავრცოს პროდუქციის სერია და ბრენდი. ფუნდამენტური აქტივი, რომელიც ბრენდის ლირებულებას უსვამს ხაზს, არის მომხმარებლის კაპიტალი – მომხმარებელთა ურთიერთობების ფასეულობა, რომელსაც ბრენდი აყალიბებს. ძლიერი ბრენდი მნიშვნელოვანია, მაგრამ სინამდვილეში ის ლოიალური მომხმარებლების წყებას წარმოადგენს. მარკეტინგში ძირითადი ყურადღება მომხმარებლის კაპიტალის შექმნას ენიჭება, რომელშიც ბრენდის მენეჯმენტი ერთ-ერთი მთავარი იარაღია.

ბრენდის განვითარებასთან დაკავშირებით კომპანიას შეუძლია თავისი არჩევანი გააკეთოს შემდეგ ოთხ სტრატეგიაზე:

- სერიის გაფართოების სტრატეგია გულისხმობს მოცემული პროდუქტის კატეგორიისათვის ახალი მახასიათებლების დამატებას იმავე ბრენდის სახელის ქვეშ. ეს მახასიათებლები შეიძლება იყოს ახალი სურნელი, ფორმა, ფერი, დამატებითი ინგრედიენტები. ახალი პროდუქტების უმრავლესობა წარმოადგენს სერიის გაფართოებას. კომპანია სერიის გაფართოების სტრატეგიას ირჩევს, როდესაც ის წარმოადგენს ახალი პროდუქტის ბაზარზე შეტანის დაბალთასიან და ნაკლებად სარისკო გზას. ან როდესაც სერიის გაფართოება აკმაყოფილებს მომხმარებლის მრავალფეროვან სურვილებს, ან როდესაც კომპანიას გადამყიდველისაგან უფრო მეტი სივრცისდაკავებასურს.

- პროდუქციის სერიის გაფართოების სტრატეგია გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული. ზედმეტად გაფართოებულმა ბრენდის სახელმა შეიძლება გამოიწვიოს მომხმარებლის იმედგაცრუება, ან მომხმარებლის დაბნევა და გაბირთვის ზრდა შეიძლება სერიაში სხვა პროდუქტის გაყიდვების შემცირების ხარჯზე მოხდეს. პროდუქციის სერიის გაფართოება თავის დანიშნულებას საუკეთესოდ მაშინ ასრულებს, როდესაც ის გაყიდვებს კონკურენტი ბრენდის ხარჯზე ზრდის და არა მაშინ, როდესაც ის კომპანიის სხვა პროდუქტების შევიწროვებას ახდენს.

- ბრენდის განვრცობის სტრატეგია მოიცავს პროდუქტის ახალ კატეგორიაში მოღიულიცირებული ან ახალი პროდუქტის გამოშვებას წარმატებული ბრენდის სახელის გამოყენებით. აღნიშნული სტრატეგია ახალ პროდუქტს სწრაფი ალიარებისა და უფრო სწრაფი გავრცელების საშუალებას აძლევს. ის ზოგავს სარეკლამო ხარჯებასაც, რომელიც ახალი ბრენდის სახელის შემნისას არის საჭირო. ბრენდის განვრცობის სტრატეგიაც რისკის შემცველია, ბრენდის განვრცობამ შესაძლოა მთავარი ბრენდის იმიჯი დააზიანოს. თუ ბრენდის განვრცობა წარმატებელი აღმოჩნდა, ეს ჩრდილს მიაყენებს იმავე ბრენდის სახელის მქონე სხვა პროდუქტებისადმი მომხმარებლის დამოიდებულებას. გარდა ამისა, ბრენდის სახელი მიუხედავად მისი წარმატებულობისა ცალკეული პროდუქტისათვის შესაძლოა არ იყოს შესაბამისი. ხშირი გამოყენების შედეგად, მომხმარებელს გონიერაში განსაკუთრებული აღქმა გააჩნია თითოეულ ბრენდისადმი, ამიტომ კომპანიებმა, რომლებიც ბრენდის განვრცობას ცდილობენ, კარგად უნდა გამოიკვლიონ და განსაზღვრონ, თუ რამდენად ასოცირდება ახალი პროდუქცია ამ აღქმასთან.

- მრავალი ბრენდის სტრატეგიის მთავარი უარყოფითი მხარე არის ის, რომ თითოეულმა ბრენდმა შესაძლოა ბაზრის მხოლოდ მცირე წანილი დაიკავოს და არცერთი მათგანი დიდად მომგებიანი არ იყოს. კომპანია, შესაძლოა, იძულებული გახდეს მრავალ ბრენდებზე დახარჯოს თავისი რესურსები, იმის მაგივრად რომ რამდენიმე ძლიერი მაღალმომგებიანი ბრენდი შექმნას. ამ შემთხვევაში კომპანიებმა უნდა შეამცირონ მოცემულ კატეგორიაში არსებული ბრენდების რიცხვი და ახალი ბრენდის შესარჩევად უფრო მკარი პროცედურებს მიმართონ.

- კომპანიამ შესაძლოა დაადგინოს, რომ მისი ბრენდის სახელი ფერმკრთალდება და ახალი ბრენდის სტრატეგიაა საჭირო. ან კომპანიამ შესაძლოა ახალი ბრენდის სახელი შექმნას, როდესაც ის პროდუქტის ახალ კატეგორიაში შედის, რომელსაც არც ერთი არსებული ბრენდისახელი არ შეესაბამება. ისევე როგორც მრავალი ბრენდის სტრატეგია, ახალი ბრენდის სტრატეგიის შეთავაზებაც კომპანიის რესურსების დიდ დანახარჯებს ითხოვს.



ბრენდების შესახებ ინფორმაცია მუდმივად უნდა მიეწოდებოდეს მომხმარებელს. მარკეტოლოგები ხშირად დიდ თანხას ხარჯავენ რეკლამაზე, რათა თავიანთი ბრენდი მეტად ცნობადი გახდომ და მომხმარებლის ლოიალობა დაიმსახურონ. თუმცა ბრენდი პოპულარული ხდება არა მხოლოდ რეკლამით, არამედ მასთან დაკავშირებული გამოცდილებით. რაც რეკლამასთან ერთად მოიცავს ბრენდის პირადად გამოცდას.

კომპანიის თანამშრომლები ყოველთვის ორიენტირებულები უნდა იყვნენ მომხმარებელზე. კომპანიამ თავის მომსახურე პერსონალში უნდა დანერგოს საკუთარი პროფესიისა და მომსახურებისადმი პატივისცემა. კომპანიებს შეუძლიათ თავიანთი პერსონალის დასახმარებლად სემინარები ჩატარონ, რათა მათ უკეთ გაიგონ და გაათვითცნობიერონ, თუ რამი მდგომარეობს ბრენდის ძირითადი არსი. კომპანიის ბრენდების მართვა მხოლოდ ბრენდის მენეჯერის კომპეტენცია არ არის. ბრენდის მენეჯერი ხშირად ყურადღებას ამახვილებს მოკლევადიან შედეგებზე, მაშინ როდესაც ბრენდის მენეჯმენტი, როგორც კომპანიის აქტივი, გრძელვადიან სტრატეგიას მოითხოვს. ზოგიერთი კომპანია ახლა მთავარი ბრენდების სამართვად ბრენდის მენეჯმენტის გუნდებს ქმნის.

ბრენდინგის მიზანი გრძელვადიანი შედეგის მიღწევა. ამიტომ ბრენდის დაგეგმვისას ძირითადი საკითხია ბალანსის მიღწევა მუდმივობასა და ჩართულობას შორის. ბრენდის სერიოზული ცვლილება არ ხდება ერთ დღეში. კომპანიამ უნდა იხელმძღვანელოს ეტაპობრივი პროცესებით. მუდმივობისა და ჩართულობის მისაღწევად აუცილებელია ორგანიზაციის ფარგლებში შემდეგი პროცედურების რეალიზაცია:

I. მუდმივი ცვლილებების ატმოსფეროს შექმნა. დროული ონფორმაციის მიღება ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, შესაძლებლობებისა და საშიშროებების შესახებ, ბრენდის პოზიციის შესახებ; II. პროცედურების მომზადება სწარი „გარღვევის“ დაგეგმვისათვის, რომელიც დამყარებული იქნება არსებული სიტუაციის მრავალმხრივ ანალიზზე. ყურადღების გამახვილებას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ბაზრის მოცულობა, ზრდის პოტენციალი, დისტრიბუციის არხები, ბაზრის დინამიკა და ტენდენციები, კონკურენცია, მოგების მიღების პერსპექტივა;

III. ბრენდის ცვლილებებისგამოკვლევა. ბრენდის ცვლილებებისათვის რეკომენდებულია სპეციალური ფორმების გამოყენება, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვიყვლით და გამოვავლინოთ ახალი პრობლემები;

IV. გეგმისრეალიზაციის ეფექტური პროცესების არსებობა. უნდა ტარდებოდესლონისძიებები ყველა მიმართულებებით. ბრენდინგის პროგრამა თავის თავში მოიცავს არსებულ და ახალ ბრენდებს, მათ ეტაპობრივ ზრდას და გაფართოებას. სტრატეგიის განხორციელებაში მოქმედების ეს გეგმა გულისხმობს თანდათანობით განვითარებას გრძელვადიან პერსპექტივაში;

V. ბრენდის დაგეგმვაში ყველას და თითოეულის ჩართვა. ხშირად ბრენდის გეგმის რეალიზაციის ნარუმატებლობისერთ-ერთი ძირითადი მიზეზი არის მის დამუშავებაში ადამიანთა მხოლოდ განსაზღვრული ჯგუფის ჩართვა. ყველას ჩართვა სტიმულს აძლევს მიმმრობას ბრენდის მიმართ. მით უმეტეს, რომ XXI საუკუნეში არსებობს ისეთი საშუალებები, რომელთა დახმარებით შესაძლებელია ინფორმაციის სწრაფი გავრცელება.

## მაია სეთური

### ბრენდის შექმნის ზოგიერთი ასპექტი

#### რეზიუმე

ბრენდი ორგანიზაციის ძლიერი აქტივია, რომელსაც განვითარება და მართვა ჭირდება. ბრენდები ერთმანეთისაგან განსხვავდებინ საბაზრო სივრცეში თავიანთი ძალისა და ფასეულობის მიხედვით. ბრენდის ძალაუფლების შენარჩუნება ბაზარზე რთულია, შესაბამისად, კომპანიას მკაფიოდ უნდა ჰქონდეს ნარმოდგენილი ბრენდინგის სფეროში რა არის მისთვის მეტად მნიშვნელოვანი, რა ღონისძიებებს მიმართოს, რომ ამ სფეროში მისი მუშაობა იყოს წარმატებული.

ნებისმიერი ქმედება დაკავშირებული ბრენდის შექმნასა და განვითარებასთან მოითხოვს გრძელვადიან მიდგომას. თავად კომპანიის რეალური ლირებულება კი ბევრად არის დამოკიდებული მის ბრენდებზე. ეს აქტივები კომპანიის გრძელვადიან შემოსავლების მამოძრავებელი ძალაა. ნარმატებულ ბრენდს აქვს უნარი გაზარდოს სხვაობა საქონლის თვითღირებულებასა და ფასს შორის.

ბრენდის მართვა და ხანგრძლივი დროის მანძილზე ბრენდის წარმატებების შენარჩუნება რთული ამოცანაა. ბრენდის შექმნას, განვითარებას და გაფართოებას უნდა ახასიათებდეს სიმკეთორე (მკაფიობა), მუდმივობა და ლიდერობა. ის უნდა იყოს ადაპტირებული გარემო პირობებთან. კომპანიის თანამშრომლები ყოველთვის ორიენტირებულები უნდა იყვნენ მომხმარებელზე. კომპანიამ თავის მომსახურე პერსონალში უნდა დანერგოს საკუთარი პროდუქციისა და მომსახურებისადმი პატივისცემა.

**Maia Seturi****SOME ASPECTS OF BRAND CREATION****Summary**

Brand is one of the strongest assets of the development and management needs. Brands differ in their strength and value of the market space. Power to keep the brand in the market is difficult, therefore, the company should have a clear field of branding is very important to him, what measures to apply to this area of his work to be successful. Any action related to brand creation and development of a long-term approach. The company's real value is much dependent on its brands. The assets of the company's long-term revenue driving force. Successful brands have the ability to increase the production cost and the price difference between the goods.

Brand management and the long-term success of the brand to maintain a difficult task. Brand creation, development and expansion should have sharpness (sharpness), permanence and leadership. It should be adapted to the environment. The company's employees should always be customer-oriented. The company has its own products and services respect for the staff to implement.



## CHARLES M. STROMME

### EU SANCTIONS POLICIES

Sanctions are becoming one of the European Union's favourite foreign-policy tools. For a political entity that (with a few exceptions) lacks the capacity to project military power, is devoid of a consistent and binding foreign policy, and is generally considered a 'soft power', the EU has, over the last two decades, engaged in a surprisingly active policy of use of sanctions. As of June 2012, it had in force sanctions directed at 26 states including North Korea and the United States, one no longer existing country (Yugoslavia), and a host of different terrorist organisations, from al-Qaeda to the relatively lesser known Movement for Islamic Reform in Arabia, as well as some 20 other entities and dozens of individuals such as Milica Gajić-Milošević, the daughter-in-law of the deceased former Serbian president Slobodan Milošević.<sup>1</sup>

The use of sanctions by the EU has increased sharply in the last few years from 22 decisions in 2010 to 69 one year later.<sup>2</sup> Though most focused on a small group of outlaw countries such as Iran, Syria and, until recently, Libya and Burma, they target an increasing number of countries, from 16 in 2002 to 28 nine years on. Stefan Lehne is of the reasonable opinion that this increase is due to a growing self-perception by the EU as an active agent on the international scene, and to its tendency to add new sanctions if old ones seem not to work.

Over the last two decades, the EU has engaged in a surprisingly active policy of use of sanctions. In particular, it sanctions countries in response to particularly egregious human rights violations or democratic backsliding or to deter countries from actions that have negative security consequences for the EU. However, although such sanctions seem to be applied with increasing frequency, it is extremely hard to tell how effective they are. Inadequate monitoring means we do not know how far member states implement EU sanctions. Nor do we know whether sanctions contribute to reaching the desired objectives. In short, it is like shooting in the dark.

Above all, there is an urgent need for better monitoring of the implementation and impact of EU sanctions. However, short of war, sanctions are the only coercive foreign-policy instrument the EU has at its disposal. This means they will continue being used, regardless of criticism of their implementation and questions about their effectiveness. The EU should therefore apply sanctions as smartly as possible. In particular, it should set limited, achievable goals when imposing sanctions; be realistic about its own capacity to impose sanctions and about what they can achieve; loosen or suspend sanctions as a reward for compliance; and communicate effectively with the public and, in particular, the opposition in the target country.

But other factors, such as disillusionment with problem countries' capacity to mend their ways through internal reform probably also play a role.

This sharp increase in the use of sanctions decisions is rather remarkable, for sanctions are not a 'soft' policy act. Rather, they are coercive measures, designed to cause damage to the targeted party, in order to force it to undertake, or prevent it from undertaking, certain behaviour.<sup>3</sup> In particular, the EU sanctions countries for directly violating political values the EU considers central to its identity or to deter them from acts it considers a security threat. However, although such sanctions seem to be applied with increasing frequency, it is extremely hard to tell how effective they are.<sup>4</sup> The term 'sanctions' refers to a range of different policy instruments, which makes their systematic study extremely difficult. While effectiveness studies have become quite common in academia (as a sub-section of peace studies), little research has been done within the EU institutions.

The Stockholm Process of 2001, which focused on the effectiveness of targeted sanctions, led to the publication in 2003 of a report that recommended 'measures to enhance the planning, monitoring, reporting and coordination among sanctions committees and monitoring bodies' and 'establishing a sanctions coordinator, or a special adviser, to further improve and support the coordination among sanctions committees, expert panels and monitoring mechanisms'. However, the EU essentially ignored these recommendations.<sup>5</sup> Monitoring of sanctions is usually left to the general law-enforcement agencies of the member states. Thus we do not really know to what degree they are implemented, or whether they in fact contribute to reaching the desired objectives. In short, it is like shooting in the dark: we know the target is out there somewhere, and with enough firepower we may be relatively sure we have inflicted some damage, but it would help a great deal if we knew whether our bullets were flying in the right direction – or, indeed, whether we were firing live ammunition, or just blanks.

This brief looks in more detail at two kinds of EU sanctions: those connected with political demands and those connected with security threats.<sup>6</sup> First, the EU sanctions countries in response to particularly egregious human rights violations (for example, the sanctions following the Andijan massacre in Uzbekistan) or to punish democratic backsliding and encourage a movement towards more democratic governance – what might be called 'democracy sanctions'. Second, the EU imposes sanctions in order to deter countries from actions that have, or may have, seriously negative security consequences for the EU and/or the international community – what might be called 'security sanctions'. In particular, this brief will focus on democracy sanctions against Belarus and security sanctions against Libya. On the basis of these three cases, the brief draws conclusions about how the EU can apply sanctions smartly.

The EU first imposed sanctions on Belarus in 1996 – two years after President Alyaksandr Lukashenka took power and started transforming the country into 'Europe's last dictatorship'. Sanctions were suspended in 1999, after a 104



confrontation over diplomatic residences was seemingly solved, but then re-imposed after Minsk refused to grant visas to EU monitors. New sanctions in the form of a visa blacklist and asset freezes followed the intensification of political repression in subsequent years. Yet in 2008 most targeted sanctions were temporarily suspended again, following the Russo-Georgian war and signals from Minsk that it was willing to start cooperating with the West. Expectations were dashed, however, when the regime brutally cracked down on marchers protesting electoral fraud in 2010. Since then, sanctions have gradually been expanded. Belarus is exceptional in being the only Eastern Partnership (EaP) country subject to EU sanctions. In fact, Belarus was invited to join the EaP while being under sanctions.

The sanctions on Belarus are specific and targeted, with 243 individuals from the innermost circles of the regime barred from entering the EU and having their assets frozen, while the 32 companies linked to three tycoons closely connected with the president are under trade sanctions. Furthermore, sanctions were temporarily suspended in 1998 and again in 2008 as a positive reaction to real or anticipated political changes inside Belarus – and re-imposed as hopes turned to disappointment. These are, therefore, very fine-tuned policy instruments – and yet, on the face of it, they have failed to bring about the intended political results – that is, a liberalisation of the regime and an end to repression.

However, the impact of sanctions against Belarus is difficult to assess. The relative political thaw of 2008–2010, exemplified by the release of political prisoners, has been quoted as proof of the effectiveness of sanctions. Yet one can plausibly argue that sanctions were, at best, only one among many factors influencing Belarus at that time.

In extreme cases, sanctions can create widespread economic havoc and even mass deaths (e.g. as many as 5 million in Iraq during the 1990s, according to UNICEF). At the same time, sanctions affect not only the target party, but also those who impose them (e.g. Latvia assesses that EU sanctions on Belarus cost it €500m a year, or 2–3 percent of GNP). Even if the assessments quoted might have been inflated for political reasons, there is no doubt that sanctions are a very powerful policy instrument. Their critics routinely call them ‘war by other means’ or the ‘nuclear option’, to underscore their impact.

In the classical Peterson Institute study of 115 sanctions imposed between 1914 and 2006, the rate of even partial success was 34 percent. See the Peterson Institute for International Economics, Summary of economic sanctions episodes, 1914–2006, available at <http://www.iie.com/research/topics/sanctions/sanctions-timeline.cfm>.

For a systematic overview of EU sanctions policy, see Clara Portela, European Union Sanctions and Foreign Policy: When and Why do they Work? (London: Routledge, 2010).

Transnistria, a separatist territory of Moldova, is under EU sanctions for its separatism, and Armenia and Azerbaijan are under an EU-respected OSCE arms embargo due to the Karabakh conflict of 1988–94.

Polish Ministry of Foreign Affairs, ‘Eastern Partnership’, available at [http://www.msz.gov.pl/en/foreign-policy/europe/eastern\\_partnership/partnership](http://www.msz.gov.pl/en/foreign-policy/europe/eastern_partnership/partnership). 9 See Jana Kobzova, ‘Much Ado about Minsk, Too Little about Baku’, New Eastern Europe, 7 May 2012, available at <http://www.neweasterneurope.eu/node/308>.

relations with Moscow, due to issues unrelated to sanctions, made the regime more vulnerable, while the deteriorating economic situation forced it to apply for an IMF loan – which it would not have obtained had political prisoners remained in jail. This illustrates the difficulty of establishing a causal relationship between sanctions and policy change, or the lack of it, in the target country.

The official position in Minsk is that sanctions have no impact on Belarusian policy and should be dropped. Lukashenka has called them a ‘road to nowhere’.<sup>10</sup> Some civil-society activists support the sanctions. For example, in March the families of political prisoners published an appeal for sanctions in order to ‘bankrupt’ the regime.<sup>11</sup> However, others suspect that sanctions may have made the situation worse, because Lukashenka sees them as a challenge and needs to show that he has not caved in.<sup>12</sup> In particular, they see the execution of the two alleged perpetrators of the metro bombing in Minsk in 2010 as a consequence of the new sanctions. Lukashenka has confirmed that he might increase repression in response to sanctions.<sup>13</sup> He also threatened to retaliate against the West as well and, in particular, to ease controls on people leaving Belarus and thus facilitating an influx to the West of illegal immigrants.<sup>14</sup> The case of Belarus illustrates the importance of a clear and unanimous opposition constituency inside the country that supports sanctions policy and actively contributes to it.

There must also be an acceptable political perspective for forces supporting the regime if it complies with demands. This means not only that sanctions need to be calibrated, rather than being of the all-or-nothing variety, but also their goal, stated or implied, cannot just be regime change. Some opposition activists argue that sanctions should be intensified in order to ‘break’ the regime. But not only would it be very difficult to ‘break’ a regime that has commercial alternatives to trading with the EU, but also the cost to the population would necessarily have to be huge – Saddam Hussein succeeded in clinging to power even under such a sanctions regime. The formulation of a sanctions goal policy that would not be unacceptable to the regime or alienate the opposition is clearly the most important – and the most tricky – aspect of this method of bringing about political change. This would necessarily imply trade-offs: lifting a predetermined number of restrictions (e.g. on the visa

blacklist) in return for the regime meeting a precise target (e.g. the release of all political prisoners, with the proviso that the restrictions will be automatically reinstated in case of backsliding).

The case of Belarus also shows that sanctions can be undermined if the regime has a viable alternative to the ways and means that sanctions are supposed to deny it. Russia and Ukraine, which have repeatedly condemned the EU sanctions, give the regime in Minsk substantial economic breathing space. In particular, a trade embargo would not work, as Belarus has access to alternative trade routes via Russia – and Russia has a political interest in bringing

Belarus closer. But this also means that the sanctions themselves should not contain loopholes that defeat their purpose. If implementation is discretionary, effectiveness will be limited. For example, Slovenia tried to block the new round of EU sanctions against Belarus in the spring of 2012, as Slovenian company Riko Group was heavily involved in a €100 million hotel venture with Belarus tycoon Yuri Chizh, one of the three businessmen close to Lukashenka who were to be blacklisted.

While Slovenian resistance was finally overcome, Latvia made no secret of its opposition. 'The effectiveness of these proposed sanctions is what worries Latvia the most. We have on many occasions asked our EU partners what they believe these sanctions will lead to and what we will achieve,' said economy minister Daniels Pavluts. 'It would be very sad if these sanctions harm the people of Belarus, businessmen not associated with the ruling regime, as well as EU members themselves, including Latvia,' he added.<sup>16</sup> Latvia does not have a system for monitoring compliance with EU sanctions, nor does it have the money to set one up; it does, however, as noted, expect to incur heavy losses because of them. It seems reasonable to predict that its compliance might therefore be less than complete.

Other member states have also played fast and loose with other aspects of sanctions policy. In January 2012, the Belarusian interior minister, Anatoly Kulyashou, was allowed to travel to France for a conference at Interpol in Lyon, even though he is on an EU visa ban list because of his role in the crushing of the Minsk demonstrations in late 2011. EU law does allow member states to grant visas for the goal of 'participating in meetings of international organizations,' but this does not mean that such exemptions should be automatic. Neither France nor Interpol, however, have seen fit to explain why it was in the interest of the common good to have the Belarusian interior minister hone his professional skills.

Kamil Kłysiński and Rafał Sadowski, 'Belarus's diplomatic war with the European Union,' Eastweek, Center for Eastern Studies, 9 February 2012, available at <http://www.osw.waw.pl/en/publikacje/eastweek/2012-02-29/belarus-diplomatic-war-european-union>.

Nina Kolyako, 'Daniels Pavluts doubts whether sanctions against Belarus will achieve their purpose,' the Baltic Course, 3 March 2012, available at [http://www.baltic-course.com/eng/analytics/?doc=54005&ins\\_print](http://www.baltic-course.com/eng/analytics/?doc=54005&ins_print).

'Lukashenko believes EU understands that sanctions have no prospects,' Kyiv Post, 26 April 2012, available at <http://www.kyivpost.com/content/russia-and-former-soviet-union/lukashenko-believes-eu-understands-that-sanctions--126670.html>.

The petition was published on the 'Belaruski partisan' website. It stated: 'We call ... for the support of all sanctions which will lead to the rapid bankruptcy of this system.'

During a GMF seminar in Warsaw, two opposition voices argued that the strength of the sanctions is in their threat, not their implementation. Aleh Hulak (Belarusian Helsinki Committee) and Aleh Bahucki (Belarus Social-Democratic Community) both stated that sanctions may [make the regime] refrain from repression if they were used as a threat, and not as reality. If sanctions were to become a reality, the Belarusian authorities may increase repressions regarding 'Europe's agents' inside the country (i.e. against civil society).

In short, while sanctions imposed on Belarus clearly are hurting some elements of the regime, give comfort to some of its opponents, and are proof that the EU is 'doing something' in reaction to the egregious human-rights violations of the Lukashenka regime, there is little evidence that they produce the desired effects – that is, a revision of the regime's policies, ultimately leading to regime change. One can be more optimistic about their usefulness in obtaining limited policy goals such as the release of political prisoners, assuming other circumstances are favourable. However, given the heavy political investment the EU has made in its sanctions policy, any major lifting of sanctions without the desired goals being achieved would be seen as a major defeat.

The EU should also be realistic about its own capacity to impose sanctions and about what they can achieve. It should acknowledge that some member states will suffer (in real or percentage terms) more than others from the imposition of sanctions and will therefore attempt to evade them or allow their companies to do so. It is better to introduce a diversified sanctions-imposition regime, with timeouts for particularly affected states, than to see them internally undermined from the very beginning.

The EU should also recognise that no regime will commit suicide in order to get sanctions lifted. There are certain behaviours, like massive political repression of credible political threats to a regime's survival, which, while morally and politically reprehensible, are simply not very amenable to modification through economic sanctions. In such cases, political sanctions, even if often perceived as desultory, will have to suffice. (In such a case, however, the EU should clearly show that it is reluctant to introduce economic sanctions because they will not work rather than because it is protecting its own economic interests.) Loosen or suspend sanctions as a reward for compliance Even where it is possible to modify a regime's behaviour through sanctions, the threat of introducing more sanctions seems to be markedly less effective than the promise of reducing or suspending existing ones. Thus, although it may be politically easier for the EU to start small, an incremental increase in sanctions is unlikely to be effective. It is better to start with a rather heavy package of sanctions, and loosen or suspend them if the regime complies in tangible ways with the EU's demands. The EU should therefore be clear about what it expects from the regime. Sanctions should come

with clear descriptions of conditions for their lifting, which should be publicly described to the regime.

Communicate Just as importantly, the EU should communicate with the public and, in particular, the opposition in the target country. In particular, it should inform the public of the reasons and nature of sanctions and the conditions attached. It is of crucial importance to coordinate sanctions policy with the country's opposition (if a credible one



exists), both to be able to fine-tune and target, and to empower the opposition with the capacity of having sanctions suspended, if the conditions are met.

Sanctions, and the threat of them, are the basic staple of diplomacy: if you will not do this, then we will not do that. Recent cases of EU sanctions suggest that, the more limited their scope, and the more fine-tuned their implementation, the bigger the chances of their success. But even such custom-made sanctions need their implementation monitored and their effects assessed. Lacking such data, both on the member state and EU level, it is all but impossible to assess the effectiveness of European sanctions policy. This is neither an original nor a new conclusion; the fact that no such systematic mechanism exists seems indicative of a wilful blindness on the part of the European institutions.

The European Council on Foreign Relations (ECFR) is the first pan-European think-tank. Launched in October 2007, its objective is to conduct research and promote informed debate across Europe on the development of coherent, effective and values-based European foreign policy.

ECFR has developed a strategy with three distinctive elements that define its activities:

- A pan-European Council. ECFR has brought together a distinguished Council of over one hundred Members - politicians, decision makers, thinkers and business people from the EU's member states and candidate countries - which meets once a year as a full body. Through geographical and thematic task forces, members provide ECFR staff with advice and feedback on policy ideas and help with ECFR's activities within their own countries. The Council is chaired by Martti Ahtisaari, Joschka Fischer and Mabel van Oranje.

- A physical presence in the main EU member states.

ECFR, uniquely among European think-tanks, has offices in Berlin, London, Madrid, Paris, Rome, Sofia and Warsaw. In the future ECFR plans to open an office in Brussels. Our offices are platforms for research, debate, advocacy and communications.

- A distinctive research and policy development process. ECFR has brought together a team of distinguished researchers and practitioners from all over Europe to advance its objectives through innovative projects with a pan-European focus. ECFR's activities include primary research, publication of policy reports, private meetings and public debates, 'friends of ECFR' gatherings in EU capitals and outreach to strategic media outlets.

ECFR is backed by the Soros Foundations Network, the Spanish foundation FRIDE (La Fundación para las Relaciones Internacionales y el Diálogo Exterior), the Bulgarian Communitas Foundation, the Italian UniCredit group, the Stiftung Mercator and Steven Heinz. ECFR works in partnership with other organisations but does not make grants to individuals or institutions.

## **Charles M. Stromme**

### **EU SANCTIONS POLICIES**

#### **Summary**

Sanctions are becoming one of the European Union's favourite foreign-policy tools. For a political entity that (with a few exceptions) lacks the capacity to project military power, is devoid of a consistent and binding foreign policy, and is generally considered a 'soft power', the EU has, over the last two decades, engaged in a surprisingly active policy of use of sanctions. As of June 2012, it had in force sanctions directed at 26 states including North Korea and the United States, one no longer existing country (Yugoslavia), and a host of different terrorist organisations, from al-Qaeda to the relatively lesser known Movement for Islamic Reform in Arabia, as well as some 20 other entities and dozens of individuals such as Milica Gajić-Milošević, the daughter-in-law of the deceased former Serbian president Slobodan Milošević.<sup>1</sup>

The use of sanctions by the EU has increased sharply in the last few years from 22 decisions in 2010 to 69 one year later.<sup>2</sup> Though most focused on a small group of outlaw countries such as Iran, Syria and, until recently, Libya and Burma, they target an increasing number of countries. It is of the reasonable opinion that this increase is due to a growing self-perception by the EU as an active agent on the international scene, and to its tendency to add new sanctions if old ones seem not to work.



## ჩარლზ მორგან სტრომე

### ევროკავშირის სანქციების პოლიტიკა

#### რეზიუმე

სანქციები ევროპის კავშირის საერთაშორისო პოლიტიკის სასურველი იარაღი ხდება. პოლიტიკური გაერთიანებისათვის, რომელსაც (რამდენიმე გამონაკლისის გარდა) სამხედრო ძალის დემონსტრირების მომხრე არ არის, თანმიმდევრული და მტკიცე საერთაშორისო პოლიტიკა გააჩნია და მთლიანობაში, ერთი შეხედვით, თითქოსდა „რბილი ძალის“, სახის მქონედ განიხილება.

ამავე დროს, 2014 წლის გაზაფხულზე ევროკავშირი სანქციების გამოყენების აქტიური პოლიტიკის განხორციელებაში ებმება. წარსულში, 2012 წლის ივნისისათვის მას მხოლოდ 26 სახელმწიფოს წინააღმდეგ ჰქონდა სანქციები მიღებული, მათ შორის ჩრდილოეთ კორეა და ან უკვე არარსებული ქვეყანა (იუგოსლავია). აგრეთვე მთელი წყება (20-მდე) ტერორისტული ორგანიზაციების მიმართ, „ალ-კაედა“, დან დაწყებული შედარებით ნაკლებად ცნობილი „არაბეთში ისლამური რეფორმების მოძრაობი“, -თ დამთავრებული. ეკონომიკური და ფინანსური სანქციები მიღებულია კონკრეტულ პირთა მიმართაც, მაგ. როგორიცაა მილიცა გაჯიჩ-მილოშევიჩი - სერბეთის გარდაცვლილი ყოფილი პრეზიდენტის, სლობოდან მილოშევიჩის რძალი.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ევროკავშირის მიერ სანქციების პოლიტიკა სულ უფრო აქტიურად გამოიყენება. თუ 2010 წელს, სულ 22 გადაწყვეტილება იქნა მიღებული სანქციების თაობაზე, ერთი წლის შემდგომ, მკვეთრად გაიზარდა და 69 მიაღწია. სანქციები სულ უფრო მზარდი რაოდენობის ქვეყნების მიმართ გამოიყენება, თუმცა უკრაინის მოვლენებამდე, მათი უმრავლესობა შედარებით „პატარა ქვეყნებს“, ეხებოდა, როგორიცაა ირანი, სირია, ბოლო დრომდე - ლიბია და ბირმა.

საფუძვლიანად მიმაჩნია აზრი, რომ ევროკავშირის ეკონომიკური სანქციების ზრდის პოლიტიკა (განავითაროს/დაამატოს ახალი სანქციები მაშინ, როდესაც ძველი აღარ მუშაობს), ეს არის ამ გაერთიანების სულ უფრო მზარდი მოთხოვნის შედეგი - საერთაშორისო არენაზე იყოს აქტიური აგენტი და „მსოფლიო წესრიგის“, ერთერთი ძირითადი მარეგულირებელი რგოლი.



## ლაშა ტაბატაძე

### საქართველოს აგრარული სექტორი — რეალობა და რეალური პერსპექტივები

დღეს ქვეყანაში სერიოზული მსჯელობა მიმდინარეობს იმაზე, გააჩნია თუ არა ქვეყანას აგრარული პოტენციალი და რა დარგების განვითარება უნდა იყოს უფრო მეტად პრიორიტეტული. საზოგადოების ნაწილის უკმაყოფილებას იწვევსის ფაქტი, რომ ქართული აგრარული ბაზრის უდიდესი ნაწილი სწორედ უცხოურ საქონელს უპყრია. საზოგადოებაში ხშირად კეთდება აქცენტი იმაზე, რომ ხელისუფლება უფრო აქტიურად უნდა ჩაერიოს აგრარული სექტორის განვითარებაში და ამ სფეროს უფრო მეტი სუბსიდირება უნდა განახორციელოს, ისევე როგორც ეს თურქეთსა და ევროპის ბევრ ქვეყანაში ხდება. ძალიან მნიშვნელოვანია სწორად იქნეს გაანალიზებული, თუ რატომ მოხდა საქართველოს სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვანი შემცირება, რამ გამოიწვია მისი კონკურენტუნარიანობის მკვეთრი დაცემა.

აღსანიშნავია, რომ 2004 წლიდან საქართველოში ტარდებოდა საკმაოდ გულუბრყვილო საბაზრო ლიდერალიზაციის პოლიტიკა, რაც ქართველ ფერმერებს აყენებდა უმბიმეს მდგომარეობაში, რადგან მათ უნევდათ კონკურენტული ბრძოლა, ერთი მხრივ კარგად განვითარებულ, ხოლო მეორე მხრივ, საკმაოდ კარგად სუბსიდირებულ ფერმერებთან, როგორც ევროკავშირში, ასევე თურქეთში, უკრაინასა და რუსეთში. ამ მიდგომამ საკმაოდ დიდი ზიანი მიყენა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას. ასევე არ შეიძლება არ აღინიშნოს რუსეთის ფედერაციის მიერ 2006 წელს გამოცხადებული ემბარგო, რომელიც განსაკუთრებით მძიმე დარტყმა იყო ქართული მელინი კომპანიებისათვის. რუსეთის ფედერაციის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში განევრიანება ქმნის ობიექტურ საფუძველს ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დასაბრუნებლად რუსეთის ფედერაციაში. ამავდროულად, საქართველო ესწრაფვის ხელი მოაწეროს ლრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას ევროკავშირთან. ამდენად ევროკავშირი ყალიბდება, როგორც ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითადი საექსპორტო ბაზარი. ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო საიმპორტო ბაზარი უდიდესია მსოფლიოში, რომელზეც მოდის აღნიშნული პროდუქციის მსოფლიო იმპორტის 50%-ზემეტყ. ამავდროულად ამ ბაზარზე ასევე ძალიან მაღალია ზრდის ტემპი. ცხადია, საჭიროა, ძალიან კარგად იქნეს გათვლილი ყველა ის საბაზრო ნიშა და ის სასაქონლო ჯგუფები, რომლებიც ავლენენ ყველაზე მაღალ მიმზიდველობას. ამის გამოსავლენად, საჭიროა, ერთი მხრივ, განვსაზღვროთ ბაზრის ის მახასიათებლები რომლებიც განაპირობებენ სასაქონლო ჯგუფების კონკურენტუნარიანობას, მეორემხრივ, უნდა განვითარებული სასაქონლო ჯგუფების არსებული საექსპორტო მდგომარეობაც. ამ მიზნით ჰარმონიზებული სისტემის ოთხნიშნა დონეზე განისაზღვრება ის სასაქონლო ჯგუფები, რომლებიც ამ ეტაპზე ავლენენ საუკეთესო საექსპორტო პოტენციალს, მეორე მხრივ, განისაზღვრება ევროკავშირის საიმპორტო ბაზარზე ის სასაქონლო ჯგუფები, რომლებიც აჩვენებენ ყველაზე მაღალ საბაზრო ზრდის ტემპს. ამის შემდეგ აუცილებელი იყო კონკურენტუნარიანობის ინდექსის აგება. კონკურენტუნარიანობის ინდექსი ეფუძნება ევროკავშირის საიმპორტო ბაზრის ზრდის ტემპს (აღნიშნული პროცენტული მაჩვენებელი მრავლდება 5-ზე). ასევე განისაზღვრება ევროკავშირის საიმპორტო ბაზარზე არ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საბაზრო ნილი (პროცენტული მაჩვენებელი მრავლდება 5-ზე) და ასევე ემატება რაოდენობრივი მაჩვენებელი (ექსპორტის შესაძლებლობის რაოდენობრივი შეფასება). ექსპორტის შესაძლებლობის რაოდენობრივი შეფასება განისაზღვრება 1-დან 5-მდე. ევროკავშირის საიმპორტო ბაზრის ზრდის ტემპი დათვლილი იქნა 2009-2013 წლებისათვის, ხოლო ევროკავშირის საიმპორტო ბაზრის გახსნილობა (ანუ არაწევრი სახელმწიფოების ნილი განისაზღვრა 2013 წლისათვის). ქართული ექსპორტის პოტენციალის რაოდენობრივი შეფასება მოხდა ორი სუბინდიგატორის საფუძველზე. პირველი განსაზღვრავდა არსებულ ექსპორტს ევროკავშირი. შეფასება 2 ენიჭებოდა იმ სასაქონლო ჯგუფებს, რომლებსაც ქმნდათ სტაბილური საექსპორტო მაჩვენებლები 2011-2013 წლებში, ხოლო შეფასება 1 თუ იგივე პერიოდში არსებობდა ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტი, თუნდაც ერთი წლის განმავლობაში. მეორე სუბინდიგატორი ასახავს კონკრეტული სასაქონლო ჯგუფის ექსპორტის მდგომარეობას აგროპროდუქციის ექსპორტის საერთო მაჩვენებელში. ამ მიზნით განისაზღვრა კონკრეტული სასაქონლო ჯგუფის ნილი მთლიანი აგროპროდუქციის ექსპორტი 2012 წლისათვის. შეფასება 1 ენიჭებოდა იმ სასაქონლო ჯგუფებს რომლებსაც ქმნდათ 5%-მდე; შეფასება 2 იმ სასაქონლო ჯგუფებს, რომელთა ნილი აღემატება 5%-ს და აღწევს 10%-მდე, ხოლო შეფასება 3 იმ სასაქონლო ჯგუფებს, რომელთა ნილი აღემატება 10%-ს. (იხ. ცხრილი 1).

<sup>1</sup><http://www.intracen.org/tradstat>



ყველაზე მაღალი ზრდის ტემპის მქონე ბაზრები ევ- როკავშირში 2013 წლის მიხედვით.	%
შვედეთი	46%
ფინეთი	44%
პოლონეთი	51%
ნიდერლანდები	47%
ლიტვა	44%
გერმანია	61%

ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ 2008 წლის საფინანსო კრიზისისშემდეგ აღდგენითი ზრდა ევრო-კავშირის სამპორტო ბაზარზე მიმდინარეობს უფრო ნელი ტემპით, ვიდრე მსოფლიოში. ეს ფაქტი ნათლად დასტურდება იმით, რომ მსოფლიოში 2008-12 წლებში სამპორტო ბაზრის ზრდის ტემპი უფრო მაღალია, ვიდრე ევროკავშირში. ეს ფაქტი საინტერესოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ 2003-2008 წლებში ევროკავშირის სამპორტო ბაზრის ზრდის ტემპი უფრო მაღალი იყო, ვიდრე ანალოგიური მაჩვენებელი მსოფლიოში. მიუხედავად ამ ფაქტისა, ევროკავშირის აგროპროდუქციის სამპორტო ბაზარი ყველაზე დიდია მსოფლიოში და ცალსახად წარმოადგენს სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ბაზარს ქართული აგროპროდუქციისათვის. საქართველოს და ევროკავშირს შორის არსებული მანძილებისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, საქართველომ აშკარად უნდა აიღოს გეზი გადამუშავებულ აგროპროდუქციაზე, რომელსაც აქვს შენახვის ხანგრძლივი ვადა. საქართველოს პრაქტიკულად არა აქვს შესაძლებლობა კონკურენცია გაუწიოს გადაუმაშევებელი პროდუქციის ექსპორტში ისეთ რეგიონებს, როგორიცაა ჩრდილოეთ აფრიკა. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველო იმყოფება ევროკავშირიდან სამხრეთ აღმოსავლეთით, მნიშვნელოვანი განისაზღვროს პროდუქცია, რომლის მოსავლის აღების პერიოდი რამდენადმე უფრო ადრეა, ვიდრე ევროკავშირში ამავე პროდუქციის მოსავლის აღება. ასეთი უპირატესობა, ცხადია დროში იქნება საკმაოდ ხანმოკლე, სამაგიეროდ, ამკარად კვეთავს საბაზრო ნიშას. ქართული საექსპორტო პროდუქციის ასევე სერიოზულ პრობლემად მიიჩნევა მცირე რაოდენობა, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს კონკურენტულ უპირატესობას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ იმ სასაქონლო ჯგუფებში, სადაც საქართველო აჩვენებს ყველაზე მაღალ კონკურენტულ შესაძლებლობებს, როგორც წესი, ძალიან მაღალია კონკურენტული ბრძოლა. ასევე, ზედმეტად არ უნდა იქნეს შეფასებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მნიშვნელობა. საქმე ისაა, რომ ქართული საექსპორტო პროდუქციისათვის დაშვება ევროკავშირის ბაზარზე არ წარმოადგენს ძირითად ბარიერს. ამდენად, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება არ გამოიწვევს საექსპორტო პოტენციალის დაუყოვნებლივ ზრდას. საქართველომ უნდა გაითვალისწინოს ევროკავშირის ფერმერების ძალიან ძლიერი კონკურენტული პოზიციები და შექმნას ქართველ ფერმერთა დაბმარების კარგად გააზრებული სქემები. ალბათ, მიზანშენონილია მაქსიმალური კონცენტრაცია მოხდეს იმ სასაქონლო პოზიციების ბაზარზე. ამ მიზნით მიზანშენილია იმ სასაქონლო ჯგუფების გამოყოფა, სადაც მაღალია არა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან ექსპორტი. ამ შემთხვევაში ქართველი მწარმოებლები შევლენ კონკურენტულ ბრძოლაში არაეროკავშირის წევრი სახელმწიფოების მწარმოებლებთან. ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროკავშირსა და საქართველოს შორის შესაძლებელია გახდეს კონკურენტული უპირატესობის მიღწევის რეალური იარაღი. საქართველომ ასევე უნდა განსაზღვროს, ევროპელ ინვესტორთა დაცვის სპეციალური მექანიზმები, თუ ისინი დაინტერესდებიან აგროპროდუქციის წარმოებით საქართველოში. ცალკე უნდა გაანალიზდეს ქართული პროდუქციის დაბალი ცნობადობა ევროკავშირში, ამ მიზნით, ალბათ, გარკვეული საბაზისო აქტივობები, როგორიცაა საექსპორტო სახლები, სპეციალური საგაჭრო გამოფენები საგამად ინტენსიურად იქნება გასატარებელი. ყურადღება უნდა მიექცეს სპეციალური ვებგვერდების ფორმირებას, რომლებიც გაზრდიან ქართული პროდუქციის ცნობადობას. ალბათ, მიზანშენილი იქნება ელექტრონული ვაჭრობის წამყვანი ევროპული კომპანიების დაინტერესება ქართული პროდუქციის განთავსებით. ძალიან მნიშვნელოვანია საკმაოდ დეტალურად განისაზღვროს საექსპორტო ბაზოების შერჩევისა და მათზე შესვლის ფორმები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული კომპანიები ლიმიტირებული არიან საექსპორტო სტრატეგიების შერჩევაში. ქართული კომპანიებისათვის ნაკლებად შესაძლებელია ე.წ. „უპსალას მოდელის“ გამოყენება. ამ მოდელის მიხედვით კომპანიები ძლიერდებიან შიგა ბაზარზე და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებენ ექსპორტირებას უახლოეს მეზობლებში. სამუ-

<sup>1</sup><http://www.intracen.org/tradstat>



ხაროდ, საქართველოს შიგა ბაზრის ზომა რთულს ხდის ქართული კომპანიებისათვის ამ მოდელით ექ-სპორტის განვითარებას. ამდენად, ქართული კომპანიები თავიდანვე უნდა იყვნენ ექსპორტორიენტირებულები, ცხადია, ამ მიღებომის ყველა დადებითი და უარყოფითი მხარის გათვალისწინებით. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საქართველოს კომპანიების მიერ დსტ-ს ბაზრებზე დაგროვილი გამოცდილება შეუძლებელია გამოყენებული იქნეს ვროკავშირში. ევროკავშირის ბაზრებზე ყველაზე მიმზიდველი ბაზრების აღმოსაჩენად აუცილებელია განვსაზღვროთ ძირითადი ინდიკატორები, რომელთა მიხედვითაც უნდა განისაზღვროს ბაზრების მიმზიდველობა. პირველ რიგში უნდა განისაზღვროს ის ბაზრები, რომლებსაც აქვთ ყველაზე მაღალი ზრდის ტემპი. ზრდის ტემპი განისაზღვრება 2008-2012 წლების საფუძველზე. გაანგარიშებები ჩატარებულია საერთაშორისო სავაჭრო ცენტრის მონაცემების საფუძველზე, პარმონიზებულისი სტემის ოთხნიშნა დონეზე. ამის შესაბამისად ვიღებთ შემდეგ ლიდერ ქვეყნებს შესაბამისი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით. ბაზრის ზრდის ტემპი, რასაკვირველია, ნარმოადგენს მნიშვნელოვან ინდიკატორს, მაგრამ არ შეიძლება გადაწყვეტილება იქნეს მიღებული ერთი მაჩვენებლის მიხედვით. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ბაზრის ზომა, ანუ მისი ტევადობა. საექსპორტო სტრატეგიის არჩევისას კომპანიების უმეტესობა ორიენტირებული არიან სწორედ ბაზრის ზომაზე, ეს მეთოდი საკმაოდ გულუბრიყვილოა, ვინაიდან ასეთი ლოგიკით იქცევა პრაქტიკულად ყველა კომპანია. ამდენად, ყველაზე დიდი ზომის ბაზრებზე ამავდროულად არის ყველაზე მძაფრი კონკურენცია, ვინაიდან ყველა სხვა არსებულ იანპოტენციური ექსპორტიორი ორიენტირებულია იგივე ბაზრებზე. ყველაზე მიმზიდველი და დიდი ბაზარი განისაზღვრება, როგორც 2008-2012 წლებში ყველაზე დიდი ბაზარი საშუალო მნიშვნელობით, (იხ. ცხრილი 2).

## ცხრილი 2<sup>1</sup>

ყველაზე მიმზიდველი ბაზრები საბაზრო ტევადობისა და ზრდის ტემპის მიხედვით. 2013 წლის სტატისტიკა.	%
გერმანია	81%
იტალია	66%
ესპანეთი	56%
დიდიბრიტანეთი	75%
ბელგია	58%
საფრანგეთი	77%

საბოლოოანგარიშით შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთშემდეგირეკომენდაციები: მიზანშეწონილია:

- უნდა შეიმუშავდეს ძირითადადადაგროპროდუქციის სავაჭრო კომპანიების მოზიდვისათვის სპეციალური-ღონისძიებები;
- მაქსიმალურად ინტენსიური უნდა გახდეს სკომუნიკაცია ევროპელპარტნიორებთან, რათა სრულად დაამომზურავა დმიანონდოს სინფორმაციასა ქართველობში არსებული იურიდიული ტერიტორიების შესახებ;
- საგადასახადო კოდექსის შესვენიდეს ცვლილება და ამოქმედდეს მოგების დაბეგვრის რეგრესიული მოდელი-ექსპორტირებულისა ნარმოებისათვის;
- უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბითუმა დმოვაჭრე კომპანიებს;
- უნდა ჩატარდეს სპეციალური ქართული კვირეულებისა მიზნება ბაზრებზე მაგ. თუკომპანიები ბალტიის სახელმწიფო ებიდან და აინყებენ ქართული პროდუქციის გატანას კანდინავიაში, მიზანშეწონილია ასეთი კვირეული სორგანიზება საკანდინავიის სახელმწიფო ებში;
- უნდა მიენიჭოს სუპირისობა აგროტურიზმის განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს ქართული პროდუქციის ცნობადობის გაზრდას;
- უნდა მოხდეს სპეციალური ვებგვერდების ფორმირება, რაც ხელს შეუწყობს ქართული პროდუქციის ცნობადობის გაზრდას.

<sup>1</sup><http://www.intracen.org/tradstat>

**ლაშა ტაბატაძე**

**საქართველოს აგრარული სექტორი — რეალობა და რეალური პერსპექტივები**

**რეზიუმე**

წინამდებარე სტატიაში განხილულია საქართველოს აგრარული სექტორის სუსტი და ძლიერი მხარეები, განხილულია ასევე ის მიზეზები რაც ხელს უშლის აღნიშნული სექტორის განვითარებას და კონკურენტუნარიანობას, გაანალიზებულია სექტორის შესაძლებლობები და წარმოდგენილია კონკრეტული რეკომენდაციები.

**Lasha Tabatadze****GEORGIAN AGRICULTURAL SECTOR- REALITY AND REAL PROSPECTIVE****Summary**

The Georgian Agricultural Sector strengths and weaknesses are reviewed in the article below. There are discussed the reasons that breaks the sector development and its competitiveness. There is analyzed agricultural sector opportunities and presented recommendations, too.



## ლალი ჩაგებიშვილი-აგლაძე

### საქართველოს ლიკერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკის პარადიგმები

კითხვები, თუ რატომ რჩება დღემდე საქართველოს სავაჭრო ბალანსი უარყოფითი, რატომ არ ჩანს ექსპორტის ნაწილში რეალური სექტორის აქტივობის მატება? დღემდე ლია რჩება და, ეს იმის ფონზე, რომ საქართველომ ბირველმა, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან, მსო-ში განევრიანების შემდეგ მიიღო უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმებით ვაჭრობის უფლება. მივყვეთ ქრონოლლოგიას და დავინახავთ, თუ როგორ წარიმართა საქართველოს ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა უკანასლნელი 15 წლის განმავლობაში.

საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას თან სდევდა მისი მარეგულირებელი მექანიზმის შემუშავება. სწორედ ამ მიზნით, 1947 წლის 30 ოქტომბერს ჰავანაში მიღწეულ იქნა შეთანხმება მსოფლიოს 23 სახელმწიფოს, მათშორის: აშშ-ის, კანადას, დიდბრიტანეთს, საფრანგეთს, ინდოეთს, ბრაზილიას და სხვა ქვეყნებს შორის. ქარტია მოიცავდა სავაჭრო-პოლიტიკურ წესებს ურთიერთშემხვედრი ვაჭრობის შესახებ, რომელიც აუცილებლად უნდა დაეცვათ წევრ ქვეყნებს. ამ წესების კრებულმა თანდართული სატარიფო დათმობების სიით მიიღო ვაჭრობასა და ტარიფებზე გენერალური შეთანხმების (GATT – The General Agreement on Tariffs and Trade) სახელი, რომელიც ძალაში შევიდა 1948 წლის იანვარში. ის „ადგენდა წესებს საერთაშორისო ვაჭრობის სამართლიანად წარმართვისათვის. იგი გამოიყენებოდა, როგორც საერთაშორისო ფორუმი სავაჭრო ბარიერების გაუქმების შესახებ, რაც მოიცავდა იმპორტისა და ექსპორტის ქვოტირების გაუქმებას და ტარიფების მინშენელოვან შემცირებას. თუმცა მისი რატიფიცირება ზოგიერთ საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოებში შეუძლებელი აღმოჩნდა. ყველაზე ძლიერი ოპოზიცია იყო ამერიკის კონგრესზე, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკა იყო ფორუმის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა. 1950 წელს შეერთებულმა შტატებმა განაცხადა, რომ კონგრესი ვერ მოახდენს „ჰავანას ქარტიის“ რატიფიცირებას, რის შედეგადაც საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაცია ფაქტიურად ვეღარ ამოქმედდა.“

GATT-ის ძირითადი მიზანი იყო ვაჭრობის ლიბერალიზაცია, სავაჭრო ბარიერების შემცირების, მათ შორის პროტექციონისტური ტარიფების დონის დაწევის გზით. მისი არსებობის მანძილზე ჩატარდა მრავალმხრივ სავაჭრო მოლაპარაკებათა რვა რაუნდი, რომელთაგან უკანასკნელი, რომელიც ურუგვაის რაუნდის სახელწოდებითა ცნობილი, საფუძვლად დაედო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ჩამოყალიბებას. ორგანიზაციის დაფუძნებასთან დაკავშირებით ხელშეკრულებას ხელი 1994 წლის 15 აპრილს მარაკეშში (მარკო) 123 სახელმწიფომ მოახერა.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის საფუძველს წარმოადგენს ის შეთანხმებები, რომლებიც მოლაპარაკებული, შეთანხმებული და რატიფიცირებულია წევრი ქვეყნების პარლამენტების მიერ. ეს დოკუმენტაცია შეიცავს საერთაშორისო ვაჭრობის ძირითად წესებს, ესენია კონტრაქტები, რომლებიც ავალდებულებს მთავრობებს, შეინარჩუნონ სავაჭრო პოლიტიკა შეთანხმებული ლიმიტის ფარგლებში. კერძოდ, ვმო მართავს შემდეგ სავაჭრო შეთანხმებებს: TT (ტარიფებისა და ვაჭრობის ძირითადი ხელშეკრულება), TS (გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობაზე) და TRIPS (ინტელექტუალური საკუთრებით ვაჭრობა), მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიც არის საავტორო უფლება, სავაჭრო ნიშნები, პატენტები, სამრეწველო კონსტრუქციები და სავაჭრო საიდუმლოებები. შეთანხმებები ძალაში შევიდა 1996 წლის 1 იანვარს.

„ვმო-ს სისტემა ითვალისწინებს წევრი ქვეყნების ოთხ ჯგუფს: განვითარებული, განვითარებადი, ნაკლებად განვითარებული და გარდამავალი ქვეყნები. 1998 წლის უენევის მინისტრთა კონფერენციაზე პირველად იქნა მოხსენებული „მცირე ეკონომიკის ქვეყნები“ განვითარებადი ქვეყნების საერთო ჯგუფში.

ყველა ქვეყანა, რომელიც გაერთიანებული ერების სისტემის მიერ დადგენილია „ნაკლებ განვითარებულად“, ასევე არის მიღებული ვმო-ს სისტემაში. არ არსებობს არავითარი შეთანხმებული და ზუსტი განსაზღვრება იმის დასადგენად, თუ რომელ ჯგუფში შედიან დარჩენილი ქვეყნები. იმის გარკვევა, არის თუ არა ქვეყანა „განვითარებადი“, ხორციელდება „საკუთარი არჩევანის“ პრინციპის თანახმად. ქვეყნები, რომლებსაც წარსულში გააჩნდათ გეგმური ეკონომიკა (ქვეყნები, რომლებიც მიეკუთვნებიან ძირითადად აღმოსავლეთ და ცენტრალურ ეკონომიკას და ყოფილ საბჭოთა კავშირს) და რომლებიც აყალიბებენ თავისუფალ საბაზრო პრინციპებზე და დემოკრატიაზე დაფუძნებულ სისტემას, ითვლებიან გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებად. დანარჩენი წევრი ქვეყნები წარმოადგენ განვითარებულ ქვეყნებს“.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ადგენს სავაჭრო პოლიტიკის სტრუქტურას. ვმო-ს სისტემის ფარგლებში საქონლით ვაჭრობის საკითხებისადმი მიდგომა განისაზღვრება სამი ძირითადი პრინციპით: არადისკრიმინაციულობა, ურთიერთშეთანხმება, ბაზარზე შელწევა.

არადისკრიმინაციულობის პრინციპის ჩარჩოებში ხორციელდება წევრი ქვეყნებისათვის ორი რეჟიმის დაწესება: უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (Most-Favoured-Nation (MFN) და ეროვნული რეჟიმი (National Treatment (NT)).

„უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი საქონლოთან მიმართებაში ნიშნავს, რომ ნებისმიერი სახის უპირატესობა, პრივილეგია ან პრიორიტეტი, რომელსაც რომელი მხარე ანიჭებს ნებისმიე-




რო სახის პროდუქციას, რომელიც წარმოებული იქნება ამ ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე ან განკუთვნილია ნებისმიერი სხვა ქვეყნისათვის, დაუყოვნებლივ და უპირობოდ მიენიჭება მსგავს პროდუქციას, რომელიც წარმოებული იქნება ან განკუთვნილია ყველა დანარჩენი ხელშემკვრელი ტერიტორიებისათვის. ეს მდგომარეობა ვრცელდება ექსპორტზე, იმპორტსა და სატრანზიტო სავაჭრო ოპერაციების საერთაშორისო გადახდებზე, ასევე, საექსპორტო და საიმპორტო ოპერაციების საერთაშორისო გადახდებზე. სწორედ აღნიშნული ფორმულირება მეტად მიმზიდეველი აღმოჩნდა საქართველოსათვის, იმისათვის, რომ მიეღო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში განევრიანების გადაწყვეტილება. ეს პროცესი ისე სწრაფად წარიმართა, რომ სელისუფლებას არც კი გაუკეთები ღრმა, საფუძვლიანი ანალიზი იმ დროს არსებულ შესაძლებლობებსა და ამ ნაბიჯის შედეგების თაობაზე.

არადა, 1998-2001 წლებში მრავალმხრივი შეცვედრები, მოლაპარაკებები და ფართო დისკუსიები მიმდინარეობდა საქართველოს ვმო-ში გრევრიანების თაობაზე. მრავალ პრობლემურ საკითხთა შორის იყო ისეთები, როგორებიცაა: **საქართველოს სტატუსი, სატარიფო განაკვეთები, ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, სუბსიდიები და უცხოეთის დახმარების როლი.** რაც არ უნდა პარადოქსულად მოგვეჩენოს, 2000 წელს საქართველო ვმო-ს შეუერთდა როგორც განვითარებული ქვეყანა და ეს, მხოლოდ და მხოლოდ სასოფლო სამეურნეო პროდუქციის გამო. სხვაგვარად მას გარდამავალი პერიოდის ქვეყნის სტატუსი ექნებოდა, რაც განევრიანების პროცესისათვის მხოლოდ ხელშემშენებლი ფაქტორი იქნებოდა. და აი პირველი შედეგომაც, რომელიც ხელისუფლებამ დაუშვა. ის კი არ გაითვალისწინა, რომ განვითარებული ქვეყნების მიერ მოთხოვნები მნიშვნელოვნად განსხვავდება განვითარებადი და დაბალ განვითარებული ქვეყნების მოთხოვნებისაგან. მათი სივრცე უფრო ღია უნდა იყოს პარტნიორისათვის. დისკრიმინაციული ფაქტორებიც საქონლისა და მომსახურებით ვაჭრობაშიც უფრო მაღალი ნიშით სარგებლობს ამ შემთხვევაში. ხომ არ მოყვებოდა ამ ნაბიჯს ეკონომიკური დამოუკიდებლობის ნაცვლად ეკონომიკური დამოკიდებულება? ეს საკითხები იმხანად ღია დარჩა. არადა, თუ გარგად შევისწავლით საკითხს, ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა უპირატესი ხელშეწყობის და ეროვნული ხელშეწყობის რეჟიმებთან მიმართებაში მოიცავს პორიზონტალურ, ვერტიკალურ და სპეციფიკურ ვალდებულებებს. ეს უკანასკნელი დაკავშირებულია, როგორც ეროვნული ხელშეწყობის რეჟიმთან, ასევე ბაზარზე დაშვებასთან. ბ. პოეკმანის მეთოდოლოგიის მიხედვით, საქართველოს სპეციფიკურ ვალდებულების აბსოლუტური ღონე 315 ტოლია, რაც საკმაოდ მაღალია არა მარტო დაბალი და საშუალო შემოსავლების ქვეყნებთან, არაამედ ისეთ განვითარებულ ქვეყნებთან შედარებითაც, როგორებიც არია ბულგარეთი -308; სლოვაკეთი -306; ჩეხეთი 304. აღნიშნული კი ნიშნავს, რომ საქართველოს მომსახურებასთან დაკავშირებული ვალდებულებები საკმაოდ ლიბერალურია. ყოველივე ეს კი მრავალ კითხვას ბადებს. მაგ: ქონდა კი საქართველოს ამის შესაძლებლობები 2001 წლისათვის?; ხომ არ იქნებოდა საქართველოსთან მიმართებაში ვმო-ს რეგლამენტები დისკრიმინაციული?; მოუტანდა კი, რაიმე სარგებელს პოლიტიკურ და ეკონომიკურ კოლაფსში ჩავარდნილ ქვეყანას ასეთი გადაწყვეტილებები დადგებით შედეგს? და სხვა. მიუხედავად ვმო-ში განევრიანების მომხრეთა დიდი არმიისა, ვმო-ში განევრიანების პირველივე წლებში ნათელი იყო, რომ სასიკეთო ცვლილებები საქართველოს ვაჭრობაში არ მომხდარა. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2000 წელს სავაჭრო სალდო თუ -359 ათასი აშშ დოლ. შეადგენდა 2002 წელს ის -384.4 ათასი აშშ დოლ, ხოლო 2003 წელს -613.7 ათას აშშ დოლარს მიაღწია. ექსპორტის იმპორტით გადაფარვის კოეფიციენტი კი ამავე პერიოდისათვის 42%-ია. სურათი საიმედო არც დღეისათვისაა. სალდო კვლავ უარყოფითია და -4 065 ათას აშშ-ის დოლარს შეადგენს. არსასიკეთოა ისიც, რომ 2013 წელს საქართველოს ექსპორტის სტრუქტურაში უმსხვილესი სასაქონლო პოზიცია - 24 %, ისევ მსუბუქ ავტომობილებს იკავია (სურ.1).

### უმსხვილესი სასაქონლო პოზიციები საქართველოს ექსპორტში

სურ.1

უმსხვილესი სასაქონლო პოზიციების შემთხვევაში 2013 წელი






მოცემული სურათი ნამდვილად არ მეტყველებს საქერთველოს ეკონომიკის რეალური სექტორის ზრდაზე; ამ შედეგებზემნიშვნელოვან ზეგავლენას დემპინგური ფასები ახდენენ, რომლის რეგულაციაც თავიდანვე არასწორად ნარიმართა. 2001 წლისათვის საქართველოს მთავრობამ განაცხადა, რომ ანტი-დემპინგი, საკომპენციასით ბაზი და უსაფრთხოების ზომები გამოყენებულ იქნებოდა ვმო-ის დებულებებთან სრულ შესბამისობისობაში მოსვლამდე. „არაკეთილსინდისიერი“ კონკურენციასთან ბრძოლის ძირითად მექანიზმად მიჩნეულ იყო უფრო ზოგადი ხასიათის უსაფრთხოების ზომები. ისინი არ საჭიროებლენ უფრო დახვეწილ საკანონმდებლო ბაზას და მარტივი იყო გამოსაყენებლად. ამ მოსაზრებით, მრავალი განვითარებადი ქვეყანა ადგილობრივი მწარმოებლის დასაცავად მხოლოდ უსაფრთხების ზომებს იყენებდა. ეს კი ისეთი სახის შეცდომაა, რომელიც, ახალფეხადგმულს წელში ტეხს.

მორიგი, მესამე შეცდომა, სოფლის მეურნეობაში განხორციელებული სუბსიდიები იყო. რომელიც პირველ ეტაპზე ფერმერებზე გაიცა ჩაისა და ყურძნისათვის. ეს სუბსიდიები განეკუთვნებოდა „de minimize“ კატეგორიას. განვითარებული ქვეყნის შემთხვევაში დახმარება არ აღმატება ღირებულების 5 პროცენტს- (ყურადღება მისაქცევია აქ ის ფაქტი, რომ როგორც ზევით ზღვინიშნეთ, ვმო-ში საქართველო განვითარებული ქვეყნის სტატუსით შევიდა). ჩვეულებრივ პირობებში კი შეთანხმება ითვალისწინებს უფრო ფართომასშტაბიან დახმარებას. ამ შემთხვევაშიც აშკარაა ვმო-ის ინტერესების გათვალისწინება, მისი რეგულაციებისა და წესების დაცვა. აქაც კითხვის ნიშნით ჩნდება ის, თუ სადაა საქართველოს ინტერესები? რაში გამოიხატება ორმხრივი დაინტერესება? „de minimize“ ხომ ის საქმარისი მოცულობა არა არის, რაც აუცილებელი იყო იმ ქერიოდისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის რეაბილიტაციისათვის.

ამის დასტურს წარმოადგენს 2007-2013 წლების ექსპორტის სტრუქტულ დინამიკა(სურ.2), სადაც ჩანს, რომ სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ზრდა დღესაც მცირე ტემპებით მიღინარეობს.

ექსპორტის დონამიკა სტრუქტურულ ჭრილში 2007-2013წწ. (მლნ. აშშ დოლ)

სურ.2



2013 წელს საქართველოს სასფლო სამეურნეო პროდუქციის ექსპორტმა 774.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. მისი მაჩვენებელი 2012 წელთან შედარებით 261.7 აშშ. დოლარითაა გაზრდილი. ყურადსალებია ის ფაქტი, რომ ექსპორტის კლება ალინიშნა ისეთ პროდუქციაზე, როგორებიცაა: ხორბალი, ხილისა და ბოსტნეულის წვენები; ცოცხალი ცხვარი, ცხვრის ხორცი; ექსპორტის ზრდის ტემპებს სოფლის მეურნეობაში არსებული გადასახადებიც აფერებს.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველოს განევრიანებისა, მისი საექსპორტო პროდუქცია ჯერ კიდევ სრულად არ არის დამკვიდრებული დონორი ქვეყნების სამომხმარებლო ბაზარზე და, საერთაშორისო ორგანიზაციების მხსნელად მოვლინება მითადდარჩება, რომელიც რეალობას იქნება მოკლებული, თუ საღად არ იქნება გაზრებული პოლიტიკა და ნაჩქარევად მივიღებთ გადაწყვეტილებებს.

რა თქმა უნდა დასავლეთსა და მსოფლიოს თავის მიზეზები გააჩნიათ ეკონომიკური და პოლიტიკური ბლოკების სწრაფი და ფართოდ შექმნისათვის. ეს უპირველეს ყოვლისა კასპიის ზღვისა და ცენტრალური აზიის რესურსებით დაინტერესებაა. მეორეს მხრივ, მსოფლიოს სურს რუსეთის გავლენის შემცირება ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში. ამ მხრივ კი, საქართველოს ხელსაყრელი გეო-პოლიტიკური მდებარეობა გააჩნია ენერგომიმწოდებლებსა და დასავლეთს შორის. ამ მიზნის ეფექტიანი რეალიზაციისათვის კი დასავლეთს მისთვის მისაღები სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განხორციელება სურს, რასაც რალა თქმა უნდა ყველა სახის ხელშეკრულებაში ასახავს ისე, რომ საკუთარ ეკონომიკურ ინტერსებს საფრთხე არ შეუქმნას. საქართველოსათვის კი მნიშვნელოვანია, რომ თანასწორუფ-



ლებიანი პარტნიორი იყოს დასავლეთის. დღეს უკვე, როდესაც საკუთარმა გამოცდილებამ დაგვანახა ყველა შეცდომა, დაუფიქრებელი ნაბიჯების გადადგმა აღარ შეიძლება. მითუმეტეს მაშინ, როდესაც საქართველოს ნინაშე ახალი გამოწვევა „ევროპის ასოცირების ხელსშეკრულების” სახით. რა თქმა უნდა კარგია სახვადასხვა სართაშორისო ხელშეკრულებისა და ინტეგრაციულ გაერთიანებებში შესვლის შეთავაზებები, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველომ ასეთი შემოთავაზებები მყისეულად უნდა მიიღოს. ნებისმიერი საერთაშორისო შემოთავაზება ღრმა და ჯანსაღი დისკუსიის საგანი უნდა იყოს, რომლის დროსაც უნდა აიწონოს ყველა დადგებითი და უარყოფითი თანმდევი ეფექტი. კერ უნდა მომზადდეს ბაზა და შეიქმნას საფუძველი ქვეყანაში საერთშორისო ხელშეკრულებების, ამ ეტაპზე კი „ევროპის ასოცირების ხელშეკრულების”, ორივე მხარისათვის ეფექტიანად განხორციელებისათვის და მხოლოდ ამის შემდეგ მოეწეროს მას ხელი და ამოქმედდეს ხელშეკრულება, რათა დისკრიმინაციულ მდგომარეობაში არცერთი მხარე არ აღმოჩნდეს.

## ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე

საქართველოს ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკის პარადიგმები

### რეზიუმე

კითხვები, თუ რატომ რჩება დღემდე საქართველოს სავაჭრო ბალანსი უარყოფითი, რატომ არ ჩანს ექსპორტის ნაწილში რეალური სექტორის აქტივობის მატება? დღემდე ღია რჩება და ეს იმის ფონზე, რომ საქართველომ ერთადერთმა, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან, მსო-ში განევრიანების შემდეგ მიიღო უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმებით ვაჭრობის უფლება.

ნაშრომში განხილულია მსოფლიო სავაჭრო ოგნიზაციის ძირითადი ასპექტები და საქართვლოს ვაჭრობის პოტენციალი უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში.

გაანალიზებულა მსო-ში განევრიანების დადებითი და უარყოფითი მხარეები და შემოთავაზებულია რეკომენდაციები „ევროპის ასოცირების ხელშეკრულების”, განხორციელების თაობაზე.

**Lali Chagelishvili-Agladze**

### THE LIBERAL FOREIGN TRADE POLITIC'S PARADIGMS OF GEORGIA

#### Summary

Questions why Georgian trading balance still remains negative and why there is no sign of expanding the activity of real sector in export, are still open. And this exists on the background when only Georgia, from the countries of former Soviet union, got the right of trading under the regime of support.

In the work author canalizes main aspects of world trading organization and the potential of Georgia trading during the last 15 years.

She also emphasizes and discusses positive and negative sides of world partnership and gives recommendations for “Europe associate contract”.

# სოციალური და ჰუმანიტარული გეციერებები

## მილიად კალანდარიშვილი

### უფლის სახელით დათრგულები სიყვარული

კოლინ მაკალოუს რომანში „კვრინჩხის ბუჩქებში მომღერალი“, წამოჭრილია რელიგიურობის, როგორც სოციალური ზნეობრივი ორიენტაციის შეჯახება, რომელიც ენინაალმდევება გმირის შინაგან მოთხოვნილებას ამქვეყნიური ცხოვრებისადმი, თვით გმირი, ნების გამოხატულების თავისუფლებით შეპყრობილი, არჩევანის წინაშე დგას: საეკლესიო ასკეტიზმი თუ საკუთარი ბუნება, რომელსაც მიჰყავს ის კათოლიკური მორალის პირობითობისაგან განთავისუფლებისაკენ.

კ. მაკალოუ ცდილობს წამოჭრილი საკითხი, ფილოსოფია-თეოლოგიის თვალსაზრისით, ცნობიერებაში ღრმად ჩანვდომის საშუალებით გადაჭრას. მან კარგად იცის თანამედროვე კათოლიციზმის მდგრამარება, სრულიად არ პასუხობს იმ ამოცანებს, რომელიც მას ავტორისეული დანიშნულებით უნდა გადაეჭრა. კათოლიკური ეკლესიის ფანატიზმი და თვითანგარება არავითარ იმედს არ უტოვებს ახალ სულიერ აღმაფრენას, რისკებაც ასე ისწრაფვის მწერალი.

ამის შედეგად, ღმერთი მეგისა და რალფისთვის გახდა არა მხოლოდ უზენაესი ძალა, არამედ უმაღლესი მსაჯულიც, რომლის წინაშე მუდმივ შიშის განიცდის ჩვეულებრივი მოკვდავი, ჩადენილი ცოდვების გამო. დიახ, ეს ერთადერთია იმ არსებული ცნებებიდან, რომელიც ასაბუთებს ადამიანის უძლურებასა და არარაობას უმაღლესი, ყოვლისმართველი ძალის წინაშე.

კათოლიკური იდეოლოგიის ჩაკეტილობა, აზრის სიახლით არ იტაცებს, თუმცა გრძნობათა დიდ თავისუფლებას მოიცავს, რაც გამოიხატა კიდეც გმირების ხასიათსა და განცდებში და ამ განცდების მორევში გამოჩნდა ავტორის სუბიექტივიზმიც.

რომანის ძირითადი ფილოსოფიური არსი სიკეთესა და ბოროტებას შორის ბრძოლაა. კათოლიკური მრნამსის ადამიანისათვის სიკეთე და რელიგია ობიექტურად ვერ უთავსდება ერთმანეთს. ამასთანავე, ადამიანი, როგორც ბუნების ნაწილი მის კანონებს უნდა ემორჩილებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი შურს იძიებენ მასზე, იგი კარგავს ბედნიერებისაკენ მიმავალ გზას და სულიერ სიმშვიდეს და უაზრო არსებობისათვის რჩება განწირული.

ეკლესიის მიერ პირვენების დათრგუნვის წინააღმდეგ პროტესტის გამომხატველია მეგი, რომელმაც შეიგრძნო ეკლესიის შთანმთემელი ძალა, მაგრამ ვერ შეეჭიდა მას, თუმცა მის უზარში, შეუთავსოს ადამიანის სიყვარული ღმერთის სიყვარულს, გამოჩნდა თვისუფლებისაკენ სწრაფვა, რაც ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა რალფისათვის.

მაკალოუს მეგი ექსტრაორდინალურ, განსაკუთრებულ ნატურად ჰყავს გამოყვანილი. მის დასახასიათებლად ავტორი არაჩევეულებრივი სიზუსტით იყენებს ფისიქოლოგიურ ანალიზს და ყურადღების გარეშე არ ტოვებს მის სულში მომხდარ მცირეოდენ განსხვავებას, უმაღლე ამცნობს ხასიათის ოდნავ ცვლილებასაც, აზრების წყობას, წამიერად გამომკრთალ იმპულსურ გამოძახილს, რაც მთლიანად მოიცავს ამ ვნებიან ნატურას. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ მეგის ნაძალადევი ქორწინება ლიუკ ონილთან, შვილის დაბადების მოლოდინი, რალფთან შეხვედრა მატლოკზე და სხვა მრავალი ცალკეული სიუჟეტი, რომელიც კლასიკურად ერწყმის რომანის საერთო წყობას.

მეგი საკუთარი უფლებების დასაცავად ამბოხებული ქალია და ამავე დროს ლვთის მორნმუნე კათოლიკეც. რალფთან შეხვედრის ერთ-ერთ უკანასკნელ ეპიზოდში მწუხარებისა და სასოწარკვეთილების მიუხედავად, იგი იცავს ეტიკეტს და ეამბორება კარდინალ რალფის ბეჭედს და იმავე წუთს მოითხოვს მისგან განდგომას. რალფი არღვევს ლვთისადმი მიცემულ აღთქმას, ტოვებს ყველაფერს და შვილის საძებნელად მიიჩეარის, შვილისა, რომლის არსებობაც არ იცოდა.

შეუძლია ჭაბუკს, რომელსაც ჯერ არ შეუცვნია მინიერი ცხოვრების საიდუმლოება, უარი თქვას ყოველივე ამქვეყნიურზე? იქნებ ეს ქვეცნობიერი დუალიზმია? რომელია დასაძრახი\_ დროხედის სამრევლო მამა რალფი თუ წმინდა, უცოდველი, შეურყვნელი სულისა და ხორცის 28 წლის ახალგაზრდა, რომელიც დარწმუნებულია თავისი არჩევანის სისწორეში. იქნებ ეს არჩევანი, ოჯახურ ტრადიციებზე დამყარებული და საკუთარი ნების გარეშე გაკეთებული, ნაადრევია? ყველას თავისი ბედი აქვს, უზენაესმა რალფს მისთვის სამსახური დაკისრა, მაშინ როდესაც უფროს ძმას არჩევანის თავისუფლება მიეცა. სამწუხაროდ, რალფს სხვა გზა არ ჰქონდა, და რაც არ უნდა იმართლოს თავი არქეიპისკოპოს და კონტინვერჩებესთან, მაინც იგრძობა, რომ გულის სილრმეში იგი აუცილებლად შეიცვლიდა არჩევანს. მძიმეა კათოლიკიზმის კანონების ნაწილი, მაგრამ ჩვენი აზრით ადამიანს მხოლოდ მოწიფულობის ხანაში, როცა ყოველივე მინიერი უკვე განცდილი აქვს, შეუძლია უარყოს ამქვეყნიური ცხოვრება სრულიად გაცნობიერებულად. როცა მას ყველა თავის ქმედებაზე შეუძლია აგოს პასუხი, შეუძლია ემსახუროს ღმერთს და ღვთიური კანონის დარღვევისთვის მიიღოს უმკაცრესი სასჯელიც. რალფს უყვარს ღმერთი, მისი ერთგულია და ახალგაზრდობის მიუხედავად, ასკეტურ ცხოვრებას ეწევა, პირნათლად იცავს ყველა წესს,



მაგრამ... „ ადამიანი რომ წოდებას მიიღებს, უკან დასახევი გზა აღარ აქვს..” პედი ცდილობდა აეხსნა ქალიშვილისთვის რალფის წმინდა მოვალეობები, მაგრამ მეგი სხვაგვარად ფიქრობდა: გამოუცდელი, საკმარისი განათლების არ მქონე გოგოს გონებაში ყველაფერი პრიმიტიულია და ბავშვური გულუბრყვილობით აირევლება. მრავალი წლის განმავლობაში იგი ინფანტილურ ბავშვად რჩება, რომლისთვისაც სამყარო ერთი კუთხით იხსნება. დედას ნაკლებად აინტერესებდა შვილის განათლება და მითუმეტეს მომავალი. ისევე როგორც არ აღელვებს მეგის თავისი ქალიშვილის მომავალი. აკრძალული ხილი ყოველთვის ტკბილია, რაც არ უნდა ხანძოებულე იყოს სიამოვნება. ასე მოხდა ფიასა და ფრენკს შორისაც. ასე იქნება მეგისა და დენს შორის. ეს კარმის კანონია, გადაცემული ბაბუიდან შვილიშვილზე, მშობლებიდან შვილებზე. ამქვეყნად ყველაფერი ურთიერთყავშირშია\_ სიკეთე და ბოროტება, უბედურება და სიხარული, აღქმა და განდგომა, სამყაროს საყოველთაო კანონი გამუდმებით მტრულად განწყობილი მოწინააღმდეგე ძალების არსებობა, ურთიერთჩანაცვლებითი და ურთერთგანუყოფელი. წინაპრებმა იცოდნენ რას ტოვებდნენ. ეს არის ორი საწყისი, რა არაადამიანური ძალით უნდა იყოს სული მოცული, რომ ბოლომდე აღუდეს წინ საკუთარ ბუნებას.

რას წარმოიდგენდა რალფი რომ ეს პატარა გოგონა ისევ დაბრუნდებოდა მის ცხოვრებაში. ეს რომ სცოდნოდა, მისცემდა ღმერთს მორჩილების ალთქმას? მაგრამ არავის შეუძლია მომავლის განჭვრეტა და არც რალფმა არ იცოდა, მაშინაც კი, როცა გამუდმებით მეგის უბრუნდებოდა ფიქრებით.

თანდათან, სიუჟეტის გაშლასთან ერთად, გარემოებათა სიმძიმის ქვეშ როგორ იქცევა მამა რალფი ეპისკოპოსად, შემდეგ არქიეპისკოპისად და ბოლოს კარდინალ დე ბრიკასარად, სინამდვილეში კი ჩეულებრივ მოკვდავად, მინიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სურვილით. ავტორს გმირის გაორებულ სამყაროში შეეყავართ. ერთი მხრივ გარეგან, იქ, რომელმიც ყველა ეტიკეტია დაცული, და მეორე-შეუძლებელი, რომელიც მხოლოდ მეგისთვისაა გახსნილი. როგორ იცვლება გარეშე მოვლენების ფონზე რალფის მორალური სამყაროს არაორდინალური თვისებები.

მაკალოუ დიდი ხნით არ ჩერდება გმირების საქციელის ფსიქოლოგიურ ანალიზზე, მაგრამ თითოეული მათგანის ეკლიან გზაზე მკითხველიც თან მიჰყავს. ავტორი განიხილავს „ცოდვის“, ცნებას და მასთან დაკავშირებულ ჰემანიზმის იდეას, რომელიც რელიგიური ცნობიერებითაა შემოფარგლული, რაც აიძულებს მას რელიგიური მოვალეობის გამო ადამიანი განიროს. სიყვარულის ცოდვად აღიარება საშუალებას უსპობს რალფს სრულფასოვნად, დრამატიზირების გარეშე მიეცეს გრძნობას. მასში კათოლიკური შეხედულებები იმარჯვებს, რომელიც სიყვარულს ცოდვად აღიქვამს, ხოლო მისგან განწმენდას გადარჩნის ერთადერთ გზად.

ყველა მოკვდავი ერთხელ მაინც განიცდის მერყეობის წუთებს, სიყვარულსა და ბედნიერებას შორის. საჭიროა მხოლოდ გადააბიჯო ზღვარს, მაგრამ რა დგას ამ ბარიერს მიღმა? გაურკვეველია.

მერი კარსონის წყველა თან სდევს მეგის სიცოცხლის ბოლომდე. მან თავიდანვე შეამჩნია რალფ დე ბრიკასერის ჭემარიტი გრძნობა პატარა ძმისწულისადმი. შეეძლო კი ყოვლისშემძლე მერის, რომელმაც სამადლოდ შეიფარა ძმის ოჯახი, შეეუძლებოდა იმ აზრს, რომ თავისი სულიერი მამის გაყოფა მოუხდებოდა საკუთარ ძმისშვილთან.

მერის მიერ წამოყენებული პირობა რალფისათვის ძლიერ მაცდუნებელი აღმოჩნდა: ერთის მხრივ შესაშური მემკვიდრეობა და მეორეს მხრივ მეგი. რალფს ოცნებაც კი არ შეეძლო ასეთ მომავალზე. პატარა სოფლის მცირე მრევლი და უეცრად პორიზონტზე გამოიკვეთა მღვდლის უბრალო სამოსის კარდინალის ძვირფას სამოსზე გაცვლის შესაძლებლობა, ცამეტი მილიონი ფუნტის მემკვიდრეობა და ვატიკანში პრესტიული სამსახური. სასწორზე დევს ეს ყველაფერი და მეგის სიყვარული. მერი არ შემცდარა როცა რალფი დილემის წინაშე დააყენა, მას კარგად ჰერნდა შესწავლილი მისი ბუნება და წინასწარ იყო დარწმუნებული, რომ კათოლიკური შეხედულება უბრალო, ადამიანურ გრძნობაზე მაღლა დადგებოდა.

სიყვარული ყველა ასაკში ტანჯვაა. თავისებურად იტანჯება მერი კარსონიც. შუახხის ქალბატონი ვერ მაღავს ახალგაზრდა მღვდლის მიმართ გაჩენილ გრძნობას, მაგრამ ახალგაზრდობა იმარჯვებს, რალფი სამუდამოდ მეგის სიყვარულის მონა ხდება, სურს ეს მერის თუ არა.

რომანში ორიგინალურ გადაწყვეტას იღებს საკუთარი თავისგან გაქცევის, სიყვარულისგან გაქცევის ტრადიციული მოტივი. შედეგი? ბედი თითოეულ მოკვდავს თან დასდევს. ყველაფერი ციკლურია. რალფი მეგის უბრუნდება. ეს აღბათ ის ქორწინებაა, რომელიც ღმერთის სურვილით ხდება და რომელსაც თვითონ აკურთხებს და დალოცავს. ბედისწერას არ სურდა მეგის და ონილის დაკავშირება, მაგრამ ასევე მიზანშეუნონელია რალფთან დაქორწინებაც. მეგის ბავშვურად წრფელი გული პირველი დანახვი-დანვე მისკენ ინევდა, მსუბუქად და თავისუფლად გრძნობდა თავს როცა სულიერ მამას თავის საიდუმლოს ანდობდა. უმწიკვლო იყო მისი კოცნა და საოცარი სიმსუბუქით მიენდო მეგი რალფს და ყოველგვარი აკრძალივის გადალახვით მხოლოდ დე ბრიკასერი უნდა ყოთილიყო მისი შვილის მამა. ეს მწვავედ შეიგრძნო მეგიმ მაშინაც, როცა არმებდგარი ქორწინებით გამოწვეულ ტკივილს, დამცირებას, წყენას იკლავდა გულში. მაშინაც კი, როცა მის თანაბარ სუნთქვას უსმენდა. სული უმაღლეს კანონებს ემორჩილება, სხეული კი უმდაბლესი სურვილების მსხვერპლი ხდება. სული და სხეული ებრძვის ერთმანეთს, ხოლო როდესაც შეერწყმის მყარდება პარმონია და მას ვერაგითარი სხვა კანონი ვერ დაარღვევს.

მატლოცზე განცდილმა ბედნიერებამ მეგის უსაზღვრო სიხარული და სინაზე მოუტანა უიმედობის მძიმე წლების შემდეგ. კუნძულის ეპიზოდიდან თითქოს ახალი თავი იწყება რომანში. ის სიყვარულს, როგორც უმშვენიერეს, უძვირფასეს გრძნობას გამოიკვეთს ადამიანის ბუნებაში. მაგრამ საზოგადოება, სადაც მეგი და რალფი ცხოვრობენ, ამახინჯებს, წინააღმდეგობას უწევს ამ გრძნობას და საბოლოო ტრაგედია მიჰყავს გმირები.



კუნძული მატლოკი.... ყველაფერი სულის სიმშვიდესა და ჰარმონიას უწყობს ხელს. იცოდა კი რაღ-ფმა რა ელოდა მას კუნძულზე? შეძლებდა გაეძლო ამ ვწებისთვის? ვერა, ვერ გაუწია წინააღმდეგობა წლობით გულში ჩამარხულ სურვილს. მისთვის უცხო იყო სულიერი და ფიზიკური სიყვარულის ჰარმონია, ასევე უცხო იყო მეგი, როგორც ქალი მისთვის. კუნძულზე კი ყველაფერი ერთ წამში გადატრიალდა და რალფი მიხვდა რამდენი ნეტარების წამი დაუკარგავს და რა გარიყული და სასონარკვეთილი იყო მეგი. ეს სიზმარი, ცხადი თუ დაბინდული გონების მირაჟია? შეიძლება გაექცე საკუთარ თავს, სიყვარულს, ყოვე-ლივე სანუკვარს რასაც ზეცა გიგზავნის? მეგი მიხვდა რომ წანატრი ბეჭნიერების უამი დადგა. რამდენი სითბო, სინაზე და ალერსი აჩუქეს მათ ერთმანეთს, როგორი ნეტარებით მიეცნენ უკიდევანო გრძნობას. მაგრამ რალფი იხსენებს წმინდა მოვალეობას და ყველაფერს დასრულებს მიუხედავად იმისა რომ პირ-ველად დაინახა ჭეშმარიტი სამყარო.

„უგონო სიყვარული ღვთის წინაშე ცოდვაა...“ მაგრამ არის კი ჭეშმარიტი სიყვარული გონიერი? ალ-ბათ ეს უკანასკნელი უფრო გარიგებაა, შიშველი რაციონალიზმი. რალფი გაურბის სიყვარულს, რათა სა-კუთარი რწმენის ბუნაგში დაბრუნდეს, რომ არაფერმა გაახსენოს ის რაც იყო, არის და იქნება. მაგრამ არავინ იცის რა ხდება მისი სულის სილრმეში, გარდა კარდინალ დე კონტინი-ვერჩეზესა. მან ისიც კი შე-ამჩნია რაც თავად რალფს დარჩა შეუმჩნეველი, თუმცა დენი რალფს უსაზღვროდ უყვარდა, იმაზე მეტა-დაც ვიდრე საკუთარი შვილი ეყვარებოდა. კარდინალმა შეამჩნია მამა- შვილის საოცარი მსგავსება.

რალფმა საკუთარი შვილის არსებობის შესახებ მაშინ გაიგო, როცა მეგიმ მას მოსთხოვა დაევინყე-ბინა ღმერთი და წასულიყვნენ საკუთარი გარდაცვლილი შვილის მოსაძებნად. რალფი ყველაფერს მია-ტოვებს და გაჰყვება მეგის, მაგრამ მას არ შეუძლია ცოდვაში ცხოვრება და საბოლოოდ იგი თავისი შვი-ლის ბედს გაიზიარებს.

სასონარკვეთა წანარმოებს ლაიტმოტივად გასდევს. ფია, მეგი, რალფი მარადიული ტანჯვისთვის არიან განწირულები, თუმცა ყველა მათგანი ღირსია ბეჭნიერების. თითოეული მათგანის ტრაგედია გა-რემობით არის განპირობებული, მაგრამ ეს არ ათავისუფლებს მათ პასუხისმგებლობისგან. იქნებ ამი-ტომაც შეუძლებელია მათი ბედნიერება. და არავითარ გაელვებას არ ძალუძს ბედისგან მიღებული ტკი-ვილის დაჩრდილვა. ყველაფერი რაც ვიცით გმირების შესახებ ცალმხრივადა განხილული და უკავშირ-დება მეგისა და რალფის ურთიერთობას. რომანისთვის დამახასიათებელია, რომ მეგი არ კიცხავს საკუ-თარ თავს, იგი შვილის მომავლით ცხოვრობს, ის ამაყი და თავისუფლების მოყვარე პიროვნებაა, განწი-რული მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი უმანკო სული დროხედის სამრევლოს მამას არგუნა. სწორედ დრო-ხედში სრულდება მათი ამბავი შვილის ტრაგიკული დასასრულითა და დასაფლავებით. იღუპება რალფიც და მასთან ერთად ქრება მეგის უკანასკნელი სიხარულიც. ის მარტოა და ბოლოს იხსენებს ქალიშვილს, რომელიც უცხო იყო მისთვის და არც ჰეავდა მას, თუმც უბედურებამ დაახახლოვა დედა-შვილი.

მთელი წანარმოები ეკლესის სადიდებელი სიმღერაა. საკურთხეველთან მიტანილია სილამაზე, მშვენიერება, სიყვარული. თუკი ახალი ლიტერატურის ერთ-ერთ დევიზს წარმოადგენს სიკვდილზე ყო-ფიერების თვითაღორძინების მოტივი, აქ მკითხველს ეძლევა საშუალება იფიქროს სიცოცხლის არსებით მნიშვნელობაზე. ეპიგრაფი კვრინჩის ტოტზე მომღერალი ჩიტის შესახებ გვათიქრებინებს, რომ დასას-რულისგან კარგს არაფერს უნდა ველოდოთ. ჩიტი გულში კვრინჩის ეკლით, ბუნების აუცილებელ კა-ნონს ემორჩილება. მან თვითონაც არ იცის რა აიძულებს დაერჭოს ისარს და სიმღერით მოკვდეს. იმ წამს, როდესაც ისარი გულს უსერავს, ის მოახლოებულ სიკვდილზე არ ფიქრობს და მღერის ვიდრე ხმა არ ჩა-უწყდება და სუნთქვა არ შეუჩერდება. ჩვენ კი, როდესაც ეკლიან კვრინჩიზე ვეცემით, ვიცით, ვგრძნობთ, გვესმის, და მაინც ვისწრაფვით ტანჯვისკენ და ალბათ ასე იქნება მუდამ.

## მილდრედ კალანდარიშვილი

### უფლის სახელით დათრგუნული სიყვარული

#### რეზიუმე

კოლინ მაკალოუს რომანი ეხება რელიგიურობის, როგორც სოციალურ-მორალური ორიენტაციის, მინიერი ცხოვრების მოთხოვნილებასთან დაპირისპირებას.

საკუთარი პროტესტის გამოსახატვად ავტორი იყენებს მთავარი პერსონაჟის, მეგის პორტრეტს, რომელიც აცნობიერებს ეკლესის ყოვლისმომცველ გავლენას, მაგრამ ვერ ახერხებს მისგან თავის დაღ-ნევას. ავტორი ასევე იკვლევს „ცოდვის“, გაგებას და მასთან დაკავშირებულ ჰუმანიზმის იდეას, რომლის სახელით რელიგიური ცნობიერებით შეზღუდული რალფი თავის ცხოვრებას ეკლესის სამსხვერპლოზე მიიტანს.

წარსულის გავლენა იმდენად დიდია ორივე მათგანის, მეგისა და რალფის ცხოვრებაზე, რომ ვერ-ცერთი ვერ ახერხებს მისგან თავის დაღნევას, რაზეც მეტყველებს მათი უსასრულო და მტანჯველი დრო-ებითი შეხვედრები.



საგულისხმოა, რომ მთელი რომანი, თავისი მრავალპლანიანი სიუჟეტით წარმოადგენს ეპიგრაფის არსის ტრაგიკულ განხორციელებას. ორი დროის სივრცეში, ანთყოსა და წარსულში, პერსონაჟების არსებობა გარდაუვალი უბედურებისათვის არის განწირული.

### Mildred Kalandarishvili

#### LOVE SUPPRESSED IN THE NAME OF GOD

##### Summary

Colleen McCullough's „The Thorn Birds“ describes the problem concerning the main hero's religious and secular life.

Maggie's image is the author's protest towards restraining the personality by the almighty church. The author explores the understanding of „sin“ and the idea of humanism connected with it, which is limited by Ralph's religious consciousness making him sacrifice due to his feelings for religion.

The power of their past fully spreads over their fortune disabling them to alter their lives that is even more complicated by temporary meetings. Indeed the epigraph to the novel about a bird singing in the thorns prepares us for nothing joyful. Virtually, the whole multilayered plot represents the realization of the epigraph's idea. Maggie and Ralph live in two time spaces, past and present, causing their tragedy and leading to inevitable death.



## სოფიკო კვანტალიანი

### ციფრული ტექნოლოგიები, როგორც ფოტოფურნალისტის ტრანსფორმირების ფაქტორი

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაწყებული ანალოგური მექანიკური და ელექტრონული ტექნოლოგიების ციფრულზე გადასვლის პროცესი, რომელმაც მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში კომპიუტერული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გავრცელებასთან ერთად ინფორმაციული რევოლუციის წინაპირობის ფუნქცია შეასრულა, მედია ლანდშაფტის ფუნდამენტური ტრანსფორმაციის მაპროცესირებელი გახდა. გარდატეხა, პირველ რიგში, მასმედიური კომუნიკაციების ლინეარულობის პრინციპის რღვევით გამოიხატა. მსოფლიო საინფორმაციო გარემოს ძირეულმა ცვლილებებმა შეცვალეს მთელი მედიური ეკოსისტემა. კომუნიკაციის ნახტომისებურად განვითარებამ მოულოდნელი სოციალურ-კულტურული ფენომენები შექმნა, რადიკალურად შეცვალა უკვე არსებული მიმართულებები და მასშტაბები ამ სფეროში. სწრაფი ძვრები თანამედროვე საზოგადოებაში ძლიერ ფსიქოლოგიურ ცვლილებებს იწვევს, რასაც ამერიკელი სოციოლოგი და ფუტუროლოგი ე. ტოფლერი „ფუტურომოქს ანუ მომავლის შოკს“ უწოდებს, რაც გულისხმობს კაცობრიობის განადგურების მიმართ შიშს, რომელსაც საფუძვლად უდევს, არა ბენებრივი კატაკლიზმები, რესურსების ამონტურვა ან ატომური ენერგიის კონტროლიდან გამოსვლა, არამედ ეს არის ინფორმაციულ ტექნოლოგიათა განვითარების უკიდურესი სისწრაფის მიმართ პანიკური დამოკიდებულება (Elvin Toffler, Future Shock, 1970:18).

იმ ძირითად პროცესებს შორის, რომელიც თანამედროვე მედიის მოდიფიკაციას უდევს საფუძვლად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია დიგიტალიზაცია (**digitalisation**) – მასმედიის ყველა ტიპის – ტექსტურის, გრაფიკულის, ხმოვანის ციფრულ ფორმატზე გადასვლა, აღნიშნული მასალის უსწრაფესი „ტრანსპორტირება“, ელექტრონული კომუნიკაციის ნებისმიერ არხში. ამ შემთხვევებში ინტერნეტი განსაკუთრებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ველად იქცა, სადაც მედიაპროდუქტებს, თავიანთი ციფრული ფორმატის მეშვეობით, ნებისმიერი საზღვრის დაძლევა შეუძლიათ. სწორედ დიგიტალიზაცია არის ფენომენი, რომელიც შლის ზღვარს მედიის სახეობებს შორის, აერთმნიშვნელიანებს მათ და მიჰყავს კონვერგენციისკენ (convergenc), რაც უკვე მედიასაშუალებების სხვადასხვა არხის ერთიან მულტიმედიურ დინებად გარდაქმნის საბოლოო ფაზა. კონვერგენცია თანამედროვე მედიის ტრანსფორმაციის მეორე მნიშვნელოვანი პროცესია, რომელიც სხვადასხვა ტექნოლოგიურ მატარებლებს – საკაბელო ან სატელეფონო ქსელებს, უკაბელო თანამგზავრულ კავშირებს საშუალებას აძლევს ინფორმაცია მიაწოდოს მომხმარებელს. მეორეს მხრივ, კონვერგენცია, ეს არის ადრე დამოუკიდებელი მედიის სხვადასხვა საშუალებათა შერწყმა, სადაც შესაძლებელია რადიოსა და ტელევიზიის გაერთიანება ინტერნეტში, ვიდეოფილმებისა კომპაქტ-დისკებზე და ა.შ. შედეგად მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს მიიღოს ერთნაირი საინფორმაციო პროდუქტი სხვადასხვა არხის მეშვეობით. ეს შერწყმა კი განაპირობებს ახალი ინტეგრირებული უანრების წარმოშობას (მაგალითად როგორიცაა სატელევიზიო ეპოქის ახალი პროდუქტი ინფორმინენტი (information + entertainment), ასევე ინტერნეტმა შექმნა ედიუტეინენტი (education + entertainment), თანამედროვე ინდივიდუალიზებულმა საინფორმაციო არხებმა შექმნეს ინფორმირიალი (information + editorial). კონვერგენცია პროფესიონალურ უურნალისტიკაშიც რამდენიმე ფორმაში ვლინდება, რაც იმას ნიშნავს, რომ უურნალისტმა თავისი მასალა შეუძლია შესთავაზოს როგორც გაზიერს, ელექტრონულ გამოცემას ან ტელევიზიას. მეორე მხრივ კი, მოთხოვნებიც იცვლება უურნალისტის მიმართ. თანამედროვე პროფესიონალ უურნალისტება მოეთხოვება მულტიმედიური სიახლეების ცოდნა, მედიის ნებისმიერი საშუალებისთვის მასალის მომზადება. ასევე, კონვერგენციის შედეგია ცნებათა შერევაც. მაგალითად, დღეს უკვე ცნებებს „ფოტოდოკუმენტაციისტიკას“, „ფოტოფურნალისტიკასა“, და „პრეს-ფოტოგრაფიას“, შორის საზღვრები წაშლილია და მუდმივად ხდება მათი ერთმანეთში გადადინება. ანუ, კონვერგენცია ის პროცესია, რომელსაც უახლოეს ათწლეულში შეუძლია სრულად შეცვალოს არა მხოლოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, არამედ მასთან დაკავშირებული ინდუსტრიიც კი. ეს არის გლობალიზაციის ლიაბის მანიფესტაცია, რაც ნიშნავს იმას, რომ თუ ადრე მასმედიის ფუნქციონირების მასშტაბი განსაზღვრული იყო, დღეს ეს ნაციონალური საზღვრები წაშლილია, რასაც მეტყველებს კიდეც 1960-იან წლებში მ. მაკლუენის „გლობალური სოფლის“, მეტაფორაც.

ანალოგურიდან ციფრულზე გადასვლის პროცესს ახლავს დადებითი და უარყოფითი ფაქტორებიც, რომელთა სილრმული კვლევებითაც დაკავებული არიან მედიაფილოსოფოსები. საკითხის რაციონალიზება საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ რეალური შედეგები და რისკები, რაც აღნიშნული პროცესის შედეგია. ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს უურნალისტიკის ერთ-ერთი დარგი – ფოტოფურნალისტიკა, სადაც აღნიშნულმა ტექნოლოგიურმა ძვრებმა მისი მნიშვნელოვნად შეცვლა განაპირობა. სწორედ ეს დარგი გახდა ერთ-ერთი, რომელიც ციფრული ტექნოლოგიების და მასკომუნიკაციური საშუალებების ტრანსფორმაციისას დეფორმირდა და თანამედროვე მედია ლანდშაფტზე სრულიად ახალი სახე მიიღო. ასევე, გამოიკვეთა მისი კრიზისული ნიშნებიც.

გლობალურ ქსელზე ნაწილობრივი ან სრული გადასვლის გამო მედია დღეს სულ უფრო და უფრო კარგავს თავის ტრადიციულ იერსახეს, რაც არ შეიძლება არ აისახოს ფოტოფურნალისტიკის ნამუშევარზეც. ეს მოვლენა დაახლოვებით შეგვიძლია შევადაროთ XIX საუკუნის მეორე ნახევარში და XX საუკუნის



დასაწყისში კლასიკური ფერწერის ავანგარდზე გადასვლის ფენომენს. ციფრული ტექნოლოგიების დანერვამ გაზეთებისა და უურნალების წარმოებაში ახალოგური ფოტოგრაფიის ეპოქა დაასარულა. ინტერნეტის გაჩენამ კი გაზეთებისა და უურნალების კომუნიკაციური პროცესებიდან თანდათანბითი გამოდევნის საფრთხე შექმნა. მართალია, საბოლოოდ ისინი მაინც ვერ გააძვია, თუმცა მედიაბაზარზე მნიშვნელოვნად შეავინოროვა. ბეჭდური გამოცემები ბევრი სხვადასხვა ნიშნით ჩამორჩებიან მრავალრიცხოვან ელექტრონულ უურნალებსა და გაზეთებს, მაგრამ ისინი მაინც რჩებიან ბაზარზე და მათი დარჩენის ერთერთი ძირითადი ფაქტორი კი სწორედ ანალიტიკური მასალა, ასევე ანალიტიკური ფოტოპუბლიკიები და ფოტოილუსტრაციები, რომელსაც მკითხველი მუდამ ეყოლება (გასათვალსწინებელია ისიც, რომ ბეჭდურ გამოცემაში ილუსტრაციის აღქმის ტრადიციული მეთოდი ფსიქოლოგიურად აქტიურ ბევრ სხვა ლირსებას შეიცავს, ხოლო ელექტრონული გამოცემა არ შეიცავს), რადგან ფოტოურნალისტიკის მიმზიდველობა მდგომარეობს იმაში, რომ მიღწეულია გამოსახულებისა და სიტყვის პროპრციული სინთეზი, რაც ადამიანის ფსიქიკაზე სრულყოფილ აქტმას განაპირობებს. ასევე მისი უნიკალური პრიორიტეტებია: სიმართლე, ობიექტურობა და დოკუმენტურობა.

ფოტოურნალისტიკის კრიზისის ნიშნები გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან გაჩნდა. პირველი ფაქტორი იყო ტელევიზია, რომელიც რეკლამის ხარჯზე მოპოვებული დიდი ბიუჯეტის წყალობით მიზანმიმართულად ვითარდებოდა და პირველ რიგში, ცვლიდა ახალი ამბების მინოდების ფორმებს, რამაც ბეჭდური გამოცემების, ფერადი ილუსტრირებული უურნალების ტირაჟების ვარდნა გამოიწვია. ისინი, პირველ რიგში, ოპერატიულობის თვალსაზრისით, კონკურენციას ვერ უწევდნენ ტელევიზიას. შემდგომმა ფაქტორმა \_ მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა კი საგრძნობლად დააზიანა მსოფლიო ფოტოურნალისტური სააგენტოების უმრავლესობა, რასაც მოჰყვა საავტორო უფლებების ნაწილობრივი დაკარგვა, ფოტოგრაფებზე ხელფასების შემცირება და ა.შ. სამმა ძლიერმა მსოფლიო საინფორმაციო სააგენტომ Associated Press-მა, Agence France Press-მა და Reuters-მა ამ პერიოდში რადიკალურად შეცვალა მედიაბაზარზე ადგილის შესანარჩუნებლად შემუშავებული სტრატეგია და მათ ფიქსირებულ ხელფასზე დაიქირავეს მაღალი კლასის პროფესიონალი ფოტოგრაფები. შესაბამისად, ახალი ამბების ფოტოპროდუქციაზე ხარისხიც მკვეთრად გაიზარდა. ეს ერთი მხრივ სასარგებლო მოვლენა, სხვა მხრივ დამღუპველი აღმოჩნდა წვრილი და ნაკლებადცნობილი ფოტოსააგენტოებისთვის, რომელთაც არ ჰქონდათ საშუალება ასეთი დემპინგური პირობები შეეთავაზებინათ ფოტოგრაფებისთვის. შედეგი კი კატასტროფული იყო, რადგან ისინი საერთოდ გაქრნენ ბაზრიდან და რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო – ფოტოურნალისტიკაში გაქრა საშუალო დონე, იყვნენ მხოლოდ მცირე რაოდენობის პროფესიონალი ფოტოურნალისტები, რომლებიც მუშაობდნენ ე.ნ. მაღალი კლასის უურნალებში და მეორე მხრივ, ე.ნ. ფრილანსერები, რომლებიც სინათლის სიჩქარით ავსებდნენ ელექტრონულ მედიაბანკებს დაბალხარისხისან ფოტოპროდუქციით. ამ დროსვე მედია ბაზარზე გამოჩნდა ე.ნ. Royalty-free ფოტოები, რომელთა გამოყენებაც უფასო იყო. ამ ფაქტორებმა კიდევ უფრო გააღმავეს კრიზისი, რადგან უურნალ-გაზეთებმა დაინტეს სამოყვარულო ფოტოების მასობრივი გამოყენება, ინტერნეტი კი გაჯერებული აღმოჩნდა ამგვარი ვიზუალური ინფორმციით. XXI საუკუნის დასაწყისში, საქართველოშიც ნორმად იქცა ფოტოგრაფების საავტორო უფლებების დარღვევა და ბეჭდურ მედიაში გამოსაქვეყნებული ფოტოების ინტერნეტიდან „მოპარვა“. საქართველოში ფოტოურნალისტიკა (მიუხედავად საინტერესო ფოტოურნალისტური წარსულისა) ისედაც ნაკლებად გაანალიზებული და გაცნობიერებული ფენომენი იყო, (რისი ერთ-ერთი ნათელი დადასტურება იყო (და არის) ის, რომ მას სუსტად განვითარებული დეფინიტიური აპარატი აქვს). ამ კრიზისულ ფონზე არა მხოლოდ საქართველოში, არამედ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და ნაწილობრივ ევროპაშიც, თავის გადარჩინის მიზნით, ბევრ პროფესიონალ რეპორტაჟის ფოტოგრაფს კომერციულ ფოტოზე გადასვლა მოუნია. ზემოთაღნიშნულ ფაქტორებს სხვა მთავარი ფაქტორიც დაერთო, რომლებმაც არსებულ ტენდენციას ტოტალური ელფერი შესძინეს. პირველ რიგში, ეს იყო ფოტოგრაფიორების ყველასთვის ხელმისაწვდომის ფაქტორი, რადგან ციფრულმა რევოლუციამ ფოტოგრაფია ყველასთვის ხელმისაწვდომი გადახადა, ინტერნეტმა კი მილიონებთან ურთიერთობის შესაძლებლობა მისცა. დღეს უკვე არავინ დავობს იმაზე, რომ თაბამედროვე ციფრულმა ტექნოლოგიებმა საფუძვლიანად შეცვალეს ფოტოგრაფიების პროცესი, შესაძლებლობის საზღვრები, მაგრამ ამის პარალელურად სახეზეა ნეგატიური ტენდენციებიც, რაც უპირველესაც ფოტოურნალისტის პროფესიონალიზმის დონის ვარდნამ გამოიწვია. ასე რომ, სახეზეა მიზეზები, რომლებმაც უურნალისტიკის ეს მნიშვნელოვანი დარგი საგრძნობლად დააზიანა, უფრო მეტიც, ფოტოურნალისტიკა დღეს მსოფლიო კრიზისში, რომლის პირველი ფაქტორი, არის ის, რომ ფოტოგრაფია ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა. დღეს ფოტოგრაფიული ფოტოებისთვის ექსპონომეტრის ცოდნა არ არის აუცილებელი. ოპერატიულობის ხარისხის გაზრდა, მისი მყისიერი ტრანსპორტირება და რეალიზება ხშირ შემთხვევაში პირდაპირპროცესულად გულისხმობს ხარისხის ვარდნას. წევატიურ ფაქტორებს შორის აღსანიშნავია ფოტოურნალისტიკაში ფოტოგრაფების პროფესიონალიზმის საშუალო დონის ვარდნაც; დაბალხარისხისანი ფოტოილუსტრაციების მასობრივი ტირაჟირება მედიაში; გლობალურ ქსელში განთავსებულ ხარისხის და უხარისხო პროდუქციათა აღრევა; ტექნიკურად და მხატვრული თვალსაზრისით დაბალი ლირებულების მეთოდების პოპულარობა; ასევე, ინტერნეტიდან ფოტოების უკანონ გამოყენების საკითხთან დაკავშირებით, განსაკუთრებულად მძაფრია მორალურ-სამართლებრივი საკითხები: საავტორო უფლებების დარღვევა, ფოტოების არაკორექტული კონტენტების გამოყენება.

ცალკე საუბრის თემა ფოტოკადრის მიმართ ხდობის ფაქტორის დაკვეთებაც. ციფრული ფოტო კარგავს თავის ძირითად ფუნქციას – დოკუმენტის სტატუსს, რადგან ფოტოს კომპიუტერული დამუშავე-



ბის ტექნოლოგიებს ძალუდთ შეცვალონ არა მხოლოდ ტექნიკური მახასიათებლები, არამედ შეცვალონ ფოტოზე მოცემული რეალობაც. გაციფრულების შედეგად მიღებულ უკიდეგან შესაძლებლობების და კომფორტულობის (ციფრული ფოტონიფორმაცია ძალიან მოსახერხებელია სისტემატიზაციისა და ასევე სწრაფი აქტუალიზაციისთვის) გვერდით კი ჩნდება გამოსახულების შენახვის ასპექტი, როგორც პრობლემა. სწორედ ეს ასპექტი შეიცავს საფრთხის ფარულ ლაკუნებს და სპეციალისტებისგან განსაკუთრებულ გულისყრს მოითხოვს, რადგან არსებობს დიდი მოცულობის ინფორმაციის დაკარგვის რეალური საშიშროება. (იაფფასიან CD და DVD მატრიცებზე ჩანერილი ინფორმაციის შენახვის ვადა 2-3 წელია, მხოლოდ ძვირადღირებული CD და DVD მატრიცები ინახავენ ინფორმაციას ხანგრძლივი დროით, თუმცა შენახვის ვადა ამ შემთხვევაშიც სასრულია. პრაქტიკაში მიღებულია ინფორმაციის მატარებელი მყარი დისკი (HDD), თუმცა გაფუჭების შემთხვევაში არის საფრთხე არქივის სრული განადგურებისა).

დაბოლოს, დიგიტალური ტექნოლოგიების უხილავი, მაგრამ ყველაზე მტკიცნეული – შემოქმედების ფისკოლოგიური ასაქტი. ის, რომ ციფრულმა, მაქსიმალურად მოქნილმა შესაძლებლობებმა გააქრო ფოტოფურნალისტის შემოქმედების მთავარი ფენომენი – ე.წ. „გადამწყვეტი მომენტი“, რადგან ფოტოგრაფს წუთში ათობით სხვადასხვა კადრის გადაღება შეუძლია და ის მთავარი შემოქმედებითი კონცეპტი უგულვებელყოფილია, რაზეც ფუნდამენტურად მსჯელობს ცნობილი ფრანგი ფოტოფურნალისტი, XX საუკუნის რეალისტური ფოტოს დიდოსტატი ანრი კარტიე-ბრესონი წიგნში „გადამწყვეტი მომენტი“ (Henri Cartier-Bresson, The decisive moment, 1952).

ნებისმიერი გამოცემა განსაზღვრავს მკითხველი აუდიტორიის ორიენტირებს, რომელთა შორისაც უნდა დასახელდეს ესთეტიკური ორიენტირი. ამ შემთხვევაში, ფოტოილუსტრაციის ხარისხის ვარდნა ინვესტიციების მკითხველი საზოგადოების გემოვნების დეგრადაციას, რაც გლობალური კულტურული ფენომენის (რასაც პერმანენტულად ენაცვლება მასობრივი პოპ კულტურული ფენომენი), გამრუდების წინაპირობაა.

დღეს ფოტოფურნალისტიკაში ისევე როგორც დასავლეთში, საქართველოშიც შეიმჩნევა სუსტი, მაგრამ მანც გამოხატული დინება სიყვითლისა და სენსაციისკენ, რითიც ის ცდილობს შეინარჩუნოს პოზიციები მედიაბაზარზე. ამიტომაც ფოტოფურნალისტები პრიორიტეტს ანიჭებენ ომის, კონფლიქტების, კატასტროფების ამსახველ რეპორტაჟებს. ნათელია, რომ პროფესიონალურ ფოტოფურნალისტიკასა და ფოტოილუსტრიორებას შემოიტევს უფიდესი განსხვავებაა, ფოტოფურნალისტიკა გაცილებით რთული და სილრმული მოვლენაა, ხოლო ილუსტრირება შედარებით ზედაპირული უანრია, ხოლო ჩვენთნ უკვე ფაქტორივად ყველა ბეჭდური გამოცემა თითქმის სწორედ ამ უკანასკნელს იყენებს. ამ მხრივ, ფოტოფურნალისტიკის არანაირი დასავლური კრიტერიუმი არ მუშაობს – პროფესიონალური ფოტოფურნალისტიკა რედაქციებს არ სჭირდებათ, ისინი მხოლოდ ილუსტრირებით კმაყოფილდებან. საქართველოში არსებულ ძირითად საზოგადოებრივი-პოლიტიკური ტიპის რამდენემ გამოცემას თუ თვალს გადავავლებთ, ზედაპირული ანალიზითაც ადვილად დავასკვნით, რომ ფოტორეპორტაჟი, როგორც უანრი ქრება და მის ადგილს ფოტოილუსტრაცია იკავებს. რედუცირებას განიცდის ფოტოსერია, ფოტოოპუსიც, სადაც კლასიკური ფოტოფურნალისტიკისთვის დამახასიათებელი უნიკალური თვისება – ნარაცია წამყვანი.

დრო ცვლის ტექნოლოგიებს, მათ შემოიტევს მედია ქონიერნის შემოქნის ტექნოლოგიებსაც. ცვლილებებთან ერთად მედიას სფეროში იცვლება ფოტოგამოსახულების ამოცანებიც. თუ ადრე გაზიერში ან უურნალში განთავსებული ფოტო ვიზუალური ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი ძირითადი წყარო იყო, დღეს იგი უფრო გასაფორმებელ ელემენტად იქცა, რადგან პრიორიტეტი, მომენტალური პუბლიკიების გამო, ინტერნეტს გადაეცა. თანამედროვე ტელევიზიამ და ინტერნეტმა ფაქტორივად გაანადგურეს კლასიკური ფოტოფურნალისტიკა. (Getty Images მიხედვით, ყოველ დღე მომხმარებელი 300 მილიონ ფოტოს ტვირთავს facebook-ზე, ხოლო Instagram-ზე უკვე დაახლოვებით 16 მილიარდი ფოტოა ატვირთული). თანამედროვე მედიამასალის სიჩქარის ხარისხმა ფოტოფურნალისტის მუშაობის დროითი ფაქტორის საკითხიც გამოკვეთა. შეუძლებელია ფოტოფურნალისტური მასალა სრულყოფილად მომზადდეს რამდენიმე საათში, მაშინ როცა ზოგჯერ ერთი თვეც კი სჭირდება ფოტორეპორტაჟის გაკეთებას. ასე რომ, თანამედროვე გამოცემებში ფოტოს ვიზუალურ-სემანტიკური შეიგთავსი კომპლექსურ სამეცნიერო-თეორიულ გააზრებას მოითხოვს. უნდა მოხდეს ხელახალი გადააზრება ფოტოფურნალისტიკის ფუნქციისა და არსის. ფოტოფურნალისტური პროდუქტი უნდა განვიხილოთ ფილოსოფიის, ფილოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის, სემიოტიკის, პერმენევტიკის ჭრილში, რათა მოხდეს თანამედროვე ფოტოფურნალისტიკის ახალი სტატეგიისა და ტენდენციის ჩამოყალიბება, რაც თვალნათლივ აისახება თანამედროვე უურნალისტიკის არსზე.

რედაქციებში საგრძნობლად შეიზღუდა ფოტოფურნალისტის შემოქმედებითი უფლებებიც. ხშირ შემთხვევაში ფოტოფურნალისტს „უფლება არა აქვა“, საბოლოო სახით თავისი ფოტო მოახვედროს პუბლიკიების. ფოტოები, რომელებსაც გაზიერებსა და უურნალებში ვხედავთ შედეგია ბილდრედაქტორის, რედაქტორის, მედიას მფლობელის, ყველაზე ბოლოს კი თავად ფოტოფურნალისტის სურვილისა. შესაძლოა ესეც იყოს მაპროვოცირებელი, რომ დღეს ბევრი ფოტოფურნალისტი აქტიურად მიმართავს ინტერნეტს, რათა შექმნას საკუთარი მედიასივრცე, ბლოგი, პორტალი, სადაც ქონიერნითი მხოლოდ მასზე იქნება დამოკიდებული. ამგვარი ლოკალიზაციით კი ფოტოფურნალისტიკა, როგორც უურნალისტიკის მთავარი და აუცილებელი კომპონენტი შეინარჩუნებს განვითარებისთვის საიცოცხლო იმპულსებს, მოხდება იმ „სწორი გზის“, რეგენერაცია, რომელსაც ცნობილი ამერიკელი კინორეჟისორი და ფოტოგრაფ-დოკუმენტალისტი პოლ სტრენდი „სწორი ფოტოგრაფიის, (Straight photography), კონცენფიციაში გულისხმობს.



სწორედ „ახალი ობიექტურობა“, და ნამდვილი ფოტოგრაფია შეინარჩუნებს იმ უნიკალურ კოდს, რითიც იგი მიემაგრება თანამედროვე „ხარისხიან“, პრესას და იქნება რეალური სამყაროს ყველაზე ეფექტური ვიზუალურ-სემანტიკური საშუალება, რომლის გარეშეც თანამედროვე უურნალისტიკა წარმოუდგენელია.

### გამოყენებბული ლიტერატურა:

1. Elvin Toffler, Future Shock. 1971
2. Антология Медиафилософии, Санкт-Петербург, 2013

### სოფიკო კვანტალიანი

ციფრული ტექნოლოგიები, როგორც ფოტოჟურნალისტიკის  
ტრანსფორმირების ფაქტორი

#### რეზიუმე

სტატიაში განხილულია დიგიტალიზაციის პროცესის ფონზე განვითარებული ცვლილებები მედიაში, ზოგადად და კონკრეტულად კი ფოტოჟურნალისტიკაში; ციფრული ტექნოლოგიების შესაძლებლობების ფონზე განვითარებულმა ფაქტორებმა ფოტოჟურნალისტიკა, როგორც უურნალისტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი, მედია ბაზარზე საგრძნობლად მეავინროვა. მიუხედავად კრიზისული ნიშნებისა, ფოტოჟურნალისტიკა ცდილობს იპოვოს საკუთარი ადგილი უკვე ციფრულ სამყაროში. ფოტოჟურნალისტი ქმნიან საკუთარ ბლოგებს, პორტალებს, სადაც ქონთენტი ბაზრის კანონებისგან თავისუფალია და საფრთხე არ ემუქრება.

**Sopho Kvantaliani**

#### DUGITAL TECHNOLOGIES AS A TRANSFORMING FACTOR OF PHOTOJOURNALISM

#### Summary

In this article there is a discussion about the changes developed on the background of the digitalization process in the media generally and in the photojournalism concretely. The developed factors on the background of the potencies of the digital technologies made the photojournalism, as an important part of the journalism, quite weak in the media market. In spite of the signs of the crisis, the photojournalism is trying to find its space now in the digital world. Photojournalists are creating their own blogs, portals, where the content is free from the market rules and is not endangered.



## ლაურა კუტურიძე-ზუგაშვილი ვაჟა ზუგაშვილი

### რეკლამის გავლენა ცხოვრების სტილსა და ღირებულებებზე

რეკლამის როლი მომხმარებლამდე პროდუქტის - კომერციულის თუ პოლიტიკურის, მისაღწევი უმოკლესი გზის გაჭრაში საყოველთაოდ ცნობილია; მაგრამ, ამასთან იგი მძლავრი სოციალური ინსტრუმენტია, რომელიც, ერთი მხრივ, ასახავს იმ საზოგადოების, სოციუმის წეს-ჩვეულებებსა და გემოვნებას, რომელშიც ფუნქციონირებს; მეორე მხრივ, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების ეს მძლავრი შენაკადი ხელს უწყობს ცხოვრების წესის ფორმირებას, აქტიურად ცვლის ღირებულებებსა და ცხოვრების სტილს.

„ბოლო სამი თაობის ცხოვრებაში მნიშვნელოვნად შესუსტდა ოჯახის ინსტიტუტის, რელიგიისა და განათლების როლი. მსოფლიო კი უფრო რთული გახდა. ტრადიციული ავტორიტეტების არარსებობის პირობებში რეკლამა გარკვეული სოციალური მეგზური გახდა. რეკლამა უამრავ ისეთ სიტუაციაში წარმოგვადგენს, რომელშიც შესაძლებელია საკუთარი წებით აღმოვჩნდეთ. იგი გვანვდის იდეებს სტილის, მორალისა და ქცევის შესახებ„, [1:741] რეკლამის სოციალური და კულტურული შედეგების ეს შეფასება „რეკლამისა და პრომოციის, შესახებ შექმნილ უახლეს ამერიკულ წიგნში გვხვდება; თუმცა აქვეა მოხმობილი რეკლამის კრიტიკოსთა მოსაზრებაც, რომ რეკლამა მატერიალიზმს წაახალისებს, ეს კი მომხმარებლის ფასეულობებზე უარყოფით გავლენას ახდენს. რეკლამის ისტორია და თანამედროვე პრაქტიკა მართლაც იძლევა დიამეტრალურად განსხვავებული მოსაზრებებისა და დასკვნების გაკეთების საშუალებას, მაგრამ ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ რეკლამის, როგორც „სოციალური მეგზურის, როლზე.“

ახლა ძნელი წარმოსადგენია, რომ მე-20 საუკუნის დამდეგს ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთჯერადი ჭიქების, ქალალდის პირსახოცებისა და ტუალეტის ქალალდის რეკლამირება არა მხოლოდ მარკეტინგული აქტივობა, არამედ სასიცოცხლოდ აუცილებელი ნაბიჯი იყო დემოგრაფიული ბუმის, ანტისანიტარიისა და ეპიდემიების გავრცელების პირობებში; რეკლამამ მაშინ ფასდაუდებელი სამსახური გაუნია ფედერალურ მთავრობასა და სამედიცინო დაწესებულებებს მდგომარეობის გამოსწორებისთვის. გადაუჭარბებულად შეიძლება ითქას, რომ რეკლამამ ერთგვარად აღმზრდებობითი ფუნქციაც შეასრულა ჰიგიენისა და ცვის ჩვევების გამომუშავებისა და ინფექციური დაავადებების გავრცელების საფრთხის შემცირებისათვის. საუკუნის წინათ ისეთი პირველადი აუცილებლობის საგანი, როგორიც ტუალეტის ქალალდია, ძნელად მკვიდრდებოდა ამერიკის მოსახლეობის შემცნებაში და ძნელადაც იყიდებოდა, ადამიანებს, უბრალოდ, რცხვენდათ მაღაზიაში ტუალეტის ქალალდი მოეკითხათ. მაშინ „აბაზანის ქალალდის“, მწარმოებელმა „Clarens Scott“, მა შეუცვალა ქალალდ შეფუთვა, დაარქვა „სკოტის ქალალდი“, და რეკლამის მეშვეობით მოუნდა მომხმარებელს - „ნუ იკითხავთ ტუალეტის ქალალდს, უბრალოდ, მოითხოვეთ სკოტის ქალალდი..“. სკოტის მახვილგონივრული რეკლამების წყალობით ამერიკელი მომხმარებელი მიეჩინა არა მხოლოდ ტუალეტის ქალალდის, არამედ ერთჯერადი ჭიქებისა და პირსახოცების გამოყენებას.

აქ აუცილებლად უნდა ვახსენოთ მერკლამე ალბერ ლასკერი, რომელმაც შემოიკრიბა ახალგაზრდა ჟურნალისტები და შექმნა ძლიერი შემოქმედებითი ჯგუფი. მან არა მხოლოდ თვისებრივად სხვა დონეზე აიყვანა მე-20 საუკუნის ამერიკის ინფორმაციული ხასიათის რეკლამა, არამედ ეფექტური სარეკლამო კამპანიებით „ამერიკელების ცხოვრების ყაიდაც კი შეცვალა..“, [4:50] მაგალითად: რადიო-შოუ „პეპსოდენტი“, რვა წლის განმავლობაში ყოველდღე გადიოდა ეთერში. სარეკლამო კამპანიის ძირითადი სლოგანი იყო „მოიხმარე „პეპსოდენტი“, დღეში ორჯერ და მიაკითხე კბილის ექიმს წელინადში ორჯერ..“. კამპანიამ არნახული შედეგი გამოიღო და ბევრი ამერიკელისთვის მართლაც ცხოვრების წესად იქცა პრევენციული ვიზიტები სტომატოლოგთან.

პირველი მსოფლიო ომის დროს გამოგონებული ბამბის შემცვლელი ცელუკოტონისგან დამზადებული ქალის საფენი „კოტექსი“, ჰიგიენის დაცვის არაჩვეულებრივისამუალება იყო, მაგრამ მისი მოხმარების ჩვევის დანერგვაერთი შეხედვით მარტივმა, მაგრამ გონივრულად მოფიქრებულმა სარეკლამო სვლამ განაპირობა; რადგან ქალებს ერიდებოდათ აფთიაქში ამ საფენების მოკითხვა, ლასკერმა დაამუშავა „კოტექსის“, ქათქათა თეთრი შეფუთვა, ყოველგვარი წარწერის გარეშე და განათვასა რეკლამა გაზეთებში, როგორ შეეძინათ ეს საფენები. აფთიაქში საღარის გვერდით მოთავსებული იყო ორი კალათა: ერთში ეწყო „კოტექსი“, ხოლო მეორეში ყუთი, სადაც მყიდველი აგდებდა საფენების საფასურს, 50 ცენტს, ისე რომ არც ახსნებდა პროდუქციის დასახელებას. შედეგად, „კოტექსის“, გაყიდვებმა არნახულ მაჩვენებელს მიაღწია. ამავე ფირმის და ლასკერის სახელს უკავშირდება ერთჯერადი ცხვირსახოცების შექმნა და მისი გამოყენების ჩვევის დანერგვა ასევე რეკლამის ეფექტური გამოყენებით.

მეოცე საუკუნის ათასი წლებიდან ერთმანეთის მიყოლებით ჩნდება ელექტრონული ხელსაწყოები - უთო, მტვერსასრუტი, სარეცხი მანქანა, ტოსტერები, ყავის საფქვავი, თმის საშრობი ფენები... პირველ ეტაპზე მოსახლეობა შეიძიო და უნდობლობით ეკიდებოდა ამ სიახლეებს და რეკლამას ამ მიმართულებითაც მოუხდა აღმზრდებობითი როლის შესრულება. „ჯენერალ ელექტრიკის“, რეკლამები არწმუნებდა მომხმარებელს, რომ სადენებით უსაფრთხო დენი მოდის; რომ ელექტროლობა ათავისუფლებს ამერიკელებს ტყვეობიდან.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდის ეკონომიკური კრიზისის პირობებში სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს მოუხდათ რეკლამის შესაძლებლობებისთვის მიემართათ, რომ მოსახლეობას სასურსათო და ენერ-



გეტიკული რესურსების მომჭირნეობის ჩვევა გამომუშავებოდა. ერთ-ერთი სარეკლამო პლაკატი, მაგალითად, მოუწოდებდა მიერთვათ თევზი, რადგან იგი თავისით იკვებება და, შესაბამისად, მისი გამოზრდისთვის ფული არ იხარჯება.

საერთოდ, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში რეკლამამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულამოქალაქე-თა შეგნების ამაღლებაში, ცხოვრების წესის შეცვლაში საომარი ვითარების შესაბამისად. მაგალითად, ინგლისში რეკლამა საინფორმაციო უსაფრთხოებისთვისაც გამოიყენეს. 1940 წელს დიზაინერმა ს. ბერდმა (ფსევდონიმით „ფუგასი“) იუმორისტული ხასიათის პლაკატების სერია შექმნა, საერთო სლოგანით - „არ იყედო, თუ სიცოცხლე შენთვის ძვირფასია!“. სხვადასხვა სიუჟეტი ასახავდა ორი ადამიანის საუბარს „ჩვენს შორის“, (მატარებელში, მაღაზიაში, ბარში...), რომელსაც საიდუმლოდ უსმენდა ფიგურა - ან გერმანელის სამხედრო ფორმიანი, ან ჰიტლერის ვარცხნილობითა და ულვაშით; ქვემოთ წარწერა კი აფრთხილებდა მოქალაქებს - „თქვენ ვერასდროს გაიგებთ, ვინ გისმენთ..“. დაახლოებით ამ ტიპის პლაკატი ინგლისში „ცივი ომის“ პერიოდშიც გამოჩნდა, სლოგანით - „საიდუმლოდ შეინახე ჩვენი საიდუმლო!..“ [5:27-28]

ომშა შეცვალა მოდაც. ქსოვილის ეკონომიკის გამო მამაკაცის გრძელი და ორბორტიანი პიჯაკები შეიცვალა უფრო მოკლე და ერთბორტიანი პიჯაკით; ქალის გაშლილი და ფართონაკეცებიანი კაბების ნაცვლად მოდაში შემოვიდა შემოტკეცილი, მოკლე კაბა.

შე-20 საუკუნის 60-იან წლებშიმერკელამეებისთვის საგანგებო ინტერესის ობიექტი გახდაფერად-კანიან მოსახლეობა. თუ აქამდე ფერადკანიანები მხოლოდ მოსამსახურებად და მზარეულებად ფიგურირებდნენ რეკლამებში, ახლა საგანგებოდ დაიწყო მათვის გამიზნული სარეკლამო მიმართვების შემუშავება და რეკლამების შექმნა მათი ინტერესების დასაქმაყოფილებლად. 1956 წელს შავკანიანმაჯორჯ სალივანმაგასნა, „შავი სააგენტო“, აფრომერიკელი ფერადკანიანი მომხმარებლებისთვის. თანამედროვე ლიბერალური სტანდარტებით ეს დისკრიმინაციად ჩაითვლებოდა, მაშინ კი პროგრესული ნაბიჯი იყო სარეკლამო ინდუსტრიის მიერ ფერადკანიანი მომხმარებლის სრული იგნორირების ფონზე.

თუ 50-60 წლის წინათ რეკლამა (განსაკუთრებით ამერიკული) ორიენტირებული იყო უპირატესად თეთრკანიან მოსახლეობაზე, საშუალო ფენაზე და კადრს მიღმა ტოვებდა განსხვავებული რასისა თუ სოციალური ფენების წარმომადგენლებს, მომდევნო ეტაპებზე რეკლამა არა მხოლოდ იცვლებოდა საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ, არამედ მნიშვნელოვანი წვლილი შექმნდა საზოგადოებაში არსებული მრავალფეროვნებისა და განსხვავებულობის მიმართ ტოლერანტული განწყობების ჩამოყალიბებაში.

1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იანი წლების დასახუისში აშშ-ში რამდენიმე კვლევა ჩატარდა რეკლამაში უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენლების წარმოჩენის შესასწავლად. 1987 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ რეკლამაში მონაწილეთა მხოლოდ 11% იყო აფრიკელი ამერიკელი, ორი წლის შემდეგ ჩატარებული კვლევის მიხედვით კი ეს ციფრი 26%-მდე გაიზარდა. 2003 წლის კვლევის მიხედვით, აფრიკელი ამერიკელები „ემ-ტი-ვიზ“, გასული რეკლამების 33%-ში მონაწილეობდნენ. [1:745]

ამერიკის შეერთებული შტატებისა და, საერთოდ, დასავლური სამყაროსაგან განსხვავებით, საბჭოთა ეპოქაში უფრო დიდი ყურადღება ეთმობოდა ე.ნ. სოციალურ რეკლამას, <sup>1</sup> ვიდრე კომერციულს, რადგანაც პაზარზე სამომხმარებლო პროდუქტის მუდმივი დეფიციტი იყო, დეფიციტური საქონელი კი რეკლამას აღარ საჭიროებს. საბჭოთა სახელმწიფოში რეკლამაც სახელმწიფო პოლიტიკას გამოხატავდა და კომუნისტურ ფასეულობათა ხოტბისა და პროპაგანდის ფუნქცია ეკისრებოდა, მაგრამ „ახალი ადამიანის“, ჩამოყალიბებისკენ მიმართულ პოლიტიკურ პლაკატებს შორის მრავლად ვზვდებით სოციალურ პლაკატებსაც; მათითებები მრავალფეროვანია და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ნიუანსს ასახავს: ჯან-საღი ცხოვრების წესის დაკვიდრება, უნივერსულობისა და სიზარმაციის დაძლევა, პირადი პიგინის დაცვა, გარემოს სანიტარული მდგომარეობა, პროსტიტუციისათან ბრძოლა...“

თანამედროვედ გამოიყურებაგასული საუკუნის 20-იანი წლების, ნეპი-ს პერიოდისპლაკატები, მიმართული ანტიალკომლური და, საერთოდ, ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდისაკენ („ახალგაზრდობა სტადიონებზე!“; „იყავი ტურისტი!“, „გამოსასვლელ დღეებში-ტურისტული გასეირნება“), ემანსი-პაციოსაკენ („ძირს მონობა სამზარეულოში!“) და ა.შ. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი ანტიალკომლური პლაკატი: დაფაზე წერია „სპირტი“, პიონერი ამ წარწერაში ასო ბგერა „ი-ს ცვლის ასობგერა „ო-თი - „სპორტი..“ ქვემოთ კი ვკითხულობთ: „ასო ბგერა ო-თი (სპირტი) - ძალა!“, „ასო ბგერა ი-თ (სპირტი) - საფლავი!..“ [7]

ამ პერიოდში ვლადიმერ მაიაკოვსკიმ, თავის თანამოაზრებთან ერთად, ახალი სტილი შემოიტანა რეკლამაში; ამ გუნდმა თავისთავის „რეკლამ-კონსტრუქტორები“, შეარქვა დასარეკლამო პლაკატების სერიების მეშვეობით ბრძოლა გამოუცხადა ცხოვრების ბიუროკრატიულ, კანცელარიულ, მოსაწყენ სტილს.

1957 წელს, პრაღაში სოციალისტური რეკლამის ძირითადი ამოცანები დასახეს, რომელთა შორის ერთ-ერთ უპირატესი იყო ადამიანთა გემოვნების ჩამოყალიბება. [2]

<sup>1</sup> ტერმინი სოციალური რეკლამა საბჭოთა და პოსტსაბჭოთა სივრცეში იხმარება, საზოგადოდ კი მიღებულია ტერმინი არაკომერციული ან საზოგადოებრივი რეკლამა (public advertising); აშშ-ში მისი ანალოგია „პი-ეს-ეი“ (PSA - public service announcements).



80-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირში სოციალური კინორეკლამაც ჩნდება, რომელსაც კინოთეატრების გარდა, ტელევიზიონთაც აჩვენებდნენ. დიდი ყურადღება ექცევითა საგზაო მოძრაობის და უსაფრთხოების წესების დაცვას, ენერგორესურსების და წყლის ყაირათიან ხარჯვას. ამ თემაზე გადაღებულ სხვადასხვა სარეკლამო რეკლამი პოპულარული მულტფილმის „აბა, დამაცადე“, -ს გმირები - მგელი და კურდღლელი მონაწილეობები. [8]

გასული საუკუნის 90-იან წლებში, პოსტსაბჭოთა საქართველოში, რეკლამა იყო ხიდი ჩვენი საზოგადოებისთვის უცხო და საოცნებო სამყაროს ცხოვრების წესისაკენ. ერთის მხრივ, სარეკლამო რგოლებში აქტიურად გამოყენებული ჰოლივუდის ვარსკვლავთა კინოგმირები თუ ცათამბრჯები და, მეორეს მხრივ, ელემენტარული ჰიგიენის მანამდე უჩვეულო ატრიბუტების - „ტამბექსებისა“, და „ოლვეისებისა“, თამამი შემოქრა ჯერ სარეკლამო სივრცეში და მერე თანდათანობით ყოველდღიურ ყოფაში, ეფექტურად ცვლიდა ცხოვრების წესსა და მენტალობას.

გადაუჭირდებლად შეიძლება ითქვას, რომ რეკლამას დიდი წვლილის შეტანა შეუძლია საზოგადოების ფასეულობებისა და ცხოვრების სტილის ჩამოყალიბებაში. რეკლამა, გარკვეულწილად, საზოგადოების სახეა. ამას ადასტურებს ამერიკელი ისტორიკოსისა და პუბლიცისტის დენიელ ბურსტინის ((Daniel Joseph Boorstin)) გამონათქვამიც: მაჩვენეთ ამა თუ იმ ქვეყნის რეკლამა და მე ყველაფერს მოგიყვებით ამ ქვეყნის შესახებ.[3]

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბელჩი მ., ბელჩი, ჯ., (2013). რეკლამადაპრომოცია; ინტევრირებულიმარკეტინგულიკომუნიკაციების-ხედვა. თბილისი: დიოგენე
2. ზუბაშვილი, ვ., (2012). რეკლამა საქართველოს ტელევიზიაში: წანამძღვრები და სატელევიზიო რეკლამა მე-20 საუკუნის 80-იან წლებში. „სახელოვნებო მეცნიერებათა ძებანი“, #2 (51). თბილისი [http://www.tafu.edu.ge/webmill/data/file/dziebani/ziebabi\\_2\\_\(51\)\\_2012.pdf](http://www.tafu.edu.ge/webmill/data/file/dziebani/ziebabi_2_(51)_2012.pdf)
3. ზუბაშვილი, ვ., (2007). რეკლამის (არა)მოკრძალებული ხიბლი. „სახე(ლ)ები 2006“ (პუბლიცისტური ენ-ციკლოპედია). თბილისი
4. ფერაძე, ი. (2010). რეკლამის ისტორია. თბილისი
5. Егорова-Гантман, Е., (2001). Политическая реклама, Москва
6. Тангейт, М., (2008). Всемирная история рекламы. Москва
7. <http://cccp2.mirtesen.ru/blog/43020682401/NAZAD-V-SSSR.-Sotsialnaya-reklama-v-Sovetskoy-Soyuzе>
8. <http://altnet.ru/1000072157-socialnaya-reklama-vremen-sssr.html>

### ლაურა კუტუბიძე-ზუბაშვილი ვაჟა ზუბაშვილი

### რეკლამის გავლენა ცხოვრების სტილსა და ღირებულებებზე

#### რეზიუმე

რეკლამის როლი მომხმარებლამდე პროდუქტის, კომერციულის თუ პოლიტიკურის, მისაღწევი უმოკლესი გზის გაჭრაში საყოველთაოდ ცნობილია; მაგრამ, ამასთან იგი მძლავრი სოციალური ინსტრუმენტია, რომელიც, ერთი მხრივ, ასახავს იმ საზოგადოების, სოციუმის წეს-ჩვეულებებსა და გემოვნებას, რომელშიც ფუნქციონირებს; მეორე მხრივ, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების ეს მძლავრი შენაკადი ხელს უწყობს ცხოვრების წესის ფორმირებას, აქტიურად ცვლის ღირებულებებსა და ცხოვრების სტილს.

თუ 40-50 წლის წინათ რეკლამა (განსაკუთრებით ამერიკული) ორიენტირებული იყო უპირატესად თეთრკანიან მოსახლეობაზე, საშუალო ფენაზე და „კადრს მიღმა“, ტოვებდა განსხვავებული რასისა თუ სოციალური ფენების წარმომადგენლებს; მომდევნო ეტაპებზე რეკლამა არა მხოლოდ იცვლებოდა საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ, არამედ მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა და შეაქვს საზოგადოებაში არსებული მრავალფეროვნებისა და განსხვავებულობის მიმართ ტოლერანტული განწყობების ჩამოყალიბებაში.



**Laura Kutubidze – Zubashvili**  
**Vaja Zubashvili**

## **INFLUENCE OF ADVERTISING ON LIFESTYLE AND VALUES**

### **Summary**

The role advertising plays in cutting the shortest route to bring product (commercial or political) to consumers is widely known. But, at the same time, it is a powerful social instrument, which, on the one hand, reflects the customs and taste of the society within which it functions and, on the other hand, this strong tributary of integrated marketing communications conditions the formation of lifestyle and actively changes the values.

If 40-50 years ago advertising (specially in America) was mainly oriented on white population and middle class and left the representatives of different race and social classes behind, on following stages advertising was not only changing following the development of society, but significantly contributed to forming tolerant attitudes towards diversity and differences existing in society.



## მაყვალა (გაია) კოდუაშვილი.

### ესპატრიატები: ახარიკული მოდერნიზმის ეკონომიკული სკოლა

ამერიკული, ისევე როგორც ევროპული მოდერნიზმის ისტორია კომპლექსური ფენომენია, უალრე-სად მდიდარი და ნაირგვაროვანი მხატვრული ფორმებითა თუ ესთეტიკური მანიფესტებითა და თეორიული პოსტულატებით: ამერიკული მოდერნიზმის კულტურულმა მემკვიდრეობამ, თავად ტერმინ „მოდერნიზმის“ მსგავსად, უამრავი ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულება და შეფასება გამოიწვია და დაუსრულებელ დებატებსა და პოლემიკას დაუდო სათავე.

მოდერნიზმი, როგორც ისტორიულ-კულტურული ფენომენი, ევროპაში დაიბადა, სადაც ფასეულობათა ტრადიციული სისტემის ტოტალური რღვევა – გადაფასება და ტექნოლოგიური პროგრესი სამყაროში ადამიანის ადგილის, სამყაროსა და ადამიანის, ადამიანისა და ლერთის ურთიერთმიმართების, პიროვნების კონცეფციისა თუ მისი ეგზისტენციის ახლებური გააზრების აუცილებლობას წარმოშობდა. ბუნებრივია, შეერთებული შტატებში; ქვეყანა, რომლის ურთიერთობაც ევროპულ კულტურულ ფორმაციებთან დიდი ხნის მანძილზე ახდენდა ზეგავლენას ამერიკული ურბანული იდენტობის ჩამოყალიბებაზე, ამ ისტორიულ-კულტურული პროცესებისაგან მოწყვეტილი ვერ დარჩებოდა.

ინტერესი ევროპული კულტურისადმი, ევროპაში მიმდინარე სახელოვნო თუ სალიტერატურო პროცესებისადმი განსაკუთრებით 1920-იან წლებში გაღვივდა; ბუნებრივია, ევროპული კულტურის გამანაყოფერებელი ზეგავლენაც უწყობდა ხელს ახალი ესთეტიკისა და პოეტიკის დამკვიდრებას ამერიკის შეერთებულ შტატებში; შემთხვევითი არ არის, რომ ლიტერატურის კრიტიკოსები ამ პერიოდს, როგორც წესი, ამერიკული ლიტერატურის მეორე რენესანსს უწოდებენ, ვინაიდან იგი ჰქონინა ფოლკერის, ფიცჟერალდისა და სხვათა სახით ემერსონის, პოთორნის, მელვილის, თოროსა და უიტმენის კლასიკური ტექსტების ჰეგემონიას დაუპირისპირდა.

გერტრუდ სტანინი, ერნესტ ჰემინგუეი და ეზრა პაუნდი ჰენრი ჯეიმზის შემდეგ პირველი თაობა იყო, რომელმაც ექსპატრიაციის გზა აირჩია ავთენტური ამერიკული ცნობიერების „გამოსაჭედად“ „ახალი სამყაროს“ ნაპირებიდან ძალიან შორს. რაღა თქმა უნდა, ისეთი ტერმინები, როგორიცაა „ჯაზის ეპოქა“ და „დაკარგული თაობა“ მარტივი კრიტიკული და ისტორიული კონსტრუქციებია, რომლებიც ვიწრო ჩარჩოებში მოაცევენ ეპოქალურ განწყობილებებს, სოციალურ ტენდენციებსა თუ ბევრი ამერიკელი ხელოვანის რთულ, ამბივალენტურ დამოკიდებულებას 1920-იანი წლების ინტელექტუალური დიასპორას კულტურული მისწავლების მიმართ. მარკუს კლაინი საეჭვოდ მიიჩნევს იმ მოსაზრებას, რომ ე.ნ. „თაობის გადასახლება“ (პირდაპირი აზრითაც და მეტაფორულადაც) მაღალი იდეალების მსხვრევით და უხეში კომერციალური გამოწვეულმა იმედგაცრუებამ განაპირობა. ამერიკული ცივილიზაციის ეს ნიშნები არანაკლებ საგრძნობი იყო საუკუნის დასაწყისამდე ე.ნ. „მარკველი ბარონების“ პერიოდში. შემოქმედნი, რომლებიც მე-19 საუკუნის მიწურულს მოღვაწეობდნენ, ასევე გრძნობდნენ, რომ მაშინ, როცა სამოქალაქო ომის შემდეგდროინდელმა ბურუჟაზიულმა საზოგადოებამ სოციალური სტაბილურობის და სიმდიდრის არანახლუ დონეს მიაღწია, რეკონსტრუქციის პერიოდში ნაციის „კულტურული გული“ კონსერვატიული, მოუმნიფებელი რჩებოდა და არ იყო მზად ცვლილებების მისაღებად. წინა თაობის ანტაგონიზმს ამერიკულ საზოგადოებაში გაძატონებული ტენდენციების მიმართ შეიძლებოდა გამოეწვია 1920-იანი წლების პრივილეგირებული დისკურსი; ამერიკული იმედგაცრუების, იმედების მსხვრევისა და ექსპატრიაციის ამ იქროს ხანის კულტურული მითოლოგია ინარჩუნებს კავშირს ჩამოყალიბების გზაზე მდგარი ერის კულტურულ მემკვიდრეობასთან.

ისევე, როგორც ტომას სტერნზ ელიოტის „ისტორიის შეგრძნებამ“ განსაზღვრა ევროპული გრძნებიერების პოეტურ-ისტორიული პარადიგმა, ამერიკასა და ევროპაში მოღვაწე ხელოვანებსაც სურდათ საკუთარი ანაბეჭდი დაეტოვებინათ ხელოვნების ახალ ფორმებზე. ჰენრი ჯეიმზიდან გერტრუდ სტაინამდე და კამინგსიდან ჰარტ კრეინამდე ამერიკელი მწერლები ცდილობდნენ დაერღვიათ ტრადიციული, „ყავლებასული“ და „გაქვავებული“ ფორმები და პოეტური სენტიმენტები.

ჯერ კიდევ 1910-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში შემოქმედებით ასპარეზზე გამოდის პოეტთა ჯგუფი, რომელიც ცდილობს ამერიკულ ნიადაგზე „დანერგოს“ უახლესი მოდერნისტული ლიტერატურული ტენდენციები. მათ შორის ყველაზე აქტიურნი იყვნენ ტომას სტერნზ ელიოტი და ეზრა პაუნდი.

ეზრა პაუნდი, უურნალ „პოეტრის“, მოგვიანებით კი უურნალ „ლიტლ რივიუს“ კორესპონდენტი საზღვარგარეთ, ამ უურნალებში პარადიგმა, ამერიკასა და ევროპაში მოღვაწე ხელოვანებსაც სურდათ საკუთარი ანაბეჭდი დაეტოვებინათ ხელოვნების ახალ ფორმებზე. ჰენრი ჯეიმზიდან გერტრუდ სტაინამდე და კამინგსიდან ჰარტ კრეინამდე ამერიკელი მწერლები ცდილობდნენ დაერღვიათ ტრადიციული, „ყავლებასული“ და „გაქვავებული“ ფორმები და პოეტური სენტიმენტები.

ამერიკელი მწერლები პარიზში საკმაოდ მრავლად იყვნენ. 20-იანი წლების პარიზში დიდხანს ცხოვრიდნენ ერნესტ ჰემინგუეი, ჯონ დოს პასოსი, ფრენსის სკოტ ფიცჟერალდი, მალკოლმ კაული, ჰარტ

<sup>1</sup> ციტირებულია წიგნიდან: Hoffman, F. J. The Twenties. NY, 1962, p. 196.



კრეიინი, გერტრუდ სტაინი, ე. ე. კამინგსი და მრავალი სხვა პროზაიკოსი, პოეტი თუ კრიტიკოსი; აქ იქმნებოდა და გამოიცემოდა სხვადასხვა უურნალი, ყალიბდებოდა ლიტერატურული დაჯგუფებები.

1920-იანი წლების პარიზში, ფაქტობრივად, ამერიკული მოდერნიზმის ერთგვარი ევროპული სკოლა ჩამოყალიბდა. ეს სკოლა სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური თუ ესთეტიკური მრნამსის მქონე მოღვაწეებს აერთიანებდა.

თვით პაუნდი, სანამ საცხოვრებლად პარიზში გადავიდოდა, 12 წელი ინგლისში მოღვაწეობდა. წარმომავლობით იგი აიდაპოს შტატიდან იყო და მთელი ცხოვრების მანილზე გაჰყვა იქაური მეტყველების თავისებურებაზი. ამერიკაში პაუნდმა რომანული ენები შეისწავლა და მათ ასწავლიდა კიდეც უზივერსიტეტში, მაგრამ მალევე დატოვა სამშობლო და ევროპაში გაემზავრა. 1908 წელს იტალიაში თავისი პირველი ლექსების კრებული გამოაქვეყნა. შემდეგ ლონდონში გადავიდა, სადაც დაუკავშირდა ერნსტ ჰიუმსა და ფ. ს. ფლინტს. სწორედ ეს იქცა იმაჟიზმის პირთვად.

პოეზიაში პაუნდი იცავდა ე. ნ. „თავისუფალი ლექსის“ პრინციპებს; მისი ესთეტიკური კრედო ნათლად ჩანს ლექსში „ხელშეკრულება“, სადაც პოეტი თავის დიდი თანამემამულეს, „თავისუფალი ლექსის“ პიონერს და დამამკვიდრებელს ამერიკულ ლიტერატურაში, ასე მიმართავს:

მე შენთან ზავს ვდებ, უოლტ უიტმენ --  
საკმაოდ დიდხანს მეჯავრებოდი  
მოვდივარ შენთან როგორც უკვე გაზრდილი ბავშვი  
რომელსაც ყავდა ჯიუტი მამა;  
ახლა საკმაოდ ბებერი ვარ მე იმისათვის რომ მეგობრები შევიძინო  
შენ იყავი ის, ვინც პირველმა გაკაფა ახო,  
ახლა კი დროა ჩუქურთმათა ამოკვეთისა.  
ჩვენ ერთი სისხლი გვაქვს და ერთი ფესვი --  
დაე, თანხმობა იყოს ჩვენს შორის...<sup>1</sup>

პაუნდი, ერთი მხრივ, უიტმენს „ახალი“ ამერიკული პოეზიის „მამად“, „გზის გამკაფავად“ აღიარებს, თუმცა, მეორე მხრივ, აშკარაა მასთან მეტოქეობის, მამის გავლენის დაძლევის, უფრო შორს წასვლის სურვილიც. მისთვის უპირველესი ამოცანაა გასცდეს ამერიკის ფარგლებს, ამერიკულ პოეზიას შეათვისებინოს ევროპული ყაიდა, მოახდინოს, თუ შეიძლება ასე ითქვას, მისი ინტერნაციონალიზაცია, რაც უცხო იყო უიტმენის პოეტური ნაცურისათვის.

პაუნდი ევროპაში თანდათან იქცევა მოდერნიზმის მეტრად, იმ ფიგურად, რომელიც ეჭვმიუტანელ ავტორიტეტს წარმოადგენს მრავალი ამერიკელი თუ ევროპელი შემოქმედისათვის. იგი გვევლინება როგორც დიდი კულტურტრეგერი - შემოქმედებით ასპარეზზე ახლადგამოსულ ელიოტს ეხმარება მისი პირველი ლექსების დაბეჭდვაში, ხელს უწყობს ჯეიმზ ჯონის რომანის „ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობისას“ გამოცემას 1916, ხოლო ჟურნალ „ლიტლ რივერიში“, სადაც იგი უცხოური განყოფილების რედაქტორად მუშაობდა, აქვეყნებს ნაწყვეტებს „ულისედან“. მოგვიანებით, 20-იან წლებში, საფუძვლიანად ასწორებს - პარაქტიკულად, ანახევრებს - ელიოტის პოემას „უნაყოფო მიწა“, რომელსაც ელიოტი მიუდღვნის კიდეც პაუნდს წარწერით: „ჩემზე დიდ ოსტატის.“

1921 წელს პაუნდი საცხოვრებლად გადადის პარიზში, სადაც რჩება 1925 წლამდე. აქ იგი გატაცებულია მუსიკით, აქვე ილვიძებს მასში ინტერესი სოციალური და პოლიტიკური პრობლემებისადმი, რომლებსაც იგი განიხილავს უკიდურესად მემარჯვენე პოზიციებიდან. თარგმნის ინტენსიურად, იმაჟიზმით გატაცების პერიოდში დაინტერესებულია ჩინური და იაპონური პოეზით, სწავლობს იეროგლიფებს და ხელს მიჰყოფს თარგმნას ჩინურიდან. იეროგლიფების სისტემის შესწავლით იგი ეზიარა „იდეოგრამულ“ პოეზიას, სადაც ნებისმიერი ცნება, მათ შორის ყველაზე აბსტრაქტულიც კი, გადმოცემულია კონკრეტული სახეების შეხამებით.

იდეოლოგიურად პაუნდი ფაშიზმს მიემხრო და იტალიაში მხარს უჭერდა მუსოლინის რეჟიმს. მისი პოლიტიკური კარიერა დამთავრდა იმით, რომ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ იგი დააპატიმრეს და სამშობლოს ლალატი წაუყენეს ბრალად, თუმცა პოეტი სასამართლოს განაჩენისაგან იხსნა ფსიქიატრების დასკვნამ მისი შეურაცხადობის შესახებ. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წლობით გამოეტილი პოეტი მხოლოდ 1950-იანი წლების ბოლოს განთავისუფლდა და განთავისუფლებისთანავე გაემზადობით.

პაუნდის შემოქმედების მთავარ ნაწარმოებს, მის მაგნუმ ოპუს-ს, წარმოადგენს პოემა „კანტოები“, რომელსაც პოეტი წლების განმავლობაში ქმნიდა. „კანტოები“ მოდერნისტული პოეზიის უმნიშვნელოვანესი ტექსტია. ეს დაუსრულებელი პოემა 120 წარილისაგან ანუ „კანტოსაგან“ შედგება. ტექსტში შეხვდებით ჩინურ იეროგლიფებს, ციტირებებს სხვადასხვა ევროპულ ენაზე. პოემის კომენტარების გარეშე წაკითხვა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ალუზიებისა და წარმოსახული ისტორიული მოვლენების დიაპაზონი განუსაზღვრელია; ასევე განუსაზღვრელია პოემის გეოგრაფიული არეალიც; პოემაში აირეკლება პაუნდის დაინტერესება კლასიკური მედიტერანული და აღმოსავლეთ აზიის კულტურით, ასევე მედიაველური და უფრო გვიანდელი იტალიითა და პროვანსით. „კანტოები“ წინააღმდეგობრივი ნაწარმოებია თავისი ექსპერიმენტული ხასიათით და „იდეოგრაფიული“ ტექნიკით. ერთი შეხედვით, იგი ქაოტურია და

<sup>1</sup> ზაალ ჩხეიძის თარგმანი. იხ.: <http://lib.ge/book.php?author=6&book=175>



მოკლებულია სტრუქტურულ სიმწყობრეს, ვინაიდან არც სიუჟეტი აქვს და არც დასასრული. ერთ „კანტოში“ დაწყებული ალუზია, წინადადება თუ ანეკდოტური აბბავი შესაძლოა სხვა „კანტოში“ გაგრძელდეს; თითქოს არც „კანტოების“ განლაგება ექვემდებარება რამე ლოგიკას. საქმე ისაა, რომ პაუნდი მიმართავს ადამიანის გამოცდილების ფრაგმენტაციას; ამ ფრაგმენტებს ერთმანეთთან თითქოს კავშირი არა აქვთ, მაგრამ ისინი მაინც მთლიანდება გარკვეული ფორმით. შეიძლება ითქვას, რომ „კანტოები“ დაგას ელიოტისეულ მითოსურ მთლიანობასა და ჯოისისეულ „ცნობიერების ნაკადს“ შორის; ესაა მცდელობა ისეთი ფორმის შექმნისა, სადაც ისტორია (როგორც ფრაგმენტი) და პიროვნება/პიროვნულობა (თანამედროვე ყოფიერებით შერყეული) პოეზიაში შეძლებენ ერთმანეთთან შეზყობას.

ამერიკელ ექსპატრიატთა მეორე უმნიშვნელოვანები ფიგურა იყო ტომას სტერნზ ელიოტი, კონსერვატორული მსოფლმხედველობის პოეტი და ესეისტი. 1910 წელს მან დაამთავრა პარვარდის უნივერსიტეტი, შემდეგ კი სორბონის უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა, ბოლოს კი ოქსფორდში გადავიდა. ინგლისში მან დაწერა დისერტაცია, „გამოცდილება და შემეცნების საგანი ბრედლის ფილოსოფიაში“, რომელიც 1916 წელს წარუდგინა პარვარდის უნივერსიტეტს. ბრედლის აბსოლუტურმა იდეალიზმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მის ფილოსოფიურ შეხედულებებზე, რომლებიც მის პოეზიაში აირეკლა.

1927 წლის 29 ივნისს ელიოტმა უარყო უნიტარიზმი<sup>1</sup> და ანგლიკანიზმის<sup>2</sup> მიმდევარი გახდა, იმავე წლის ნოემბერში კი, 39 წლის ასაკში, ბრიტანეთის მოქალაქეობა მიიღო. თვით პოეტი საკუთარ თავს ანგლო-კათოლიკეს უნიდებდა და აღნიშნავდა, რომ იგი იყო „კლასიცისტი ლიტერატურაში, როიალისტი პოლიტიკაში და ანგლო-კათოლიკე რელიგიაში.“ თავისი ეროვნებისა და მისი როლის შესახებ შემოქმედებაში ელიოტი წერდა: „ჩემს პოეზიას აშკარად უფრო მეტი აქვს საერთო ჩემი თაობის გამორჩეულ წარმომადგენლებთან ამერიკაში, ვიდრე ჩემი თაობის მიერ ინგლისში დაწერილ ნებისმიერ წარამოებთან. იგი (მისი შემოქმედება - ბ. კ.) არ იქნებოდა ის, რაც არის და ალბათ არც ასეთი კარგი, ინგლისში რომ დაგბადებულიყავი და იგი არ იქნებოდა ის, რაც არის, ამერიკაში რომ დავრჩენილიყავი. ეს ერთგვარი კომპინაციაა. თუმცა მისი სათავე და ემოციური წყარო ამერიკიდან წარმოსდგება.“ ელიოტმა საბოლოოდ თქვა უარი ამერიკის მოქალაქეობაზე და განაცხადა: „შესაძლოა, ჩემი გონიერება ამერიკულია, მაგრამ ჩემი პირი ბრიტანულია.“ ელიოტი ხედავდა, რომ ევროპაში დამკვიდრებულ ამერიკელს საშუალება ჰქონდა მთლიანად ზოგადევროპულ კულტურულ ტრადიციასთან ზიარებისა.

ელიოტის შემოქმედების არსებითი ნიშანი ისაა, რომ ელიოტი არ ყოფილა „ხალასი“ შემოქმედი, რომელიც „ნაივურად“ წერს იმას, რასაც მუზა მთავარებს. ელიოტის პოეტური მეტყველება ზედმინევნით „რაციონალურია“, უკიდურესად „გათვლილია“, ყველა მისი ასოციაციური სახე მრავალგზის გადამოწმებული, დეტალურად „შესწავლილი“ და ავტორისეულ ჩანაფიქრთან ზუსტ შესაბამისობაში მოყვანილია. მეორე მხრივ, მწერლური რაციონალიზმი ელიოტთან იშვიათ მხატვრულ დონეს ერწყმის. გაცნობიერებული, რაციონალური საწყისი ელიოტის პოეზიაში საკუთარ თავს, საკუთარ მყაცრ ანტირომანტიკულ „რაციონალიზმს“ გადაღახავს და ჭეშმარიტ შემოქმედებაში, დახვეწილ პოეზიაში გადაიზრდება. პირად, სუბიექტურ შთაბეჭდილებებს ელიოტი, როგორც წესი, სავსებით გაცნობიერებული პოეტიკური სისტემის ელემენტად გარდასახავს და მითოლოგიური საყოველთაობის პლანში განაზოგადებს.

1922 წელს ელიოტის პოემის „უნაყოფო მინა“ გამოქვეყნება უმნიშვნელოვანებს მოვლენად იქცა ანგლო-ამერიკულ მოდერნისტულ პოეზიაში. პოემას ხშირად განიხილავნენ როგორც 1 მსოფლიო ომისშემდგომი თაობის იმედგაცრუებისა და იღუზიების მსხვრევის მხატვრულ განსხვეულებას. ტექსტი გამოირჩევა მხატვრული ქსოვილის სირთულით, ხმების, დროისა და ადგილის უცცარი მონაცვლეობით. პოემის ტექსტი, ფაქტობრივად, წარმოადგენს უამრავი ასოციაციის, ციტატის, ალუზიისა თუ რემინისცენციისაგან მოქსოვილ, ინტერტექსტუალურად უაღრესად მდიდარ ქსოვილს. პოემაში ხშირია ლიტერატურული, ბიბლიოური და სახარებისეული აღუზიები, მინიშნებები უპანიშადებზე, ასევე კულტუროლოგიურ და ანთროპოლოგიურ გამოკვლევებზე როგორიცაა სერ ჯეიმზ ფრეიზერის „ოქროს რტო“ ანდა ჯესი უესტონის „რიტუალიდან რომანამდე“.

საერთოდ, აღუზია ელიოტისათვის მხატვრული ინფორმაციის კონდენსირების ტექნიკური საშუალება; ეს ხერხი რომ არა, ამ პატარა პოემში ჩატეულ მხატვრულ ინფორმციას მთელი ბიბლიოთეკაც ვერ დაიტევდა. ამავე დროს ამ მხატვრული ხერხით იგი თავისი სათემელის განზოგადებას და ფასეულობათა უნივერსალიზაციას ახდენს. გარდა ამისა, აღუზია და რემინისცენცია ახალი ემოციური და ინტელექტუალური მთლიანობის შექმნის საშუალებაც არის. ყოველ ასოციაციურ სახეს, ყოველ ექსტრატექსტუალურ დეტალსა თუ სიუჟეტს, ყოველ მინიშნებას თან ახლავს როგორც დედნისეული ემოციური შეფერილობა, ასევე სრულიად ახალ კონტექსტში, ახალ პოეტურ ქსოვილში შეძნილი ახალი უდერადობა.

პოემის ტექსტში ინგლისურ ენას ხან გერმანული ენაცვლება, ხან იტალიური, ხან ფრანგული და ხანაც ლათინური. ელიოტის ამოცანა იყო მთელი ეს პეტიროგენული მასალა ესთეტიკურ მთლიანობად გარდაესახა. „უნაყოფო მინის“ სტრუქტურის ორგანიზებისათვის ელიოტი მიმართავს „მითოსს“ - ერთგვარ პოტენციურ სიუჟეტს, საკვანძო მითოსურ სიტუაციას, უზოგადეს სქემას, რომელიც ელიოტის მიერ გადამუშავებული სახით უამრავ ასოციაციურ პლანს, წახნაგს თუ ასპექტს იძენს და, ფაქტობრივად, მისი პოემის მთელ მხატვრულ სისტემას განსაზღვრავს.

<sup>1</sup> მიმდინარეობა ქრისტიანულ თეოლოგიაში, რომელიც უპირისპირდება სამების დოქტრინას და ამტკიცებს, რომ ღმერთი თავის თავში არ აერთიანებს სამ პიოსტასს (მმართველობის, ქელმერთი და სულინმდიდა).

<sup>2</sup> ანგლიკანიზმი - მიმდინარეობა ქრისტიანულ რელიგიაში, რომელიც აერთიანებს „ინგლისის ეკლესიასთან“ ისტორიულად დაკავშირებულ ეკლესიებს. ანგლიკანიზმი ქრისტიანობის ერთ-ერთი მირთადი ტრადიციაა პროტესტანტიზმთან, რომაულ კათოლიკიზმთან და მართლმადიდებლობასთან ერთად.



პოემის მითოსურ-სქემატურ საფუძვლად დაკარგული სულიერი საწყისის ძეგის (და მისი პოვნის შეუძლებლობის) მოტივი გვევლინება, რომლის ხორცშესასხმელადაც ელიოტი იყენებს მითებს გრაალის თასის, ბრმა წინასარმეტყველის, ტირესიასა და ნაყოფიერების ღმერთების სიკვდილისა და მათი მკვდრეთით ალდგომის დაუსრულებელი ციკლის (ბუნების სეზონების დაუსრულებელი ციკლური წრებ-რუნვის), ასევე მეთევზე მეფისა და უნაყოფო მინის ლეგენდას.

პოემის მოქმედების დრო და ადგილი არ არის კონკრეტულ-ისტორიული დრო და კონკრეტული გე-ოგრაფიული არეალი. ელიოტი ქმნის „უნაყოფო მინის“ ზედროულ მითოსურ ხატს, ურთულეს მითოსურ ქრონოტოპს, სადაც ყველა დრო ერთდროულად თანაარსებობს.

ელიოტსა და პაუნდს ესთეტიკური არისტოკრატიზმი აერთიანებდათ, თუმცალა მათ სრულიად სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება პერიოდით ე. ნ. „თავისუფალი ლექსისადმი.“ პაუნდისა და იმაჟისტებისაგან განსხვავებით, ელიოტი წინააღმდეგი იყო თავისუფალი ლექსის აპსოლუტიზაციისა. ესეიში „ფიქრები თავისუფალი ლექსის შესახებ“ იგი წერდა: „არ არსებობს კონსერვატიული და თავისუფალი ლექსი, არსებობს მხოლოდ კარგი ლექსი, ცუდი ლექსი და ქაოსი“.<sup>1</sup>

ელიოტსა და პაუნდთან ერთად ევროპაში ემიგრირებულ ამერიკელ პოეტთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს ე. ე. კამინგსას. მის პოეზია ამერიკული პოეზიის ოდნავ განსხვავებულ ხაზს განეკუთვნება - იგი ხასიათდება წმინდად ფირმალისტური ექსპერიმენტებით, რაც ფურცელზე ლექსის თავისებურ განლაგებასა და მის ტიპოგრაფიულ გაფორმებაში ვლინდება. კამინგსი ხშირად ანანევრებს სიტყვას ჩას-მული ფრაზებით, ზოგჯერ ლექსი ისე განალაგებს, რომ ყოველ სტრიქონში მხოლოდ ორი-სამი ბგერა რჩება ისე, რომ ხუთსიტყვიანი ლექსი შესაძლოა ცხრასტრიქონიან პორიზონტალურ მწკრივად იქცეს, ერთი სიტყვით, აზრობრივ რებუსებს კამინგსი კიდევ უფრო ართულებს გრაფიკული რებუსებით.

პარიზში მცხოვრებ ამერიკელ მწერლებს ორიგინალური მოდერნისტული მიმდინარეობანი არ შეუქმნიათ. ისინი აქტიურად მონანილეობდნენ პარიზში ჩამოყალიბებული სხვადასხვა მოდერნისტული ჯგუფის საქმიანობაში, უპირატესად, ეს ინტერნაციონალური ჯგუფები იყო, რაზეც მეტყველებს უურნალ „ცოცხის“ ისტორია, რომელიც 1921-1924 წლებში გამოიცემოდა რომში, ბერლინსა და ნიუ იორკში და რომლის ქვესათაურიც იყო - „ხელოვნებათა საერთაშორისო უურნალი“. ამ უურნალში იბეჭდებოდა როგორც კონტინენტური, ასევე ბრიტანული და ამერიკული მოდერნიზმის წარმომადგენერლთა ნაწარმოებები. თავისი პოზიციით ამ უურნალთან ახლოს იდგა უურნალი „სესეშე“ („განეტექილება“), რომელიც გამოიცემოდა ვენაში, ბერლინში, ფლორენციასა და ნიუ იორკში. ეს უურნალები სიამოგნებით უთმობდნენ ადგილს იმ ავტორთა ნაწარმოებებს, რომელიც ახალი ფორმის ძიებით იყვნენ გართული. 1920-იანი წლების ბოლოს მოდერნისტული ტენდენციები გააგრძელა უურნალმა „ტრენზიშენ“ („გადასვლა“, „გარდატენა“, „რომელიც 1927-1938 წლებში გამოიდიოდა პარიზში. ამ უურნალის ერთ-ერთი წინამორბედი იყო „ტრანსატლანტიკური მიმოხილვა“, რომელსაც ფორდ მედოქს ფორდი გამოსცემდა. სწორედ ამ უკანასკნელში იბეჭდებოდა ჰემინგუეის, სტაინის, პაუნდის ქმნილებები, ასევე ჯოისი, „ფინეგანის ქელეხის“ ნაწყვეტები. ძნელია ყველა იმ უურნალის ჩამოთვლა, რომელსაც ამერიკიდან ევროპაში ემიგრირებული, როგორც თვითონ უწოდებდნენ თავის თავს, „განდევნილი“ მწერლები გამოსცემდნენ.

ამერიკელთა პარიზულ „კოლონაში“ განსაკუთრებული ადგილი ეჭირა გერტრუდ სტაინს. სტაინმა განათლება პარვარდში მიიღო, სადაც ფსიქოლოგია შეისწავლა და უილიამ ჯეიმზის გავლენით „ავტომატური ფიქსაციის“ მეთოდის აითვისა. 1903 წელს მან დატოვა ამერიკა და პარიზში დასახლდა, სადაც თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა. მან ირგვლივ შემოიკრიბა ევროპელ და ამერიკელ მოდერნისტ ხელოვანთა ფართო წრე, რომელიც ხშირად იკრიბებოდა მის სალონში.

სტაინის მხატვრულ პრაქტიკასა თუ თეორიულ ნააზრებში წამყვანია აპსტრაქციონისტული ტენდენციები. მან ჩამოაყალიბა ლიტერატურული აპსტრაქციონიზმის სკოლა, რომლის მეთაურიც და ერთა-დერთი წარმომადგენერლიც თვითონვე იყო. სტაინი გამოდიოდა „დროის შეგრძნების“ წინააღმდეგ ხელოვნებაში და აყენებდა თეზის, რომ მე-20 საუკუნეში დროის შეგრძნება თხრობაში გარდაიქმნება ან-მყო მომენტის შეგრძნებაში. ამის აღსანიშნად მან სპეციალური ცნებაც კი შემოილო - „გახანგრძლივებული ანმყო.“

კუბისტების დარად, სტაინიც ცდილობდა გადატრიალება მოქედინა ხელოვნებაში და შეექმნა ის, რასაც თვითონ „მეოთხე განზომილებას“ უწოდებდა. იგი ცდილობდა სიტყვაკაზმულ მწერლობაში დაენერგა ფერწერული მეთოდები და ხერხები. იგი ზოგჯერ უარსაც კი ამბობდა სიტყვების შინაარსზე, რათა ენის პლასტიურ შესაძლებლობათა მაქსიმალური რეალიზაციისათვის მიეღწია. ეს იყო უნიკალური ცდა თუ ექსპერიმენტი ლიტერატურაში.

1920-იან წლებში ევროპაში მოღვაწე ამერიკელმა ექსპატრიატებმა ჩამოაყალიბეს ამერიკული მოდერნიზმის ერთგვარი ევროპული სკოლა, რომელმაც მხატვრული ფორმებითა და ენობრივ-სტილური ექსპერიმენტით გაამდიდრა ამერიკული ლიტერატურა და შეექმნა უმნიშვნელოვანესი ანგლო-ამერიკული ლიტერატურა, რომელიც ამერიკული და ევროპული გამოცდილებისა და ტრადიციების უნიკალურ სინთეზს წარმოადგენს და მნიშვნელოვანი ბენდილად განსაზღვრავს ინგლისურენოვანი ლიტერატურის შემდგომი განვითარების გეზს.

<sup>1</sup> ციტირებულია წიგნიდან: Thompson E. T. T. S. Eliot: The Metaphysical Perspective. Illinois, 1963, p. XXI



## გამოყენებული ლიტერატურები:

1. თ. კობახიძე.ტ.ს. ელიოტი: პოეზია და მითოსი
2. Critics on Ezra Pound ed. E. San Tuan University of Miami press, 1972
3. Hoffman, F. J. The Twenties. NY, 1962
4. Thompson E. T. T. S. Eliot: The Metaphysical Perspective. Illinois1963
5. <http://lib.ge/book.php?author=6&book=175>

**მაყვალა (ბაია) კოლუაშვილი**

**ექსპატრიატები: ამერიკული მოდერნიზმის ევროპული სკოლა**

### რეზიუმე

ინტერესი ევროპული კულტურისადმი, ევროპაში მიმდინარე სახელოვნო თუ სალიტერატურო პროცესებისადმი ამერიკაში განსაკუთრებით 1920-იან წლებში გაღვივდა; შემთხვევითი არ არის, რომ ლიტერატურის კრიტიკოსები ამ პერიოდს, როგორც წესი, ამერიკული ლიტერატურის მეორე რენესანსს უწოდებენ. გერტრუდ სტაინი, ერნესტ კემინგუეი, ტომას სტერნზ ელიოტი და ეზრა პაუნდი პენრი ჯეიმზის შემდეგ პირველი თაობა იყო, რომელმაც ექსპატრიაციის გზა აირჩია და დიდ ხანს ცხოვრობდნენ პარიზში. აქ იქმნებოდა და გამოიცემოდა სხვადასხვა ჟურნალი, ყალიბდებოდა ლიტერატურული დაჯგუფებები.

1920-იან წლებში ევროპაში მოღვაწე ამერიკელმა ექსპატრიატებმა ჩამოაყალიბეს ამერიკული მოდერნიზმის ერთგვარი ევროპული სკოლა, რომელმაც მხატვრული ფორმებითა და ენობრივ-სტილური ექსპერიმენტებით გაამდიდრა ამერიკული ლიტერატურა და შექმნა უმნიშვნელოვანესი ანგლო-ამერიკული ლიტერატურა, რომელიც ამერიკული და ევროპული გამოცდილებისა და ტრადიციების უნიკალურ სინთეზს წარმოადგენს. იგი მნიშვნელოვანილად განსაზღვრავს ინგლისურენოვანი ლიტერატურის შემდგომი განვითარების გეზს.

**Makvala(Baia) Koguashvili**

### **THE EXPATRIATES :EUROPEAN SCHOOL OF AMERICAN MODERNISM.**

#### Summary

The main concern for European culture as well as for current trends in Art and Literature flourished in the 1920s. It's not accidental that literary critics normally refer this period as the second Renaissance. After Henry James, who laid the foundation for this movement, Gertrude Stein, Ernest Hemingway, Tomas Sterns, Eliot and Ezra Pound were the first followers. Paris had been their residence for a long time. They gave rise to the creation of various literary groups, editions and publications of quite a few journals.

In the 1920s American expatriates opened European school of American Modernism that enriched the American literature with literary forms and experimented with a variety of literary styles. The Anglo-American Literature which forms a synthesis of both American and European innovations and traditions, reflects and considerably defines course of the English Literature.



## ელგა ლომიძე

### კომუნიკაცია, როგორც პიროვნეული ცოდნის სფერო

კ. შენონისა და უ. ივერის თეორია ყველაზე ზოგადი და მარტივია, ის 1949 წელს შევიდა მეცნიერებაში. მასში არის ინფორმაციის წყარო - ინფორმაციის გადამცემი - ინფორმაციის გავრცელების არხი - ინფორმაციის მატარებელი სიგნალები - ინფორმაციის მიმღები. გადაცემის პროცესში გვხვდება მრავალი მიზეზთან, მათ შორის ერთი და იმავე საგანზე სხვადასხვა ხალხებში არსებულ განსხვავებულ შეხედულებებიდან გამომდინარე კულტურულ-ნაციონალურ სპეციფიკასთან დაკავშირებული ინფორმაციის ბარიერები. ეს სხვადასხვაობა აღზრდისა და განსხვავებულ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში ცხოვრების შედეგებით აიხსნება. რა არის კოდირება და დეკოდირება? კოდირება გამგზავნელის ჩანაფიქრების იდეების კომუნიკაციისათვის ენაზე გადათარგმნაა. კოდი არის წესების სისტემა, რომელთა მიხედვითაც ხორციელდება ენის ფუნქციონირება. კოდები ხელს უწყობს შეტყობინებათა სუბსტანციის ტრანსფორმირებას, მათ გადაცემას ან კონსერვაციას.

არსებობს სამი სახის კოდები: კოდი, რომელიც გამოიყენება რეალობიდან გამოსახულებებზე გადასვლისას; კოდი - რეალობიდან ენაზე გადასვლისას, კოდი გამოსახულებიდან ენაზე გადასვლისას.

კოდთან მჭიდროდ არის დაკავშირებული კონტექსტი, ანუ სისტემები, რომლებიც გარკვეულნილად განაპირობებენ შეტყობინების ტექსტის ამა თუ იმ ორგანიზაციას. კონტექსტები შეიძლება იყოს სოცია-ლური, ისტორიული, ბიბლიოგრაფიული, მხატვრული და ა.შ. ტექსტთან მათი კავშირი შეიძლება იყოს უშუალო ან ირიბი.

შეტყობინება არის კონტექსტიდან აღებული და გარკვეულ სტრუქტურაში გაერთიანებული აღქმის მრავალი მოწესრიგებული ელემენტი. ის შეიძლება იყოს ფიქსირებული, რეგისტრირებული და კონსერვირებული, ტირაჟირებული.

შეტყობინების მთავარ მახასიათებელია მისი სიჭარბე, როგორც გასაგებობის საზომი. შეტყობინების გაკეთება კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებით შეიძლება, ეს საშუალებებია: გაზეთი, პრეს-რელიზი, პრესკონფერენცია, რადიორეპორტაჟი, ტელევიზია, პირისპირ შეხვედრა.

შეტყობინების ეფექტურობა დამოკიდებულია არა მხოლოდ შინაარსზე, არამედ იმაზეც, თუ:

- ვინ გააკეთა ის
- როგორ გაკეთდა ის
- სად და რარიგად
- რამდენად არგუმენტირებული, დამაჯერებელია იგი

აგრეთვე - ურთიერთობის არავერბალურ კომპონენტებზე: სახის გამომეტყველებაზე, ქცევის მანერებზე, საზრიანობაზე.

დეკოდირება შეტყობინების გაშიფრაა. დეკოდირების ფაქტები, გაშიფრის ეფექტურობის ფაქტორები, დამოკიდებულია:

- მის გადათარგმნაზე საყოველთაოდ ცნობილი ტერმინების ენაზე.
- შეტყობინების აზრის გაგებაზე
- აზროვნების სტერეოტიპებზე
- აზრის წინასწარაღებულობაზე
- სიმბოლოებზე
- სემანტიკაზე
- იმ ჯგუფის ზეოლაზე, რომელსაც გამშიფრელი ეკუთვნის.

შეტყობინების დისკურსი (ჩანაფიქრი)

კომუნიკაციის ინიციირებას ადამიანები ახდენენ და ამას ისინი ადამიანებისთვის აკეთებენ.

გ. ლასუელმა გამოყო კომუნიკაციის ხუთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი, ესენია:

- ვინ ამბობს? რას ამბობს? ვის ეუბნება? რომელი არხით? როგორი ეფექტით?

ეფექტური კომუნიკაციის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს მიღებული შეტყობინების გამოგზავნილთან მაქსიმალური დამთხვევის მიღწევა, ანუ “გაფუჭებული ტელეფონის” მოვლენის გამორიცხვა.

საშუალებების არჩევა ძალზე მნიშვნელოვანია, ჩვეულებრივ, გამოყოფენ სამ საშუალებას, ესენია:

- საპრეზენტაციო — ადამიანის ხმა, სახე, ტანი, ანუ ბუნების მიერ ბოძებული საშუალებები.
- სარეპრეზენტაციო — ხელოვნური საშუალებები: წიგნები, სურათები, ფოტოსურათები, პლაკატები.
- ტექნიკური — რადიო, ტელეგრაფი, ტელეფონი, ტელევიზორი და სხვა ელექტრონული საშუალებები.

მრავალად არსებულ საკომუნიკაციო თეორიებს შეისწავლის სპეციალური მეცნიერება - კომუნიკალოგია, ამასთან ისევე, როგორც ადამიანისა და საზოგადოების შესწავლასთან დაკავშირებულ მეცნიერებათა უმრავლესობას, კომუნიკალოგიასაც ბევრი პრობლემა აქვს:

- ამოცანათა მკაფიო კლასიფიკაციის არარსებობა.



- პოჩეპცოვს მოჰყავს 25 ავტორის 25 კომუნიკაციის მოდელი, ამასთან ზოგი მათგანი თავის ნაშრომებში არ ხმარობს სიტყვას “კომუნიკაცია”, თუმცა სწორედ მას შეისწავლის. (Почепцов, 2001).

ნებისმიერი თეორია რეალობას ხსნის და ამ გაგების შესაბამისად გვთავაზობს გარკვეულ მოვლენას და მოქმედებას.

ჩვენს პრობლემებს ჩვენ მეორე მიმართულების კომუნიკაციის თეორიის სიბრტყეში განვიხილავთ, სადაც შუქდება კომუნიკაციის, როგორც მრავალნაირი ნიშნების (სემეოტიკა - მეცნიერება ნიშნების შესახებ) შემცველი მოვლენა, ეგრეთ წოდებული ინტერპრეტაციული თეორია კრეიგის მიხედვით. (Крейг, 1999).

ი. პ. იაკოვლევი მოელედ აჯამებს კომუნიკაციის ყოველნაირ კონცეფციებსა და თეორიებს და ამ ოთხი მიმართულების 10 ასპექტს გამოყოფს, ესნია: 1. კიბერნეტიკული მიდგომა - კომუნიკატორების, როგორც განსახილველი მოვლენების დამკვირვებელთა პოზიცია და თავად მოვლენები. 2. ინფორმაციული მიდგომა - კომუნიკატორის ეფექტურობა დაკავშირებულია შეტყობინებათა უნარიან შერჩევასთან და კოდირებასთან და მიმღების - რეციპიენტის მიერ მათი აღქმის სიზუსტესთან - დაბრკოლებების მოშორება აქ მნიშვნელოვანია. 3. სელიოტიკური მიდგომა კომუნიკაციას ნიშნების (მნიშვნელობების, აზრების) შექმნის და გაცვლის პროცესად გადააქცევს. თითოეული კომუნიკატორი ქმნის თავის მნიშვნელობებს, რომლებიც შეიძლება განსხვავდებოდეს სხვა კომუნიკატორის მნიშვნელობებისგან. თითოეული კომუნიკატორი აუდიტორიის თავისებურებების შესაბამისად აკოდირებს თავის შეტყობინებებს. 4. ს/კოგნიტიურ მიდგომაში აქცენტი შეტყობინებების გაგებაზე და აგრეთვე კომუნიკატორის განზრახვებასა და მიზნებზე კეთდება.

ჩვენი ინტერესების ჩარჩოების მიღმა ვტოვებთ კომუნიკაციას როგორც დისკურსს, - რომელიც განიხილავს საუბრების, საქმიანი მოლაპარაკებების, დრამატული თხრობის სხვადასხვაგვარ ფორმებს, სადაც კომუნიკაცია წესების ცოდნით და მათი შესრულების ხარისხით განისაზღვრება. ინტერპრეტაციული მიდგომა კომუნიკაციას აკავშირებს სუბიექტურ, პიროვნებისთვის ფასეულობის მქონე იმ მნიშვნელობებით ოპერირებასთან, რომლებიც თავად იქცევან ენობრივ რეალობად.

როგორ კონცეფციების შუქზე იკვეთება კომუნიკაციური საქმიანობის, როგორც ფუნქციათა რთული კომპლექსის ახალი სახეობა, მათი სხვადასხვაგვარი ცოდნა და შემოქმედებითი უნარები.

სოციალურ ურთიერთობათა სპეციალისტთან მიმართებაში მოცემულ კომპლექსს ასეთი სახე ექნება: სხვადასხვა კონცეფციები წარმოაჩენს კომუნიკაციური საქმიანობის, როგორც ფუნქციათა რთული კომპლექსის ახალ სახეობას, რომელიც სხვადასხვაგვარ ცოდნასა და შემოქმედებით უნარებს მოითხოვს.

რაც შეეხება მასობრივ კომუნიკაციას, უნინარეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს რაში მდგომარეობს მისი განსხვავება კომუნიკაციისგან. ამიტომაც თავიდან მართებულია მისი განსაზღვრების მოცემა. ამრიგად, მასიური კომუნიკაცია სხვადასხვა ადგილას განლაგებული რიცხობრივად დიდი აუდიტორიისთვის ტექნიკური საშუალებების დახმარებით ინფორმაციის გადაცემის პროცესია.

ისტორიაში პირველი მასობრივი ინფორმაციის საშუალება ბეჭდვითი სიტყვა იყო. დროთა განმავლობაში მისი ამოცანები იცვლებოდა.

მასობრივი კომუნიკაციის ფილოსოფია თავის დროზე ინგლისელმა მოაზროვნებ თომას ჰობსმა და-ახასიათა. შემცნებას და აზროვნებას ის განიხილავს როგორც კომუნიკაციის პროცესს. თანამედროვე მკვლევარებიც მის მიერ განსაზღვრული გზით მიღიან, ცდილობენ რა გამონახონ სულიერის რეალიზაციის მატერიალური ფორმები, ანუ ისეთი ობიექტები, რომლებიც იმავდროულად “ფიზიკურიც” იქნება და აზროვნებითიც (აბსტრაქტული). (Годдарс, 1970). შემცნების პროცესიდან მათი ამგვარი გამოყოფის შემთხვევაში ფილოსოფოსს, ლოგიკოსს, სოციოლოგს შეეძლო შეედარებინა, ენარმოებინა ზუსტი, სისტემატურთან მიახლოებული ქმედებები, ამგვარი ობიექტები უკვე მართლა არსებობს. ეს არის ენობრივი და მეტყველებითი გამონათქვამები, მათი სხვადასხვა ელემენტები, რომელთაგან მთავარი სიტყვაა. სიტყვა დაწერილი და სიტყვა ზეპირი, მეტყველება ვერბალური (სიტყვიერი) და აუდიოვიზუალური (ეგრეთ წოდებული ერთანული კომუნიკაცია), სადაც წარმოთქმული სიტყვა არასიტყვიერ, ანუ ვიდეოსახის, ვიზუალურ კომუნიკაციას უერთდება.

ჰობსი ამ ობიექტებს “ჭდებს” უწოდებს. სწორედ მან განჭვრიტა მასობრივი კომუნიკაციების მერმინდელი თეორიები:

“დიდი ჭკუის მქონე ადამიანსაც კი თავისი მეხსიერების გასამტკიცებლად და ამის წყალობით ცოდნაში წარმატებების მისაღწევად მთელი თავისი დრო აზროვნებისა და შესაბამისი ჭდების გამოგონებისთვის რომ მიეძღვნა, თავად მას ეს გულმოდგინება აშკარად მცირე სარგებლობას მოუტანდა, სხვებს კი - საერთოდ არანაირს. თუ მის მიერ თავისი აზროვნების გასავითარებლად გამოგონილი ეს ჭდები სხვებს ვერ გადაეცემა, მაშინ მთელი მისი ცოდნა მასთან ერთად გაქრება.” (Годдарс, 1970, с. 32).

ჰობსისთვის მთავარი აზრი აქ იმაში მდგომარეობს, რომ ერთი ადამიანის მიერ ახალი ცოდნის გამოგონება და ამ ახალი ცოდნის სხვა ადამიანებისთვის გადაცემა, უკვე ის ცოდნაა, რომელიც ხელს უწყობს განვითარებას “ადამიანთა მთელი მოდგმის სასიკეთოდ და გადასარჩენად”. ამრიგად, ჰობსმა ფილოსოფიაში “ნიშნის” ცნება შემოიტანა. ჭდისგან განსხვავებით, ნიშანი ინფორმაციას მარტო ინდივიდუმისთვის კი არ ხდის სასარგებლოს, არამედ საზოგადოებისთვისაც.



ჩვენ შემთხვევით როდი მივმართეთ დახურული ცოდნის ისტორიას, რადგან ჩვენ საინფორმაციო-კომპიუტერული რევოლუციის ეპოქაში ვცხოვრობთ, სადაც კომუნიკაციის არსი, რაობა, თთქმის კაცობრიობის შემცნების მიზნებს უნდა ემსახურებოდეს. მაგრამ „ეს არსი ან კომუნიკატორების მიერ ღრმად არის ჩამალული, ან კომუნიკაციის არსებითი ძალები იცვლება მისი წმინდა უტილიტარული ფუნქციებით, რომლებიც კომუნიკაციების წმინდა პრაგმატული შინაარსიდან ან რაიმე „ახალზე“ ადამიანის ბიოლოგიური მოთხოვნილებებიდან გამომდინარეობს.“ (Березин, 2003, ст. 7).

დღეისათვის ცნობილია ცნება „კომუნიკაციის“ უამრავი განსაზღვრება. ეს ფენომენი მოქცეულია როგორც ფუნდამენტურ, ისე სოციალურ მეცნიერებაში მიმდინარე პროცესების ფოკუსში. როგორც ცნობილია, ყოფიერების ამ სფეროებს შორის ინტეგრაციის ნებისმიერი პროცესი შეტყობინებების გავლით მიმდინარეობს. ამრიგად, ძნელი სავარაუდო არ არის, რომ თანამედროვე კომუნიკაციური რევოლუციის რიგი ძირითადი პრობლემების ფესვები საუკუნეთა სილრმეში მიდის.

ამრიგად, სუბიექტური “სასრული” შემცნება მას ინდივიდუალური გამოცდილების ვიწრო წრიდან ზოგადსაკაცობრიო კომუნიკაციის ფართო სივრცეში გადააქვს.

მაგრამ ახლა გთავაზობთ გამოკელევას არა პლანურად ცივილიზაციაზე, რომელიც უშაგალითო ტექნოლოგიურ პოტენციალს დაეუფლა და ბუნებას „საკუთარი თავის ნიშნად“ გადააქცევს, სადაც გარემო ხელოვნური ხდება. ჩვენს ბინებიც კი ცოცხალი ოთახის ყვავილების: პალმის, ბეგონიის, კაქტუსის ნაცვლად

მათი ხელოვნური ორეულები დამკვიდრდნენ. ჩვენ შევეხებით იმას, რასაც “ძველების მეცნიერებას” უწოდებენ და შეძლებისდაგვარად გავავლებთ პარალელებს, რათა ყოფიერების ეკოლოგიისკენ კონსერვატიული შემობრუნების დასახვა ვცადოთ.

ბუნებრივია, ი.კ. მელვილის „ბურჯუაზიული ფილოსოფიის გზები“, წიგნი, რომელიც ქებით საუბრობს დასავლური ფილოსოფიური აზრის შინაარსზე, ტენდენციებსა და ნოვაციებზე, სსრკ-ში იმ წლებში თითქმის შეუმჩნეველი დარჩა. მაინც რაზე იყო საუბარი წიგნში, დღეს ასე ცნობილი რომაა, რით არის გამოწვეული ჩვენი ბეპნიერული ინტერესი? ცნობილია ფაქტი, რომელიც იმაზე მეტყველებს, რომ XX საუკუნის ფილოსოფია გამოიხატებოდა მთელი რიგი ცალკეული მიმდინარეობების მიერ, რომელთაც განსხვავებული იდეები, მიდგომები, თვალსაზრისები ჰქონდათ და განსხვავებული სკოლების, მიმდინარეობების, მოძღვრებების მიმდევრები იყვნენ, ისინი ყველანი ხან გნოსეოლოგიურ, ხან სოციალურ-ფიქცილოგიურ, ლოგიკურ-ონთოლოგიურ ან მეტაფიზიკურ საფუძვლებს ეყრდნობოდნენ. მეცნიერული ზეგავლენის სფეროებისთვის ბრძოლას მკავლევარები ხშირად აშკარა მტრობამდე ან ერთმანეთისგან ცალკეული იდეების ნაწილობრივ გადმოღებამდე მიჰყავდა. თუმცა იდეოლოგიური თვალსაზრისით ერთიანი და „პლურალისტური“ იყო, ეს ფილოსოფია ყოველთვის როდი ახერხებდა საერთო მნიშვნელამდე, გამაერთიახელ საზყისამდე მისულიყო თავის კონცეფციებში. სხვადასხვა მიმართულებებში უხვად იყო ფილოსოფიური ინვარიანტები. უკვე თავად დროც კარნახობდა კომუნიკაციის (ურთიერთობის), როგორც ფილოსოფიური დიალოგის შიგნით პრიმატის აუცილებლობას.

ღრმად გაერკვა რა დასავლეთის ფილოსოფიური პრობლემების სპეციფიკაში, მელივილმა აღმოაჩინა ახალი დადგებითი ტენდენციები, რომლებიც საგრძნობლად განსხვავდებოდა წინა პერიოდებისგან. მათი არსი მრავალი ფილოსოფიური მოძღვრებისთვის საერთო ახალ მდგრად მომენტებში მდგომარეობდა. განიხილა რა ფილოსოფიის მეთოდები, თავად მოძღვრებების ანალიზისას წიგნის ავტორმა გამოიქვა საბჭოთა მეცნიერებისთვის „კრამოლური“ აზრი იმის შესახებ, რომ დასავლეთის ფილოსოფიამ თავისი კულტურული ფუნქციის შესრულება დაიწყო, ვინაიდან საკუთარ თავს მეცნიერულად აზროვნებაზე უარის თქმის უფლება მისცა. ეს იყო მკაფიო, გაბედული და დროული სწრაფვა ფილოსოფიის ანტროპოლოგიზაციისკენ, თავის ტენდენციებში პირველ ადგილზე ადამიანის პრობლემების წამოწევისკენ. XX საუკუნის პირველი ნახევრის ევროპული ფილოსოფიის ესოდენ გაბედული შემობრუნება მას ანთროპოლოგიურ, კულტურულ, ბიოლოგიურ ან რელიგიურ ჩარჩოებში ვეღარ დაკავებდა. თავის ევროლუციაში ის (ფილოსოფია) უფრო შორს ნავიდა და გამოავლინა ტენდენცია, რომელსაც პირობითად პირველად ეწოდა „კომუნილოგიური“. ეს ფაქტი ადასტურებდა იმის მკაფიო აღიარებას, რომ სოციუმი, ანუ ადამიანური ურთიერთობის სფერო უტყუარ რეალობად იქცა.

სწორედ ადამიანმა - ფასეულობისა და ჭეშმარიტების ერთადერთმა კრიტერიუმმა, შეძლო ფილო-სოფიის ინტერესები "სამყაროდან სოციუმზე", "გნოსეოლოგიური სუბიექტიდან კოლექტიურ სუბიექტზე" გადაეტანა და ამაში გამოიხატა სიღრმისეული ცვლილებები როგორც სოციალურ, იდეოლოგიურ, ისე კულტურულ სფეროშიც.

კომუნიკაციის (ურთიერთობის), როგორც ფილოსოფიური დიალოგის შეგნით პრიმატის ტენდენცია აა-ნამედროვე ფილოსოფიის (და არა მარტინ დასავლერის) მართლაც უმნიშვნელოვანეს ნიშანს წარმოადგენს.



ჩეიერსი ფილოსოფიური დიალოგის წარმოებისკენ მოგვიწოდებს, ლოტმანი და ლიხაჩოვი ავითარებენ ფილოსოფიასა და ენათმეცნიერებაში “კულტურათა” დიალოგის იდეას, რომელიც დღეს კულტურის ფილოსოფიის მეთოდურ პრინციპად იქცა.

“თანამედროვე წარმოდგენა მეცნიერებაზე თანამედროვე ცივილიზაციაში მისი, როგორც ლიდერის მდგომარეობასთან არის დაკავშირებული. ეს კი მის მიმდევრებში თავისებურ მეცნიერულ-თეორიულ ფანატიზმს შობს”, - აცხადებს ფილოსოფოსი ვ. მირონოვი, ამგვარი ფანატიზმი, - აღნიშნავს შემდგომ ავტორი - ყოფიერების წვდომის სხვა ფორმების უარყოფაზეა დაფუძნებული” (მიროვ, 2001, ც. 121).

ამჟამად მეცნიერებას, რომელიც ყველა ჩამოთვლილ კომპონენტს იკვლევს, ერთ შემთხვევაში კომუნილოგიას უწოდებენ, მეორე შემთხვევაში კი - კომუნიკატივისტიკას.

ჩვენ ფილოსოფიისთვის საცხებით გამართლებულად მიგვაჩნია, აღვინიშნოთ, რომ “მან აღიარა, რომ “სოციუმი” ანუ ადამიანური ურთიერთობის სფერო წარმოადგენს მოთხოვნილებას, რომელსაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ადამიანისთვის და რომელიც არა მარტო განსაზღვრავს მის პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ რწმენას და მეცნიერულ თეორიებსაც კი, არამედ მათი ფასეულობისა და ჭეშმარიტობის ერთადერთი კრიტერიუმიცაა” (მიროვ, 2001).

პირველად კომუნილოგიურ ტენდენციებზე დასავლური ფილოსოფია მაშინ ალაპარაკდა, როდესაც იმის აღარებამდე მივიდა, რომ “სოციუმი, ანუ ადამიანურ ურთიერთობათა სფერო წარმოადგენს იმ რეალობას, რომელსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს ადამიანისთვის, რომელიც არა მარტო განსაზღვრავს მის პოლიტიკურ შეხედულებებს, ფილოსოფიურ კონცეფციებს, რელიგიურ მრნამსს და მეცნიერულ თეორიებსაც კი, არამედ მათი ფასეულობისა და ჭეშმარიტობის ერთადერთ კრიტერიუმსაც წარმოადგენს”. (მელევილ, 1983, ც. 187).

წიგნში “XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფიის გზები” (მელევილ, 1983) განხილული კომუნილოგიური ტენდენციები გადმოსცემენ იმ მოძრაობის შეფასებას, რომელიც დასავლურმა ფილოსოფიამ განახორციელა “სამყაროდან სოციუმისკენ”. ეს ტენდენცია სხვადასხვა მიმდინარეობის წარმომადგენლებში ერთობ არაიდენტურად გამოიხატებოდა. ა. ბერგსონის ინტუიტივიზმი მეცნიერებასთან განხეთქილებასა და ბუნებრივი პროცესების ანტროპომორფული განმარტებისკენ მიდრეკილებაში გამოიხატებოდა. ხოლო ადამიანის ფსიქიური ცხოვრება ადამიანისზედა კოსმიურ მოვლენად იყო აღიარებული.

მელევილის წმენით, განსახილველ ტენდენციებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პრაგმატულმა მიმდინარეობამ, რომელმაც პრაქტიკულ ადამიანურ ინტერესში ფილოსოფიის საიდუმლოების, ყოფიერების და შეცნობის ყველა გამოცანის გასაღები დაინახა. მისი წარმომადგენლები ჭეშმარიტების ძიებას ზედმეტად მიიჩნევდნენ, ვინაიდან მათი აზრით, “ჭეშმარიტება უბრალოდ ის არის, რისიც, ყველაფერს ჯობია, რომ გვჯეროდეს. არ არსებობს არანაირი აბსტრაქტული ფილოსოფიური საკითხები, არსებობს მხოლოდ ცხოვრებაში სხვადასხვა სიტუაციებით შობილი ადამიანური პრობლემები”. (მელევილ, 1983, ც. 203).

ანალიტიკურმა ფილოსოფიამ გაიარა თავისი გზა “სოციუმამდე”. ამასთან ის აღიარებდა კონვენციალიზმის ანუ შეცნობისთვის ფუძემდებლური თეზისების მიღებაში მკვლევართა ნებისმიერი შეთანხმების პრინციპს. საბოლოო ჯამში შემცნების, ენის, კულტურისა და ადამიანის ცხოვრების მკვლევართა დასი მივიდა რაღაც ახალი ენის შექმნამდე, რომელიც მოვლენების უფრო წარმატებულად ახსნისა და წინასწარ განჭვრეტის საშუალებას იძლევა. XX საუკუნის ისეთ ყველაზე გამოკვეთილ ფილოსოფიურ მიმდინარეობაში, როგორიც ეგზისტენციალიზმია, სადაც გაადამიანურების ტენდენცია ერთ-ერთ შესაძლებელ უკიდურესობამდე - ანთროპოცენტრიზმამდე იქნა დაყვანილი, მოიძებნა გასასვლელები უფრო ფართო სოციალურ პრობლემატიკაზე. ეს და მელვილის მიერ განხილული სხვა ფილოსოფიური მიმდინარეობები სულ სხვადასხვა გზებით მიდიოდნენ იმის აღიარებამდე, რომ სოციალური სამყარო, ადამიანურ ურთიერთობათა სამყარო, ანუ სოციუმი, რომლიდანაც როგორც ანაქსიმანდრეს უსასრულო აღეირონა, ყველაფერი წარმოიშობა და ყველაფერი წყდება.

ფილოსოფიამ გადალახა გათიშულობა, სადაც განცალკევებამ საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებებს შორის განცალკევებამ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მკვეთრი ხასიათი მიიღო, რაც “ორი კულტურის” არსებობაზე ლაპარაკის საბაბსაც კი იძლეოდა, და მოუწოდა დიალოგისკენ, საზოგადოებრივ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ერთობისკენ, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული საქმის ასეთ ვითარებაში მოახლოებული ის ზღვარი, რომლის იქითაც ადამიანური კატასტროფა იწყება.

როგორც ჩანს, სწორედ ეს იყო ის რეალური პრობლემა, რომელიც საფუძვლად დაედო კომუნილოგურ ტენდენციას, რომელზეც ზემოთ იყო საუბარი.

იდეალისტური ფილოსოფიის ამ მეტამორფოზის გნოსეოლოგიური ფესვების დანახვა შეიძლება მეცნიერული ცოდნის ფორმირებისთვის მისი შემოწმების და დასაბუთებისათვის სოციალური ფაქტორის, სოციალური პირობების აბსოლუტიზაციაში, მეორეც - რეალური საზოგადოებრივი მოთხოვნილების ტენდენციურ ინტერპრეტაციაში, საზოგადოებრივი მეცნიერებებისგან მათი მოწყვეტილობის დაძლევაში და საზოგადოების პოზიტიური მიზნების რეალიზაციისკენ, საბოლოო ჯამში - მათ ხალხის სასიკეთოდ მიმართვაში; მესამეც, არ შეიძლება მხედველობიდან გამოგვრჩეს ის როლი, რომელიც მიკუდნის სოციალურმა ბუნებამ გადასძლია საკმაოდ ხანგრძლივ ცდომილებას, ყალბ შეხედულებებს და ცრუ ავტორიტეტებს.

საზოგადოებაში ადამიანის მდგომარეობის შეცვლის საერთო ტენდენცია გამოიხატებოდა ერთიანი მსოფლმხედველობის მოთხოვნილებაში, რომელიც კაცობრიობის ფასეულობათა ერთიან სისტემაში სუ-



ლიერ გაერთიანებას შექლებდა, სისტემაში, სადაც გლობალური პრობლემების გადაწყვეტა გულისხმობდა ომების, ეკოლოგიური კრიზისების თავიდან აცილებას, ენერგიის წყაროების, შიმშილის, კოსმოსის ათვისების პრობლემების და ურთიერთობის ყველა სხვა პრობლემის გადაწყვეტას, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ცივილიზაციის გაგრძელებისა და განვითარებისთვის, კაცობრიობა უნდა გამოდიოდეს როგორც ერთი მთლიანი, როგორც „გასაზოგადოებული კაცობრიობა“, ასეთი პერსპექტივის რეალიზება შექლობ XX საუკუნის დასავლურ ფილოსოფიაში გაჩენილ კომუნილოგიურ ტენდენციებს“.

ჩვენ მართებულად მიგვაჩინა ხაზი გაესვას დოქტორ მელვილის მეცნიერულ პატიოსნებასა და პრინციპულობას, რომელმაც გულწრფელად აღიარა დასავლური ფილოსოფიის უდიდესი დამსახურება კაცობრიობის წინაშე, სადაც აღნიშნული იყო ამ ფილოსოფიის აშკარა უპირატესობა და პროფესიონალიზმი XX საუკუნის ინტელექტუალური ფონდის ისეთი ფიგურების სახით, როგორებიც არიან გადამერი, ფუკო, კუნი, ლაკატოსი, პოპერი, ჯეიმსი, მ. ჰაიდეგერი, ჰუსელი, მ. პირსი, ა. ბერგსონი.

რუსეთში გამოცემულ ფილოსოფიის თანამედროვე სახელმძღვანელოებში დასავლური ფილოსოფიის დიდი მკვლევარის მისამართით აბსოლუტურად იდენტური სტრიქონები გვხვდება. ეს ჯერ კიდევ 1983 წელს დაიწერა, მაგრამ მიუხედავად საკითხის ასე დაყენების აშკარა ეფექტურობისა, შემოთავაზებული მიდგომა, რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, თანამედროვე ფილოსოფიის მკვლევარების ყურადღების მიღმა დარჩა. როგორც ჩანს, ეს იმიტომ მოხდა, რომ მისგან გამომდინარე დასკვნები თანამედროვე ფილოსოფიის განვითარების ტენდენციების გადმოცემის პარადიგმაში არ ენერებოდა და დასავლელი კოლეგების მიმართ მეტისმეტად „საქებარი“ იყო (Миронов, 2001, с. 121).

კაცობრიობის არსებობის ისტორიაში კომუნიკაცია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შემადგენელი იყო პიროვნების სოციალიზაციის პროცესში. თუმცა მეცნიერული ინტერესის ობიექტი ის მხოლოდ მე-20 საუკუნეში გახდა.

როგორც უკვე ითქვა, ცნებას „კომუნიკაცია“ განსაზღვრებათა ფართო სპექტრი გააჩინია. ეს ერთი ადამიანისგან მეორესთვის, ან ერთი ჯგუფისგან მეორესთვის ინფორმაციის, შეფასებების, იდეების, ემოციების გადაცემაცაა. მთავარ მომენტს ჩვენს განხილვაში წარმოადგენს სიმბოლო, რომლის საშუალებითაც ხორციელდება კომუნიკაციის აქტი. ისევე, როგორც ნებისმიერ პპრობირებულ თეორიაში, აქაც თავად ცნებისადმი არაერთმნიშვნელოვან მიდგომას ვხედავთ: ის მისი გაების ფართო არსში მდგომარეობს. ამას მიაკუთვნებენ სისტემასაც, რომელშიც ხორციელდება ურთიერთქმედება, თავად ურთიერთქმედების პიროცესი და ურთიერთობის ხერხები, რომლებიც სხვადასხვაგვარი ინფორმაციის შექმნის, გადაცემისა და მიღების საშუალებას იძლევა.

კომუნიკაცია პიროვნებათაშორისო და მასობრივი ურთიერთობის პირობებში ინფორმაციის გადაცემისა და აღქმის სოციალურად განპირობებული პროცესია, რომელიც სხვადასხვა არხებით, ვერბალური და არავერბალური საშუალებების მეშვეობით ხორციელდება.

კომუნიკაციაში ნაუმენტო ვერბალური სფეროს არავერბალურში და პირუკუ-არავერბალური სფეროს ვერბალურში გადაკოდირებასაც გულისხმობა.

როდესაც ლაპარაკია ამა თუ იმ ქმედების შესასრულებლად სხვის აუცილებელ იძულებაზე, ცხადია, რომ კომუნიკაციის პარალინგვისტურ დონეს (მიმიკა, უესტები), რომელიც სუბიექტს გაჯერებულ ინფორმაციას გადასცემს, შეუძლია ამასთან საერთოდ გამორიცხოს მოქმედების იძულება. ზედმეტი არ იქნება აღინიშნოს თავად ტერმინის პოლისემიურობა თუნდაც მისი ყოფით და მეცნიერულ დონეზე აღქმის ფარგლებში. პირველ შემთხვევაში ლაპარაკია მის ნებისმიერი კონტაქტების დამყარების უნარზე. მეორეში გაგების ჩვეულებრივ დონეზე დაფუძნებული ზოგი მეცნიერული განსაზღვრება კომუნიკაციას ურთიერთობისგან არ განასხვავებს.

ნაუმენტო ცნებების: „კომუნიკაცია“, „ურთიერთობა“ აღრევაზე მიუთითებს, რამეთუ „დიალოგი“ ურთიერთობის, ხოლო მართვა კომუნიკაციის მახასიათებელია ამ სიტყვის მკაცრი გაგებით. მახასიათებელი შეიცავს საქმიანობის ფაქტებს.

დიალოგი რომელი აზრების მატარებელია? როგორია ამ განსაზღვრების კონცეპტი ურთიერთობის დახასიათებისას? როგორია მისი თავისებურება, თვისება? ცნობილია, რომ თავისების კატეგორია აფიქ-სირებს ცოდნას ურთიერთობათა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ტიპის შესახებ. მისი გაშიფრის არეულ-დარეულ სისტემაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ჩვენი აზრით, კომუნიკაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, საკმაოდ რთული ფენომენის შესწავლაში მეტ-ნაკლებად სერიოზულად წინ წაწევა ჩვენ მიერ დასახული მიმართულებით, გაგების საკითხების გვერდის ავლით შეუძლებელია. განსაკუთრებით აქტუალურია ის დღეს, როდესაც სხვადასხვა მასშტაბის კონფლიქტების საფუძველში ცხადად ჩანს სწორედ გაგების უქონლობა, გარდა ამისა, თავად სიმბოლო არის გამტარი - მედიუმი არცოდნიდან ცოდნისკენ, შემდეგ კი - დაფარულის გაგებისკენ.

გაგება ხშირად ინდივიდუალური შემეცნების ფსიქოლოგიამდე დაჭყავთ. მაგრამ თუ გაგების, როგორც უნივერსალური პროცესის, ზოგად თეორიულ-შემეცნებით სტატუსს გამოვავლენთ, შეიძლება მისი ობიექტური, არაპიროვნული მეცნიერული ახსნის არსებობაში მაინც დავრწმუნდეთ.

ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში განმარტების ხელოვნებას სხვადასხვა პროცედურებს უთმობენ. პირველ შემთხვევაში საქმე თეოლოგიურ (მიზნობრივ) ახსნასთან გვაქვს, მეორეში - კაზუალურთან ანუ მიზეზობრივთან.

აღნიშნული პრობლემების სპეციალისტი, ბელგიელი მეცნიერი გ. პარე თვლის, რომ შეიძლება გაგების თეორია არიენტირებულ იყოს, ჯერ ერთი ევრისტიკულად, ანუ ახალი ცოდნის მიღების პროცედურებზე და „დაფარული აზრების“ გამოვლენაზე. მეორე ორიენტაცია, პარეს მიხედვით, პრაგმატულ სიბ-



რტყელი ძევსა ანუ იგი უფრო ხშირად პრატიკულ შემცნებაში, კომუნიკაციაში, თარგმანში გამოიყენება. და ბოლოს, მესამე, ორიენტაცია მიმღინარეობს ეპისტემოლოგიურ დონეზე, ცოდნის თეორიის აგებაზე.

ვიდრე გაგების არსს გამოვავლენდეთ, ცოდნის პრობლემაზე უნდა შეკვერდეთ. თურმე ადამიანს არ ძალუძალ გაიგოს ის, რაზეც არანაირი წარმოდგენა არა აქვს. აზრის ამ კვანძის გახსნისას, ფსიქოლოგები მიმართავენ ცნობილ ბულგარულ ანეკდოტს იუმორისტების ცნობილი ქალაქის, გაბროვოს მაცხოვრებლის შესახებ, რომელმაც ინდოელი ქალღმერთის, ჩანდრას დანახვაზე შესძახა: “აი როგორი მუშა მჭირდება!“ ბუნებრივია, ანეკდოტი იმ ადამიანის სიცილს გამოიწვევს, რომელმაც იცის, რომ ქალღმერთ ჩანდრას ექვსხელიანს გამოსახავენ, ხოლო გაბროველები თავიანთი გადამეტებული ხელმომჭირნებითა და ფხიანობით გამოიჩინებიან. მაშასადამე, ანეკდოტის შინაარსის ამხსნელი ზოგიერთი ვითარების წინასწარი ცოდნის გარეშე მისი გაგება შეუძლებელია.

ცოდნა და გაგება იგივური ცნებები არ არის, თუმცა კი ერთმანეთთან საკმაოდ მჭიდროდაა დაკავშირებული. ნათელი ხდება, რომ ცოდნა ერთგვარ გაგებას გულისხმობს, ისევე როგორც გაგება მხოლოდ გარკვეული ცოდნის კონტექსტშია შესაძლებელი. თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობისას რწმუნდები, რაოდენ მართალი არიან მკვლევარები, რომლებსაც “გაგების გაგებათა” ასეთი მრავალგვარობა აკვირვებს.

მ.ა. ოზოვი წიგნში „მეცნიერული ცოდნის სტრუქტურა და განვითარება. სისტემური მიღვომა მეცნიერების მეთოდოლოგიისადმი“ (Розов, 1985) აღნიშნავს: „ცოდნა ტალღას ჰგავს, რომელიც გარკვეულ გარემოში რომ ვრცელდება, სულ ახალ-ახალ მასალას იმატებს, თუმცა ამასთან იმავე ტალღად რჩება. ამ თვალსაზრისით, ხელნაწერის ტირაჟირებისას ჩვენ ვზრდით იმ „აუზის“ ფართობს, რომლის ზედაპირზეც შეუძლია ჩვენს ტალღას ცხოვრება“. (Розов, 1985, ст. 24). როზოვისეული განმარტება ისევ და ისევ იმ ანეკდოტით აიხსნება კარგად, სადაც იმაზეა ლაპარაკი, რომ თუ მე და შენ თითო ვაშლი გვაქვს და მე შენ ჩემსას მოგცემ, შენ ორი ვაშლი გექნება, მე კი არცერთი, მაგრამ თუ თითოეული ჩვენგანი მეორეს თავ-თავის იდეას გაუზიარებს, ძაშინ თითოეული ჩვენგანი ერთის არსებობის პირობებში ერთბაშად ორი იდეის მფლობელი გახდება.

ცოდნა შესწავლის სპეციფიკური საგანია. სად არის კონკრეტული ცოდნა? ყველაზე - სტამბის სა-ლებავის ლაქებშიც, ბერით რხევებშიც და ქიმიურ რეაქციებშიც, ისევე როგორც კომუნიკაციურ სივ-რცეში და მარათონელი მორბენლის უკანასკნელ შეძახილშიც - “ჩვენ გავიმარჯვეთ” და ბიბლიისეულ “პირველად იყო სიტყვაშიც”.

ყოველი მეცნიერება, ისევე როგორც მეტ-ნაკლებად სპეციალური ცოდნის ნებისმიერი განვითარებული სისტემა, განსაკუთრებულ ენაზე გადმოიცემა. ეს ენა შეიძლება ნაკლებად განსხვავდებოდეს ჩვეულებრივი, ბუნებრივი ენისგან, ყოფიერებაში რომ გამოიყენება და ყოველდღიურ პრაქტიკულად აუცილებელ ინფორმაციას რომ შეიცავს. ხოლო ფორმალური ნიშნური სისტემის ცრებათა ენად გადაქცევისთვის აუცილებელია ინტერპრეტაციის მიმატება, ჩვენს შემთხვევაში ვაპირებთ ეს სიმბოლოს მეტვეობით მოვახდინოთ, რომელიც აზრისა და მნიშვნელობის გარკვევაში დაგვეხმარება. მაგრამ იმის მისაღებად, რასაც ვეძებთ, აუცილებლად უნდა გაკეთდეს ის, რასაც მეცნიერებაში კუმულატიურობა ეწოდება, რომელიც ზოგჯერ გულისხმობს ამა თუ იმ მეცნიერული დისციპლინის უნარს მთლიანად ან ნაწილობრივ, ოლონდ ცვლილებების გარეშე ჩართოს თავის შემადგენლობაში სხვა მეცნიერული დისციპლინების შინაარსი ისე, რომ ერთგვარად მხარი აუაროს შესასწავლი მასალისადმი დიფერენცირებული მიღომის წესებს, ვინაიდან კომუნიკაციური სივრცის საკითხი მეტად მრავალმნიშვნელოვანია და აქ ხმირად აქვს ხოლმე ადგილი სიტუაციებს, როდესაც სიტყვას “კომუნიკაცია” სხვადასხვაგვარი, თუმც კი რაღაც თვალსაზრისით დახალოებული და მონათესავე მნიშვნელობაც კი აქვს. რიგი კონცეფციების, სახელდობრ კიბერნეტიკული, ინფორმაციული, კოგნიტიური, ინტერპრეტაციული კონცეფციების შექმენი იკვეთება კომუნიკაციური საქმიანობის ახალი სახე, როგორც ფუნქციათა რთული კომპლექსი, რომელიც სხვადასხვაგვარ კონდასა და შემოქმედი ბიტებით უნარებს შობს.

## გამოყენებული ლიტერატურა:



8. Барг М.(1989). Эпохи и идеи. Москва
9. Березин В.(2003). Массовая коммуникация. Сущность, каналы действия. Москва.
10. Ветров А. ( 1969). Семиотика и ее основные проблемы. Москва.
11. Кассирер Э. (1998). Избранное. Опыт о человеке. Москва.
12. Почепцов Г. (2001). Теория коммуникации. [www.u.ru/biblio/archive/pochepcov\\_teoriya/00.asp](http://www.u.ru/biblio/archive/pochepcov_teoriya/00.asp)
13. Псевдо-Дионисий Ареопагит. [http://krotov.info/library/m/meyendrf/patr\\_25.htm](http://krotov.info/library/m/meyendrf/patr_25.htm)

## ელზა ლომიძე

კომუნიკაცია, როგორც პიროვნული ცოდნის სფერო

### რეზიუმე

კაცობრიობის არსებობის ისტორიაში კომუნიკაცია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შემადგენელი იყო პიროვნების სოციალზაფიის პროცესში. თუმცა მეცნიერული ინტერესის მხოლოდ მე-20 საუკუნეში გახდა. კომუნიკაციის თეორიის მრავალი ინტერპრეტაცია, გაქმნარტება, ხედვა არსებობს. კ. შენონისა და უ. ივერის კომუნიკაციის თეორია ყველაზე ზოგადი და მარტივია (1949), რომელიც გვთავაზობს კოდების სამსახეს: რეალობიდან გამოსახულებებზე, რეალობიდან ენაზე და გამოსახულებიდან ენაზე გადასვლისას. თავად კომუნიკაციამ და მისმა თეორიამ განიცადა მრავალმხრივი და საინტერესო განვითარება მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში და აისახა კრეიიგის, ბერეზინის, მელვილის, კარნეგის, მირონოვის, მაკლუენის, დებრეს და სხვათა თეორიებში. სხვადასხვა კონცეფციები ნარმოაჩენს კომუნიკაციური საქმიანობის, როგორც ფუნქციათა რთული კომპლექსის ახალსახეობას, რომელიც სხვადასხვა გვარცოდნასა და შემოქმედებით უნარებს მოითხოვს. ანალიტიკურმა ფილოსოფიამ გაიარა თავისი გზა „სოციუმამდე“. ამასთან ის აღიარებდა კონვენციალიზმისა ნუ შეცნობისთვის ფუძემდებლური თეზისების მიღებაში მკვლევართა ნებისმიერი შეთანხმების პრინციპს. კომუნიკაციის, როგორც ფილოსოფიური დიალოგის შიგნით პრიმატის ტენდენცია თანამედროვე ფილოსოფიის მართლაც უმნიშვნელოვანეს ნიშანს ნარმოადგენს. რიგი კონცეფციების, სახელდობრ კი ბერნეტიკული, ინფორმაციული, კოგნიტიური, ინტერპრეტაციული კონცეფციების შუქზე იკვეთება კომუნიკატური საქმიანობის ახალი სახე, როგორც ფუნქციათა რთული კომპლექსი, რომელიც სხვადასხვაგვარ ცოდნასა და შემოქმედებით უნარებს შობს.

ElzaLomidze

### COMMUNICATION AS THE FIELD OF PERSONAL KNOWLEDGE

#### Summary

Communication in the humankind history was one of the most important components of an individual's socialization process. But became the object of scientific interest only in the 20th century. There are many interpretation, definition and vision of communication theory. Communication theory by K.Shenon and U.Iveri is the most general and simple (1949). It suggests three types of codes. Moving from the reality to image, from reality to language and from image to language. Itself communication and its theory have made comprehensive and exciting development in the second half of the 20th century and was reflected in the theories of Craig, Berezini, Melville, Carnegie, Mironov, Maklueni and Debre. Different concepts demonstrate new species of communicative activities as a complex process, which requires a variety of knowledge and creative skills. Analytical philosophy passed the way up to „society“.

At the same time, he was admitting principles of any agreement in fundamental thesis of conventionalism. Communication as the trend within the primacy of philosophical dialogue is really the most important feature. On the number of concepts such as cybernetic, informational, cognitive is revealed new face of the communicative work(activities),which creates a variety of knowledge and creative skills.



## სათურა მემანიშვილი

### „მგზავრის ცენტრის“ სტილი

ილია ჭავჭავაძის ადრეულ ნაწარმოებებს შორის ცალკე დგას „მგზავრის წერილები“, რომელიც არ ემსგავსება დანარჩენებს თავისი კომპოზიციური თავისებურებებისა და ზოგადი შინაარსის გამო. ილიას თხზულებებისათვის, საზოგადოდ, არ არის დამახასიათებელი საკითხთა სიმრავლე. მისი მიზანი დასმული პრობლემის კონკრეტულად, ნათლად, სილრმივი განსახიერებაა. ნაწარმოებში „ილია ჭავჭავაძე ცოტას შესახებ ლაპარაკობს, მაგრამ მის შესახებ რაც შეიძლება ბევრს ლაპარაკობს, მას სრულად ახასიათებს“ (ილიას კრებული, 1998, გვ. 69). ასეთ ვითარებაში „მგზავრის წერილები“ გამოიჩინა როგორც მასში განხილული საკითხების სიმრავლით და ნაირგვარობით, ისე განსახიერების ზოგადი ხასიათით. როგორც მიუთითებენ, „ილია ჭავჭავაძის ყველა პროზაულ ქმნილებას ეროვნულ-სოციალური პრობლემატიკის უაღრესად კონკრეტული განსახიერების შემთხვევაშიც ყოველთვის თან ახლავს განხილვის ზოგადი ასპექტი, მაგრამ ყველა სხვა თხზულებისაგან განხსხვავებით, ... „მგზავრის წერილები“ ყურადღებას, პირველ ყოვლისა, სწორედ თავისი ზოგადი შინაარსით იქცევს“ (ლ. მინაშვილი, 1995, გვ. 354). ეს მოთხრობა მიჩნეულია საპროგრამო ნაწარმოებად, რამდენადაც მასში თავი მოიყარა ყველა იმ იდეამ, რომელთათვისაც ილია ჭავჭავაძეს არ უდალატია მთელი თავისი მხატვრულ-პუბლიცისტური შემოქმედებისა თუ პრაქტიკულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის მანძილზე. „მგზავრის წერილებში“ მოცემულია მკვეთრად ჩამოყალიბებული პოლიტიკური პროგრამა“, — ნერს პავლე ინგოროვა, — „საქართველოს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიამ ამ ნაწარმოებში ჰპოვა თავისი სრულყოფილი გამოხატულება“ (პ. ინგოროვა, 1957, გვ. 86).

„მგზავრის წერილები“ დაწერილია 1861 წელს — ასე დაათარიღა ეს მოთხრობა ილია ჭავჭავაძემ „ქართველთა ამხანაგობის“ გამოცემაში, რომელიც მის სიცოცხლეშივე, 1892 წელს განხორციელდა. მიუხედავად ამისა, ეს ნაწარმოები პირველად 1871 წელს დაიბეჭდა უურნალ „კრებულში“, ისიც შემოკლებული და ცენზურისაგან დამახინჯებული სახით. პავლე ინგოროვა მოგვითხრობს, რომ ეროვნული იდეალების გამოხატვამ „ყოველგვარი დიპლომატიური“ საფარველის გარეშე“ გამოიწვია ის, „რომ ცენზურას 60-იან წლებში აუკრძალავს მისი დაბეჭდვა“ (პ. ინგოროვა, 1957, გვ. 86). თავდაპირველად მოთხრობას „ვლადიკავკასიდამ ქალაქამდე“ ერქვა, შემდეგ — „მგზავრის წერილებიდამ“ და ბოლოს „მგზავრის წერილები“, თუმცა ავტორმა პირვანდელი სათაური მცირეოდენი ცვლილებით მაინც შეინარჩუნა მინაწერის სახით. „ვლადიკავკასიდამ ტფილისამდე“, — გვაუწყებს ეს მინაწერი. თუმცა თხრობა რეალურად ფასანაურისაკენ მიმავალ გზაზე წყდება. შესაძლებელია, ესეც იყოს თავდაპირველი სათაურის შეცვლის ერთი მიზეზი.

„მგზავრის წერილების“ კომპოზიციის თავისებურებამ ერთი შეხედვით შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ეს ნაწარმოები მოგზაურულ უანრს განეკუთვნება. იგი ცალკეული ეპიზოდებისაგან შედგება, რომელთაც მოგზაურის ჩანანერების სახე აქვს. ეს ეპიზოდები სრულიად დამოუკიდებელია ერთმანეთისაგან შინაარსობრივად. თითოეული მათგანი კონკრეტული აზრისა და იდეის მატარებელია და ინდივიდუალური დატვირთვა აქვს. მაგრამ მოგზაურული უანრი, ცხადია, არ გულისისმობს იდეური თვალსაზრისით ცალკეული ჩანანერების ერთ მთლიანობად გააზრებას. „მგზავრის წერილების“ ეპიზოდები კი „ერთმანეთან დაკავშირებული არიან მწყობრი თვალსაზრისით“ (ლ. მინაშვილი, 1995, გვ. 356). ამდენად, საფიქრებელია, რომ მწერალმა ახალგაზრდა ინტელიგენტის მოგზაურობა უძრავლოდ კომპოზიციურ დერძად გამოიყენა, რამაც პრაქტიკულად სრული თავისუფლება მისცა, სურვილისამებრ გამოეხატა თავისი სათქმელი. მითითებულია, რომ „მოგზაურობის კომპოზიციურ დერძად გამოიყენება უძველესი გზაა მხატვრულ ლიტერატურაში. ამ ფორმას მიმართავდნენ სხვადასხვა ლიტერატურული ინტერესებისა და ესთეტიკურ-მხატვრული ამოცანების რეალიზებისას. ასეთი თხზულება კომპოზიციურად იძლევა ერთობ ფართო, ფაქტობრივად შემოუსაზღვრელ შესაძლებლობებს ... მწერლის დაკვირვებების, შთაბეჭდილებების, მოსაზრებების, იდეების გადმოშლის თვალსაზრისით“ (ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, 2003, გვ. 96), რადგან ასეთ შემთხვევაში ავტორი არ არის შეზღუდული ამბის განვითარების აუცილებლობით და ასასახავ მასალას ირჩევს არა ფაბულიდან გამომდინარე.

„მგზავრის წერილები“, მართალია, არ ემორჩილება მთლიან სიუჟეტურ ხაზს — ამბის განვითარებით, კულმინაციით, კვანძის გახსნით, მაგრამ, თუ დავაკირდებით ამ მოთხრობის აგების თავისებურებას, აღმოვაჩინთ, რომ ეს მონახაზი აზრობრივ სიბრტყეზეა გადატანილი. „მგზავრის წერილებში“ ეპიზოდების განლაგებას მათში გამოხატული აზრი განსაზღვრავს. თითოეულ ეპიზოდს, როგორც აღინიშნა, დამოუკიდებელი აზრობრივი დატვირთვა აქვს, მაგრამ ყოველი მომდევნო მონაკვეთი წინასთან ერთად მწერლის თვალსაზრისის მეტი სისავსით ჩვენებას უწყობს ხელს. ასე მივყავართ ავტორს აზრობრივ კულმინაციამდე, რომელიც უკანასკნელ, მოხევესთან შეხვედრის ეპიზოდზე მოდის: რეალისტური ასახვის მინვენელობა, რამაც საზოგადოებას თვალი უნდა აუხილოს, განათლების აუცილებლობა, „ქვეყნის სიკოცხლისა და ღონის მომცემი“ მოძრაობა, გამუდმებული სიფხი ზღვე, ზრუნვა მამულისათვის და სხვ. — ის საკითხებია, რომელთა გააზრებასა და ცხოვრებაში რეალიზებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლის გზაზე. ნაწარმოებში აზრობრივი კულმინაცია სწორედ ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეა, რომელიც ლელო ღუნისა სიტყვებითაა გამოთქმული. კვანძის ერთგვარ გახსნად კი უკანასკნელი თავი უნდა მივიჩნიოთ, სადაც ნაწარმოების მთავრი მიზანდასახულება უკვე სრულიად აშკარად, ყოველგვარი მხატვრული სამოსის გარეშეა გაცხადე-



ბული. იგი ფორმით მართლაც დაფარულის გამოაშკარავებას ჰქონდა, რადგან იწყება სიტყვებით: “მიგიხ-ვდი, ჩემო მოხევევ...”. უნდა დავასკვნათ, რომ “მგზავრის წერილებში” ილია ჭავჭავაძის ამოცანაა გვიჩვე-ნოს, რა და რა პირობა უნდა შესრულდეს იმისთვის, რომ სასურველ იდეალს მივაღწიოთ. ამ მიზანს ეკვემ-დებარება მოთხოვობის ხასიათიც და კომპოზიციაც, რაც მწერლის “მიზანდასახულობის მოწოდების ფორ-მაა, მისი სურვილების, სწრაფვის და თვალსაზრისის გადმოშლის და აგების რაგვარობა” (გრ. კიკნაძე, 1978, გვ. 95).

მითითებულია, რომ “მგზავრის წერილები” არის მჭევრმეტყველური პროზის შესანიშნავი ნიმუში” (ლ. მინაშვილი, 1995, გვ. 354). როგორც ცნობილია, “მჭევრმეტყველების ხელოვნების მეთოდი დარწმუნე-ბის მეთოდი” (არისტოტელე, 1981, გვ. 33). შესაბამისად, ამგვარი პროზა დიდი ზემოქმედების ძალის მქო-ნეა. “მჭევრმეტყველებისაკენ მისწრაფება თავის განმარტებასა და გამართლებას მომეტებულად იმაში პოულობს, რომ ერის ჩაგვრის პირობებში მწერლის შემოქმედებამ მოწოდების როლი უნდა შეასრულოს”, — წერს გრიგოლ კიკნაძე. ამდენად გასაგებია, რომ ილია ჭავჭავაძის “სოციალური შინაარსით დატვირ-თული პოეზიაც მჭევრმეტყველურ მოწოდებას წარმოადგენს” (ახალი ქართული ლიტერატურის ისტო-რია, 1956, გვ. 282).

რამდენადაც “მგზავრის წერილები” გარეგნული ფორმის თვალსაზრისით მოგზაურის ჩანაწერება-დაა ჩაფიქრებული, ბუნებრივია, მოთხოვობილია პირველ პირში. ეს ამ თხზულების თავისებურ ხასიათს განსაზღვრავს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ თავისი შემოქმედების ადრეულ ეტაპზე ილია ჭავჭავაძისათვის საზოგადოდ იყო დამახასიათებელი პირველ პირში თხრობა. ამ პერიოდში შექმნილ ნაწარმოებთა უმეტე-სობა სწორედ პირველი პირითაა გადმოცემული. საფიქრებელია, ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძისათვის უფრო მისალები იყო ის გზა, რასაც პირველი პირით მთხოველს სთავაზობს გამოხატვის ეს ფორმა. პირ-ველ პირში თხრობას აქვს ისეთი თავისებურებები, რომელიც მას სპეციფიკურ ხასიათს სძენს. მაგალი-თად, “გადმოცემის ამ ხერხს ის უპირატესობა აქვს, რომ ... მხატვრულ ნაწარმოებს ერთგვარ დახშულო-ბის იერს აძლევს, მკითხველს ფაქტების და გარემოებათა დამატების შესაძლებლობას უზღუდავს” (ილი-ას კრეპული, 1998, გვ. 59). ეს საფუძველს ქმნის იმისთვის, რომ მკითხველის უურადღება კონცენტრირდეს სწორედ იმ საკითხებზე, რომელთაც მწერალი განიხილავს, და გაყვეს მსჯელობის ავტორის მიერვე შემო-თავაზებულ გზას. ამგვარი თხრობის დამახასიათებელი ნიშანია, აგრეთვე, ემოციურობა. ეს განპირობე-ბულია, ერთი მხრივ, იმით, რომ პირველი პირი ყოველთვის გადმოსცემს ისეთ ფაქტსა თუ მოვლენას, რომლის უშუალო მონანილეც თავად არის ან რომელიც განცდილია მის მიერ. ამასთან, ეს ფაქტები და მოვლენები გატარებულია მისი ცნობიერების ცხრილში და, ამდენად, პირველ პირში მთხოველი მათდა-მი თავის სუბიექტურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს. შესაბამისად, გადმოცემის ეს ხერხი, სხვა ფორმებ-თან შედარებით, მეტი ემოციურობით ხასიათდება. ეს დამაჯერებლობას ჰმატებს მონათხრობს და დიდი ზემოქმედების ძალის მქონეა, რამდენადაც თხრობაში გამოხატული მღელვარება გადადის მკითხველზე და მას ამბის აქტიურ მონაწილედ აქცევს. მთხოველის სუბიექტური გრძნობებისა და განცდების გად-მოშლა, მისი დამოკიდებულებების, მისი ფიქრების მიმართულების უშუალო გაცხადება თვალსაჩინოდ ხატავს მწერლის შინაგან ბუნებას. მეითხველი ითავისებს მისი აზროვნების პროცესის თავისებურებას და ღრმად იქრება მისი მსოფლმხედველობის სამყაროში. ასეთ ვითარებაში მკითხველი უკვე უბრალო მა-ყურებლის როლში კი აღარ გამოდის, გარკვეულწილად მწერლის თანამოაზრედ, მის თანამონაწილედ იქ-ცევა. გადმოცემის ამ ხერხის ღირსება ისაა, რომ უფრო მისაწვდომს ხდის მწერლის აზრს და მისი იდეები მკითხველამდე დაუბრკოლებლად მიაქვს.

სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალჯერაა მითითებული ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა პერსო-ნაჟების შთამბეჭდაობის შესახებ. მათი სახეები ლრმად იბეჭდება მკითხველის ცნობიერებაში და მისი თა-ნამდევი ხდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ზემოქმედების ასეთი ძალის მისაღწევად ილიას სხვა-დასხვაგვარი სტილისტური საშუალება მოეპოვება. პერსონაჟის გამოკვეთის მისეული მანერა მრავალ-ფეროვანია და არაერთი კომპონენტისაგან შედგება. ამას “მგზავრის წერილების” პერსონაჟთა დახასია-თების მეთოდზე დაკვირვებაც ცხადყოფს. ერთ შემთხვევაში ის გარეგნული ნიშნების მოწოდების საშუა-ლებით შინაგან ბუნებაზე ხაზგასმაში მდგომარეობს. პერსონაჟის ამგვარი დახასიათება ხშრად აღებეჭდი-ლია პლასტიურობითაც, რაც სახეს თვალსაჩინოებასა და შთამბეჭდაობას მატებს — ცნობილია, რომ “გა-მოთქმის თვალსაჩინოება არის საგნის გამოსახვა მის მოქმედებაში” (გრ. კიკნაძე, 1999, გვ. 14). სხვა შემ-თხვევაში მწერალი გმირის ბუნების ნათელსაყოფად ე.წ. “პირდაპირ დახასიათებას” მიმართავს, რომე-ლიც მისი ხასიათის თავისებურებათა იმთავითვე ჩამოთვლას გულისხმობს. ამ ხერხში თავს იჩენს “ილიას მანერა მკაფიობადისა, სინათლისა და სხარტად გადმოცემისა” (ილიას კრებული, 1998, გვ. 57).

ზემოთქმულს “მგზავრის წერილების” პირველივე ფრაზები ადასტურებს: “დილის ექვსი საათი შეს-რულდა თუ არა, ... რუსის პირ-დაუბანებმა და თავ-დაუვარცხნელმა “იამშჩიკმა” ფოსტის პოვოსკა მოა-ყენა”. იქვე აღნერილია “სქელ-ესერა “იამშჩიკის” ბრივი სახე, იმისი იყრაყული სანახაობა, იმისი მი-დუნ-მოდუნებული ზღაზვნა, უადამიანო და პირუტყვული მიხვრა-მოხვრა”. ეს ჩამონათვალი მოკლეა, მაგრამ უაღრესად მეტყველი, რამდენადაც აქ ხაზგასმულია ისეთი დეტალები, “რომელთაც განსაკუთრე-ბით მკვეთრად შეუძლიათ გარკვეული წარმოდგენა შეგვიქმნან დასახასიათებელ ობიექტზე მთლიანად” (გრ. კიკნაძე, 1999, გვ. 209).

შთამბეჭდილება, რომელსაც ეს პერსონაჟი ახდენს, უფრო მძაფრი და დამაჯერებელი ხდება ცოტა ქვემოთ, სადაც “ჯერ არ-გამოფხიზებულმა “იამშჩიკმა” “პოვოსკა” უნდა დაძრას. აქ იგი მოქმედების პრო-ცესშია წარმოდგენილი: “პოვოსკა ჩემს ჩაჯდომაზედ შეტოკდა. “იამშჩიკმა” თვალები აახილა და მე ბლვერა დამინერ. მერე აკრიბა სადავები, “მწუო, მწუო,” დაუნრუნუნა უქმელობისაგან გადალეულს და ყურებჩა-



მოყრილს ცხენებს და მოულერა შოლტი. ...Ну, чо-о-рт, трогай что-ли! — да онувира “иаმშჩიკმა”, аიქნივა სა-დავენი და ფეხებითაც ტყაპუნი დაიწყო.” თუმცა ცხენების დაძვრა ვერ მოახერხა. უხერხულ მდგომარეობა-ში აღმოჩენილ მგზავრს გაეცინა. “იამშჩიკმა” თავისი ძროხის თვალები ჩემპენ მწყრალად მოიბრუნა და ისე მრისხანედ შემომიბდვირა, თითქო მემუქებოდა, შენც ეგრეო.” როგორც მიუთითებენ, “თუ რას ფიქრობს პერსონაჟი, და საერთოდ, რას ნარმოადგენს იგი — ეს მას სახეზეც აწერია და მისი მოძრაობებიდანაც ჩანს. ამ გარეგამოვლენილ მოქმედებათა აღნერის საშუალებით ილია ჭავჭავაძე სავსებით ნათლად ნარმოვიდ-გენს პერსონაჟის ხასიათის ძირითად ნიშნებს” (გრიგოლ კიქნაძე, 1999, გვ. 212).

გამოსახვის ორივე ზემოხსენებული საშუალების გამოყენებითაა დახასიათებული რუსი ოფიცე-რიც. ახალგაზრდა მოგზაური მოგვითხრობს, რომ მისი ოთახის კარი გაიღო და “ერთმა რუსის აფიცერმა შემოჰყო თავი. იმისი სახის მეტყველება ამჟღავნებდა, რომ ღვინოსა და არაყს ძალიან დაახლოვებით იც-ნობდა.” მგზავრმა ოფიცერს თავი “სომხის სოვდაგრის დახლიდრად” გააცნო. “—დახლიდარიო! — თქვა [პიდპორუჩიკმა] და ტუჩები აიპრუნა... მყისვე დიდაცური სანახაობა მიიღო: მხრები მოიმარჯვა, ის პირ-ველად მორიდებული ლაპარაკი სხვა ჰანგზედ შესცვალა.”

პერსონაჟის ხასიათის გამოვეთის ზემოთ განხილულ მეთოდებს მიმართავს ილია ჭავჭავაძე ლელთ ლუნიას დახასიათების დროსაც. მისი საქციელის ჩვენება ააშკარავებს, რომ, რუსი ოფიცერისაგან განსხვა-ვებით, მოხევისათვის ოდნავადაც არა აქვს მნიშვნელობა თანამგზავრის ნამომავლობას. ლელთ ლუნიას გარეგნობასა და მოქმედებაში ხაზგასმული დამახსიათებელი ნიშნები შთამშეჭდავად გამოკვეთს მის ში-ნაგან სამყაროს: “ჩემი მოხევე სანახავად ღირსი იყო. იგი, თითონ ზორბად მოსული, იჯდა ერთს პატარა მთის ცხენზედ, რომელიც თითქმის მთელს გზას მგლურის ძუნძულით სასაცილოდ მოძუნძულებდა. ჩემს მოხევეს ჩამოეფხატა ბანჯგვლიანი ქუდი თვალებზედ და ისე გარიზდებული იღვა განიერ უნაგირზედ გა-დაბოტებული, ისე არხენიად და გულაუმლვრევლად აყოლებდა თავის ახოვანს ტანს ცხენის ძუნძულს, ისეთის დამშვიდებით და განცხრომით აბოლებდა თავის ჩიბუხსა, რომ გეგონებოდათ — ამისთანა ქეიფში სხვა კაცი ძნელად თუ იქნება დედამიწის ზურგზედათ.” როგორც ვხედავთ, აქ “საწყისია სწორედ ადამია-ნის მოქმედება და უკანასკნელზე დაყრდნობით და მის ფონზე არის გადაშლილი ადამიანის განცდები” (გრიგოლ კიქნაძე, 1999, გვ211).

მოხევის ნაწარმოებმი შემოყვანისთანავე ილია ჭავჭავაძე მკითხველს თავად აცნობს მის ლირსე-ბებს და ამით ხელს უწყობს ამ პერსონაჟის ბუნების იმთავითვე ნათელყოფას. იგი წერს: “ჩემი მოხევე ძა-ლიან კაცი გამოიდგა. იგი იყო ჭალარა-მორეული, ხანში შესული კაცი. ბოლოს გამოჩნდა, რომ იგი თვალ-ყურ-მადევარიც ყოფილა იმ პატარა ქვეყნისა, რომელიც მის გარეშემო ბედს შემოეხაზა და რომელიცა იმის უფერულის ცხოვრების მისაცევე-მოსაცევად დაენიშნა.” ამ დახასიათებაში მკაფიოდ იკვეთება არა მხოლოდ მოხევის ხასიათი, არამედ მწერლის მისდამი დამოკიდებულებაც. მიზანი აშკარაა — ავტორს სურს, ლელთ ლუნიას მკითხველის საგანგბო ყურადღება მოუპოვოს. როგორც მიუთითებენ, “თავიდანვე ცხადად არა მარტო საკითხის დაყენება, არამედ საკითხისადმი ავტორის დამოკიდებულების გამოკვეთა, მკითხველისაც სრულიად გარკვეულ მდგომარეობაში აყენებს” (ილიას კრებული, 1998, გვ. 64). სამეცნიე-რო ლიტერატურაში ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძისათვის, როგორც მწერლისათვის, საზოგადოდაა და-მახასიათებელი განხილული პრობლემისადმი თავისი დამოკიდებულების ჩვენება. ილიას არ ჩვევია ამბის პირისპირ მკითხველის მარტო დატოვება. მის თხზულებებში ყოველთვის ჩანს ავტორი, რომლის კონკრე-ტული შეფასებები მაჩვენებლად იქცევა სწორი დასკვნის გამოტანის გზაზე. ასეთივე დანიშნულება აქვს მნიშვნელოვანი ამბის გადმოცემამდე წინასწარ შემზადებას, ერთგვარ შესავალს, რასაც, ჩვეულებრივ, ვხვდებით ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებში. მისი ფუნქცია საფუძვლის მომზადებაა იმისათვის, რომ ნათ-ქვამმა მიზანს ზუსტად მიაღწიოს და მკითხველში შესაბამისი გამოძახილი ჰპოვოს. ნაწარმოებში ლელთ ლუნიას შემოყვანას უშუალოდ უძღვის წინ ასეთი შესავალი: “კარგია გაღვიძებული ადამიანი! მაგრამ უფ-რო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურებით გულ-აღტყინებულსა. ჩემო ლამაზო ქვეყანავ, არიან ამისთანანი შენში? მე მოვნახავ და, თუ ვიპოვე, ვეთავყანები.” ეს სიტყვები საგანგებოდ გვამზადებს მოხევესთან შესახევდრად, რითაც ავტორი, მისივე სიტყვით, “დიდად კმაყოფი-ლი დარჩა.” ასეთი მჭევრმეტყველური შესავლის სტილისტური ფუნქცია ნათელია — მან მკითხველს ამ ერთი შეხედვით უბრალო მთის კაცის გამორჩეულობა უნდა აგრძნობინოს; დაანახოს, რომ ის ჩვეულებ-რივი უბირი გლეხი კი არის, არამედ ქვეყნის “თვალ-ყურ-მადევარი” მამულიშვილია, და მის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი გაუდვიძოს. ილია ჭავჭავაძისათვის დამახასიათებელი ამ ხერხის გამოყენე-ბა ლელთ ლუნიას შემთხვევაში მოხმობს, რომ მწერლის მთავარი სათქმელი სწორედ ამ პერსონაჟის პირი-თაა გამოთქმული. მასთან საუბარში იკვეთება ის უმთავრესი იდეა, რომლის გაცნობიერება მკითხველი-სათვის მწერლის ძირითად ამოცანას ნარმოადგენს. ამისავე მიმანიშნებელია ფორმაცი, თუ როგორ მოიხ-სენიებს ავტორი ლელთ ლუნიას — იგი მას ყველგან “ჩემს მოხევეს” უნდღებს, რაც ცხადად ადასტურებს მის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ამ პერსონაჟის მიმართ.

ილია ჭავჭავაძის წერის მანერის ეს თავისებურება — მკითხველი დასკვნის გამოტანისას არასოდეს დატოვოს მარტო — “მგზავრის წერილებში” სხვადასხვა მხატვრულ-სტილისტური საშუალებით ვლინდე-ბა. ილია, როგორც ალენიშნეთ, ამბის თხრობის გარდა, პერსონაჟთა თუ ამა თუ იმ ვითარების შემფასე-ბელ-განმსჯელის ფუნქციასაც ითავსებს. ამით ერთგვარ განმარტებას აძლევს მკითხველს და მისი აზრე-ბის სასურველ კალაპოტში მოქცევას უწყობს ხელს. მოთხრობაში ზემოხსენებული ფუნქციით გამოყენე-ბულია მიმართვის ფორმა. ის, როგორც წესი, ახალგაზრდა მგზავრის მსჯელობას მოჰყვება და ამ მსჯე-ლობის მიზანს, მის მთავარ აზრს, გახაზავს. “ოჲ, მამულის კვამლო,” — ამბობს ავტორი ნაწარმოების პირველ ეპიზოდში, — “მართლა-და ტკბილი და სასიამოვნო ხარ: ხანდისხან ისე აგვიბამ თვალებს ხოლმე,



რომ ჩვენ ჩვენს საკუთარ უბედურებასაც ვერა ვხედავთ.” მიმართვის ფორმაშია მოქცეული უმთავრესი აზრი თერგის ეპიზოდშიც: “... ვაი შენ, ჩემო თერგო! შენ, ჩემო ძმობილო, ზოგიერთ კაცსავით, საცა მისულხარ, იქაური ქუდი დაგიხურავს. ცოდვა არ არის შენი ჭექა-ქუხილი, შენი ზარიანი ხმაურობა, შენი შფოთვა და ფოთვა, შენი გაუთავებელი ბრძოლა ქვა-კლდე-ღრესთან, თითქო შენი განიერი წადილი შენს ვიწრო საწოლში ვერ მოთავსებულაო. ბევრი რამ საგულისყუროა შენში, ჩვენო დაუმონავო თერგო, შენს ძლევამოსილს და შეუპოვარს დენაშია...”. მოგვიანებით, მყინვარისა და თერგის შედარებისას, ილია ისევ მიმართავს თერგს, რომელის მთავარი თვისება — მოძრაობა — მას ქვეყნის გადარჩენისა და წინსვლის უმთავრეს პირობად აქვს მიჩნეული: “ნეტავი შენ, თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა პატარა ხანს დადეგ, თუ მყრალ გუბედ არ გადაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყიზედ არ შეგეცვალოს. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მომცემი.” სამშობლოსათვის ზრუნვას, თავდადებას დიდი სიყვარული განაპირობებს. თავის მამულიშვილურ აღტაცებას სტეფანწმინდის მშვენიერი საღამოს მაცქერალი მგზავრი ისევ მიმართვის ფორმით გამოხატავს: “ოხ, საქართველოვ!” ნათელი, მოუსვენარი და მებრძოლი დღის მოყვარული მგზავრისათვის აუტანელია დამის სიბნელე, რომელიც “ადამიანის დამფრთხალს გონებასა უბედურობას ბედნიერებად აჩვენებს ხოლმე.” მიყვარს, ბუნებავ, შენი დაწყობილობა, — ამბობს ილია, — “რომლის მეოხებითაც ყოველი ლამე თენდება-ხოლმე.” თოხი წელინადის ეპიზოდშიც პირველ პირში მსჯელობას დასასარულს მეორე პირი ენაცვლება და მწერალი უმთავრეს სათქმელს ისევ მიმართვის ფორმაში აქცევს: “ოო, ძვირფასო თოხო წელინად! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბენვის ხიდი ფეხთა ქვეშ არ ჩასწყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა.” დღისა და დამის დაპირისპირებისას მწერლის მიერ გამოხატულ პოზიციას კიდევ უფრო ამკეთრებს და შთამბეჭდავს ხდის ასეთი დასასარული: “ჰოი, ბოროტო, წარვედ ჩემგან, დღეონ ნათელო, მოვედ შენ!..” ამავე აზრის გაგრძელებას წარმოადგენს მიმართვა მომდევნო ეპიზოდშიც: “რა მშვენიერი რამა ხარ, დილის რიურაუ! რა მშვენიერი რამა ხარ, დილის ცვარით პირდაბანილ ქვეყანავ!” მაგრამ აზრობრივი თვალსაზრისით კულმინაციას მოხევე ლელთ ღუნიასადმი მიმართვა წარმოადგენს: “მიგიხვდი, ჩემო მოხევვე, რა წესტარითა ხარ წაჩიცვლეტი. “ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს”, — სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა.” ავტორის მიერ გამეორებული მოხევის სიტყვები არის იმ უმთავრესი აზრის გამომხატველი, რისი მკითხველამდე მიტანაც, როგორც ვთქვით, ყველაზე მეტად უნდა ილია ჭავჭავაძეს. ამისათვის მას ერთგვარი ინტრიგა შემოაქვს, როდესაც ამბობს: “მიგიხვდი, ჩემო მოხევვე...”. თითქოსდა მოხევის ნათევამი რაღაც საიდუმლოებით ალბეჭდილი ყოფილიყო. მიმართვის ასეთი დასასწყისის ფუნქცია სრულიად გარკვეულია — მან მკითხველის დაინტერესება, გამოფხიზლება უნდა გამოიწვიოს, რომ ისიც ტვინიდან გულამდე შეძრას ლელთ ღუნიას სიტყვებით მოგვრილმა ტკივილმა: “ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს”.

“თუ თხზულება გარკვეულ სტილისტურ მთლიანობას წარმოადგენს, თუ იგი სხვადასხვა სტილთა შერევის, ე.ნ. “წარევ სტილთა” შთაბეჭდილებას არ ახდენს, მაშინ მისი სტილისტური ერთიანობის საჩვენებლად დიდი მნიშვნელობა ექნება ისეთი გამონათქვამების აღნუსხვას, რომლებიც პირდაპირ გამოხატავენ და უბა-სუებენ ამ ნაწარმოების თემასა და იდეას” (გრიგოლ კიკნაძე, 1999, გვ. 261). “მგზავრის წერილებში” ჩართული მიმართვის ამ ფორმების უმთავრესი დანიშნულება სწორების იდეის გამომხატველი ძირითადი აზრების გამოყოფა და ხაზგასმაა. ეს ამ მოთხოვნის სტილის ერთიანობას განაპირობებს.

“მგზავრის წერილები” სპეციფიკური ხასიათის თხზულებაა. როგორც ალვნიშნეთ, მისი თითოეული ეპიზოდი დამოუკიდებელ მსჯელობას შეიცავს და მკითხველისგან აქტიურ გონებრივ მუშაობას მოითხოვს. ასეთ ვითარებაში ადვილი შესაძლებელია, ნაწარმოები მკითხველისთვის მძიმედ ალსაქმელი და, უბრალოდ, მოსასწავლი გახდეს. ეს საშიშროება “მგზავრის წერილებში” მიმართვის ფორმების დახმარებითაც არის აცილებული. ერთი, რომ იქ ემოციური და, ამდენად, უფრო შთამბეჭდავი ფორმით გამეორებულია დასკვნის უმთავრესი აზრობრივი საფუძველი და მეორე, პირველი პირის მეორით ჩანაცვლება თხრობის დინამიურობის საფუძველს ქმნის და მის მოუბეზრებლობას განაპირობებს.

ასევე მიზანმიმდინარულად და სრულიად გარკვეული დანიშნულებით არის გამოყენებული ტექსტში ჩართული კითხვები. საინტერესოა, რომ ილია მათ, როგორც წესი, უბასუხოდ ტრვებს. ეს ფსიქოლოგიურად გამიზნული სვლაა: ამით მკითხველს აიძულებს დაფიქრდეს და თავად მოძებნოს პასუხი, რაც შორს საძიებელიც არაა — იგი იქვე ავტორისეულ მონათხოვნისათვის საკუთხებთან მკითხველის მიბრუნება და მათზე ხელახლა დაფიქრებაა იმ კითხვების ფუნქცია, რომელთაც ილია “მგზავრის წერილებში” არაერთ ადგილას იყენებს. “რა უხარიდა იმ სულელს?” — ამბობს ი. ჭავჭავაძე ფრანსისელზე, როდესაც ეს უკანასკნელი გულიანად იცინის ბრიყვი “იამშჩიკისა” და მჭლე ცხენების საცოდაობაზე, “ფოშტის პოვოსკის” დაძრვას ამაოდ რომ ცდილობენ.

მშობელი ქვეყნისათვის მზუნებული მაბულიშვილის ფიქრსა თუ განსჯასაც ილია კითხვით ამთავრებს: “შენმა ქვეყანამ საქმე რომ მოგთხოვოს, მაშინ რასა იქმ?”

მგზავრის სიმპათიას მხოლოდ “გაღვიძებული”, მოქმედი ადამიანი იცყრობს. თუმცა, მისი სიტყვით, “უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურებით გულ-აღტყინებულსა”. ამ ეპიზოდში გადმოცემული მწერლის მთავარი საწუხარიც კითხვის ფორმითაა მოწოდებული: “ჩემო ლამაზო ქვეყანავ, არიან ამისთანანი შენში?”

თერგისა და მყინვარის შედარებით გართულმა მგზავრმა აშკარად იგრძნო “რაღაც იდუმალი კავშირი” თავის ფიქრებსა და “შეუპოვარ და დაუმონავ” მდინარეს შორის. “რისთვის?” — კითხულობს იგი და პასუხს ამ კითხვაზე, ჩვეულებრივ, მკითხველს ანდობს.



ნაწარმოების ბოლო თავსაც, რომელიც მწერლის მთავარი მიზანდასახულების გაცხადებას წარმოადგენს, ილია კითხვით ამთავრებს. მოხევის ნათევამმა სიტყვებმა, „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“, მგზავრი სულით ხორცამდე შეძრა და უეცარი ტკივილი აგრძნობინა, რომელმაც მის „გულში გაითხარა სამარე“. კითხვა, რომელიც ამ სიტყვებს მოჰყვება, უმნიშვნელოვანესია. ამიტომ მასში გამოხატული მღელვარება და მოლოდინი გამეორების საშუალებითაა გამძაფრებული: „როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? თბ., როდემდის, როდემდის?.. ჩემ საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამის პასუხი!“

უნდა დაგასკვნათ, რომ კითხვის დაშმა მწერლის მსჯელობის პროცესში მკითხველის აქტიურად ჩართვის ხერხია. იგი ავტორის თანაშემოქმედი ხდება, რამდენადაც მის მიერ დაწყებულ და გარკვეულ კალაპოში ჩაყენებულ აზრს ამთავრებს. ეს სასურველი დასკვნის გამოტანასაც განსაზღვრავს. ამ ხერხით ნაწარმოებში გამოთქმული აზრები ღრმად იდგამს ფეხს მკითხველის ცნობიერებაში და მისი გონებიდან მოუცილებელი ხდება.

„მგზავრის წერილები“ მაღალმხატვრული ნაწარმოებია, რაც ბევრნილად, სხვა სტილისტურ საშუალებებთან ერთად, მოთხოვნის დონამიზმითაც არის განპირობებული. ამ ნაწარმოების პირველივე წინადადება იმდენ ინფორმაციას აწვდის მკითხველს ერთხაშად და შეკუმშული ფორმით, რომ დაუყოვნებლივ გადაჰყავს იგი ამბის შუაგულში: „დილის ექვსი საათი შესრულდა თუ არა, იმ სასტუმროს წინ, რომელშიც მე წინა ლამეს ჩამოვხტი, რუსის პირ-დაუბანელმა და თავ-დაუვარცხნელმა „იამშჩიკმა“ ფოშტის პოვოსკა მოაყენა“. თუმცა, დინამიზმის უმთავრეს საფუძველს, უპირველეს ყოვლისა, ამ მოთხოვნის აგებულება ქმნის. „მგზავრის წერილები“, როგორც შინაარსობრივად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ცალკეული ეპიზოდებით შედგენილი ნაწარმოები, დინამიკას უკვე კომპოზიციაშივე მოიაზრებს, რამდენადაც ყოველი ახალი ეპიზოდი მკითხველის ახალ აზრობრივ სიბრტყეზე გადანაცვლებას იწვევს და ახალ საფიქრალს უჩენს მას. თეზულების საერთო დინამიკას აძლიერებს საკუთრივ თითოეული თავის დინამიზმიც. საინტერესოა ამ თავების აგების ილიასეული სქემა: ყოველი მათგანი შედგება ორი ეპიზოდისაგან, რომლებიც აბსოლუტურად სხვადასხვა მიმართულებით აკავებენ მკითხველის გონებას. მაგალითად, პირველ თავში „იამშჩიკის“ ეპიზოდს მოსდევს „ფრანსიელის“ ეპიზოდი; მეორეში თერგის აღწერას ოთხი წელინადის შესახებ განსჯა ენაცვლება. მესამეში — ქვეყნის სამსახურზე დაფიქრებას — პოდპორუჩიკ -თან საუბარი და ა.შ. ეს ეპიზოდები იმდენად ბუნებრივად და სწრაფად ენაცვლება ერთმანეთს, რომ, მიუხედავად თითოეული მათგანის ღრმაზროვნებისა, ადამიანის გონებას კი არ ღლის, არამედ აფხიზლებს. ამგვარი თხრობა ითრევს მკითხველს და სტიმულს აძლევს ახალ-ახალ თემებზე დასაფიქრებლად.

აღნიშნულის გარდა მოთხოვნის დინამიკურობა განსაზღვრულია ცალკეული ეპიზოდების ხასიათითაც, სადაც კონტრასტულ სახეთა თუ განწყობილებათა გამუდმებულ მონაცვლეობას ვაწყდებით. გარდა თერგისა და მყინვარის, გოვთესა და ბაირონის, დღისა და ღამის დაპირისპირებისა, რაც ზემოთქმულის უაღრესად თვალსაჩინო მაგალითებია, ნაწარმოებში სხვაგვარი კონტრასტებიც გვხვდება. პირველ თავში „იამშჩიკის“ სახეს, რომელიც ამაოდ ცდილობს ცხენების დაძრას, უპირისპირდება მოხარხარე ევროპელი. ამ მომენტში „იამშჩიკის“ საქციელი იმდენად ააშკარავებს მის შეზღუდულ ბუნებას, იმდენად არაადეკვატური და კონტრასტულია გალალებული ფრანგის ფონზე, რომ კომიზმის გარკვეულ საფუძველს ქმნის. დაახლოებით ამგვარსავე დაპირისპირებასთან გვაქვს საქმე მესამე თავშიც, როდესაც მამულიშვილურ საზრუნავზე დაფიქრებული აგზავრი ამონახილზე — რა უნდა ვქნაო? სულელი სალდათის სრულიად მოულოდნელ და შეუფერებელ პასუხს მიიღებს: „ჩაი უნდა მიირთოვო“. თავისთვად კონტრასტის ეფექტის შემცველია ერთი მხრივ ღრმად განათლებული ინტელიგენტის, რომელიც თავს „სომხის სოველდაგრის დახლიდრად“ ასაღებს, და, მეორე მხრივ, მეცნიერული ცოდნის პრეტეზიის მქონე ბრიყვი რფიცრის შეხვედრა. ამასთან, მისი შეუსაბამო საქციელი და არაადეკვატურობამდე მისული აზრსმოკლებული საუბარი ერთგვარი კომიკური სიტუაციის შექმნას უწყობს ხელს. ამგვარი პასაუბების სტილისტური ფუნქცია, გარდა ზემოხსენებული პერსონაჟების სულიერი რაობის კიდევ უფრო თვალსაჩინოდ და შთამბეჭდავად გადმოცემისა, ნაწარმოების გამოცოცხლებასა და თხრობის დინამიური განვითარების მიღწევაში მდგომარეობს.

„მგზავრის წერილების“ თხრობის ტონს, ილიასეული აღწერა-დახასიათების თავისებურებას ცალკეული ეპიზოდის შინაარსი განსაზღვრავს. მაგალითად, „იამშჩიკის“ და ოფიცრის ეპიზოდებში სერიოზულ თხრობას ენაცვლება თხრობის ისეთი სახე, რომელიც თავისთავადა შინაგანი დინამიზმის შემცველი, რამდენადაც ნათევამსა და ნაგულისხმევს შორის დაპირისპირებას გამოხატავს. ეს არის დაცინვის ერთ-ერთი ფორმა, ირნია, რომელსაც ილია ჭავჭავაძე საზოგადოდ ფართოდ მიმართავს თავის შემოქმედებაში. „კვამლი ფრიად სასიამოვნოა“, — ამბობს ილია, — „პირველი იმისათვის, რომ კვამლი თვალს ეფარება და მართლჭვრეტას უშლის, მეორე იმისათვის, რომ კვამლი ხშირად თვალიდამ ცრემლს გვაყრევინებს ხოლმე. ოპ, მამულის კვამლო, მართლა-და ტკიბილი და სასიამოვნო ხარ: ხანდისხან ისე აგვიბამ თვალებს ხოლმე, რომ ჩვენ ჩვენს საკუთარ უბედურებასაც ვერა ვხედავთ“. პოდპორუჩიკ -ის შესახებაც მწერალი ირნიულად შენიშვნავს: „ამ სიტყვებზედ მეცნიერმა აფიცერმა თითებზედ იკოცა“. ირნიული მიდგომითვეა დახასიათებული ილიას თანამედროვე ქართველ კაცს როგორდაც არ ეჭაშნიკება და არ მოსწონს. ამაზედ ფრიად საფუძვლიანი საბუთი აქვთ: პირველი, იმიტომ არ მოსწონთ, რომ თერგ-დალეულები მართლა-და თერგ-დალეულები არიან,მეორე იმიტომ... იმიტომ, რომ მესამედაც თერგ-დალეულები არიან,მესამე იმიტომ... იმიტომ, რომ მესამედაც თერგ-დალეულები არიან.მოდი და ამისთანა ჭკვიანური საბუთი სხვა საბუთით დაურღვიე ჩვენს დარღვეულს ქართველობას“.



“მგზავრის წერილების” დინამიზმს მნიშვნელოვნად აპირობებს მასში ჩართული დიალოგის ხასიათიც, რომელიც ახალგაზრდა მოგზაურსა და მოხევე ლელთ ღუნიას შორისაა გამართული. ამ დიალოგის პირველი ნაწილი, რომელიც მე-6 თავშია წარმოდგენილი, კითხვა-მიგებითი ხასიათისაა. მისი დანიშნულებაა, მკითხველს გააცნოს მოხევე ლელთ ღუნია და ის “პატარა ქვეყანა, რომელიც მის გარეშემო ბედს შემოეხაზა”. ამ დიალოგში სწრაფად ენაცვლება ერთმანეთს შედარებით მოკლე ფრაზები. ამის გამო ის ინტენსიურია და საკმაო ინფორმატიულობითაც ხასიათდება. საყურადღებოა, რომ მწერალმა მისი შინაარსიც დაპირისპირების პრინციპზე ააგო: ქართველი ხარ თუ ოსი? მთა ჯობია თუ ბარი? მაძლარი ქვეყანა ჯობია თუ მრთელი? და სხვ. ასე განვითარებული კითხვა-პასუხის სწრაფი მონაცვლეობა მოთხოვთ ამ ეპიზოდს უაღრესად შეკუმშეულსა და დინამიურს ხდის.

სხვაგვარია მე-7 თავში წარმოდგენილი დიალოგი. მართალია, ისიც კითხვა-მიგებითი ხასიათისაა, მაგრამ იქ კითხვები სხვა მიზანდასახულებითაც შერჩეული. როგორც აღვნიშნეთ, მოხევე ლელთ ღუნია ის პერსონაჟია, რომელსაც ავტორი თავის მთავარ სათქმელს ანდობს. მისი პირითა გამოთქმული ის აზრები, რომელთა მკითხველამდე მიტანაც ილია ჭავჭავაძისათვის უმნიშვნელოვანესია. ამიტომ ახალგაზრდა ინტელიგენტის მიერ დასმულმა კითხვებმა ლელთ ღუნიას თავისი აზრების სრულად გამოთქმის საშუალება უნდა მისცეს. დიალოგის თემა შესაბამისი გარემოთია მოტივირებული — იგი იმართება სტეფან-წმინდიდან ფასანაურისაკენ მიმავალ გზაზე, სადაც გარსშემოჯარული ხელუხლებელი ბუნება და წარსული დროის ნაგებობანი თავისთავად ინვევენ მნახველს ახლანდელი და ძველი, თავისუფალი დროის შედარებისთვის. ამ ეპიზოდის დინამიზმს მოხევის სასაუბრო თემის მონაცვლეობა განსაზღვრავს, რაც მგზავრის მიერ დასმული შეკითხვებითაა განპირობებული. დიალოგს ორიოდე ფურცელი ეთმობა, მწერალი კი ასწრებს დააფიქროს მკითხველი იმ საოცნებო დროზე, გერგეტის სამებაში რომ ერთა საბჭო წყვეტდა ქვეყნის საჭირობოროტო საკითხებს; ახლანდელი თუ ძველი, თავისუფალი დროის ავ-კარგზე; “ეხლა რომ მშვიდობიანობა არის”, იმის ფასსა და უნინდელ დროში მტრის დახვედრაზე; ისიც მიაწვდინოს მკითხველის გონებას, რომ “ჭუიანი ვაჟაცობა ეგე არნ: სად ღონეი ვერ ღონობს, იქად ხერხს ემუდვნის”; არც იმის აღნიშვნა დაავიწყდეს, რომ “ანინა ყვაელი ქართველი ქმანები ვარნ”. მოხევის სიტყვების გულწრფელობა, გამოხატვის ძალა, მისი საუბრის პათოსი უაღრესად შთაბეჭდდავს ხდის ამ უბრალო მთის კაცის მიერ გამოთქმულ აზრებს. მკითხველს თითქოს ესმის მისი ხევისკილოკავდაკრული ხმა: “ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედო”.

დიალოგის ექსპრესიულობა გაზრდილია იმითაც, რომ მწერალი სხვადასხვა სტილისტური საშუალებით ახერხებს ცოცხალი საუბრის შთაბეჭდილება შექმნას. მაგალითად, სანამ პასუხს გასცემდეს მგზავრის მიერ დასმულ კითხვას, მოხევე, როგორც წესი, იმეორებს მას ან კითხვითვე პასუხობს:

“—საბჭო რაღა არის?  
—საბჭო?..”

“—ვერ მეტყვი, როგორი იყო ეგ ბჭობა და რაზედ უფრო მოხდებოდა ხოლმე?  
—რაიდ ვერ გეტყვი?..”

“—ეხლა რატომ აღარ არის ეგა?  
—ანინა?..” და ა.შ.

კითხვის შებრუნება სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი თავისებურებაა. ამით მოსაუბრე, რომელსაც კითხვით მიმართეს, პაზუას აკეთებს, დროს იგებს, რომ უკეთ გაიაზროს კითხვა და მოფიქრებული პასუხი გასცეს. დიალოგის ერთი მონაწილიდან მეორეზე კითხვის გადატანა იმნამს დაბადებული საუბრის ეფექტს ქმნის, მოსაუბრეთა შორის გამუდმებულ, უწყვეტ კავშირს გახაზავს და დიალოგის დინამიკას აპირობებს.

ცოცხალი საუბრის შთაბეჭდილებას ქმნის, აგრეთვე, გამეორების ხერხი. ამის თვალსაჩინო მაგალითია ლელთ ღუნიას სიტყვები: “ანინა? ერობა სადა არნ? რუსობაჩი ვარნ. ანინა ყველაი გაცუდდის, ყველი გაუქმდის. სამების ძირჩი სოფელ გერგეთ არნ. იქაველ კაცთ მეფეთა შეუთქვეს სახტრის დარაჯობაი. მის სამაგიერ მეფეთა თარხნობა მიანიჭის სრულ სოფელს. გუჯარიც მიჰსცის საშეილიშვილად. ყვაველ ღამ ანინაც სახტრის დარაჯობას თავ-დებულობენ, მაგრამად რუსობაჩი თარხნობა გაცუდდის, მეფეთ გუჯარს რუსობამ ყური არ ათხოვის, გერგეთი ანინა სხვავითა ბეგრობს”. ამ პატარა მონაკვეთის მანძილზე რამდენჯერმე გამეორებული “ანინა”, “შეფეთა”; სწორედ ისევე, როგორც ცოცხალი საუბროსას, როდესაც “მეტყველებაში უფრო ნაკლებ როლს თამაშობს სიტყვების საგანგებოდ შერჩევის ტენდენცია” (გრიგოლ კიკაძე, 1999, გვ. 41). ადამიანს უჭირს გააკონტროლოს თავისი ზეპირი მეტყველება და გამეორებები თავიდან აიცილოს. ამ მონაკვეთში გამეორებულია ერთი და იგივე მნიშვნელობის მქონე მთელი ფრაზებიც: “ყველაი გაცუდდის, ყველაი გაუქმდის”, ან “რუსობაჩი თარხნობა გაცუდდის, მეფეთ გუჯარს რუსობამ ყური არ ათხოვის”. ზეპირმეტყველებისას ხშირია თანაბარი მნიშვნელობის მქონე ფრაზების გამეორება აზრის მკვეთრად და შთამბეჭდავად გამოსახატად.

ამ თვალსაზრისით საინტერესო ლელთ ღუნიას მსჯელობა ახლანდელი და წარსული დროის ავ-კარგზეც: “ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედო. ადრიდა ერთ ერობდის, გული გულობდის, ვაჟაი ვაჟაბდის, ქალაი ქალაბდის. ადრიდა?! ერთ-ურთს დავეყუდნით, ერთ-ურთს ვიხვენებდნით. ადრიდა?! ქვრივ-ობოლთ ვიფარევდით, შინ მიწრიელს, გარეთ მავნეს დავულაგ-მნდით. ხთისა და ბატონის იასაულს მის ყუდროს არ მივკერძნით, ერთ-ურთს ლალ მტერთან ჩავეფარვიდნით, დაცემულ ვიურვებდნით, ატირდომილს ვიხოიშნიდნით და ესრედ იყვის ბრალება კაცისა, ერთ-



ურთობა. აწინა ერობა დაიშალის, მექავ-მრუშობაი ჩამოვარდნის, ხარბობაი, ანგარი გვერივნის, ერთ-სულობაი დავარდნის, მტერობა-ბძარვაი გახშირდნის. აწინა ქვრივ-ობოლ ვინ განიკითხის, ატირდომილ ვინ გააცინის, დაცემულ ვინ აღადგინის? აწინა არა არ კაცნი და თუ არ — პირად და გულად ჯულურ არნ. ერი დავარდნილ, გალაზულ არნ, ვრდომილ-კრთომილ. წარხდა ქართველთა სახელი, ქართველთა წეს-წყობაი. ადრიდა ჩვენობა იყვის. წარხდა, მოისრა ქვეყანაი, რაია აწინა ჩვენი დარჩენა? ჭამად-სმად სასყიდვალ, ტყეი სასყიდვალ, გზაი სასყიდვალ, ლოცვა-კურთხევაი სასყიდვალ, სამართალ სასყიდვალ, რაიდ დარჩების ბერჩავი მახევე?” ეს მონაკვეთი საყურადღებოა იმის გამოც, რომ აქ ილია ჭავჭავაძემ მოხევის სიტყვების ზემოქმედების გასაზრდელად მჭევრმეტყველების ხერხებს მიმართა. ყოველი წინადადების დასაწყისში გამეორებული “ადრიდა” ან “აწინა”, რომელთაც ერთსა და იმავე ფორმაში მოქცეული ჩამონათვალი მოსდევს, როგორიცაა: “ერობდის”, “გულობდის”, “ვაჟაბდის”, “ქალაბდის”; “დავეყუდნით”, “ვიხვერდნით”, “ვიფარევდით”, “დავულაგმნდით”, “მივკერძნით”, “ჩავეფარვიდნით” და სხვ. ან “დაიშალის”, “ჩამოვარდნის”, “გვერივნის”, “დავარდნის”, “გახშირდნის”, “განიკითხის”, “ალადგინის” და ა.შ. შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით რამდენჯერმე გამეორებულია ერთი და იგივე ზმნაც: “ჭამად-სმად სასყიდვალ, ტყეი სასყიდვალ, გზაი სასყიდვალ, ლოცვა-კურთხევაი სასყიდვალ, სამართალ სასყიდვალ”. ამ გამეორებათა საშუალებით გადმოცემული მღელვარება და მათივე დახმარებით მიღწეული მონოლოგის შინაგანი რიტმი მართლაც დიდი ძალით ზემოქმედებს მკითხველზე. ამას ემატება ბოლოს დასმული კითხვა: “რაიდ დარჩების ბერჩავი მახევე?” ეს რიტორიკული კითხვაა, რომელიც მონოლოგის დაგვირგვინებას წარმოადგენს და მოხევის ნათქვამის ხელახლა გადახედვა-გაზრებას უზრუნველყოფს. ყოველივე ზემოთქმული წანილობრივ ხსნის იმ განუმეორებელ შთაბეჭდილებას, რომელსაც ეს ეპიზოდი ახდენს.

მაგრამ ლელთ ღუნიასთან დაილოგის შთაბეჭდილება განპირობებულია არა მხოლოდ მისი დინამიკურობითა და ექსპრესიულობით. აქ მნიშვნელოვანი როლს ასრულებს ენა, რომლითაც ილია ჭავჭავაძემ მოხევე აალაპარაკა. ცხადია, ეპიზოდის მხატვრული დამაჯერებლობის მისაღწევად მნიშვნელოვანია, რომ ხევში აღზრდილი კაცი შესაბამის დიალექტზე მეტყველებდეს, მაგრამ ილია ამას არ დასჯერდა. მან მოხევის სიტყვებს მახვილები დაუსვა და ამით ლელთ ღუნის ნათქვამი სმენით კატეგორიაში გადაიყვანა. მან თითქოს აიძულა მკითხველი, რომ მოხევის სიტყვები ხმამაღლა წაეკითხა, რათა უკეთ შეეგრძნო მისი კილოს სურნელი და განუმეორებელი სიახლე. აქაც იმალება მკითხველზე ამ ეპიზოდის დიდი ზემოქმედების საიდუმლო. სწორედ ამ ეფექტურ, ლიტერატურული ქართულისაგან ასე განსხვავებულ, აქამდე უცხო და სრულიად ახალ ფორმაში მოაცეია ილიამ სათქმელი, რითაც ღრმა კვალი გაავლო გაითხველის ცნობიერებაში და მისდამი შეუნელებელი ყურადღება უზრუნველყო.

საზოგადოდ, ზემოქმედების ეფექტის მისაღწევად, სხვა მრავალფეროვან სტილისტურ საშუალებებთან ერთად, ილია ჭავჭავაძე ფართოდ იყენებს ლექსიკას. ამას მოწმობს ის ლექსიკური თავისებურებანიც, რომელსაც მნერალმა “მგზავრის წერილებში” მიმართა. მიუთითებენ, რომ “მეტყველებაში ხშირად ნახმარ სიტყვასა და გამოთქმას ერთგვარად უსუსტდება გავლენის ძალა; ასეთ შემთხვევაში თითქოს ცვდება სიტყვა მისი ხშირად ხმარების ანდა შაბლონურ კონტექსტში მოქცევის გამო” (გრ. კიკაძე, 1999, გვ. 251). “გაცვეთილი” სიტყვა, სავარაუდოდ, მკითხველის ყურადღების მიღმა რჩება. აქედან გამომდინარე, ვერც მასში მოქცეული აზრი აღწევს საბოლოო მიზანს. ილია ჭავჭავაძის ნანარმოებებში კი სწორედ აზრი ბატონობს. მნერლის შემოქმედებითი მუშაობა იქითა მიმართული, რომ მონახოს ფორმა, რომელიც მისი აზრის მკითხველამდე შეუფერხებელ მიტანას მოემსახურება. ასეთ ვითარებაში ილია ჭავჭავაძეს “მგზავრის წერილებში” შემოაქვს ისეთი სიახლის შემცველი, სრულიად მოულოდნებლი ფრაზები, რომლებიც თავიანთი ეფექტურობით იმთავითვე იპყრობენ მკითხველის გულისყურს: “ოთხი წელინადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა... იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს ფეხი აადგმევინოს”; ... იქ [სტეფანწმინდას] დავრჩი, რათა თვალი გამეძლო მშვენიერის სანახავების ხილვითა”; “ერთი მუჭის ოდენი ღრუბელიც არა ჰეთარავდა მის მაღალს შუბლსა, მის ყინვით შევერცხლილს თავსა”; “არა, მყინვარი არ მიყვარს: მისი სიცივე ჰსუსხავს და სითეთრე აბერებს”; “სჩანს, ქვეყნის ტკივილი დაუყუჩჩავია”; “ქვეყნის ტკივილმა დაიძინა”; იქნებ ჩემმა ქვეყანამ “გულზედაც მიმიკას და ხარბად დამიგდოს ყური, მაგრამ მე შეეიძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა...”. ამ ფიქრებში მყოფ მამული მშვენიერობის სალდათის შემოსვლამ შეანწყვეტინა “ფიქრების ფერადი გრეხილი”. ამავე არეალში შემოდის ისეთი მოულოდნებელი შესიტყვებები, როგორიცაა “ქვეყნის უბედურების ნაცარ-ტუტა”, “მიუკარებლად მაღალი”, “ზარიანი ხუილი”, “დაუჩუმარი ჩივილი”, “მორჭმული ხმაურობა”, “დალლილი ზრუნვა და წადილი”, “დამთრთხალი გონება”, “გადარეული ლაპარაკი”, “გაგიუებით მავალი”, “თავ-ზედხელადებული დენის ხუილი”, “ხმაგაქმენდილი ქვეყანა” და სხვ. ამგვარი უზრუნველყო შესიტყვებები მხატვრულ ლიტერატურაში ხშირად არ გვხვდება. ამიტომ ისინი მკითხველის ცნობიერებაში სრულიად ახალ ხატებს ქმნიან. ილია ჭავჭავაძემ ერთი მხრივ მკაფიო ემოციური ტონის შემცველი გამოთქმები შეარჩია, მეორე მხრივ, შეანწყილა შინაარსობრივად სრულიად მოულოდნებლი სიტყვები — მსაზღვრელ-საზღვრულის ფუნქცია ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულებს დააკისრა. ასე უზრუნველყო მნერალმა შთაბეჭდაობა, ღრმა ემოციური კავშირის დამყარება მკითხველთან, რითაც მნიშვნელოვნად გააძლიერა “მგზავრის წერილებში” გამოთქმული აზრების დამარწმუნებელი ძალა. ამავე მიზნითაა მოყვანილი ნანარმოებში შოთა რუსთაველისა და გრიგორ ორბელიანის სტრიქონებიც. მათი გამომსახველობითი ძალა თვალსაჩინოებას მატებს მნერლის სიტყვებს და მისი ნათქვამის შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აღრმავებს.

“მგზავრის წერილების” შთაბეჭდაობას ილია ჭავჭავაძის მიერ გამოყენებული გამომსახველობითი საშუალებების ერთობლიობა განსაზღვრავს. მათ შორის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბუნება და მისი



ილიასეული აღქმა. ბუნება “მგზავრის წერილების” კომპოზიციაში მკაცრადაა ჩასმული და იგი აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს ნანარმოების შემდგომი გაშლა-გაღრმავებისათვის” (ლ. მინაშვილი, 1995, გვ. 410), რამდენადაც აქ ბუნების სურათის დეტალური აღნერის ფონზე განსახიერებული თხზულების ერთი უძირითადესი მოტივი — მოძრაობა. “მგზავრის წერილებში” ილია ჭავჭავაძე თერგისა და მყინვარის ფართო, თვალსაჩინო სურათებს გვაძლევს, მაგრამ აქ მისთვის საინტერესოა არა საკუთრივ ბუნების აღნერა, არამედ მისი საშუალებით სოციალურ შინაარსზე, ადამიანის ხასიათსა და მისი საზოგადოებრივი ცხოვრების სახეზე მითითება. იგი წერს: “თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა, ამაღლევებელი და ღირსაცნობი სახეც არის: იმის მღვრიე წყალში სჩანს მთელის ქვეყნის უბედურების ნაცარტუტა. მყინვარი კი უკვდავებისა და განცხრომის დიდებული სახეა: ცივია — როგორც უკვდავება და ჩუმია — როგორც განცხრომა... მყინვარი დიდ გეტეს მაგონებს და თერგი კი მრისხანე და შეუპოვარს ბაირონსა”. აშკარაა, რომ “მგზავრის წერილებში” მოცემულ ბუნების სურათებში ადამიანები და მათი ცხოვრების წესი იგულისხმება, “ილია ბუნებაში ადამიანისეული ბუნების ანალოგიებს ხედავს” (ილიას კრებული, 1998, გვ. 44). ამას მოწმობს ის მხატვრულ ხერხებიც, რომელთაც ავტორი თერგისა და მყინვარის დასახასიათებლად იყენებს: “ეგ დასალუპავი თერგი! რა ორპირი ყოფილა! დახე, როგორ მიმკვდარა. რაკი ზურგი ჩვენებული უქნია და პირი რუსეთისაკენ, რაკი გაუმინდვრებია და გაუვაკნია, როგორლაც ის დევგმირული ხმა ჩასწყვეტია. ... ისე დამდოვრებულა, ისე დადუმებულა, თითქო ან როზგ-ქვეშ არის გატარებულიო, ან დიდი ჩინი მიუღიაო. ... ვაი შენ, ჩემი თერგო! შენ, ჩემი ძმობილო, ზოგიერთ კაცსავით, საცა მისულხარ, იქაური ქუდიც დაგიხურავს. ცოდვა არ არის, შენი ქექა-ქუხილი, შენი ზარიანი ხმაურობა, შენი შფოთვა და ფოთვა, შენი გაუთავებელი ბრძოლა ქვა-კლდე-ლრესთან, თითქო შენი განიერი ნადილი შენს ვიწრო საწოლში ვერ მოთავსებულაო. ბევრი რამ საგულისყუროა შენში, ჩვენო დაუმონავო თერგო, შენს ძლევამოსილს და შეუპოვარს დეაშია. აქ კი მიმრჩვალხარ დამარცხებულ და ნათრევ ლომსავითა. ცოდვა ხარ და ცოდვას შვრები!” მყინვარის შესახებ მნერალი ამბობს: “აბა მაგას შეუძლიან სთქვას: ცა ქუდა-და მაქვს და დედამინა ქალამნადაო. ცისა ლაჟვარდზედ მოჩანდა იგი თეთრად და აუმღვრევლად. ერთის მუჭის ოდენი ღრუბელიც არა პფარავდა მის მაღალს შუბლსა, მის ყინვით შევერცხლილს თავსა. ... ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალს შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ აატყოებს. ძირი თუმცა დედამინაზედ უდგა, თავი კი ცას მიუბჯენია, განზედ გამდგარა, მიუკარებელია... მაღალიაო! რად მინდა მისი სიმაღლე, თუ მე იმას ვერ ავწვდები და ის მე ვერ ჩამომზღდება”. აშკარაა, რომ თერგისა და მყინვარის დასახასიათებლად გამოყენებული გამოსახვის საშუალებები ადამიანური თვისებების გამომხატველია. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ილია ჭავჭავაძე “მგზავრის წერილებში” ბუნების სურათების აღნერისას მიმართავს გაპიროვნებას. ამ ხერხის სტილისტური ფუნქცია ნათელია — ესაა ადამიანური ბუნებისა და საზოგადოებრივი (ცხოვრების მკაფიო ახალოგიის გამოკვეთა. თერგი და მყინვარი პერსონიფიცირებულია იმ მიზნით, რომ უკეთ შეასრულოს მიმთითებლის როლი და ამით ხელი შეუწყოს მნერლის ჩანაფიქრის განხორციელებას.

სტილის დახვენილობას გამოსახატი საკითხისა და გამოხატვის ფორმის შესაბამისობა განსაზღვრავს. აქედან მოდის ნანარმოების ზემოქმედების ეფექტიც და მაღალმხატვრულობის განცდაც. როგორც მიუთითებენ, “არ არის საკმარისის მხოლოდ იმის ცოდნა, თუ რა უნდა ითქვას, არამედ აუცილებელია ეს სათანადო ითქვას” (გრ. კიკნაძე, 1999, გვ. 9). “მგზავრის წერილებში” ილია ჭავჭავაძის მიზანი იყო იმ საკითხების დაყენება, იმ პრობლემების ჩვენება, რომელთა გააზრება და გადაჭრა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უნდა ყინვილიყო თანამედროვე ქართული სინამდვილისათვის, რათა ანტყო გამხდარიყო “მშობელი” უკეთესი, სასურველი მომავლისა. მნერლის ამოცანა ამ საკითხებისა და პრობლემების მკითხველადმდე ნათლად, გასაგებად მიტანაში მდგომარეობდა. მკითხველს უნდა ეგრძნო, ერთო მხრივ, მათი მნიშვნელობა და, მეორე მხრივ, მათდამი ავტორის დამოკიდებულების სისწორე. ილია ჭავჭავაძემ თავისებური კომპოზიცია და გამოსახვის მრავალფეროვანი სტილისტური საშუალებები გამოიყენა, რომელიც ზედმინევნით მიუსადაგა ნანარმოების მიზანდასახულებას. თითოეული საკითხი მან მოკლედ, შეკუმშულად, მაგრამ ღრმა ექსპრესიით, დიდი გამომსახველობითი ძალით განიხილა; ყოველ მათგანს ინდივიდუალური, შესაფერი ფორმა მოუქებნა, რითაც მათი მისაწვდომობა, თვალსაჩინოება უზრუნველყო. თავისი დამოკიდებულებაც მათდამი დასაბუთებულად, დიდი დამარწმუნებელი ძალით გამოხატა. ცნობილია, რომ “სტილი, როგორც ასეთი, თავის თავშივე კი არ შეიცავს ჭეშმარიტებას, არამედ იგი აუცილებელია დარწმუნება-დამტკიცებისათვის” (გრ. კიკნაძე, 1999, გვ. 9). აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ “მგზავრის წერილებში” ილია ჭავჭავაძის, როგორც მნერლის, შეუძლებელი ისტატობა გამოვლინდა. იმდენად დიდია ამ მოთხოვნის ზემოქმედების ეფექტი და შეუნელებელი — მისით გამოწვეული შთაბეჭდილება, რომ მკითხველს მასში ნამოქრილი საკითხების სხვაგვარი გაშუქება ვერც კი წარმოუდგენია.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, დ. გამეზარდაშვილის რედაქციით, თბილისი, 1956;
2. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბილისი, 2003;
3. არისტოტელე, რიტორიკა, ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო თამარ კუკავამ, თბილისი, 1981;



4. გრიგოლ კიკნაძე, ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები, თბილისი, 1978;
5. გრიგოლ კიკნაძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტომი III, თბილისი, 1991;
6. ლადო მინაშვილი, ილია ჭავჭავაძე, თბილისი, 1995;
7. პავლე ინგოროვა, ილია ჭავჭავაძე, ნარკვევი, თბილისი, 1957;
8. ილიას კრებული, თბილისი, 1998.

## ხათუნა მემანიშვილი

### „მგზავრის წერილების“ სტილი

#### რეზიუმე

„მგზავრის წერილები“, საპროგრამო ნაწარმოებია. მასში თავმოყრილია ყველა ის იდეა, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ახორციელებდა მთელი თავისი მხატვრულ-პუბლიცისტური თუ პრაქტიკულ-საზოგადო-ებრივი მოღვაწეობის მანძილზე. ეს ნაწარმოები განსხვავდება ილიას ყველა სხვა თხზულებისაგან კომპოზიციური თავისებურებებითა და ზოგადი შინაარსით. მოთხოვთ მიზანდასახულებიდან გამომდინარე, მნიშვნელობა გამოიყენა მრავალფეროვანი მხატვრულ-სტილისტური და ლექსიკური საშუალებები, როთაც მიაღწია თხოვთ დინამიზმისა და მჭევრმეტყველურობას. ამით გაზარდა ნაწარმოების შთამბეჭდაობა და გამომსახველობითი ძალა.

**Khatuna Memanishvili**

### STYLE OF „NOTES OF A JOURNEY“

#### Summary

„Notes of a Journey“ is a program work. In this work all those ideas are concentrated which Ilia Chavchavadze implemented during his art and publicistic or practical and public creativity. This item defers from his all other works by composition peculiarities and general contents. Proceeding from the focus of work the writer used various art and stylistic and lexical opportunities by means of which he reached dynamism of a narration and eloquence. By means of this he increased impressive and expressive force of the work.



## თათია მუნიციპალიტეტი

### ახალი მედიის გამოწვევები

თანამედროვე უურნალისტიკაში ინფორმაციული სივრცის გლობალიზაციის პირობებში ერთის მხრივ შეიძლება ბეჭდური და სამაუნიკებლო მედიის შერწყმის, საკუთრებაში კონცენტრაციის, ტრანსნაციონალურ კორპორაციების ჩამოყალიბების ტენდენცია და მეორეს მხრივ, ვითარდება საინფორმაციო სფეროში საზოგადობრივი აქტივობის ჩართულობით, აღტერნატიული - „ინდივიდუალის“ მასმედია, რომელიც უპირატესად ქსელურ პლატფორმაზე მორგებული. მედიაკონგლომერატები, ერთიანი ტექნოლოგიური პლატფორმით ძირითადად რეიტინგებზე ნადირობს, ქვეყნის ფარგლებსაც სცილდება და უცხო ქვეყანაში, მათთვის ადაპტირებულ ვერსიასაც კი თავაზობს, რაც თავისთავად გავლენაზე, რეკლამასა და შესაბამისად მოგებაზეა ორიენტირებული. ხშირად, მსუბუქ თემებს, სანახაობას მისდევს, რომელიც გათვლილია აუდიტორიის საშუალო და დაბალ ფენაზე, მათი ვიწრო ინტერესების გათვალისწინებით და აუდიტორიის რეალური ინტერესების უყურადღებოდ რჩება.

რომელიმე გავლენიან გაზეთში სტატიების წერა აღარაა საკმარისი, რადგან ის მაინც ლოკალურ აუდიტორიაზე მუშაობს, ამიტომ საჭიროა მედიასაშუალებებმა ფართო აუდიტორიაზე იმუშაონ კრიტიკული მასის შესაქმნელად. თავად უურნალისტიკის დანიშნულებიდან გამომდინარე, უურნალისტებმა არამხოლოდ პრობლემის არსებობა უნდა აცნობონ საზოგადოებას, არამედ უნდა უზრუნველყონ ინფორმაციის ყველასთვის ხელმისაწვდომობა, რაც თავისთავად გააქტიურებს მას.

დღეს, თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას, გაზეთები იმდენად მცირე ტირაჟით იბეჭდება, რადიო დიაპაზონზე „ჩაიკეტა“, ტელევიზია კი, მხოლოდ კონკრეტული ჯგუფების ინტერესების გამტარია, და ამ პირობებში, ძნელია ქართული მედია საზოგადოების ინტერესების დამცველად და მათი პრობლემების რეალურ ამსახველად გვევლინებოდეს.

ამერიკაში 1995 წლიდან, 25%-ით გაიზარდა ქალაქის ფასი, რამაც საგრძნობლად შეამცირა გაზეთების გამოცემა და ზოგიერთი მათგანი საერთოდ დაიხურა - მათ შორის მსხვილი და დიდი ტრადიციების მქონე გაზეთებიც. ამას დაემატა გაზეთის გაძვირება 35-50 (ცენტით, ტელევიზიასა და ინტერნეტთან კონკურენცია (ბილ გეიტსის „მაიკროსოფტის“ მიერ კომპიუტერებისთვის პროგრამული უზრუნველყოფის ჩართვით). 1996 წლიდან კი, ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვით, ინყება გაზეთების ახლი ინტერნეტგვერდების გამოჩენა. მკვიდრდება უურნალისტიკის ახალი ფორმები - „კონცეპტუალური უურნალისტიკა“ და აქმდე, ახალი ამბების კითხვას მიჩვეული ამერიკის საზოგადოება ეცნობა „მონატრებულ“ ინტერპრეტაციას.

21-ე საუკუნეში აუდიტორია უკვე გამოვიდა მკითხველის, მსმენელისა და მაყურებლის როლიდან და თავად არის ჩართული ინფორმაციის გავრცელებაში, გვევლინება რა ინფორმაციის მიმწოდებლად და შესაბამისად, მონაწილეობს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. ამერიკული ტრადიციული მედია, თვითგადარჩენის, აუდიტორიის მაქსიმალური მოცვისა და ჩართულობის მიზნით ახალი გზების ძიებაშია. ტრადიციული მედია ბოლო ათწლეულია იყენებს ინფორმაციულ ტექნოლოგიებს და ქმნის თავისივე ინტერნეტგვერდებს, მულტიმედიურ გამოცემებს და ამით, ცდება კიდეც, ტრადიციული მედიისთვის დამახასიათებელ სპეციფიკას, რაც თავისთავად, ფართო აუდიტორიისთვის უფრო საინტერესო ხდება. გაზეთები ხვალინდელ აბებებს აღარ გვაწვდიან, გარდა ამისა სტატიკურ გამოსახულებას - ფოტოსა და დაბეჭდილ სიტყვას დაემატა აუდიო და ვიდეოგამოსახულება; რადიოც, მხოლოდ ბერისამარა აღარაა და დაბეჭდილ სიტყვას, ფოტოსა და ვიდეოგამოსახულებას იყენებს. ტელევიზია კი, ბეჭდური გამოცემისთვის დამახასიათებელ სპეციფიკასაც ითავსებს. ყოველივე ეს, კი ინფორმაციის უნივერსალურად აღქმის საშუალებას იძლევა. მულტიმედიურმა გამოცემებმა ინფორმაციის მიწოდებისა და აღქმის თავისებურებაც შეცვალა, რაც კომუნიკაციის ახალ რეალობას ქმნის. ინტერნეტმედია აღარაა დროსა და სივრცეში შეზღუდული, აუდიტორია, მისთვის ხელსაყრელ დროსა და ადგილას იღებს იფორმაციას. დღევანდელი აუდიტორის მოთხოვნების გათვალისწინებით შედიაგამომცემლები მიმართავენ თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების პოპულარულ პლატფორმებს (სმარტფონები, აიპადები, პლანეტები), რაც უფრო ხელმისაწვდომს ხდის ახალ ამბებს.

ტრადიციული მედიის წინაშე ახალი გამოწვევები დგება მულტიმედიური ვებგვერდების შინაარსის თვალსაზრისითაც. ნორსვერსტენის უნივერსიტეტის პროფესიონალის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, რომელიც შვიდი ქვეყნის ახალი ამბების ოც საიტს იკვლევდა, გამოვლინდა, რომ რეადაქტორების მიერ შეთავაზებული თემები არ შეესაბამებოდა აუდიტორიის მოთხოვნას. მათი უმრავლესობა აქვეყნებდა მასალებს პოლიტიკის, ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ, აუდიტორიას კი, უფო მეტად აინტერესებდა სპორტი, კრიმინალური თემები და გართობა. საყურადღებოა ინტერნეტაუდიტორის კითხვის სპეციფიკის გათვალისწინებაც, ბეჭდური მედიის მკითხველისგან განსხვავებით, რომელიც ძირითადად გაზეთით სრულად ინტერესდება, მულტიმედიაუდიტორია მხოლოდ მისთვის საინტერესო თემაზე დანერილ სტატიას კითხულობს და არა მთელ ინტერნეტგვერდს. შესაბამისად, მედიამფლობელები აუდიტორიის დასაინტერესებლად თითოეული სტატისთვის სანავიგაციის სისტემებს(ლინკს) იყენებენ, ურთავენ რეიტინგებისა და სტატიის განხილვის ინტერაქციის ველებს.

ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ პროფესიონალი უურნალისტების მტკიცებით, ისინი ხალხის სახელით საუბრობენ და მათ სამსახურში არიან, ტრადიციული მედიის აუდიტორია ახალგაზრდა თაობაში და ახალი მედიაკულტურაც მკვიდრდება: ახალი მედია, სოციალური ქსელების, ბლოგების 150



ბისა და სამოქალაქო უურნალისტიკის სახით, რომელშიც მათი უმრავლესობაა ჩართული. ამერიკელი მოსახლეობის ახალგაზრდა თაობის ნახევარზე მეტი თავად ქმნის ინტერნეტკონტენტს, ხდება მიმწოდებელი და იკრებს გარშემო აუდიტორიას, რომელიც მედიაგამომცემლებისგან განსხვავებით აუდიტორიასთან სხვა კომუნიკაციას ამყარებს. დიალოგის ფორმა თითქოს უფრო უშუალოა და თანაბარ პირობებში მიმდინარეობს. ამ შემთხვევაში ძალიან მკრთალი ზღვარია აუდიტორის შორის, რაც ორივე მხარისთვის მისაღებია. ამერიკელი მედიამაგნატები იღებენ ახალ გამოწვევებს, მათი თქმით ბეჭდური მედიის მულტიმედიური გამოცემები უნდა გახდნენ მოსაუბრები და ღია ბლოგერებისთვის, შესაბამისად იძენენ ბლოგერულ საიტებს (რუპერტ მერდოკი-საიტი ყშპაცე). იგივე ტენდენცია შეინიშნება ქართულ მედიაკულტურაშიც, მულტიმედიური გამოცემები გარდა საკუთარი ბლოგერებისა ადგილს აუდიტორიას უთმობს.

წლების შემდეგ, როდესაც ინტერნეტი საქართველოს მოსახლების უმრავლესობისთვის ხელმისაწვდომი გახდება, აქაც გაუჭირდება ტრადიციული მედიას. აღნიშნული სიახლეები ტრადიციული უურნალისტიკის პრინციპებს ცვლის და ამ შემთხვევაში, აუდიტორია თავად წყვეტს ვის ენდოს, ტრადიციული მედიის მირ მოწოდებულ ინფორმაციას თუ კოლექტიურად განსჯილ ამბავს. შესაბამისად მედიას მოუნევს მქადაგებლის როლიდან დიალოგზე გადასვლა.

ახალი მედიის კრიტიკოსთა შორის არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმადაც საზოგადოების მობილზების ნაცვლად მედიამ შეიძლება არეულობა და არასტაბილურობა გამოიწვიოს ინდივიდუალური თვითგამოხატვის შედეგად, რომელთა არაპროფესიული მიდგომები, დემაგოგიური გამოვლინებები, ფსევდორეალობა ხალხით მანიპულირების საშუალება გახდება. ცხადია, აღნიშნულ მოსაზრებასაც აქვს არსებობის უფლება, თუმცა, პლურალისტური მიდგომა და ალტერნატიული მედიასაშუალებების სიმრავლე, საჯაროდ აზროვნება, მოქალაქეობრივი პოზიციის გამოხატვა, საზოგადოებას თვითგამორკვევის მეტ საშუალებას მისცემს.

ზოგიერთი მედიამკულევარის მოსაზრებით, თუ ტრადიციული მედია „გადაშენდა“ გაქრება მმართველი ინსტიტუტების მუდმივი პროფესიული მონიტორინგიც, რასაც ემსახურება თავისუფალი მედია დემოკრატიულ მმართველობაში. თუმცა, სკეპტიკოსების თვალსაზრისს თუ გავიხსენებთ ასევე ემუქრებოდა „გადაშენდა“ ჯერ წიგნს გაზეთის გამოჩენით, შემდეგ გაზეთს რადიოს გამოჩენით, რადიოს ტელევიზიონის და ტელევიზიას ინტერნეტის გამოჩენით. რაც ვფიქრობთ ცოტა გაზვიადებულია. ცხადია, ტრადიციული მედიის აუდიტორია ახალი ტექნოლოგიების კვალდაკვალ მცირდებოდა, მაგრამ დღესაც განაგრძოს არსებობას. ამის ნათელი მაგალითია ამერიკაში ყველაძე პოპულარული უურნალი პენსიონერებისთვის „ოდერნ ატურიტე“ (19 მილიონი ეგზემპლარი), რომელთა მკითხველიც უპირატესობას არა ინტერნეტმედიას, არამედ ბეჭდურ გამოცემას ანიჭებს.

## თათია მუსანაძე

### ახალი მედიის გამოწვევები

#### რეზიუმე

თანამედროვე უურნალისტიკაში ინფორმაციული სივრცის გლობალიზაციის პირობებში ერთის მხრივ შეინიშნება ბეჭდური და სამაუწყებლო მედიის შერწყმის, საკუთრებაში კონცენტრაციის, ტრანსაციონალურ კორპორაციებად ჩამოყალიბების ტენდენცია და მეორეს მხრივ, ვითარდება საინფორმაციო სფეროში საზოგადობრივი აქტივობის ჩართულობით, ალტერნატიული - „ინდივიდების“, მასმედია, რომელიც უპირატესად ქსელურ პლატფორმაზეა მორგებული.

ტრადიციული მედიის აუდიტორია მცირდება ახალგაზრდა თაობაში. მკვიდრდება ახალი მედიაკულტურა: ახალი მედია, სოციალური ქსელების, ბლოგებისა და სამოქალაქო უურნალისტიკის სახით, რომელშიც მათი უმრავლესობაა ჩართული. აუდიტორია უკვე გამოვიდა მკითხველის, მსმენელისა და მაყურებლის როლიდან და თავად არის ჩართული ინფორმაციის გავრცელებაში, გვევლინება რა ინფორმაციის მიმწოდებლად და შესაბამისად, მონაწილეობს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში.

შეიქმნა კომუნიკაციის ახალ რეალობა. ინტერნეტმედია აღარაა დროსა და სივრცეში შეზღუდული, აუდიტორია, მისთვის ხელსაყრელ დროსა და ადგილას იღებს იფორმაციას. აღნიშნული სიახლეები ტრადიციული უურნალისტიკის პრინციპებს ცვლის და ამ შემთხვევაში, აუდიტორია თავად წყვეტს ვის ენდოს, ტრადიციული მედიის მირ მოწოდებულ ინფორმაციას თუ კოლექტიურად განსჯილ ამბავს. შესაბამისად მედიას მოუნევს მქადაგებლის როლიდან დიალოგზე გადასვლა.

**Tatia Mjavanadze****CHALLENGES TO NEW MEDIA****Summary**

In modern journalism, in terms of informational space globalization, there is an observed union of print and broadcast media in order to concentrate them into ownership –tendency of their formation into transinternational corporations. On the other hand, alternative „individuals“ media is being developed with social activity, which is mainly adjusted to network platform.

The audience of traditional media decreases in new generation. New media culture is getting established in terms of new media, social networks, blogs and civil journalism, in which majority of them are involved. The audience isn't anymore only a single reader, a listener or a viewer and is taking participation in spreading information itself ,it isn't only giving information but also is taking part in formation of social opinion.

A new reality of communication is created. Internet media isn't limited into time and space anymore. The audience receives information in convenient place and time for itself. Above mentioned news change traditional principles of journalism and in this case the audience decides itself whom to trust : The information given by traditional media or the news that was judged by society. As a result the media will have to change his role of preacher and go into dialogue.



## ქათი ნიშანაში

### არისტოზანეს პარაპასისეპი, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის ინსტრუმენტი

საზოგადოებასთან ურთიერთობის სახელმძღვანელოთა უმრავლესობაში მის ისტორიაზე მსჯელობა მეოცე საუკუნით იწყება. თუმცა, უკვე კარგა ხანია, მეცნიერებმა საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლები, საზოგადოებაზე ზემოქმედებისა და კომუნიკაციის მენეჯმენტის სახით, უძველეს ცივილიზაციებში იპოვეს. ეს საკითხი პირველად მეცნიერებმა - ჯეიმს გრუნიგმა და სკოტ კუტლიპმა წამოაყენეს.

დიდ ბრიტანეთში საზოგადოებასთან ურთიერთობის დარგის დამფუძნებლად ბაზილ კლარკს მიიჩნევენ, თუმცა, მეცნიერ ნოელ ტურნბოლის აზრით, ინგლისში პიარის პიონერები ვიქტორიანელი რეფორმატორები იყენებ. მოგვიანებით პროპაგანდა აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, გერმანიამ და სხვა ქვეყნებმა წარმატებით გამოიყენეს მსოფლიო ომების დროს, საკუთარი მიზნების დანერგვასა და მტრის დემონიზაციისთვის. ამან კი უფრო დახვენა საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელოვნება, თანდათან ის გასცდა საჯარო სექტორს და კერძო სექტორშიც შეაღწია.

მკვლევართა დიდი ნაწილი თვლის, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობა, როგორც მეცნიერება, ჩამოყალიბდა ამერიკაში, ედვარდ ბერნეისის მიერ და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღო საერთაშორისო მასშტაბები. ბევრმა ამერიკულმა კომპანიამ პიარ დეპარტამენტით განავრცილ საკუთარი პრაქტიკა ევროპაში, როდესაც მათ შექმნეს ევროპული შვილობილი კომპანიები, მარშალის გეგმით. მეორე საუკუნის მეორე ნახევარი საზოგადოებასთან ურთიერთობის პროფესიული განვითარების ეპოქად მიიჩნევა. ამ პერიოდში დაარსდა საერთაშორისო პიარსააგნენტორები და დადგინდა დარგის ოფიციალური ნორმები. 21-ე საუკუნის დასასწაულისში პიარმა პრესრელიზები შესთავაზა მედიას და სულ მაღლ სოციალური მედიისა და ახალი ინტერნეტ ტექნოლოგიების გავლენა საზოგადოებაზე ცხადი და უდავონ გახდა.

ედვარდ ბერნეისი ამბობდა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამი ფორმა - ხალხისთვის ინფორმაციის მიწოდება, მათი დარწმუნება და ერთმანეთთან ინტეგრირება - ისეთივე ძველია, როგორც სოციუმი. ამას მოწმობს უძველესი - ბაბილონური, ეგვიპტური, სპარსული თუ ანტიკური ცივილიზაციები. თუმცა, ამ სტატიის მიზანი არ არის საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარების ყველა საფეხურის მიმოხილვა. ჩვენი ამოცანაა, ვიმსჯელოთ საზოგადოებრივი აზრის ფორმირების, მასზე ზემოქმედებისა და კომუნიკაციის მართვის ანტიკური ეპოქისთვის დამახასიათებელ ფორმებზე.

ანტიკურ სამყაროში საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების მრავალი საშუალება არსებობდა. განსაკუთრებით ეფექტურად ხდებოდა საზოგადოებრივი განწყობილებების მანიპულირება დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის მქონე პოლისებში, სადაც მთელი პოლისის სრულუფლებიანი მოსახლეობა იყო ჩართული სახელნიტოსთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში.

ა) მოქალაქეებისადმი მასშტაბურად მიმართვის შესაძლებლობები. ასე მაგალითად: როგორც ცნობილია, ათენში არავითარ სირთულეს არ წარმოადგენდა ხმის უფლების მქონე ყველა მოქალაქის თავმოყრა და მათ წინაშე ამა თუ იმ პოზიციის დამცველ ორატორთა გამოსვლა.

ბ) მოქალაქეებს შორის კომუნიკაციის ხელსაყრელი პირობები, რომლებიც სახალხო კრებების, სასამართლოების, ხმირი ფესტივალებისა და რელიგიური თუ სამოქალაქო დღესასწაულების დროს იქმნებოდა პოლისებში, ანუ ქალაქ-სახელმწიფოებში.

გ) შეკრიცებისა და მაცნების ინსტიტუტის ინტენსიური ფუნქციონირება, რაც მოქალაქეებამდე ინფორმაციის აპერატიულად მიტანის ხელსაყრელ საშუალებას წარმოადგენდა.

დ) განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ამ თვალსაზრისით თეატროალური ფესტივალები, რომლის 5 დღიანი პროგრამა ათენები მოქალაქეების თავმოყრასა და ინფორმირების ფართო შესაძლებლობებს ქმნიდა. თუკი ტრაგედიები ძირითადად მითოლოგიურ თემატიკას იყენებდა, კომედიები კლასიკურ ათენში პოლიტიკურად აქტუალურ თემებს ეძღვნებოდა, რის გამოც ძვ. ატიკურ კომედიას პოლიტიკურ კომედიასაც უწოდებდნენ ხოლმე.

ჩვენი სტატიის მიზანია, განვიხილოთ სწორედ ამ პოლიტიკური კომედიების ერთ-ერთი სტრუქტურული ელემენტი - პარაბასისი - მხოლოდ ერთი თვალსაზრისით - რა როლს ასრულებდნენ პარაბასისები საზოგადოებრივი აზრის ფორმირების პროცესში.

რამდენადაც ატიკური კომედიის ძირითად ამოცანას წარმოადგენდა პოლისის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე ერთი აქტუალური ასპექტის სამიზნედ ქცევა, ბუნებრივია, უკვე თავად კომედია თავისი მთავარი თემით გარკვეული დემასახურებოდა საზოგადოებრივი აზრის შექმნას. მისი მიზანი იყო, სიცილის საშუალებით აუდიტორია გაეთავისუფლებინა ცხოვრების მანვიერი მხარეების მეუფებისაგან. ამ ვითარებაში კრიტიკის ობიექტი ხდებოდა ომისა და მშვიდობის, დემოკრატიის, სასამართლო სისტემის მანვიერებანი, თუმცა კომედია არასოდეს არ ისახავდა მიზნად, ამ მანვიერებათა გამოსწორების გზები ეჩვენებინა, რამდენადაც კომიკური კონფლიქტის განვითარება გადიოდა რეალურის ფარგლებიდან და კომედიოგრაფის ფანტაზიის უკიდეგანო თამაშს ექვემდებარებოდა.

ამის საპირისპიროდ, პარაბასისი ახდენდა მაყურებლის დროებით ამორთვას კომედიის ფანტასტიკური კონტექსტიდან და მის დაბრუნებას რეალობაში. მოქმედება დროებით წყდებოდა და გუნდი და მისა კორიფეულის იწყებდნენ მსჯელობას ისეთ საკითხებზე, რომლებზეც სერიოზული დიალოგი მაყურებელთან თავად კომედიოგრაფოსს სურდა. ფაქტობრივად, ეს იყო მარტივი და ეფექტური გზა, მოეხ-



დინათ გავლენა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე ისე, რომ მაყურებლისთვის ეს ფაქტი შეუმჩნეველი დარჩენილიყო, ან, უარეს შემთხვევაში - ნაკლებად გამაღიზიანებელი ყოფილიყო.

თუკი არისტოფანეს პარაბასისებით ვიმსჯელებთ, მასში მეტნილად თავად კომედიოგრაფის ბედზე და მათი და მაყურებლის დამოკიდებულებაზე იყო საუბარი. მაგრამ ყველაფერი ეს ხდებოდა არა მეცნიერული ფორმით, არამედ კომედისათვის დამახასიათებელი პოეტური და მეტრული კანონების დაცვით.

იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა შევიქმნათ, თუ როგორ ხდება ამ სტრუქტურული ელემენტების გამოყენება აუდიტორიასთან, ანუ ათენის საზოგადოებასთან, გახვიხილოთ არისტოფანეს კომედია „მხედრების“, პარაბასისი. თავად კომედიის ძირითადი სამიზნე, როგორც ცნობილია, არის ათენის დემოკრატია. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ათენის პატრიოტია, იგი კომედიაში წარმოგვიდგენს დემოკრატიის მთავარ სისუსტეს: გაქნილ დემაგოგებს შეუძლიათ დემოსის, ანუ ხალხის მოტყუება და მცდარი გზით წაყვანა. პოეტის მიზანი ამ შემთხვევაში არის დემოკრატიის სისუსტეების დაცინვა, რასაც იგი ბრწყინვალედ ახერხებს კომედიური კონფლიქტის ორიგინალური განვითარებით. და აი, მაშინ, როდესაც მოქმედება განვითარების ძირითად ფაზაში შედის, მას აჩერებს პარაბასისი. მისი ელემენტები 113 სტრიქონის შემცველ ტექსტში ამგვარადაა განაწილებული:

1. კომატიონი, რომელიც ერთგვარ გარდამავალ საფეხურს წარმოადგენდა კომედიის მოქმედები-დან უშუალოდ პარაბასაზე. აქ გუნდის წინამდლოლი - კორიფევსი - დროებით ეთხოვება მოქმედებაში ჩართულ მსახიობსა და მიმართავს მაყურებელს (498 - 506).

2. საკუთრივ პარაბასისი, ძირითადად ანაპესტებით გამართული ნაწილი, სადაც კორიფევსი პოეტზე და პოლისტზე მსჯელობს, როგორც კომედიოგრაფის წარმომადგენელი, ან ნდობით აღჭურვილი პირი, ან გუნდის აზრის გამომხატველი.

აქ პოეტი საყვედურობს მაყურებელს იმაზე, რომ საზოგადოება ადვილად უგულვებელყოფს იმ კომედიოგრაფის პოეტებს, რომლებიც ადრე დიდი წარმატებით სარგებლობდნენ და, ფაქტობრივად, პასუხს სცემს კითხვაზე - თუ რატომ არ გამოიყენებდა პოეტი გუნდს(507 - 540).

3. საკუთრივ პარაბასისი ყოველგვარი მეტრული პაუზის, შეჩერების გარეშე სულმოუთემელად გადადის პიგისში - სიტყვიერ ფეირვერკზე, რომელიც 541 — 550 სტრიქონებს მოიცავს. კორიფევსი სწრაფად აყალიბებს პოეტის მოთხოვნებასა და პრეტენზიებს აუდიტორიის მიმართ, როგორც მოკლე დასკვნას, რომელიც ლოგიკურად გამომდინარებს წინა ნაწილში დასმული კითხვებიდან. შემდეგ პარაბასისში გუნდი ერთვება.

4. პიგის მოსდევს ოდა, რომელიც სასიმღერო პარტიას წარმოადგენს და ღმერთისადმი მიმართვით ჰიმნს ემსგაესება (551 - 564).

5. 565 — 580 სტრიქონებში წარმოდგენილია ეპირემა - „მომყოლი თქმა“, ანუ რაც რეჩიტატივის ფორმით მოსდევდა სასიმღერო პარტიას და რაც მაყურებელს პოლისისთვის აქტუალურ თემატიკასთან აბრუნებდა. „მხედრების“, შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია წინაპრების ვაჟავაცობის წარმოდგენაზე. ერთმანეთთან დაპირისპირებულია თანამედროვე მებრძოლთა მოტივაცია და წინაპართა სულისკვეთება. პარაბასისის ეს მონაკვეთი არის კარგი მაგალითი იმისა, როგორ უღვივებს საზოგადოებას პატრიოტულ განწყობას პოეტი კომედიის მსვლელობისას.

6. ეპირემას მოსდევს ანტისტროფი, ანუ ანტიოდა, კვლავ ჰიმნური ხასიათის სასიმღერო პარტია (581 - 594). პოეტი მიმართავს ათენას, რომ მოიყვანოს წიკე - გამარჯვების ქალღმერთი. ის აგრძელებს წამოწყებულ თემას.

7. ბოლო საფეხურია ანტიეპირემა - პარაბასისის დამაგვირვენებელი რეჩიტატივი, სადაც მხედრების გუნდი ცხენების განდიდებით ასრულებს პარაბასის.594 — 610 სტრიქონებში უკვე აშკარად ჩანს, რომ ავტორი ამზადებს მაყურებელს საკუთრივ კომედიაზე გადასასვლელად.

როგორც ვხედავთ, პარაბასისა აქვს მკაფიოდ გამოკვეთილი პოეტური ფორმა და სტრუქტურა. მასში კორიფევსისა და ქორის პარტიები კანონზომიერად ენაცვლება ერთმანეთს. ასევე, კანონზომიერებას ექვემდებარება ე.წ. „მსჯელობითი ხასიათი“, და ჰიმნური თუ სახოტბო თემატიკის შემცველი პარაბასისის სხვადასხვა სეგმენტებში განაწილებული სტრიქონები. ამდენად, საკუთრივ პარაბასისში კორიფევსი მაყურებელთან, ანუ საზოგადოებასთან მართავს მსჯელობას იმ საკითხებზე, რაც პირადად პოეტს და მის კოლეგებს აღელვებს და რაც დაკავშირებულია საკუთრივ კომედიოგრაფის შემოქმედებასთან და მათ ხალხის მიერ დაფასებასთან. აქვე, პოეტი პასუხობს მის მიმართ საზოგადოებაში წამოჭრილ კითხვას. შესაბამისად, საზოგადოებასთან ურთიერთობის ეს სეგმენტი ძირითადად შემოქმედებით საკითხებზე საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებას ისახავს მიზნად.

რაც შეეხება ეპირემას, აქ საზოგადოებასთან ურთიერთობის სხვა ასპექტია შერჩეული და განხილულია ძველი და თანამედროვე თაობათა ურთიერთმიმართების აქტუალური პრობლემები.

თუკი გავითვალისწინებთ, რომ სპექტაკლს ათენის ხმის უფლების მქონე მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ესწრებოდა, აშკარა, რომ კომედიოგრაფი, ამ შემთხვევაში არისტოფანე, თავად კომედიაში ასახული მოქმედებით და პარაბასისით საზოგადოებაზე მრავალმხრივ ზემოქმედებას ახდენდა. ერთის მხრივ იგი მას დემოკრატიის მანეირებებს შეახსენებდა სიცილის საშუალებით, ხოლო მეორე შემთხვევაში მასთან სერიოზულ მსჯელობას მართავდა შემოქმედებით თუ საზოგადოებისთვის აქტუალურ სხვადასხვა საკითხზე. ყოველივე ეს მოქცეული იყო კარგად ორგანიზებულ პოეტურ სტრუქტურაში, რაც აშკარად აძლიერებდა საზოგადოებაზე ზემოქმედების შესაძლებლობებს.



აღნიშნულ, რეგლამენტით განსაზღვრულ სტატიაში შეუძლებელია არისტოფანეს სხვა კომედიების განხილვაც. მოკლედ ვიტყვით იმას, რომ მის ყველა პარაბასისში წინაა წამოწეული ისეთი საკითხები, რომლებიც მიზნად ისახავს საზოგადოებასთან სერიოზულ მსჯელობას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Cutlip, Scott. Public Relations History: from the 17<sup>th</sup> to the 20<sup>th</sup> century, 1995.
2. Grunig, James E. The handbook of Public Relations, 2001.
3. Turnball, Noel. How PR works but often doesn't.
4. გორდეზიანი რისმაგ. „ბერძნული ლიტერატურა“, 2014.
5. არისტოფანე, კომედიები, ლევან ბერძენიშვილის თარგმანი, 2002.

### ქეთი ნიუარაძე

**არისტოფანეს პარაბასისები როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის  
ინსტრუმენტი**

### რეზიუმე

მეცნიერთა აღიარებით, საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები - ხალხისთვის ინფორმაციის მიწოდება, მათი დარწმუნება და ერთმანეთთან ინტეგრირება - ისეთივე ძველია, როგორც სოციუმი. ამას მოწმობს უძველესი - ბაბილონური, ეგვიპტური, სპარსული თუ ანტიკური ცივილიზაციები. აღნიშნული სტატიის ამოცანაა, ვიმსჯელოთ საზოგადოებრივი აზრის ფორმირების, მასზე ზემოქმედებისა და კომუნიკის მართვის ანტიკური ეპოქისთვის დხამახასიათებელ ფორმებზე. კერძოდ, ვაჩვენოთ, რომ კლასიკური ბერძნული კომედიის ერთ—ერთი მნიშვნელოვანი სტრუქტურული ელემენტი — პარაბასისი წარმოადგენდა მწერლისთვის საზოგადოებასთან ურთიერთობის ქმედით იხსტრუმენტს.

**Kate Nizharadze**

### PARABASIES BY ARISTOPHANES, AS AN INSTRUMENT FOR PUBLIC RELATIONS

#### Summary

The scientists recognize that the forms of public relations – providing information to the public, persuading them and integrating them with each other is as much old as society. Babylonian, Egyptian, Persian and Ancient civilizations provide several evidences of that. The aim of our letter is to discuss the forms of defining public opinion, as well as the forms of influence on the public opinion and management of communication, which were typical for ancient period. Particularly, it illustrated that one of the most important structural element classical Greek comedy – Parabasis has been an efficient instrument in order to communicate with the public for the writer.



## თამარ ფაცულაია

### პიზნესის ეთიკური პროგლემები სიგნალიზაციონი

ბიზნესი საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაა და საზოგადოებრივი საქმიანობის სხვა ფორმების მსგავსად, გარკვეული მორალური წანამძღვრების გარეშე ვერ იფუნქციონირებს. ეთიკურმა პრობლემებმა ბიზნესის წარმოშობისთანავე იჩინეს თავი, მაგრამ ინდუსტრიალზაციის საწყის პერიოდში დომინირებად ძალას წარმოადგენდა ხელისუფლება და არა ეთიკა. თუმცა იგულისხმებოდა, რომ საზოგადოებისათვის წაყენებული ზოგადი მორალური ნორმები სავალდებულო იყო ბიზნესმენებისათვისაც. მაგრამ ეს მოთხოვნები თავად ბიზნესის ან თავად წარმოების ნორმებად არ აღიქმებოდა. ცხოვრების სეულმა გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების საფუძველზე, წარმოებას ძალა შესწევს გარკვეული ზემოქმედება მოახდინოს გარემომცველ ბუნებაზე, ჩვენ ცხოვრებასა და პლანეტის მომავალზე და ეს ზემოქმედება შესაძლებელია არასასურველი და ხმირად დრამატულიც კი იყოს. საზოგადოების ზენტრის შედეგად ბიზნესი იძულებული გახდა ელიარებინა თავისი სოციალური და მორალური პასუხისმგებლობა – ბუნების დაცვა საწარმოო წარჩენებით დაბინძურებისაგან, დისკრიმინაციაზე უარის თქმა, მუშახელის უფლებებისა და თანასწორუფლებიანობის დაცვა და სხვა. შემუშავებული იქნა ზოგადი დებულებები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა ბიზნესის შეფასება ეთიკური პოზიციებიდან.

1994 წელს შვეიცარიის ქალაქ კოში (საიხი), აშშ-სა და იაპონიის მსხვილი ნაციონალური და ტრანსნაციონალური კორპორაციების ხელმძღვანელების ინიციატივით, მიღებულ იქნა დეკლარაცია „ბიზნესის პრინციპები“, რომელიც საქმიანი ურთიერთობების ეთიკის პრინციპების ფუნდამენტს წარმოადგენს.

კორპორაციული ეთიკის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას თანამშრომლების მორალური პასუხისმგებლობის ამაღლება წარმოადგენს. აქ მოიაზრება არა მხოლოდ საკუთარ ან კორპორაციულ საქმიანობის შედეგებზე აღებული პასუხისმგებლობა, არამედ მთლიანად საზოგადოების კეთილდღეობაზე აღებული პასუხისმგებლობაც. თანამშრომლების, როგორც ზენტრივი პასუხისმგებლობის სუბიექტების, ერთობლიობა გადანაწილებული არაფორმალური სოციალური კონფრონლის როლს ასრულებს საწარმოებში. კორპორაციები პასუხისმგებლობის რეალიზაციის მექანიზმები ინსტიტუციონალურ ხასიათს ატარებს. ერთ-ერთ მათგანს „სიგნალიზატორობის“ (თანამშრომლების მახსილებელი განცხადებები) ინსტიტუტი წარმოადგენს, რომელიც აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში დაკანონებული ფორმალიზებული პროცედურის სახეს ღებულობს – თავისი წესებით, საკანონმდებლო და საზოგადოებრივი მხარდაჭერით მაგალითად, 2010 წლის 27 ოქტომბერს მასმედიის საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ აშშ-ში ბრიტანული ფარმაცევტული კომპანიის (ლახო) თანამშრომელს ჩერილ იკარტს, ფარმაცევტულ საწარმოში არსებული ტექნოლოგიური დარღვევების შესახებ აშშ-ს ხელისუფლებისათვის ინფორმაციის მიწოდებისათვის, 96 მლნ დოლარი გადაუხადეს.

ეს პრობლემა ცნობილია, როგორც სიგნალიზატორობა. ტერმინი სიგნალიზატორობა გამოიყენება საქმიანობის მთელი რიგი სახეების აღსანიშნავად, რომლებიც ზენტრივი თვალსაზრისით საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს ტერმინი ზოგჯერ აღნიშნავს თანამშრომლების მიერ ფირმის ხელმძღვანელების მისამართით გაკეთებულ მახსილებელი ხასიათის განცხადებას, რომელიც ეხება, ვთქვათ, კოლეგების ულიოს საქციელს, ან უშუალო ხელმძღვანელებს, რომლებიც ხარჯების ყალბ ანგარიშებს ადგენენ, ან ითვისებენ ფირმის ქონებას და სხვა მსგავსი ზოგჯერ სტუდენტები, გამოცდებზე თაღლითობაში შემჩნეულ თანაკურსელებს ასმენენ. ორივე შემთხვევაში სიგნალიზატორობა გამოიხატება, ფირმის ან ორგანიზაციის ფარგლებში, სხვა ადამიანების მიერ ჩადენილი დასაძრაო საქციელის მხილებაში შიდა სიგნალიზატორობა შეიძლება ვუნდოოთ, რადგან შეტყობინება ან განცხადება, ორგანიზაციაში ან სისტემაში მომუშავე პირის სახელზეა გაკეთებული. ადამიანი ჩვეულებრივ ვარაუდობს, რომ მისი განცხადებით დაინტერესდებიან, საქმის ვითარებაში გაერკვევიან და მორალური წესების დამრღვევი, დაისჯება. რაც შეეხება სტუდენტებსა და სასწავლო პროცესს. როგორც რიჩარდ ტ. დე ჯორჯი აღნიშნავს, როდესაც სტუდენტები პედაგოგის მეთვალყურეობის გარეშე, ნერით დავალებას ასრულებენ, როივე მხარე შეთანხმებულია, გამოცდა პატიოსნად რომ ჩატარდეს. ე.ი. სტუდენტები არა მარტო პრაქტიკიულად, არამედ მორალურად ვალდებულები არიან, აცნობონ პედაგოგს თაღლითობის შემთხვევებზე. როდესაც სტუდენტები წერით დავალებას პედაგოგის მეთვალყურეობის ქვეშ ასრულებენ, ასეთი დასმენა დასაშვებია, მაგრამ მორალურად სავალდებულო არ არის.

ადამიანს, რომელიც სექსუალური ხასიათის ზენტრის თაობაზე სხვა ადამიანს ადანაშაულებს, ასევე სიგნალიზატორობად თვლიან. ეს აიხსნება იმით, რომ ამ ადამიანის მცდელობამ, დაარწმუნოს მოძალადე მისი საქციელის უმსგავსოებაში, შედეგი არ გამოიღო. ამ შემთხვევაში ბრალი წაეყენება არა ორგანიზაციას ან სისტემას, არამედ თავად ბრალდებულს. ასეთ სიგნალიზატორობას პირადი სიგნალიზატორობა შეიძლება ვუზოდოთ. პირადი სიგნალიზატორობა მორალურად დასაშვებია, მაგრამ მორალურად აუცილებელი არ არის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოცემული შემთხვევა საფრთხეს უქმნის სხვა ადამიანებს.

პირადი სიგნალიზატორობა, როგორც წესი, ორგანიზაციის შიგნით ხორციელდება. მაგრამ, როდესაც სიგნალი საკმაოდ სერიოზული ხასიათისაა და სიგნალიზატორი უკმაყოფილოა მის განცხადებაზე 156



ორგანიზაციის რეაქციით, მას შეუძლია მიმართოს ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ არსებულ რომელი-მე სტრუქტურას. მხოლოდ დაუდევარი ფირმა დაუშვებს გარე სიგნალიზატორობას. გონივრულად მართული ფირმა ქმნის შესაბამის სტრუქტურებს, რომლებიც მსგავს შემთხვევებს მხოლოდ ფირმის შიგნით განიხილავს. პრობლემისადმი აღნიშნული მიდგომა არა მარტო კომპანიის, არამედ მისი თანამშრომლების ინტერესებს გამოხატავს, რადგან ხელს უწყობს ფირმაში ნორმალური ზნეობრივი ატმოსფეროს შენარჩუნებას.

ზოგჯერ სიგნალიზატორობას სახელმწიფო აპარატის იმ მოხელეებს მიაწერენ, რომლებიც თავისი იფისის ან განყოფილების საქმიანობის არაზნეობრივი მეთოდების შესახებ ინფორმაციას რომელიმე მარრეგულირებელ ან საგამომძიებლო სახელმწიფო უწყებას აწვდიან; ზოგჯერ სიგნალიზატორობის ქვეშ მოიაზრება სახელმწიფო მოხელების მიერ მომზადებული ინფორმაციის მასმედიაში გაჟონვა.

ასეთი სახის სიგნალიზატორობა განსხვავდება კერძო სექტორში სიგნალიზატორობისა-გან. ადამიანის ვალდებულებები საკუთარი მთავრობის წინაშე განსხვავდება არასამთავრობო დამსაქ-მებლის წინაშე აღებული ვალდებულებებისაგან. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ სახელმწიფო მოხელეები მთავრობასთან დაკავშირებულები არიან, ერთი მხრივ, როგორც ქვეყნის მოქალაქეები და იმავდრო-ულად, როგორც დაქირავებული მუშახელი. ხოლო სახელმწიფო მოხელეების მიერ მიყენებულმა ზიანმა, შეიძლება გავლენა იქონიოს არა მარტო კონკრეტულ განყოფილებაზე, სადაც ისინი მუშაობენ, არამედ მთავრობაზე ან მთლიანად ქვეყანაზე. (მაგალითად, აშშ-ში სენატმა მიიღო სპეციალური აქტები, რომლებიც არეგულირებენ და იცავენ სახელმწიფო აპარატში მომუშავე, გარკვეული ტიპის სიგნალიზატორების უფლებებს. კანონი არ იცავს მათ, ვინც ასაჯაროებს საიდუმლო ინფორმაციას, მაგრამ სამსახურის და-კარგვისაგან იცავს მათ, ვინც ამხელს გაფლანგვებს, გადახარჯვებს, სახელმწიფო ბიუროკრატიის მიერ გატარებულ კანონსანიანადმდეგო საქმიანობას ან კორუფციას. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ადამიანები გულწრფელი არიან თავის ქმედებებში, არცერთ სახელმწიფოს არ წაუხალისებია და გმირის რანგში არ აუყვანია ისინი).

სიგნალიზატორებისადმი განსხვავებული დამოკიდებულება კერძო სექტორში. ყველაზე ხშირად მათ დაკავებული თანამდებობიდან ათავისუფლებენ; რიგ შემთხვევებში „შავ საში“ შეყვათ და ეს მონაცემები ხელმისაწვდომი ხდება ამ კონკრეტული დარგის ყველა ხელმძღვანელი პირისათვის; არ ანინაურებენ; ექცევიან, როგორც პარიებს; იძაბება კოლეგებთან ურთიერთობები. ფირმები მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში უწონებენ საქციელს და ანინაურებენ ასეთ ადამიანებს. ეს გასაკირი არ არის, რადგან სიგნალიზატორი აიძულებს კომპანიას გააკეთოს ის, რისი გაკეთებაც მას არ სურს, მიუხედავად იმისა, რომ მორალური თვალსაზრისით, სიგნალიზატორი სწორად იცევა. ეს დასაძრახი საქციელია.

ყველაზე მეტად გაფრცელებული თვალსაზრისის მიხედვით, სიგნალიზატორობა საერთოდ დაუშვებელია. ამ თვალსაზრისის იზიარებენ არა მარტო ფირმების მენეჯერები, არამედ პერსონალის უმრავლესობაც. დასმენა, ენის მიტანა, ტრადიციულად დასაძრას საქციელად ითვლებოდა ყველა საზოგადოებაში.

სიგნალიზატორებს აღიქვამენ, როგორც მოღალატეებს, როგორც ადამიანს, რომელმაც ფირმას და მის თანამშრომლებს, ე.ი. მეორე ოჯახს, შეურაცხყოფა მიაყენა, სახელი გაუტეხა. მათ იშვიათად თუ ვინმე უწონებს საქციელს. კოლეგების დამოკიდებულება სიგნალიზატორის მიმართ, ახსნას ექვემდებარება. მათი აზრით, სიგნალიზატორი თვლის, თითქოს მისი კოლეგები (ანუ ვინც ხელმძღვანელობას სიგნალი არ მიაწოდა, ფირმაში არსებული მანკიერების თაობაზე) ან ფირმის არაკეთილსინდისიერი საქმიანობის თანამონაწილენი არიან, ან შეეშინდათ ან ამორალურები არიან. სიგნალიზატორმა გააკეთა ის, რისი გაკეთება სხვების ვალდებულებაც იყო, მაგრამ არ გააკეთეს. კოლეგეტივში მისი ყოფნა, კოლეგებს ყოველთვის საკუთარ გულგრილობას ან უმოქმედობას ახსენებს. როგორც წესი, კოლეგები სიგნალიზატორს საქციელს არ უწონებენ.

სიგნალიზატორობის სანინააღმდეგო, ყველაზე გავრცელებული და საკმაოდ ძლიერი არგუმენტი, ფირმისა და მისი კოლექტივისადმი ლიონალური დამოკიდებულების ცნებაშია ჩადებული. საზოგადოდ მიღებული მოსაზრებაა, რომ, როდესაც ადამიანები კომპანიაში ინყებენ მუშაობას, ისინი ამ ორგანიზაციის ნაწილი ხდებიან. ადამიანები ავტომატები არ არიან, გარკვეულ პოზიციებზე რომ დაამონტაჟო. ისინი მცოდნე და გრძნობებით აღსავსე გონიერი არსებები არიან. წებისმიერი დონის თანამშრომელი, თანხმდება რა შემოთავაზებულ სამსახურზე, საკუთარ თავზე, დამქირავებელი ფირმისა და მომავალი კოლეგების წინაშე, გარკვეულ მოვალეობებს იღებს. მათ მოვალეობაში შედის არა მარტო დაკისრებული სამუშაოს კეთილსინდისიერად შესრულება, არამედ როგორც თავად სამსახურის, ასევე კოლეგების მიმართ პოზიციური დამოკიდებულების დაცვა. ასეთი პოზიციური დამოკიდებულების (რასაც უხეშად ლოალობის ცნება შეიძლება უწონოდოთ) გარეშე, თანამშრომელი ან გულგრილია, ან არალოიალური. გულგრილ და არალოიალურ თანამშრომელს, აშკარად არ უნდა გუნდის მოთამაშის როლის მორგება. იგი დაკისრებული სამუშაოს ისეთ მოცულობას ასრულებს, სამსახურიდან რომ არ დაითხოვონ. პირველივე შესაძლებლობისთანავე, ასეთი თანამშრომელი ყოველგვარი დანანების გარეშე ტოვებს ფირმას და სამსახურს სხვა კომპანიაში ეძებს.

სიგნალიზატორობა, როგორც მორალურად დასაშვები ქმედება. არსებობს ხუთი პირობა, რომელთა დაცვის შემთხვევაში სიგნალიზატორობა მორალურ სტატუსს იცვლის. თუ ამ ხუთი პირობიდან დაცულია პირველი სამი, სიგნალიზატორის საქციელი მორალურად გამართლებული და დასაშვებია; თუ დაცულია ბოლო ორი პირობაც, სიგნალიზატორის საქციელი მორალურად სავალდებულოა.

სიგნალიზატორობა მორალურად დასაშვებია შემდეგ შემთხვევებში.



1. ფირმა თავისი პროდუქციით ან სამეურნეო პრაქტიკით, სერიოზულ და მნიშვნელოვან ზიანს აყენებს თავის პერსონალს, წებისმიერ ადამიანსა და საზოგადოებას მთლიანად.

თანამედროვე საზოგადოებას უმნიშვნელო ან მცირე დეფექტების აღმოსაფხვრელად, მრავალი საშუალება გააჩნია. ამ საშუალებების გამოყენება ბევრად უფრო მიზანშენონილი და დამაჯერებელია, ვიდრე სიგნალიზატორის. ნაკლებმნიშვნელოვანი ზიანის დროს სიგნალიზატორის ჩარიცხვი მოვლენა თუ გახდება, მისი ეფექტურობა შემცირდება. როდესაც სერიოზული ზიანის მიყენების საფრთხე იქმნება, სიგნალიზატორებს ყურს უგდებენ, მათ მოსაზრებებს იზიარებენ (მაგალითად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები).

რას ნიშნავს სერიოზული ზიანი? ცნება “სერიოზული” საკმაოდ ზოგადია და, რათქმა უნდა, დაზუსტებას მოითხოვს. როდესაც ერთი წლის განმავლობაში, ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად, ადამიანთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი ორჯერ გაიზრდება, არის თუ არა სერიოზული ზიანი? როდესაც მაღალი ხარისხის ნიშნით გაყიდული დეფექტიანი საპურავები, 100-110 კმ/სთ სიჩქარეზე სკდება, ესეც სერიოზული ზიანია, რადგან ადამიანების დაღუპვის მიზეზი შეიძლება გახდეს; როდესაც ტოქსიკურ ნარჩენებს მდინარეებში ყრიან, ესეც სერიოზული ზიანია, რადგან ტოქსინებით დაბინძურებული წყლით სარგებლობა, ავთვისებიანი სიმსივნეებისა და სხვა დაავადებების მაჩვენებელს ზრდის და საფრთხეს უქმნის ადამიანების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს; როდესაც სახლების მშენებლობის დროს არასტანდარტულ ბეტონს იყენებენ, ესეც სერიოზული ზიანია, რადგან უხარისხო სამშენებლო მასალით აშენებული სახლები შეიძლება დაინგრეს და ადამიანები დაიღუპონ; როდესაც ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის დროს, არმატურების დასამაგრებლად დეფექტიან ფიტინგებს იყენებენ, ესეც სერიოზული ზიანია, რადგან შეიძლება რადიაციულმა მასალამ გამოყონის და საფრთხე შეუქმნას ადამიანების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს და ა.შ.

ცნება “სერიოზული” შეიძლება შინაარსობრივად გავაფართოვოთ და გარდა ადამიანების დაღუპვისა და მათი ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნისა, დავუმატოთ სერიოზული ფინანსური ან სხვა სახის ზარალიც.

2. როგორც კი ფირმის თანამშრომლები ნაკეთობაში მომხმარებლისა და მთლიანად საზოგადოებისათვის სერიოზული საფრთხის არსებობას გამოავლენენ, მათ ამის თაობაზე უნდა აცნობონ თავის უშუალო უფროსს და საჯაროდ გაახმოვანონ საკუთარი წუხილი და შეშფოთება. თუ ამას არ გააკეთებენ, ე.ი. სიგნალიზაციის აქტი ზუსტად დასაბუთებული არ არის.

არსებობს სრულიად მისაღები და დასაბუთებული მოსაზრება, რომ, როდესაც გამოვლინდება პროდუქციის დეფექტები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ადამიანების სიცოცხლეს, მათი აღმოფხვრით ყველაზე მეტად მაინც ფირმა დაინტერესებული. ეს სურვილი შეიძლება მორალური მოსაზრებებით არ იყოს განპირობებული. ფირმას, ალბათ, უფრო პრობლემის პრაქტიკული მხარე აღელვებს – მომხმარებელთა ბიოკოტი, პრესის უარყოფითი რეაქცია, სასამართლო სარჩელები, პრესტიუსის შელახვა. თუ არსებობს სერიოზული ზიანის მიყენების საფრთხე და თანამშრომლის სიგნალს ამ საფრთხის აცილება შეუძლია, იგი ვალდებულია ასე მოიქცეს. ფირმისადმი ლილიალური დამოკიდებულებაც მოითხოვს, რომ ვიდრე საქმე გახმაურდება და ფირმას საჯაროდ დაადანაშაულებენ, უმჯობესია მას მიეცეს თავისი საქმიანობის გამოსწორების, მისი პოლიტიკისა და წესების შეცვლის საშუალება. გარდა ამისა, როგორც ვიცით, სიგნალიზატორობა ფირმას ზარალს აყენებს. ამ ზარალის მინიჭუმამდე დაყვანა შესაძლებელია, თუ ფირმას არსებული პრობლემის შესახებ დოკუმენტის მინიჭუმამდე ინფორმაციას და საშუალებას მისცემენ თავად გადაწყვიტოს ეს პრობლემა.

პირობა, რომლის მიხედვით თანამშრომელი არსებული საფრთხის შესახებ თავის უშუალო უფროსს აწვდის ინფორმაციას, ფირმაში იერარქიული სტრუქტურის არსებობას გულისხმობს. ამ ქმედებით თანამშრომელი უფრთხილდება და იცავს ფირმაში მოქმედ პრაქტიკას, რომელიც თანამშრომლებს აჩვევს სუბორდინაციას, პასუხისმგებლობას, ურთიერთპატივისცემას, წესრიგს, დისციპლინასა და ზრდის მათი მუშაობის ეფექტურობას.

3. თუ თანამშრომლის უშუალო უფროსი არ რეაგირებს მის საჩიგოვანზე (ე.ი. არსებული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, არვითარ ქმედით ზომებს არ მიმართავს), თანამშრომელმა ფირმის შიგნით უნდა ამონუროს ყველა არსებული საშუალება და შესაძლებლობა, ყურადღება რომ მიაქციონ და განიხილონ მისი განცხადება. ეს გულისხმობს, რომ მისმა განცხადება-საჩიგოვარმა ფირმაში ყველა ინსტანცია უნდა გაიაროს და თუ საჭირო გახდა, დირექტორთა საბჭოსაც მიმართოს.

ამ შემთხვევაში საკავანძმ მოთხოვნას კომპანიის შიდა არხებისა და შესაძლებლობების ამონურვა წარმოადგენს. რას ნიშნავს ფირმის შიდა არხებისა და შესაძლებლობების ამონურვა? ეს საკითხი სხვა-დასხვაგვარად ესმით და ხშირად კამათის საგანი ხდება. მაგრამ, რამდენადაც თანამშრომლის მიერ ფირმის გარეთ, საჯაროდ გაკეთებული განცხადებები, როგორც თავად თანამშრომლისათვის, ასევე ფირმის-თვისაც ბევრად უფრო სერიოზული შედეგების მომტანია, არჩევანს, უმეტეს შემთხვევაში, პრობლემის ფირმის ფარგლებში მოგვარებაზე აკეთებენ.

თუ თანამშრომელმა ზემოჩამოვლილი სამიერ პირობა შეასრულა და თუ კომპანიის მხრიდან, ზიანის თავიდან ასაცილებლად, ქმედითი ღონისძიებები არ იქნა გატარებული, მაშინ თანამშრომელმა პრობლემის მოგვარების ფირმის შიგნით არსებული ყველა შესაძლებლობა ბოლომდე ამონურა. ყოველივე ამის შემდეგ, თანამშრომელს, მორალური თვალსაზრისით, წება ეძლევა, კომპანიის გარეთ გაიტანოს ინფორმაცია და საჯარო განხილვის საგანი გახადოს იგი.



სიგნალიზაციონობა, როგორც მორალურად სავალდებულო ქმედება. მოსაზრება, რომ ზემო-აღნიშულ შემთხვევაში გარე სიგნალიზაციონობა მორალურად ნებადართულია, სულაც არ ავალდებულებს თანამშრომელს ასე მოიქცეს. თუ ხუთი პირობიდან, ბოლო ორი პირობი შესრულებული არ არის, თანამშრომელი მორალურად ვალდებული არ არის მიმართოს გარე სიგნალიზაციონობას. თანამშრომელი მხოლოდ მაშინ არის მორალურად ვალდებული მიმართოს გარე სიგნალიზაციონობას, თუ ხუთივე პირობა დაცულია.

4. თანამშრომელს უნდა ქონდეს (ან მისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს) დოკუმენტურად დადასტურებული მონაცემები, რომლებიც დაარწმუნებენ გონიერ, მიუკერძოვებელ პუბლიცისტს, რომ სიტუაცია მის მიერ სწორად არის შეფასებული და კომპანიის პროდუქცია ან მის მიერ განხორციელებული პრაქტიკა, მოსახლეობისათვის ან კონკრეტულად ამ პროდუქციის მომხმარებლისათვის, სეროზულ საფრთხეს წარმოადგენს.

თუ თანამშრომელს არ შეუძლია წარმოადგინოს დოკუმენტურად დადასტურებული მონაცემები, რომლებიც სარწმუნო იქნება გონიერი, მიუკერძოვებელი პუბლიცისტისათვის, მისი ბრალდებული სუბიექტური ხასიათის შთაბეჭდილებას ტოვებს და არცერთი გაზრი არ დაბეჭდავს ამ მასალას და არც სახელმწიფო უწყებები დაიწყებენ გამოძიებას. რათქმა უნდა, იგულისხმება, რომ დოკუმენტები კანონიერი გზით არის მოპოვებული.

5. თანამშრომელს წარმატების საკმაო საფუძველი უნდა ქონდეს, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ საჯარო გამოსვლით მიზანს მიაღწევს და აუცილებელი ცვლილებები განხორციელდება. წარმატების შანსი უნდა შეესაბამებოდეს მოსალოდნელ საფრთხეს და იმ რისკს, რომელზეც ეს ადამიანი წავიდა.

შესაძლებელია შედეგი ანონიმურმა სიგნალიზაციონობაც გამოიღოს. მაგრამ ანონიმურ განცხადებებსა და შეტყობინებებს, იშვიათად აქცევენ სერიოზულ ყურადღებას. ადამიანმა შეიძლება ნდობა გამოუცხადოს სამთავრობო ჩინოვნიკს ან რეპორტიორს და იმ პირობით დათანხმდეს სიგნალიზაციონობას, მისი ვინაობა ანონიმური თუ დარჩება. სიგნალი ეფექტური რომ იყოს, ადამიანი თავისი ვინაობის გამხელას, საჯარო გამოსვლასა და გარკვეულ რისკზე წასვლას, უნდა დათანხმდეს. ადამიანების ცნობიერებაზე დიდ გავლენას ახდენს სიგნალიზაციონის სიმტკიცე და მზადყოფნა, საკუთარი სიმართლისა და სხვა ადამიანების კეთილდღეობისათვის, თავის თავზე მოირგოს ზნეობრივი გმირის როლი.

სიგნალიზაციონობის აუცილებლობის თავიდან არიდება. ზნეობრივ გმირობაზე მოთხოვნილება საზოგადოების არასრულყოფილებაზე (ასევე, კორპორაციის არასრულყოფილებაზეც) მეტყველებს. ბევრად უფრო მნიშვნელოვანია სამართლებრივი და კორპორატიული სტრუქტურების გამოსწორება, რომლებიც სიგნალიზაციონობის აუცილებლობას წარმოქმნის, ვიდრე ადამიანების ზნეობრივი გმირობისაკენ წაქეზება.

რიჩარდ ტ. დე ჯორჯის აზრით, ბევრად უფრო ადვილია კანონის, ვიდრე ყველა კორპორაციის პრაქტიკის შეცვლა. ამდენად დამსაქმებელს კანონმდებლობით უნდა აეკრძალოს სამსახურიდან გაათავისუფლოს ან სხვა სახით დასაჯოს თანამშრომელი, რომელმაც დაიცვა ზემოაღნიშული პირველი სამი პირობა და გაახმოვანა კომპანიაში არსებული არასახარბიერო მდგომარეობა. რამდენადაც ამ პირობების დაცვა მორალურად ამართლებს სიგნალიზაციონობის აქტს, კანონმა უნდა დაიცვას კომპანიის თანამშრომლები, რომლებიც სინდისის კარნაზით მოქმედებენ. მაგრამ შესაბამისი კანონის მიღებით სიგნალიზაციონების დაცვა, ადვილი საქმე არ არის. მენარმეებს სამსახურიდან გათავისუფლების გარეშეც შეუძლიათ აუტანელი გახადონ სიგნალიზაციონის ფირმაში მუშაობა. სიგნალიზაციონი შეიძლება არ დაახინდონ, არ გაუზარდონ ხელფასი, ჩამოაქვეითონ, გადაიყვანონ ნაკლებად პრესტიულ ან ნაკლებანაზღაურებად სამუშაოზე. კანონი ყველაფერს ვერ გაითვალისწინებს, მაგრამ ზოგიერთი, განსაკუთრებით აღმაშინებელი მეთოდების აკრძალვა, ნამდვილად შესაძლებელია.

მეორე, კანონში შეძლება გათვალისწინებული იქნას იმ პირთა დასჯა, რომლებმაც პასუხისმგებლობა აიღეს დეფექტიანი პროდუქციის გამოშვებისა და არასახარბიერო პრაქტიკის გაგრძელებაზე. მაგრამ კანონმდებლებს ყოველთვის არ სურთ კომპანიის ოპერატიულ საქმიანობაში ჩარჩევა. იყო შემთხვევები, როდესაც ამორალური და არაკანონიერი მეთოდების გამოყენებაში დამნაშავე თანამშრომლები, დაუსჯელები დარჩენ, კორპორაციები კი, თავისი კანონსანინააღმდეგო საქმიანობისათვის, დააჯარიმეს.

მესამე, გარკვეული სიდიდის კომპანიას უნდა ყავდეს კანონით გათვალისწინებული გენერალური ინსპექცია ან ფირმის რევიზორი, რომლის ამოცანა ფირმის საქმიანობის ამორალური და არაკანონიერი მეთოდების გამოვლენა იქნება; მას აგრეთვე ევალება ყველა დონის თანამშრომლის მორალური მოსაზრების მოსმენა, ფირმის მიერ გამოყენებული მეთოდების შესახებ; ეს პირი დამოუკიდებელი უნდა იყოს კომპანიის მენეჯერებისაგან; ანგარიშვალდებული უნდა იყოს კომპანიის მმართველობის სარევიზო კომისიის წინაშე, რომელიც იდეალურ შემთხვევაში, დაკომპლექტებული იქნება დირექტორთა საბჭოს გარე წევრებისაგან. ინსპექტორი ან რევიზორი ვალდებულია გაასაჯაროოს ის განცხადება-საჩივრები, რომელთა გადაწყვეტა ფირმაში არ მოხერხდა. ინსპექტორის მიერ თანამშრომლის საჩივარზე სათანადო ღონისძიებების გატარებაზე თავის არიდების შემთხვევა (რის შედეგადაც თანამშრომელი იძულებული ხდება, თავის გაასაჯაროოს ინფორმაცია), ფირმის საქმიანობის მიუღებელი მეთოდების ან ნაკეთობის დეფექტის დამალვის მცდელობის უპირობო მტკიცებულებად უნდა ჩაითვალოს. ამ ინსპექტორის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას.

გარდა ამისა, კომპანიას, რომელსაც ზნეობრივ ჩარჩობი ფუნქციონირება სურს (ე.ი. არ უნდა წარმოების ზიანის მომზანი მეთოდების გამოყენება და ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის გამოშვება), სიგნალიზაციონობის თავიდან აცილების მიზნით, შეუძლია მიმარ-



თოს სხვა ღონისძიებებსაც. შეიძლება შექმნას სპეციალური სამსახური, სადაც თანამშრომლებს მიეცე-მათ საშუალება, სამსახურის დაკარგვის ან დაქვეითების შეშის გარეშე, გაუზიარონ თავისი მოსაზრებები ფირმაში არსებული მდგომარეობის შესახებ. უფრო მეტიც, თანამშრომელთა ასეთი საქციელი უნდა შე-ფასდეს, როგორც კომპანიისადმი ერთგულების დემონსტრირება და შესაბამისად წახალისდეს. კომპანიაში შეიძლება შექმნას სპეციალური რწმუნებულის თანამდებობა, რომლის მოვალეობა თანამშრომლების განხცადება-საჩივრების განხილვა იქნება ან იმავე მიზნით ჩამოაყალიბოს დირექტორთა საბჭოს დამოუ-კიდებელი კომისია. კომპანიაში შეიძლება რომელიმე თანამშრომელს, რომელმაც ხელმძღვანელობას დროულად უნდა მიაწოდოს სიგნალიზატორის მოსაზრებები, უფლება მისცეს გაერკვიოს კომპანიაში არ-სებულ მორალურ ატმოსფეროში, შეიმუშაოს შექმნილი ვითარების შეცვლის ღონისძიებები, ხელფასიც გადაუხადოს. ასეთი თანამშრომლის წარმატებული საქმიანობა დამოკიდებული იქნება მის შესაძლებლობებსა და უნარზე კომპანიას აარიდოს, როგორც თავად სიგნალიზატორობა, ასევე ამ მოვლენის ხელშემწყობი პირობები.

### გამოყენებული ლიტერატურე:

- კანკე ვ.ა. პასუხისმგებლობის ეთიკა. მომავლის ეთიკის თეორია. მ., 2000
- კიბანოვი ა.ა., ზახაროვი დ.კ., კონვალოვა ვ.გ. საქმიანი ურთიერთობების ეთიკა. მ., 2002
- პროფესიული ეთიკის საიტი <http://www.guestia.com=professional etics>
- რიჩარდ ტ. დე ჯონსი. ბიზნესმენის სამაგიდო წიგნი. საქმიანი ეთიკა. მ., 2004

### თამარ ფანცულაია

#### ბიზნესის ეთიკური პრობლემები სიგნალიზატორობა

#### რეზიუმე

კორპორატიული ეთიკის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას თანამშრომლების მორალური პასუხისმგებლობის ამაღლება წარმოადგენს. თანამშრომლების, როგორც ზნეობრივი პასუხისმგებლობის სუბიექტების, ერთობლიობა გადანაწილებული არაფორმალური სიციალური კონტროლის როლს ასრულებს სა-წარმოებში. კორპორაციებში პასუხისმგებლობის რეალიზაციის მექანიზმები ინსტიტუციონალურ ხასიათს ატარებს. ერთ-ერთ მათგანს „სიგნალიზატორობის“, (თანამშრომლების მამხილებელი განცხადებები) ინსტიტუტი წარმოადგენს. სტატიაში განხილულია სიგნალიზატორობის სხვადასხვა სახეები, გაანალიზებულია სიგნალიზატორობა, როგორცმორალურადდასაშვებიქმედება, სიგნალიზატორობა, როგორცმორალურადსავალდებულო ქმედება და სიგნალიზატორობისაუცილებლობისთავიდანარიდებისაშუალებები.

Tamar Phanculaia

#### BUSINESS ETHICAL PROBLEMS

#### Summary

Perfection of moral responsibility of employees presents to be one of the main tasks of corporate ethic. Unity of employees, being the characters of moral responsibility, provides for distributed informal social control in the enterprises. Responsibility realization mechanisms in the enterprises are of institutional character. One of them is an institute of „warning“ (exposing of employees). The article considers different types of „warning“, analyze it as morally permissible and morally obligatory action and means of avoiding the necessity of such „warning“.



## ნინო ჟუფარაძე

### თანამადროვა ჟარმაცევტული გაზრის თავისებურებანი და პაციენტის უფლებების დაცვა (ეთიკური ასპექტები)

თანამედროვე ეპოქისათვის დამახასიათებელმა მორალურ-ზნეობრივი კრიზისის გამძაფრებამ მნიშვნელოვნად განაპირობა ფარმაცევტული ბაზრის (ფარმაცევტული პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის) სფეროში ნეგატიური ტენდენციების განვითარება. ყოველწლიურად იზრდება ახალი სამკურნალო საშუალებების წარმოება და რეალიზება, თუმცა არა ყოველი მათგანი აკმაყოფილებს მათი უსაფრთხოების, ეფექტურობისა და ეკონომიკური მიზანშეწონილობის კრიტერიუმებს.

საზოგადოების განსაკუთრებულ შემფოთებას ინვევს სამომხმარებლო ბაზარზე ფალსიფიცირებული პროდუქციის არსებობა, რაც ჯანმო-ს უკანასკნელი მონაცემებით მსოფლიო ფარმაცევტულ ბაზარზე არსებულ სამკურნალო საშუალებათა 10%-ს შეადგენს (ამათგან 605 საერთოდ არ შეიცავს ინსტრუქციაზე მითითებულ აქტიურ ნივთიერებას, 19% შეიცავს მას არასაკმარისი რაოდენობით, დანარჩენი კი შეიცავს ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებას, ან ვადაგასულია და შეფუტულია ვადიანობის შეცვლილი თარიღის მითითებით).

მთელ რიგი შემთხვევებში ადგილი აქვს ინსტრუქციებში პრეპარატთა გვერდითი ეფექტებისა და შესაძლო რისკების შესახებ ინფორმაციის დამალვასა და დამახინჯებას, რაც საბოლოო ჯამში პაციენტთა ჯანმრთელობის სერიოზულ გაუარესებას განაპირობებს.

სამკურნალო საშუალებათა შესახებ სენსაციურ ცნობებს გვაწვდიან ასევე ამერიკელი ექსპერტები წიგნში „საუკეთესო წამლები, ყველაზე უვარგისი წამლები“. აქ წარმოდგენილი 278 პრეპარატიდან უმრავლესობას თან ახლავს მინიშნებები: „არ გამოიყენოთ“, „გამოიყენეთ ბაზარზე გასვლიდან 5 წლის შემდეგ“ და სხვ.

ამ ინფორმაციათა უტყუარობაზე მეტყველებს უურნალ „Megapolis Express“-ში (2006წ. N37) გამოქვეყნებული სტატიისტიკაც, რომლის თანახმად აშშ-ში მედიკამენტური თერაპიის შედეგად გამოწვეული დაავადებებისაგან ყოველწლიურად ილუპება დაახლოებით 100 ათასი ადამიანი, ხოლო 2,2 მლნ ავადდება სხვადასხვა მძიმე დაავადებებით, რომელთა სამკურნალოდ ექსპერტთა სხვადასხვა გათვლებით ყოველწლიურად იხარჯება 50 მლრდ-დან 90 მლრდ დოლარამდე.

ფალსიფიცირებული პროდუქციის სამომხმარებლო ბაზარზე არსებობა ფარმაცევტული პროდუქციის მნარმოებელი კომპანიებისათვის, ისევე როგორც ქვეყნის ეკონომიკისათვის, მათი ფინანსური მოგების დაკარგვის მნიშვნელოვან ფაქტორსაც წარმოადგენს, რამდენადაც „კრიმინალური“ პროდუქციის მნარმოებლებს საშუალება აქვთ გაყიდონ პროდუქცია გაცილებით ნაკლებ ფასად – მათი წარმოებისა და რეალიზაციისათვის აუცილებელი დანახარჯების არარსებობის გამო. ამასთან დგება კანონიერი მნარმოებლების სამართლებრივი და მორალური პასუხისმგებლობის პრობლემაც. რამდენადაც მათ ერთ-ერთ უმთავრეს ვალდებულებას საკუთარი პროდუქციის უსაფრთხოებისა და ხარისხის უზრუნველყოფა წარმოადგენს (რაც ფალსიფიცირებისგან მათი დაცვის ვალდებულებასაც გულისხმობს). ისინი იძულებული არიან გაიღონ დამატებითი თანხები იმ აუცილებელი ზომების გასატარებლად, რაც მათი პროდუქციის ხარისხისა და ორიგინალობის დადასტურებას უზრუნველყოფს.

ფალსიფიცირებული პროდუქციის გამოწვენისა და აღკვეთის მიზნით დღესდღეობით შექმნილია არაერთი წაციონალური და საერთაშორისო ორგანიზაცია, საერთაშორისო სავაჭრო პალატასთან ფუნქციონირებს კონტრაფაქციის გამოძიების ბიუროც, რომლის შემადგენლობაში შედიან კონტრაფაქციის ტექნიკურობის ექსპერტები, ფარმაცევტული კომპანიებისა და სამმართალდამცველი ორგანოების თანამშრომლები და სხვა კომპეტენტური პირები. ბიუროს ამოცანას შეადგენს კონტრაფაქტული პროდუქციის წარმოებისა და დისტრიბუციის წყაროების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება საერთაშორისო დონეზე, პროდუქციის წარმოების ახალი მეორედების შემუშავება მათი ფალსიფიცირების გამორიცხვის (მინიმუმამდე დაყვანის) მიზნით და სხვ.

ცნობილია, რომ ეს და სხვა მრავალი პრობლემა არახალია და ფეხდაფეხ მისდევს ფარმაცევტული მეცნიერების ჩამოყალიბებისა და განვითარების ხანგრძლივ პროცესს, თუმცა უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გაზრდილია მათი მასშტაბები იმ მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც კი, სადაც განსაკუთრებით მაღალია ფარმაცევტული ბაზრის სამართლებრივი რეგულაციის დონე.

ფარმაციის სფეროში არსებულ ცენტრალურ ეთიკურ პრობლემას წარმოადგენს ფარმაცევტული პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის საბოლოო მიზნის მორალურობა. ცნობილია, რომ თანამედროვე პირობებში იგი კლასიკური მარკეტინგის პრინციპებით განისაზღვრება და ორიენტირებულია მაქსიმუმურ ფინანსურ მოგებაზე.

ბიოეთიკოსებისათვის უკვე დიდი ხანია ცნობილია, რომ მარკეტინგული პრინციპების დანერგვა ფარმაციის (და ზოგადად ჯანდაცვის სფეროში) არაზნეობრივია, რადგან მის მიზანს წარმოადგენს მაქსიმალური ფინანსური მოგების მიღება მომხმარებლის (პაციენტის) მირითადი უფლებებისა და ინტერესების იგნორირებების და დარღვევის ხარჯზე. უძველესი მოაზროვნები აკრიტიკებდნენ სამკურნალო საქმეში მოგების პრიორიტეტის აღიარებას. ანტიკური პერიოდის პერიოდი ექიმი ჰილონი წერდა: „უპირატესობა მიანიჭება წაგებას და არა სამარცხვინო მოგებას. პირველისაგან წყენა გექნება მხოლოდ ერთხელ, ხოლო მეორისაგან – სამუდამოდ..“



ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზების შედეგად ფინანსური მოგების ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს მომხმარებლის მანიპულირება, რაც თანამედროვე მსოფლიოში სარეკლამო-საინფორმაციო საქმიანობის განხორციელებით წარიმართება. რეკლამის მესვეურთა დაბალი მორალურ-ეთიკური შეგნებისა და არასაკამისის სამართლებრივი რეგულაციის შედეგად უკანასკნელ პერიოდში ძალზე გახშირდა არამართებული (არაეთილისინდისიერი) რეკლამების რაოდენობა (განსაკუთრებით არასპეციალიზებულ გამოცემებსა და საინფორმაციო საშუალებებში), რაც მოსახლეობის მიერ სამკურნალო საშუალებათა ყიდვისა და მოხმარების სტიმულირებას უწყობს ხელს.

შესაბამისი ნაციონალური და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე, ზემოაღნიშნული მანკიურების აღმოფხვრის ერთ-ერთ ქმედით ღონისძიებად სახავენ სარეკლამო-საინფორმაციო საქმიანობის „გამკაცრებას“, „წამალთა რეკლამის სფეროში მორალურ-ეთიკური ნორმებისა და პრინციპების დაცვა წარმოადგენს აუცილებელ ფაქტორს და არა ფორმალობას და განაპირობებს მოქალაქეთა მიერ გონივრული გადაწყვეტილების მიღების ხელ-შეწყობას პროდუქციის არჩევისას.

ჯანმო-ს საერთაშორისო ასამბლეის 41-ე სესიაზე (1988წ. 13 მაისი) მიღებულ რეზოლუციაში „სამკურნალო საშუალებათა რეალიზების ეთიკური კრიტერიუმები“ (ასევე ღოკუმენტებში: „საერთაშორისო სავაჭრო პალატის სარეკლამო საქმიანობის საერთაშორისო კოდექსი“, 1986წ. „მარკეტინგის კოდექსი AIPM“, 1997. და სხვ.) წათლადა ფორმულირებული ფარმაცევტული პროდუქციის (სამკურნალო საშუალებათა) რეკლამირების თვითრეგულაციის ეთიკური ნორმები, რაც გულისხმობს შემდეგი ძირითადი მოთხოვნების დაცვის აუცილებლობას:

1. სარეკლამო-საინფორმაციო საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს სახელმწიფოს ნაციონალური პოლიტიკის ჩარჩოებში ჯანდაცვის სფეროში არსებულ კანონმდებლობასა და ეთიკურ კოდექსთან შესაბამისობაში.

2. სარეკლამო ხასიათის ინფორმაცია უნდა იყოს სრულყოფილი, უტყუარი და გემოვნებით მოწოდებული. იგი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პრეპარატის ძირითადი საშედილიც-ბიოლოგიური თვისებების შესახებ, არ უნდა იძლეოდეს პოზიტიური ეფექტის მიღების გარანტისა და არ უნდა ჩქმალავდეს ინფორმაციას რისკების, არასასურველი გვერდითი მოვლენების შესახებ. მინიშნება „უსაფრთხოა“ უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ იმ პრეპარატებთან მიმართებაში, რომელთაც გაიარეს ყველა სათანადო შემნება.

3. რეკლამამ არ უნდა შეუქმნას წარმოდგენა პრაქტიკულად ჯანმრთელ ადამიანს პრეპარატის მიღების აუცილებლობის შესახებ (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი განკუთვნილია კონკრეტული დაავადების პრევენციისთვის ან/და ორსულობის თავიდან ასაცილებლად). დაუშვებელია სამკურნალო საშუალებათა რეკლამირება ისეთი მძიმე დაავადებებისათვის, როგორიცაა: ონკოლოგიური, მწვავე ინფექციური (მათ შორის სქესობრივი გზით გადამდები, შაქრიანი დიაბეტი და ნივთიერებათა ცვლის დარღვევებთან დაკავშირებული დაავადებები, ფსიქიკური აშლილობა, ქრონიკული უძილობა, ე.წ. „მწვავე მუცელი“).

4. რეკლამამ არ უნდა შეუქმნას წარმოდგენა მომხმარებელს იმის შესახებ, რომ პრეპარატის მიღება შესაძლებელია ექიმის კონსულტაციის გარეშე.

5. პრეპარატის შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს იმ პირთათვის, ვინც უფლებამოსილია მის დანიშვნაზე.

6. სარეკლამო-საინფორმაციო საქმიანობა არ უნდა იყოს უშუალოდ დაკავშირებული ექიმის ფინანსურ ინტერესებთან, რაც მედიკამენტის დანიშვნისა თუ რეკომენდაციისათვის მათ დამატებით სტიმულს შეუქმნის.

ფარმაცევტული პროდუქციის რეკლამირებისას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ადამიანს და მისი ძირითადი უფლებების დაკმაყოფილებას – მიიღოს მაქსიმალურად უსაფრთხო, ეფექტური და ფინანსურად ხელმისაწვდომი პროდუქცია.

ფარმაციის სფეროში არსებულ ნეგატიურ ტენდენციად სახელდება აგრეთვე ზოგიერთი ტრანსნაციონალური ფარმაცევტული კორპორაციის მიერ ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი ან არასაკმარისად შესწავლილი სამკურნალო საშუალებების სამომხმარებლო ბაზაზე გასვლის ლობირება. ამის ნათელი დასტურია აშშ-ს „სამკურნალო საშუალებათა ცენტრის“ დირექტორის ჯანეტ ვუდლოკის ინტერვიუც, სადაც ის შემაშფოთებელ ცნობებს გვანვდის ზოგიერთი ფარმაცევტული ფირმის მხრიდან ექსპერტებზე ეკონომიკური ზენოლის ფაქტების შესახებ მათ მიერ სამკურნალო პრეპარატების უსაფრთხოების აღიარების მიზნით. ასევე მრავლისმთქმელია ამერიკული ფარმაცევტული კომპანიების მიერ FDA-ის („სამკურნალო საშუალებების კონტროლის აღმინისტრაცია“) სასარგებლოდ სერიოზული ფინანსური ინვესტირების განხორციელება ახალი პრეპარატის რეგისტრაციისა და წარმოების უფლების მოსაპოვებლად. ცნობილია, რომ კომპანიების მიერ შენირული თანხები ფარავს FDA-ს სრული ხარჯების 50%-ს.

ფარმაცევტული კომპანიების მხრიდან ადგილი აქვს პრაქტიკოსი ექიმების მოსყიდვის ფაქტებსაც, რის შედეგადაც ისინი ხელმძღვანელობენ ფარმაცევტული ფირმების მარკეტინგული პოლიტიკის (და არა სამედიცინო მიზანშენობის პრინციპის მიხედვით), და უპირატესობას ანიჭებენ ახალი პრეპარატებით მკურნალობას, რომელიც ჯანმო-ს ევროპული ბიუროს წარმომადგენლის კეის დე იონკენის აზრით, „არ არის ყოველთვის უფრო უკეთესი, მაგრამ თითქმის ყოველთვის უფრო ძვირადლირებულია“.



ფარმაცევტულ ბაზარზე არსებულ მზარდ წეგატიურ ტენდენციად განიხილება ფარმაცევტული პროდუქციის ფინანსური ხელმისაწვდომობის პრობლემაც.

დღეს ექიმის განკარგულებაშია მრავალფეროვანი (შესაბამისად განსხვავებული ლირებულების მქონე) მედიკამენტები და სამკურნალო საშუალებები. ამდენად, თანამედროვე ეკონომიკური კრიზისისა და ჯანდაცვის სისტემაში არსებული მეტ-ნაკლებად შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება თერაპიული თუ პროფილაქტიკური ეფექტის მიღებას მინიმალური მატერიალური დანახარჯებით.

აღნიშნული პრობლემის დაძლევისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური პროცესის ეფექტურად და სამართლიანად წარმართვის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ქმედით ლონისიებად სახელდება სამკურნალო დაწესებულებებში (მათი პროფილისა და ბიუჯეტის გათვალისწინებით) ე.ნ. „პრეპარატთა ფორმულარის“ (პრეპარატთა ჩამონათვალის) შემოღება, რომლის დროსაც ექიმი უფლებამოსილია დანიშნოს მხოლოდ მასში მითითებული პრეპარატი. იმ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მიზანშეწონილად მიიჩნევა იმ მედიკამენტის დანიშნვა, რომელიც არ მოხვდა ფორმულარში, ექიმი ვალდებულია მიმართოს სამკურნალო დაწესებულების ხელმძღვანელობას ან ეთიკურ კომიტეტს სპეციალური ნებართვისთვის.

ფორმულარის პრაქტიკაში დანერგვის ფაქტებს წარსულშიც ჰქონდა ადგილი. მაგალითად: XIII-XIV სს-ში აღმოსავლეთის ქვეყნებში მოქმედებდა ე.ნ. „ისლამური ფორმულარი“, რომელიც 517 პრეპარატს ითვლიდა. იგივე მექანიზმი გამოიყენებოდა სხვადასხვა პერიოდში დასავლეთის ქვეყნებშიც.

თანამედროვე ექსპერტთა გათვლებით სამკურნალო საშუალებებზე დაწესებული ფორმულარული შეზღუდვის სისტემის დანერგვა მნიშვნელოვანი ფინანსური შეღავათის მიღების შესაძლებლობას იძლევა. მაგალითად, 1997 წელს ჰიუსტონის ერთ-ერთ მრავალპროფილიან საავადმყოფოში ფორმულარის შემოღებამ 31%-ით შეამცირა ანტიბაქტერიული პრეპარატებისთვის გამოყოფილი ფინანსური ხარჯი და ამასთან, ანტიბაქტერიული თერაპიის მთელ რიგ შემთხვევებში განაპირობა ავადმყოფთა რეზისტენტულობის დონის შემცირება, რაც დადასტურებულ იქნა ICARE-s (Intensive Care Antimicrobial Resistance Epidemiology) პროექტის განხორციელების შედეგად, რომელიც მიზანად ისახავდა ჰოსპიტალური პათოგენეზის რეზისტენტულობის დონის შესწავლას ამშ-ის 41 ჰოსპიტალში.

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების განხილვა შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ თანამედროვე მსოფლიო ფარმაცევტული ბაზარი ჯერ კიდევ ქაოსურად უპასუხისმგებლოდ ვითარდება. მრავალი პრობლემა, რომელიც ჯანდაცვის მუშაკთა და მოქალაქეთა სამართლიან შემფოთებას იწვევს, ჯერ კიდევ მოუგვარებელია.

ფარმაცევტული ბაზრის არასაკმარისად ეფექტური მაკონტროლირებელი სამართლებრივი ბაზის არსებობა, სამკურნალო საშუალებებზე მაღალი ფასები და მათზე გაზრდილი მოთხოვნილება, არასაკმარისი საჯარიმო სანქციები, ონ ლაინ აფთიაქტა არსებობა, კორუფცია, და სხვ. ნოიერ ნიადაგს ქმნის მათი არსებობისათვის.

ექსპერტთა მოსაზრებით ფარმაციის სფეროში გამეფებული კლასიკური მარკეტინგის კონცეფცია აუცილებელია შეიცვალოს სოციალური მარკეტინგის კონცეფციით, რომელსაც ორი მთავარი მიზანი აქვს – მომხმარებლის უზრუნველყოფა დროული, კვალიფიციური და ხელმისაწვდომი ფარმაცევტული დახმარებით, და „გონივრული“ მოგების მიღება, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენს ფარმაცევტული სექტორის განვითარებისათვის. მიუხედავად ამ კონცეფციის პროგრესულობისა, მან ვერ მოიპოვა ჯეროვანი შეფასება და აღიარება, რაც უპირველეს ყოვლისა იმით აისხება, რომ საზოგადოებრივ ცნობიერებაში სათანადოდ ჯერ არ მომნიဖებულა პროფესიულ ფარმაცევტულ საქმიანობაში მორალურეთიკური ნორმებისა და პრინციპების ფართოდ დანერგვის აუცილებლობის შეგნება.

ფარმაცევტული ბაზრის რეფორმირების (გაჯანსაღებისა) და მომხმარებლის ფუნდამენტური უფლებების დაცვის მიზნით ასევე მიზანშეწონილია სამოქალაქო საზოგადოებისა და სამეცნიერო-პროფესიული ორგანიზაციების კონსოლიდაცია, ფარმაცევტული სექტორის მართვის დემოკრატიზაციის პროცესის გაღრმავება, ფარმაცევტული პროდუქციის ადგილობრივი წარმოების სტიმულირება და ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან, ინოვაციური და საინვესტიციო პროექტების განხორციელება და სხვ.

აქვე ნიშანდობლივია აღვნიშნოთ, რომ ამ პრობლემათა დაინტერესებამ და მათი გადაჭრის გზების ძიების მიზნით ჩატარებულმა მრავალმხრივმა მეცნიერულმა კვლევებმა განაპირობებს სრულიად ახალი სამედიცინო-ფარმაკოლოგიური მეცნიერებებისა და მიმართულებების ჩამოყალიბება (როგორიცაც, მაგალითად, ბიოფარმაცია, მტკიცებითი ფარმაკოლოგიური პროცესის განვითარება), რამაც თავის მხრივ, მიგვიყვანა „ფარმაცევტული ბიოეთიკის“ შექმნამდე. იგი განიხილება როგორც ბიოეთიკის ერთ-ერთი სფერო, რომელიც მოწოდებულია შეისწავლოს ფარმაცევტული (და პარაფარმაცევტული) პროდუქციის შექმნის, მისი კლინიკური გამოცდის, რეგისტრაციის, წარმოებისა და რეალიზაციის სფეროში არსებული ძირითადი მორალურ-ეთიკური პრობლემები პაციენტების (და მთლიანად საზოგადოების) ჯანმრთელობის დაცვის, მისი ღირსების პატივისცემის, ცხოვრების ხარისხის ამაღლების, და ა. შ. მიზნით.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ბიოეთიკა. ბელა მამულაშვილი. თბილისი. გამ. „უნივერსალი“, 2012
2. Биомедицинская этика/Под ред. В. И. Покровского. М.:Медицина, 1997.-224с.
3. Кэмбелл А, Джиллетт Г, Джонс Г. Медицинская этика: Пер. с англ: Учеб. пос/Под ред. Ю. М. Лопухна, Б. Г. Юдина.\_ М.: ГЭОТАР-МЕД. 2004.- 400с.
4. Лопатин П. В, Карташова О. В. Фармацевтические аспекты биоэтики//Фармация.-1997.№2-с. 39-40.
5. Лопатин П. В, Кривошеев С. А, Янчук Е. Б. Основные критерии анализа лекарственного рынка с позиции защиты прав потребителей фармацевтической помощи. В сб. Медико-социальная экология личности: состояние и перспективы. ч. 2: Материалы III международной конференции, апрель, 2005г. — Минск: Белорусский Гос. университет, 2005, с. 121-125.
6. Лопухин Ю. М. Биоэтика-М.: изд. дом „ГЭОТАР-МЕД“, 2003.-123с.
7. Материалы второй международной конференции «Фармацевтическая биоэтика», -М.: Фармацевтический мир, 2003. с. 18-20, 29-30, 46-47, 84-88.
8. Материалы первой международной конференции «Фармацевтическая биоэтика», -М.: Фармацевтический мир, 1997. с. 31-33, 44-49.
9. Федеральное руководство по использованию лекарственных средств (формулярная система). Выпуск IV- М.: „Эхо“, 2003.-928с.
10. Шульц Дон Е, Танненбаум Стэнли И, Лаутерборн Роберт Ф. Новая парадигма маркетинга. Интегрируемые маркетинговые коммуникации: Пер. с англ. —М.: ИНФРА-М, 2004.- XXII, 233с.

**ნინო ყუფარაძე**

**თანამედროვე ფარმაცევტული ბაზრის თავისებურებანი და პაციენტის უფლებების დაცვა**

**რეზიუმე**

სტატიაში „თანამედროვე ფარმაცევტული ბაზრის თავისებურებანი და პაციენტის უფლებების დაცვა“ განხილულია თანამედროვე ფარმაცევტული ბაზრის სფეროში არსებული მზარდი ნეგატიური ტენდენციები ბიოეთიკისა და მომემარებლის (პაციენტის) უფლებათა დაცვის კუთხით; გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ფალსიფიცირებული პროდუქციის არსებობა სამომხმარებლო ბაზარზე, სხვა ფაქტორებთან ერთად, წარმოადგენს ფარმაცევტული პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის სფეროში მორალურ—ეთიკური პრინციპების დაცვის იგნორირების შედეგს.

**Nino Kuparadze**

**THE MAIN PECULIARITIES OF MODERN PHARMACEUTICAL  
MARKET AND DEFENCE OF HUMAN RIGHTS**

**Summary**

Nino Kuparadze in her article „The Main Peculiarities of Modern Pharmaceutical Market & Defence of Human Rights“ refers to negative tendencies have increased on Pharmaceutical Market & reviews them from the point of view of Bioethics.

The author believes that one of the preconditions of production & realization of counterfeited medication&violation of consumers' (patients') rights is non-observance of moral-ethical principles&norms in above-mentioned sphere.



## დალი ჩიკვილაძე

### ნიკო ნიკოლაძის ნააზრევის შესწავლა გრძელდება მისი პირადი წერილების გამომზეურების სურვილითაც კი. ფართო საზოგადოებისათვის დღემდე უცნობი ეპისტოლარული მემკვიდრეობის დიდი ნაწილი-1921-1925 წლებში დაწერილი პირადი წერილები 2013 წლის 24 სექტემბერს ნიკო ნიკოლაძის 170 წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილეზე ნიკოს სახლმუზეუმს დიდჯიხისაში მისმა შვილთაშვილმა სალომე ზურაბიშვილმა ბებიისადმი - ნინო ნიკოლაძე-ზურაბიშვილისადმი ლონდონიდან გამოგზავნილი წერილები საჩუქრად გადასცა. ნინო და ივანე ზურაბიშვილების ოჯახი იმხანად სამშობლოდან კონსტანტინეპოლში გახიზნულიყო სამი ვაჟით. წერილები რუსულადაა დაწერილი და ნიკოს სახლმუზეუმის საუნჯე-საკუთრებაა დღეს. მათში გადმოცემულია ჩვენი ქვეყნის უმძიმესი ნარსულის ფრიად საინტერესო, ურთულესი და შეულამაზებელი ისტორია, ისინი გამოირჩევა გულწრფელობით, დაუფარაობით, სიმართლის გადმოცემის იმ ნიუანსებით, რომელშიც უცხოეთში დარჩებილი ნიკო ნიკოლაძის დიდი ტეკილია გამუღლავნებული, ამასთან საქართველოს ბედზე დაფიქრებული მოაზროვნის უმძიმდობაც გამოკრთის.

მეოთხეულს ვთავაზობთ 1921 წელს დაწერილი ერთ-ერთი ბარათის თარგმანს (ეს წერილები ნ. ნიკოლაძის სახლმუზეუმის დირექტორმა ქ-ნმა ლია ბიბილებიშვილმა გადმოგვცა). ვფიქრობთ, იგი თანამედროვების ამსახველ ბევრ ნიუანსსაც მიესადაგება, ამასთან მარგანეცის მრეწველთა საბჭოს - „ჩემოს“, დაშლის უტყუარ პერაპეტიებს გადმოგვცემს და იმდენად საინტერესოა, რომ ზედმეტ კომენტარს არ საჭიროებს.

ნ. ნიკოლაძე  
ლონდონი, 23 აგვისტი 1921

ძვირფასო ნინუსი!<sup>1</sup> გუშინ მივიღე 15 აგვისტოს გამოგზავნილი შენი წერილი. საქართველოდან, ჩემპიდან დიდი ხანია არაფერი ვიცი, სოლომონ წერეთლის ცოლმა მათგან არაფერი ჩამომიტანა. მე ის არც მინახავს: მის ქმართას ჩემი ურთიერთობა ისეთი არ არის, რომ ერთმანეთთან შეხვედრებს ვესწრაფოდეთ. მესამე დღეა დაგბრუნდი პარიზიდან და ჰავიდან, სადაც დავემშვიდობე მარგანეცის ჩვენს მწარმოებლებს, რომლებიც კოსტანტინეპოლში თავიანთ საერთო კრებაზე გამოემგზავრნენ. გულით ვუსურვებ მათ სრულ ნარმატებას. მიუხედავად იმისა, რომ მატერიალურად მათთან განშორება ჩემთვის სასიკცილოა, მე შვებით ამოვისუნთქე პირველად ამ ორი წლის მანძილზე ამ განშორებით, რაც ჩვენს შორის სრული უთანხმოების შედეგი იყო, უფრო სწორად, შეუძლებელი იყო ერთად მოგვევარებისა საერთო საქმე და გაგვენია საერთო ჭაპანი. თითოეული ცალკე იქაჩება, ყველას უნდა თავისთვის წაგლიჯოს, არავის ახსოვს, რომ მის გარდა არიან სხვებიც, რომელთა ინტერესები და მისწრაფებები სუფთაა. თითოეულს უნდა, რომ მე მხოლოდ მისი მონა ვიყო და არა ყველას საერთო მსახური. თითოეული მოითხოვს, რომ მე ვულალატო და მოვატყუო ყველა მის გარდა. ამასთან, თითოეული თავის მიღწევებს საერთო საქმის წარმატებაში კი არ ხედავს, არამედ სწორედ ამ საქმის ინტერესების დარღვევაში. არავის არა აქვს წარმოდგენა იმ მონოპოლიის არსზე, რაც ჩვენი საქმის საფუძველა: თითოეული ცდილობს დაარღვიოს იგი თავის სასარგებლოდ, რაიმე გაიტანოს უკითხავად მარტომ, რითაც სწორედ ამ მონოპოლიას ვწებს. რასაკვირველია, მავანი მთავრობის სასარგებლოდ კი არ არღვევს ყოველივეს, არამედ საკუთარი თავისათვის, ამიტომაც ფასები ირევა და ჩვენი კრედიტი ზიანდება. ამასთან, ტრადიციული „ზდანევიჩის“, ანტაგონიზმი „ტუზემცებას“ და უცხოელებს შორის, ყოველთვის სასიკვდილო რომ იყო, ეხლა განსაკუთრებით საშინელებაა, რადგან არა მხოლოდ ბოლშევიკები, ნინა ხელისუფლებაც, ზოგავდა და ხელს არ ახლებდა ქვანახშირის წარმოების კერძო საკუთრებას მხოლოდ უცხოელების შურისძიების შიშით. მე ვცილობდი მომერიგებინა ორივეს ინტერესები, ამიტომაც, როგორც ხდება ხოლმე, უკაყაფილება დავიდისახურეორივე მხარისაგან. უცხოელები ხედავდნენ, რომ მე „ტუზემცების“, (ადგილობრივების—მთარგმნელი) ერთგული და მტკიცე დამცველი ვარ, მანამდე მიტანდნენ, ვიდრე ქართველი მწარმოებლების წარმომადგენლად მთვლიდნენ. მაგრამ ესენი ახალი მეთაურებით რომ ჩამოვიდნენ, რომლებიც არ მალავდნენ, რომ სურვილი აქვთ ჩემი ადგილი დაიკაონ, უცხოელებმა უმაღვე მოიაზრეს, რომ უურულთან<sup>2</sup> და ჯაყელთან<sup>3</sup>, განსაკუთრებით კი სოლომონ წერეთლთან<sup>4</sup>, გაცილებით იოლად ითანამშრომლებდნენ, ვიდრე ჩემთან: საქმე მაღვე მათ საოცნებო იდეალს მიუახლოვდება, მამდელ ანარქიას, მონოპოლიის განადგურებას მიაღწევენ, რადგან „ტუზემცების“, მოკავას თავიანთი კაპიტალითა და კრედიტებით იოლად მოახერხებენ, დაქსაქსული ადგილობრივების უმოქმედობის წყალობით. ორივე მთავრობა, ნინანდელი და ახლანდელი, მარტო მარგანეცის წარმოებას რომ დააწვა მთელი სიმძიმით, თითქოს მხოლოდ მას შეეძლო სახელმიწოდებელის შენახვის მთელი სახსრების ანაზღაურება, ამან გაუადვილა უცხოელებს ფარული ზრახვების მიღწევა. „ჩემო“, თანდათან დისკრედიტირებული და უძლური შეიქმნა. მარტო ზარმაცი არ ყიდდა და არ გთავაზობდა მარგანეცს: „ჩემოს“, მონოპოლიის ხელს უშლიდნენ არა მარტო მთავრობის ხელმძღვანელები, არამედ თვით „ჩემოს“, წევრები. ამას დაემატა ბოლშევიკების შემოსევა საქართველოში და რამდენიმე „ჩემოს“, ალმოცენება: თბილისის, კონსტანტინეპოლის, ჰავაზის! ამასთან, მთელი მსოფლიო, და განსაკუთრებით ქართული სამყარო, იღუპება „პარლამენტარიზმის“, გაუგებრობით: ფიქრობენ, რომ ნაბიჯის გადადგმა, თავის დაკვრა არავისთვის არ შეიძლება, თუ არ ინებებს მთელი პარლამენტი, რომელიც შედგება



სხვადასხვა აზრის მქონე მრავალრიცხოვანი დელეგატებისაგან, მათი მთელი საქმიანობა მიმდინარეობს კამათსა და ინტრიგების ხლართვაში, ვაჭრობაში ყოველი წუთი საშურია. გაუშვებ მომენტს და ჩიტივით ვერ დაიჭერ ვერასძროს. ჩვენები კი გამოირჩევიან სხდომების მუდმივი გადადებით: ხან ერთერთი წევრი შეუძლოდაა, სხვა დეპუტატი — დაკავებულია, მესამე — უკავი ყოლო, ქვორუმი არ იკრიბება. ქარხანა კი არ იცდის და ყიდულობს ინდოელი, სადაც გამჭიდველი მარტოა და არავის არ ეთათბირება, არავის ფასებს არ უმხელს. შარშან საზღვარგარეთული კომიტეტი რომ გავმართეთ, მას „პარიტეტი“, ედო საფუძვლად, ანუ „ტუზემცების“, და უცხოელების გავლენის თანასწორობა საქმეში: ხმების თანასწორობა, თუ მათ განსხვავებული აზრი ჰქონდათ, ჩემი, როგორც თავმჯდომარის, ხმით წყდებოდა. მაგრამ მე, როგორც წევრს, ხმა არ მქონდა. როდესაც ჯაყელი და ოგანეზოვი<sup>5</sup> იანვარში საქართველოში ბრუნდებოდნენ, მათ თავიანთი „ტუზემცების“, ხმა მე კი არა, პაპავას<sup>6</sup> მიანდეს, შევნიშნავ, ის მთელი სულით და გულით გერმანელებს იყო მიკედლებული. მე დავივინებ ჩემი ღირსება და თავმოყვარეობა და ვთხოვე მათ სააგენტოში დაეტოვებინათ ბარათი, რომ პაპავას არყოფნის, ან ავადმყოფობის შემთხვევაში „ტუზემცების“, ხმები მე გადმომცემოდა, ეს მათ არ გააკეთეს. მე მათ ორი დეპება დავანიე კონსტანტინებოლში სოსო გოგოლაშვილის<sup>7</sup> სახელზე, ვაუწყებდი, რომ ამის გარეშე საქმეები დაზარალდებოდა. არც ჩემი ეს თხოვნა გაითვალისწინეს და ყოველგვარი უფლებისა და ნდობის გარეშე დამტოვეს. პაპავას მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ ჩვენს კომიტეტს უკვე აღარ შეეძლო შეკრება და მე ველარაფერს ვერ შევცვლიდი. მაშინ კონსტანტინებოლიდან და თბილისიდან ურთიერთსანინააღმდეგო მოთხოვნების კასკადი დაიძრ: თბილისიდან — გროში არ გასცეუ კონსტანტინებოლელ ლტოლვილებზე, მაღაროების კონფის კაციის და დარჩენილი მესაკუთრეების დახვრეტის საშიშროების გამო, კონსტანტინებოლიდან კი ითხოვდნენ — გადამეგზავნა მათთვის „ჩემოს“, მთელი დოკუმენტები და ფული. სინამდვილეში კი არც მე, არც აქაურ სააგენტოს არანაირად არ შეგვეძლო ფლესინგის სახლიდან მიგველო „ჩემოს“, საქმეები და თანხები. არც „ჩემოს“, მოვალეებისაგან შეგვეძლო ფულის ამოღება: უფლება მიეკუთვნებოდა დაწესებულებას, პარლამენტს, რომელსაც ქვორუმი არ გააჩნდა. კონსტანტინებოლში კი უბედური მენარმეები, რომლებმაც არ იცოდნენ საქმის ვითარება, ჩემზე ბრაზობდნენ, ფიქრობდნენ, რომ მე ჩავიჯიბე მათი ფულები და უსამართლოდ ვაშიმშილებდი. სხვათაშორის, მე ჩამორთმეული მქონდა უფლება მიმედო საკუთარი ხელფასი კომიტეტის ნებართვის გარეშე, რომელიც არ იკრიბებოდა, რადგან არ იყვნენ ქართული ინტერესების მქონე პირები. განა სხვაგვარად შეიძლება საქმე წასულიყო იქ, სადაც მსხვილი სავაჭრო — სამრეწველო ინტერესების გადამწყვეტი არიან ის პირები, რომლებმაც არაფერი იციან თავიანთი ვიწრო სპეციალობის მეტი, არც აქვთ თანამშრომელთა გარჩევის უნარი. ასეთი სერიოზული საქმის ხელმძღვანელობა შეუძლებელია, თუ არ გაითვალისწინე, რა იქნება ერთი თვის, ერთი წლის შემდეგ. მათ არ იციან არა მხოლოდ სახელმწიფოთაშორისა ურთიერთობანი და არც შეუძლიათ მათი შესწავლა, არამედ არ იციან „ჩემოს“, შემადგენლობაში მყოფი უცხოური ფირმების ინტერესი და მიზნები. ყველაფერი, რასაც ისინი აკეთებენ, დაფუძნებულია წუთიერ ინტერესებზე, მომენტის შთაბეჭდილებაზე, ჭორებზე, უბრალოდ არაფერზე. ამის დასტურია „ჩემოს“, მონანილეთა საერთო კრების ოქმი, რომელიც შედგა ამა წლის 18 აპრილს კონსტანტინებოლში. ვანომ<sup>8</sup> წაიკითხოს და გითხრას, რა იქნება, როცა ეს ოქმი ბოლშევიკებს ჩაუვარდებათ ხელში? ყველას თავისი გზით გაუმარჯოს, როგორც სურთ, ისე წაიყვანონ საქმე, ერთზე მწყდება გული, ორი წელი დავკარგე, უნდა ამივიღდო თავიდან, წავშალო გონებაში ყველაფერი, რაც ასე გულმოდგინედ შევისწავლე ამ სიბერის წლებში, თანაც უნდა დავფანტო ის წიგნები და მასალები, რომლებსაც ასე გულმოდგინედ ვაგროვებდი. ლონდონში დავრჩი მხოლოდ იმიტომ, რომ მარტო აქ შეიძლებოდა მარგანეცისა და სანაოსნო საქმის კურსში ყოფნა, ინგლისური ენის შესწავლა (მაშინ, როცა, ჩემთვის უფრო ადვილი და მოსახერხებელი იყო საფრანგეთში, განსაკუთრებით პარიზში, ცხოვრება), მაგრამ ახლა ყველაფერი უნდა მივატოვო, გავყიდო, გავაჩუქო, არ ვიცი, რა ვქნა. ეს მნარე ხევდრია იმ ადამიანებისთვის ახალ საქმებსა და ახალ ქვეყნებს რომ ემსახურებინ. მათ ხალხებს კი ჯერ არ დაუდგენიათ, არ უპოვიათ საკუთარი გზა. ისიც უნდა ითქვას, რომ მილიონობით არიან ჩემზე უარეს დღეში, ამიტომაც, მადლობა ლმერთს, რომ „შეიძლება უფრო ცუდი ყოფილიყო?!“. ეგებ ჩემი ცხოვრების ბოლო დღეები მშვიდად გავატარო. მარგანეცის მრეწველები დამპირდნენ, რომ ჯენტლმენურად გამისინორებენ ანგარიშს, ანუ ხელფასს წლის ბოლომდე გადამიხდიან. ამ ანგარიშსნორებამდე ლონდონში მომინევს ცხოვრება ფულუნებაში. როგორც კი მივიღებ ჩემს საფასურს და მოვაწესრიგებ აქაურ საქმებს, გავემგზავრები საფრანგეთში, მერე ვნახავა, ალბათ, ჩვენებთან ჩავალ. თუ მთა არ მიდის მაგომეტთან, ეს უკანასკნელი უნდა ავიდეს მთაზე, რაც არ უნდა მძიმე იყოს მისი ასაკოვანი ფეხებისა და ასთმის ფონის მიუხედავად. ყოველ შემთხვევაში ერთი რამით ბედნიერი ვარ: ამიერიდან არავინ დამადანაშაულებს იმ შეცდომებსა და უნესრიგობაში, რომლებმაც ჭიათურის კანტორას ნება დართო ჩემს ოჯახს ყოველთვიურად მისცეს იმდენი, რამდენსაც მიოთხოვენ ისინი. არ მესმის, რას ნიშნავს ეს დუმილი: ჩემი წერილები არ აღწევს, თუ მათ ეშინიათ მოწერა? ბოლო წერილში (21 ივნისი) მნერენ, რომ 5 თვეა არცერთი სტრიქონი არ მიუღიათ, თუ შეგიძლია შე-

დღემდეჩვენებიდან არც ერთი სტრიქონი არ მიმიღია ჩემი წერილების პასუხად. არ ვიცი, იღებენ თუ არა იმ ფულს, რომელსაც ყოველთვე შეუფერხებლად ვუგზავნი 15 რიცხვში თბილისში არსებულ იტალიურ — კავკასიურ ბანკში. ასევე არ ვიცი, აძლევს თუ არა რაიმე თანხას კავკასიის სამთო ამხანაგობა, რომელმაც ჭიათურის კანტორას ნება დართო ჩემს ოჯახს ყოველთვიურად მისცეს იმდენი, რამდენსაც მიოთხოვენ ისინი. არ მესმის, რას ნიშნავს ეს დუმილი: ჩემი წერილები არ აღწევს, თუ მათ ეშინიათ მოწერა? ბოლო წერილში (21 ივნისი) მნერენ, რომ 5 თვეა არცერთი სტრიქონი არ მიუღიათ, თუ შეგიძლია შე-



ატყუბინე, რომ დაწერონ ორი სტრიქონი: ჩვენ კარგად ვართ, ამა და ამ დროს მივიღეთ ამდენი, სტერლინგის კურსი იყო ამდენი. მე მეტს არაფერს ვითხოვ. აცნობე, ჩემი გადაძაბული ტვინის დასუფთავება, რომ მარგანეცის საქმეები აღარ მეტება, და წლის ბოლოს ვფიქრობ საქართველოში დაბრუნებას, თუ მანამდე ცოცხალი და ჯანმრთელი ვიქენები.

შენ ტყუბილად ემდური ელიკოს:<sup>9</sup> მეც იშვიათად მწერს, ისიც მოკლე ლია ბარათს. მასაც არა აქვს ვარდებით მოფენილი გზა, როგორც ყველა დიასახლის. ყველასთვის მძიმე დროა, სხვებისთვის ვერ იც-ლი და ნურავის გაამტყუნებ. კავი<sup>10</sup> სადღაც შვეიცარიის მთებშია, უკვე ნახევარი წელია მისგან სტრიქონი არ მიმიღია, მაგრამ თელიკომ<sup>11</sup> პარასკევს პარიზში მითხვა, თითქოს თავს იქ კარგად გრძნობს, თუ არ მატყვილებს. მე ძალიან ვწუხვარ მის გამო. შოთას<sup>12</sup> შესახებ ვფიქრობდი (რატომ არ მახსოვგს), რომ ის დი-დი ხანია დაბრუნდა სამშობლოში; გთხოვ, მიწერე, შემატყუბინოს ზუსტი მისამართი და რამდენი ჭირდება ფული. რამდენსაც შევძლებ, — გავუგზავნი. ამ ბარათთან ერთად გიგზავნი ინგლისური ბანკის ბი-ლეთს, 5 ფუნტს, გადაასურდავე დრახმებზე და გაუგზავნე ბანკის ანგარიშით, ვიცი რომ ცოტაა, მაგრამ ბევრის გარისკვა მეშინია, როცა მის მისამართს მივიღებ, ათენში გავუგზავნი მეტს.

იმედი მაქვს, შენი შვილების ჯანმრთელობა გამოკეთდა. მომწერე ხშირად და ბევრი, ყველაფერი რასაც გაიგებ ჩვენს ქვეყანაზე და ჩემიანებზე.

ვანო შენ და შენ შვილებს მაგრად დაგუოცნით. ვისაც ვახსოვარ, ყველა მოიკითხე საუკეთესო სურ-ვილებით.

შენი მამა 6. ნიკოლაძე

### შენიშვნები

1. ნინო ნიკოლაძე - პეტერბურგელი ექიმის, ანა მაკაროვას და ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილი, რომელიც დაიბადა პეტერბურგში, ანა მაკაროვას მშობიარობის დროს გარდაცვალების გამო, ნინო ნიკოლაძე იზრდებოდა ნიკოს სამ შვილთან ერთად საქართველოში, დიდ ჯიხაისასა და თბილისში. მას ივანე ზურაბიშვილთან ქორწინებისას სამი ვაჟიშვილი შეეძინა.
2. გიორგი შურული - ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რეს-პუბლიკის კოალიციური მთავრობის წევრი, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი 1918 წელს.
3. ალექსანდრე ჯაყელი - საზოგადოება „ჩემოს“, ერთერთი მნიშვნელოვანი აქციონერი.
4. სოლომონ წერეთელი - კონსტანტინეპოლის არსებული „ჩემოს“ საზოგადოების წევრი (შეიძლება მდივანიც კი).
5. ოგანეზოვი - ჯერჯერობით მისი ვინაობა დაუდგენელია.
6. ედუარდ პაპავა - უნდა იყოს აკავი პაპავას ძმა, „ჩემოს“, მნიშვნელოვანი ხმოსანი.
7. იოსებ გოგოლაშვილი - საქართველოს დემოკრატიული მთავრობის ერთერთი წარმომადგენელი კონსტანტინეპოლი (კონსული).
8. ივანე ზურაბიშვილი - ნინო ნიკოლაძის მეულლე, იურისტი, რომელიც ოჯახთან ერთად 1921 წლის მარტში ემოვრაციაში წავიდა ჯერ კონსტანტინეპოლიში, შემდეგ პარიზში, სადაც გარდაიცვალა 1940 წელს. დაგრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.
9. ელიკო წერეთელი - კავი (ირაკლი) წერეთლის და, რომელიც ცოლად გაჰყვა ფრანგ ინჟინერ-აგრონომს, საფრანგეთის აკადემიის პრეზოდენტ ალბერ დემოლონს (1881-1954).
10. კავი (ირაკლი) წერეთელი - ნიკო ნიკოლაძის დისშვილი, გიორგი წერეთლის ვაჟი, გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთის დროებითი მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრი, მენშევიკთა აღიარებული ლიდერი. რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ კავი წერეთელმა დატოვა სამშობლო და ემიგრაციაში ცხოვრობდა ჯერ პარიზში, შემდეგ ნიუ იორკში, სადაც გარდაიცვალა 1957 წელს.
11. თელიკო - ნიკო ნიკოლაძისა და ბოგუმილა ზემიანსკაიას უფროსი ქალიშვილი, რომელიც დაიბადა დაცხოვრობდა პარიზში, ცოლად გაჰყვა ფრანგ გენერალ ლუი დე კოკეს. კავი (ირაკლი) წერეთლის უმცროსი და, რომელიც ცოლად გაჰყვა ფრანგ დე მოლონს.
12. შოთა - ჯერჯერობით ვინაობა ვერ დავადგინეთ.

**დალი ჩიკვილაძე****ნიკო ნიკოლაძის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან****რეზიუმე**

ნიკო ნიკოლაძის 1921 წლის 23 აგვისტოს დაწერილი პირადი ბარათი გაგზავნილია ლონდონიდან კონსტანტინოპოლში მის უფროს ქალიშვილთან ნინო ნიკოლაძე-ზურაბიშვილთან. წერილიდან ჩანს ურთულესი პერიოდი რუსეთის მიერსაქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიისა, როდესაც დაემხო დემოკრატიული რესპუბლიკა და „გაურკვეველმა წითელმა ჭირმა“, შთანთქა ქართველების თავისუფლება. ნ.ნიკოლაძე ამ დროს ინგლისში ჭიათურის მარგანეცის „ჩემოს“, ლონდონის საზოგადოების თავმჯდომარე. წერილში იმ შეუთანხმებლობაზე, ურთიერთგაუგებრობასა და ურთიერთგაუტანლობაზეა საუბარი, რაც იმუამინდელ ქართველობას ახასიათებდა „ჩემოს“, ლონდონურ ოფისში, აგრეთვე გამუღავნებულია ნიკოს წინასწარმეტყველური ფიქრი თავისი სამშობლოს მომავალზე.

**Dali Chikviladze****FROM NIKO NIKOLADZE'S EPISTOLARY HERITAGE****Summary**

Personal card written on August 23, 1921 by Niko Nikoladze is sent from London to Constantinople to his elder daughter Nino Nikoladze-Zurabishvili. From letter is seen the most difficult period, when Russia made an annexation of Georgian Democratic Republic. It is the time when fell down democratic Republic and “unidentified red plague” absorbed freedom of Georgian people. At this time Niko Nikoladze is the chairman of London society of Chiatura manganese “Chemo” in England.

There are talkings about misunderstandings and disagreement which were characteristic features of people working in London office “Chemo”. There is also revealed Niko Nikoladze’s prophetic thoughts about the future of his motherland.



## დიანა ჯანერებაძე

### როგორ სხავლობენ და ასრულიან საფრანგეთში პროცესი „შურნალისტიკას“

„თანამედროვე შურნალისტს მუდამ უნდა ახსოვდეს ის, რომ ამბავი სრულიად დამოუკიდებლად თავისით იქმნება. მას არ ქმნიან შურნალისტები, ისინი მხოლოდ კარგ დროს და კარგ ადგილას იმყოფებიან, რათა თვალი ადევნონ და შემდეგ სიტყვასიტყვით გადასცენ, თუ როგორ შეიქმნა ეს ამბავი.“

პატრიკ პუავრ-დავრო. ფრანგი მწერალი, შურნალისტი და საზოგადო მოღვაწე.

მრვალის წლის წინ, მაშინ როდესაც შურნალისტიკა როგორც პროფესია შეიქმნა, ამ საქმეს მხოლოდ ის ხალხი ართმევდა თავს, ვისაც კალმის ხმარება ეხერხებოდა და საოცარ ლიტერატურულ შედევრებს ქმნიდა. საფრანგეთში პირველი გაზეთი „ლა გაზეტ“ 1631 წელს მეფის ლუი მე-8-ის დროს მის კარზე მომსახურე მეცნიერ-ლიტერატორმა ტეოფასტ რენოდომ დაარსა [1]. ცხადია, ეს გაზეთი ხელნაწერი გახლდათ და მხოლოდ მეფის ინტერესებს ემსახურებოდა. მოგვიანებით გაზეთის ტირაჟი ხალხის მოთხოვნით გაიზარდა და წლების მსვლელობასთან ერთად ახალმა გაზეთებმაც იმრავლა. ფრანგი ხალხი თანდათან უფრო ინუსტებოდა პრესით და როგორც ინფორმირების ერთადერთმა საშუალებამ, პრესამაც მათი გავლენის ქვეშ მოქცევა ადვილად მოახერხა. სწორედ ამის თავიდან ასაცილებლად უკვე მოგვიანებით 1918 წლის 10 მარტს საფრანგეთის მაშინდელმა სახელმწიფო პროფესიული შურნალისტიკის ეთიკის კოდექსი [2] შექმნეს, ხოლო 1927 წლიდან მათ ამ კოდექსის ფრანგულ მედიმივი კონტროლი შურნალისტთა ეროვნულ კომისიას დააკისრეს.

გასულ საუკუნეებში შექმნილ კანონებს ფრანგი შურნალისტები დღემდე იცავენ და მათი მედიის დღევანდელი ანარეკლიც სწორედ ამ კანონების გატარებით გადმოიცემა.

მსოფლიოში ტექნიკური საშუალებების რევოლუციამ პროფესია შურნალისტიკას დახვეწა და სწრაფი განვითარება მოითხოვა. დღეს წებისმიერ ფრანგ შურნალისტს თავისუფლად შეუძლია ერთდროულად იმუშაოს როგორც ტელევიზიაში, ასევე რადიოსა და პრესაში. იგი ასეთივე ეფექტურობით ეწყობა ინტერნეტ მედიის მოთხოვნებსაც და ფლობს ინფორმაციის არა მხოლოდ მოპოვება-დამუშავების, არა-მედ უსწრაფეს დროის მონაკვეთში გადაღების, დამონტაჟების, განთავსების უნარსაც.

რატომ ესაჭიროება დღეს ფრანგ შურნალისტს მედიის ყველა საშუალების ერთნაირად შესწავლა და, რაც მთავარია, გამოყენება? რატომ ევალება ტელევიზიის შურნალისტის დიდი პროფესიონალიზმით რადიოს ხმის ჩამნერი ტექნიკური საშუალებების მართვა? როგორ და რამდენი წლის მანძილზე სწავლობენ ფრანგები გახდნენ პროფესიონალი თანამედროვე დროის შურნალისტები ისე, რომ ამავდროულად 1918 წელს შექმნილი შურნალისტიკის ეთიკის კოდექსი დაიცვან? ამ კონვენციების მისაღებად საფრანგეთში პროფესია შურნალისტიკის განვითარების ეტაპებს გვერდს ვერ ავუვლით.

ოფიციალური ცნობების თანახმად, დღეს საფრანგეთში 30 000 პროფესიონალი, ხოლო 20 000 დაწყები შურნალისტია [3].

1976 წლის 1 ნოემბერს გამოვიდა დადგენილება იმის შესახებ რომ ორი სასწავლო დაწყესებულება : პარიზის შურნალისტიკის სასწავლო ცენტრი და ქალაქ ლილში არსებული შურნალისტიკის კერძო სასწავლებელი, იქნებოდნენ აღიარებული როგორც ამ პროფესიის შემსავლელი უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები. ინოვაცია კი ის გახლდათ, რომ სტუდენტები, რომლებიც მისაღებ გამოცდებს გადაღასავდნენ, მხოლოდ ორი წელი ისწავლიდნენ და ორი წლის შემდეგ გადაეცემოდათ პროფესიონალი შურნალისტის დიპლომით თუ სტატუსი. გახლდათ თუ არა საკმარისი მხოლოდ ორწლიანი სწავლება პროფესიის დასაუფლებლად, ამის გასარკვევად ზემოთხსენებულ კერძო სასწავლებლები ტარდებიდა ყოველწლიური რეგულარული გადამოწმებები, იმისა, თუ როგორ იწერდნენ პროფესიონ-მასწავლებლები, რა ტექნიკურ საშუალებებს ეუფლებოდნენ სტუდენტები და განსაკუთრებით გადიოდნენ თუ არა სავალდებულო სტაუირებებს სწვალების პერიოდში. განათლების სამინისტროს მხრიდან მრავალწლიანმა კონტროლმა კი საბოლოოდ დაამტკიცა ამ ორ სასწავლო დანესებულებაში მაღალი პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა და ამით გზა გაუსხნა მომავალ 11 შურნალისტიკის უმაღლეს სასწავლებელს, სადაც შესაძლებელია პროფესიონალ შურნალისტად ჩამოყალიბება. დღეს არსებულ 13 დაწყესებულებაში რეგულარული შემოწმებების ჩასატარებლად კი შეიქმნა სახელმწიფო ორგანიზაცია CNPEJ, « Commission nationale paritaire de la presse (ეროვნული პრესის კომისია) [4].

უმაღლეს სასწავლებლებში ყოველწლიურად კომისია „CNPEJ“ ამოწმებს: თუ რამდენწლიანი გამოცდილება აქვს სასწავლებელს, პროფესიონების მაღალკუვალიფიკაციურობა და სამუშაო გამოცდილება, შესასწავლი საგნების საჭიროობა და ეფექტურობა, შურნალისტისთვის აუცილებელი საბაზისო განათლების მიცემის დონე, გარემო, სასწავლებლის ინვენტარი თუ პირობები სადაც სტუდენტები იმყოფებიან, ტექნიკური აღჭურვილობა, მოწვეული პროფესიონალი მოქმედი შურნალისტების კომპეტენტურობა, სავალდებულო სტაუირებების ხანგრძლივობა და ეფექტურობა, სწავლების ლირებულება (ლირს თუ არა გადაჭარბებული დაწყესებული თანხა) და ბოლოს, რაც სტუდენტებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს გახლავთ მაქსიმალური გადამოწმება იმისა, თუ როგორ ზრუნავს სასწავლებელი უკვე კურსდამთავრებულზე იმისათვის, რომ ის დაუსაქმებელი არ დარჩეს. 13 ზემოთხსენებად სასწავლებელს შორის 8 სპეციალიზირებული უნივერსიტეტია, სადაც სწავლება ასევე ორი წელი მიმდინარეობს და იქ მოსახვედრად სტუდენტს აუ-



ცილებლად სამი ან ოთხ წლიანი ბაკალავრის დიპლომი უნდა გააჩნდეს. სწავლების ფასი აქ შედარებით ხელმისაწვდომია, წელიწადში გადასახდელ 350 ევროში სამედიცინო დაზღვევაც შედის.

დანარჩენ 5 სასწავლებლიდან ყველა კერძო დაწესებულებაა და აქაც სწავლების ხანგრძლივობა ორი წელია, ( მხოლოდ ტულუზის კერძო უურნალისტიკის სკოლა სთავაზობს 3 წლიან სწავლებას). კერძო სასწავლებლებში ყოველწლიური გადასახადი 4000 იდან 5000 ევრომდე მერყეობს [4].

თითოეულ უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრას ყოველწლიურად დაახლოებით 7 000 აბიტურიენტი ცდილობს. ამათგან კი მხოლოდ 40-ამდე ხდება სტუდენტი. მისაღები გამოცდების კონკურსი საკმაოდ დიდი და კონკურენტუნარიანია. აბიტურიენტები გადაინ შემდეგ გამოცდებს :

ფრანგული ენა (ნერითი)

სტატიის დაწერა ( გამოცდაზე სთავაზობენ სტატიის სახელწოდებას)

აქტუალური ამბების ანალიზი

კრეატულობა ( მხატვრული ჩანაწერი)

ზოგადი განათლების შემონმება (ისტორია, გეოგრაფია)

ჩამოთვლილი საგამოცდო საგნებიდან მხოლოდ ფრანგული ენა ბარდება საერთო საგნად სტუდენტის მიერ არჩეულ რამდენიმე სასწავლებელში. თუ სამი ჩამოთვლილი სასწავლებლიდან სტუდენტმა ერთგან ნარმატებით გაიარა ფრანგული ენის გამოცდა, მას მხოლოდ იქ შეუძლია ჩაბაროს მომდევნო საგნებიც. ხოლო თუ სამივეგან ერთნაირად მაღალი ქულები აიღო, ის თავად ირჩევს, სად სურს მოხვედრა და იქ აბარებს მომდევნო გამოცდებასაც. საგამოცდო ციებ-ცხელებას ფინანსური დანახარჯებიც საგრძნობლად ემატება. მისაღებ გამოცდებზე ჩასანერად სავალდებულოა 180° ევროს გადახდა, რომელიც წარუმატებლობის შემთხვევაში, ცხადია, აბიტურიენტს უკან არ უბრუნდება. გარდა ამისა, მეზავრობისა თუ საცხოვრებლის ხარჯები მისაღები გამოცდების დროს აბიტურიენტებისთვის საკმაო თანხებთანაა დაკავშირებული, სწორედ ამ გადაადგილებების თავიდან ასაცლილებლად 2006 წელიდან შესაძლებელია რამდენიმე სასწავლებლისათვის ერთი და იმავე დროს, ერთი და იმავე ადგილას ჩაბარდეს მისაღები გამოცდები. ამას ასევე ემატება სოციალურად დაუკველი ოჯახის პრობლემების გათვალისწინებით მისაღები გამოცდების ხარჯების შეკვეცა და იმ შემთხვევაში თუ აბიტურიენტმა გამოცდები წარმატებით გაიარა, სასწავლებელი (კერძო თუ სახელმწიფო) სწავლებას სრულიად უფასოდ სთავაზობს სტუდენტს [5].

როგორ მიმდინარეობს სწავლება და არის თუ არა საკმარისი ორი წელი პროფესიონალ უურნალისტად ჩამოყალიბებისათვის .

საფრანგეთის 13 უმაღლეს სასწავლებელში :

CELSA – Centre d'Etudes Littéraires et Scientifiques Appliquées (სამეცნიერო-სალიტერატურო სასწავლებელი)

CUEJ - Centre Universitaire d'Enseignement du Journalisme (საუნივერსიტეტო ცენტრი უურნალისტიკის - მიმართულებით)

EJCM - Ecole de Journalisme et de Communication de Marseille (მარსელის უურნალისტიკისა და კომუნიკაციების სასწავლებელი)

EJDG - Ecole de Journalisme de Grenoble (გრენობლის უურნალისტიკის სკოლა)

IFP - Institut Français de la Presse (საფრანგეთის პრესის ინსტიტუტი)

IJBA - Institut de Journalisme de Bordeaux Aquitaine(პორტფლი უურნალისტიკის ინსტიტუტი)

Iut Lannion (ლანნინის ტექნიკური უურნალისტიკის სასწავლებელი)

Iut Tours (ტურის ტექნიკური უურნალისტიკის სასწავლებელი)

CFJ - Centre de Formation des Journalistes (ფორმაცია უურნალისტიკის ცენტრი)

EJT - Ecole de Journalise de Toulouse (ტულუზის უურნალისტიკის სკოლა)

ESJ - Ecole Supérieur de Journalisme (ლილის უმაღლესი უურნალისტიკის სკოლა)

IPJ : Institut Pratique de Journalisme(პრაქტიკული უურნალისტიკის ინსტიტუტი)

L'école de Journalisme de Science Po (Paris) (პარიზის პოლიტიკოლოგიური უნივერსიტეტი უურნალისტიკის სკოლა)

მისაღები გამოცდების წარმატებით გადალახვის შედეგად აბიტურიენტი ან მის მიერ შერჩეულ სასწავლებელში ხვდება ან იქ, სადაც ქულები ეყოფა (ყველა სასწავლებელს სხვადახვა შეფასების სისტემა გააჩნია). სწავლების პირველი წელი ზოგად განათლებას ეთმობა, სტუდენტები გადიან ისეთ საგნებს როგორიცაა : უურნალისტიკის ისტორია, სამართალი, გეოპოლიტიკა, მედიის ეკონომიკა, პოლიტიკა, ეკონომიკა, უცხო ენები, მსოფლიო აქტუალობა თუ პროფესიული ინგლისური. კურსზე მოხვედრილი 40-ამდე სტუდენტიდან ყველა ერთნაირ რეზიუმები გადის სასწავლო პროგრამას. ზოგადი განათლების შემდენ საგნებს ძირითადად პირველი კურსის პირველი სემესტრი ეთმობა, ხოლო პირველი კურსის მეორე სემესტრიდან ასევე ზოგადად იწყებენ პრესის, ტელევიზიის, რადიოსა და ინტერნეტ მედიის შესწავლას. წლის ბოლოს კი მთელი ზაფხულის განმავლობაში თითოეული სტუდენტი დირექციის მიერ შერჩეულ სავალდებულო სტაჟირებას გადის.

მეორე კურსი გაცილებით შრომატევადი და სამუშაო გამოცდილების მიღებაზე დამყარებულია. სტუდენტებს ემატებათ ისეთი სპეციალიზირებული საგნები, როგორებიცაა : პოლიტიკის უურნალისტიკა, ეკონომიკის უურნალისტიკა, აქტუალური ამბები, უურნალისტიკის ეთიკის კოდექსი, კულტურისა თუ სპორტის უურნალისტიკა. ამ საგნებს მთელი კურსი ერთნაირად შეისწავლის და ისინი ასევე ერთნაირად სპეციალიზირდებიან, ტელე-რადიო, ინტერნეტ თუ პრეს-მედიაში. სასწავლებელი მაქსიმალურად ქმნის



საოჯახო გარემოს სტუდენტებისთვის, გამომდინარე იქედან, რომ სწავლება დილას 8 საათზე იწყება და საღამოს 9 საათამდე გრძელდება, დირექტორის განცხადებით აუცილებელია სტუდენტებისთვის საოჯახო პირობების შექმნა. ამიტომაც არავის უკვირს სასწავლებლებში, კომუნიკაციულ მოწყობილ მისაღებ ოთახებში მოსასვენებელი კუთხების მოწყობა ან სამზარეულო-სასადილოები, სადაც სტუდენტები თავად ამზადებენ კერძებს ლექციებს შორის.

მეორე კურსის დასაწყისში სტუდენტები პროფესიონალი ჟურნალისტების დაკვირვებით და ხელმძღვანელობით თავად გამოსცემენ გაზიერებს, ქმნიან სატელევიზიო თუ რადიო გადაცემებს. ორმოციონულ და სტუდენტს შორის, პრესის ლექციებზე ფუნქციები ასე ნაწილდება : რედაქტორი, რედაქტორის მოადგილე, გამომცემელი და რეპორტიორ-ფოტოგრაფები. ამ « თანამდებობებზე » ყოველი ახალი ნომრის გამოცემისთვის სხვადასხვა სტუდენტები ინიშნებიან და ამგვარი « წრეზე ბრუნვა » ეფექტურ შედეგს იძლევა. თითოეული მათგანი რეალურ პრესასთან მიახლოებულ რედაქციებსა თუ სტამბებში უშვებენ სრულიად მაღალ პროფესიულ ჟურნალებს. იგივე სურათია ტელევიზიისა და რადიოს ლექციების თვალსაზრისით. განსხვავება ისაა, რომ თუ შათო გამოშვებული გაზიერების შიდასაუნივერსიტეტოა ზოგიერთი სატელევიზიო გადაცემა, რომლებსაც სტუდენტები უშვებენ, რეგიონალურ არხებზეც კი გადის.

სტუდენტების დაკვემდებარებაში ყოველდღიურად 50-იოდე პროფესიული კამერა, რადიოსათვის განკუთვნილი ხმისჩამნერი აპარატურა და პროფესიული ფოტო-აპარატია. ისინი დილას რამდენიმე ლექციის დამთავრების შემდეგ, ინაცვლებელ სპეციალიზირებულ პერის, რადიოსა თუ ტელე ატელიებში, სადაც გეგმავენ, აწყობენ, წერენ თუ ათავსებენ ინტერნეტ საიტებზე მათ მიერ დამუშავებულ ინფორმაციას. ზედამხედველად პროფესიონალი ჟურნალისტები ჰყავთ, რომლებიც საკუთარი გამოცდილების გაზიარებით ახდენენ მათ ჩამოყალიბებას. სტუდენტთა განკარგულებაში არის ასევე უფასო სატელეფონო კავშირები და სასწავლო სტრესისაგან თავის დასაღწევად შექმნილი სპორტული დარბაზები. მეორე კურსის წლის ბოლოს კი ყოველი სასწავლებელი მეორეკურსელებს სთავაზობს საზღვარგარეთ მოგზაურობას. ამ მოგზაურობას (მთელ კურსს), ცხადია, სასწავლებელი აფინანსებს და მიზანი გახლავთ, მოგზაურობას მიეძღვნას მთელი ჟურნალი ან სატელევიზიო გადაცემა.

ჟურნალისტისათვის საჭირო განათლების მიღებასთან ერთად ფრანგული სასწავლებლები სტუდენტებს ასევე სთავაზობენ პროფესიულ დონეზე შეისწავლონ ფოტოგრაფია და პრეს-სააგენტო მიმართულება. ყოველი სტუდენტისათვის სავალდებულოა რამდენიმეთვიანი სტაუირება, რასაც სასწავლებლის დირექტორია თავად არჩევს. სტაუირების განმავლობაში დირექტორია ასევე დიდ როლს თამაშობს, რათა სტუდენტებმა სრულფასოვნად გამოიყენოს სტაუირების დრო და ამაზე სპეციალიზირებული სადიპლომო ნაშრომი მოამზადოს, რაც ცხადია დიპლომის აღებაში წინ გადადგმული ნაბიჯია.

სტაუირებასთან ერთად უმაღლესი სასწავლებლები მსურველ სტუდენტებს სთავაზობენ მიმართულებას „შემსწავლელი კურსები“. ამ კურსებზე მოხვედრისათვის უკვე სასწავლებელში მოხვედრიილ სტუდენტებს შორის მსურველებმა, სწავლის დასაწყისში კიდევ ერთხელ უნდა გაიარონ გამოცდები და საჭირო ქულები დააგროვონ. ყოველწლიურად მიღებულ 40-ამდე სტუდენტს შორის დაახლოებით 10-15 დამატებით „შემსწავლელ კურსებს“ გადის. ისინი, სავალდებულო ლექციების გარდა, მთელი ორი წლის განმავლობაში დამატებით ნახევარ განაკვეთზე ოფიციალურად მუშაობენ მედიის სხვადასხვა საშუალებებში. სატელევიზიო არხებს, რადიო სადგურებს, გაზიერებს თუ ინტერნეტ მედიას სასწავლებლის დირექტორია თავად სთავაზობს როგორც მომავალ სამუშაოს და სტუდენტები სურვილის მიხედვით იწყებენ სწავლასთან ერთად მუშაობას. ისინი შესრულებულ სამუშაოში, ცხადია, გასამრჯელოსაც იღებენ. უფრო მეტიც, ორწლიანი სწავლებისა და სამსახურის დროებითი კონტრაქტის დამთავრების შემდეგ ის მედიის საშუალებები, სადაც მუშაობდნენ დროებითიდან მუდმივ სამუშაო კონტრაქტებს სთავაზობენ სტუდენტებს, რაც მათთვის დიდი ჟურნალისტური კარიერის დასაწყისია.

თითოეული უმაღლესი სასწავლებელი ყოველი წლის ბოლოს შიდა კვლევებს ახორციელებს, კითხვები, რომლებსაც ისინი სვამენ, ძირითადად შემდეგში მდგომარეობს : რა ფასი აქვს დღეს ჟურნალისტს შრომის ბაზარზე? არის თუ არა სავალდებულო უმაღლესი სასწავლებლის დამთავრება პროფესიონალ ჟურნალისტად ჩამოყალიბებაში? რა განსხვავებაა სწორედ ამ უმაღლეს სასწავლებლებსა და უზივერსიტეტში არსებულ ჟურნალისტების მაგისტრატურებს შორის? რას სთავაზობს სასწავლებელი ახალს და განსხვავებულს სტუდენტებს? როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ევროპელი ჟურნალისტი და რა განსხვავებაა ევროპულ-ამრიკულ მედიას შორის? რა კრიტერიუმებით ასაქმებენ მედიას საშუალებები და ბოლოს ინტერნეტ-მედიის საფრთხე თუ საჭიროობა დღევანდელობაში? დირექტორია სწორედ ამ კითხვებზე პასუხებიდან გეგმავს და ანახლებს მომავალ სასწავლო პროგრამას. ისინი ასევე ყოველწლიურად ანახლებენ სასწავლებლის ტექნიკურ საშუალებებს, სამუშაო კომპიუტერებს, კამერებსა თუ ტელე და რადიო სტუდიებს.

პროფესია ჟურნალისტიკის შესწავლის საშუალებას ახალგაზრდებს საფრანგეთის სახელმწიფო უნივერსიტეტებიც სთავაზობენ. მართალია, საკმაოდ ციირე რაოდენობით, მაგრამ მაინც შესაძლებელია უნივერსიტეტში სამიდან-ხუთ წლამდე სწავლების შემდეგ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის, დამთავრება. გამომდინარე იქედან, რომ ამ ფაკულტეტებს ბევრი მსურველი აბიტურიენტი არ ჰყავს უნივერსიტეტი სტუდენტებს საკმაოდ მრავალფეროვან და მყარ განათლებას სთავაზობს. საიმედო და მრავალფეროვანი განათლება არის თუ არა საკმარისი მომავალი ჟურნალისტებისათვის, სწორედ ამ კითხვის გარშემო ტრიალებს პოლემიკა, რომელიც მაინც მეტ რეალურ მედია გამოცდილებებსა, პრაქტიკასა და სტა-



უირებებზე დამყარებულ უმაღლეს სასწავლებებს მატებს პრივილეგიებს. რეპუტირებული სასწავლებლის დამთავრება ხომ გარანტირებულ სამუშაოს უდრის ფრანგი სტუდენტებისთვის. სწორედ კონკურენციის გამო უნივერსიტეტში არსებული უურნალისტიკის ფაკულტეტები სტუდენტთა მოსაზიდად, მედია საშუალებებში 3-4 თვით სავალდებულო სტაჟირებებს აწესებენ და პრაქტიკული ცოდნის გასაღრმავებლად პროფესიონებად მოქმედ უურნალისტიკის იწვევენ, თუმცა დღევანდელი ფრანგული საგანმანათლებლო სისტემა მაინც უურნალისტიკის უმაღლესი სასწავლებლების პოპულარობას უსვამს ხაზს.

თანამედროვე ტექნიკური საშუალებების მრავალფეროვნება და დიდ პრაქტიკაზე დამყარებული პროფესია „უურნალისტიკის“ შესწავლა მართლაც რომ მიმზიდველი ფრანგი სტუდენტებისთვის. გამარტივებული სოციალური პირობების ფონზე ( მაღალი სტიქენდიები, სტუდენტური საერთო საცხოვრებლები თუ სამედიცინო დაზღვევები) მათ სწავლების საფასურის ხელმისაწვდომობის საშუალებას აძლევს, ამიტომაც კერძო და უმაღლეს უურნალისტიკის სასწავლებლებს ყოველწლიურად უფრო და უფრო ემატება აბიტურიენტთა რაოდენობა.

სასწავლებლის დამთავრების პირველივე დღიდან როგორც კურსდამთავრებულის, ასევე სასხწავლებლის დირექციის ამოცანა მისი მედიაში დასაქმება ხდება. წლების განმავლობაში დამყარებული კავშირები უმაღლეს სასწავლებლებს საშუალებას აძლევს მარტივად დაასაქმონ ახალგაზრდა დიპლომირებულები, რომლებიც თავის მხრივ უურნალისტური ფუნქციების ალების პირველივე დღეებიდან სამუშაო ხარისხს იგივე დონეს აჩვენებენ როგორც ადგილზე დამხვედრი წლების მანძილზე მომუშავე უურნალისტები. უდიდესი სატელევიზიო არხებისა თუ რადიო სადგურების ფუნქციებში არ შედის ახლად შეძინილი თანამშრომლის დაკვალიანება თუ მიმართულებების მიცემა. სწორედ იმის თავიდან ასაშორებლად, რომ ახალგაზრდა დიპლომირებულმა თავი მუშაობის პირველივე დღეებიდან გაართვას დაკისრებულ მოვალეობებს, სასწავლებლები მათ ორი წლის განმავლობაში ყოველდღიურად აყენებენ რეალური უურნალისტიკის წინ. კურსდამთავრებულების ტექნიკურ სრულყოფილებას, მრავალთვიანი და მრავალფეროვანი სტაჟირებების დროს მიღებული გამოცდილებაც ემატება, რაც მათ მეტ პროფესიულ გამბედაობას მატებს. პროფესიონალიზმის გარდა ფრანგული შედის დღევანდელი ინოვაცია გახლავთ ის, რომ უურნალისტები ერთდროულად მუშაობენ როგორც ტელევიზიებსა და რადიოში, ასევე პრესასა თუ ინტერნეტ-მედიაში. ამიტომაც მულტიმედიის უურნალისტობა აუცილებელი პირობა გახდა ამ პროფესიის განსახორციელებლად. ეს კი, ცხადია, უმაღლეს სასწავლებლებს არ გამოპარვიათ და მომავალ უურნალისტებს მაქსიმალურად ახელოვნებენ მედიის ყველა საშუალებაში. თუ ადრე სტუდენტი თავად ირჩევდა მედიის რომელი სფერო შეესწავლა და მოგვიანებით ამ სფეროში ემუშავა კიდეც, დღეს მას არჩევანი არ აქვს, სასწავლებელი ერთნაირად მოითხოვს ტელე, რადიო, პრესა თუ ინტერნეტ მედიის სპეციალიზირებული განათლების მიღებას.

ყველაზე მთავარი კი ფრანგული მედიისთვის უურნალისტთა პასუხისმგებლობაა, ნაჩვენებსა, დაწერილსა თუ ნათქვამზე. ამიტომაც მომავალი უურნალისტები სწავლების ორნლიან მანძილზე ინტენსიურად გადიან და იზეპირებენ ოდესადაც დაწესებულ უურნალისტიკის ეთიკის კოდექსს. ანაბანივით ფლობენ საკუთარ უფლებებს და მომავალში მათ განსახორციელებლად ორი წელი თავდაუზოგავად მუშაობენ. თუ კვლავ დავესესხებით ფრანგებისთვის კარგად ნაცნობ უურნალისტს პატრიკ პუავრ-დავროს: „უურნალისტიკა არ არის პრივილეგია, იგი რიგითი პროფესია, ისეთივე როგორც ინჟინერობა ან მასწავლებლობა, ამიტომაც არ არსებობს ამ პროფესიაში „მე“ ან „შენ“. ობიექტურობა მთავარი და ერთადერთი იარაღია“.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- „საფრანგეთის მედიის ისტორია“ ავტ. უან-მარი შარონი. პარიზის ახალი გამომცემლობა, 2007.
- fr.wikipedia.org/wiki/Histoire\_de\_la\_presse\_écrite\_en\_France (1918 წელს ოფიციალურად დაარსდა უურნალისტთა ეროვნული კომისია, რომელმაც დაწესა ფრანგულ მედიაში უურნალისტიკის ეთიკის კოდექსის კონტროლი).
- Refondue le 27 octobre 1987. კომისია, რომელიც დამყარებულია სხვადასხვა პროფესიონალისტების ინიციატივაზე, ყველწლიურად დაითვალისწილებულ რამდენი უურნალისტი ინწყებს მუშაობას ფრანგულ მედიაში, ამათგან ვინაა დამწყები და ვინაა პროფესიონალი. მათი სტატიისტიკა კი ემყარება „საფრანგეთის სამუშაო ეროვნული ცენტრის“ მონაცემებს.
- Cf. [http://www.snj.fr/article.php3?id\\_article=209](http://www.snj.fr/article.php3?id_article=209)
- Cf. www.education.gouv.fr, Repères et statistiques 2007.



## დიანა ჭანკოტაძე

### როგორ სწავლობენ და ასწავლიან საფრანგეთში პროფესიას „ურნალისტიკა“

#### რეზიუმე

საფრანგეთში ურნალისტური სწავლების განვითარება ყოველწლიურად მიმდინარეობს. ამ განვითარების ხელისშესაწყობად დაარსებულია სახელმწიფო ორგანიზაციები, რომელიც მკაცრად ადევნებენ თვალ-ყურს იმას, თუ რას და რა მეთოდებით ასწავლიან მომავალ ურნალისტებს. პროფესია ურნალისტიკა ევროპის ამ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქვეყანაში აღქმულია როგორც ყველაზე დელიკატური პროფესია, რომელიც სპეციალურად მისთვის შექმნილ ეთიკის კოდექსებს უნდა ემორჩილებოდეს.

საფრანგეთში აუდიო მედიის უმაღლესი მაკონტროლებელი საბჭო 1989 წლიდან მოყოლებული მოუწოდებს ფრაგულ ტელე-რადიო საშუალებებს ურნალისტური ეთიკის კოდექსის დაცვას. ამ მოწოდებების უგულველყოფის შემთხვევაში კი საბჭო მკაცრ სანქციებს აკისრებს კონკრეტულ ურნალისტებსა თუ მედია საშუალებებს. საბჭოს არსებობას დიდი გავლენა აქვს ურნალიტური სწავლებაზეც. ურნალისტური განათლების მიმცემი უმაღლესი კერძო სასწავლებელები თუ უნივერსიტეტები პრიორიტეტად სწორედ ეთიკის კოდექსის შესწავლას ისახავენ. მათთვის ასევე მნიშვნელოვანია სტუდენტებისათვის პროფესიული ტექნიკური საშუალებების შესწავლა-გამოყენება და თეორიულთან შედარებით უფრო მეტი პრაქტიკული ცოდნის გადაცემა. ორწლიანი სწავლების განმავლობაში ფრანგი სტუდენტები მრავალ-თვიან სტაუირებებს გადიან, ისინი პარალელურად თავად ამზადებენ გაზეთებს და სატელევიზიო თუ რადიო გადაცემებს. სასწავლებლის არქივის გასამდიდრებლად კი ხშირად საზღვარგარეთ მიემგზავრებიან დოკუმენტური ფილმებისა თუ საუნივერსიტეტო ურნალების შესაქმნელად. საფრანგეთში პროფესია ურნალისტიკა მცირე რაოდენობით შეისწავლება სახელმწიფო უნივერსიტეტებში, ამ პროფესიას ძირითადად კერძო უმაღლეს სასწავლებლებში ეუფლებიან.

**Diana Chankotadze**

### THE WAYS OF TEACHING THE PROFESSION OF JOURNALISM IN FRANCE

#### Summary

In France, the development of the journalism training being carried out annually. For supporting this development, there are founded a number of organizations that strictly observe what ways are used to train the future journalists. Profession of the journalism, which follows the specific code of ethics, is considered as one of the delicate in this one of the most European country.

In France, since 1989 the Supreme Board of controlling of the audio-media has been calling on following the code of ethics of the journalism. In case of ignoring this "call" the Board imposes severe sanctions on the certain journalists or Mass Media. Existence of the Board has a great influence on the training of the journalism. The main priority at private schools and universities is the code of ethics. According to their interests, teaching and using the professional-technical skills of the journalism is essentially important and moreover, the main goal is to providing the practical knowledge. In the period of two-year of education, French students are trained at different kinds of Mass Media selected by the schools. At the same time they write reports for newspapers and make television and radio programs. Frequently, in order to enrich the chancery (archive) of the university the students travel abroad to make documentary films and write reports. In France, the profession of journalism is studied at the State Universities but there are specially founded the higher private schools to master this profession.

## **ჩვენი ავტორები:**

ბესიკ ალადაშვილი -გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის /გთსუ-ს/ სრული პროფესორი  
თამარ ალფაიძე - გთსუ-ს მოწვეული პროფესორი  
ნოდარ ბაგრატიონი - გთსუ-ს პროფესორი  
ვენედი ბენიძე- გთსუ-ს პროფესორი  
დავით ვეკუა - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი  
ვაჟა ზუბაშვილი -რუსთაველის თეატრისა და კინოს სახ. უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი  
ამირან /სიმონ/ თავართქილაძე- გთსუ-ს პროფესორი  
ნუგზარ თევდორაძე - გთსუ-ს პროფესორი  
სოფიკო თევდორაძე - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი  
ლია თოთლაძე - გთსუ-ს პროფესორი  
მამუკა თორია -გთსუ-ს ასისტენტ - პროფესორი  
მილდრედ კალანდარიშვილი-გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი  
დავით კბილაძე- გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი  
სოფიკო კვანტალიანი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი  
ანა კობიაშვილი - საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი  
ბაია /მაყვალა/ კოლუაშვილი - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი  
ლელა კოჭლამაზაშვილი - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი  
ლაურა კუტუბიძე -გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი  
გივი ლობჟანიძე - გთსუ-ს პროფესორი  
დავით ლობჟანიძე- გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი  
ელზა ლომიძე -თსუ-ს ასისტენტ პროფესორი  
მანანა მარიდაშვილი გთსუ-ს ასისტენტ პროფესორი  
ხათუნა მემანიშვილი -თბილისის სასულიერო აკადემიის პროფესორი  
თათია მუავანაძე - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი  
ქეთი ნიუარაძე - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი  
თალიკო უვანია - გთსუ-ს პროფესორი  
გიორგი სახოკია -გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი  
მაია სეთური - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი  
ჩარლზ მორგან სტრომე - ორეგონის უნივერსიტეტის პროფესორი /აშშ/  
დავით სუხიტაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი  
თეა სუხიტაშვილი -თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი  
ლაშა ტაბატაძე - გთსუ-ს ასისტენტ პროფესორი  
თამარ ფანცულია - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი  
შენგელი ფიცხელაური - გთსუ-ს პროფესორი  
თემურ ყანდაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი  
ნინო ყუფარაძე -თბილისის სახელმწ. სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი  
ლალი ჩაგელიშვილი - გთსუ-ს პროფესორი  
დალი ჩიკვილაძე - გთსუ-ს პროფესორი  
დიანა ჭანკოტაძე -საფრანგეთის რეიმსის უნივერსიტეტის დოქტორანტი, მიწვეული პროფ.  
სერგო ჭელიძე - გთსუ-ს პროფესორი

## **OUR AUTHORS:**

Besik Aladashvili - Professor of Guram Tavartkiladze Teaching University /GTTU/  
Tamar Alphaidze – Professor of GTTU  
Nodar Bagrationi – Professor of GTTU  
Venedi Benidze – Professor of GTTU  
Lela Chagelishvili – Professor of GTTU  
Diana Chankotadze – Doctoral Student of the Reims University /in France/  
Sergo Chelidze - Associate Professor of GTTU  
Dali Chikviladze – Professor of GTTU  
Mildred Kalandarishvili - Associate Professor of GTTU  
Temur Kandashvili – professor of GTU  
David Kbiladze – Associate Professor of GTTU  
Ana Kobiashvili –professor of GTU  
LeLa Kochlamazashvili- Associate Professor of GTTU  
Mayvala /Baia/ Koghuashvili – Associate Professor of GTTU  
Nino Kuparadze – Professor of TSUU  
Laura Kutubidze-Zubashvili – Associate Professor of GTTU  
Sofiko Kvantaliani – Professor of SEU  
David Lobzhanidze – Associate Professor of GTTU  
Givi Lobzhanidze — Professor of GTTU  
Elza Lomidze – associate professor TGU  
Manana Maridashvili – Associate Professor of GTTU  
Khatuna Memanishvili - Professor of Patriachate Akademy  
Tatia Mjavanadze - Associate Professor of GTTU  
Kate Nijharadze – professor of SEU  
Shengeli Pitskelauri - – Full Professor of GTTU  
Tamara Pantsulaia – Associate Professor of GTTU  
Giorgi Saghokia - Associate Professor of GTTU  
Maia Seturi – Associate Professor of GTTU  
Charles Morgan Stromme – Professor in Oregon University USA  
Davit Suchitashvili -Doctor of Law at GTU  
Tea Suchitashvili –Doctorial student of GTU  
Lasha Tabatadze – Assistent Professor of GTTU  
Amiran /Simon/ Tavartkiladze – Professor of GTTU  
Nugzar Tevdoradze – Associate Professor of GTTU  
Sofiko Tevdoradze - Associate Professor of GTTU  
Lia Totladze –Associate Professor of GTTU  
Mamuka Toria – Associate Professor of GTTU  
Davit Vekua- Professor of GTTU  
Taliko Zhvania -- Professor of GTTU  
Vaja Zubashvili – Associate Professor of Rustaveli University of Theatre and Film

## მოთხოვები

მოთხოვნები რომლებიც წაეყენება კრებულში გამოსაქვეყნებელ ნაშრომებს:

კრებულში გამოსაქვეყნებელი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- სამეცნიერო სტატია შეიძლება დაწერილი იყოს ქართულ ან ინგლისურ ენაზე.
- ნაშრომს უნდა ახლდეს რეზიუმე (7-8 სტრიქონი) ორ ენაზე (ქართული, ინგლისური). ორივე ენაზე უნდა ითარგმნოს ნაშრომის სათაური, ავტორის სრული სახელი და გვარი
- ნაშრომი უნდა იყოს აწყობილი Microsoft Word-ში;
- ქართული ნაშრომი იწყობა sylfaen შრიფტით;
- ინგლისური ნაშრომები იწყობა Times New Roman შრიფტით;
- შრიფტის ზომა 12, ინტერვალი ერთი;
- ნაშრომის მოცულობა, რეზიუმის ჩათვლით, შეიძლება იყოს 5-დან 10-მდე ნაბეჭდი A4 ზომის გვერდი.
- ნაშრომს უნდა დაერთოს ავტორის საკონტაქტო რეკვიზიტები: მისამართი (სახლის, სამსახურის), ტელეფონის ნომერი, ფაქსი, ელ-ფოსტა, სრული სამეცნიერო ხარისხი და წოდება, ასევე დაკავებული თანამდებობა;
- ნაშრომის ელექტრონული ვერსია უნდა მოგვაწოდოთ როგორც დისკეტით, ისე ამონაბეჭდი სახით ერთ ეგზემპლარად A4 ზომის ქაღალდზე;
- ნაშრომში გამოქვეყნებულ მასალაზე პასუხისმგებელია ავტორი.
- ნაშრომის რეცენზირება ანონიმური წესით.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვირეკეთ ტელეფონებზე: 23-20-20; ან 599-90-40-04.  
გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

მისამართი: 0101 - თბილისი, სამლერეთის ქუჩა 5

ტელ. /99532/ 2246591; 266 1512

ვებ-გვერდი: [www.GTTU.edu.ge](http://www.GTTU.edu.ge)

## **Requirements**

### **For Publication Format in Scientific Proceedings of Guram Tavartkiladze Teaching University**

For publication in Scientific Proceedings of Guram Tavartkiladze Teaching University, the scientific work, article should satisfy the following requirements:

- Scientific article can be submitted either in Georgian or English.
- The work should be followed by the abstract (7-8 lines) into two languages (Georgian and English). The title of the article and author's full name must be into two languages (Georgian and English).
- The work should be presented in Microsoft Word format;
- Georgian work should be presented in Acadnusx, 12 pt. font;
- English work should be presented in Times New Roman 12 pt. font;
- Line spacing 1.0;
- The work, including the abstract should be 5-10 printed page, paper size A4.
- In the body of the text, in-text citation should be done in brackets, in the following order: reference and page number of the used source in the bibliography attached to the work. At the end of the work, the list of the used literature (bibliography) should be arranged in the following order: Author, title of the source and the year of publication.
- Contact info and requisites of the author should be submitted on the separate paper. This info should include: the address, (home, work), academic degree, title, position, tel, fax number and e-mail address.
- The work should be handed in electronic version on CD disc, as well as 2 hard copies on A4 size paper;
- The author is responsible for the authenticity of the material provided by him/her for publication.
- The work will be reviewed anonymously.

For additional info, please contact us: tel: 2 23 20 20; 599 90 40 04.

Address: Guram Tavartkiladze Teaching University 5, Samghereti str. Tbilisi, Georgia.

Tel.: /99532/ 2246591; 266 1512

Web site: [www.GTTU.edu.ge](http://www.GTTU.edu.ge)

ფასი სახელშეკრულებლო



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ტე: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

